ფილიპე მახარაძე

თხზულებანი

ტომი მეექვსე

მარქსიზმის დაცვისათვის

1890 – 1921

სახელმწიფო გამომცემლობა
1929

ნაწილი I.

მწარე ფიქრები

შეიძლება. ეოგიერთმა მკითხველმა პირდაპირ იკითხოს: ნეტავი ეს რომელი მწარე ფიქრები გახსენებია ამ წერილის ავტორს? თუ ეს ძველი რაჰ არის, მაშინ მათზე აღარ ღირს საუბარი. რადგანაც ასეთებისაგან თავი დიდი ხანია ?ობეზოებული გვაქვს, ხოლო თუ ეს შეეხება ამ უკანასკნელი დროის გარეკოებებს. ამ შემთხვევაში სწორედ დიდად შემცდარა ავტორიო, რადგანაც ჩვენ ახლა არავითარი მწარე ფიქრები აღარ გვაწუხებენ, როგორც ეს მშვენივრად დაგვიმტკიცეს „ივერიის“ პუბლიცისტებმაო.

აქ მე ვიდრე თავის დანიშნულებას შეუდგებოდე, უნდა ვაღიარო, რომ ამ მცირე შენიშვნაში, რომელსაც წარმოადგენს ეს წერილი, საუბარი მექნება მხოლოდ ამ უკანასკნელ დროზე. და თუ მოთმინებას და დროს იქონიებს წინდაწინვე დაჯერებული მკითხველი ამ შენიშვნის გადასათვალიერებლად, მაშინ იგი რამდენიმედ დარწმუნდება, რომ მისი აზრი, ვითომც ჩვენ დღეს არავითარი მწარე ფიქრები აღარ გვაწუხებდეს, სულ შემცდარი თუ არა, ძლიერ საეჭვო მაინც უნდა იყოს.

I

ბევრი რომ არ გავაგრძელო საუბარი, მე აქ დავასახელებ ერთ თვალსაჩინო ფაქტს. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, რომელიც ეკუთვნის ამ უკანასკნელ დროს. მართლა, როგორი აზრისა ხართ, მკითხველო, იმ მომაკვდინებელ გულგრილობის შესახებ, რომელიც აშკარად გამოაცხადა ჩვენმა განათლებულმა საზოგადოებამ ჩვენი მწერლის, ივანე კერესელიძის [1]) დასაფლავების დროს და საზოგადოო მის გარდაცვალების გამო? მე პირადათ არ ვყოფილვარ მოწამე ამ გულგრილობისა. მაგრამ, როგორც გაზეთებიდან ამოვიკითხე, ერთობ დიდი სასირცხო საქმე დამართია ჩვენს, ეგრედწოდებულ, ინტელიგენციას და მოზარდ ახალ თაობას. აბა ერთი გაიხსენე მკითხველო, თუ რას ამბობს ბ. პ. უმიკაშვილი [2]) ი. კერესელიძის დასაფლავების გამო: „მე სრულებით განზრახვა არა მქონდაო — ამბობს იგი — და არც ჩვეულება მაქვს სიტყვის წარმოთქმისა. მაგრამ ყოვლად სამღვდელოს გარდა საერო კაცისაგან ჩვენის მწერლობის ანუ საზოგადოების მხრიე რომ ხმა აღარავინ

ამოიღო მოღვაწე კაცის უკანასკნელ პატივის საცემად, ეს ვეღარ მოვითმინე. სამღვდელოება მოშორდა საფლავს, ხალხი იშლებოდა. ველოდი, აი აგერ ვინმე ხმას ამოიღებს პატივისცემის განცხადებისათვის... დაჩუმება ვეღარ მოვითმინე და მოუმზადებლად წარმოვსთქვი სიტყვა, რაც გულში მქონდა წარმოვსთქვი. იქნება უხერხულად მომივიდა, მაგრამ...“ (იხ. „ივერია“ 1893 წ. № 4).

ვგონებ ამ უბრალოდ დაწერილ სიტყვებს განმარტება აღარ სჭირია; იმათი გულწრფელობა ყველასათვის ცხადია. სულ გაქვავებული გული უნდა ქონდეს ადამიანს, რომ ამ უხელოვნოდ დაწერილმა სიტყვებმა იგი არ ააღელვოს.

მართლადაც, რას ნიშნავს ეს მკვდარი სიჩუმე იმ დროს, როცა მუნჯიც კი ხმას ამოიღებს ხოლმე, და მერე იმისთანა კაცის დასაფლავების დროს, რომელსაც საკმარისი ღვაწლი და ენერგიული შრომა და გარჯა მიუძღვის მთელი ჩვენი ერის წინაშე? „იქნება — როგორც წარმოსთქვა ბ. უმიკაშვილმა თავის სიტყვაში — ბევრს მის რწმენას არ ვეთანხმებოდით, სხვადასხვა აზრისანი ვიყავით“, მაგრამ ეს ხმის ამოუღებლობა უკანასკნელი მისი პატივისცემისათვის, სწორედ არ ვიცი. რას ნიშნავს. თვით ბ. უმიკაშვილმა თავის სიტყვაში განმარტა ეს რამდენიმედ: „ჩვენში შესაძლებელი ყოფილარ — დაიწყო მან ამნაირად — ჩვიდმეტი წელიწადი კაცმა შრომა დასდოს საქვეყნო საქმისათვის და არავინ ხმა არ ამოიღოს; ჩვენა გვაქვს საზოგადოებანი, რომელთაც უნდა ახსოვდეთ. რომ მათი შრომა იწყება იმ დროიდან, როდესაც ივ. კერესელიძე გამოვიდა მოქმედების ასპარეზზე. რა დავიწყებაა“.

მაგრამ მეშინია, არავინ დამწამოს, ვითომც მე დიდი თაყვანის მცემელი ვიყო პანეგირიკებისა. არა, მე ვამბობ მხოლოდ ღრმა მოხუცებულის და საზოგადო მოღვაწის გვამის უკანასკნელ პატივისცემაზე და აი სად გამოიჩინა თავის სისუსტე ჩვენმა განათლებულმა საზოგადოებამ. რასაკვირველია, მე იმის წინააღმდეგიც არ ვარ, რომ ამნაირი პატივისცემა სიტყვის წარმოუთქმელადაც შეიძლებოდა, მაგალ., რიგიანი და შესაფერი ბიოგრაფიის შედგენით, მაგრამ ჩვენმა მწერლობამ აქ უფრო სამარცხვინო საქმე ჩაიდინა: მან ერთი სიტყვაც არ დასძრა ივ. კერესელიძის შესახებ, გარდა იმისა, რომ გაზ. „ივერიამ“ ანეგდოტებივით ამოიწერა რამდენიმე წინადადება სომხურ და რუსულ გაზეთებიდან ი. კერესელიძის შესახებ და ეს იკმარა. შეიძლება ეს მოუთმენლობაში ჩამომართვას მკითხველმა: ჰე, რაზე აჩქარებულხარ შენ, ჯერ კიდევ ბევრი დრო დაგვრჩენია წინო. დიახ მართალს ბრძანებ. ჩემო მკითხველო. დრო კი სწორედ ბევრია ჩვენ წინ, იმდენი, რომ ვერც ანგარიშს უზამ; მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველაფერს თავის დრო გააჩნია. ცხადია, ი. კერესელიძეს ქართული მწერლობის ისტორია არ დაივიწყებს. როგორც ამას ამბობდა სომხური გაზეთი, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვალი თავის დროზე უნდა მოგვეხადა და იქამდე არ უნდა მივსულიყავით, რომ ჩვენი მწერლობის ისტორია უცხოელებისათვის მიგვეენდო გამოსაკვლევად. აქ რაღა დროს ხუმრობაა, მაგრამ ერთი კი უნდა ვაღიაროთ: ჩვენ რაღაც იმისთანა ბედზე ვართ დაბადებული, რომ ჩვენი ცხოვრება მარტო ბროსეებმა, პატკანიანცებმა, სენკოვსკებმა და სხვებმა უნდა იკვლიონ. მე სრულებით ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს სათქმელი: დეე, ყველამ იშრომოს

ქვეყნის სასარგებლოდ (აბა ამას წინ ვინ აღუდგება). მაგრამ ჩვენი სავალალო ის არის, რომ ჩვენ ნამეტანს დავეჩვიეთ სხვების ზრუნვას ჩვენი საქმეების შესახებ. მოსალოდნელია ახლა ის გარემოებაც, რომ მიმდინარე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიასაც სხვა ვინმე შემთხვევით გამველელი უცხოელი შეადგენს და გამოსცემს საქვეყნოდ და მერე ჩვენ კი დავიწყებთ წუწუნს. რომ ეს რა უქნია ამ უცხოელსაო, ეს რა შეცდომებით გაუმსჭალია, ეს როგორ სტყუვისო და სხვ. მაგრამ მაშინ გვიანლა იქნება. დამნაშავე ამ შემთხვევაში ვიქნებით მხოლოდ ჩვენ. ჩვენ, რომლებიც არ ვზრუნავთ სრულებით არც ჩვენი ერის ისტორიულ და ეკონომიურ ცხოვრების ჯეროვან გამოკვლევაზე და არც ჩვენი ქვეყნის ეტნოგრაფიულ და გეოგრაფიულ შესწავლაზე. ჩვენ თუ გავახელთ თვალს მხოლოდ იმ დროს, როცა ჩვენზე დაიწყებენ საუბარს და კამათს სხვები და ისიც. რასაკვირველია, დროებით. შემდეგ კი იმავე დავიწყებას ვეძლევით. მაგრამ ამ საგნებზე საუბარი ჩვენ ერთობ შორს წაგვიყვანს.

ზემოალნიშნული ფაქტი ჩვენ აქ იმიტომ დავასახელეთ, რომ ის პირდაპირ თვალში ეძგერება ადამიანს, თუ ეს უკანასკნელი ცოტა ოდნად მაინც აქცევს ყურადღებას ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას და ამასთანავე აშკარად ეუბნება მასვე, თუ რამდენად მართალნი არიან ის ვაჟ-ბატონები, რომლებიც ხმა მაღლა გაიძახიან, „რომ ეს ახალი წელიწადი (ლაპარაკი 1893 წელზეა) დიდის იმედებით დაგვიდგა“ და ბრწყინვალე იმედებითაცო“ (იხ. საახალწლო ნომერი გაზ. „იერიისა“, 1893 წ. მეთაური). აქ მკითხველის წინაშე უნდა ვაღიარო, რომ საზოგადოდ მე კაცობრიობის მერმისზე სრულებით პესიმისტური შეხედულების არა ვარ. მაგრამ არც იმნაირი ოპტიმისტი ვარ, რომ ყოველივე ჩვენი დაუდევრობა სიკეთედ მივიჩინო; ისიც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ პესიმისტობა აწმყოს შესახებ ბევრად უმჯობესია უმოქმედო ოპტიმისტობაზე. განვმარტოთ ჩვენი აზრი უფრო ნათლად.

საახალწლო ნომერში გაზ. „იერიამ“ დაბეჭდა ჩვეულებრივი მეთაური, რომელშიაც უსახელო ავტორმა (თუ არ ვსცდებით ეს წერილი თვით ი. ჭავჭავაძეს [3]) უნდა ეკუთვნოდეს) წარმოგვიდგინა თვალწინ ჩვენი ცხოვრების ის საასიხარულო მომავალი პერსპექტივა. რომლის უეკველი ნიშნები ვითომც გვიჩენია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობამ წარსულ 1892 წელში. აი რას ამბობს ავტორი წარსულ წელზე: „წარსულმა წელმა, რომელიც ჩვენგან (!)დიდის მადლობით მოსაგონია, ბევრი რამ უანდერძა ამ ახალ წელიწადს. ეს წარსული წელიწადი კარგა მსხმოიარე წელიწადი იყო ჩვენის ჭკუა-გონების (?) და გულის (?) სამოქმედოდ დაძრისათვის და თუმცა თვითონ ვერა მომკო რა, მაგრამ იმითაც სადიდებელია (!), რომ მოსავალი მოთესა, მოიყვანა (?!) და ახალ წელიწადს დაულოცა: აი მოვხან-მოვთესე. შენ მომკე და შეირგეო“ და სხვ. ცოტა ქვემოდ კიდევ უჩვენებს ავტორი, თუ რა ჰქნა ამ წელმა: „ისა ჰქნაო, რომ ორი დიდი ძალა წამოაყენა ფეხზე ჩვენში, იმისთანა ძალა, ურომლისოდაც წარმატება ერისა, მისი წინსვლა, მისი ბედნიერება, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ღონიერება შეუძლებელია და წარმოუდგენელი. ერთს ეძახიან ძალას თვითმოქმედებისას და მეორეს თავის თავის იმედისას“ („იერია“, 1893 წ. № 1); ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, რომ ავტორის ამნაირი ოცნება ყოველგვარ

სინამდვილეს მოკლებულია და უნდა ნიშნავდეს ორში ერთს: ან იმას, რომ ავტორი სრულებით აღარ ადევნებს თვალყურს ჩვენს ცხოვრებას, რაც მის წმინდა მოვალეობას შეადგენს. და ან მას განზრახ ჰსურს, რომ საზოგადოებას თვალი აუხვიოს სინამდვილის წინაშე. მაგრამ პირველად საჭიროა მოვიხსენიოთ აქ ის საბუთები. რომლებზედაც ავტოოი უჩვენებს თავის აზრის დასამტკიცებლად.

პირველად ავტორი საზოგადოდ იხილავს წარსულ წელში ნამოქმედარ საქმეებს და ამ განხილვიდან შემდეგი დასკვნა გამოყავს: „ჭკუის და გონების გაძლიერებას მხარ და მხარ უნდა მოსდევდეს ქონების. ჯიბის გაძლიერებაცო". ამის შემდეგ ავტორი უთითებს ოთხს შესაძრნე გარემოებაზე, რომლებიც ამტკიცებენ „ჯიბის გაძლიერების" პრინციპს. ეს ოთხი გარემოება არის: 1. სახლების ამშენებელი ამხანაგობა, 2. ღვინის გაყიდვის ამხანაგობის დაარსება კახეთში. 3. კახეთის რკინის გზის გაყვანა და მე-4-ეც გლეხ-კაცობის მიერ პურის გაწერა.

აქ მკითხველი პირველი შეხედვით ვერც კი მიხვდება, თუ როგორ ოსტატურად მოიქცა ავტორი ამ აღნუსხვაში. ყველასათვის აშკარაა, რომ ავტორი ხმას იმაღლებს ორ გარემოებაზე. და მხოლოდ ორზე. რომლებიც ავტორს შუაში ჩაუსვამს და აქეთ-იქით, თავში და ბოლოში. საზოგადოების თავის მოსაქონავად მისთვის სულ გარეშე გარემოებანი მიუკრავს.

ასეა თუ ისე. მაგრამ ის კი ყველასათვის ეშკარაა, ეს საზოგადოებრივი ორგანო თავის თანამშრომელის კალმით უსათუოდ, თუ უტყუარი არა, გულწრფელი მაინც უნდა იყოს ყოველნაირი აზრის თუ შეხედულების გამოთქმაში. ხსენებული მეთაური წერილის ავტორი ათასჯერ უკეთეს იზამდა. რომ პირდაპირ ეღიარებია ის, რასაც იგი თავის გულში გრძნობდა. ე. ი. გუნდრუკი ეკმია მხოლოდ თავად-აზნაურობის „ჯიბის გაძლიერების" საქმისათვის, რომელმაც იწყო აღორძინება. ავტორის აზრით, წარსულ წელში და რომლის გამო იგი გამოუთქმელ აღტაცებაში მოდის. რომ ავტორი იძახის მხოლოდ ღვინის გაყიდვის სათავად-აზნაურო ამხანაგობის დაარსებაზე კახეთში და კახეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ იმავე თავად-აზნაურობის შეერთებულის ძალით, ამის დასამტკიცებლად ჩვენ შემდეგი უტყუარი საბუთები გვაქვს.

როგორც მკითხველს ეხსომება, ჯერ კიდევ. სანამ კახეთში ამნაირი ამხანაგობა დაარსდებოდა, იგივე ავტორი სწერდა ამნაირივე ამხანაგობის საჭიროებაზე და ამასთანავე ხმა მაღლა ღაღადებდა შემდეგს: „ამბობენ — ყველაზე უწინარეს ფული არის საჭირო საქმის დაწყებისათვის. ჩვენ ეს აზრი შეცდომათ მიგვაჩნია. ფული. როგორც ყოველივე ეკონომიური ძალ-ღონე ისეთი თვისებისაა, რომ თითონ ეძებს საქმეს, თითონ მიეზიდება საქმისაკენ, რადგანაც უსაქმოდ დება ეწინააღმდეგება ეკონომიურს ბუნებას (!) ყოველივე ეკონომიური საგნისას („ეკონომიური საგანი"? ფინანსიური მეცნიერების მცოდნესათვის ამნაირი ტერმინის ხმარება, ეგონებ დანაშაულებას შეადგენს) და, მაშასადამე, ფულისასაც" („იერია" 1892 წ. № 240) *). ეს უკანასკნელი თუ მე მიმაჩნია ჩემი ნათქვამის

*) ეს ციტატა მე იმიტომ ამოვიღე ჩვენი ავტორის წერილიდან, რომ ამ ათიდ მოსაცდენელი ბელი მანქანებით მან ერთობ დიდი სახელი გაითქვა და ბევრი მიმდევარი და თაყვანისმცემელი მოიპოვა არა მარტო საღებ-მიცემო ასპარეზზე, არამედ თვით ჩვენს მწერლობაშიაც. ამის დასამტკიცებლად იხ. მაგალ. ბ. სანოს ფელეტონები („იერია" 1892 წ. № 268 და 1893 წ. № 4).

საბუთად. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ავტორი მეთაური წერილებისათვის ძლიერ იშვიათად ზრუნავს, ასე რომ მთელი წლების განმავლობაში დიდი-დიდი ორი ან სამი წერილი გამოვიდეს მისი ხელიდან და, რასაკვირველია, ამნაირ იშვიათ წერილებს იგი უძღვნის მარტო იმისთანა საქმეებს. რომლებშიაც მეტად დაინტერესებულია და რომელთა აღორძინებას თვითონ ჭლამობს და ელტვის. ჩემი ნათქვამის სიმართლეს ის გარემოებაც აშკარად ჭლაღადებს. რომ ხსენებული წერილის დაბეჭდვა გაზ. „ივერიაში" და თავად-აზნაურთა კრება კახეთში ერთი-ერთმანეთს მოყვა, ასე რომ ჯერ წერილი დაიბეჭდა და მერე თვით კრება მოხდა. რომელმაც ხსენებული წერილის იდეას ჯეროვანი მსვლელობა მისცა. ამასთანავე, როგორც კახეთიდან მოწერილი წერილიდან ვგებულობთ („ივერია" 1892 წ. № 245 „წერილი კახეთიდან" ბ. ნადიკვარელისა), კახეთის სათავად-აზნაურო ამხანაგობის თაოსნობა სულ ჩვენ ავტორს უნდა ეკუთვნოდეს. რადგანაც მაშინდელ კრებაზე ერთმა ორატორთაგანმა პირდაპირ დაასახელა ჩვენი ავტორი. როგორც საქმის მრჩეველი და გამპირებელი...

რაც შეეხება კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმეს, ამ შემთხვევაში ავტორმა უფრო საქმიანად და დარიგებით იმოქმედა, ვიდრე მწერლობით. მაგრამ ამით მას საქმისათვის არაკვითარი დაბრკოლება არ მიუყენებია. რადგანაც ჯერ ჩვენში საზოგადოდ მწერლობას არ აქვს იმნაირი გავლენა საზოგადოებაზე, როგორც სხვა განათლებულ ქვეყნებში; ჩვენში სიტყვიერ დარიგებას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველივე საერთო საქმეში.

მაგრამ მე მაქვს კიდევ სხვა დასამტკიცებელი საბუთი თავის აზრისა ჩვენი ავტორის საახალწლო წერილის შესახებ. როგორც აშკარათ სჩანს, ჩვენი ავტორი დიდათ დაახლოვებული და დაკავშირებული უნდა იყოს გაზ. „ივერიასთან". ე. ი. ჩვეულებრივ ენაზე რომ ვსთქვათ, თვით „ივერიის" რედაქტორი უნდა იყოს და როგორც ამნაირი, იგი ვალდებულია, რაც მის გაზეთში საზოგადოებრივი ხასიათის წერილები იბეჭდება, უსათუოდ ყველანი ასწონ-დასწონოს და განიხილოს, რათა უშენიშვნოდ რედაქციის მხრივ არაკვითარი საწინააღმდეგო წერილი არ დაიბეჭდოს. თუ რომელიმე წერილი, რომელიც ასე თუ ისე ეხება საზოგადოებრივ კითხვებს, დატოვებულია რედაქციის მხრივ უშენიშვნოდ. მაშინ აშკარაა, რომ რედაქტორი, თანაუგრძნობს ამნაირ წერილს. თუ ეს ასე ითქმის საზოგადოთ, მაშასადამე, ასე უნდა ითქვას „ივერიის" და მის რედაქტორის შესახებაც. ამას კი ის შეურყეველი დასკვნა მოსდევს, რომ „ივერიაში" დაბეჭდილ წერილებსაც უნდა უსათუოდ თანაუგრძნობდეს იმის რედაქტორი, როცა ამნაირი წერილი უშენიშვნოდ არის დატოვებული რედაქციის მხრით.

ახლა აბა ყური დაუგდე, მკითხველო. რას ამბობს „ივერიის" „მოშინაურებული" ბ. სანო: „ოცის წლით წინად, ამბობს იგი — საადგილ-მამულო ბანკების დაარსება იკისრა ჩვენმა თავად-აზნაურობამ და ამით ფეხი შესდგა ახალი დროების „ეკონომიურ აღებ-მიცემობაში" („ეკონომიური აღებ-მიცემობა" ბ. სანოსისა უდრის „ეკონომიურ საგანს" უსახელო ავტორისას: ჩვენ კი მაინც ვერ გაგვიგია: რას ნიშნავს ეკონომიური აღებ-მიცემობა და „ეკონომიური საგანი"). ვაჟკაცურად იდო თავს რთული (?) და მძიმე საქმე" (ისე რთული და მძიმე. რომ „ბარძიმებიც"-კი ადვილად ასრულებენ!)... „ეს რკინის გზა კი

ისეთი საგანია, *რომ დღეს ჩვენთვის ამაზედ მეტი თითქმის აღარა უნდა იყოს რა საფიქრებელი და სანაღვლებელი**)..." „რომ 20 დეკემბერს**) ჩვენი თავად-აზნაურობა ერთს დიდ ნაბიჯს (?!) კიდევ გადადგამს ეკონომიურ წარმატებისაკენ. რო ორც - დასაგა ამ ოჯ. წლის წინათ ბანკის დაარსებით" („ივერია" 1892 წ. № 260).

აქ გასაკვირალი მარტო ის არის, რომ ბ. სანოს ზემოდ მოყვანილ გადებაში, რომელიც ყოველ ქეშმარიტებას მოკლებულია, საქმე იმსაირად არის წარმოდგენილი, რომ ავტორი თავად-აზნაურობის - ინილდოეობა ი ჰხედავს კეთილდღეობას მთელი ქართველი ერისას. როგორც მაგ.., ბ. დ. მაჩხანელი მისი „სისტემის" დეპო-კასების შემოღებაში ჰხედავს ზეციურ სამოთხის დამკვიდრებას დედა-მიწაზე ***). რამდენათ მართალია ამნაირი ახირებული აზრი ბ. სანოსი. ამის გასაჯვა ჯერ-ჯერობით მიმინდვია მკითხველისათვი . ძ კლე დროში მე მსურს დაწერილებით შევეხო არა მარტო იმ საგანს, არამედ მთელ ბ. სანოს წარსულ და აწინდელ მოღვაწეობას სალიტერატოროო ასპარეზზე, რადგანაც ბ. სანოზე დამდგარა დღეს ჩვენში შინაური მიმოხილვა ღა ხმის ამოღ ბ: საზოგადოებრივ კითხვებზე. ბ. სანოს დრტვინვა მე აქ იმიტომ მოვიხსენე, რომ მსურდა დამენახვებია მკითხველისათვის, თუ რა ნიადაგზე დამყარებული საასაღ.ლო წერილის ავტორის მხიარულება ჩვენს „თვით-მოქმედებაზე და თავის თავის იმედზე".

წარმოიდგინე, მკითხველო, „ივერიის" მოშინაურებული პუბლიცისტი თამამად გაიძახის: „ეს რკინის გზა ისეთი საგანია, *რომ დღეს ჩვენთვის ამაზედ მეტი თითქმის აღარა უნდა იყოს საფიქრებელი და სანაღვლებელი*". მე, როცა ვკითხულობდი ამ სიტყვებს, რაღაცნაირ სუნთქვის შემხუთავ ჟრუანტელმა გამიარა სხეულში! სადა ვართ? ნეტა ხომ არ მოვშორებივართ ჩვენს დედა-მიწას მეთქი, გავიძახოდი! ეს რას ნიშნავს. ბატონებო! ნუ თუ ჩვენთვის აღარ არსებობს აღარც ერი, აღარც განათლება, აღარც სინდისი, აღარც სიმართლე! ნუ თუ ჩვენი მწერლობა, ნუ თუ ჩვენი განათლებული საზოგადოება, ნუ თუ ჩვენი მოზარდი ახალი თაობა, რომლისაგანაც ჩვენ ათას რამეებს მოველით, ყველანი რკინის გზის მზრუნველად უნდა გარდაიქცნენ? მერე რისთვის ანუ ვისთვის? იმიტომ, რომ „ჩვენი თავადაზნაურობა 20 დეკემბერს ერთს დიდ ნაბიჯს კიდევ გადასდგამს ეკონომიური წარმატებისაკენ"! შემდეგ თავის ფელეტონში ბ. სანო ხელაპყრობილი ეეედრებოდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას, რომ ამ ჰერკულესისებური ნაბიჯის

*) ამ წერილში ხაზგასმული ყოველგან ჩვენია.

**) მკითხველს ეახსომება, რომ 20 დეკემბერს 1892 წ. რკინის გზის გაყვანის თაობაზე თავად-აზნაურთა კრება იყო დანიშნული ქ. ტფილისში.

***) ბ. დ. მაჩხანელის წერილი „ჩვენი უთავბოლობა". რომელიც იბეჭდებოდა წარსული წლის „ივერიაში" არ უნდა დარჩენილიყო, ჩემის აზრით შეუმჩნეველად ჩვენი მწერლობის ძმრით. ამისათვის ჩვენი შენიშვნები გავგზავნე „ივერიის" რედაქციაში დასაბეჭდათ. ეს იყო წარსული წლის სეპტემბრის გასულს; მას მერე გავიდა ოთხ თვეზე მეტი და როგორც გავიგე ქერძო წერილებიდან ჩემი წერილი არც კი წაუკითხიათ რედაქციაში. როგორ მოგწონს მკითხველო ამნაირი საქციელი რედაქციისა!...

წინწადგმისათვის. ნუ დაიზარებთ ჩამობრძანდით ტფილისში 20 დეკემბრისათვის. უამისოდ ჩვენ ამოვარდებით, მთელი ქართველი ერი ერთიანად დაიღუპებაო და ღვთის გულისთვის ნუ იზამთ ამისთანა სამწუხარო საქმეს. ნუ დაღუპავთ კაცობრიობას, ცივილიზაციას, წარმატებას და სხვ. („იერია" 1892 წ. № 286).

სწორედ „ბარძიმებული" მსჯელობაა! როცა დაბოლოს ასრულდა ბ. სანის წადილი. როცა „ბარძიმებმა" არ დაიზარეს ტფილისში ჩამოსვლა 20 დეკემბრის სათავად-აზნაურო კრებაზე დასასწრებლად, როცა ამნაირად დახსნილ იქნა კაცობრიობა დაღუპვისაგან, და, მაშასადამე. ცივილიზაციამ გაიმარჯვა, ბ სანო ამნაირად იწყებდა თავის ფელეტონს: „ღმერთო შენითა! ერთი დიდი საქმე კიდევ ემატება ჩვენს მდოვრ-მოდებულ ცხოვრებასო". ასეთ დედაკაცური გოდების შემდეგ იგი განაგრძობს: „20 დეკ. ქართველმა თავად-აზნაურობამ თითქმის ერთხმად განაცხადა სურვილი. თავს იდეას კახეთის რკინის გზის გაყვანა. ეს იყო ჩვენი უგულითადესი სანატრელიც"-ო („იერია" 1892 წ. № 275). მაშ რადა უნდა ამ გადაწყვეტილებას შემდეგ ჩვენს საქართველოს, ჩვენს განათლების საქმეს, ჩვენი ერის გონებრივ და ქონებრივ წარმატების საქმეს: 20 დეკ. 1892 წ. ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ „განაცხადა სურვილი თავს იდვას" ეს ყოველივე.

აი ის მკვლევავი ნიადაგი, რომელზედაც გამოცხვა „იერიის" საახალწლო მეთაური. აი სად უნდა ვეძიოთ ავტორის განუსაზღვრელი ოპტიმისტური შეხედულების ახსნა. მაშასადამე, ხსენებული მეთაურის ავტორის მეტის-მეტი მხიარულების მიზეზს შეადგენს მხოლოდ თავად-აზნაურობის „ჯიბის გაძლიერების" აღორძინების საქმე. — რა ჯავრი გვირს მერეო? შეიძლება იკითხოს მკითხველმა. რად შეგშურდა თავად-აზნაურობის კეთილდღეობა, რომ ამნაირად შეუწუხებიხარ იმის ქონებრივი კეთილდღეობის აღორძინების საქმესო? — უნდა მოგახსენო, ჩემო მკითხველო, თუ რამდენად მართალია თავად-აზნაურობის ეკონომიური წარმატების საქმე, ამაზე ცოტა ქვემოდ მექნება რამდენიმედ საუბარი. აქ კი მას ვაღიარებ, რომ მე არც თავად-აზნაურობის ჯავრი მჭირს და არც ვინმე სხვისი (და განა რომ მჭირდეს, ამით რა გამოვა?) მაგრამ. როცა ჩვენ გვეუბნებიან. რომ თავად-აზნაურობის „ჯიბის გაძლიერება", მისი ძალ-ღონის განვითარება. ერთი სიტყვით, მისი კეთილდღეობა ერთ და იმავე დროს ნიშნავს მთელი ერის კეთილდღეობას. ეს გარემოება არა თუ გვაწუხებს. არამედ კიდევაც გვაბრაზებს და მწარე ფიქრებს გვრის ჩვენი ერის დღევანდელ და მომავალ ბედზე. ყველა ქვეყნის ისტორიამ კერძოდ და მთელი კაცობრიობის ისტორიამ საზოგადოდ, თვალსაჩინოდ დაგვანახვა, რომ ერთი წოდების კეთილდღეობა არა თუ არ ნიშნავს დანარჩენ წოდებათა კეთილდღეობას. არამედ ყველანაირი განწყობილება მათ შორის პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენს. ერთ, წოლების ანუ კლასის კეთილდღეობა იზრდება იმდენად. რამდენადაც კლებულობს დანარჩენ წოდებათა ანუ კლასების კეთილდღეობა. ის საუკუნოვო შეხედულება, ვითომც ერთი წოდების ანუ პოლიტიკური ეკონომიის ენაზე რომ ესთქვათ. კლასის, კეთილდღეობა არა თუ არ ეწინააღმდეგება მეორე კლასის კეთილდღეობას. არამედ პირიქით, ჰარმონიულ ურთიერთშორის განწყობილე-

ბაში არის; ეს შეხედულება, ვიმეორებ, ეკუთვნის მიმდინარე საუკუნის დასაწყისის ბურჟუაზიული მიმართულების წარმომადგენლებს პოლიტიკურ ეკონომიაში. ხსენებული მიმართულების წარმომადგენელნი პოლიტიკურ ეკონომიაში იმის მტკიცებაში იყვნენ, რომ ერთის სიმდიდრე ერთ და იმავე დროს ნიშნავს მეორის სიმდიდრესაც. რასაკვირველია, ამას ისინი პირდაპირ არ გაიძახოდენ. არამედ მაღალი და წითელ-წითელი ფრაზებით ამშვენებდენ თავის არა წმინდა განზრახვებს, მაგალ. „ეროვნული სიმდიდრე", „ეროვნული კეთილდღეობა" და სხვა ამისთანები მუდამ ენაზე ჰქონდათ, მაგრამ საქმით კი მხოლოდ კერძო ინტერესებისათვის იღვწოდენ. საბედნიეროდ, ისტორიამ, თუმცაღა გვიან, სასტიკა ; დასაჯა ბანალური ეკონომიის მიმდევარნი, როცა გამწვავებულნი განწყობილებანი მდიდართა და ღარიბთა შორის უფრო თვალსაჩინოდ გამოცურდენ საზოგადოებრივ ასპარეზზე მომდინარე საუკუნის ნახევარში. მაშინ უკვე გვიანღა იყო გოდება „ნაციონალურ სიმდიდრეზე" და „ნაციონალურ კეთილდღეობ ზე"

ევროპაში გარემოებათა მსვლელობამ ცხადათ დაანახა ყველაფერ პირდაპირ წინააღმდეგობა მდიდართა და ღარიბთა შორის, ანუ დღევანდელი ენით რომ ვსთქვათ კაპიტალისტთა და მუშათა შორის. საუბედუროთ, ჩვენში აქამდე გარემოებათა სულ სხვანაირი მსვლელობა იყო. მაგრამ როგორიც უნდა ყოფილიყო. ის კი ყველასათვის ცხადია. რომ უმაღლესი წოდების კეთილდღეობა თავის დღეში არ ნიშნავს მეორე დაბალი წოდების კეთილდღეობასაც. ამ ანბანური ჭეშმარიტების უარყოფა ჩვენს დროში, ერთის მხრით, ეწინააღმდეგება ყოველნაირ ისტორიულ მოსაზრებას და, მეორეს მხრით, ნიშნავს ან სრულს უცოდინარობას წარსულ და თანამედროვე ურთიერთ შორის განწყობილებათა და ან კიდეე. რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, წინდაწინვე განზრახულ სიცრუის მტკიცებას. როგორ უნდა გვესმოდეს ამის შემდეგ საახალწლო წერილის ავტორის და ბ. სანოს საქვეყნოდ მტკიცება, რომ ქართველ თავად-აზნაურობის „ჯიბის გაძლიერება". ე. ი. იმის კეთილდღეობა ნიშნავს ერთ და იმავე დროს მთელი ქართველი ერის „ჯიბის გაძლიერებას", ე. ი. იმის კეთილდღეობას და დღეგრძელებას? არა, სწორედ ვერ გაგვიგია, თუ რას უნდა მივაწეროთ ამნაირი უცნაური შეხედულება? ნუ თუ აქაც წითელ-წითელი ფრაზებია ნახმარი საზოგადოების თვალის ასახვევად?

თუმცა დიდად სამწუხაროა ჩვენში ამნაირი მოვლენა, მაგრამ ულმობელი ლოგიკა ფაქტებისა მაიძულებს დადებითი პასუხი მივსცე მკითხველს ამ კითხვაზე. ამიტომ, შორს... შორს ჩვენგან ღამის არახჩინი! დროა უკვე გავიგოთ გარემოებათა ნამდვილი მდგომარეობა!..

II

მკითხველს მე წინდაწინვე განვუცხადე, რომ ამ წერილში მე მსურდა მხოლოდ მოკლედ მეჩვენებია რამდენიმე სამწუხარო გარემოება ჩვენი ცხოვრებიდან, რომელიც ჩემში კერძოდ იწვევს ძლიერ მწარე ფიქრებს ჩვენი დღევანდელი და მომავალი ცხოვრების ბედ-იღბალზე. ამიტომ მე აქ ყველა ამ გარემოებათა უფრო დაწვრილებით განხილვაში არ შევდივარ. რადგანაც ეს ძლიერ შორს

წაგვიყვანდა და თვით ამ წერილის ჩარჩოებიდანაც გამოგვიყვანდა. მაგრამ მე კიდევ მსურს რამდენიმე გარემოების განხილვაზე გავჩერდე, რადგანაც ესენი კ დღეს ყველას ეჩხირება თვალში, თუმცა იმათ განხილვაში და ჯეროვან დაფასებაში არავინ არ შედის.

მე მოგახსენებთ პირველად იმ გარემოებაზე, თუ რამდენად მართალია ის აზრი, ვითომც ღვინის გამყიდველ სათავად-აზნაურო ამხანაგობის დაარსებით კახეთში და 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით. რომლითაც „ქართლ-კახეთის თ ავად-აზნაურობამ თითქმის ერთხმად განაცხადა სურვილი თავს იდვას კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმე". ქართველმა თავად-აზნაურობამ კიდევ გადასდგა „ერთი დიდი ნაბიჯი ეკონომიური წარმატებისაკენ".

ჯონ. სტ. მილი [1]) თავის ცნობილ „ლოლიკის სისტემაში" ამბობს: სანამ ჩვეს არ განვმარტავთ ტერმინებს, რომლებსაც მუდამ ვხმარობთ სხვადასხვა ალაგას, და არ დავთანხმდებით ამ ტერმინების ერთ და იმავე მნიშვნელობით ხმარებაში, მანამ ჩვენს იმათზე მსჯელობას და კამათს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებაო. მართლადაც, ავიღოთ, მაგალ., ის „ეკონომიური წარმატება", რომელსაც ბ. სანო პირდებოდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას წარსული წლის 20 დეკემბრისათვის და რომელიც უკვე არსებულ მოვლენად ჩასთვალა საახალწლო წერილის ავტორმა გაზ. „ივერიაში". მე კერძოდ ვერ ვხედავ აქ იოტისოდენავ ეკონომიურ წარმატებასაც. რათაო? იკითხავს მკითხველი. იმიტომ, რომ მე ეკონომიურ წარმატებას სულ სხვაში ვხედავ, ვინემ „ივერიის" პუბლიცისტები. ჩემთვის მაგალ. ეკონომიური წარმატება მთელი ერისა, ან მის რომელიმე ნაწილისა. ნიშნავს შრომის საწარმოო პირობების ამაღლებასა და განვითარებას. ე. ი. სხვადასხვა სამუშაო იარაღების ტეხნიკურ გაუმჯობესებას. ამ განსაზღვრის დაწვრილებით განხილვაში მე აქ არ შევდივარ. თუმცა ეს ძლიერ საინტერესოც არის. შევნიშნავ მხოლოდ, რომ პოლიტიკური ეკონომიის და სახალხო მეურნეობის მცოდნესათვის ჩემ მიერ ნათქვამი, ანბანურ ჭეშმარიტებას შეადგენს და ამასთანავე ის არის საფუძველი ყოველივე ერის ეკონომიური წარმატებისა და განვითარებისა. რაც შეეხება „ივერიის" პუბლიცისტებს, უნდა ვაღიარო, რომ იმათთვის ეკონომიური წარმატება ხალხისა ან რომელიმე მისი ნაწილისა, მაგალ. თავად-აზნაურობისა. სულ სხვას წარმოადგენს. იმათი აზრით, მაგალ. ეკონომიური წარმატება იქნება მაშინ. როცა რომელიმე თავადი ან აზნაური რომელიმე დაწესებულებაში (მაგალ. სათავად-აზნაურო ბანკში) 100,000 მან. ღირებულ უძრავ ქონებას დააგირავებს და იმის მაგიერ გამოიტანს იქიდან 25,000 მან. ფულს, რომელსაც რამდენიმე წლის ან თვის განმავლობაში მიაფლანგ-მოაფლანგავს უწარმოებლად. როცა ეს 25.000 მანეთიც გამოელევა, მერე კიდევ მიეშურება დანარჩენი მამულის დაგირავებისათვის იმავე დაწესებულებაში და შემდეგ იწყება იგივე „ფლანგვის პროცესი", სანამ თვით დაწესებულება სულ არ გაანთავისუფლებს დაუდგრომელ „ბატონს" მძიმე ტვირთისაგან. ე. ი. უძრავი ქონებისაგან. რომელიც მისთვის კიდევ ნეტარსხენებულ პაპას აუკიდნია. აი „ივერიის" პუბლიცისტების წარმოდგენით რაში მდგომარეობს „ეკონომიური წარძატება". რა საუცხოოდ უნდა იყოს ამნაირი ეკონომიური წარმატება მკითხველის თვალში. მაინც იგი უსათუოდ უნდა დარწმუნდეს, რომ ამას ჰქადაგებს „ივერია".

უეჭველია ამის დასამტკიცებელ საბუთსაც მომთხოვს მკითხველი. მაგრამ. ეს რა სასტიკი მკითხველი გადამეკიდა მე, რომ საშველს ალარ მაძლევს: რასაც ვიტყვი. უსათუოდ იმის დასამტკიცებელი საბუთი უნდა წარვუდგინო. მაგრამ არა: ეს სისასტიკე სრულებით არ არის: ეს ყველა მკითხველის წმინდა მოვალეობას შეადგენს: ყოველი გამჭრიახი მკითხველი მოვალეა ჯიბრში ჩაუდგეს ავტორს და მოსთხოვოს სრული ანგარიში ყოველივე მისი ნათქვამისა. ვინც არ აასრულებს ამას. ის არც ნამდვილი მკითხველის მოვალეობას ასრულებს. მე მაკვირვებს მხოლოდ ის გარემოება. რომ ამნაირად ირჯება მკითხველი მხოლოდ ჩემთან და „ივერიის“ „ნაფიც“ პუბლიცისტებზე იგი კრინტსაც არ სძრავს. აი, ამიტომ ვეძახი მე ჩემს მკითხველს სასტიკს, ვინაიდან ის მხოლოდ ჩემთან ირჯება ამნაირად და არა ჩვენს „ნაფიც“ მწერლებთან. ეს სწორედ ‖ამწუხარია და აძასთანავე უსამართლობასაც შეადგენს ჩემი მკითხველის მსოფლ. რადგანაც იგი ორგულობას იჩენს და მხოლოდ პიროვნებას აქ·ცეს ყურადღებას. მაგრამ მე მაინც ვალდებული ვარ ჩემი ნათქვამი დაეასაბუთო რამდენიმედ მაინც. ამისთვის ძე შორს არ წავალ: იგივე „ივერია“ წარმოგვიდგენს ჩვენ ჩემი აზრის დასამტკიცებელ საბუთს.

ვინც-კი ცოტა ოდნავად თვალს ადევნებს „ივერიას“, მას უსათუოდ ეცოდინება, თუ როგორი თაყვანისცემით და მუხლის დრეკით იხსენიებს ეს გაზეთი სათავად-აზნაურო ბანკებს. ჩვენ აქ ვერ გავიხსენებთ, თუ რამდენი სათაყვანისცემო წერილები უბეჭდია ხსენებულ გაზეთს სათავად-აზნაურო ბანკების შესახებ. მოვაგონებ მკითხველს მხოლოდ, რომ იყო იმნაირი დრო და ბეკრისათვის ის ჯერაც არ გამჭრალა, როცა იმასაც ამტკიცებდენ, რომ სათავად-აზნაურო ბანკებზე ჰკიდია მთელი ჩვენი ერის ცხოვრება და ბედიღბალიო. უყურადღებოთ დავტოვოთ აგრეთვე ისიც, რომ სათავად-აზნაურო ბანკების მაგალითზე უთითებდენ ყოველთვის და დღესაც უთითებენ, როცა რაიმე ახალი საქმის სარგებლობას ამტკიცებენ, მაგალ. ‘ბ’ვით საახალწლო წერილის ავტორიც („ივერია“ 1892 წ. № 240) ღვინის გამყიდველი ამხანაგობის სარგებლობას სათავად-აზნაურო ბანკების მაგალითით უმტკიცებდა საზოგადოებას. ჩვენ მხოლოდ ყურადღება მივაქციოთ აქ იმას, თუ რას ამბობს „ივერიის“ ერთი „მოშინაურებული“ პუბლიცისტთაგანი. სახელდობრ ბ. სანო: „ოცის წლის წინადაო — ჰლაღადებს იგი—საადგილ-მამულო ბანკების დაარსება იკისრა ჩვენმა თავად-აზნაურობამ და ამით ფეხი შესდგა ახალი დროების „ეკონომიურ აღებ-მიცემობაში“, ვაჟკაცურად იდო თავს რთული და მძიმე საქმე. რომლის ავ-კარგობაზე მაშინ ძლიერ ნაკლებად ჰქონდა შეგნებულიო“ („ივ.“ 1892 წ. № 260). გესმის მკითხველო? „ოცი წლის წინად საადგილ-მამულო ბანკების დაარსებით ჩვენს თავად-აზნაურობას „ეკონომიური აღებ-მიცემობა“ უკისრნია და ამ „ეკონომიურ აღებ-მიცემობის“ ავკარგიანობა მაშინ შეგნებული კი არ ჰქონია.

მაგრამ ჰკითხეთ ერთი ბ. სანოს, დღეს კი ესმის და შეგნებული აქვს ჩვენს თავად-აზნაურობას საადგილ-მამულო ბანკების ავ-კარგიანობა? და თვით ბ. სანომ შეიგნო და გამოარკვია ეს ავ-კარგიანობა. თუ არა? თუ ჰო. მაშ რას ნიშნავს მისი ცილის წამება. რომ ვითომც საადგილ-მამულო ბანკების დაარსებით ქართველმა თავად-აზნაურობამ „ფეხი შესდგა ახალი დროის“ ეკონომიურ აღებ-

მიცემობაში? მკითხველო. ნუ თუ შენ არ იცი რაგვარი აღებ-მიცემობა გამოიწვია თავად-აზნაურობაში საადგილ-მამულო ბანკების დაარსებამ? ეგონებ. ეს ყველასათვის ცხადია. გარდა გაზ. „ივერიისა" და მის „ნაფიც" მწერლებისა, რომლების გამო ჩვენმა საზოგადოებამ დღემდის არ იცის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობის ნამდვილი ვითარება, საზოგადოდ, და თავად-აზნაურობის საქმეებისა, კერძოთ. თავად-აზნაურობას ეუბნებიან, რომ იმის საქმე არხეინად სწარმოებს და ამის დასამტკიცებლად იმაზე უჩვენებენ, რომ აი „გროშებიდან დაწყებული საქმე მილიონებათ გადაიქცა", და აბა მეტი რალა გინდა; - უ რამე მამული დაგრჩენია. მოდი ჩქარა ააგირავე და ეს ფულები გაიტანე, „რადგანაც უსაქმოდ დება ეწინააღმდეგება ეკონომიურ ბუნებას ყოველი" ეკონომიური საგნისას „და. მაშასადამე. ფულისაც". ქადაგებენ ჩვენი თავისებური ეკონომისტები. რაც შეეხება ამ ფულების მოხმარებას (ნამდვილად რომ ესთქვათ: გაფლანგვას). ამაზე კი კრინტსაც არ ძრავენ. და მართლადაც იმათი შეხედულებით რა საჭიროა ამ საქმეზე ზრუნვა, როცა ბანკში ჯერ-ჯერობით ფულები საკმარისია.

მკითველი ახლა უკვე გებულობს, თუ რაშია აქ საქმე. იგი მოწადინებულია გაიგოს თუ რა საშვალებით გროვდება ფული საადგილ-მამულო ბანკში და რა ეკონომიური შედეგი მოსდევს თვით თავად-აზნაურობის კეთილდღეობისათვის იმ მოგროვების სისტემას, რომელიც ხმარებაშია საადგილ-მამულო ბანკებში. ამ საგანზე მე ბევრს არ გავაგრძელებ საუბარს; მკითხველს შეუძლია პირდაპირ მიმართოს ბ. ყიგაჩოვის სტატიას „Русская Мысль"-ში, სახელდობრ: „Задолженность частного землевладения в России" (იხ. „Русская М." 1892 წ. ნოემბერი). რომლის შინაარსი ბ. გ. მაიაშვილმა განმარტა ამას წინედ გაზ. „Нов. Обозр.'-ში და აღიარა, რომ ხსენებული სტატია მეტად საინტერესოა ჩვენი ქვეყნისთვისაც, სადაც „კერძო მიწათმფლობელობის დავალიანება დღითი დღე ძლიერდებაო" („Нов. Обозр." № 3109). ამასთანავე ბ. მაიაშვილმა მშვენივრად შენიშნა. რომ შენ ნუ გგონია ვითომც ეს მარტო რუსეთის თავად-აზნაურობაზეა ნათქვამი: არა. ამნაირი დასკვნა მარტო ბავშობას ნიშნავსო: de te fabula narratur (არაკი შენზეა ნათქვამიო).

ფაქტიური შემოწმება ქართველ თავად-აზნაურობის დავალიანებისა ჯერ-ჯერობით ძლიერ საძნელოა, რადგანაც ამის მასალა ხელუხლებლად დევს კანცელარიებში. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია რამდენიმეთ მართალი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ დავალიანებაზე იმ აუარებელი განცხადებისაგანაც. რომლებიც ყოველ წლივ იბეჭდება გაზეთებში და შეიცავს გასასყიდათ დანიშნულ მამულების სიას. მაგრამ უბედურება ამ აუარებელი დავალიანებით არ თავდება; დავალიანება კიდევ არ ნიშნავს სრულს ქონებრივ დაუძლურებას. შეიძლება. რომ თავად-აზნაურობას მამული დაგირავებული ჰქონდეს ბანკებში. მაგრამ სამაგიეროდ ის სცდილობდეს საწარმოვო ძალის გაუმჯობესებას და განკარგებას და ზრუნავდეს თვით თავად-აზნაურობის კულტურულ ზრდაზე მაინც. საუბედუროთ ულმობელი ფაქტების ძალით. მე იძულებული ვარ ეაღიარო, რომ შრომის საწარმოვო ძალის განკარგულებაში ქართველ თავად-აზნაურობას ნაკლითარი ღვაწლი არ მიუძღვის ჩვენი ერის წინაშე და რაც შეეხება კულტურულ ზრდას. ამაზე მე

იმას ვიტყვი, რომ მთელმა ქართველმა თავად-აზნაურობამ არა თუ მაღალი, არამედ ვერც დაბალი ხარისხის სამეურნეო სასწავლებელი ვერ შექმნა, რომ მით მოემზადებია მას რიგიანი მეურნენი ახლანდელ „მტაცებელი მეურნეობის" ბოლოს მოსაღებად, როცა, ერთის მხრით, მასაზრდოებელი ნიადაგი სულ უფრო და უფრო იფიტება და, მეორე მხრით, უსარგებლოდ იხარჯება აუარებელი ჯაფა მიწის მომქმედთა.

ზემოთნათქვამიდან მკითხველი უეჭველათ დაინახავდა, თუ რამდენათ მართალი ვიყავი, როცა ვამბობდი, რომ საადგილ-მამულო ბანკების დაარსებით ქართველ თავად-აზნაურობას სრულებით ფეხი არ შეუდგამს ახალი დროების „ეკონომიური აღებ-მიცემობაში". რაც შეეხება კახეთში სათაავად-აზნაურო ამხანაგობის დაარსებას და კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმეს. ჯერ-ჯერობით წინდაწინვე იმის მტკიცება, რომ „20 დეკემბერს ჩვენი თავად-აზნაურობა ერთს ღიდ ნაბიჯს კიდევ წარსდგამს ეკონომიური წარმატებისაკენ"-ო, ვიმეორებ, ამნაირი მტკიცება, თუ სულ ჭეშმარიტებას მოკლებული არა, ძლიერ საეჭვო და უდროვო უნდა იყოს.

III

მინამ ამ წერილს გავათავებდე, საჭიროთ ვთვლი ერთი გარემოება კიდევ მოვიხსენიო, მოკლედ მაინც; მე მოგახსენებთ ჩვენი საზოგადოების ზნეობრივ ფიზიონომიაზე წასულ წელში. მაგრამ რა არის თვით ზნეობა? ნუ თუ ის დამოუკიდებლად არსებობს და დამოუკიდებლათ შესაძლოა იმის განვითარება, როგორც ფიქრობდენ ზნეობის და ღვთისმეტყველების წარმომადგენელნი? ახლანდელ დროში უკვე მიღებულია, რომ ზნეობა სრულებით არ არის რაიმე დამოუკიდებელი; წინააღმდეგ ამისა, ის შეადგენს მერმინდელ ნაშენს აღმართულს ეკონომიურ საფუძველზე *), როგორც გონებრივი, იურიდიული ნაშენები; ასე რომ თუ იცვლება და წარმატებაში შედის ზნეობა, მაშასადამე მაშინ უეჭველად იგულისხმება იმ საფუძველის ცვლილება და წარმატება, რომელზედაც თვით ზნეობაა აშენებული. თუ ამ დებულებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ჩვენ ადვილად გავიგებთ ჩვენი საზოგადოების ზნეობის დაჩაგვრის მიზეზს. აქ ჩვენ, ერთის მხრით, ვხედავთ უკვე გარკვეულ ლტოლვას აჟიოტაჟისადმი, რასაც ჩვენი „ნაფიცი" მწერლები აღტაცებით იხსენიებენ და იმაზე კი სრულებით არ ჰფიქრობენ, რომ „არა მარტო ხორცითა ცოცხალი არს კაცი, არამედ სულითა". მეორეს მხრით, ჩვენთვის აშკარად ასახსნელი ხდება ზნეობრივი საქციელი მთელი ქართველი თავად-აზნაურობისა წარსულ 1892 წლის განმავლობაში. ვგონებ მეტიც იქნება ამ საქციელის მოგონება მკითხველისათვის, რადგანაც ეს საქციელი

*) სხვათა შორის შევნიშნავ აქ, რომ ის მიმართულება ისტორიულ მეცნიერებაში, რომელზედაც დაფუძნებულია ამნაირი მოძღვრება და რომელსაც ეწოდება მატერიალისტური გაგება ისტორიისა, ძლიერ საინტერესოა ჩვენთვის, მით უფრო, რომ თითქმის იმისი უარმყოფელნიც კი ექცევიან ძალაუნებურად მის გავლენის ქვეშ. ახლო მომავალში მე ვეცდები გავაცნო ჩვენს საზოგადოებას ამ მიმართულების უმთავრესი საფუძვლები.

სწორედ მეტად საგრძნობელია, რომ მკითხველს ის უყურადღებოთ დაეტოვებია. მაგრამ, მეორეს მხრით, ამისთანა საგნის გახსენება სულ ყოველთვის საჭიროა.

მკითხველი, რასაკვირველია, თვითონ მიხვდება, რომ მე ვამბობ აქ კახეთის თავად-აზნაურთა იმ კრებაზე, რომელმაც სხვათა შორის გადასწყვიტა შემდეგი: „შესდგეს ღვინის გამყიდველი ამხანაგობა, რომელშიაც მიღებულ იქმნას მარტოდ-მარტო თავად-აზნაურობა" (იხ. „იეერია" 1892 წ. № 245. წერილი კახეთიდან, გადაწყვეტილების მეორე პუნქტი). მკითხველისათვის მეტია ამ დადგენილების განმარტება: თვითონ იმის შინაარსი ამბობს. თუ რა სიძულვილს იჩენს აქ „განათლებული" თავად-აზნაურობა სხვა წოდებათა მიმართ. თვით ამ კრებაზე ბ. ი. ზ-მ საკმარისად აუხსნა თავად-აზნაურობას. თუ რას ნიშნავს ამნაირი თავად-აზნაურობის საქციელი და ასე გაათავა თავის სიტყვა: „თუ ყველასათვის არ იქნება ამხანაგობის კარი ღია, ეგ რაღა ამხანაგობაა—იკითხა მან—და ან ამისთანა ამხანაგობისაგან რა საზოგადო საქმეს უნდა ველოდეთ. ის ისევ სირაჯის დუქანი იქნება. რომლის მოგებაც მცირე რიცხვს გაუსქელებს ჯიბეს და უმეტესობას უფრო უარეს დღეში ჩაჰყრისო". ჩვენ აქ გვსურს მხოლოდ ღირსეულად აღვნიშნოთ ეს ფაქტი, რომელიც სწორედ რომ დიდის მომასწავებელია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ფაქტი ყველას აშკარად ეუბნება, თუ რამდენით მართალი არიან ის პირები, რომლებიც ხმა მაღლა გაიძახიან. რაღაც ჰუმანიურ იდეებსა, საერთო მოქმედებასა და საერთო კეთილდღეობაზე. ცხადია, რომ ამნაირ ფრაზების ძახილს ჯერ ჩვენში არავითარი ნიადაგი არ ჰქონებია.

ჩემთვის კერძოდ. ამ შემთხვევაში, კახეთის თავად-აზნაურობის საქციელს ძლიერ ღრმა მნიშვნელობა აქვს. წარსულ წელში, მაგალ., „იეერია" ბ. სანოს პირით სულ იმას გაიძახოდა, რომ აი სწორედ დღეს იწყება ჩვენში საერთო მოქმედება, რასაც მოჰყვება საერთო კეთილდღეობა ანუ „უკეთესი დიდება ქართველი ხალხისაო". აი თვით მისი სიტყვები: „ჩვენის ხასიათისა და გარემოების მიხედვით, დღეს ჩვენ დაგვემჩნია ერთი ფრიად მაღალი და სანატრელი სარბიელი, რომელმაც უნდა კვლავ და ნამეტანის სისპეტაკით შეჰქმნას ჩვენი ხსნა და ამ ხსნას დაუმატოს უკეთესი დიდება ქართველი ხალხისა. მე მოგახსენებთ საერთო მოღვაწეობის, შეერთებულის ძალითა და ღონით. მოქმედებას ძმურად. საამხანაგოდ. ერთმანეთის ზურგის მიცემით. ერთის სულითა და ერთის გულით. ჩვენისთანა ხელუხლებელს (როგორ „ხელუხლებელს"? ეს მეტად ძნელი გასაგებია. ნეტა რა უნდა ამითი თქმა ჩვენს ავტორს?) და გაურყვნელს ხალხს (ესეც აღარ გვესმის: რას ნიშნავს გაურყვნელი ხალხი? და თუნდ გინდა გარყვნილი? ბ. სანო თუ მწერლის სახელს ატარებს, ამნაირ ტერმინების განუმარტებლად ხმარება სწორედ. რომ არ მიეტოვება) ასეთი მოღვაწეობა სრულებით არ გაუძნელდება" („იეერია" 1892 წ. № 249). მკითხველი ნუ მიაქცევს ყურადღებას სხვა და სხვა უმსგავსო აზრებს. რომლებსაც შეიცავენ ზემოდ მოყვანილი სიტყვები, მაგალ., იმას, რომ ჩვენი ხალხი „ხელუხლებელი" და „გაურყვნელია" და ამ მიზეზით „საერთო მოქმედება არ გაუძნელდება". ამისთანა ლოლიკით ჩვენ შორს ვერ წავალთ. მკითხველს ვსთხოვ ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ბ. სანო ლაპარაკობს და ამტკიცებს „საერთო მოქმედების და მოღვაწეობის" თავის ჩენაზე ჩვენში იმ დროს. როცა კახეთის თავად-

აზნაურობამ უარყო ყოველგვარი საერთო მოღვაწეობა თავის გადაწყვეტილებით, როცა იმან ჩაკეტა და სხვა წოდების კაცი ადამიანად აღარ სცნო. ნუ თუ. მკითხველო, შენის ფიქრით კახეთის თავად-აზნაურობის საქციელი ნიშნავს. რომ „ჩვენ დღეს დაგვმჩნევია ფრიად მაღალი და სანატრელი სარბიელი. საერთო მოღვაწეობა. შეერთებულის ძალით და ღონით მოქმედება ძმურად, საამხანაგოდ"? თუ მართლა ამნაირი საქციელი ამას ნიშნავს. მაშინ სწორედ ვერ გამიგია რაღა დღეს დაგვმჩნევია ეს „ფრიად მაღალი და სანატრელი სარბიელი"? არა, ჩემის ფიქრით. ძმურად. საამხანაგოდ მოქმედება ჩვენში არა თუ არ დაწყებულა. არამედ არავითარი ნიადაგიც არ ჰქონია ჯერ-ჯერობით. შეიძლება, ჩვენი წინაპრები, თავადი იყო. აზნაური თუ გლეხი, კიდევ უფრო საერთოდ და ძმურად მოქმედებდენ. როგორც დრო და ვითარება ნებას აძლევდა. მაგრამ კახეთის თავად-აზნაურობის საქციელი პირდაპირ ამის საწინააღმდეგო საბუთს იძლევა. მე ის მაკვირვებს მხოლოდ, რომ ადამიანი სულ ბრმა უნდა იყოს. რომ ეს არ შეამჩნიოს. შენს წინა ძევს უტყუარი და ნამდვილი ფაქტი: საჭიროა მხოლოდ არ გადაასხვაფერო ის, რომ იმის საწინააღმდეგო დასკვნა არ გამოიყვანოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში ფაქტი იმდენათ ნათელი, იმდენათ თვალსაჩინო იყო, რომ იმის გადასხვაფერება ყოველად შეუძლებელია. ამიტომ გასაოცარია მხოლოდ ის გარემოება, თუ როგორ მოახერხა ბ. სანომ ამნაირი ფაქტების გადასხვაფერება, რომ თავის მოულოდნელი დასკვნა გამოეყვანა.

ბ. სანოს ის კი არ მიუღია მხედველობაში. რომ კახეთის თავად-აზნაურობამ, ერთის მხრით, უარყო ყოველნაირი ამხანაგობის პრინციპი და. მეორე მხრით, ადამიანური ღირსება გლეხისა და თავის-თავის შესარცხვენად განდევნა ეს უკანასკნელი ამხანაგობისაგან, არამედ ის, რომ თვით თავად-აზნაურობა დაუკავშირდა ერთი-ერთმანეთს, რათა მით კიდევ უფრო დაშორდეს გლეხობას და უფრო დიდი ძალით იმოქმედოს უკანასკნელის საწინააღმდეგოდ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თუ წოდებრივი სიძულვილი აქ საკმარისად იყო გამოაშკარავებული კახეთის თავად-აზნაურობის მიერ, სამაგიეროთ ჩვენ შეგვეძლო გვეფიქრა. რომ ამნაირი ბნელი წარმოდგენის არის არა მთელი ქართველი თავად-აზნაურობა, არამედ მხოლოდ ერთი იმის ნაწილი, სახელდობრ კახეთის თავად-აზნაურობა. ამიტომ მარტო კახეთის თავად-აზნაურობის გადაწყვეტილებით რომ გათავებულიყო საქმე, მაშინ ჩვენ რაღაცნაირ გაუგებლობაში დავრჩებოდით ქართველი თავად-აზნაურობის დანარჩენი ნაწილის შესახებ. თუმცა ისიც კი უნდა ვაღიარო. რომ მის მერე, რაც იმერეთის თავად-აზნაურობამ ორი წლის წინად საქვეყნოდ გამოაშკარავა თავის „კეთილშობილური" უზრდელობა. ყველასთვის შერყეული იქნა ღირსება და პატივი მთელი ქართველი თავად-აზნაურობისა და ამ ღირსების და პატივის დამცველს მხოლოდ ქართლ-კახეთის „განათლებულ" თავად-აზნაურობაში ჰხედავდენ. მაგრამ გარემოებათა მსვლელობამ ესეც საკმარისად გამოჰრკვია: იმერეთის თავად-აზნაურობის მოქმედებას მოყვა კახეთის თავად-აზნაურობის დადგენილება, ამ უკანასკნელს, — მთელი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის გადაწყვეტილება 20 დეკემბერს კრებაზე. მე მოგახსენებთ სარკინის გზო კომისიის წევრების არჩევაზე. მკითხველს

მოვაგონებ ამ ამბავს ბ. სანოს სიტყვებით. რადგანაც მხოლოდ იგი მოგვითხრობს ამაზე.

„გამოცხადებული იყო მრავალთა (?) სურვილიო — ამბობს ბ. სანო — რომ ბ. ნ. ნიკოლაძე [1]). როგორც მცოდნე კაცი ამოერჩიათ ხსენებული კომისიის წევრად. წარმოიდგინეთ, რომ ბ. ნიკოლაძე ვერ მოჰყვა წევრად მაგრამ იმიტომ..., რომ იგი აზნაური არ გახლავთ". შემდეგ ავტორი ჰქადაგებს „საქმიან კომისიაში თამამად შეგიძლიათ ამოირჩიოთ არა თუ გლეხი. არამედ მონა, ტყვე, პატიმარი, ყოველ ღირსების ახდილი კაცი" („ივერია", 1893 წ. № 41). „საკვირველი ირიან, უფალო საქმენი შენნი". ნეტა რაზე ან ვის უქადაგებს ბ. სანო? ნუ თუ მან არ იცის, რომ ამნაირ გალობას დიდი ხანია მოელო ბოლო? რაზე ჰქადაგებს ბ. სანო? იგი ჰლალადებს, რომ „საქმიან კომისიაში თამამად შეგიძლიანთ ამოირჩიოთო გლეხი, მონა, პატიმარი" etc. ვისთვის იყო საჭირო ამნაირი ქადაგება? განა ამას ჩვენს დროში სიტყვიერად უარყოფს ვინმე? ბ. სანოს თვით თავადაზნაურობის მოქმედება უნდა დაეფასებია და არა ქადაგებას მოჰყოლოდა. როცა ვკითხულობ ბ. სანოს ქადაგებას. ასე მგონია ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ვცხოვრობ მეთქი, როცა ეკლესიის მამები გაიძახოდენ თავის ქადაგებებში, რომ „ღვთის წინაშე ყველანი თანასწორი არიანო"! აქ განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ბ. სანოს ღვთის მაგიერ „საქმიანი კომისია" აუღია (კარგი კიდეე. რომ არა „უსაქმო კომისია"!). საქრისტიანო მამები თანასწორობას ქადაგებდენ მხოლოდ ღვთის წინაშე, ჩვენი სანო მხოლოდ „საქმიანი კომისიის" წინაშე! ვინ არის ამათში მართალი, ეს თვითონ მკითხველმა გასაგოს, მე შენიშნავ მხოლოდ, რომ ამას ჰქადაგებს ის იმ დროს, როცა იურიდიულად, აღიარებულია ყველა წოდებათა ყოველნაირი თანასწორობა.

ხოლო ბ. სანომ ადვილად მოიშორა თავიდან ხსენებული გადაწყვეტილების ღრმა განსილვა. პირველად მან აღიარა. რომ „მე არ შემიძლიან გადაედო ორი ამბავი ჩვენის ცხოვრებისა, რომელიც ერთი და იმავე სათავედან მიმდინარეობს და ერთნაირადაც უსიამოვნო გუნებაზედ უნდა დაეყენებინა ყოველი განვითარებული ქართველი". ასეთ „უსიამოვნო გუნებაზედ" დაუყენებია ჩვენი ავტორი. ერთის მხრით, კახეთის თავადაზნაურობის დადგენილებას, რომლიდგანაც სჩანს, რომ ეს თავად-აზნაურობა „სულდგმულობს კიდეე იმ შეუშურვებელის წარმოდგენით, რომ იგი სხვა სისხლისაა" და, მეორეს მხრით. 20 დეკ. გადაწყვეტილებას. შესანიშნავი მხოლოდ ის არის ამ შემთხვევაში, რომ ბ. სანოს ასე დაუგვიანებია ამ ამბავზე საუბარი მკითხველთან, თუმც რამდენი ხანია მას აქეთ, რაც „კალმის წვერზე ადგა" მას ეს ორი ამბავი. რას უნდა მივაწეროთ ეს დაგვიანება? სწორედ ვერ წარმოგვიდგენია. ერთის მხრით. ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორი სიტყვებით და წითელ-წითელი ფრაზებით მიეგება ბ. სანო კახეთის თავად-აზნაურობის დადგენილებას. მეორეს მხრით. ეჭვი არ არის, რომ 20 დეკ. გადაწყვეტილება ერთი დიდი ნაბიჯია წინ კახეთის თავად-აზნაურობის დადგენილებასთან შედარებით: კახეთის თავად-აზნაურობამ მხოლოდ თვით საამხანაგოში შესელაზე უარი უთხრა „სხვა სისხლის წარმომადგენელს", 20 დეკ. კრებაზე-კი „საქმიან კომისიაში წევრად

მიღებაზედაც უარი განუცხადეს იმისთანა პირს, როგორიც არის, მაგალ. ნ. ნიკოლაძე, მარტო იმიტომ, რომ იგი აზნაური არ არის".

ბ. სანოს პირველად არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამ გადაწყვეტილებაზედაც. 20 დეკ. კრებას იგი გაცილებით უფრო ქებით იხსენიებდა, ვინემ კახეთის თავად-აზნაურობის დადგენილებას, და გუნდრუკის კმევით ამბობდა, რომ ამისთანა „გონიერებით შეერთებული" კრება ჯერ მთელ საქართველოში არ მომხდარარო, „რომელმაც გადასწყვიტა საშეილისშვილო ს ქეყნო საქმეო" („ივერია" 1892 წ. № 275). მაგრამ სრული წინააღმდეგობა რომ დავინახოთ ბ. სანოს ძველ და ახალ შეხედულებათა შორის, საჭიროა კიდევ მოვიყვანოთ მისი სიტყვები. რომლებიც წარმოსთქვა მან 20 დეკ. კრების პირდაპირი შთაბეჭდილების ქვეშ: „დევ, ყველამ შეიტყოსო,—ჰწერდა იგი,—და ვამიგოს, რომ ქართველი ეაცი ჯერ ისევ ქართველობს (მართლადაც რომ ქართველობს), გულით მაინც არ ეშინიან საქმისა, აქვს ხალისი და შნო მხნეობისა, გარჯისა, მოქმედებისა"... მკითხველი თვითონ მიხვდება, თუ რანაირი წინააღმდეგობაა აქ; მკითხველს შეიძლება ისიც ეგონოს, რომ შესაძლოა სანოს სახელით ორი სხვა და სხვა შეხედულების მწერალი მოღვაწეობდეს გაზ. „ივერიაში"; მაგრამ, არა: „ივერიას" სანოს სახელით მოუშინაურებია მხოლოდ ერთი მწერალი. საქმე ის არის, რომ მას თავის საწინააღმდეგო აზრების წარმოთქმა შეზრდილ-შეხორცებული აქვს და თვით მისი სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობა მხოლოდ ამნაირ საწინააღმდეგო აზრების კონას წარმოადგენს. ამის დაწერილებით განმარტებას მე მერმისისათვის ვდებ. ახლა მხოლოდ იმას მოვახსენებ მკითხველს. რომ თავის საწინააღმდეგო აზრების აღიარება ბ. სანოს სრულებით ხელს არ უშლის ერთი და იგივე შეხედულება იქონიოს.

მე ეხლა უკვე ვგრძნობ, რომ მკითხველს ძალიანი ბრაზი მოსდის ჩემზე. რომ აღარ ვათავებ ჩემს მოკლე შენიშვნას, რომელსაც „მწარე ფიქრები" დავარქვი. მკითხველი აგრეთვე იმაზეც გაჯავრებული იქნება, რომ ამ წერილში თითქმის მარტო თავად-აზნაურობაზეა ლაპარაკი. გთავევების შესახებ ვეცდები მკითხველს დიდი გაჭირვება აღარ მივაყენო: ბოლო ახლოვდება. რაც შეეხება იმას, რომ ამ წერილში თითქმის სულ თავად-აზნაურობაზეა საუბარი, ამისათვის დიდ ბოდიშს ვიხდი მკითხველთან. ნუ თუ, მართლა, ჩვენ ისე დაგვლეევია საქმე და დავთარი, რომ თავად-აზნაურობის გარდა სხვა საზრუნავი აღარაფერი გაგვაჩნია? თუ მართლა ამაზე დამდგარა ჩვენი ცხოვრება, მაშინ სწორედ აღარც თვით ამ ცხოვრებაზე ღირს ლაპარაკი. მაგრამ შენ, მკითხველო, არ იფიქრო, რომ ასე სწარმოებდეს საქმე. და თუ ამ წერილში მარტო თავად-აზნაურობის შესახებ იყო საუბარი, ამას თავის გასამართლებელი მიზეზიც აქვს.

სულ პირველად ის უნდა მივიღოთ სახეში, რომ თვით ეს წერილი შემთხვევით იყო გამოწვეული, რადგანაც ჩვენს მწერლობაში ამ ბოლო დროს მრავალი ახირებული აზრი გამოითქვა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. აქ პირველად ის უნდა აღვნიშნო, რომ „საერთო მოქმედების" აღორძინების საქმეს ბევრი გუნდრუკი უკმიეს და მართლა კი ფონზე მარტო თავად-აზნაურობის უფრო მეტიდროთ დაკავშირება გამოცურდა, რაც აქამდეც არსებობდა საადგილ-

მამულო ბანკების წყალობით. მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა; ამის საწინააღმდეგოს მე ბევრს ვერაფერს ვიტყოდი. დაკავშირებითი მოქმედება არა თუ სასურველია, არამედ ყოველნაირ წარმატებისათვის საჭიროა. საქმე ის იყო, რომ ამავე დროს ჩვენ გვეუბნებოდენ და გვიქადაგებდენ, ვითომც თავად-აზნაურობის ერთმანეთთან დაკავშირება იმავე დროს ნიშნავს მთელი ქართველი ერის „ძმურად", სამშობლოგად" მოქმედებასო. ამიტომ მე იძულებული ვიყავი პასუხი გამეცა, ვისთვისაც ჯერ იყო, რადგანაც თითოეული ფეხის ნაბიჯი ქართველი თავად-აზნაურობისა ამის საწინააღმდეგოს ჰღალადებს და აშკარად გვეუბნება, თუ როგორ ღრმად ყოფილა „ჩატეხილი ხიდი" თავად-აზნაურობას და გლეხობას შორის.

მეორე მხრით საჭირო იყო თვით ამ განხეთქილების პირდაპირ გამოთქმა, რასაც თავიდან იშორებენ ჩვენი „ნაფიცი" მწერლები. მაგრამ მე სრულებითაც არ მიკვირს, რომ ქართველ თავად-აზნაურობაში ამნაირი განხეთქილება და სიძულვილი არსებობდა გლეხ-კაცობის მიმართ. თვით თავად-აზნაურობას რომ გარკვეულად არ გამოეთქვა ეს, მე მაინც ამნაირი შეხედულების ვიქნებოდი იმაზე, რადგანაც ცოტათ თუ ბევრად ამნაირ განწყობილებას ხატავს ქართველი თავად-აზნაურობის ზნეობრივი მდგომარეობა; ეს უკანასკნელი, ე. ი. ზნეობრივი მდგომარეობა. სხვა არა არის რა, თუ არა ეკონომიურ განწყობილებათა გამოსატვა. ჩვენში უმეტეს ნაწილად ეს ეკონომიური განწყობილებანი ბატონ-ყმობის ფორმალურად მოსპობის შემდეგ ძირეულად არ შეცვლილან: მებატონეებად ნამყოფნი ჯერ კიდევ არხეინად განაგრძობენ ცხოვრებას სხვისი შრომის წყალობით, რასაც ბევრად ხელს უწყობს საადგილ-მამულო ბანკი და ამიტომ რა გასაკვირალია, რომ გლეხ-კაცობას კიდევ იმავე ბატონ-ყმობის დროინდელი თვალით უყურებენ. თუმცა ამნაირ ეკონომიურ განწყობილებათა ნიადაგი ახლა უკვე სიჩქარით ირღვევა, მაგრამ სანამ ეს ნიადაგი სულ არ გამოეშლება ამ განწყობილებებს. იქნობამდის არ მოელება ბოლო იმ საზიზღარ მოვლენას. რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ.

აი, ამ მიზეზების გამო, მე იძულებული ვიყავი თავად-აზნაურობაზე ჩამომეგდო საუბარი მკითხველის წინაშე, და სრულებით იმ აზრს არ ვეთანხმები, რომელიც გაზ. „Новое Обозрение"-მ წარმოსთქვა შემდეგ სიტყვებში: „ქართული პუბლიცისტური მწერლობა უნდა ზრუნაედეს სათავად-აზნაურო კითხვებზეო" („Нов. Обоз." № 2866), რომლებიც მას შემდეგ კიდევ განმეორა კვეხნით და კიდევ უფრო მაღალის კილოთი, და თავის აზრის დასამტკიცებლად რუსეთის მაგალითი მოიყვანა, სადაც თურმე, ამ გაზეთის აზრით, პუბლიცისტური მწერლობა სათავად-აზნაურო კითხვებს არკვევს („Нов. Обоз." № 3083).

დასასრულ შეიძლება კიდევ რამდენიმე შენიშვნა მომცეს მკითხველმა, მაგალ. იმაზე, რომ ამ წერილში ჩვენი ცხოვრების მარტო ცუდი მხარეა ნაჩვენები, და ნუ თუ მართლა ჩვენს ცხოვრებას არავითარი წარმატების ნიშანი არ ეტყობაო? ეს შენიშვნაც მართალია მკითხველის მხრივ. მაგრამ რა ვქნა, რომ მისი

დაკმაყოფილება მე ამ მცირე წერილში არ შემეძლო: ამნაირი საქმე თხოულობს ღრმა დაკვირვებას, აუარებელ მასალას და ენერგიულ შრომას. დროთა ვითარების გამო ზოგიერთ ამას მე მოკლებული ვარ ჯერ-ჯერობით, ხოლო ჩვენი მწერლები, რომლებსაც დროთა ვითარება ნებას აძლევს, რომ ყველა ამით ისარგებლონ, ნამდვილ თავიანთ მოვალეობას ივიწყებენ და რაღაც „ყბადასაღები და წყალ-ფასაღები" ამბები აუღიათ სავარჯიშებლად სალიტერატურო ასპარეზზე. ამიტომ ცხადია, რომ ჩვენი პუბლიცისტური მწერლობა, ამ სამწუხარო გარემოების გამო, სრულიად ასცდენია თავის წმინდა და მაღალ მოვალეობას: აწმყოს გამორკვევით უჩვენოს გზა მომავალ წარმატებისათვის.

მაშასადამე, მე თამამად შემიძლია ვაღიარო, რომ ჩვენი მწერლობა ბევრათ ჩამორჩენილია უკან ჩვენს ცხოვრებასთან შედარებით. ეჭვი არ არის, რომ ჩვენ საზოგადოებრივ თუ კერძო ცხოვრებას ბევრ ცუდ ნიშნებთან, დადებითი მხარეც ემჩნევა; მაგრამ ყოველივე ეს, როგორც ზემოდ ვამბობდი, გამოურკვეველია ჩვენი მწერლობის წყალობით, რომელშიაც არაფერი განსაზღვრული რამ არ ტრიალებს. ეს გარემოება წარმოსდგება იქიდან, რომ თვით ჩვენი მწერლები არაფერს განსაზღვრულ რამეს აო ემსახურებიან. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, შაშინ უსათუოდ ჩვენს მწერლობას მიეცემოდა რაიმე ფერი მაინც, რაღგანაც ერთის ნათქვამი მეორესაგან აიწონ-დაიწონებოდა და ამნაირად მიიღებოდა ან უარიჰყოფებოდა. დღემდი კი ასე არ იყო და კიდევ ვინ იცის რამდენ ხანს გასტანს ამნაირი მდგომარეობა. შარშან, მაგალ., ბ. მაჩხანელმა წარმოსთქვა ზეციური სამოთხის დაარსება დედა-მიწაზე და რადგანაც მისი აზრი არ იქნა აწონილ-დაწონილი, ყველას ეგონა, რომ ეს მართლაც ასეაო და ნუ თუ ამისთანა საქმისთვის არ გამოვიმეტოთ რამდენიმე თუმანიო? (ბევრი ალბად ახლაც დარწმუნებულია ამ ზეციური სამოთხის დაარსებაში!). გარდა ამისა ბ. სანო წარსული წლის დამდეგიდან დაწყებული სულ ცხარე ცრემლებს ღვრიდა ჩვენი ცხოვრების შესახებ და მხოლოდ წლის გასულს დაიწყო გამხიარულება. საზოგადოება, რადგანაც არ ჰხედავს არსაიდან ამის საწინააღმდეგო აზრს, ამასაც უჯერებს. უჟირს კი ცოტა, მაგრამ რა ჰქნას? ამიტომ ნუ თუ გასაკვირალია. რომ ამნაირ მდგომარეობაში მყოფი საზოგადოება შეცდომებს ეძლევა.

არა, მხოლოდ მკაცრი გარკვევით და ერთი აზრის მეორე აზრთა დაპირდაპირებით შეიძლება ჭეშმარიტების აღდგენა, ანუ როგორც ამბობენ ფრანგები: „du choc des opinions jaillit la vérité"!

P. S. ამას წინათ გაზ. „ივერიაში" იბეჭდებოდა სტატია ბ. ივერიელისა შემდეგის სათაურით: „გაზ. „Нов. Обоз." და „კახეთის რკინის გზა", რომელიც იწყებოდა შემდეგი სასაცილო სიტყვებით: „ჩვენის თავად-აზნაურობის მხიარულება და კარგს გუნებაზედ ყოფნა, უცნაურ გარემოებათა გამო (მართლა რომ უცნაურ გარემოებათა გამო!), გუნებას უფუჭებს და უიმედო მდგომარეობაში აყენებს გაზ. „Н. Об." რედაქციას" („ივერია" 1893 წ. № 10). მთელი ეს წერილი, რომელიც რამდენიმე ნომერში იყო გაჭიმული, არავითარი ყურადღების ღირსი არ არის-

ხოლო „ივერიის" მე-20 ნომერში იმავე ავტორმა დაბეჭდა მეორე წერილი შემდეგის სათაურით: „მოვალეობა ჩვენის აზნაურობისა" და დაგვპირდა იმის გაგრძელებას.

ეს უკანასკნელი წერილი მით არის შესანიშნავი, რომ აქ ავტორი ლაპარაკობს თავად-აზნაურობის როლზე და უფრო დინჯის და „ძლევა-მოსილის" კილოთი მსჯელობს. „ჩვენის ფიქრითაო—ამნაირად იწყებს ავტორი თავის წერილს · · მხოლოდ მაშინ ვერას დაამუნათებს უფლება-უპირატესობით მოსილს წოდებას ვერც ისტორია და ვერც ჩამომავლობა, როცა იგი წოდება შეპყრობილია და გამსჭვალული დროს შესაფერი მისწრაფება-სურვილით"-ო. ამნაირი უფლება-მოსილი წოდება არის ახლა ჩვენში თავად-აზნაურობა და, მაშასადამე, თუ ამ თავად-აზნაურობას ჰსურს არ გაუქმდეს, მაშინ ის უსათუოდ უნდა განიმსჭვალოს „დროს შესაფერ მისწრაფება-სურვილით":

ამნაირია ბ. ივერიელის აზრი და ცხადია, იგი საკმარისად შორიდან უყურებს საქმეს. თავის მოსაზრებას ავტორი ამტკიცებს ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოების მაგალითებით. იგი სხვათა შორის უთითებს საფრანგეთზე, სადაც „თავად-აზნაურობამ ყურადღება არ მიაქცია უფლება-მოსილ წოდებათა საზოგადოებრივ წარმატება-განვითარების კანონს და აკი ამიტომაც დაილუპაო". შემდეგ უთითებს ინგლისელ ლორდების მაგალითზე და ამბობს. რომ იმათ „არ ითაკილეს მონაწილეობის მიღება თავიანთ ქვეყნის სამრეწველო წარმატებაშიო" და ამიტომაც შეირჩინეს „საზოგადო ხელმძღვანელობა თავიანთ მამულ-დედულისაო". ამნაირად გასავრძობს ავტორი — „ბურჟუაზია. ეს ხელმძღვანელი ძალა ეხლანდელის მრეწველობისა (მარტო მრეწველობისა?) საფრანგეთში სულ შუა წოდების კაცთა კრებულია. ხოლო ინგლისში ამ კრებულში ურევია არისტოკრატიაცო".

აქედან მკითხველი მიხვდება, რომ ბ. ივერიელი უთითებს ჩვენს თავად-აზნაურობას ბურჟუაზიის გზისაკენ; ჩვენ ჩვენის მხრით. მკითხველო, დავეულოცოთ თავად-აზნაურობას ეს გზა. მაგრამ ამასთანავე უნდა განეუცხადოთ იმას. რომ ბურჟუაზიული პრინციპი, ანუ ბურჟუაზიული წესწყობილება, პირდაპირი მოწინააღმდეგეა თავად-აზნაურული წესწყობილებისა: იმათ შორის არ შეიძლება არაეითარი შერიგება, არაეითარი კომპრომისი, ამას თვალსაჩინოდ ამტკიცებს მთელი ევროპის ისტორია. რა არის საერთო საშუალო საუკუნოების ევროპასა დღევანდელ ევროპას შორის? თუ საშუალო საუკუნოებში მეფობდა და გაბატონებული იყო ფეოდალური წესწყობილება. ამის მაგივრად ახალ ევროპაში, განსაკუთრებით 1789 წ. გამეფდა ბურჟუაზიული წესწყობილება, რომელიც პირდაპირი შედეგია ეკონომიურ განწყობილებათა ცვლილებისა. ბურჟუაზიამ ჩანთქა მთელი საშუალო-საუკუნოების ევროპა მისი ოთხი წოდებით და საზოგადოებრივ ასპარეზზე წამოაყენა მხოლოდ ორი წოდება, ანუ ეკეთ რომ ვსთქვათ ორი კლასი კაპიტალისტებისა (თანამედროვე მდიდრებისა, განურჩევლად წოდებისა) და კლასი მუშათა, ანუ პირდაპირ მწარმოებელთა. ამიტომ ტყუილად ნუ გონია ბ. ივერიელს, ვითომც ინგლისელი ლორდები საშუალო საუკუნოების წესწყობილების წარმომადგენლები იყვნენ. არა, ისინი ისევე ბურჟუაზიული რეჟიმის წარმომადგენელი არიან. რომელიც გამეფებულია თანამედ-

როვე ევროპაში. ამის უცოდინარობა მარტო იმას ამტკიცებს, რომ ჩვენს ავტორს ძლიერ სუსტი ცოდნა უნდა ჰქონდეს ისტორიისა, საზოგადოდ, და ეკონომიური პოლიტიკისა. კერძოდ. მაგრამ საქმე ის არის, რომ განა ეს დღევანდელი ბურჟუაზიული წესწყობილება სამუდამო არის, როგორც ეს გონებია ბ. ივერიელს? არა, ბ. ივერიელო, როგორც ეს ბურჟუაზიული წესწყობილება ნაყოფი და შედეგია წინანდელი წესწყობილებისა, ისევე თვით დღევანდელი წესწყობილება თავის გულში ამზადებს სხვა უკეთეს წესწყობილებას, რომელიც სრულიად მოსპობს ყოველნაირ წოდებრივ უთანასწორობას და კლასიურ წინააღმდეგობას, როგორც ბურჟუაზიულმა წესწყობილებამ მოსპო საშუალო საუკუნოების წოდებრივი დანაწილება.

მაგრამ ეს იმდენად საინტერესო საგანია, რომ თხოულობს ცალკე განხილვას.

ქ. ვარშავა, 1893 წ.. 5 თებერვალი
ფ. შემოქმედელი.

წარსული და მომავალი ჩვენი ერისა.

შესავალი.

როგორც ჩანს მწერლობაში, ისე ჩვენს საზოგადოებაშიაც, იმნაირად არის ლაქმე არეულ-დარეული, რომ ჯერ კიდევ ბევრი ხანი გაივლის, ვინემ ერთი თუ მეორე გამორკვეულ და განსაზღვრულ გზას დაადგება და იტყვის: აი, სწორედ ესაა ჩემი გზა, ოასედაც მითითებს მე ის დედააზრი, რომელიც დაჰბადა ჩემში ცხოვრების ვითარებათა ფხიზელმა გამოკვლევამ. მაგრამ რაც უნდა დიდათ სამწუხაოო იყოს ეს გარემოება, ახლა ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია იმ ქეშმარიტების აღიარება, რომ ყოველივე ეს არევ-დარევა, უთავბოლობა და გამოურკვევლობა მარტო ჩვენს ლიტერატურაში ჩვენი განათლებული საზოგადოების ანუ ინტელიგენციის ჭკუა-გონების სალაროში ბუდობენ, რომ ცხოვრება გაჩქარებულის ნაბიჯით ადგამს წინ ფეხს, ჰკაფავს გზას და შესამჩნეელ სისწრაფით ამზადებს ნიადაგს საზოგადოებრივი თვითცნობიერობის, დასამყარებლად, რაც შეადგენს სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესობის და განკარგების ერთად ერთ თავდებს.

რომელიმე ერის გარემოებათა და ვითარებათა ასე თუ ისე გამომხატველად საზოგადოთ ცნობილია იმავე ერის მწერლობითი ნაწარმოებნი. თუ ჩვენი ერის ვითარებათა შესასწავლად როგორც წარსულში, ისე აწმყოში, ჩვენ მივმართავთ ჩვენს მწერლობას, ჩვენ ძლიერ მოვსტყუვდებით. მწერლობის მეოხებით ჩვენ ვერ გავიგებთ ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრებას ვერც წარსულში და ვერც აწმყოში და. მაშასადამე ვერც მომავალზე ვიქონიებთ რაიმენაირ მართალ წარმოდგენას. სწორედ შესაბრალისია იმ მკითხველის მდგომარეობა, რომელსაც გული შესტკივის ჩვენი ერისადმი და ამისათვის იძულებულია თვალყური ადევნოს ჩვენს ისედაც მცირეს დღევანდელ ჟურნალ-გაზეთობას. იგი იძულებულია ცისმარიადღეს იკითხოს ის, რაც ო�e ათასჯერ დაუღეკიათ და უთქვამთ, რაც წარმოადგენს მხოლოდ ცარიელ და ყოვლად უმნიშვნელო სიტყვების რახა-რუხს. დაბალი და ჟუჟყიანი თავმოყვარეობის „მეშენობას“ და „შენჩემობას“ და სხვ. ყოველივე ამასთან ღირსშესანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ყველა ჩვენ

კუდაბზიკა მწერლებთა და პუბლიცისტებთა შორის წესად შემოვიდა ერთნაირი თავისებური გინება; ჩვენ გვაქვს სახეში ის გარემოება. რომ ყველანი ჩვენს დროს ამკობს ამნაირის ეპიტეტებით: გათახსირებული, გახრწნილი, დაწვრილმანებული და სხვ. საუბედუროთ ვერც ერთმა ჩვენ პუბლიცისტთაგანმა ვერ დაგვანახვა, დაახლოვებით მაინც, თუ რაში იხატება ეს არა სასიქადულო მოელენა. თუ ჩვენ კუდაბზიკა მწერლობას ამ ეპიტეტებით ჰსურს თავისი თავის დახასიათება, ამ შემთხვევაში სწორედ არ სცდება; მაგრამ. თუ ამ სიტყვებს ის აწერს ზოელ ჩვენს ერს. მაშინ კი სწორედ დიდათ სცდება. ლაპარაკი არ უნდა იმას. რომ ჩვენ თვითონ ერთობ ცუდი შეხედულების ვართ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. წარმოდგენილი გვაქვს მისი დადებითი და უვარგისი მხარე. მაგრამ ამასთანავე მასშიეე ვხედავთ უტყუარ ნიშნებს მისი უარყოფითი (negative) და სახეირო მხარისა, რომელიც დაედება საფუძვლად ახალს, ძირეულად შეცვლილ ცხოვრებას. მოკლედ რომ ვსთქვათ, ამნაირია ჩვენი შეხედულება ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაზე.

ამ წერილის უმთავრეს მიზანს შეადგენს: გამორკვევა იმ კითხვისა, თუ რას წარმოადგენდა ჩვენი ერი თავის ისტორიულ წარსულში და რას ონდა მოელოდეს ის მომავალში დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ გარემოებათა მიხედვით. ამ მეტად საძნელო და ფრიად საჭირო საკითხის გამოსარკვევად ჩვენთვის აუცილებელი არის თავდაპირველად განმარტება იმ ახალის შეხედულებისა ისტორიაზე. რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ ახლა მყარდება მეცნიერებაში. ცხადია, ამ მეორე საგნის განმარტებას ჩვენ ვთვლით უფრო საყურადღებოთ. შევნიშნავთ აგრეთვე იმასაც. რომ ჩვენ დღევანდელ შრომას აქვს უფრო თეორიული ხასიათი, ე. ი. ჩვენ ამ ჟამად არავითარი გარემოება ხელს არ გვაძლევს, რომ ყველანაირ თეორიულ მოსაზრებას შეეუფარდოთ ფაქტიური მხარეც. თავის დროზე ვეცდებით და კიდევაც ვცდილობთ ამნაირი გამოკვლევისათვის, რომელიც თხოულობს დიდი ხნის შრომას და აუარებელ მასალას, რაც ახლა ჩვენოვის შეუძლებელია; მაგრამ ეს გარემოება ჩვენ კიდევ არ გვაიძულებს, რომ სულ ხმაც არ ამოვიღოთ ერთს მეცხრამეტე საუკუნის ისეთ უუშესანიშნავეს მეცნიერულ აღმოჩენაზე. როგორც არის დიალექტიური მატერიალიზმი ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ. მატერიალისტური გაგება ისტორიისა.

ამას გვაიძულებს ჩვენ აგრეთვე ერთი გარემოება: აგერ თითქმის ერთი წელიწადიც იქნება, რაც ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში ჩვენ მოვკარით ყური ეკონომიურ მატერიალიზმის ხსენებას, რომელიც დიალექტიურ მატერიალიზმთან ერთ და იმავეს უნდა ნიშნავდეს; მაგრამ. სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ამ საგნის ჭანხილვა არავის უკისრია თავის-თავზე. თუ არ ვიქონიებთ სახეში ნ. ჟორდანიას [6]) წერილს „ეკონომიური განვითარება და ეროვნება", რომელსაც უფრო კერძო დანიშნულება აქვს, ვინემ თვით დიალექტიური მატერიალიზმის განმარტებას და ს. ჯიბლაძის [7]) წერილს „კვალი და მესამე დასი". რომლის პოლემიკური ხასიათი არ აძლევს ავტორს საშუალებას უფრო საჭირო საგნის განმარტებისათვის.

თავი პირველი.

ჰეგელი და მარქსი.

ჰეგელი და მარქსი. ეს ორი სახელი რაღაცნაირ გამოუთქმელ განცვიფრებას ჰბადავს ჩვეულებრივი მკითხველის თავში. განა შესაძლებელია, რომ მარქსი — ეს უდიდესი მატერიალისტი — მოვიხსენიოთ ჰეგელის გვერდზე ამ უდიდეს იდეალისტთან? შესაძლებელია. რომ მატერიალიზმი და იდეალიზმი — ეს ორი ერთმან თ ს მოწინააღმდეგე შეხედულება ქვეყნიერობაზე ერთმანეთს დაუახლოვოთ. „მატერიალიზმი სცდილობს ახსნას ყოველივე ქვეყნიური მოვლენანი მატერიის ამა თუ იმ თვისებებით, ცხოველის სხეულის ამა თუ იმ ორგანიზაციით. იდეალიზმი კი პირიქით. სცდილობს ახსნას ბუნების ყველა მოვლენანი, მატერიის ყველა თვისებანი სულის ამა თუ იმ თვისებებით. ყველა ის ფილოსოფოსნი, რომლების თვალში მატერია ითვლება პირველ ფაქტორად, ეკუთვნიან მატერიალისტების ბანაკს; ყველა ისინი. რომლებიც ამნაირ ფაქტორად სთვლიან სულს, არიან იდეალისტები“ *).

ამნაირია აოსებითი განსხვავება ამ ორ ძირეულ შეხედულებათა შორის და ეს გარემოება ქმნის შეუძლებლად რაიმენაირ კავშირს მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის. თუმცა ეს ასეა მაგრამ მაინც არც ერთი იდეალისტი არ არის ისე დაახლოვებული თავის ღრმა აზროვნებით იდეალისტ ჰეგელთან, როგორც მატერიალისტი მარქსი; ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო შორს წავიდეთ ამ შედარებაში და ვთქვათ. რომ ჰეგელი არის დედა დიალექტიური მატერიალიზმისა და მარქსი კი მისი მკვიდრი მამა.

რაში გამოიხატება ამნაირი მკვიდრი დამოკიდებულება ამ ორ მეცხრამეტე საუკუნის უშესანიშნავეს მეცნიერთა შორის და მათი აზროვნების ნათესაობა? ამ კითხვის დაწვრილებითი განმარტებაში ჩვენ არ შევდივართ; ჩვენთვის ჯერ-ჯერობით საკმარისია მხოლოდ ორი უმთავრესი გარემოების დასახელება. რის შემდეგ მკითხველი აშკარად დაინახავს თუ რა აკავშირებს მეცნიერებაში ჰეგელს

*) Н. Бельтов. К вопросу о развитии монистического взгляда на историю.

და მარქს. პირველი გარემოება, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, არის ის, რომ როგორც ჰეგელი, ისე მარქსიც არიან მონისტიური შეხედულობისა მთელ ქვეყნიერობაზე. განვმარტოთ ჩვენი ნათქვამი. როცა ჩვენ ვუკვირდებით ბუნებას მარტო გარეგანის, ჩაულრმავებელის ანალიზის მეოხებით, არ შეგვიძლია არ გავარჩიოთ იმაში ორი ერთმანეთში ან სულ დამოუკიდებელი და განსხვავებული ოიგი თვისებათა: თვისებანი მატერიისა და თვისებანი სულისა (Geist, spirit, esprit, дух) ანუ უფრო გასაგებათ რომ ვთქვათ: ფიზიკური და ფსიქიური მოვლენანი. ჩვენ აქ ადგილი ნებას არ გვაძლევს შეუდგეთ ამ მსჯელობის და მასზე დამყარებულ რწმენის ფიზიკურ და ფსიქიურ მოვლენათა გენეზისის განხილვას. საჭიროა მხოლოდ ეიცოდეთ, რომ მას აქეთ, რაც ადამიანს საშუალება მიეცა, რაიმე წარმოდგენა ჰქონოდა ქვეყნიერობაზე საზოგადოდ, და თავისი თავის ბუნებაზე კერძოდ, ის იძულებული იყო დაეთმო ერთ იმათგანისთვის ქვეყნიურ მოვლენათა ახსნაში მეტი თუ ნაკლები უპირატესობა. ანდა, რაც ყოველთვის დაცინვის ღირსია, შემობლაუქებოდა ცალის ხელით ერთს იმათგანს და იმავე დროს მეორე ხელი გაეწვდინა მეორესაკენ, რათა გაჭირვების დროზე მინდობოდა ამ უკანასკნელს. აი დასაწყისი იმ დაუწყნარებელ ფილოსოფიურის თავმტვრევისა და ათასგვარ უმსგავსოებათა და წინააღმდეგობათა, რომელიც გამოიარა ჩვენს დრომდის ფილოსოფიურმა აზროვნებამ. აი საქმე რაშია. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ბუნება და მისი ცხოვრება წარმოგვიდგენს ორს ერთი მეორესაგან დამოუკიდებელს და თვითმყოფობითი სათავეებს, რომლებიდგან იბადებიან ორი ერთმანეთში სულ განსხვავებული... (აქ ხელნაწერი სწყდება).

ორიოდე სიტყვა

დიალექტიური მატერიალიზმის შესახებ.

ყოველივე განსაზღვრულ ეპოქას ჰქონია, აქვს და ექნება გადასაწყვეტად ერთი უმთავრესი და უპირველესი კითხვა, რომლის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ყველა დანარჩენი კითხვების ასეთი თუ ისეთი მიმართულება. მაგრამ კაცობრიობას წარსულში არ გამოუვლია იმნაირი ეპოქა, რომლის უმთავრესი მიმართულება მას იმდენად შეეგნოს, რომ თანამედროვე საზოგადოებას შეძლებოდეს დროის შესაფერათ მოქმედება. იმ შეხედულების მეოხებით, რომელიც ამ უკანასკნელ დროს თანდათან მყარდება ისტორიულ მეცნიერებაში და რომელიც ცნობილია დიალექტიური მატერიალიზმის სახელით *), ჩვენ არა თუ ვგებულობთ ამ გარემოების მიზეზს, არამედ ამასთანავე ვგებულობთ, რომ ეს აუცილებელი იყო. განვმარტოთ რამდენიმეთ ნათქვამი. დიალექტიური მატერიალიზმი, რომლის საფუძველს შეადგენს მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე, გვეუბნება, რომ ყოველივე მხარე საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ანუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა, დამოკიდებულია ნიეთიერ პირობებისაგან, ან უფრო სისწორით რომ ვსთქვათ, საწარმოო ძალთა მდგომარეობისაგან. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ საწარმოო ძალებზე, ჩვენ გვაქვს სახეში ყოველგვარი პირობები, რომლებიც კი საჭირონი არიან ყოველ განსაზღვრულ დროს ცხოვრების შესანახავათ. ეს პირობები კი, როგორც გვიმტკიცებს კაცობრიობის არსებობის გრძელი ისტორია, მუდამ იცვლებიან; ამიტომ ამის მიხედვით იცვლებიან თვით საზოგადოებრივი ურთიერთობანი და საზოგადოთ ყოველივე მხარე საზოგადოებრივ ცხოვრებისა.

ზემოთ ნათქვამიდან ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ყოველგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობანი ერთ რომელიმე განსაზღვრულ დროს დამოკიდებული არიან იმავე დროის მატერიალური წარმოების პირობებისაგან, ე. ი. ადამიანები ყოველივე თავის განწყობილებით და ურთიერთობით იმყოფებიან პირდაპირ მონურ დამოკიდებულებაში თავიანთ მიერ შექმნილი პირობებისაგან. მატერიალურ წარმოების პირობებს და საზოგადოებრივ ურთიერთობათა შორის

---

*) სახელწოდება „ეკონომიური მატერიალიზმი" უარყოფილია დიალექტიურ მატერიალიზმის წარმომადგენლებისაგან.

ამნაირი დამოკიდებულების ჩვენება და განსაზღვრა, შეადგენს მეცხრამეტე საუკუნის ერთ უშესანიშნავეს აღმოჩენას. იგი ეკუთვნის კარლ მარქს. ჩვეხთვის ამ ჟამად აქ საინტერესოა არა პიროვნება თვით მარქსისა, რომლის სახელი მუდამ ბრწყინვალეთ დარჩება, არამედ ის მატერიალური პირობები, რომლებმაც თვით მარქსი მიიყვანეს ამ შესანიშნავ აღმოჩენამდის.

ჩვენ ვიცით, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველიეე მხარე, ისე საზოგადოებრივი თვით-ცნობიერებაც, ე. ი. შეგნება იმის, რომ ურთიერთობანი ადამიანთა შორის დამოკიდებული არიან მატერიალურ წარმოების პირობებისაგან. შესაძლო იყო მხოლოდ იმ დროს, როცა ეს უკანასკნელნი იმ ხარისხამდის განვითარდენ, რომ იმათი ძალა და მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალაუნებურად საგრძნობელი გახდეს. ეს მოხდა მაშინ, როცა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს დიდმა ინდუსტრიულ წამოიწყნა, ერთი მხრით, შრომის გაუმჯობესებული და განვითარებული იარაღი და მათი პატრონი და, მეორე მხრით კი, სულიან-ხორციანათ გაყვლეფილი მუშები - პროლეტარიატი. ამნაირად ახალ მოდგმის საზოგადოებაში ძველი დროის ათასგვარ წოდებათა მაგიერ გაჩნდა და აღორძინდა ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი კლასი: კლასი კაპიტალისტთა და კლასი მუშათა. არსებითი განსხვავება ძველ და ახალ დაბადებულ საზოგადოებათა შორის იმაში მდგომარეობდა, რომ ძველ დროში ყოველიეე წოდებაზე იყო დაფუძნებული. თუ ბალალი წოდების იყავი, მაშინ მემკვიდრეობითი კანონის ძალით, იმ დროის სიმდიდრე მიწა-მამულიც შენი იყო; თუ დაბალ წოდებას ეკუთვნოდი, იმ შემთხვევაში სამუდამოდ გადამხდელი იყავი. ის კი უნდა ითქვას, რომ როგორც ბატონობა. ისე მიწა-მამულით სიმდიდრე და გადამავლობა სხვადასხვა ხარისხის იყო. ახალმა დრომ სრულიად უარჰყო ეს წესწყობილება; იმან მოსპო სრულიად წოდებრივი დაყოფა; სრულიად შესცვალა სიმდიდრის და გამდიდრების წყარო: პატრიარქალური სასოფლო მეურნეობის მაგიერ შექმნა აღებ-მიცემობა და მსხვილი მრეწველობა; საზოგადოებრივი ცხოვრების ჩარხათ გახადა ფული. ყველა ამ პირობებმა თანდათან გაჰყვეს საზოგადოება ორ უმთავრეს ბანაკად: ერთ მათგანს ეკუთვნის ყველა ისინი, ვინც კაპიტალის პატრონია, ე. ი. ხელთ უპყრია, ერთი მხრით, შრომის იარაღი და, მეორე მხრით, საწარმოო მასალა. მეორე საზოგადოებრივ კლასს წარმოადგენს მუშა-ხალხი, რომელიც ყველა ამიდან თავისუფალია, ე. ი. მას თავის სამუშაო ფიზიკური ძალის გარდა არაფერი აღარ გააჩნია; ეს სამუშაო ძალა მას გამოაქვს ბაზარზე გასაყიდათ ცხოვრებისათვის საზრდოს მოსაპოვებლად. თანამედროვე საზოგადოების ამ ორ შემადგენელ ნაწილთა ინტერესები პირდაპირ ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი არიან. ამიტომ სრულებით გასაკვირი არ არის, რომ იმათ შორის ჩამოვარდნილმა განხეთქილებამ და ამით გამოწვეულმა ბრძოლამ ადრე მიიღო შემაწრწუნებელი ხასიათი. საზოგადოებრივი ორგანიზმი რამდენჯერმე საშინლად შეინძრა მუშათა ამბოხებებით და აჯანყებებით. მუშათა მდგომარეობა რომ სანუგეშოს არაფერს არ წარმოადგენდა, ამაში თვით კაპიტალის წარმომადგენელნიც დარწმუნებული იყვენ. ამით აიხსნება, ეგრეთწოდებული. დიდ უტოპისტთა მოელინება. სამართლიანათ აღშფოთებული მუშა ხალხის უბე-

დური მდგომარეობით, იმათ სურდათ, რომ ეხსნათ ეს უკანასკნელი გაჭირვებულ მდგომარეობისაგან იმათ მიერ გამოგონილი რეფორმებით. სამწუხაროდ, რამდენადაც კეთილშობლური იყო იმათი განზრახვა, იმდენათ იმათი რეფორმები ცხოვრებაში სრულიად გამოუსადეგარი და უნაყოფო გამოდგენ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც უტოპისტები თავის რეფორმების გამოგონების დროს სრულებით სახეში არ ღებულობდენ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს. სრულებით არ სურდათ გაგება თუ რა ხდებოდა ამ საზოგადოების გულში და შეითვისებდა თუ არა ეს საზოგადოება იმათ რეფორმებს. როგორც ვიცით, ცხოვრებამ უარჰყო იმათი კეთილი განზრახვანი. მაშ, საიდან უნდა მოვლენოდა ხსნა, თუ ეს ყოვლად შეუძლებელი იყო?

უეჭველია, რომ ხსნა უნდა მოვლენილიყო საიდანმე, მაგრამ არა ისე, როგორც უტოპისტები ოცნებობდენ. პირველი ნაბიჯი ხსნისაკენ გადადგმულია მაშინ, როცა ადამიანი, ერთი მხრით, შეიგნებს თავის მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს და, მეორე მხრით, იმ ძ ა ლ ა ს, რომელიც მას ამოძრავებს. ასევე ითქმის საზოგადოების შესახებ, მაგრამ ჩვენ ვიცით ამასთანავე, რომ საზოგადოებრივი თვითცნობიერების განვითარებისათვის, საზოგადოებრივი ურთიერთობათა შეგნებისათვის საჭირონი იყვნენ განსაზღვრული მატერიალური პირობები. იმ დროს, რომელზედაც ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ, ე. ი. ამ საუკუნის მეორმოცე და მეორეოცდა ათე წლებში, ეს პირობები უკვე არსებობდენ. აქ საჭირო იყო მხოლოდ მკაცრი დაკვირვება, რომ ადამიანი დარწმუნებულიყო შემდეგში: ყოველგვარი ურთიერთობა ადამიანთა შორის, ყოველიფე მბარე საზოგადოებრივი ცხოვრებისა დამოკიდებულია მატერიალური პირობებისაგან, ანუ წარმოების განსაზღვრულ წესისაგან (სისტემისაგან). ავიღოთ მაგ., კაპიტალისტური წესი წარმოებისა, რომელიც თითქმის ყოველგან გამეფებულია ჩვენ დროში და რომელმაც სულ ერთიანად შესცვალა თანამედროვე საზოგადოება. გაშინჯეთ ყოველგვაროი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, პოლიტიკური და სოციალური წესწყობილება, კანონმდებლობა და ზნეობა და სხვ. და თქვენ ადვილად დარწმუნდებით, რომ ყოველიფე ეს პირდაპირ გამომხატველია ჩვენი დროის მატერიალური წარმოების წესისა. მართალია, თუ თავის თავად გაშინჯავთ თითოეულ იმათგანს, იმდენ გავლენას ვერ მოახდენს კაცზე, რომ ამ უკანასკნელმა შეიგნოს და დააფასოს მისი ნამდვილი მნიშვნელობა. მეორე მხრით კაპიტალისტური წესწყობილება იმოდენა განხეთქილებას და წინააღმდეგობას ანვითარებს თავის გულში, იმდენად ამწვავებს საზოგადოებრივ ურთიერთშორის განწყობილებას. რომ აუცილებელი ხდებიან დროგამოშვებითი ამბოხებანი და აჯანყებანი, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებრძვის მეორეს, როცა მთელი საზოგადოებრივი ორგანიზმი საშიშარ მდგომარეობაში ვარდება. ამ დროს წარმოების მატერიალური პირობები იმდენათ ხდებიან საგრძნობელი. რამდენადაც სიმძიმის კანონი აგრძნობინებს ვისმეს თავის ძალას. როცა. მაგ.. მას სახლი დაეცემა თავზე.

ამნაირათ მზადდებოდენ ის პირობები. რომლებსაც სრულიად უნდა შეეცვალათ წინანდელი წარმოდგენა ისტორიაზე. მაგრამ ამისთვის აუცილებლად საჭირო იყო ამასთანავე იმნაირი პირი, რომელიც ერთ და იმავე დროს გენიო-

სიც უნდა ყოფილიყო და თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათა ზედმიწევნით მცოდნეც. ამნაირი პირი იყო, როგორც ვიცით, კარლ მარქსი (1818 — 1883). მარქსის შემწეობით ჩვენ ვიცით, რომ კაცობრიობის ისტორიის დედა ძარღვს შეადგენენ ცხოვრების შენახვის მატერიალური პირობები ამ სიტყვის უფართოეს მნიშვნელობით. ეს შეხედულება ისტორიაზე წინედაც გამოუთქვამს ბევრს, მაგ. საფრანგეთის ისტორიკოსებს რესტავრაციის დროს: მონიეს [9]), ოგიუსტ-ტიერს [9]) და გიზოს [10]). ხსენებული მწერლები ნათლად ამბობენ. რომ პოლიტიკური და სოციალური წესწყობილება, გიზოს სიტყვით მოქალაქეობრივი მდგომარეობა საზოგადოებისა, სულმთლად დამოკიდებულია ასეთი თუ ისეთი ეკონომიური წარმოებისაგან. მაგრამ ამათ მოსაზრებას აკლდა ღრმა ფილოსოფიური საფუძველი, ევოლიუციის სამისდღემშიო კანონი: ცვალებადობა, დიალექტიური განვითარება. მარქსი კი პირიქით, როგორც შემარცხენე ჰეგელიანელი თავდაპირველად დიალექტიკი იყო, ე. ი. მას წამდა შეუჩერებელი მოძრაობა, ერთი მოვლენის პირდაპირ მის მოწინააღმდეგეთ გარდაქმნა და სხვ. მაგრამ ამასთანავე როგორც ნამდვილი დიალექტიკი მარქსი ჰეგელსავით იდეალისტი ვერ იქნებოდა ისტორიაში. პირიქით იგი იყო იმავე დროს მატერიალისტი, ე. ი. ის განვითარების, მოძრაობის საფუძველს ხედავდა მატერიაში და არა რაღაც აბსოლუტში, ანუ სულში; თვით სულის მოვლენანი იმას გამოყავდა მატერიის განვითარებიდან.

საინტერესოა თუ როგორ განსაზღვრა მარქსმა თავის შეხედულება ისტორიაზე. „Zur Kritik"-ის (ამ წიგნის თარგმანი ამას წინეთ გამოვიდა რუსულ ენაზე) წინასიტყვაობაში 1859 წ. აი, რას ამბობდა ის: „პირველი შრომა, რომელსაც მე დავადექი იმ კითხვების გადასაწყვეტად, რომლებიც მე მოსვენებას არ მაძლევდენ, იყო კრიტიკული განხილვა ჰეგელის უფლების ფილოსოფიისა, ის შრომა, რომლის შესავალი დაიბეჭდა 1844 წ. პარიზში „Deutsch — französische Jahrbücher"-ში ჩემმა გამოკვლევამ მიმიყვანა იმ დასკვნამდის, რომ უფლების ურთიერთობანი ისე, როგორც სახელმწიფოს ფორმები არ შეიძლება, რომ გაგებულ იყვენ არც თავისით და არც ეგრედწოდებული ადამიანის სულის საზოგადო განვითარებით, არამედ იმათი ძირი იმყოფებიან ცხოვრების მატერიალურ პირობებში, რასაც საერთოდ ჰეგელი მე-XVIII საუკუნის ინგლისელების და ფრანგების მიბაძვით უწოდებს „მოქალაქობრივ საზოგადოებას" („Bürgerliche Geselschaft") და ამ საზოგადოების ანატომია უნდა მოინახოს პოლიტიკურ ეკონომიაში". უფრო გარკვეეით ახალ შეხედულებას ისტორიაზე, ე. ი. მატერიალისტურ კონცეპციას შემდეგი სიტყვებით განმარტავს მარქსი: „ს ა ზ ო გ ა დ ო ებ ი ს ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა შ ე ა დ გ ე ნ ს რ ე ა ლ უ რ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს, რ ო მ ე ლ ზ ე დ ა ც შ ე მ დ ე გ ფ უ ძ ნ დ ებ ა ი უ რ ი დ ი უ ლ ი დ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ზ ე დ ნ ა შ ე ნ ი, ა ს ე რ ო მ მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ც ხ ო ვ რ ებ ი ს წ ა რ მ ო ებ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ს ა ზ ო გ ა დ ო თ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს ს ო ც ი ა ლ უ რ ი, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი დ ა გ ო ნ ებ რ ი ვ ი ც ხ ო ვ რ ებ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ებ ა ს".

ჩვენ ვერ გავჩერდებით აქ დაწერილებით მარქსის მეთოდზე, ამისათვის საჭირო მთელი ტომი; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მან წარმოგვიდგინა საზოგადო

სურათი მთელი ისტორიისა. მარქსმა ნათლად დაგვანახვა, თუ როგორ ჩნდებიან ადამიანთა შორის ურთიერთობანი წარმოების ნიადაგზე; შემდეგ ამავე ეკონომიური პირობების ცვლილების გამო, როგორ იცვლებიან მათ საფუძველზე აღმოცენებული და იმათგან დამოკიდებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, თუ როგორ ამზადებს თითეულ ეკონომიური წესწყობილება თავის გულში იმ პირობებს, რომლებიც მას სამუდამოდ მოუღებენ ბოლოს. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს საზოგადო მოსაზრებანი მარქს სულ მთლად არ შეეძლო შეემოწმებია ფაქტებით. ამნაირი შემოწმება მან შეასრულა მხოლოდ ერთი განსაზღვრული ეპოქისთვის, რომელსაც მან უწოდა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ე პ ო ქ ა და რომელიც იწყება ევროპაში XV საუკუნის ბოლოდან და გრძელდება ჩვენ დრომდე. თავის ცნობილ წიგნში „კ ა პ ი ტ ა ლ ი“ მარქსმა წარმოგვიდგინა უფრო მეტი. ეინემ თანამედროვე საზოგადოების ა ნ ა ტ ო მ ი ა; მან აშკარად დაგვანახვა ამასთანავე. თუ რა პირობები მზადდებიან დღევანდელ საზოგადოების გულში არსებულ წესწყობილების მოსასპობად; ეს შესანიშნავი გამოკვლევეა, რომლის ცალი ჯერ მეცნიერებამ არ იცის, იწყება ღ ი რ ებ უ ლ ო ბ ი ს ა ნ ა ლ ი ზ ი თ, რაც დღევანდელი ეკონომიური წესწყობილების უჯრედს წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც ცნობილი შეიქნა მარქსის საზოგადო შეხედულება ისტორიაზე, საფუძვლიანად შესწავლილი და გამოკვლეულ იქნა მრავალ ხალხთა საზოგადოებრივი ცხოვრება, რომლებიც განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე იმყოფებოდენ, ველური ხალხებიდან დაწყებული ვიდრე ჩვენი დროის განათლებულ საზოგადოებამდე. ყოველგან მარქსის თეორია სისწორით გამართლდა. თუ რას მოწმობს ეს ფაქტი.— განმარტებას არ საჭიროებს. პირუთვნელ მკვლევართა უკეთესი ნაწილი დღეს დიალექტიური მატერიალიზმის მომხრეა; უმეტესობა, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ სრულ უვიცობაში იხრწნება და თვით დიალექტიურ მატერიალიზმზე არავითარი წარმოდგენა არ აქვს გარდა იმისა, რომ სადაც გაუგონია „მავნე მოძღვრებაო“, ამ თეორიას უარსა ჰყოფს. ხოლო არიან კიდევ ერთგვარი ნასწავლნი, რომელთაც ერთი ნაბიჯი დიალექტიურ მატერიალიზმისკენ გადაუდგამთ. ე. ი. რომლებიც თანახმანი არიან, რომ მატერიალურ პირობებს რამდენიმეთ დიდი გავლენა აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მაგრამ ყველაფრის ამ პირობებით ახსნა გადაჭარბებაო. იმათ სამწუხაროთ, ცხოვრების მკაცრი ლოღიკა სასტიკათ ამარცხებს ამ მეცნიერთ. ისინი კიდევ მეტაფიზიკის კანში იმყოფებიან.

ამ ბოლო დროს ქართველი მკითხველი ჩვენ მწერლობაშიაც შეხვდებოდა ამ საგნის შესახებ მსჯელობას. რითი უნდა აიხსნას ეს გარემოება. ე. ი. დიალექტიური მატერიალიზმის შესახებ სჯა-ბაასი ჩვენს მწერლობაში? ნუ თუ ეს შემთხვევითი მოვლენაა, თუ მას აქვს საფუძველი თვით ჩვენი ცხოვრების პირობებში? ჯერ-ჯერობით ამ ფრიად საინტერესო კითხვას ვტოვებთ ჩვენ ასე, რადგანაც ის მეტად საფუძვლიან შესწავლას და გამოკვლევას თხოულობს. რაც შეეხება თვით დიალექტიურ მატერიალიზმს, ამ ერთი წლის წინეთ. სხვათა შორის, ჩვენ აღუთქვით მკითხველს მისი ცოტათ თუ ბევრათ დაწვრილებით განმარტება. სამწუხაროთ გარემოება — ჯერ-ჯერობით ნებას არ გვაძლევს, რომ ეს დაპირე-

ბა შეეასრულოთ. შეენიშნავთ მხოლოდ, რომ ამ მოძღვრების განმარტებას და საზოგადოებაში გავრცელებას უნდა შეესწიროთ ჩვენი სუსტი ძალ-ღონე. მაგრამ როცა კი რაიმე გარემოება ამას მოითხოვს, ჩვენ მზათ ვართ პასუხი გავცეთ ყველას ამ საგნის შესახებ. ამ ჟამად ვიღაც „ბერი მინდია“ თუ უფრო მართლად რომ ესთქვათ „ბერი უნდია“ გამოსულა და „მოამბის“ *) ამ ცოცხალ-მკვდარი გამოცემის ფურცლებზე, რაღაც „ნანეთელთა მოსაზრებათა ჯელგაზე“ გაიძახის და ამასთანავე „შეფულეს, რიბოს. ტარდის და უფრო ლესტერი უორდის ახალ ფილოსოფიურ ღლეევაზე“ მოგვითხრობს, რომ ვითომც საბედნიეროთ ამათი „საბუთიანი და მტკიცე ღლეევით, ისტორია სულ მთლად შედეგია ადამიანის სულისა და სხვა. ამნაირ ბოდვას ჩვენ, რასაკვირველია, ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ თვით ამ ბოდვით გატენილ წერილში ავტორის პირდაპირ საწინააღმდეგო ფაქტებს არ ეპოულობდეთ. ჩვენ გვსურს მხოლოდ ეს ფაქტები დავასახელოთ და შემდეგ თვით „მოამბეზედაც“ წარმოვთქვათ ორიოდე სიტყვა.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „მოამბე“ № VI. სტ.: პროვინციის ცხოვრება.

ისტორიული განვითარება

იყო დრო, როცა ადამიანები არაფრით არ განსხვავდებოდენ სხვა მაღალი ორგანიზმის ცხოველებისაგან, გარდა იმისა, რომ არსებობისათვის ბრძოლაში ბევრს იმათგანს უკან ჩამორჩებოდენ. ეს ის დრო იყო, როცა ადამიანები ჯერ კიდევ ჯგუფებათ არ ცხოვრობდენ და ამისათვის არც შეეძლოთ რომ სცოდნოდათ სარგებლობა შეერთებული ცხოვრებისა. მაგრამ ჩვენს წინაპრებს ამ მდგომარეობაში ხშირათ შეხვდებოდათ საზრდოს მოსაპოვებლათ შეერთება და შეერთებულის ძალით ხომ ათასჯერ უფრო ადვილი ხდებოდა ნადირის მოკვლა, თევზის დაჭერა და სხვ.: ამნაირი შეერთება მით უფრო წარმოსადგენია ჩვენს წინაპრებში, რომ ამის მაგალითს ისინი სხვა ცხოველებშიაც ხედავდენ. მაგრამ ამნაირი შეერთება არ იყო მკვიდრი; მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ, სქესობრივი იქნებოდა ეს თუ კვების მოთხოვნილება, ჩვენი წინაპრები განიყრებოდენ და ისევ ცალ-ცალკე დაწანწალობდენ, თუმცა ისიც უნდა დავსძინოთ აქვე, რომ შეერთებული ძალის სარგებლობა არსებობისათვის ბრძოლაში ძლიერ ადრე უნდა შეეგნოთ იმათ, რადგანაც ორ ფეხზე სიარულმა უფრო თავისუფალი გახადა იმათი ბუნებრივი ნიჭი *) ყოველგვარი მოსაზრებისათვის. და აი სწორედ ამის შემდეგ იწყება ახალი ხანა მთელს ბუნების ისტორიაში. მ ო ქ მ ე დ ებ ა მ შ ე ე რ თ ებ უ ლ ი ს ძ ა ლ ი თ დ ა ბ ა დ ა უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ა დ ა მ ი ა ნ თ ა შ ო რ ი ს: ამ ურთიერთობას აქვს ის საფუძველი, რომელსაც ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ი ნ ტ ე რ ე ს ი ქვია. მხოლოდ ამ უკანასკნელს შეეძლო ერთი ადამიანი მეორესთვის დაეკავშირებია მკვიდრ საფუძველზე. რა ეუყოთ, რომ ეს ურთიერთობა და კავშირი თავის დასაწყისში ძლიერ სუსტია და ეროელდება მხოლოდ რამდენიმე პირზე.

---

*) მეტაფიზიკებმა ბევრი ავარჯიშეს თავისი განყენებული გონება იმის თაობაზე, რომ აეხსნათ, საიდან წარმოსდგა ეს საუცხოო, სასწაულებრივი ნიჭი, რომელიც განუსაზღვრელ უფსკრულს სდებს ადამიანთა და ცხოველთა შორის. მაგრამ ახსნეს კი რაზე? როგორ აოა. ეს არის ერთის თვალის დახამხამების საქმეო, უზენაესმა არსებამ გააჩინა ის ამნაირიო. ხომ კარგი ახსნაა? დღევანდელი მეცნიერება საკმარისათ ხსნის, თუ როგორ წარმოსდგა და როგორ განვითარდა ადამიანის ნიჭი.

ჩვენ არ ვკისრულობთ ეხლა წარმოუდგინოთ მკითხველს იმის სურათი, თუ ეს ურთიერთობა, ვიწრო და სუსტი თავდაპირველად, დროთა განმავლობაში თანდათან როგორ გაფართოვდა, გართულდა, დაიქსაქსა; თუ იგი ერთი ადამიანთა ჯგუფიდან როგორ ერცელდება მეორეზე სანამ იგი თავის ფარგალში არ მოიმწყვდევს ყველა ნათესავთა და ერთა. აქ ვსთვლით საჭიროთ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება მხოლოდ ერის ყველაზე უფრო შესანიშნავ გარემოებაზე.

მას შემდეგ რაც ადამიანთა შორის ჩამოვარდა ურთიერთობა, ადამიანი, ერთის მხრივ. სულ უფრო და უფრო გამოდის ბუნების მონურ დამოკიდებულებისაგან, მაგრამ მეორეს მხრივ კი, რამდენად უფრო და უფრო რთულდება ურთიერთობა ადამიანთა შორის, ეს უკანასკნელნი სულ უფრო და უფრო ხდებიან მონები თავის მიერ შექმნილ ურთიერთობათა და განწყობილებათა. დღემდის ამაში მდგომარეობს ისტორიული განვითარება. მაშასადამე, უმთავრესი ლტოლვილება კაცობრიობისა ამის შემდეგ უნდა მდგომარეობდეს ამ უკანასკნელი მონობისაგან განთავისუფლებაში. თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს განთავისუფლება, ამის ცოდნა საჭიროდ ხდის იმის ცოდნას, თუ რა ძალის მეოხებით მოხდა თვით ეს დამონავება.

I

როცა ადამიანებმა თავდაპირველად იწყეს მოქმედება შეერთებულის ძალით საზრდოს მოსაპოებლად, თუ ნადირთაგან თავის დასაცავად, იმათი ურთიერთშორის განწყობილება იყო ძლიერ მარტივი და ამასთანავე აქ დაფარული არა იყო რა; მარტივი ვამბობთ იმიტომ, რომ ურთიერთობა დამყარებული მატერიალურ საფუძველზე გამოიხატება აქ პირდაპირ, რადგანაც შრომა ჯერ სრულებით არ არის აქ დაყოფილი ჯგუფის წევრთა შორის, ამიტომაც თვითეული წევრისათვის აქ დაფარულიც არა არის რა. ყველანი განსაზღვრულ დროს ერთ და იმავე საქმეს აკეთებენ. მაგრამ რაში უნდა ვეძიოთ თავი და თავი მიზეზი ამ ურთიერთობის სიმტკიცისა? ამ საკითხს აქვს ღრმა ფილოსოფიური მნიშვნელობა თუ მას აქეთ, რაც ადამიანთა შორის ჩამოვარდა ურთიერთობა და თუ ეს უკანასკნელი ერთი და იგივე არ ყოფილა ყოველთვის და ყოველგან პირიქით, ის მუდამ იცვლება, ასე რომ ერთი რომელიმე განსაზღვრული დროის ურთიერთობა სრულებით წინააღმდეგია, როგორც მის წინეთ არსებული ურთიერთობისა, ისე მის შემდეგისა, მაშასადამე, ცხადია, რომ ეს ურთიერთობა არის წარმონაშობი, შედეგი, სხვა რომელიმე ძალისა. აღმოჩენა იმისა, თუ რაში მდგომარეობს ან რაში გამოიხატება ეს ძალა, მთელი კაცობრიობის ისტორიაში შეადგენს ერთს ყველაზე უფრო შესანიშნავ შეძენას. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობა ტყუილათ ეძებდა გამოეკვლია სხვადასხვა ისტორიულ შემთხვევათა და მოვლენათა დედა-ძარღვი, მიზეზი: თვითოეული ფილოსოფოსი მორალისტი თავისებურათ ხსნიდა ყველანაირ ისტორიულ მოვლენათ. მაგრამ ეს უკანასკნელნი ისევ აუხსნელი რჩებოდენ, ისევ ხელიდან უსხლტებოდენ მათ, ასე რომ ხანდისხან თვით ფილოსოფოსნი იძულებული ხდებოდენ ეღვიარებინათ, რომ კაცობ-

რიობის ისტორიაში არ არსებობს არავითარი კანონი, რომ ყოველივე წარმოებს აქ შემთხვევით, რომლის გათვალისწინება ყოვლად შეუძლებელია. ეს არის ფატალისტური შეხედულება. რომლისაგან არსებითად არ განსხვავდება, ეგრედწოდებული, პროვინციალური შეხედულება: ეს უკანასკნელი ყოველივე მოვლენას უზენაესი არსებობის თვითნებობას აწერს. მაშასადამე აქაც გაუთვალისწინებელი შემთხვევასთან გვაქვს საქმე. არსებობს კიდევ სხვანაირი შეხედულებაც; ჩვენ ვამბობთ იმაზე. რომელიც ყოველნაირ ისტორიულ მოვლენის მიზეზს აწერს მარტო შესანიშნავ პიროვნებათა მოქმედებას; სხვადასხვა ავტორები ამ გვარ პირებთ უსულო და უმოქმედო პასსიურ ბრბოს (толпа) წინაშე უწოდებენ გმირებს, გენიოსებს. კრიტიკულ პიროვნებებს და სხვ. მაგრამ მიუხედავად იმათი გენიოსობისა თუ გმირობისა, ერთის მხრივ, და ბრბოს უმოქმედობისა, მეორეს მხრივ, ჩვენ ვხედავთ რომ გმირები თითონ არიან გატაცებულნი მათ მიერ ძაგებული ბრბოთი და აგრეთვე იძულებული არიან შეასრულონ არა თავიანთი „სუბიექტიური“ წადილნი, არამედ ისენი, რომლებიც გამოწვეულია და დაყენებული საერთო მოძრაობით. ამიტომ უმთავრესი საკითხი, სადაც უნდა ვეძიოთ თვით ამ საერთო მოძრაობის მიზეზი, ისევ სრულებით აუხსნელი რჩება. უნდა შევნიშნოთ აქვე, რომ აღმოჩენა იმის, თუ რა შეადგენს უკანასკნელ მიზეზს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცელილებისას და. მაშასადამე, მთელი ისტორიულ მოძრაობისას, ადვილი საქმე არ იყო; აქ მარტო გამჭრიახი გონება არ კმაროდა; აქ იყო საჭირო ამის გარდა მთელი რიგი მატერიალურ პირობებისა; ყველა წარსული საუკუნოები მუშაობდენ მათდა უნებურათ ამ აღმოჩენისათვის. მაგრამ მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეს ეკუთვნის ეს საქმე.

ერთის მხრივ, მატერიალურ პირობების გამწვავებამ ევროპაში, ამ საუკუნის დასაწყის აგრძნობია მეცნიერთ თავისი სიმძიმე საზოგადოებრივ ურთიერთობებში, მეორეს მხრივ, გერმანიის ფილოსოფოსთა შრომასაც კანტიდან [11]) დაწყებული ვიდრე ჰეგელამდე უსარგებლოთ არ ჩაუვლია. იმან შესძინა მეცნიერების შეურყეველი იარაღი აზროვნებისათვის. ჩვენ ვამბობთ დიალექტიურ მეთოდზედ. რამდენათ საგრძნობელი და მომასწავებელი იყო პირველი მხარე, ე. ი. ნივთიერი პირობების შეგნება, იმდენათ ამ შეგნებისათვის აუცილებელი საჭირო იყო დიალექტიური მეთოდის ხმარება. მაგრამ, როგორც ვიცით. დიალექტიური მეთოდი განისვენებდა ფილოსოფოს ჰეგელის შრომაში, რომლიდგანაც იმას დრო და დრო გადმონერგავდენ ჰეგელიანისტები (მემარცხენენი და მემარჯვენენი) და რომელზედაც მათ ჰქონდათ გამართული გაცხარებული კამათი. მაშასადამე, ამ დროს დიალექტიური მეთოდი შეადგენდა მხოლოდ ფილოსოფოსთა და დოცენტთა კუთვნილებას, რომელთაც ნამდვილი ცხოვრების არა გაეგებათ რა. მეორეს მხრით, ცხოვრება, ე. ი. საზოგადოებრივი ურთიერთობა, გამწვავებულიყო, სადღაც შორს ფილოსოფოსების ქვეყნიდან, ქარხნებში და ფაბრიკებში. ე. ი. ახალის დროის უმთავრეს წარმომადგენლებთა შორის: მუშებთა და კაპიტალისტებთა შორის. ვინ წარმოიდგენდა, რომ ცხოვრება, რომელმაც ეს ორი მხარე, ე. ი. განყენებული ფილოსოფოსნი და პრაქტიკული ცხოვრების მომქმედნი (მუშები და კაპიტალისტები), ერთი ერთმანეთს დააშორა, თავის

ლოლიკით იმათ ისევ ერთი მეორეს დაუახლოვებდა და შეუერთებდა. რომ ამ შეერთებიდან დაბადებულიყო სრულიად ახალი შეხედულება კაცობრიობის ისტორიაზე? მაგრამ სწორედ ამნაირია ცხოვრების ლოლიკა. მხოლოდ მეტაფიზიკს ჰგონია, რომ რომელიმე მოვლენა არსებობს თავის თავად, დამოუკიდებლად სხვა მოვლენასთან. ცხოვრება ყოველთვის აქარწყლებს ამნაირ შეხედულებას, იგი უკავშირებს ერთი მეორეს იმისთანა მხარეებს. რომლების დაკავშირება ჩვენ ყველაზე უფრო ნაკლებათ შეგვეძლო გვეფიქრა. დაუბრუნდეთ ეხლა უმთავრეს საგანს.

ჩვენ განვმარტეთ ზევით, რომ ახალი შეხედულების ორი უმთავრესი საფუძველი—დიალექტიური მეთოდი და გამწვავებული მატერიალური პირობები ცხოვრებისა, მზადდებოდენ განცალკევებულად, ერთი მეორის უცნობლად. იმათი ერთი მეორესთან დაკავშირებისათვის საჭირო იყო იმნაირი პირი, რომელსაც ზედმიწევნით შეგნებული უნდა ჰქონოდა დიალექტიური მეთოდი, მეორეს მხრივ. დაახლოვებით იცნობდა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას—მისი გამწვავებული მატერიალური პირობებით. ამნაირი პირი იყო კარლ მარქსი, და მან პირველად დააფუძნა მეცნიერულათ ის მოძღვრება, რომელსაც მანკე დაუდვა საფუძვლათ ისტორიის მატერიალისტური გაგება. რაში გამოიხატება ეს მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზედ? განვსაზღვროთ ეს თვით მარქსისვე სიტყვებით: „ეკონომიური შენობა საზოგადოებისა არის რეალური საფუძველი, რომელზედაც შემდეგ აღიმართება იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი, იმნაირათ. რომ მატერიალური ცხოვრების წარმოების სისტემა განსაზღვრავს საზოგადოებრივ. პოლიტიკურ და გონებრივი ცხოვრების განვითარებას საზოგადოთ“ *). იმ შეხედულებამ, რომელიც გამოხატულია ამ სიტყვებში. სრულიად შესცვალა ჩვენი წინანდელი წარმოდგენა ისტორიაზე; თითქოს ახალი ქვეყანა აღმოჩნდაო. როცა ამ შეხედულებით გადახედავ და შეისწავლი ჩვენს წარსულს, მხოლოდ იმაზე სწუხარ, რომ ამნაირი მარტივი და საღი შეხედულება რაღა მარტო მარქს შეეძლო დაემკვიდრებია მეცნიერებაში? ამაზე შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ განა ნიუტონამდის [12]) ვერ ამჩნევდენ. რომ სხეულნი ვარდებიან მიწაზე? მიუხედავათ ამისა მარტო ნიუტონმა გამოიყვანა აქედან მსოფლიო მიმზიდველობის კანონი **) .

---

*) იხ. კ. მარქსი „Zur Kritik“-ის წინასიტყვაობიდან.

**) ვინც მარქსის ნიუტონთან შედარებაზე ხელებს გაიკნევს. ჩვენ ვუპასუხებთ მათ შემდეგს: მარქსის აღმოჩენას სოციოლოგიაში აქვს იგივე მნიშვნელობა, თუ მეტი არა. რაც ნიუტონისას ასტრონომიაში. რაც შეეხება იმას. რომ მარქსის შეხედულება ისტორიაზე ისე საყოველთაოდ არ არის მიღებული, როგორც ნიუტონისა, ამის პასუხიც არ არის ძნელი. ჯერ თვით ნიუტონის კანონი. რომელიც შედარებით, პირდაპირ მაინც. არავის პიროვნულ ინტერესებს არ ეხებოდა, კაი ხანს მერე იქნა მიღებული (გავიხსენოთ, მაგალითად, პარიეის აკადემიის გარდაწყვეტილება), რაღა უნდა ეთქვათ მარქსის სწაელაზე. რომელსაც პირდაპირ ამ ინტერესებთან აქვს საქმე, და მაშინ გავიგებთ. თუ როგორ გასაკირია უმეტესობისათვის მისი

ზეეით. როცა პირველყოფილ საზოგადოებაზე გვქონდა საუბარი. ჩვენ დავსვით შემდეგი საკითხი: რაში უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ ამგვარ საზოგადოებაში ურთიერთობა ძლიერ მარტივია? ჩვენ ვიცით აგრეთვე. თუ რა ღრმა თეოლოსოფიური მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს. ხოლო მარქსი გვაძლევს ამ საკითხზე გარკვეულ და სწორ პასუხს. იგი გვეუბნება. რომ მატერიალური ცხოვრების წარმოების სისტემა განსაზღვრავს ყოველნაირ საზოგადოებრივ ურთიერთობათ: მაგრამ თვით ეს წარმოების სისტემა უკანასკნელად დამოკიდებულია საწარმოო ძალთა მდგომარეობაზე. ამ უკანასკნელთა მეტის თუ ნაკლების განვითარებისაგან დამოკიდებულია მეტი თუ ნაკლები სიმარტივე თუ სირთულე წარმოების სისტემისა. და აქედან საზოგადოებრივ ურთიერთობათა. თუ საზოგადოების საწარმოო ძალები განუვითარებელია. მარტივია, ამ შემთხვევაში მარტივია ნივთიერი ცხოვრების წარმოების სისტემა. და მაშასადამე. მარტივია თვით საზოგადოებრივი ურთიერთობანი. რამდენად ვითარდებიან საწარმოო ძალები საზოგადოებისა. იმდენად ვითარდებიან ეს უკანასკნელნიც.

ამნაირად პირველყოფილ საზოგადოების ურთიერთობათა სიმარტივე პირდაპირი შედეგია მისი საწარმოო ძალთა განუვითარებისა და სიმარტივისა. ხოლო ეს საწარმოო ძალთა განუვითარებლობა და სიმარტივე გამოიხატება ეკონომიურათ შრომის სრულიად დაუყოფლობაში. ერთის მხრით. და შრომის იარაღთა განუვითარებლობაში. მეორეს მხრით. თვით ეკონომიურათ შრომის დაყოფა. უმრაველეს შემთხვევაში. არის შედეგი შრომის იარაღთა განვითარებისა.

მას შემდეგ. რაც ადამიანის ტვინს მიეცა საშუალება განვითარებისა. რის უპირველესი მიზეზი ჩვენ ზეეით დავასახელეთ. ადამიანმა ნელ-ნელა იწყო შრომის იარაღთა გამოგონება. რა ვუყოთ, რომ პირველდაწყებითი მისი ნაბიჯი ამ შემთხვევაში უმსგავსოა და უმეტეს შემთხვევაში გამოგონებაზე მას თითონ ბუნება იწვევდა *). საქმე ის არის. რომ ერთი უბრალო რამ იარაღის გამოგონება იწვევდა შემდეგში სხვა უფრო რთულ იარაღის გამოგონებას: ეს იწვევდა შრომის დაყოფას ეკონომიურათ. ამით ვითარდებოდენ და რთულდებოდენ საწარმოო ძალები და აქედან თვით საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

ძიღება. აი რას ამბობს თვით მარქსი ამის შესახებ: „პოლიტიკური ეკონომიის ნიადაგზე თავისუფალ მეცნიერულ გამოკვლევას ყავს ყველაზე უფრო მეტი მტერი. ვინემ რომელიმე სხვა მეცნიერულ ნიადაგზე. განსაკუთრებითი ხასიათი საგნისა, რომელსაც პოლიტიკური ეკონომია იკვლევს. აღელვებს და ამხედრებს მის წინააღმდეგ ადამიანის ყველაზე უფრო უძლიერეს. წვრილმან და სისაძაგლით სავსე ენებათა, კერძო ინტერესების სიმზეცეს. ინგლისს მაღალი ეკლესია. მაგალითად. უფრო ადვილად შეუნდობს მისი სარწმუნოების 39 მცნებათაგან 38-ზე შეცილებას, ვინემ შეცილების 1/39 თავის შემოსაელისას. ჩვენ დროში. თვით ატეიზმი ბრალეულ დანაშაულია დახავსებული საკუთრების უფლებათა კრიტიკასთან შედარებით“.

*) იმის მაგალითს. თუ რანაირად ბუნება იწვევდა ადამიანს სხვა და სხვა გამოგონებაზედ. წარმოგვიდგენს, სხვათა შორის. ცეცხლის გამოგონება. ბუნებაში ცეცხლი არსებობდა თავისთავად და ადამიანს ძალუნებურად უნდა მიეკარა იმისთვის ყურადღება. ღა აქედან არ შეეძლო არ დაენახა მისი სარგებლობა.

II

რომელიმე თეორიის საფუძვლიანობა და მისი გამოყენება სხვადასხვა მოვლენათა ახსნისათვის ყველაზე უფრო მაშინ დაინახება, როცა მისდა დამოუკიდებლად ქმნილი დაკვირვებანი და გამოკვლევანი მას გაამრუდებენ. მარქსის შეხედულება ისტორიაზე ამ მხრითაც ძლიერ მომასწავებელ მაგალითს წარმოგვიდგენს. აუარებელი საისტორიო მასალა ძველი და ახალი დროისა გასაოცარი სინამდვილით ამტკიცებს მატერიალისტურ შეხედულებას ისტორიაზე. თვით მარქსმა „კაპიტალის“ პირველ ტომში დაგვიტოვა ჩვენ მხოლოდ ერთი განსაზღვრული ეპოქის კლასიკური დახასიათება, რომელიც სამაგალითოდ დარჩება საუკუნოთ; ეს ეპოქა არის ის, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ და რომლის წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ს ა ნ უ ფ ო რ მ ა ს მ ა რ ქ ს მ ა უ წ ო დ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი. მაგრამ კაპიტალისტური წარმოება ზეციდან არ ჩამოვარდნილა და იგი არც ადამიანთან დაბადებულა. მის წინეთ არსებობდენ სხვანაირი ფორმები წარმოებისა, რომლებიც მარქსმა მხოლოდ სხემატიურად განმარტა. ამისთვის საჭირო იყო იმ ფორმების დაწვრილებით გაცნობა, რომ მარქსის საზოგადო შეხედულება ისტორიაზედ გამართლებულიყო. ერთის მხრით, კლასიკური საბერძნეთის და რომის შესწავლამ და, მეორეს მხრით, ძველი დიდ მდინარეთა მონარქიების გამოკვლევამ, გაგვაცნო საკმარისათ, თუ რაზე იყო დამყარებული იმათი სოციალური, პოლიტიკური, გონებრივი და რელიგიური წესწყობილება. ჩვენ ვტყობილობთ, რომ თვითეულ ამ სოციალურ ორგანიზმებში არსებობდა განსაზღვრული ფორმა ნივთიერი ცხოვრების წარმოებისა — ეკონომიური საფუძველი, რომლიდგანაც იყვნენ დამოკიდებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, სარწმუნოება, ზნეობა და სხვ. მაგრამ, მეცნიერებისათვის უფრო საინტერესონი შეიქნენ ე ე ლ უ რ ი ხ ა ლ ხ ნ ი, სადაც საზოგადოებრივი ურთიერთობანი და სხვ. თავის სიმარტივის გამო, უფრო ნათლად გამოსქვივიან ეკონომიური საფუძვლისაგან. უკვე ძველი დროდან გვაქვს ჩვენ ცნობები ველურ ხალხთა შესახებ, მაგრამ მხოლოდ ამ ახალ დროს ეკუთვნის მათი ცოტათ თუ ბევრათ მეცნიერულ ნიადაგზედ შესწავლა. თუმცა უმეტეს შემთხვევაში, მგზავრები, რომლებმაც იკისრეს ველურ ხალხთა შესწავლა, შემცდარი შეხედულებიდან გამოდიან და ისეთ რამეებს მიაწერენ იმათ, რაც მხოლოდ მგზავრების. ე. ი. ევროპიელების, ცხოვრებაში არსებობს. ყოველ შემთხვევაში ფაქტებს ისინი ვერსად წაუვიდენ. ასე თუ ისე მაინც უნდა გამოეაშკარავებიათ ისინი. რასაკვირველია ყველაზე ეს ასე არ ითქმის. არ შეგვიძლია აქ არ მოვიხსენიოთ შესანიშნავი ღაწლი ამერიკელ სოციოლოგის მ ო რ გ ა ნ ი ს[13]). რომელმაც ორმოცი წელი გაატარა ირიკეზების (ერთი ინდოელთა შტოთაგანია ნიუ-იორკის შტატში) წრეში, შეირთო იმათი ქალი ცოლათ, რომ მით უფრო დაახლოვებოდა იმათ. მორგანის მიზანი იყო ძველი საბერძნეთის და რომის ისტორიის გამოკვლევა და სწორედ აი ამ ამერიკის ინდოელებში პოვა მან იმათი ისტორიის გასაღები.

რომ გავათავოთ ამ კითხვაზე საუბარი, საჭიროა კიდევ მოკლეთ განვმარტოთ ნათქვამი. სადაც კი ვხედავთ ჩვენ საზოგადოებას, მარტივს თუ რთულს,

განუვითარებელს თუ განვითარებულს, მის შესწავლა გვარწმუნებს ჩვენ, რომ **საწარმოო ძალთა მდგომარეობა** და აქედან ნივთიერი ცხოვრების წარმოების სისტემა, განსაზღვრავს ამ საზოგადოების ცხოვრებაში ყოველივე მხარეს: ამის დასამტკიცებლად საკმარისია, სხვათა შორის თვალი გადავავლოთ ველურ ხალხთა ცხოვრებას, და მაშინ ჩვენ **ნათლად დავინახავთ**. რომ საწარმოო ძალთა მდგომარეობისაგან არის დამოკიდებული, თუ რანაირად შოულობენ საზრდოს, რანაირათ ყოფენ მას, რანაირია მათი შეხედულება სიმართლეზე, მათი ზნეობა, სარწმუნოება და სხვა *); ერთი სიტყვით, როგორც მთელი საზოგადოების ორგანიზაცია, ისე თვითეული მისი წევრის სხვადასხვა შეხედულებანი, ზნე-ჩვეულება, მისი რელიგიური რწმენანი, ე. ი. ყოველივე ის, რაც გამოჰსახავს, ეგრედწოდებულ, **ადამიანურ ბუნებას**. უკანასკნელ ანგარიშში, შეადგენენ საწარმოო ძალთა **წარმონაშობს**, მათ პირდაპირ შედეგს. მაგრამ საწარმოო ძალები არ წარმოადგენენ ერთ რასმეს გაყინულს. უმოძრაოს. სამარადისოთ მოცემულს; პირიქით, ისინი მუდამ იცელებიან და ამისდაკვალად სცვლიან ყოველივეს, რაც ამათგან არის დამოკიდებული. ე. ი. მთელ იურიდიულ, პოლიტიკურ, რელიგიურ და სხვა **ზედნაშენებს** მთელი საზოგადოებრივი ორგანიზმისა, და ამასთანავე თვითეულ პირის **ადამიანურ ბუნებას**. მაშასადამე, ყოველივე ის, რასაც ჩვენ ადამიანურ ბუნებას ეუწოდებთ, როგორც **წარმონაშობი** მატერიალური პირობებისა. მუდამ ცელილებაშია. ასე რომ, ერთს რომელიმე ეკონომიური განვითარების საფეხურზე ადამიანური ბუნება სულ სხვაა **), ვინემ სხვა რომელიმე ეკონომიური განვითარების საფეხურზე. რითი წაადგავს, მაგალითად, ძველი კომუნის წევრი თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების წევრს, ან ეს უკანასკნელი იმ საზოგადოების წევრს, რომელიც აგებულია ძველი დროის მონობაზედ? ცხადია, რომ ამათ **საერთო**, ადამიანურ ბუნების მხრივ არა აქვთ რა. სულ სხვანაირათ სჯის აბსოლიუტისტი ანუ მეტაფიზიკი: იმის ოცნებაში არსებობს არა რეალური ადამიანი, ე. ი. არა ის ადამიანი, რომელსაც იცნობს ისტორიული განვითარება და რომელიც საწარმოო ძალთა განვითარების დაკვალად მუდამ იცვლებოდა, არამედ ამ რეალური ადამიანიდან **გამონაწურ აეი**. გამონაჟღენთი (ეკსტრაკტი); მაგრამ ამ ეკსტრაკტში ადამიანური ბუ-

*) ამ საგნის მასალა ჩვენს დროში მეტად მდიდარია. მორგანის ნაწარმოებთა გარდა, ჩვენ შეგვიძლია ვუჩვენოთ შემდეგ პირთა შრომებზე: ვაიტკის. ლებოკის, ებეილარის. სპენსერის და უმეტესად ლეტურნოს თხზულებანი, სადაც აუარებელი ფაქტიური მასალა რიგრიგათ არის დაყოფილი. არ შეგვიძლია აქვე ქებით არ მოვიყვანოთ აგრეთვე ნ. ზიბერის ნაშრომიც.

**) ბრიუნეტიერი. სხვათა შორის ამბობს, რომ ჩვენთვის მიუწდომელია, თუ საიდან გაჩნდა ზნეობაო. და ვინც კი ამ კითხვის გადაწყვეტა განიზრახა ჩვენს დროში, ყველა სასტიკათ დამარცხდაო. ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ ბრიუნეტიერს: სასტიკათ დამარცხდა იგი ამ შეხედულების გამოქვეყნების გამო. მეცნიერების რა ბრალია, რომ ბრიუნეტიერი გაუსწორებელი მეტაფიზიკია. თანამედროვე ეეოლიუციონური მოძღვრება ზნეობის, ისე. როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა რომელიმე მხარეს გარეშე ისტორიისა არ ეძებს. ამ საგნის შესახებ მკითხველს მიუთითებთ ცნობილი ლეტურნოს თხზულებაზე. რაც შეეხება სქესობრივ მორალს, ეს კითხვა საკმარისათ განმარტა ფ. აპატროშვილმა (იხ. „მოამბე“ 1895 წ. XI სტ.).

ნებიდან აღარა დარჩენილა რა. ეს შეადგენს იმას, რასაც თვით ბრიუნეტიერი პირუტყვულ მხარეს უწოდებს. ამნაირათ თანამედროვე ევოლიუციონურ მოძღვრებამ ნათლად დაგვანახვა ჩვენ, რომ რასაც ადამიანური ბუნება შეადგენს. იმას აქვს თავის დასაწყისი და ძირი საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომ ამათ გარეშე სწორეთ რომ მიუწდომელია (ვიხმაროთ ეს მეტაფიზიკური ტერმინი აქ) ჩვენთვის ადამიანური ბუნება, რადგანაც ამნაირი სრულებით არ არსებობს. ის ადამიანური ბუნება. რომელიც ჩვენ ახლა თავის უკვე ეს წარმომადგენლებში მოგვწონს და შევხარით, თავის დასაწყისში იყო ძლიერი მდაბალი და საზიზღარი ჩვენი ახლანდელი შეხედულებით, მაგრამ გონიერი და სრულიად შესაფერი თავისი დროისა. მაშასადამე, ჩვენ ვიცით, თუ რა შეადგენს ადამიანური ბუნების შინაარსს: ვიცით. თუ რაზე არის დამოკიდებული მისი თანდათანი ცვლილება და განვითარება. ამასთანავე ისიც უნდა შევნიშნოთ აქვე. რომ ადამიანის ბუნების შინაარსის შეცვლა ადვილი საქმე არ არის: აი სწორედ აქ შეგვიძლია გაეზომოთ ჩვენ მატერიალური პირობების სიმტკიცე. იმათი შეურყეველობა; ისინი მეტის თუ ნაკლების სისწრაფით შლიან ადამიანის ბუნებაში ძველ შინაარს, რომელიც უკვე აღარ ესაბამება ახლად განვითარებულ მატერიალურ პირობებს. და ძალაუნებურად წერენ მასში სულ ახალს შინაარს. ამაში მდგომარეობს მთელი ტრაგიზმი ისტორიისა.

შეიძლება ზოგიერთებმა ჩვენ მოგვმართონ შემდეგის კითხვებით: კარგი. ჩვენ თანახმა ვართ იმ შეხედულებისა, რომელიც თქვენ გაგყავთ აქ. მაგრამ ეს ხომ გადამეტებაა? სხვა ფაქტორებს რომ თავი დავანებოთ, თქვენ რატომ არ მიიღეთ სახეში მაგალითად ის ფაქტორი, რომელსაც გეოგრაფიულს უწოდებენ? განა გეოგრაფიული მიდამოებისაგან არ არის დამოკიდებული ასეთი. თუ ისეთი ისტორიული კომბინაციები? ჩვენ ვღებულობთ ამ საყვედურს, მაგრამ მხოლოდ იმ მხრით, რომ ჩვენ ამ წერილში არ დაგვისახელებია ეს ფაქტორი. რაც შეეხება იმას, ვითომც ჩვენ არ ვღებულობთ სახეში გეოგრაფიულ ფაქტორს, ეს სრულიად შემცდარი აზრია. ისტორია წარმოუდგენელია გეოგრაფიულს მიდამოს გარეშე. ხოლო ეს უკანასკნელი სულ მთლად შედის იმაში. რასაც ჩვენ უწოდებთ მატერიალისტურ შეხედულებას ისტორიაზედ. მარტო გეოგრაფიული პრინციპი ჩვენ ვერ აგვიხსნის ისტორიულ მოვლენათ. აი რას ამბობს ძვნის შესახებ ლევ. მეჩნიკოვი [14]): „მეცნიერულად დამტკიცებულია. რომ გეოგრაფიული განადგურება რომელიმე ადგილისა თან ჰყვება ისტორიულ დაცემას; მაგრამ აქ პირველი არის მხოლოდ მეორეს შედეგი" და მართლადაც. როგორ შეიძლება ამ მიზეზით ავხსნათ აყვავება და შემდეგ დანგრევა უძველესი დროის მდინარეთა მონარქიებისა, რომელთა გეოგრაფიულ მიდამოშიც იმ ხნის განმავლობაში არ მომხდარა არავითარი ცვლილება. თვით კლასიკური საბერძნეთის და რომის ისტორია შესაძლებელია აიხსნას გეოგრაფიული მიზეზით? მაგრამ ამნაირი მაგალითების ჩამოთვლა ჩვენ მიგვაჩნია ახლა ზედმეტათ.

ამნაირათ ჩვენ მივედით იმ დასკვნამდის, რომ ნივთიერი არსებობის პირობები განსაზღვრავენ მთელ ისტორიულ მოძრაობას; თვით ნივთიერი არსებობის

პირობები კი დამოკიდებული არიან საწარმოო ძალთა მდგომარეობისგან. ამაში გამოიხატება ის ისტორიული კანონი, რომელზედაც ბრიუნეტიერი ამბობს: არსებობს ის, თუ არა, „გარდაუწყვეტელი დარჩაო". ისე გამოდის, თითქოს მომრიგებელ მოსამართლესთან ყოფილიყოს საქმე. არა ეს „გარდაუწყვეტელი" არ დარჩენილა. მაგრამ რა ვქნათ, რომ მეტაფიზიკებისათვის ეს „გარდაწყვეტილება" ცოტა ცუდი მოსანელებელი საქმელია: მეტაფიზიკები ხომ იდეალისტურ საქმელებს მიირთმევენ. ისტორიული განვითარების კანონს მხოლოდ მატერიალურ პირობებთან აქვს საქმე. აი სწორედ ამ მატერიალურ პირობებმა დაიმონავეს მთელი ისტორიული ქვეყანა. მაგრამ თითონ ეს მატერიალური პირობები დიალექტიკის ძალით ამზადებენ იმ პირობებს მატერიალურ საფუძველზედვე. რომელმაც უნდა მოსპოს ეს მონობა. ერთს რომელიმე ეკონომიური განვითარების საფეხურზე ნივთიერი არსებობის პირობები მიახწევენ იმ ხარისხამდის. როცა ისინი ძალაუნებურათ შეიცნობენ ადამიანთა მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ დღიდან იწყება ახალი ხანა კაცობრიობის ისტორიაში. კარლ მარქსიდან იწყება ეს ხანა. ახლა შევდგეთ აქ და დაუბრუნდეთ ისევ ბრიუნეტიერს.

ჩვენ ვიცით, რამდენათ მართალი გამოდგა ბრიუნეტიერის მიერ შედგენილი საბრალდებულო ოქმი მთელი მეცნიერების წინააღმდეგ. ამნაირი ოქმი შეუდგინა ბრიუნეტიერმა ფილოლოგიას და კერძო ისტორიასაც. ხოლო ჩვენ ამაზედ არ გავჩერდებით. ვინაიდან ბრიუნეტიერმა აქ იგივე გაუგებრობა გამოიჩინა, რაც წინეთ. ბრიუნეტიერი უკიჟინებს მეცნიერებას, რომ შენ „კაცის ცხოვრება არ გაგიუმჯობესებიაო". უმეტესობა სწორედ ამაში ხედავს თანამედროვე მეცნიერების სისუსტეს და უძლურებას. გვრწამს, რომ დღევანდელი ცხოვრება ძლიერ საძაგლათ არის მოწყობილი, უმეტესობა აქ ძალა-უნებურათ იჩაგრება, შემაძრწუნებელი გარემოებაშია ჩაყენებული და სხვ. და სხვ. მაგრამ ვინ არის აქ დამნაშავე?

ყველასათვის ცხადია, რომ თანამედროვე მეცნიერებას და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის ერთნაირი განხეთქილება სუფევს; განვმარტოთ ეს მაგალითით. ჰიგიენამ, მაგ. სისწორით განსაზღვრა ის პირობები, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ადამიანის სიმრთელისათვის. მაგრამ რა? საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენს დროშიაც ისე არის მოწყობილი, რომ სულ უფრო და უფრო სთრგუნავდეს და უარყოფდეს მეცნიერების მიერ დადგენილ პირობებს სიმრთელის შესახებ. ამნაირი განხეთქილება იმდენათ უფრო და უფრო აშკარაედება ჩვენს დროში, რამდენათაც ეითარდება თვით მეცნიერება, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, რამდენათ მწვაედებიან საზოგადოებრივი ურთიერთობანი.....

(აქ ხელნაწერი წყდება).

გაკვრით პასუხი

ცხოვრებამ და გამოცდილებამ დიდი ხანია დაგვარწმუნა, რომ ერთი აზრის მეორესთან შეფარდება მეტის თუ ნაკლების სისწრაფით გვაახლოებს ჭეშმარიტებასთან; მაგრამ, როცა ერთს რომელსამე გამორკვეულს და ნათლათ გამოთქმულს აზრს შეუფარდებენ არა აზრს, არამედ მარტო სხვადასხვა ფეროვან სიტყვების აქეთ-იქით რახა-რუხს, ე. ი. ყოველად უაზრობას, მაშინ სწორედ დიდათ დაბრკოლებულია ჭეშმარიტების კვლევა-ძიების საქმე. ამიტომაც ყოველივე ჭეშმარიტების მკვლევარი მოხარულია, როცა მის მიერ წარმოთქმულის და გამორკვეულის აზრის წინაშე დაუყენებენ პირდაპირ მის საწინააღმდეგო აზრს. ცრუ იქნება ეს უკანასკნელი, თუ მართალი, ეს სულ სხვა კითხვას შეეხება, ოღონდ ნათლად გამოთქმული კი უნდა იყოს, რომ შევიძლოთ მისი ასე, თუ ისე გარჩევა და შეფასება. საუბედუროთ, როგორც ჩვენ ვუკვირდებით ჩვენი ჟურნალ-გაზეთების, თუ, ეგრეთწოდებული, პუბლიცისტიკის მიმდინარეობის საქმეს ამ უკანასკნელ წლებში, ის (ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა) აცდენია ამ სანატრელ გზას და უგზო-უკვლოთ დახეტიალობს ჩვენი მწერლობის ხელ-უხლებელ არე-მარეში.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ (სულ ერთი წელიწადია), რაც ჩვენს მწერლობაში ჩამოვარდა საუბარი კარლ მარქსის მოძღვრების შესახებ. მრავალი სენით დაავადებულმა ჩვენმა საზოგადოებამ და უმეტესათ მწერლობამ აქაც გამოიჩინა ერთი თავისი ყველაზე უდიდესი სენი — უაზრობა. მართალია, ვიმეორებ, მას მერმე დიდი ხანი არ გასულა, მაგრამ ნათქვამია: სახეირო ხარს..... და სხვ..... გამოითქვა თუ არა ს. ჯიბლაძის მიერ კ. მარქსის შეურყეველი ჭეშმარიტება კაპიტალისტურ წარმოებაზე და მის განვითარებაზე, ჩვენმა ყოყოჩ-ყოყოჩა პუბლიცისტებმა მაშინვე მოიქციეს სახე განზე და მის მაგიერ, რომ რაიმენაირი, ცოტათ თუ ბევრათ, გამორკვეული და ნათლად დასახული აზრი გამოეთქვათ მარქსის საზოგადო თეორიის წინაალმდეგ, დაკმაყოფილდენ დიდი ხნიდან სხვების მიერ წარმოთქმული დახავსებული და დამპალი სიტყვების განმეორებით.

რამოდენიმე ხანია, რაც ჩვენი დღეანდელი საზოგადოების ეითარებათა შესწავლას შევუდექი. მე მსურს გამოვიკვლიო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უძლურება წარსულში და აწმყოში, დავასახელო მისი უმთავრესი მიზეზები. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა დიალექტიური მატერიალიზმის განმარტება, სხვათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ საეალალო კითხვას, თუ რა გზას ადგას დღეს ჩვენი ქართველობა, მთელი ქართველი ერი, ნებსით. თუ უნებლიეთ. ყველა ლალები თუ ნალები იქ ნახვენ თავიანთ პასუხს დაწერილებით და გარკვევით; მაგრამ ეს არაფერს დაუშლის, თუ დღეს-დღეობით რამოდენიმე სიტყვას ეუძღვნით ბ-ნ ვ. წ — ს, რომელიც „ივერიის“ ფურცლებზე უცხადებს ქვეყანას თავის უგზო-უკვლობას და უმეცრებას. დანაშაულად ნუ ჩაგვითვლი, მკითხველო, თუ შემთხვევით დღესვე გავიხსენოთ ბ-ნი ლალიც, რადგანაც ამასაც ეტყობა მიდრეკილება ამ უგზო-უკვლობისაკენ და რადგანაც ბ-ნი ვ. წ — იც ესარჩლება მას.

მე მაქვს სახეში დღეს მხოლოდ ერთი წერილი ბ-ნ ვ. წ — სა. სახელდობ: „არსებობს თუ არა ჩვენში კლასთა ბრძოლა?“ (იხ. „ივერია“ 95 წ. № 73). შეიძლება ბ-ნ ვ. წ — ს სხვა წერილებიც ეგეკდოს, მაგრამ მე იმათ ალარ გამოვუდგები; სამწუხაროთ, ეს ერთი წერილიც ბევრს მასალას იძლევა ავტორის უგზო-უკელობაზე და უმეტესათ მისი ლოდიკის სისუსტეზე. მაშ პირველათ ვიკითხოთ: ვინაა, რას გვასწავლის ბ-ნი ვ. წ.? აი, თვით ვ. წ. წარმოდგება ჩვენს წინაშე და გაგვაცნობს თავის სწავლას: „მე ვამბობდიო — გვეუბნება ის — რომ ჯერ ჩვენში სამაშინო წარმოება არ არის. ბ. ლალი ამბობს ამასვე, თუმცა სხვა სიტყვებით, ე. ი. ჩვენში კაპიტალიზმი არ არსებობსო. ბ-ნი ჯიბლაძე კი წინაალმდეგს ალიარებს“. შემდეგ ბ-ნი ვ. წ. გვეუბნება, რომ „ჩვენს ხალხს ჯერ კიდევ ფეხი მაინც ნატურალისტურ წარმოებაში უდგია, რომ ჯერ კიდევ მარჯვეთ ხელი ჩაგვიკიდნია ნატურალისტური წარმოებისათვის, რომ ნატურალისტურის წარმოების სამფლობელოდან არ გამოვსულვართ და არც საქიროა, რომ გამოვიდეთ ჯერ-ჯერობით“. ამას შემდეგ ბ-ნი ვ. წ. თანახმად ბ-ნ ლალისა განაგრძობს, რომ ჩვენში ახლა წვრილი მესაკუთრე მეტია, ვიდემ მსხვილი, და რომ წერილი მიწათმფლობელობა იქნება უპირატესი ფორმა ჩვენის ეკონომიურის მდგომარეობისა“... „ჯერ-ჯერობით, მოგვითხრობს კიდევ ვ. წ., ჩვენი ხალხი მარჯვეთ არის ხელჩაკიდებული ნატურალისტურ წარმოებასთან. სხვა არა იყოს რა, სარჩო მაინც მოჰყავს და დიაღ, ეს დიდი ღვთის წყალობაა ჩვენთვის. რომ ყოველიფერი საყიდელი ჰქონდეს ჩვენს გლეხს. რომ მხოლოდ ფულზე იყოს იგი დამდგარი, მაშინ“..... „კაპიტალიზმი, ვ. წ — ს სიტყვით, მხოლოთ ევროპაში და ამერიკაში არსებობს, სხვაგან იმან, შეიძლება, „თავის დღეშიაც“ ვერ იხეიროს. ამ სურათის შესავსებათ, საჭიროა კიდევ ვიცოდეთ, რომ [ბ-ნი ვ. წ. „კაპიტალიზმს ჩვენ მტრათ ალიარებს“ და მას უცხადებს სასტიკ ბრძოლას სულ ახალი იარაღით, ე. ი. „კოოპერაციით სამაშინო წარმოების საფუძველზე, ძმური (!) შეერთებით ყველასი. განურჩეველათ წოდებისა და სიმდიდრე-სიღარიბისა, გლეხისთვის, ჩარჩისთვის და სხ., და თუ ჩვენში შინაური ბრძოლა ატყდა, ეს იქნება მხოლოდ ჩვენი უმეცრების შედეგი“. ამნაირ ქცევას, თურმე ნუ იტყვით, „პროგრესი“ ეწოდება. მაშასადამე ეინ სთქვა, რამ მოიტანა: სადაური

კლასთა ბრძოლაა ჩვენში? აქ მდიდარი და ღარიბი, ფაშე-გამძღარი ჩარჩი; მოეახშე და მათი საწოწნელი ლატაკი, გინდ კაპიტალის პატრონი და მშრომელი ხალხი. ყველანი ერთ ტაფაში იხრაკებიან, ყველა ამათი ბედ-ილბალი ერთია. ამისათვის. რა უნდა ჩვენში სხვადასხვა დასები. ჩვენში ერთი დასი უნდა იყოს, ერთი აზრი უნდა ტრიალებდეს. აი, ბ-ნ ვ. წ — ს უკანასკნელი დასკვნა. მაგრამ ამაში ვერაფერი ორიგინალობა გამოიჩინა ავტორმა. სხვებს რომ თავი დავანებოთ ბ-ნი ფელეტონისტი ლალი ამავე დასკვნამდე მივიდა (იხ. ამ წლის „ივერია“ № 65).

აბა. ერთი დაუკვირდი, მკითხველო, ამ საგანს და განსაკჯე, თუ რას მოასწავებს ჩვენი ყოყოჩ-ყოყოჩა მწერლების ქადაგება იმის შესახებ, რომ ჩვენში არ უნდა არსებობდეს სხვადასხვა დასები, გარდა ერთი იმათ მიერ გამოგონილისა. რომ ჩვენში რაღაცნაირი გაუგებარი სასწაულის მეოხებით ცხოვრების ჩარხი მდიდრისთვის და ღატაკისთვის სულ ერთნაირათ ტრიალებდეს. რასაკვირველია. ცხოვრება, როგორც ამბობს ს. ჯიბლაძე, ნა-ლებს კიარა, თვით ნალების მჭედლებსაც არ ეკითხება, ისე მიისწრაფვის იმ გზისკენ, საითკენაც მას მიუთითებენ განსაზღვრული კანონები ისტორიული მოძრაობისა. ხოლო ჩვენი უსულსური პუბლიცისტების ზღიპინი და გოდება დღეევანდელ საზოგადოებრივ კლასთა შუა განხეთქილების ჩამოვარდნის თაობაზე მარტო იმათ უმეცრებას, მარტო იმათ ცხოვრების სრულიად არ ცოდნას მოასწავებს. ადამიანთა საზოგადოებამ არ იცის იმისთანა ხანა თავის წარსულს ცხოვრებაში, როცა არ არსებულიყოს წოდებათა, თუ კლასთა შორის, მეტი თუ ნაკლები, განხეთქილება და წინააღმდეგობა. ცოტათ თუ ბევრათ გამოაშკარავებული ბრძოლა სხვადასხვა საზოგადოებრივ წოდებათა შორის. რანაირიც უნდა იყოს გარეგანი შენობა საზოგადოებისა, რანაირათაც დაკლაკნილი და დახლართული არ უნდა იყოს ბრძოლა მასში სხვადასხვა წოდებათა შორის. ჩვენ ახლა ნათლათ შეგვიძლია ვაკვარჩიოთ მასში ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე წოდება, ანუ კლასი: კლასი გამარჯვებულთა ანუ სხვისი ოფლით და შრომით მაძღართა (რიცხვით ნაკლები) და კლასი დაჩაგრულთა (უმრაველესობა). მარტო პირველყოფილ საზოგადოებაში. ეგრეთწოდებული, არხაული კომუნიზმის არსებობის დროს შეგვიძლია აღვიაროთ, რომ ამნაირ განხეთქილებას არ ჰქონდა ალაგი, რადგანაც იმ დროს თვით საზოგადებრივი წოდებებიც არ არსებობდენ. მაგრამ მას აქვთ, რაც „შრომამ იწყო თანდათან განვითარება სოციალურათ და მით შექმნა სიმდიდრის და კულტურის წყარო, მშრომელის მხრივ იწყო აგრეთვე განვითარება სიღატაკემ და უმეცრებამ. მუქთა-ჭამიას მხრივ კი. პირიქით, უფრო და უფრო განვითარდა და გაძლიერდა სიმდიდრე და კულტურა. C'est la loi de toute l'histoire jousqu'a nos jours (K. Marx, Revue d'economie politique, 1894. une lettre de K. M.). ჩვენი დროის წარსულ დროებიდან განსხვავება უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ, თუ, ერთი მხრით, განხეთქილება და ბრძოლა ორ საზოგადებრივ კლასთა შორის სულ უფრო და უფრო გამწვავდა, მეორე მხრით, რასაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს, შრომის წარმომადგენელთა შორის სულ უფრო და უფრო ფეხს იდგამს თავის-თავის მდგომარეობის შეგნების საქმე. დაწინაურებულ ქვეყნებში მაინც. აი რაში მდგომარეობს უმთავრესი თავ-

დები უმრავლესობის ბედ-იღბლის გაუმჯობესების საქმისა აწმყოსა და მომავალში. ბ. ბ. ვ. წ — ებს, ლალებს, თუ ნა-ლებს რომ კითხოთ, იმათ პოლიტიკური ეკონომიაც კი შეუსწავლიათ, მარქსის თეორიის არსებობაც კი შეუტყვიათ და მათი სიტყვით მათ მოწინააღმდეგეთ მთელი ახალ აღორძინებული მეცნიერების ანბანიც კი არ ესმისთ. მაგრამ ეაი მათ, თუ სულ ამის წინააღმდეგი გამოდგეს! მოისმინეთ:

როცა ლალები, თუ ნა-ლები, ჩვენ გვიკითხავენ ლექციებს პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებაზე და სხვებს უკიჟინებენ ამ უკანასკნელის არ ცოდნას, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხსენებული მეცნიერების ანაბანა თვით მათ მაინც უნდა იცოდენ, ე. ი. უნდა იცოდენ, რომ პოლიტიკური ეკონომია, როგორც გვასწავლის ფრ. ენგელსი, არის ნამდვილი ისტორიული მეცნიერება, რომ ყოველ განსაზღვრულ ეპოქას აქვს თავისი განსაკუთრებითი ეკონომია; ასე რომ, ერთი რომელიმე ეპოქის ეკონომია სრულიად არ ეთანხმება მეორე ეპოქის ეკონომიას, მაგალითათ, საშუალო საუკუნოების ეკონომია, როცა ბატონ-ყმობა მეფობდა, სულ სხვაა, ვინემ ჩვენი დროის ბურჟუაზიული საზოგადოების პოლიტიკური ეკონომია, როცა შრომა განთავისუფლებულია პოლიტიკური მონობიდან. ასევე ითქმის მომავალის ეკონომიაზედაც, როცა შრომა განთავისუფლდება ეკონომიური მონობიდანაც. თქვენ კი, ბ. ბ. ვ. წ — ბო, ლალებო და ნა-ლებო, უნდა უწყოდეთ, რომ ის პოლიტიკური ეკონომია, რომლის ცოდნას თქვენ იკვეხნით და რომლის საშუალებით გსურთ დაიცვათ ნატურალური წარმოება, რაც შრომის პოლიტიკურ მონობას წარმოგვიდგენს, პირდაპირი ნაყოფია ბურჟუაზიული წესწყობილებისა. მაშასადამე, ყოველად შეუძლებელი უნდა იყოს, რომ ბურჟუაზიული მეცნიერების წყალობით ვინმემ დაიცვას ნატურალური წარმოება, მაგრამ თუ სიტყვების ნამდვილ მნიშვნელობას მივყევით, სწორეთ რომ ასე გამოდის, და, აბა, მოდით და ნუ დაულოცავთ ჩვენს ავტორებს პოლიტიკური ეკონომიის ცოდნას. მაგრამ ვინ იცის? შეიძლება, ისინი თავის უნებურათ იცავენ ბურჟუაზიულ წესწყობილებას.....

მაგრამ არა, ასე მშრალათ მაგათი გაშვება კიდევ არ შეიძლება. ჩვენ ვერ მიუტევებთ მაგათ ლოლიკის ლალატს, სხვა რომ ყველაფერი მივუტევოთ, ეს ყველასათვის სამარცხვინო საქმეა. მკითხველმა ხომ იცის, რომ ბ. ვ. წ. ისე, როგორც ბ. ლალი და მათი თანამოაზრენი, უარს ჰყოფენ ჩვენში კაპიტალისტური წარმოების არსებობას. ახლა დაუგდეთ ყური, თუ ისინიეე რას მოგვითხრობენ იმაევ კითხვის შესახებ. „კაპიტალიზმი — ამბობს ბ. ვ. წ. — უკვე მოებვია ჩვენს ხალხს თავისი ძლიერი ხელებით, ბევრგვარათ შეჰცვალა ჩვენი ეკონომიური, ზნეობრივი და გონებრივი ვითარება“... „უკაპიტალიზმოთ ცხოვრება ახლა შეუძლებელია“. ამას შემდეგ ავტორი გვიმტკიცებს, რომ საქართველოს ყველა ნაწილებში უაღებმიცემოთ ახლა შეუძლებელია ცხოვრება. ამნაირ აზრს ქადაგებს ჩვენი ავტორი თანახმათ ბ. ლალისა, რომელიც მრავალ თავის წერილებში ამაევ აზრს იმეორებს საქვეყნოთ; სხვათა შორის ბ. ლალი ამბობს: „კაპიტალიზმი მხოლოთ ახლა იწყებს ჩვენს ქვეყანაში ფეხის მოდგმას“... „ეჭვი არ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ახლა დიდი ეკონომიური კრიზისია, რაღაც ცვლილება ხდება, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს მასალა“ და სხვ. მკითხველო, ხომ ამჩნევ საკვირ-

ველი თანხმობაა ბ. ბ. ვ. წ. და ლალს შორის, მხოლოთ ბ. ვ. წ — ის შენიშვნა ჩაურიეთ: „თუმცა სხვა სიტყვებით სხვა ტერმინებით". განა ამაზე მეტი გონების და ლოღიკის ღალატი შეიძლება? ყველაფერი ცრუ აზრის დათესვა რომ გაპატივოთ, ამნაირი დანაშაულობის პატივება სწორეთ არ შეგვიძლია. როგორ წარმოვიდგინოთ, ერთ და იმავე საგნის შესახებ ერთ და იმავე წერილში „ჰოსაც ამბობთ და არასაც"? თუ თქვენვე, ბ. ვ. წ — ო, ბ. ლალის თანახმათ (თუმცა სხვა ტერმინებით), გვიმტკიცებთ, რომ ჩვენში კაპიტალიზმი არ არსებობს, იმავე დროს რომელი გამოუცნობი ნახტომის ძალით ამტკიცებთ ამისვე წინააღმდეგს, რომ კაპიტალიზმმა უკვე მოჰხვია ჩვენს ხალხს თავისი ძლიერი ხელებიო"?

მაგრამ როგორც უნდა გვატრიალონ ჩვენმა ავტორებმა სიტყვების აქეთ-იქით სროლით, ის კია ნამდვილი, რომ ისინი ძალაუნებურათ ერთი რამ გარეგნობების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. შემცდარი არ ვიქნებით, თუ ვაღიარებთ, რომ ეს გარემოება იგივე ბურჟუაზიული წეს-წყობილებაა, რომელიც უკვე იძენს ხორცს და სისხლს ჩვენს საზოგადოებაში. ეს წეს-წყობილება ჩვენდა დაუკითხავათ აქარწყლებს წინანდელ წეს-წყობილებას, ეკონომიურ ურთი-ერთობათა და ამასთანავე პოლიტიკურ, იურიდიულ და გონებრივ ზედნაშენებს. იგი ქმნის ახალ ეკონომიურ ურთიერთობებს და მათ შესაბამათ ზედნაშენებსაც. ამ საერთო ევოლიუციას ემორჩილება, სხვათა შორის, ჭკუა-ვონების მეწაობა და აზროვნება. ამიტომ რა გასაკვირალია, რომ ჩვენი ავტორები ძალაუნებურათ ამ კანონის მსხვერპლი იყონ? თუმცა ცალიერი სიტყვებით კი გაიძახიან, რომ სადაა ჩვენში კაპიტალიზმი, სადაა ჩვენში კლასთა ბრძოლა, სულ ყველა ჩვენ ღარიბნი ვართო; სულ პროლეტარებიო. მაგრამ რას იზამთ, როცა კაპიტალისტური წარმოების ნივთიერი, თუ სულიერი შედეგები გამჯდარი აქვთ ძვალსა და რბილში, რის გამო ბურანში მყოფ კაცსავით დრო-გამოშვებით წამოიძახებენ: „შეუძლებელი იქნება ჩვენთვის ნატურალისტური წარმოების დაცვა კაპიტალიზმისაგანო" (იხ. „ივერია" № 73).

ახლა კი დროა ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს ჩვენი ხალხის დღევანდელი „ნატურალისტური წარმოება"? ალნიშნავს ის ნამდვილ მოვლენას, თუ უშინაარსო ფიქცია? ვინემდი ჩვენ ამ კითხვების განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებაზე. სხვათა შორის ბ. ვ. წ. აყვედრის ს. ჯიბლაძეს, რომ შენ ერთი ფრაზა ამოგიგლეჯია მარქსის წიგნიდანაო, და უკეთესი იქნებოდა, რომ გეხელმძღვანელებია მარქსის მოძღვრების საერთო ხასიათითო, საერთო სულითო". ამას შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ბ. ვ. წ. თვითონ მაინც იხელმძღვანელებდა მარქსის მოძღვრების საერთო ხასიათით, საერთო სულით. მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ჩვენ, აბა, რალა გვეთქმოდა ავტორის წინააღმდეგ. საუბედუროთ, ავტორს არა თუ არ შეუთვისებია მარქსის მოძღვრების საერთო ხასიათი, რაც მთელი აზროვნობის სრულიათ გადაკეთებას თხოულობს, არამედ მას ვერ შეუგნია მარქსის ვერც ერთი კერძო მსჯელობათაგანი. მოვიყვანოთ მაგალითი: სხვათა შორის, მარქსი გვიმტკიცებს, რომ წვრილი მესაკუთრენი არიან ერთი უმთავრეს შემაფერხებელ მიზეზთაგანი, რომლებიც აგვიანებენ სოციალურ მდგომარეობის საერთო გაუმჯობესობის ხანას.... ამის მიზეზი ის არის, რომ წვრილი მესაკუთრე სულ

ყოველთვის ძველი დახავსებული წეს-წყობილების მომხრე და დამცველია; ის ყოველი ცვლილების დაუძინებელი მტერია, ერთი სიტყვით, ის რეაქციონერია; მაგრამ იგიც ცხადია, რომ ამ წვრილ ბურჟუებს ისტორიულ მოძრაობის სულ დაყენება და მით უფრო უკან დატრიალება, არ შეუძლიათ; ისინი მხოლოთ აგვიანებენ შემდეგი ისტორიული ხანის დადგომას. იმათი უპურ-მამულოთ დარჩენა, რაკი ერთხელ იმათ შეყვეს ფეხი საქონლის წარმოებაში, აუცილებელია; მაგრამ, რაც ადრე მოხდება ეს უმამულ-დედულოთ დარჩენა, მით უფრო ადრე მიეალწევთ შედეგს ისტორიულ ფაზიზს. აი, სწორეთ ნამდვილი აზრი მარქსისა წვრილ მესაკუთრეებზე, რომელთა რეაქციონური მიდრეკილებანი la petite bourgeoisie-ს სახელით იმან გამოაშკარავა თავის „Misere de la filosofie"-ში. ახლა მიმართეთ „ივერიის" „მარქსისტებს" ამ საგნის შესახებ და იქ გაიგებთ, რომ ჩვენი თავის ხსნა წვრილ მესაკუთრეთა არსებობაში მდგომარეობს, რომ „წვრილ მიწათ-მფლობელობა იქნება უპირატესი ფორმა ჩვენის ეკონომიურის მდგომარეობისა". ვინაა მტყუანი და ვინ მართალი? ამას მხოლოდ ის გამოიცხობს, ვისაც მარქსის მოძღვრების საერთო ხასიათი შეუგნია.

მეორე მაგალითი. საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, თუ რანაირი სიფრთხილით იქცეოდა კ. მარქსი, როცა ის მსჯელობდა რომელსამე საზოგადოებრივ მოვლენაზე. ყველამ, ვისაც ეს კითხვა ცოტათ, თუ ბევრათ აინტერესებს, იცის, თუ რა აზრის იყო ის რუსეთის მომავალზე, როცა ამ უკანასკნელმა მესამოცე წლების დასაწყისში თავი გაყო კაპიტალისტურ წარმოებაში. აქ არავინ იფიქროს, ვითომც კაპიტალისტური წარმოება რუსეთში გამოეწვიოს ყველასათვის კარგათ ცნობილ რეფორმებს. სრულებითაც არა; პირიქით, თვით ეს რეფორმები იყვენ გამოწვეულნი უკვე არსებულის კაპიტალიზმის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ჩვენ აქ იმას ვამბობთ მხოლოთ, რომ მარქსის აზრით და მსჯელობით, რომელსაც წინ მიუძღვის ფაქტიური შემოწმება, როცა რომელიმე ქვეყანა თავს გაყოფს კაპიტალიზმის ჭახრაკში, ამ უკანასკნელის სამუდამოთ შეჩერება, და მით უფრო უკან დახევა, ყოვლად შეუძლებელია და ყოველნაირი კანონების წინააღმდეგია. ამას შეაჩერებს მხოლოდ ერთი გარემობა: მოულოდნელი სიკვდილი მთელი იმ საზოგადოებისა, რომლის წევრებისგან შესდგება ის ქვეყანა, რაც ჩვენს დროში წარმოუდგენელია. მარქსი და მისი მიმდევარნი კაპიტალიზმის ამნაირ ზრდა-განვითარებას, მის ეკოლიუციას ზოგიერთნი სამართლიანათ ადარებენ მშობიერებას. როგორც მშობიერება წარმოადგენს ფიზიოლოგიურ მოვლენას, შეერთებულს მწუხარებას ტკივილთან, ისე კაპიტალიზმის განვითარება არის სოციალური ევოლიუცია განსაზღვრული ისტორიული ეპოქისა, რომელსაც თან მიყვებიან თავისი განსაკუთრებითი ტანჯვანი და ტკივილნი. მაგრამ, როგორც ნასწავლ ბებიებს შეუძლიათ შობიერების ტკივილთა შემცირება და თვით შობიერების ხსნის დამთავრების დაახლოვება. ისე შეგნებულ და მომზადებულ პირთ შეუძლიათ კაპიტალიზმის მსხვერპლნი შეამცირონ და დაგვიახლოონ ის ხანა, რომლის მატერიალურ პირობებს თვით კაპიტალიზმი ამზადებს.

ჩვენი „მარქსისტები", როგორც იცის მკითხველმა, ჯერ ხომ პირდაპირ უარს ჰყოფდენ ჩვენში კაპიტალიზმის არსებობას, მაგრამ როცა აუარებელ ფაქტებმა

აიძულა ისინი, რომ პირდაპირ ამის საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვათ, ე. ი. რომ „კაპიტალიზმმა უკვე მოჰხვია ჩვენს ხალხს თავისი ძლიერი ხელებიო“, მაშინ დაიწყეს ხელების დაბრმავებულათ ცეცება იქით-აქით ისე, როგორც წყალწაღებული კაცი ხავსს ჩაეკიდება. ამნაირათ ბ. ვ. წ., თავის თანამოაზრებით გვარწმუნებს, რომ „მარქსის მოძღვრება სრულიათაც არ მოითხოვს, რომ ჩვენში კაპიტალიზმი იმ ფაზისამდის მივიდეს, რა ფაზისშიაც ევროპაშია“ („ივერ.“ № 73). „კაპიტალიზმში თავი გავყაენთო — ამბობს იგივე ავტორი, კაპიტალიზმი დაიწყო ჩვენშიო, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იგი უკვე დამთავრდა, რომ მან უკვე ჰძლია ძველი წესი წარმოებისა და, ეინ იცის, იქნება თავის დღეშიაც ვერ სძლიოს“ (იქავე). გაუშვათ უყურადღებოთ ის, რომ ცოტ ქვეით ავტორი თვითონვე აქარწყლებს თავის ნათქვამს, როცა ამბობს, „ნატურალისტური წარმოება ვერ გაუძლებს კაპიტალიზმსო“. ჩვენ მივაქციოთ მხოლოთ ყურადღება იმ გარემოებას, თუ რა საბუთით ამტკიცებს ბ. ვ. წ. თავის აზრს კაპიტალიზმის ზრდა-განვითარების, ევოლიუციის შეჩერებაზე და შერყევაზე. ამ შემთხვევაში ბ. ვ. წ. სწორედ განირჩევა ბ. ლალის და მისი ა ანამოაზრეებისაგან, თუმცა ეს განსხვავება არც ერთის სასარგებლოთ არ ამბობს თუ ბ. ლალი იმეორებს რუსეთის ნაროდნიკების მიერ ათასჯერ წარმოთქმულ და დაღეჭილ აზრებს რუსეთის კაპიტალიზმზე, ვ. წ. ამით სულ არ იწუხებს თავს. მას მოყავს მხოლოთ ირლანდიის და ოსმალეთის მაგალითი, სადაც, იანჟულის მოწმობით, არ განვითარდა კაპიტალიზმი. ირლანდიის მაგალითი აქ მოსატანი სულ არ არის, რადგანაც იქ სულ განსაკუთრებული პირობები მოქმედებენ. მაგრამ კაპიტალიზმის განვითარების საქმე თუ შეფერხდა იქ, ეს მხოლოდ დროებით, და ამ ჟამად ირლანდია კაპიტალისტური მხარეა ისე, როგორც სხვა ევროპის, გინდა ამერიკის მხარე, და თვით ამ შეფერხების დროსაც ირლანდიაში მეფობდა კაპიტალისტური წარმოება. მხოლოთ უმეტესი ნაწილი მწარმოებელი კაპიტალისა ეკუთნოდა მის მჩაგვრელთ — ინგლისის კაპიტალისტებს, მექარხნეებს და ლენდლორდებს. რაც შეეხება ოსმალეთს, პირდაპირ აღვიარებთ, რომ დღეს-დღეობით არ გვაქვს მის შესახებ საკირო მასალა, და ამიტომ დაუჯეროთ ბ. ვ. წ — ის მოწმეს პროფ. იანჟულს, რომ ოსმალეთში ვერ მოიკიდა ფეხი კაპიტალისტურმა წარმოებამ. მართლა, თუ ეს ასეა, მაშ იქ იქნება ის სანეტარო მდგომარეობა, რომელსაც „ივერიის“ პუბლიცისტების აზრით, წარმოადგენს ნატურალური წარმოება. და აი, სწორეთ ამიტომაც გაიძახის ბ. ვ. წ.: „თუ ჯერ კიდევ ცოცხალნი ვართ, ეს იმას უნდა მივაწეროთ, რომ ჯერ კიდევ მარჯვეთ ხელი ჩაგვიკიდნია ნატურალისტურის წარმოებისათვის, რომ ნატურალისტურის წარმოების სამფლობელოდან არ გამოვსულვართ და არც საჭიროა, რომ გამოვიდეთ“... („ივ.“ № 73). აი, ხედავ, მკითხველო? სად მიგვითითებენ და რა ქვეყნის მაგალითს გვიჩვენებენ მისაბაძავათ ჩვენი „ეკონომისტ-ფილოსოფოსები“? თუ ოსმალეთში ვერ იხეირა კაპიტალიზმმა, სწორეთ იმიტომ წასულა ეს ქვეყანა სხვა განათლებულ ქვეყნებზე წინ, სადაც კაპიტალისტურმა წარმოებამ სრულიათ შეცვალა მთელი ევროპის და ამერიკის ერთა შინაგანი და გარეგანი შენობანი. მთელი ევროპის და ამერიკის მეცნიერება, მისი უმაღლესი ტეხნიკური სწავლა-განათლება და ხელოვნება და უმეტესად ის პოლიტიკური წეს-წყობი-

ლება, რომელსაც ასე თავს დასტირიან ჩვენი ავტორები, სულ ყველა ეს მკვიდრი შვილებია კაპიტალიზმისა. მაგრამ ერთი კიდევ ვიკითხოთ, ოსმალეთის მაგალითს ჩვენთან რა ხელი აქვს? აბა ერთი ეშინჯა ბ. ვ. წ — ს და სხვა ქვეყანა დაესახელებია ჩვენთვის, რომლის მაგალითისთვის მაინც ღირებულიყოს მიბაძვა, თუარა ოსმალეთი? — და ისედაც რომ იყოს, როგორც ამბობს თვით ბ. ვ. წ., ოსმალეთის მაგალითი ჩვენს ქვეყანას სრულებითაც არ ეხება, როგორც რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს, სადაც ბაჟების საშუალებით დიდათ შეფერხებულია უცხო კაპიტალის მეტოქეობა — კონკურენცია. მაგრამ დავანებოთ თავი ოსმალეთს და მიუბრუნდეთ ისევ ჩვენს პუბლიცისტებს.

სწორეთ გაპირებულია იმათი მდგომარეობა ისე, როგორც გასაკვირია ორ სკამზე ჯდომა. იმათ, ერთი მხრივ, რამდენიმედ მაინც ესმით სისუსტე და უუარგისობა ნატურალური წარმოებისა, რომლის დასაცავად ისინი მოვლენილ არიან ამა ქვეყნად. მაგრამ, მეორე მხრივ, სრულიათ გატაცებული არიან ყველა იმითი, რაც შეადგენს კაპიტალიზმის ნამოქმედარს გონებით და ქონებით დაწინაურებულ და გაამდიდრებულ ქვეყნებში. მაგრამ არა, ბატონებო, ჩვენი ხუცესი დღეში ორჯერ არ წირავს. ნუ თუ თქვენ იმდენათ ჯერ კიდევ უსუსური ხართ და გჯერათ, რომ შესაძლებელი იყოს რამენაირი თანხმობა ჩამოვარდეს ამ ორ ერთი მეორის მოწინააღმდეგე წარმოებაში? „Mais avec cette métaphisique la Bastile serait encore debout"! თუ ეს გწამთ თქვენ კიდევ, მაშინ თქვენ ცხოვრებას ან არ გაკარებიხართ და ჰაერში გიცხოვრიათ, ან მისი ავან-ჩავანის სრულიათ არა გაგეგებათ-რა. შემდეგში ამ საგანს ჩვენ უფრო დაწვრილებით შეეხებით, გარკვევით გავარჩევთ, თუ რაში მდგომარეობენ კაპიტალისტური და ნატურალური წარმოებანი, რაში გამოიხატება მათი წინააღმდეგობა და ერთი მეორისაგან განსხვავება. ახლა კი, დაპირებისამებრ, გვსურს ჩვენი პუბლიცისტების ყურადღება მივაქციოთ ჩვენი ერის ცხოვრებისაკენ და სულ მოკლეთ მაინც აღვნიშნოთ მისი მიდრეკილებანი. მკითხველმა უწყის, რომ ჩვენ აქ ვეხებით მხოლოთ შემდეგ კითხვას: რა ყოფაშია დღეს ჩვენში ნატურალისტური წარმოება".

საჭიროა აქვე მოკლეთ მაინც განვსაზღვროთ, რაში მდგომარეობს ნატურალური წარმოება და მისი განსხვავება კაპიტალისტურისაგან. წარმოვიდგინოთ ოჯახი, რომელიც თავის ყოველგვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თვითონვე ამზადებს ყოველგვარ ნივთებს, სასმელი იქნება ეს, თუ საჭმელი, ჩასაცმელი, თუ დასახური. ადვილი შესაძლებელია, რომ ერთ წელიწადს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რაც სჭირდება მას, იმაზე მეტი დაამზადოს და მეორე წელიწადს სამაგიეროთ კიდევაც დააკლდეს. პირველ შემთხვევაში ოჯახს ან მის წევრს შეუძლია ზედმეტი ნაწარმოები გაასაღოს, გაყიდოს, მეორეში კი იძულებულია იშოვნოს, იყიდოს. მაგრამ ყველა ამ შემთხვევებში წარმოების დედა მიზანია თვით ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. აქ ყიდვა-გაყიდვა სულ შემთხვევითი მოვლენაა. ამნაირ წარმოებას ჰქვია ნატურალური წარმოება; მკითხველმა უნდა იცოდეს. რომ ადგილის უქონლობის გამო დაწვრილებით ვერ ვეხებით მის ხასიათს. სულ სხვაა კაპიტალისტური წარმოება. აქ ნივთები, ანუ შრომის ნაწარმოები, რომელსაც ჩვეულებრივ საქონელს ვუწოდებთ, დამუშავებულია პირდაპირ გასაყიდლათ, აქ სხვა მიზანი არა არისრა.

ძაგრამ მე თუ გასაყიდათ ვამზადებ საქონელს, მაშინ თავის-თავად იგულისხმება, რომ სადმე ამ ჩემი საქონლის მყიდველი მოიპოება, ყიდვა შესაძლებელია მხოლოთ ერთნაირი განსაკუთრებული საქონლის საშუალებით, რომელსაც ფულს ეძახიან. მაგრამ მე ისე ფულს ვინ ჩამიგდებს ხელში, თუ ჩემიეე ნაშრომი არ გავასაღე, არ გავყიდე. კაპიტალისტურ წარმოებასთან ჯერ კიდეე სულ არა ვართ მისული. აქ ჯერ კიდევ მე იმიტომ ვყიდი საქონელს, რომ ისევ პირდაპირ ჩემთვის სახმარი საქონელი უნდა ვიყიდო. აქ მოძრაობა იწყება საქონლით და თავდება საქონლითვე; მისი საზოგადო ფორმულაა: საქონელი — ფული — საქონელი. მოვიყვანოთ მაგალითი: მე ვყიდი ერთ თუნგ ღვინოს ერთ მანეთად, რომ ამ ფულით ვიყიდო ხუთი ალაბი ტილო — ერთი თუნგი ღვინო — ერთი მანეთი — ხუთი ალაბი ტილო. — კაპიტალისტური წარმოების ფორმულა კი სულ გადაბრუნებულია: თუ პირველ შემთხვევაში იწყებოდა საქონლით და თავდებოდა საქონლითვე, აქ პირიქით, იწყება და თავდება ფულით. აი, მისი ფორმულა: ფული — საქონელი — ფული, პირველ შეხედვით, თუ საქმის თვისება კარგად არ გაეიგეთ, ეს ფორმულა ყოველ მნიშვნელობას მოკლებული გვეჩვენება. აეიღოთ მაგალითი: სამ მანეთათ მე ეყიდულობ ორ კოდ პურს, რომ ეს უკანასკნელი ხელახლა გავყიდო სამ მანეთათ = 3 მანეთი — ორი კოდი პური — სამი მა ეთი. ნუ თუ ეს სასაცილო არ არის? მაგრამ მოითმინეთ ცოტა, კაპიტალისტები არც ისე სულელები არიან, რომ თავისი ფული ვერ დაატიონ თავისივე ჯიბე ი. კაპიტალისტებმა კარგად იციან, რომ როცა ისინი ყიდულობენ საქონელს, ისინი ცდილობენ უსათუოდ ამ საქონელს მოაგებინონ მეტი ფული და მხოლოდ ამ შემთხვევაში ეძლევა კაპიტალისტური წარმოების ფორმულას ნამდვილი მისი მნიშვნელობა. ეს გახლავთ ფულის მოგება და მარტო ფულისა. თუ რანაირ სასწაულ-მოქმედებით ასრულებს ის თავის დანიშნულებას, ამის ძიება ჩვენ ახლა ძლიერ შორს წაგვიყვანს, აქ საკმარისია მხოლოდ ვიცოდეთ, რომ კაპიტალისტური წარმოების დედა მიზანს შეადგენს ფულის მოგება.

მკითხველმა აქ თვითონვე უნდა გაითვალისწინოს, რომ კაპიტალისტური წარმოებისთვის და მისი განვითარებისათვის მიუცილებლათ საჭიროა არსებობდენ შემდეგი ისტორიული პირობები: შრომის სოციალურათ განაწილება და აქედან მარტივი საქონლის ტრიალი ფორმულით: საქონელი — ფული — საქონელი. მაგრამ უმთავრეს ისტორიულ პირობას კაპიტალიზმისას შეადგენს შრომის განთავისუფლება, თუ პოლიტიკურათ არა, ბატონ-ყმური მონობისაგან მაინც. თუ ეს პირობები შესრულებულია, მაშინ კაპიტალიზმის ზრდა-განვითარების საქმე დაყენებულია მარჯვე გზაზე, მის ზრდასთან ერთად თანდათან ირღვევა და ქრება წინანდელი ნატურალური წარმოება და მეტის თუ ნაკლების სისწრაფით სრულდება აგრეთვე ექსპროპრიაცია წვრილ-წვრილ მესაკუთრეთა, ანუ ამათი უმამულ-დედულოთ დარჩენა. რასაკვირველია, ეს იმას სრულებით არ მოასწავებს, რომ სულ ერთბაშათ მოისპოს და გაქრეს, როგორც ნატურალური წარმოება, ისე წვრილ-წვრილი მესაკუთრეობა; ეს ყოველად შეუძლებელია და ამას არც თვით კაპიტალიზმის ევოლიუცია თხოულობს, რადგანაც ამ უკანასკნელს აქვს რამოდენიმე ფაზისი თავისი განვითარებისა ისტორიაში. თვით იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალისტურმა წარმოებამ მიახწია ჩვენს დროში უმაღლეს ხა-

რისხამდის, არსებობენ იმისთანა მიყრუებული ალაგები, სადაც ჯერ არ გამქრალა პატრიარქალურ-ნატურალური წარმოება. აი, სწორეთ ეს გარემოება, რომელიც კისერს ატეხიებს და ყოველნაირ ლოღიკურ მოსაზრებას უკარგავს ჩვენ პუბლიცისტებს. ისინი აქა-იქ, ზოგიერთ მიყრუებულ ადგილებში ჩვენი საქართველოისა, ამჩნევენ კიდეე ნატურალური წარმოების არსებობას და აქედან იწათი დასკვნაა: ჩვენში კაპიტალისტური წარმოება არ არსებობსო.

საუბედუროთ ჩვენში არ არსებობს განსაკუთრებული სასტატისტიკო დაწესებულება (ბიურო), რომელიც უნდა კისრულობდეს ჩვენი ერის ნივთიერ მდგომარეობის და ავ-კარგიანობის შესწავლას. ყოველ შემთხვევაში ჩვენ აქ შეგვიძლია გამოვთქვათ ის ყველასაგან შემჩნეული ფაქტი, რომ მთელმა ქართველმა ერმა საერთოთ წადგა წინ ერთი ნაბიჯი თავისი მდგომარეობის გაუმჯობესობისაკენ. რომ ეს გაუმჯობესობა თავის სათავეშივე მატერიალურ განვითარებაში მდგომარეობს, ვგონებთ, ამასაც არ უნდა ბევრი მტკიცება. სხვა-დასხვა მრეწველობათა და მეურნეობის ახალ დარგთა შეძენა და განვითარება ერთობ ნამდვილი მოწმეა ამ ფაქტისა. ახლა ვიკითხოთ: ვის აქვს ხვედრი იმ საზოგადო ნივთიერ გაუმჯობესობაში? ყველა იღებს თავის ხვედრ წილს ამ გაუმჯობესობაში, თუ მარტო რამდენიმე პირი? ჩვენდა საუბედუროთ ამ კითხვების, როგორც აგრეთვე მრავალი სხვებისაც, სინამდვილით და სისწორით განსჯა ახლა ჩვენთვის შეუძლებელია. შეგვიძლია გამოვთქვათ ჯერ-ჯერობით მხოლოთ ის ყველასაგან ცნობილი ფაქტი, რომ ჩვენი ერის უმრავლესობის ცხოვრება ერთობ ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაშია. თითქმის ყველა ჩვენმა მექრონიკეებმა და გაზეთების კორესპოდენტებმა დიდი ხანია, რაც შენიშნეს ჩვენში რალაც ნაირი განხეთქილება, არევ-დარევა, რომელშიაც წინდახედული და შორს გამჭვერეტი თვალი შენიშნავს, ერთის მხრით, ძველ პატრიარქალურ-ნატურალურ წარმოებას, და, მეორე მხრით, ძველ ისტორიულ წოდებრივ განსხვავებათა თანდა-თან გაქარწყლებას. ამ მოძრაობას თან დაყვება აგრეთვე ბევრ წვრილ-წვრილ მესაკუთრეთაგან მამულის ხელიდან გაშვება და მათი უმიწა-წყლოთ დარჩენა. ერთი სიტყვით ახალ საზოგადოებას გაუჩენია ერთი ახალი კერპი, რომელსაც ის ყველაფერს ანაცვალებს, ადამიანურ მსხვერპლსაც კი ჰსწირავს. სახელი ამ კერპისა არის ფული. ფული ასწორებს იმ ოკრო-ბოკროს და უსწორ-მასწორობას, რომელიც დაგვილოცა ძველმა მონურმა და ბატონყმურმა საზოგადოებამ, მაგრამ თვითონვე ქმნის ახალი ყაიდის უსწორ-მასწორობას. ეს უსწორ-მასწორობა გარეგანის შეხედულობით უფრო მარტივია, ვინემ ძველი ბატონ-ყმური: თუ ბატონ-ყმურ საზოგადოებაში წოდებათა და წოდებრივ განსხვავებათ ჰქონდათ მრავალი საფეხური, ახალს კაპიტალისტურს საზოგადოებაში მისი წევრნი, განურჩევლათ წოდებათა, იკრიბებიან ორ უმთავრეს ბანაკათ: „ერთი მხრით — ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით, — მუქთახორა, ბურჟუა-კაპიტალისტები“ (სტ. ს. ჯიბლაძისა). ამ ორ ახალ დაბადებულ წოდებათა ანუ კლასთა შორის არის ჩამოვარდნილი ბრძოლა სამტრო-სასიცოცხლოთ.მაგრამ ეს ბრძოლა ყოველგან ერთნაირათ არ არის ფარდა ახდილი. აქ უკვე წოდებრივი კარ-ჩაკეტილობა და სიამაყე კარგავენ თავიანთ უპირატესობას. -თავადი, აზნაური, მღვდელი, თუ გლეხი, ყველანი ერთნაირათ იხრიან მუხლს

ახალი კერპის წინაშე და თუ ხანდახან წავაწყდებით ამ წოდებრივი სიამაყის გამოჩენას, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს უკვე უკანასკნელი ამოსუნთქვაა, რომ წინანდელი ბატონი უკვე სამარისაკენ მიისწრაფვის ძალაუნებურათ.

ჩვენ მოწინააღმდეგეებმა, შეიძლება, გვისაყვედურონ, ვითომც ჩვენ ცალმხრივათ ვუყურებდეთ ცხოვრებას, რომელშიაც კიდევ სხვა ფაქტორები მოქმედებენ, გარდა კაპიტალიზმისა და ჩვენ კი იმათ ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩვენ ამის შესახებ ზევითაც ვთქვეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ მართალია, კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთათ არსებობს ჩვენში აქა-იქ ნატურალური წარმოებაც, მაგრამ, როგორც ვამბობდით, ეს უკანასკნელი უკვე თავისი თავის დასამარხავათ მომზადებულა; საქმე ნატურალურ წარმოების არსებობაში კი არ მდგომარეობს — (ჩვენს დროში აქა-იქ არქაიული კომუნიზმის ნაშთსაც ვპოულობთ), არამედ იმაში, თუ რა შეადგენს სულს და გულს ახალი დროისას, ნამდვილ მის მიდრეკილებას. ამიტომ ჩვენ უნდა სამუდამოთ დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი დროის უმთავრეს მიდრეკილებას, მის სულს და გულს შეადგენს კაპიტალისტური წარმოება ისე, როგორც მის წინ მისი ადგილი ეჭირა ნატურალურ წარმოებას. აი, სწორეთ ამ კაპიტალისტურ წარმოების ჭახრაკში გვაქვს ჩვენ გაყოფილი თავი რამოდენიმე ხანია. ამასთანავე ჩვენ ვიცით, თუ რა უმეცრების ნახტომს წარმოადგენს იმის წადილი, რომ კაპიტალისტური წარმოება შეჩერდეს პირველ საფეხურზედვე, თავის ზრდის დამთავრებამდის. რაც შეეხება იმას, რომ კაპიტალისტური წარმოება თავის ხელითვე იმზადებს თავის დასაკლავ დანას, ეს ჭეშმარიტება დღეს ყველასაგან მიღებულია, ·ვინც კი მეცნიერულათ იკვლევს ამ საგანს. მიღებულია აგრეთვე ის ჭეშმარიტებაც, რომ ის უმაღლესი წეს-წყობილება, რომელიც დამყარდება კაპიტალისტური წეს-წყობილების მოსპობის შემდეგ, დაფუძნებული იქნება ყველა იმ კულტურულ შენაძენებზე, რომელნიც კაპიტალისტურმა წარმოებამ მისცა კაცობრიობას. ამისათვის ჩვენც კაპიტალიზმის იმედი გვაქვს. კაპიტალისტური წარმოება ჩვენ უნდა ჩავთვალოთ ნამდვილ სკოლათ, რომელიც სწავლის და ვარჯიშობის დროს ბევრ მსხვერპლს მოითხოვს; გარყვნის და კიდევაც გაათახსირებს რამოდენათმე საზოგადოებას, მაგრამ კულტურულ მომზადებას, სწავლა-განათლებას, მეცნიერებას და უმაღლეს ტეხნიკას, — შემდეგი ისტორიული ეპოქისათვის, — მარტო ის შეგეძენს.

ამნაირია ჩვენი რწმენა, მაგრამ ის არავინ იფიქროს, ვითომც ჩვენ არ ვგრძნობდეთ და არ ვაფასებდეთ იმ მსხვერპლს, რომელსაც თხოულობს კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში. ან კი რომელი ფორმა წარმოებისა არ თხოულობს მას. ჩვენი განსხვავება ჩვენ მოწინააღმდეგეთაგან სხვათა შორის იმაშიც მდგომარეობს, რომ რასაც ისინი ხელს აფარებენ და თითქმის პირდაპირ უარსაც ჰყოფენ, ჩვენ გვსურს ყველა ამას ფარდა აეხადოთ, საზოგადოებას დავანახოთ, და ამასთანავე ვუჩვენოთ მას კაპიტალიზმის ცუდი შედეგებისაგან თავდასახწევი საშუალებანი, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ნაკადულის შეგუებებით დაკავება ყოვლად შეუძლებელია; თუ გვსურს ნაკადულმა არაფერი ზიანი მოგვცეს, ის უნდა ჩავაყენოთ კალაპოტში. კაპიტალიზმის განვითარების საქმეც ამ ნაირათ არის. რაც შეაფერხებს ჩვენში კაპი-

ტალიზმის განვითარებას, მის ნორმალურ ზრდას, ყოველივე ის უფრო-და-უფრო გაამწვავებს მის მავნე შედეგებს და დაგვიანებს მის ზრდა-განვითარების დამთავრების ხანას. ეჭვი არ არის, რომ ჩვენ პუბლიცისტთა მიერ უარყოფა კაპიტალიზმის არსებობისა ჩვენში, კაპიტალისტური წარმოების განვითარებას სრულებითაც არ შეაფერხებს, მხოლოთ ეს ხელს უშლის კაპიტალიზმის მავნე შედეგების ცოტათ, თუ ბევრათ, შემცირებას. გერმანია, სადაც სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე შეიგნო საზოგადოებამ ეს გარემოება, მიბაძვის მაგალითს უჩვენებს დანარჩენ ქვეყნებს.

როგორც ზეგით შეენიშნეთ, ჩვენი დღევანდელი ცხოვრება დიდ საყურადღებო მასალას იძლევა ჩვენში კაპიტალისტური წარმოების არსებობის შესახებ. ოამოდენიმე ნაწილი ამ მასალისა მოთავსებულია ნ. ჟორდანიას დიდათ საყურადღებო წერილში „ეკონომიური განვითარება და ეროვნება"; ამავე სულით არის გამსჭვალული ჩვენი საზოგადოებისათვის უდროოთ დაკარგული მწერლის, ეგ. ინგოროყვას [15]), მოთხრობები. ჩვენ გვსურს, სხვა ადგილას, ყველა ეს მასალა შევკრიბოთ და სისტემაში მოვიყვანოთ. აქ, სანამ ამ წერილს გავათავებდეთ. საკმარისი იქნება მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი, რომელიც დაგვანახვებს, ერთი მხრით, ნატურალური წარმოების გაქარწყლებას, და, მეორე მხრით, კაპიტალიზმის არსებობას.

გასულ 1894 წლის გაზ. „ივერიის" მე-98-ში ცნობილი „ივერიის" მოთავე წერს შემდეგს: „მაშინ (ოცი — ორმოცი წლის წინათ) არამც თუ საკირო იყო ჩვენი საკუთარი პური გვეჭონოდა და სხვა საკირო მარცვლეულობა, არამედ სამოსელიც კი. გავიხსენოთ მარტო ის ამბავი, რომ ამ ოც-ოცდაათი წლის წინათ ერთს სოფელს ისე არ გაივლიდით, რომ ქსელი და მაქო ფეიქრისა არ დაგენახათ, მატყლის საჩეჩელი საშალე ძაფისთვის არა ყოფილიყოს გამართული თითქმის თვითოეულის მცხოვრების დერეფანში, ხშირათ არ შეგხვედროდათ სამღებროები ნაქსოვის, თუ ნაკეთების საღებავათ და სხვა ამისთანა წვრილმანი საოჯახო. საშინაო მრეწველობა იმ დანიშნულებით, რომ ქვეყანამ შინ იქონიოს ყველაფერი. — აღებ-მიცემობის მოწყალებით ეს წვრილმანი საოჯახო და საშინაო მრეწველობა გაუქმდა. ამ გარემოებამ და ამასთან იმანაც, რომ სახელმწიფო ხარჯს წინათ მიწის მოსავლით იხდიდა ხალხი და ახლა ფულათ სახდელი გაუხდა, ის მოიტანა, რომ ფულის შოვნა მეტად გაძლიერებულ საჭიროებათ შეიქმნა ჯერ ხსენებულ ნაწარმოებთა სასყიდლათ და მერე სახელმწიფო ხარჯის სახდელათ". ასე მჭერმეტყველურათ გვიხატავს ნატურალისტური წარმოების გაუქმებას ჩვენში „ივერიის" მეთაურის მეტათ ცნობილი ავტორი, თუმცა სხვა ადგილს, ის ეწინააღმდეგება ამას. მაგრამ ეს ხომ საზოგადო სენია თითქმის ყველა ქართველ მწერალთა, და თვით ბ. ვ. წ. კი გვეუბნება, თუ მას რამე დაეჯერება ამდენი ჩვენი მოღორების შემდეგ, რომ „უფულოთ, უკაპიტალიზმოთ ახლა ცხოვრება შეუძლებელიაო".

ნატურალური წარმოების მდგომარეობის დასაფასებლად, საჭიროა აგრეთვე მოვიყვანოთ შემდეგი სიტყვები ბ. აბრამიძისა (იხ. ამ წლის „მოამბე" № 2, სტ. „პროვინც. ცხოვრება". კახეთი, გვ. 91): ხშირათ ყანთარზე ერთი ლიტრა ფქვილიც არ მოიძებნებოდა, ახლა კი სურათი გამოიცვალა. საჭიროებამ გამო-

იწვია ახალი დარგი ეაპრობისა და ეს დარგი გახლავთ სულადის ყიდვა... ასე რომ, დღეს თელავში ფქვილი არის არა ნაკლებ ო�აი ათასი ფუთისა. ახლა იკითხეთ, სადაურია ეს ფქვილეულობა? როსტოვისა გინდათ, კავკავისა, ერევნისა, საგარეჯოსი, თუ ქიზიყისა, სულ აქ არის. წარმოიდგინეთ, რომ სიმინდიც კი ძოდის კავკავიდან. ახლა ერთი ბ. ვ. წ. და მის ამხანაგებს კითხეთ, მკითხველო, ძოასწავებს თუ არა ეს ყოველივე „ნატურალური წარმოების ჯერ კიდევ მარჯვეთ ხელის ჩაკიდებას?" როგორც კახეთი, იმავე ყოფაში არიან საქართველოს დანარჩენი კუთხეებიც. მაგრამ ვგონებ, არც ერთ საქართველოს სხვა კუთხეში კაპიტალიზმი არ შესულა ისე სწრაფათ, როგორც ამ ნამდვილ ნატურალური წარმოების სამფლობელოში, ლეჩხუმში და სვანეთში. ჩვენ ელაპარაკობთ სერებრიაკოვის ხე-ტყის ექსპლოატაციაზე, ამ ვეებერთელა წარმოებაზე, რომელშიაც დაქსაქსულია მილიონამდე კაპიტალი. ეს ხე-ტყის ექსპლოატაციის საქმე ჯერ სულ ახალი საქმეა, სამი თუ ოთხი წლისა, მაგრამ ჩვენს მოწინააღმდეგებს ყველაზე უფრო ვურჩევთ ნახონ და გაშინჯონ ეს საქმე და მაშინ დაინახავენ, თუ რა ნაირის სისწრაფით სრულდება ამ პატრიარქალურ ნატურალურის წარმოების სამფლობელოში დარღვევა და დაქცევა ძველი წესისა და ახალი წარმოების, ახალის წესწყობილების საფუძველის ჩაყრა. ჩვენ ამ რამდენიმე ხნის წინათ თვითონ ვიყავით მოწამე ამ ღირს-შესანიშნავ მოძრაობისა. ეჭვი არ არ ის, რომ ამ ერთ და იმავე დროს დამრღვეველ და ამშენებელ პროცესს თან მიჰყვება გათახსირება და გარყვნა საზოგადოების მრავალ წევრთა; მაგრამ ეს ყოის მხოლოთ გარეგანი მხარე ამ შესანიშნავი მოძრაობისა. ჩლუნგი და შორ-გაუქვრეტელი გონება მარტო ამ მხარეს შენიშნავს; და მის შინაგან მხარეს, მის კულტურულ მნიშვნელობას, მარტო ფართო გონების პატრონი, შორს გამქვრეტელი თვალი, დააფასებს და აღნიშნავს.

ჩვენ აქ არ ვთვლით საჭიროთ კიდევ განვაგრძოთ სხვა-და-სხვა მაგალითების დასახელება წარმოების და მრეწველობის განვითარებაზე. ჩვენში; არაფერს ვიტყვით თვით ჭიათურის შავი მადნის წარმოებაზე, რის შესახებ მინისტრმა ერმოლოვმა წარმოსთქვა შემდეგი საყურადღებო სიტყვები: „წარმოების ისტორიაში — თქვა იმან — არ არის მეორე მაგალითი ახალის წარმოების ისე სწრაფათ გაძლიერებისა, როგორც ვხედავ აქ შავი ქვის მადნებში" (იხ. „ივერია" 1894 წ. № 207).

ამნაირი შინაარსისაა ის აუარაბელი ფაქტები, რომლების სულ მცირედი ნაწილი მოვიყვანეთ ჩვენ აქ. რას მოასწავებენ ისინი? მას, რომ ჩვენ თვალს არ უნდა ვიბრმავებდეთ თავისი ნებით ცხოვრების წინაშე და მას სინათლის თვალით ვუკვირდებოდეთ. მაშ, ს. ჯიბლაძესთან ერთათ ვუსურვოთ „გამარჯვება ახალ დასს. მისია მომავალი. გაუმარჯოს ყველას, ვინც ებრძვის და თელავს სიბნელეს და მიისწრაფება სინათლისაკენ". —

ჟურნალი „ქვალი" 1895 წლის №№ 20, 21, 22 და 23.

ისტორიული მატერიალიზმი

I.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ არცოდნა არცოდვაა; მაგრამ იმაზე უფრო ცუდი არა არის რა, როცა ეს არცოდნა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, უვიცობა, მეცნიერების მანტიაში გახვეული საჯაროთ გამოდის და ქადაგებს. თუ საზოგადოთ უვიცობა ყოველთვის მავნებელი იყო და არის, უვიცობა ყბედი, გაბედული და რიხიანი კიდევ უფრო მავნებელი და დამღუპველი უნდა იყოს. ეს მოგვაგონა ჩვენ ბ-ნ არჩ. ჯორჯაძის[1]) წერილმა ისტორიულ მატერიალიზმზე („ცნ. ფურც." №№ 1510 და 1517). ბ. ჯორჯაძე სულ რამდენიმე თვეა რაც ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობს, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში მან საკმარისათ გაგვაცნო თავისი თავი. მისი ეროვნული პროგრამა ქართველი ბურჟუაზიის ასაყვავებლათ და მისი შეხედულება ხალხზე, როგორც უგუნურ, ბრიყვ ბრბოზე, რომელსაც „გონიერი" ინტელიგენცია საითკენაც სურს, იქით აქნევინებს თავს, აშკარათ ლაღადებს, თუ ვის უგალობს ბ. ჯორჯაძე და რა აელა-დიდების პატრონი უნდა იყოს იგი. ყოველივე ეს თავის დროზე საკმარისათ იქნა დაფასებული, და ამიტომ ამას ალარ დაუბრუნდებით. ვიტყვით მხოლოთ, რომ ყველა აღძრულ კითხვების გარკვევაში ბ. ჯორჯაძემ გამოიჩინა სრული მოუმზადებლობა. ხოლო ეს მოუმზადებლობა საზღვარს გადასცილდა, როცა მან ისტორიული მატერიალიზმის გაშოლტვა მოინდომა.

ისტორიული ანუ დიალექტიური მატერიალიზმი, რომელიც მე-XIX საუკუნის ერთ უდიდეს და უშესანიშნავეს შეძენას შეადგენს, საზოგადოებრივ მეცნიერებაში თამაშობს იმავე როლს, რასაც ბუნებისმეტყველებაში მსოფლიო მიმზიდველობის კანონი. ისტორიული მატერიალიზმის დამკვიდრება საზოგადოებრივ მეცნიერებაში წარმოადგენს იმ წერტილს, საიდანაც იწყება სრულიად ახალი ხანა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. წინათ ისტორია წარმოადგენდა აურაცხელი ფაქტების გროვას, რომლებიც სრულიად გარეგნულად იყვენ გადაბმული ერთიმეორეზე და რომლებიც ყველაფერზე ლაპარაკობდენ, მაგრამ არაფერს არ ხსნიდენ. ისტორიაში ყველაფერი დამოკიდებული იყო შემთხვევაზე; მეცნიერება ისტორიულ მოვლენების კანონთა თანხმობაზე სრულე-

ბით არ არსებობდა. მართალია, მე-XVII და განსაკუთრებით მე-XVIII საუკუნეში ბევრი ეცადენ, რომ ისტორიული მოვლენები დაემორჩილებიათ განსაზღვრულ კანონებისათვის, მაგრამ ამ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. მხოლოთ მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარდა ახალი მოძღვრება, რომელმაც ბოლო მოუღო ამ უსისტემობას და არევ-დარევას. აღმოჩნდა, რომ ისტორიული მოვლენები ჩნდება ბუნებრივ თანდათანობით, რომ თვითნებობას და შემთხვევას აქ სრულებით ადგილი არა აქვს. ამ მოძღვრებით კაცობრიობის განვითარების ისტორია მის საწარმოვო ძალთა განვითარების ისტორიაა. ძველი საბერძნეთი და რომი, საშუალო საუკუნოები და ახალი ისტორია, აგრეთვე ძველი და თანამედროვე ველურ ხალხთა ცხოვრება ამ შეხედულების სრული დამტკიცებაა. მეცნიერებამ არ იცის მეორე უფრო ნაყოფიერი თეორია, ვინემ თეორია ისტორიული მატერიალიზმისა. როგორც ყოველივე ახალ სწავლას, ისე ამ მოძღვრებასაც გაუჩნდენ მოწინააღმდეგეები. ეს წინააღმდეგობა ვაამწვავა იმ გარემოებამ, რომ ისტორიული მატერიალიზმი დაყრდნობილია კლასთა შორის ბრძოლაზე. ამიტომ თუ მოწინააღმდეგეთა ერთი ნაწილი, მეედარებით უფრო მცირე, ამხედრდა ამ მოძღვრების წინააღმდეგ, სამაგიეროთ მეორე ნაწილი, შედარებით მეტი, ებრძოდა და ებრძვის მას იმ შედეგების გამო, რომლებსაც იწვევს იგი პრაქტიკულ ცხოვრებაში. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ისტორიულ მატერიალიზმზე, ერთ და იმავე დროს ორი მხრიდან იქნა მიტანილი ციერიში, ბოლოს მან მაინც გაიმარჯვა. საზოგადოებრივ მეცნიერებაში ეს მოძღვრება ჭეშმარიტებათ არის დღეს აღიარებული. მართალია, აქა-იქ თქვენ გაიგონებთ ასეთ ფრაზებს: „მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე სიმართლეს მოკლებული არ არის, მაგრამ იგი ცალმხრივია"; ან კიდევ: „მართალია, საწარმოვო ძალანი შეადგენენ საზოგადოების უმთავრეს ძარღვს, მაგრამ ყველაფრის ამით ახსნა არ შეიძლებაო" და სხვ.; მაგრამ ეს მხოლოთ უძლურებას ნიშნავს და მეტს არაფერს.

ასეთი ადგილი უჭირავს დღეს ისტორიულ მატერიალიზმს თანამედროვე მეცნიერებაში. ამიტომ, ვისაც ამ მოძღვრების კრიტიკა ან უარყოფა სურს, მან უპირველეს ყოვლისა უნდა გადასინჯოს კაცობრიობის ისტორია და თუ დარწმუნდება, რომ ეს ისტორია არ ამართლებს დიალექტიურ მატერიალიზმს, იქ შემთხვევაში უარყოს ეს უკანასკნელი. ვისაც ეს არ შეუძლია, მაგრამ მაინც სურს ამ მოძღვრების უარყოფა, ეს მისი საქმეა; უნდა იცოდეს მხოლოთ, რომ მის მოქმედებას არავითარი ფასი არა აქვს იმათ თვალში, ვინც მხოლოთ ფაქტებს და სინამდვილეს აქცევს ყურადღებას და არა სიტყვების რახა-რუხს. ასე მოიქცა ბ. ჯორჯაძე: მან ერთი კალმის მოსმით უკუაგდო და ვითომც კიდევაც გააქარწყლა ერთი ულრმესი და უუნაყოფიერესი სწავლა. ახლა ვიკითხოთ: რა ბრალსა სდებს ან რაში ამტყუნებს ბ. ჯორჯაძე ისტორიულ მატერიალიზმს? მისი სიტყვით, ისტორიული მატერიალიზმი დამნაშავეა სამ მომაკვდინებელ ცოდვაში: 1) ამ მოძღვრების განმარტებით „ცხოვრების პროცესი ობიექტიურია, ე. ი. უაზროა" (ხაზს აქ ჩვენ ვუსვამთ) და ინტელიგენციას არა თხოვს რჩევა-დარიგებას; 2) ისტორიული მატერიალიზმი, როგორც ისეთი მცნება, „რომელიც ადამიანის გამოცდილების გარეშე

არის". მეტაფიზიკური სწავლაა და არა მეცნიერული; 3) ისტორიულ მატერიალიზმს ლოგიკური კავშირი არა აქვს მარქსის ეკონომიურ მოძღვრებასთან. სანამ ჩვენ პირდაპირ საგანზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ ბ-ნი ჯორჯაძის მიერ დასახელებული „კოდეები".

ბ-ნი ჯორჯაძე ასე განმარტავს ჩვენ მოძღვრებას: „ისტორია მოვლენათა აკლილებაა. ამ ცვლილებას ახდენს ეკონომიური ურთიერთობა, მატერია (ხიეთი)". აგვიხსნა რა ასე მშვენიერათ ისტორიული მატერიალიზმი, ავტორი კითხულობს: „რანაირი პროცესია ცხოვრების მოვლენათა და ფორმათა პროცესი? დამოკიდებულია იგი ადამიანის ანუ გაოეიე ძალის სურვილისაგან (სუბიექტიეურია), თუ დამოუკიდებელია ამისაგან (ობიექტიეურია)?" და თვითონვე იძლევა პასუხს: „ეს პროცესი გარეშე ძალისაგან, ადამიანთ სურვილისაგან, დამოუკიდებელი, ობიექტიური პროცესიაო — ამბობენ მატერიალისტებიო". რომ კიდევ უფრო ჩაიჭიროს ბრალდებული, — ისტორიული მატერიალიზმი, ბ. ჯორჯაძე, მსგავსათ გამოცდილი ბრალმდებელისა, იძლევა ასეთ კითხვას: ბრალდებული! გირჩევეთ გამოტყდეთ და აღიაროთ ჩემს წინაშე: „აქვს თუ არა ამ კაცისაგან დამოუკიდებელ ცხოვრების ობიექტიურ პროცესს რაიმე განსაზღვრული მიზანი, ლტოლვილება, მიმართულებაო?" ხოლო ბრალდებული, გაოცებული ასეთი მოულოდნელი შეკითხვით, ბაგითა ჯორჯაძისათა აცხადებს: „არა. ობიექტიური ცხოვრების პროცესი ექვემდებარება აუცილებლობის კანონს. მას არავითარი მიზანი და ლტოლვილება არა აქვს" (ხაზს აქ ყველგან ჩვენ ეუსვამთ). ბ. ბრალმდებელი ამ განცხადებას ბრალდებულისას სრულიად საკმარისად სთვლის და ამიტომ აქ სწყვეტს ჩვენების ჩამორთმევას. შემდეგ ის ასეთ განაჩენს იძლევა: ჩემთვის სულ ერთია „სამართლიანია ასეთი ისტორიული პროცესის განმარტება", თუ არაო. „ეთქვათ, ეს ისტორიული მოძღვრება საფუძვლიანი და შეურყეველიაო", მე ამასთან რა საქმე მაქვსო. მე მხოლოდ იმაში ვამტყუნებ ისტორიულ მატერიალიზმს, რომ იგი ჩემისთანა ინტელიგენტებს გზას უკრავს, პრაქტიკულ მოქმედებისთვის ნიადაგს გვისპობსო. აქ ბრალმდებელი ჯორჯაძე სიბრაზისაგან აღელვებული ეელარ ითმენს და ასეთი სიტყვით მიმართავს სჯზოგადოებას: ბატონებო, — გაიძახის ის, — თქვენ უწყით, რომ „ყველა ადამიანი „ავს" „კარგისაგან" არჩევს; ზოგიერთ საქციელს ამართლებს, ზოგიერთს ჰკიცხავს. ყოველ ადამიანს, რომელსაც განუსაზღვრავს ავი კარგისაგან, ამ კარგისაკენ აქვს მიდრეკილებაო... რაც ითქმის ერთ ადამიანზე, ისევე ითქმის გონიერ ადამიანთა კრებულზე — ინტელიგენციაზე. ყოველ ინტელიგენტს აქვს განსაზღვრული დაფასება კარგისა და ცუდისა... და ცხოვრების მიზანი. რომლისკენაც იგი მიილტვისო". მაგრამ ჩვენდა (ე. ი. ინტელიგენციის) საუბედუროთ, გაჩენილა ეს რაღაც ისტორიული მატერიალიზმი და ქადაგებს, რომ ცხოვრება თქვენ (ინტელიგენტებს) არ გეკითხებათ, იგი ემორჩილება მხოლოთ აუცილებლობის კანონსო. როგორ გსურთ ახლა თქვენ? ნუ თუ ჩვენ უნდა მოვიხაროთ ქედი ცხოვრების ობიექტიური, უაზრო პროცესის წინაშე და ხელი ავიღოთ პრაქტიკული მოქმედებისაგან? არა, ჩვენ ამას არ ვიზამთ. ისე უმჯო-

ბესია ჩვენ „უარყოთ კაცთა ცხოვრების ობიექტიური. კაცისაგან დამოუკიდებელი პროცესი“ და გამოვაცხადოთ, „რომ ადამიანის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ურმის თვლის სოლს კი არ მიაგავს, არამედ თვით ურმის თვალს და რომ მის მოქმედებას შემოქმედებითი ძალა აქვს და მის ზნეობას თავისი საკუთარი მოძრავი ხასიათი და მხოლოთ ამ შემთხვევაში განთავისუფლდება ინტელიგენციის მოქმედება ცხოვრების ობიექტიური (დამოუკიდებელი, უაზრო და უმიზნო) პროცესის მონობისაგან“ და მიეცემა მას ფართო სარბიელიო. მაშ, ძირს ისტორიული მატერიალიზმი თავისი ობიექტიური პროცესით! სამაგიეროდ, გაუმარჯოს „აზრიან“ და „გონიერ“ ინტელიგენციას და მის სუბიექტიურ მსჯელობას, — ასე ათავებს თავის პათეთიურ სიტყვას ბ. ჯორჯაძე.

აქ ჩვენ ბ. ჯორჯაძეს ვთხოვთ დამშვიდდეს და პასუხი გვიგოს შემდეგ კითხვებზე. პირველად: რას ნიშნავს სიტყვა უ ა ზ რ ო საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესის დასახასიათებლათ? ისტორიული მატერიალიზმი გვასწავლის, რომ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება დამოკიდებულია საწარმოვო ძალთა განვითარებაზე: იცვლება ეს უკანასკნელი. იცვლება თვით საზოგადოებრივი ცხოვრებაც. და პირიქით: თუ ნივთიერ პირობებში არავითარი ცვლილება არ ხდება, იქ საზოგადოებრივი ცხოვრებაც უმოძრავოთ რჩება, იგი თითქოს იყინება ერთ ადგილზე. ამ პირობის გარეშე არც ერთ პიროვნებას, თუნდაც მისი ტეინი ასი და ორასი ჯორჯაძეების ინტელიგენტურ ტვინს უდრიდეს, არ ძალუძს მცირეოდენი ცვლილების მოხდენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეორე მხრით, ნივთიერი პირობების ცვლილებები, ან საწარმოვო ძალთა განვითარება, ემორჩილება განსაზღვრულ კანონებს. ე. ი. თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი ს კ ა ნ ო ნ ს. მაგალითად, ფეოდალური წარმოება არ შეიძლებოდა მონობის წინათ არსებულიყო, ისე, როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული წარმოება—ფეოდალურის წინათ. ამას ჰქვია კ ა ნ ო ნ თ ა თ ა ნ ხ მ ო ბ ა, ცნება, რომელიც პირველათ ისტორიულმა მატერიალიზმმა დაამკვიდრა საზოგადოებრივ მეცნიერებაში. ისტორიულ ცხოვრების ასეთ მსვლელობას თქვენ უწოდებთ უ ა ზ რ ო ს! რა საბუთით? ნუ თუ იმიტომ, რომ თქვენისთანა ინტელიგენტს პიროვნებას არ ძალუძს შეაჩეროს ბუნებრივი განვითარება? ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესი „აზრიანი“ იქნებოდა, რომ „გონიერ ადამიანთა კრებულს“, — ინტელიგენციას, შესძლებოდა „თავის სურვილისამებრ“ ამ ცხოვრების შეცვლა? გარდა ამისა, როგორც თქვენ უწყით, „ყოველ ადამიანს თავისი მიზანი და ლტოლვილება აქვს, ესე იგი, უფრო მდაბიურათ რომ ვთქვათ, ყოველ ადამიანს (ძეტადრე, თუ ის ინტელიგენტია) თავის „სურვილი“ აქვს. ახლა ჩვენ წარმოვიდგინოთ, რომ თითეულმა იმათგანმა თავის სურვილისამებრ მოინდომა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების შეცვლა. რა გამოვა მაშინ? აი, მაშინ აირევა მონასტერი! და სწორეთ ამ არევას უწოდებთ თქვენ „აზრიანობას“. ესე იგი, როცა ერთი რომელიმე საზოგადოებრივი მოვლენა დამოკიდებულია მეორე მოვლენაზე, როგორც შედეგი მიზეზზე, თქვენ ამბობთ, რომ ეს „უაზრო“ პროცესიაო; და როცა ამავე მოვლენის მიზეზათ თქვენ ასახელებთ რომელიმე ინტელიგენტის სურვილს, — ეს „აზრიანი“, სუბიექტიური, პროცესიაო. დაფიქრდით, აბა რას ამბობთ!

II

ჩვენ დავინახეთ, რომ ბ. ჯორჯაძემ უარყო ცხოვრების პროცესის ერთადერთი შესაძლებელი მეცნიერული განმარტება; ნაცვლათ ამისა მან გამოაცხადა, რომ ცხოვრების მიმდინარეობა, პროცესი დამოკიდებულია ადამიანთა სურვილზეო. ამნაირათ ბ. ჯორჯაძემ საზოგადოებრივი მეცნიერებიდან გამოდევნა ობიექტივიზმი. და ნაცვლად იმისა იქ გაამეფა უკიდურესი სუბიექტივიზმი. ეს უდრის საზოგადოებრივი მეცნიერების სრულიად გაუქმებას, ლიკვიდაციას. მართლაც, თუ საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი მოვლენები არ ექ�ემდებარებიან არავითარ კანონს, თუ ყოველივე ეს დამოკიდებულია მხოლოთ ადამიანის სურვილზე, იმ შემთხვევაში სოციოლოგიას, როგორც მეცნიერებას, ეკარგება ყოველგვარი ნიადაგი; მასში ყოველად შეუძლებელი ხდება არა თუ რაიმე სისტემის შეტანა, არამედ უბრალო წესრიგის დამყარებაც კი. ეს თხოულობს ცოტა უფრო გულდასმით განხილვას.

როგორც ვიცით, ბ-ნი ჯორჯაძე ისტორიულ მატერიალიზმს ამტყუნებს „ეპაში, რომ ამ მოძღვრებით ყოველგვარი საზოგადოებრივი მოვლენები ჩნდება და ვითარდება ობიექტურათ, აუცილებლობის კანონთა მიხედვით; ასეთი შეხედულება კი, მისი აზრით, უარყოფს პიროვნების როლს ისტორიაში, ქმნის მას (პიროვნებას) „ურმის თვალის ჩხირათ". მაშასადამე, ინტელიგენციას ეცლება ყოველგვარი ნიადაგი პრაქტიკული მოქმედებისათვის. და სწორეთ ამ უკანასკნელმა გარემოებამ ჩააყენა ბ-ნი ჯორჯაძე ასეთ გასაჭირში. ის მსჯელობს ამნაირათ: ხალხი შედგება ორი არათანასწორი ნაწილისაგან: ერთი მხრით სდგას უბრალო ბრბო, გაუგებარი და ბრიყვი (უმრავლესობა), ხოლო მეორე მხრით — გონიერ ადამიანთა კრებული, ინტელიგენცია (უმცირესობა). ეს უკანასკნელი ნაწილი თავის სურვილისამებრ განაგებს პირველს, ე. ი. ბრბოს, ასე რომ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება გონიერ ადამიანთა სურვილების განხორციელებას წარმოადგენს და მეტს არაფერს. აქ ბურთი და მოედანი ინტელიგენციის სრულ მფლობელობაშია. მაგრამ ამ ნეტარებიდან ბ-ნი ჯორჯაძე გამოყავს შემდეგ ამბავს: მას ეუბნებიან, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ექვემდებარება აუცილებლობის კანონს, რომ ყოველივეს, რაც კი მასში ხდება, ამ აუცილებლობის დაღი ასვია. ამის გაგონება ბ. ჯორჯაძეს მეტათ მწარე ფიქრებს ჰგვრის. ის ამბობს: რადგანაც საზოგადოებრივი ცხოვრება ექვემდებარება აუცილებლობის კანონს, ამიტომ მასში „არავითარი აზრი, მიზანი და ლტოლვილება არ არისო". ჩვენ, ე. ი. ინტელიგენციამ რათ უნდა შეეუწყოთ ხელი ამ უაზრო და უმიზნო ცხოვრებას, სადაც მოქმედობს მხოლოთ აუცილებლობის კანონიო? აქედან ბ-ნი ჯორჯაძე იმ დასკვნამდე უნდა მისულიყო, რომ ბევრათ უმჯობესია ინტელიგენცია გულზე ხელდაკრეფილი შეჰყურებდეს მომავალს და პრაქტიკული მოქმედებისათვის სრულებით ხელს არ ანძრევდეს, რადგანაც რაც მოსახდეხია, უიმისოთაც კარგათ მოხდება, და თუ იგი ამ დასკვნამდე არ მივიდა, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ მან გადაკრით უარყო ცხოვრების ობიექტიური პროცესი. ამით მან ვითომც იხსნა პიროვნება დამცირებისაგან, იცნა მისი როლი ისტორიაში. ასე ჰგონია თვით ბ. ჯორჯაძეს. მაგრამ ასეა კი ნამდვილათ?

ბ-ნი ჯორჯაძე გვეუბნება, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არავითარი კანონი არ არსებობს, გარდა ადამიანის სურვილისა, მაგალითისათვის წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე საზოგადოებაში გავრცელებულია სხვადასხვა ბოროტება და ავაზაკობა, როგორც კაცის კვლა, ღალატი, ქურდობა და სხვ.; რა თქმა უნდა, ყველა ამის მოსპობა აუცილებლათ საჭიროა საზოგადოების კეთილ-დღეობისათვის. ენახოთ ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს ბ. ჯორჯაძის ინტელიგენცია: იგი არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს იმას, თუ რამ გამოიწვია, ან რა პირობებმა შექმნა საზოგადოების ესა თუ ის ბიწიერებანი; არა, იგი პირდაპირ მოინდომებს ამ ბიწიერებათა აღმოფხვრას. ვთქვათ რომ, რაღაც სასწაულის ძალით, რაც, რასაკვირველია, არასოდეს არ მოხდება, ინტელიგენცია აღწევს თავის მიზანს: ესა თუ ის ავაზაკობა თუ ბოროტება მისი სურვილისამებრ მოისპო საზოგადოებაში. მაგრამ ადამიანის სუბიექტიურ სურვილს ხომ საზღვარი არა აქვს. თქვენ იმას ნუ კითხულობთ, თუ რათ ეცვლება ასე ხშირათ სურვილები. თქვენ ძალაუნებურად უნდა დათანხმდეთ მხოლოდ იმაში. რომ ყველა ეს სურვილები უნდა განხორციელდეს. ამნაირად, თანახმად ასეთი მსჯელობისა, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ არსებული წეს-წყობილება შეიძლება ვისმეს სურვილით სრულიად სხვა წეს-წყობილებაზე იქნას შეცვლილი, დროის და გარემოების მიხედვით. მაგრამ თუ ეს ასეა, რა არის იმის თავდები, რომ მე ხვალვე არ მოვისურვებ იმის დამხობას, რაც დღეს შეუქმნია? მე თუ არ მოვინდომებ, უნდა ვიცოდეთ, რომ ამას ვინმე სხვა მოინდომებს. ახლა ერთი მითხარით: თუ დღეანდელ ჩემ ნამოქმედარს მეორე ეშლი ან ვსპობ ხვალინდელი ჩემი მოქმედებით, ან სხვისი მოქმედება შვრება ამ სიკეთეს, მაშინ აბა რაღა მნიშვნელობა ან ფასი უნდა ქონდეს ადამიანის პრაქტიკულ მოქმედებას საზოგადოებისათვის? ამიტომ დაბოლოს ბ-ნ ჯორჯაძის ინტელიგენცია ძალაუნებურათ იმ დასკვნამდე მივა, რომ უმჯობესია ისევ გულზე ხელ-დაკრეფილები შევყურებდეთ მომავალს, ვიდრე რაიმე მოვიმოქმედოთო. ბ-ნმა ჯორჯაძემ უარჰყო ობიექტივიზმი იმიტომ, რომ, რაც შეიძლება, ფართო სარბიელი მიენიჭებია პიროვნებისთვის და ნაცვლათ ამისა მიახწია იმას, რომ პიროვნებას დაუკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა და გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

განვიხილოთ ახლა, თუ რაში მდგომარეობს პიროვნების როლი ისტორიაში თანახმათ ისტორიული მატერიალიზმისა, რომელსაც ასე დაუშინებია ბ. ჯორჯაძე. ამ მოძღვრებით, საზოგადოებრივი ცხოვრება ბუნებრივი პროცესია, რომელიც ექვემდებარება განსაზღვრულ კანონებს. მაგრამ რადგანაც საზოგადოებრივი ცხოვრება შესდგება კერძო ადამიანთა მოქმედებათაგან, ამიტომ ეს მოქმედებები ამავე კანონებს უნდა ექვემდებარებოდეს. შეიძლება თქვენ იფიქროთ, რომ ამ დაქვემდებარებით ისპობა ადამიანის თავისუფლება და მასთან ერთად მისი ასეთი თუ ისეთი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მაგრამ რა არის ეს თავისუფლება, რა არის აუცილებლობა? როგორ შევარიგოთ ეს ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნებები? ადამიანი დადის, ისვენებს, სჭამს, და მას ჰგონია, რომ ამას იგი სჩადის თავისუფალი ნებით, თავისი სურვილით. მაგრამ ეს ნიშნავს მხოლოთ იმას, რომ მან არ იცის და ყურადღებას არ აქცევს, თუ რა არის იმის მიზეზი, რომ იგი დადის, ისვენებს და სხვ. ერთი

სიტყვით, სანამ ჩვენ არ დაეკვირვებივართ თავის მოქმედებას და არ შეგვიგნია იგი, როგორც აუცილებელი შედეგი წინა მოვლენათა, გვგონია, რომ ჩვენ სრულიად თავისუფლად ვმოქმედობთ, მაგრამ როცა შევიგნებთ, მაშინ ჩვენი თავისუფლება ნათლათ წარმოგვიდგება, როგორც პირდაპირი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა. ამნაირად თავისუფლება და აუცილებლობა ერთიერთმანეთში გადადის: ჩვენ თავისუფალი გვგონია თავის თავი იმდენათ, რამდენადაც არ გვესმის ან არ შეგვიგნია ჩვენი მოქმედებათა აუცილებლობა. მაგრამ, მეორე მხრით, ჩვენი ნამდვილი თავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ვიგნებთ, როგორც თავის, ისე სხვების მოქმედებათა მიზეზებს. მაშასადამე, აქედან გამოდის, რომ „ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ე რ თ ა დ ე რ თ ი ს ა ი მ ე დ ო თ ა ვ დ ე ბ ი ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს“. ასეთი დამოკიდებულებაა თავისუფლებასა და აუცილებლობას შორის. ჩვენთვის აქ იმ დედა-აზრის შეთვისებაა საჭირო, რომ „ადამიანის თავისუფალ მოქმედებას საფუძველათ უდევს აუცილებლობა“. როცა ჩვენ ვიცით, რომ ესა თუ ის მიზეზი, ანუ ესა თუ ის მოქმედება აუცილებლად გამოიწვევს განსაზღვრულ შედეგებს, ჩვენს მოქმედებას მხოლოდ მაშინ ეძლევა საფუძველი. ასევე მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებაც. ჩვენ მოქმედებას იქ იმდენათ აქვს საფუძველი, რამდენადაც ჩვენ გვესმის ან შეგნებული გვაქვს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა. ადამიანი თავიდან იცილებს ბუნების ამა თუ იმ მოვლენის მავნე შედეგებს, როცა იცის მისი აუცილებელი მოქმედება. როცა ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ესა თუ ის მოვლენა აუცილებლათ გამოიწვევს განსაზღვრულ შედეგს. ჩვენ შეგვიძლია თავის მოქმედება მივმართოთ იქითკენ, სადაც მას სასურველი გაელენა ექნება. ე. ი. ჩვენ შეგვიძლია იმდენათ, რამდენათაც ვიცით: tantum possumus, quantum scimus! ამნაირათ შეგნებული ადამიანისთვის ს ა ს უ რ ვ ე ლ ი იგივე ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა*).

ასე და ამ გვარათ ისტორიული მატერიალიზმი გვასწავლის, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაძლებელია მ ო მ ა ვ ლ ი ს შ ე ტ ყ ო ბ ა, რადგანაც იგი აუცილებელი შედეგია წარსულის და აწმყოს. ხოლო ამისთვის ერთათ ერთი უტყუაო საშუალებას შეადგენს თვითცნობიერების განვითარება. თვითცნობიერება ის იარაღია, რომელსაც იძლევა ისტორიული მატერიალიზმი. ამიტომ ყველა ისინი, რომლებიც უარყოფენ ისტორიულ მატერიალიზმს, უნდა უარჰყოფდენ ამ თვითცნობიერებასაც, და მასთან ერთათ უნდა უარჰყოფდენ აგრეთვე პიროვნების ყოველგვარ მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რასაკვირველია, როგორც ამბობდა კიდევ მილლი, „ამა თუ იმ ჭეშმარიტების აღმოჩენა შეუძლებელია. სანამ არ აღმოჩენილა სხვა ჭეშმარიტება; ესა თუ ის საზოგადოებრივი გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოთ მოყვეს სხვებს, და არა წინ მიუძღოდეს იმათ“ **): მაგრამ თვით ამის ცოდნა, თვით ამ აუცილებლობის კანონის შეგნება აძლევს ნამდვილ საფუძველს ჩვენს მოქმედებას.

---

*) Бердяев. Суб'ект и об'ект, стр. 54.

**) Система логики. т. II. гл. 491.

ამნაირათ, თუ ყველა ზეეით ნათქვამს თავს მოეუყრით, გამოვა, რომ ცხოვრების პროცესის ობიექტიური განმარტება, რომელსაც იძლევა ისტორიული მატერიალიზმი, შეადგენს საზოგადოებრივი მეცნიერების არსებობის ერთათ ერთ საფუძველს, ურომლისოდ მისი არსებობა ყოველად წარმოუდგენელია. მეორე მხრით, ცხოვრების ასეთი ხსნით ეძლევა პიროვნებას ნამდვილი მნიშვნელობა, ე. ი. თუ რა ძალას წარმოადგენს იგი საზოგადოებრივ ცხოვრების პროცესში.

III

სწორეთ დიდი სურვილი მქონდა ბ-ნ ჯორჯაძის მოსაზრებანი, ისტორიულ მატერიალიზმზე. დამერღვია და იმათი სრული უსაფუძვლობა და უაზრობა მეჩვენებია, მაგრამ ჩემი სურვილი მხოლოდ სურვილათ რჩება ჯერჯერობით. მხოლოდ ზოგიერთ რამეებზე ეხლავე შეგვიძლია ვისაუბროთ ბ. ჯორჯაძესთან და ესეც ჩვენთვის დღეს სრულიად საკმარისია. ყოველივე ამას ბ. ჯორჯაძეს უნდა ვუმადლოდეთ. რაებს არ გაჰკრა-გამოჰკრა კბილი ამ ვაუბატონმა, რა საგნებს არ შეეპოტინა: სოციოლოგიაში და პოლიტიკურ ეკონომიაში, ვგონებ, აღარ დარჩენილა ისეთი საკითხები, რომლებსაც ბ-ნი ჯორჯაძე არ შეეხებოდეს და თავისებურათ არ გადაეწყვიტოს. ახლა არ იკითხავთ, როგორ იქცევა ბ. ჯორჯაძე ამ ფრიად საძნელო და მეტათ რთულ კითხვების გამორკვევაში? სამწუხაროდ. ამის შესახებ კარგს ვერაფერს ვერ ვიტყვით. ბ-ნ ჯორჯაძეს როგორც მწერალს აქვს ორი დიდი ნაკლულევანება: პირველი: მას სრულებით გაცნობილი არა აქვს ის საგნები, რომლებზედაც ის სწერს; მაგრამ მიუხედავათ ამისა ყველა საგანზე გაბედულათ მსჯელობს, ე. ი. ყოველივე, რაც კი რამ პირზე მოადგება, დაულაგებლათ ქაღალდზე გადააქვს. ამიტომ ვერც ერთ მის წერილს ვერ იპოვით, რომელშიაც სისტემატიურად იყოს გატარებული ერთი რომელიმე დედა აზრი და რომელიც ლოგიკური ნახტომებით არ იყოს სავსე. ბ. ჯორჯაძეს სრულებით არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რაში მდგომარეობს ლოგიკური მსჯელობა, ერთი აზრის მეორე აზრთან ლოგიკურათ დაკავშირება. მას. მართალია. უყვარს მეცნიერების სხვადასხვა დარგთა ხსენება და იქიდან სხვადასხვა ცნობების ამოგლეჯა, მაგრამ მას სრულებით არ გაეგება, რომ თანამედროვე მეცნიერება ერთი განუყოფელი მთელია, და ამიტომ იქიდან ამოღებულ ცნობებს მხოლოთ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა ეს ცნობები, ე. ი. ნაწილები მთელთან არის შეკავშირებული. ავიღოთ, მაგ., სტატისტიკური მეთოდი, რომელსაც ასე ფართე ასპარეზი აქვს დღეს დათმობილი საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნა-განმარტებაში: ბ. ჯორჯაძეს სტატისტიკური მეთოდი მხოლოთ უბრალო ციფრების მოყვანა გონია, ისეთი ციფრების, რომლებიც არც განსაზღვრულ მდგომარეობას (სტატიკას) ხსნის და არც ამ მდგომარეობის ცვლილებას (დინამიკას). მეორე: ბ. ჯორჯაძე არასოდეს არ ცდილა თავის მოწინააღმდეგეთა აზრი სისწორით გაეგო. ამიტომ უმეტეს ნაწილად ის ებრძვის თავისავე ფანტაზიით შექმნილ აზრს და თუ ვისმეს ამარცხებს, ისევ თავის თავს. ამა და ამ მიმართულების მიმდევარნი ასე ფიქრობენო, — გვეტყვის ხოლმე ხშირათ ბ. ჯორჯაძე. ხოლო თუ ჰკითხეთ, სად გამოსთქვეს იმათ ეს აზრი? არ შეიძლება დაგვისახელოთ ამის

წყარო? ამაზე ბ. ჯორჯაძე გადაჭრით მოგიგებთ. რომ თქვენ წიგნების მოყვარული, „მწიგნობარი" ყოფილხართ და ამიტომ თქვენთან არა ღირს ლაპარაკი. უნდა შეენიშნოთ, რომ წიგნები. მეტადრე სქელი ტომები, ძალიან სძულს ჩვენს ავტორს. თუ ბ. ჯორჯაძეს რომელიმე შეხედულების უსაფუძვლობა სურს დაამტკიცოს, ის აცხადებს, რომ ეს „მწიგნობართა აზრიაო". მორჩა და გათავდა: ამაზე მეტი ფაქტიური საბუთი რაიმე აზრის უსაფუძვლობისა მისთვის ყოველად წარმოუდგენელია. რა ნახა ბ. ჯორჯაძემ წიგნებში, ან რით დააშინა წიგნებმა ის. — ჩვენ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში ეს საგულისხმოა. ასეთი შეხედულებიდან დიდი მანძილი არ არის იქამდის. რომ მან სრულებით უარჰყოს წიგნების მნიშვნელობა.

აი ასეთია ბ. ჯორჯაძე. ცხადია. რომ ამგვარი პუბლიცისტი შორს ვერ წავა. მაგრამ ნუ დაივიწყებთ. რომ მას შორს წასვლის უზომო „სურვილი" („სუბიექტიური". რასაკვირველია) აქვს. ამიტომ თქვენ შეიგიძლიათ რამდენიმედ წარმოიდგინოთ, თუ რით უნდა დაბოლოდეს ასეთი „სურვილი", ე. ი. სრული დამარცხებით. დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი ამ დამარცხებისა. ბ. ჯორჯაძეს სადღაც (რა თქმა უნდა, არა დიდ წიგნებში!) გაუგონია, რომ ფილოსოფიური მატერიალიზმის გვერდით არსებობს ისტორიული მატერიალიზმი და მას ჰგონია, რომ ეს უკანასკნელი „ლოგიკური დასკვნაა და პრაქტიკული განხორციელება პირველისა". ავტორი გვეუბნება: „ისტორიკოს-მატერიალისტები თავის თეორიას ფილოსოფიურ მატერიალიზმზე ამყარებენო" („ცნ. ფურც." № 1517). საინტერესოა ვიცოდეთ, სად გაიგო ბ. ჯორჯაძემ ეს ამბავი? მართალია იგი გვეუბნება. რომ „ჩვენ (ე. ი. ჯორჯაძე) ვერიდებით მეცნიერთა და ფილოსოფოსთა ციტატების მოყვანას და აღნუსხვას სხვილ-სხვილ დიდ-ტანიან წიგნებისას და რომ ამ იარაღს უმეტეს შემთხვევაში ჩვენი პუბლიცისტები ხმარობენ მკითხველის დასაშინებლათ და არა საგნის გამოსარკვევათ"-ო (იქავე. ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვამთ); მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს ბ. ჯორჯაძეს დავეკითხოთ: რომელ წიგნში (დიდ-ტანიანი იქნება ეს თუ პატარა ტანიანი, ჩვენთვის სულ ერთია) ამოიკითხა მან ეს აზრი? მაგრამ ვაი თუ ბ. ჯორჯაძე იმიტომ გაურბის „მეცნიერთა და ფილოსოფოსთა (ნაწერებიდან. ალბათ) ციტატების მოყვანას და დიდ-ტანიან წიგნების დასახელებას". რომ ის არ არის გაცნობილი მეცნიერთა და ფილოსოფოსთა არც დიდ-ტანიან და არც პატარა-ტანიან წიგნებთან! ეს რომ ასეა. ე. ი. ბ. ჯორჯაძე არა თუ ნაკლებად. არამედ სრულებით არ იცნობს არც „დიდ-ტანიან" და არც პატარა-ტანიან წიგნებს. ე. ი. იმ საინტერესო გამოკვლევათ, რომლებიც ამ 30-40 წლის განმავლობაში [illegible] სოციოლოგიაში [illegible] განსაკუთრებით პირველ ყოფილ კულტურის შესწავლაში, მტკიცდება ბ. ჯორჯაძისეე შემდეგი სიტყვებით: მთელი ისტორიის შინაარსის დაკავშირება ეკონომიურ ურთიერთობასთან ჯერ კიდევ დაუმტკიცებელ პრობლემათ დარჩა სოციოლოგიურ ლიტერატურაში... ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ ხალხის ეკონომიური ურთიერთობა მიზეზია ამა თუ იმ თვისების და ზომის კულტურის გაჩენისა. არავის დაუმტკიცებია. რომ კულტურა „ზედნაშენი (პოლიტიკური მმართველობა, ზნე-

ჩვეულება, რელიგია, ფილოსოფია და სხვ.) ეკონომიურ წარმოებითი ურთიერთობის განვითარების პირველი და უკანასკნელი მიზეზი ყოფილიყოს" (იქავე. წინადადების კონსტრუქცია ღმერთმა შეინახოს! მ.). ეტყობა, რომ ამ სიტყვების დამწერს არა თუ არავითარი წარმოდგენა არა აქვს საფრანგეთის ისეთ ისტორიკოსებზე, როგორიც იყვენ ოგიუსტინ ტიერი, გიზო და მენიე, არამედ ის სრულებით ვერ იცნობს პირველყოფილი კულტურის მკვლევართ, როგორიც არიან ეიროტელონი, მაკ-ლენანი, ლიპპერტი და სხვ. მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ბ. ჯორჯაძეს არავითარი წარმოდგენა არა აქვს არც მორგანის, არც მ. კოვალევსკის [17]) და არც ნ. ზიბერის გამოკვლევებზე *). ვთქვათ ბ. ჯორჯაძე აცხადებს. რომ ის „მწიგნობარი" არ არის და ამისთვის მას მიეტევება ცოდვა, რომ იგი არც ერთ ზევით დასახელებულ მკვლევარს არ იცნობს; მაგრამ ერთი ვიკითხოთ: თუ ეს ასეა, თუ ჩვენი ავტორი წიგნებს გაურბის. მაშ რაღა საფუძველით გაიძახის. თითქოს „ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ ხალხის ეკონომიური ურთიერთობა მიზეზია ამა თუ იმ თვისების და ზომის კულტურის გაჩენისაო?" აი. სწორედ ასეთივე საფუძველი აქვს ბ. ჯორჯაძის იმ სიტყვებს, რომ „ისტორიკოს-მატერიალისტები თავის თეორიას ფილოსოფიურ მატერიალიზმზე ამყარებენო". განვითარებულ ადამიანისთვის აშკარაა, რომ ეს ორი ერთი მეორესაგან დამოუკიდებელი მოძღვრებაა; სახელდობრ: ფილოსოფიური მატერიალიზმის საგანს შეადგენს მატერია მისი ყოველგვარი ცვლილებით და სახით; იგი იკვლევს ქვეყნიერების დასაბამს, მის განვითარებას; ეძიებს და არკვევს სიცოცხლის წარმოშობას და იკვლევს ამ სიცოცხლის არსებობის პირობებს ცხოველებში და მცენარეებში. ხოლო ისტორიული მატერიალიზმის საგანს შეადგენს ადამიანთა საზოგადოება და საზოგადოებრივ ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული მოვლენები, ე. ი. ის მოვლენები, რომელთაც ბ. ჯორჯაძემ ვერც თავი გაართვა და ვერც ბოლო.

მაგრამ უფრო საინტერესოა. თუ რა ცოდნა გამოიჩინა ბ. ჯორჯაძემ დიალექტიური მეთოდის შესახებ. მისი აზრით დიალექტიური მეთოდი „წმინდა მეტაფიზიკური ცნებაა", ე. ი. გამოდის, რომ ის, რაც ძირს უთხრის ყოველგვარ მეტაფიზიკურ, აბსოლიუტურ და განყენებულ მსჯელობას და აზროვნებას, თვით მეტაფიზიკა ყოფილა! დიალექტიური მეთოდის უვარგისობას და მეცნიერებაში ყოველად გამოუდეგრობას ავტორი ვითომდა ამტკიცებს ორი საუცხოო მაგალითით. ერთ მაგალითს ის იღებს ბიოლოგიიდან, მეორეს — ფსიქო-ფიზიოლოგიიდან. ერთიც და მეორეც იმდენათ საგულისხმოა ბ. ჯორჯაძის გონების სალაროს დასაფასებლათ, რომ მე იმაზე მსურს მკითხველის ყურადღება ცოტა ხანს შევაჩერო. დიალექტიური აზროვნება გვასწავლის, რომ, როგორც ამბობდა ჯერ კიდევ საბერძნეთის ძველი ფილოსოფოსი ჰერაკლიტე (მე-VI საუკ. ქრ. წინეთ), „ყოველივე მიმდინარეობს, ყოველივე მოძრაობს". ეს მოძრაობა გამო-

*) ჩვენ გვაქვს აქ მხედველობაში განსაკუთრებით მორგანის „პირველყოფილი საზოგადება" (Ancient Sosiety), მ. კოვალევსკის: Tableau des origienes et de l'evolution de la famile et de la propriété, Общинное землевладение და სხვ. და ნ. ზიბერის: Очерки первобытной экономической культуры.

იხატება მოვლენათა ცვლილებაში, ერთის მეორეთ გარდაქმნაში. მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი ფილოსოფოსი, რომელმაც დიალექტიკა შექმნა აზროვნების უძლიერეს იარაღათ, ამბობდა, რომ ყოველივე მოვლენა იცვლება იმ ძალთა მოქმედების გამო. რომელნიც მას თან დაყოლილი აქვს. მოვლენა თითქოს უარყოფს თავის თავს. ამ უარყოფაში მდგომარეობს განვითარების ძირითადი კანონი. თვით ცვლილებას ჩვენ ვამჩნევთ მხოლოთ მაშინ, როცა მოძრაობა განსაზღვრულ საფეხურამდე აღწევს, ე. ი. როცა მოვლენა უარყოფილია და მის ალაგას ჩნდება მეორე მოვლენა, როცა ცვლილებას უკვე ხორცი შესხმული აქვს. ამნაირ ცვლილებას, ანუ გარდაქმნას საფუძველათ უდევს რაოდენობითი ცვლილება. რომელიც, როცა განსაზღვრულ საფეხურს აღწევს, თვისებათ იქცევა. მსოფლიოს განვითარებას ეს რაოდენობითი ცვლილება უდევს საფუძვლად. რაოდენობითი ცვლილებების თვისებითი ცვლილებებით გარდაქცევას, რაოდენობის თვისებათ ქცევას, ყველაზე უფრო აშკარათ გვიმტკიცებს საზოგადოებრივ მოვლენათა გენეზისი, მათი წარმოშობა და ზრდა-განვითარება. ავიღოთ. მაგ., ფეოდალური, ანუ ბატონ-ყმური ხანა ევროპაში. დღეს ფეოდალური წესწყობილების განვითარება თავიდან ბოლომდე. ე. ი. წარმოშობიდან მის სრულ გაუქმებამდე სისწორით შეგვიძლია გავითვალისწინოთ. ჩვენი წელთა აღრიცხვის პირველ საუკუნეში ფეოდალური წესწყობილების ხსენება არ არის; მაგრამ მისი ნასახი კოლონატობის სახით იმ დროს უკვე არსებობდა. რომის კოლონატი იყო რომის მემამულეს მიწაზე დასახლებული წინანდელი მონა; ის მიწის მუშა შეიქმნა, მხოლოდ მიწა სხვას ეკუთვნოდა. და ის ვალდებული იყო მისი პატრონის სასარგებლოდ რაიმე გადასახადი გაეღო. აქედან იწყება მისი დამოკიდებულება მიწის მფლობელისაგან. ეს უკვე ფეოდალურ ურთიერთობათა სახეა. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება პირველ ხანებში იშვიათ მოვლენას შეადგენდა; მხოლოთ VIII — X საუკუნოებში გახშირდა იგი. ასე რომ, ერთი მხრით, გაჩნდა უმრავლესობა, რომელიც სხვის მიწაზე ცხოვრობდა და იმის მფლობელთაგან იყო დამოკიდებული; მეორე მხრით, ჩვენ ვხედავთ უმცირესობას, მიწის მეპატრონეთ, სხვადასხვა იერარქიის მეპატონეთ, რომლებიც განაგებენ თავიანთ მიწაზე დასახლებულ გლეხთ. ეს უკვე ფეოდალური წესწყობილებაა, რომელიც რადიკალურათ განსხვავდება მონური წესწყობილებისაგან. ფეოდალური წესწყობილების გაბატონებამ ყველაფერს თავის დაღი და ელფერი დასვა: სარწმუნოება. ზნეობა. უფლება, ოჯახი, ყოველივე ბატონ-ყმურ ურთიერთობათა გამომხატველია, მაგრამ როცა ფეოდალიზმმა დაამთავრა თავის ზრდა და მიახწია თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს. მის გულში ჩვენ უკვე შეგვიძლია აღმოვაჩინოთ მისი მოსპობის ნიშნები. მაგრამ იგი კიდევ რამდენიმე საუკუნეს ინახავს თავის გარეგან სახეს და მხოლოთ მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რაოდენობითი ცვლილება აღწევს განსაზღვრულ ხარისხს. ფეოდალური წესწყობილება სამუდამოთ ეცემა და მის ალაგას მყარდება სრულიად სხვა წესწყობილება, ე. ი. თანამედროვე ბურჟუაზიული. რომელსაც იგივე ბოლო მოელის. ამაში მდგომარეობს დიალექტიური განვითარება.

როგორც ზევით ვთქვით, ბ. ჯორჯაძე ორი მაგალითით ამტკიცებს დიალექტიური განვითარების უსაფუძვლობას. პირველი მაგალითი: „კაკაკი, შეიძლე-

ბა, დროთა განმაელობაში, სხვა ფრინველს დაემსგავსოს, მხოლოდ თ ა ვ ი ს დ ღ ე შ ი ი გ ი ძ რ ო ხ ა თ ა რ ი ქ ც ე ვ ა... რა კი ეს ასეა, მაშ ისიც არ ყოფილა მართალი, ვითომ რაოდენობა ყოველთვის თვისებათ იქცევა ხოლმეო" („ცნ. ფურც.", № 1520; ხაზს ჩვენ უსვამთ). ამნაირად იმის დასარღვევად, რომ რაოდენობა თვისებათ არ იქცევა, ბ. ჯორჯაძეს კაჭკაჭი მოყავს, რომელიც, როგორც არ უნდა შეიცვალოს, „თავის დღეში ძროხას არ დაემსგავსებაო". მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოება, თუ ბ. ჯორჯაძემ რატომ უფრო თვალში საცემი მაგალითი არ მოიყვანა? მაგ. რატომ მან არ სთქვა, რომ მუხა, როგორც არ უნდა შეიცვალოს, სპილოთ მაინც თავის დღეში არ იქცევაო? ან ქვა — ცხენათ? ასეთი მაგალითებით ის ხომ უფრო აშკარათ დაამტკიცებდა, რომ რაოდენობა თვისებათ არასოდეს არ იქცევა? მაგრამ აქ ბ. ჯორჯაძეს უნდა ეკითხოთ: როგორ გონია მას: ნუ თუ მთელი ორგანიული და არაორგანიული ბუნება იმ სახით გაჩნდა, რა სახითაც ამას ჩვენ დღეს ვხედავთ? თუ ეს ასეა, იმ შემთხვევაში ჩვენ უნდა უარვყოთ თანამედროვე ევოლიუციონური მოძღვრება, რომელიც გვეუბნება, რომ მთელი ორგანიული სამყარო: მცენარენი და ცხოველები და, მაშასადამე, ადამიანიც, ნაყოფია ხანგრძლივი განვითარების. ერთი სიტყვით, ბ. ჯორჯაძის მსჯელობა პირდაპირ უარყოფს თანამედროვე მეცნიერებას. როგორც ზევით შევნიშნეთ, ამ ვაკბატონს ძლიერ უყვარს მეცნიერებიდან რაიმე ცნობის ან მაგალითის მოყვანა. მაგრამ მის უნებლიეთ ეს გარემოება უფრო ამეღლავნებს მის მეტაფიზიკურ აზროვნებას. მისთვის წარმოუდგენელია, მაგ.. კაჭკაჭის ძროხათ გადაქცევა, და ის ვერავითარ შემაერთებელ ძაფს ვერ ხედავს ამ ორ ცხოველთა შორის. მაგრამ აბა დაკვირვებოდა ის ამ ცხოველთა წარსულ ისტორიას. რადგანაც არც კაჭკაჭი და არც ძროხა იმ სახით არ გაჩენილა ქვეყანაზე, რა სახითაც იმათ ჩვენ დღეს ვხედავთ, და მაშინ დარწმუნდებოდა, რომ რაოდენობა იქცევა თვისებათ. გარდა ამისა, თუ კაჭკაჭი ძროხათ არ იქცევა, უამისოთ რაოდენობის თვისებათ გარდაქცევა არ შეიძლება? განა ერთი ჯიშის კაჭკაჭი არ განსხვავდება მეორე ჯიშის კაჭკაჭისაგან რაიმე თვისებით, და საიდან არის გამოწვეული ეს თვისება, თუ არ რაოდენობითი ცვლილებით? არა ნაკლებ საუცხოოა ბ. ჯორჯაძის მეორე მაგალითი. „ფსიქო-ფიზიოლოგიამ დაამტკიცაო, — გვეუბნება ის, — რომ ადამიანში ორნაირი პროცესია — ფსიხიური და ფიზიკური. ერთი პროცესი ხშირათ მეორე პროცესის მიზეზია, მხოლოდ არასოდეს ფსიხიური პროცესი არ გადადის ფიზიკურში და პირიქით... მაშ, ფსიქო-ფიზიოლოგიაშიაც არ მართლდება ის ჰიპოტეზა, რომ რაოდენობა ყოველ შემთხვევაში შეიძლება თვისებათ იქცეს... ამიტომ ის, რაც ჰეგელს და მარქსს შეუცდომელ ჭეშმარიტებათ მიაჩნდათ, „ცრუ ჭეშმარიტება" ყოფილაო" (იქვე). აქ სწორეთ აღარ ვიცით რა სჯარბობს: გამბედაობა თუ უვიცობა! თუ ბ. ჯორჯაძე ფსიქო-ფიზიოლოგიას ოდნავაც მაინც იცნობს. მან რატომ არ იცის ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ერთი და იგივე მოქმედება, სულ ერთია ფიზიკური იქნება იგი თუ ფსიქიური, განმეორებული რამდენიმეჯერ, იწვევს სულ სხვადასხვა თვისების შედეგთ? ან შეიძლება მას დუალისტურმა შეხედულებამ დაუბნია დავთარი?.....

(ჟურნალი „კვალი", 1901 წ., №№ 29, 31 და 34).

არჩ. ჯორჯაძის „სოფელი და ქალაქი“.

I

დღევანდელი ჩემი საუბარი ისევ ბ. ჯორჯაძის ზოგიერთ მოსაზრებათა გარჩევას უნდა ეუძღვნა. სახელდობრ. იმ მოსაზრებათა გარჩევას. რომლებიც გამოთქმულია მის წერილში „სოფელი და ქალაქი“ („ცნ. ფ.“ №№ 1535, 1536 და 1537). ბ. ჯორჯაძეს საიდანლაც მოჩვენებია, რომ ჩვენში არიან ისეთი პირები, რომლებიც ვითომ ამტკიცებენ, „რომ სოფელი გადაგვარების გზაზეა დამდგარი და ეს გადაგვარება აუცილებელი საჭიროებაა ეკონომიური ცხოვრების განვითარებისაო‘. სოფლის გადაგვარებას. ავტორის სიტყვით, ეს პირები თურმე შემდეგ მოსაზრებაზე ამყარებენ: იმ ქვეყანაში, სადაც კაპიტალისტური წარმოება მყარდება, „ბრძოლა იწყება წვრილფეხა და დიდ მრეწველთა შორის. ეს ბრძოლა ჩნდება როგორც ქალაქში, ისე სოფელში. ქალაქში ჩვენ ვხედავთ საკაპრო და სამრეწველო კაპიტალთა შეჯახებას, ხოლო სოფელში მიწათმფლობელების კაპიტალთა შორის. ქალაქში დიდი კაპიტალი ჰყლაპავს პატარას, სოფელში დიდი მემამულე წვრილფეხა მემამულეს. ამრიგად ქალაქში და სოფელში ხდება ეგრეთწოდებული „კონცენტრაცია“ კაპიტალისა. ეს კონცენტრაცია. ე. ი. დიდი კაპიტალის პატარაზე გაბატონება და ამ პატარა კაპიტალის თანდათანი გაუქმება, თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების განვითარების აუცილებელი პროცესიაო“ (№ 1535). ბ. ჯორჯაძე მკითხველს პირდება იმის დამტკიცებას. „რომ ხსენებული კონცენტრაცია“ უფრო იდეოლოგთა და მწიგნობართა ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ცხოვრების სინამდვილეო“. თუ როგორ ამტკიცებს ავტორი ამ მოსაზრებას, ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ. აქ კი მხოლოთ შემდეგ კითხვას მივცემთ მას: რას ნიშნავს სოფლის გადაგვარების გზაზე დადგომა. რასაც ბ. ჯორჯაძის აზრით, ზოგიერთები ამტკიცებენ? თუ ეს „გადაგვარება“ მდგომარეობს მხოლოთ იმაში, რომ სოფლის დიდი მემამულე ჰყლაპავს პატარა მემამულეს, ეს გადაგვარება რატომ იმავე პირების აზრით ქალაქზე არ ითქმის. ვინაიდან ეს პროცესი, ე. ი. მსხვილი კაპიტალის მიერ წვრილი კაპიტალის დამარცხება. თანამედროვე ქალაქის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს. ბ. ჯორჯაძის მოწინააღმდეგენი მართალია ამტკიცებენ, რომ თანამედროვე მეურნეო-

ბაში თანდათან მყარდება წარმოების გაუმჯობესებული წესი, და რადგანაც ეს ფულს თხოულობს, ამიტომ სოფელშიაც ისე. როგორც ქალაქში, შედარებით დიდი კაპიტალის პატრონი იმარჯვებს. თუ ეს მოვლენა გადაგვარებას მოასწავებს, იმ შემთხვევაში უწინარეს ყოვლისა თანამედროვე ქალაქის განვითარება უნდა ნიშნავდეს ამ გადაგვარებას. მაგრამ ასეთი საოცარი აზრი ჯერ ჩვენში არავის წარმოუთქვამს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ პირთ. რომლებიც სრულებით უარყოფენ მთელ თანამედროვე კულტურას. ასე რომ „სოფლის გადაგვარების გზაზე დადგომა" მხოლოთ ბ. ჯორჯაძის ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი. ჩვენ მხოლოთ ვერ გაგვიგია, რათ აწერს თავის მოწინააღმდეგეთ ბ. ჯორჯაძე ისეთ აზრს, რომელიც მხოლოთ მისი ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ ჩვენი ავტორი ამასაც არ ჯერდება. მას ჰგონია, რომ ვითომც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება თხოულობს „მილიონ ნახევარი ხალხის გაღატაკებას, ბიწიდან მოშორებას, ჩვენი სოფლების დაცალიერებას და პატარა მემამულის და მიწათმომქმედის მუშათა ძალათ გარდაქმნას" (№ 1535). ამნაირათ თუ თქვენ ამბობთ, რომ სოფლის მცხოვრებთა ერთ ნაწილს მიწის საკუთრება ხელიდან ეცლება და ქირაზე სამუშაოთ მიდის, ეს უსათუოთ „მილიონ ნახევარი ხალხის გაღატაკებაა"; თუ თქვენ ამბობთ, რომ თანამედროვე ქალაქი და საღებმიცემა და სამრეწველო ცენტრი იზიდავს ხალხს, ე. ი. ქალაქები სოფლებთან შედარებით ბევრათ უფრო იზრდებიან მცხოვრებლებით, ეს უთუოთ „სოფლების დაცალიერებაა". ერთი სიტყვით, ბ. ჯორჯაძის ლოღიკა საკვირველი რამ არის. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და გადავიდეთ იმაზე, თუ როგორ გვიმტკიცებს ჩვენი ავტორი, რომ „იმისთანა კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორიცაა ინგლისი, ამ ოცი, ოცდაათი წლის განმავლობაში პატარა (ალბათ ავტორს უნდა ეთქვას წვრილ) მრეწველობას საპატიო ადგილი დაუჭერია ეკონომიურ ასპარეზზე... მკვიდრი ფესვები გაუკეთებია და ქიშპობასაც უწევს დიდ მრეწველობასო"

ბ-ნი ჯორჯაძე სერიოზული კილოთი მოგვითხრობს, რომ ორთქლის ძალის გამოყენებამ ქარხნებში ხელი შეუწყო მსხვილ მრეწველობის ზრდას. ასე რომ „ხელით მომუშავეები შესამჩნევათ ჩამორჩენ ეკონომიურ ასპარეზზე და ქიშპობას ველარ უწევენ ორთქლის ძალით მომუშავე ქარხნებს... მ ა გ რ ა მ ე ს ი ყ ო ო რ თ ქ ლ ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ხ ე ლ ი თ მ ო მ უ შ ა ვ ე ე ბ ზ ე დ ა ა რ ა დ ი დ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს ა პ ა ტ ა რ ა ზ ე ო" (№ 1536. ხაზს ჩვენ უსვამთ). მაშასადამე, თუ XVIII საუკუნის ბოლოს, როცა ორთქლის ძალა გამოიყენეს ქარხნებსა და ფაბრიკებში, მსხვილმა მრეწველობამ დაამარცხა წვრილი მრეწველობა ინგლისში, ეს მხოლოთ „ორთქლის გამარჯვება ყოფილა ხელით მომუშავეებზე" და მეტი არაფერი. ასე რომ შემდეგ ხანებში, როცა ორთქლის მაგივრათ ელექტრონი შემოიღეს ქარხნებსა და ფაბრიკებში, ესეც, ჩვენი ავტორის ლოღიკით. ელექტრონის „გამარჯვებაა ხელით მომუშავეებზე" და არა დიდ მრეწველობის — წვრილზე! ეტყობა, დიდი ოხუნჯი უნდა იყოს ბ. ჯორჯაძე! მაგრამ წვრილი მრეწველობა, ე. ი. ხელსაქმეობა, მხოლოთ პირველ ხანებში ჩამორჩენია დიდ მრეწველობას: „გავიდა დრო — გვეუბნება ბ-ნი ჯორჯაძე — და ამ დროს განმავლობაში პატარა (ავტორი წვრილის მაგივრათ ყოველგან პატარას ხმარობს) მრეწველობაც თანდათან ფეხზე წამოდგაო", ე. ი. თანდათან

გაძლიერდა ანუ გაიზარდაო. ამ წერილი მრეწველობის გაძლიერებას და ზრდას ავტორი გვიმტკიცებს ინგლისის მაგალითით. მაგრამ აქ იგი ისეთ მოუმზადებლობას და უკოდინარობას იჩენს. რომ ჩვენ სწორეთ გვრცხვენია მის მაგიერ. ყველასათვის ცნობილია, რომ ინგლისი კაპიტალისტური წარმოების კლასიკური ქვეყანაა. და მისი მრეწველობის განვითარების ისტორია სამაგალითოდ შესწავლილი და გამორკვეულია. ბ-ნი ჯორჯაძე კი გვეუბნება, რომ ინგლისის მრეწველობის ისტორია სრულიად უცნობია. ასე რომ 1890 წლამდი არავითარი „ოფიციალური სტატისტიკაც კი არ არსებობსო“, და მხოლოთ „ახალი კანონის მეოხებით (1895 წ.) შეგროვილ იქნა რამდენიმე ოფიციალური ცნობა შ-სახებ მრეწველობის მდგომარეობისა ინგლისშიო!“ მკითხველი საზოგადოების ამაზე მეტი აბუჩათ აგდება შეუძლებელია. ინგლისის მრეწველობის დასახასიათებლათ მხოლოთ ერთი წლისთვის, სახელდობრ. 1895 წლისთვის. გვაქვს ცნობებიო, მაშინ. როცა ინგლისის საფაბრიკო ინსპექტორის წლიური ანგარიშები და აგრეთვე სხვა ცნობები ინგლისის მრეწველობის შესახებ ყველა ქვეყნებისთვის მისაბაძავ მაგალითს წარმოადგენს. გარდა ამისა ერთი წლის ცნობების მოყვანით განა შეიძლება რაიმეს გაგება? თუ წერილი მრეწველობა ინგლისში ბ. ჯორჯაძის სიტყვით თანდათან ფეხზე წამოდგა, ამის შესახებ მთელი რიგი ცნობები უნდა ყოფილიყო მოყვანილი სხვადასხვა წლების. თუ ჩვენ არა გვაქვს არც წინა და არც შემდეგი წლების ცნობები მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, განა ჩვენ შეგვიძლია მის ზრდა-განვითარებაზე რაიმე მსჯელობა ან წარმოდგენა ვიქონიოთ? სულ წინაალმდეგ იქცევა ბ. ჯორჯაძე. მას მოყავს მხოლოთ ერთი წლის ცნობები *) ინგლისის მრეწველობის დასახასიათებლად! მაგრამ. სამწუხაროდ. ეს ცნობები ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულია. რადგანაც უმთავრესი და უფრო საჭირო ცნობების მოყვანა ავტორს სრულებით არ უცვნია საჭიროდ. ის ასახელებს. ერთი მხრით. ქარხნების და ფაბრიკების რაოდენობას და. მეორე მხრით. მუშების რიცხვს, და ერთხელაც არ იხსენიებს წ ა რ მ ო ე ბ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს. მაშინ. როცა უპირველესი მნიშვნელობა იმის დაუასებაში. ამა თუ იმ საქმეს წერილი წარმოების ხასიათი აქვს თუ მსხვილის, — ამ გარემოებას აქვს, რადგანაც მუშის ნაყოფიერება ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე არ არის: სადაც უკანასკნელი სისტემის გაუმჯობესებული იარაღებია შემოღებუ-

---

*) ბ. ჯორჯაძე გვეუბნება. რომ „1890 წლამდე ინგლისში თითქმის არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკაო“, და აქ მას მხედველობაში აქვს მხოლოდ ინგლისის მრეწველობა. ინდუსტრია. მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა და ნიშნავს მხოლოდ სრულს უვიცობას ამ საგნის შესახებ. თუ რამდენათ ამახინჯებს სინამდვილეს ბ. ჯორჯაძე ეს, სხვათა შორის. შემდეგ სიტყვებიდან ჩანს. რომლებიც ეკუთვნის ერთ გამოჩენილ ეკონომისტს და რომლებიც წარმოთქმული იყო კიდევ მესამოცე წლებში: „ინგლისზე ჩვენ ელაპარაკობთ განსაკუთრებით ინ.ტომ. რომ იგი კლასიკური ქვეყანაა კაპიტალისტური წარმოებისა და გარდა ამისა ინგლისი ერთად ერთი მხარეა, რომელსაც აქვს შ ე ფ ო ნ ე ბ ე ლ ი ო ფ ი ც ი ა ლ ე ბ ი ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა ინდუსტრიაზე“. Das Kapital, t. I. ბ. ჯორჯაძე კი კმაყოფილდება მხოლოდ ინგლისის მრეწველობის დასახასიათებლად უბრალო სტატიით „The Winenleeuth Century“-დან (1900) და ისიც წერილი მრეწველობის შესახებ. ამის შემდეგ რაღა გასაკვირალია. რომ ჩვენი ავტორი ყოველ ფეხის ნაბიჯზე უარყოფს ცხოვრების სინამდვილეს.

ლი, იქ ერთი მუშა ორჯერ და სამჯერ მეტს აკეთებს, ვიდრე იქ, სადაც ასეთი იარაღები ჯერ ხმარებაში არ არის.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ბ. ჯორჯაძემ ინგლისის მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობაც (ან სტატიკა) ვერ წარმოადგინა, და მისი განვითარების (დინამიკის) შესახებ ხომ სიტყვაც არ უთქვამს. მიუხედავად ამისა ის გვეუბნება. „რომ პატარა მრეწველობას გადაშენება არ მოელის. იგი თამამად ამოუდგა გვერდში დიდ მრეწველობას, რომ იგი წარსულის „ნარჩენი“ კი არ არის, არამედ ჩვენი დროის მოთხოვნილებიდანაა გამოწვეულიო“ (№ 1536). მაგრამ ეტყობა ბ. ჯორჯაძეს სულ ბავშური წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თანამედროვე მრეწველობაზე: მას გონია, მაგ., რომ დიდ სამრეწველო დაწესებულებებში და დიდი მანქანების საშუალებით პატარ-პატარა ნივთების გაკეთება, როგორიც არის, მაგ., ზარი ან ბულღი, ყოვლად შეუძლებელია: ასეთი ნივთებისათვის უსათუოთ პატარა ქარხნები და პატარ-პატარა მანქანებია საჭიროეო!

თავის-თავად იგულისხმება, რომ ჩვენ არ ვიკვლევთ აქ, თუ როგორ ხდება წარმოების კონცენტრაცია, ე. ი. წვრილ წარმოებათა გაქრობა და ამის მაგიერ მსხვილ წარმოების გაჩენა. მხოლოდ ვინც კი თანამედროვე მრეწველობას თვალს ადევნებს. იმისთვის აშკარაა, რომ ეს პროცესი შეუჩერებლათ ხდება. „სააქციონერო ამხანაგობები, რომლებიც სოკოებსავით იბადებიან ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში. სამუდამოთ ბოლოს უღებენ წვრილ და საშუალო წარმოებათ და სულ უფრო და უფრო ყლაპავენ კერძო კაპიტალისტებს. ამ პროცესის უკანასკნელი სიტყვა კარტელი და ტრესტია და ეს არა მარტო მრეწველობაში. არამედ მეურნეობაშიაც“ *). ამერიკელი მწერალი კარიოლ დ. რაიტი, რომლის ხელმძღვანელობით გამოკვლეულ იქნა ამერიკაში მანქანური წარმოების და ხელსაქმის მდგომარეობა, 1899 წელს წერდა: „რამდენიმე წლის შემდეგ ხელსაქმობის შესწავლა შესაძლებელი აღარ იქნება ისე, როგორც ახლა. ხელსაქმობა ჰქრება ძლიერ შესამჩნევათო“. პრო ჯ. რაუხბერგი სხვათა შორის ამბობს, რომ გერმანიაში 1852 წლიდან 1895 წლამდე დამოუკიდებელ მწარმოებელთა რიცხვმა იმატა 283.359 მაშინ, რაც მუშების რიცხვმა მოიმატა 2.111.228, ე. ი. 7.5-ჯერ მეტი **). ხელოსნურ წარმოებაშიაც ამასვე ვხედავთ. თუ წინათ, მაგ., ყველა ქარგალს შეეძლო დამოუკიდებელ ხელოსნათ გამხდარიყო. შემდეგში ეს შეუძლებელი შეიქნება. ამას მშვენივრათ ასურათებს შემდეგი პატარა ცხრილი, რომელიც ჩვენ ამოვიღეთ ბ. პროკოპოვიჩის [18]) წიგნიდან ***).

ეს ხელოსანზე მოდიოდა:

	1798 — 1801 წ.	1822 წ.	1846 წ.	1861 წ.
ბრანდენბურგი	54 ქარ.	87 ქარ.	128 ქარ.	146 ქარ.
პომერანია	24	65	95	103
მფელპრუსია	—	55	83	104

*) Научное Обозрение“ 1901 г. № 8, წერ. „Теория кризисов“.

**) Ibid.

***) Германия и Бельгия, стр. 4.

აშკარაა, რომ ყოველივე ეს გვიჩვენებს წერილ მწარმოებელთა და წარმოებათა თანდათან გაქრობას. რასაკვირველია იმის თქმა, რომ ისინი სულ გაქრებიან, არ შეიძლება; მხოლოთ თანამედროვე მრეწველობის განვითარება იმათ გაქრობისაკენ არის მიმართული. მაგრამ ბ. ჯორჯაძე ვერ ხედავს ამას ვერც მრეწველობაში. და მით უმეტეს ვერც სასოფლო მეურნეობაში. ამ უკანასკნელის შესახებაც მას კიდევ უფრო გაუგებარი და ყოველად უმნიშვნელო ცნობები მოყავს. ჩვენ არ ვთელით საჭიროთ ამაზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. ვიტყვით მხოლოთ. რომ ისე წერა. როგორც ბ. ჯორჯაძე წერს, ყოველად უნაყოფო და უმნიშვნელოა: ისეთი საგნები. რომლების ახსნა-განმარტება დიდ მომზადებას. ხანგრძლივ შრომას და დაკვირვებას თხოულობს, ის ერთი დაკვრით წყვეტს. როგორც მას სურს. ინგლისის მთელი თანამედროვე მრეწველობის განვითარება მისთვის ერთი წლის ხუთ-ექვს მშრალ ციფრში მდგომარეობს. ეს პირდაპირ მასხარათ აგდებაა ყველასი და ყველაფრის. საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა ბოლო მოეღოს ასეთ უთავბოლო ლაზღანდარობას ჩვენს ნორჩ მწერლობაში.

II

მეტად ახირებული კაცი გამოდგა ბ. ჯორჯაძე „ცნობის ფურცლიდან". მოგეხსენებათ. რომ ჩვენ გამოვაშკარავეთ ამ ვაჟბატონის პუბლიცისტურ ვარჯიშობათა სრული უსაფუძვლობა და უაზრობა. რასაკვირველია, ჭეშმარიტება ყოველთვის მწვავეთ სჭრის ხოლმე, და ამიტომ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ეს გარემოება არ ესიამოვნებოდა ბ. ჯორჯაძეს. მაგრამ თუ ამ პირადულ უსიამოვნებას ის საჯაროთ გამოიტანდა გაზეთის ფურცლებზე. ეს სწორეთ არ გვეგონა. უმეტესათ გაჯავრებულა ავტორი იმის გამო, რომ ჩვენ მის წერილებს საერთოდ, უთავბოლო ლაზღანდარობა ვუწოდეთ. მაგრამ ავტორმა არა თუ ვერ დაარღვია ასეთი ჩვენი შეხედულება მის ნაწერებზე, არამედ თავისი პასუხით კიდევ უფრო დაგვარწმუნა ამაში. ეს კიდევ არაფერი: ჩვენ ეკვი შეგვაქვს იმაში, რომ ვაი თუ ბ. ჯორჯაძეს მარტო გაუგებრობით და მოუმზადებლობით არ მოსდიოდეს ასეთი მიუტევებელი შეცდომები. ვაი თუ ის განზრახ ამახინჯებდა იმ ფაქტებს და ცნობებს. რომლებიც მას მოჰყავს. ვისურვებთ, რომ ჩვენი ეკვი უსაფუძვლო გამომდგარიყოს. ახლა კი განვიხილოთ, თუ რა ახალი საბუთები მოგვაწოდა ბ. ჯორჯაძემ უმთავრესად ჩვენ საკამათო საგანზე. აქედან ჩვენ გავიგებთ, თუ როგორ ესმის ჩვენს ავტორს ცხოვრება და მეცნიერება, რომლებსაც წამ და უწუმ იმოწმებს და რომლის „შეგნება-შელახვას" ჩვენ გვაბრალებს.

ბ. ჯორჯაძე ამბობდა („ცნ. ფურც." № 1536), „რომ 1890 წლამდე ინგლისში თითქმის არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკაო". ამას ჩვენ ვუწოდეთ „მტკნარი სიცრუეე" და დასამტკიცებლად მოვიყვანეთ „კაპიტალიდან შემდეგი სიტყვები: „ინგლისი ერთად ერთი მხარეა, რომელსაც აქვს შეუწყვეტელი ოფიციალური სტატისტიკა ინდუსტრიაზეო". ასეთი მხილება და ისიც „კაპიტალიდან" ამოწერილი სიტყვების საშუალებით ჩვენმა ავტორმა იუკადრისა და ისევ 1895 წლის „წიგნზე" (Blue

bonk) მიგვითითა, „რომლის ძალით მხოლოდ 1895 *) წლიდან მოყოლებული ინგლისში არსდება ოფიციალური სტატისტიკა“ („ცნ. ფურც.“ № 1582). რადგანაც ბ. ჯორჯაძეს არ ჯერა „კაპიტალის“ ავტორის მოწმობა ხსენებულ საგანზე, ამიტომ ჩვენ აქ მოვიყვანთ ისეთ მწერლის აზრს, რომელსაც ვერავინ ეერ დასწამებს, ამ მხრით მაინც, ვერავითარ პარტიობას, ან მომხრეობას. მე ვამბობ რუსეთის გამოჩენილ სტატისტიკოს იანსონზე. „უმთავრესი თვისება — ამბობს იანსონი—რომლითაც ინგლისის სტატისტიკა განსხვავდება სხვა ქვეყნების სტატისტიკისაგან. არის ის მოცილეობა კანონმდებლობით. ალმასრულებელ უფლებასა და თვით საზოგადოებას შორის, რომლის მეოხებით იკრიბება აუარებელი მასალა, მდიდარი თავის შინაარსით. ძვირფასი დაწვრილებით ცნობებით და მოკლებული ყოველგვარ წინდაწინ შედგენილ, ტენდენციოზურ აზრს. საპარლამენტო კომისიები თავისი გამოკვლევებით არსებულ მასალას უმატებენ ისეთ ცნობებს, რომლებსაც ადმინისტრაცია ვერასოდეს ვერ მიიღებს... საზოგადოებაში ინტერესი სტატისტიკისადმი იმდენად დიდია და მოთხოვნილება იმის ცნობებში იმდენად საგრძნობელი, რომ იგი თვითონ აგროვებს აუარაცხელ მასალას. თუ მთავრობის ცნობები რომელიმე საგნის შესახებ ან სულ არ არის ან და არ აკმაყოფილებენ მის (საზოგადოების) მოთხოვნილებას. ამნაირად გროვდება აუარებელი სტატისტიკური მასალა“. „ყველაზე მეტ ცნობებს — ამბობს იგივე ავტორი — ღებულობს და არკვევს მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო (Board of Trade): მას აქვს ცალკე სტატისტიკური დეპარტამენტი (Statisticai departement ofthe B. of T.), დაარსებული 1832 წელს, რომელიც ყოველ წლივ სცემს Statistical abstract of the N. K.,* ე. ი. უკანასკნელ ათი წლის სტატისტიკური ცნობების ბოკლე მიმოხილვას“ **). ახლა ბ. ჯორჯაძეს ვკითხოთ: ქვია ამას ოფიციალური სტატისტიკა თუ არა? თუ არც იანსონის მოწმობას დაიჯერებს, იმ შემთხვევაში ჩვენ დავასახელებთ აქ კიდევ სტატისტიკის საერთაშორისო კონგრესის დადგენილებას ფლორენციაში 1867 წელს, რომლითაც ინგლისის სტატისტიკა ყველა ქვეყნებისთვის მისაბაძავ მაგალითად უნდა ჩაითვალოს ***). რაც შეეხება ბ. ჯორჯაძის მიერ დასახელებულ წყაროს — Anuual Bepart of the chief inspektor — მას ალბათ ის ვერ გაუგია. ეს ადვილი წარმოსადგენია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ როგორც ბ. ჯარჯაძისვე წერილიდან სჩანს. მას ეს წყარო სრულებით არა ჰქონია ხელში, არამედ უხელმძღვანელებია ერთი უბრალო ჟურნალის სტატიით „The small industries of Britain“ („ბრიტანეის წვრი-

*) წინანდელ წერილში ბ. ჯორჯაძე ამბობდა, რომ ინგლისში ოფიციალური სტატისტიკა 1890 წლამდე არ არსებობსო: ახლა კი მისი სიტყვებიდან გამოდის, რომ მხოლოდ 1895 წლიდან არსდება ასეთი სტატისტიკა! მოდი და ამა გაიგეთ, რომელ ერთს დაეუჯეროთ.

**) Ю. Янсон. Теория статистики. СПБ. 1891 г. გვერ. 90 — 1.

***) აი ეს დადგენილება სიტყვა-სიტყვით: „Ils (délégués), sont également pries des resumer, pour le plus grand nomire d'années possibles, dans dés publications d'un format commode et à bon marche l'ensemble de leurs documents statistiques. On leurs propose á titre d'exemple, si non comme modél, le statistical Abstract publié chaque année par le gouvernement anglais et qui comprend habituellement une serie de quinz année“ იხ. Compte-rendu general des travaux du Cong. intern. de statistique. SPB. 1872 წ., გვერ. 7.

ლი მრეწველობა“), რომელიც მოთავსებულია 1900 წლის „The Ninentceith Century“-ში. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და ბ. ჯორჯაძეს ეკითხოთ: ნუ თუ მას მართლა გონია, რომ 1890 წლამდე ინგლისის მრეწველობის შესახებ არ მოიპოვება არავითარი, არც ოფიციალური და არც სხვა გვარი ცნობა? ჩვენც სწორეთ ამას ვუსაყვედურებდით ბ. ჯორჯაძეს, როცა მან ინგლისის მრეწველობის დასახასიათებლათ მხოლოთ ერთი წლის (1895 წ.) ორიოდე მშრალი ციფრი მოიყვანა. რათ გაჯიუტდა ბ. ჯორჯაძე, რათ არ უნდა, რომ გამოტყდეს თავის შეცდომაში? მაგრამ მას დავთარი დაუბნია იმ გარემოებამ, რომ მე „კაპიტალის“ ავტორი ვიმოწმე. ბ. ჯორჯაძეს კი გერმანიის გამოჩენილი ეკონომისტი სურს ჯვარზე აცვას, სხვათა შორის იმიტომაც, რომ ამ უკანასკნელმა გაიმეორა ჯონ ბრაიტის და სხვების მიერ გადმოცემული ცნობა შესახებ იმისა. რომ ნახევარი ინგლისი 150 მემამულეს ხელშია და ნახევარი შოტლანდია-კი 12 მემამულეს ეკუთვნისო. სამწუხაროთ ბ. ჯორჯაძემ არ იცის, რომ ეს აზრი „კაპიტალის“ ავტორს გარდა სხვებმაც გაიმეორეს, და იმათ შორის შარლ ლეტურნომაც *). ავტორმა ყველა ეს გამოჩენილი მწერლები უკუაგდო და ლენდლორდების შებაირაღეს — ბროდრიკის წიგნს დაემყარა. ვნახოთ, რა ცნობებს აძლევს ბ. ჯორჯაძეს ბროდრიკი, ჯონ ბრაიტის და სხვების აზრის გასაქარწყლებლად.

„1876 წელსო — ამბობს ჩვენი ავტორი: — ინგლისში და უელსში 14.000.000 აკრი მიწა ეკუთვნოდა 1.704 მემამულეს და 19.000.000 აკრი განაწილებული იყო 150.000 მემამულეთა შორისო. 1892 წელს-კი 176.520 მემამულე იყო ინისთანა, რომელსაც თითოეულათ ჰქონდა არა უმეტეს 10 აკრისაო“ (№ 1582). მერე რა არის აქ ისეთი, რაც ჯონ ბრაიტის და სხვების აზრს არღვევდეს ინგლისის მიწათმფლობელობის შესახებ? 1892 წელს 176.520 მემამულე იყო ისეთი, რომელთაც თითოეულათ ჰქონდა არა უმეტეს 10 აკრისაო! მერე განა ეს იმას ამტკიცებს. რომ ამ წელს ინგლისში და შოტლანდიაში დიდი მამულის პატრონები არ ყოფილან? საიდან სჩანს აქ, რომ ბრაიტი აქ შემცდარი იყო, როცა ამბობდა, ოომ ინგლისის ნახევარი ნაწილი 150 მემამულეს ხელში არისო და ნახევარი შოტლანდია 12 მემამულეს ეკუთვნისო? განა არ შეიძლება, რომ 176.520 კი არა. ორჯერ ამაზე მეტი იყოს ისეთი მემამულე, რომელთაც თითოეულ ჰქონდეს არა უმეტეს 10 აკრისა, და იმავე დროს მთელი ტერიტორიის ნახევარი 150 მემამულეს ეკუთვნოდეს? შეიძლება და მერე როგორ კარგათ! მაგრამ აქ ბ. ჯორჯაძე ჩვენ მოგვაძახებს: არა, მარტო ეს არ ამომიღია მე ბროდრიკის წიგნიდან, მე იქიდან ისეთი ცნობები ამოვიღე, რომლებიც ამტკიცებს, „რომ ინგლისში. მხოლოდ 2.46%-ია ძლიერ დიდი მემამულეებისა, 27-28% კი მთელი შემუშავებულ ტერიტორიისა დიდ მემამულეთა უჭირავთ და 66%-ს (მიწას? მ.) ა მ უ შ ა ვ ე ბ ე ნ გ ლ ე ხ ე ბ ი ო“ (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). ის ცხრილი, რომელიდანაც გამოყავს ჩვენს ავტორს ასეთი დასკვნა, იმის სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენს. თუ როგორ ამახინჯებს ის სტატისტიკურ ცნობებს. აქ ყოველგვარი სტატისტიკური კვლევა-ძიების კანონი დარღვეულია და უარყოფილი. პირველათ: ცხრილში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა 1885 — 1895

*) იხ. მისი Evolution de la propriété.

წლების განმავლობაში სხვადასხვა კატეგორიის მიწის მფლობელთა რაოდენობა; დასკვნა-კი შეეხება დამუშავებული მიწის დაყოფას მსხვილ და წვრილ მესაკუთრეთა შორის. მაგრამ მიწის მფლობელთა რაოდენობა სულ სხვაა და თვით დამუშავებული მიწის რაოდენობა და მისი მემამულეთა სხვადასხვა კატეგორიათა შორის დანაწილება სულ სხვა. მემამულეთა სხვადასხვა ჯგუფის რაოდენობიდან რომ ჩვენ დასკვნა გამოვიყვანოთ იმის შესახებ. თუ რომელ ჯგუფს რამდენი ადგილი უპირავს, ეს იმას ემსგავსება, რომ გვითხრან: ორჯერ ორი ქართოფილის სანთელს უდრისო; — მეორედ: ბ. ჯორჯაძის მიერ მოყვანილი ცხრილი გვეუბნება. რომ ინგლისში ათი წლის განმავლობაში (1885 — 1895 წ.წ.) წვრილ და შუათანა მემამულეთა რიცხვს მოუმატია და მსხვილ მემამულეთა რიცხვს-კი დაუკლია. მაგრამ აქ ჩვენ ავტორს ავიწყდება თავი და თავი საგანი: საქმე იმაში როდია. წვრილ მემამულეთა რიცხვი მატულობს თუ მსხვილ მემამულეთა რაოდენობა კლებულობს, არამედ იმაში, თუ როგორ იცვლება ერთის ან მეორეს მამულის სივრცე. შესაძლებელია, რომ წვრილ მესაკუთრეთა საერთო რიცხვი გაიზარდოს და იმავე დროს იმათი საერთო მიწა-ადგილის რაოდენობა დაიკლოს, რაც მართლა ხდება და რის მაგალითებს ჩვენ ქვევით მოვიყვანთ. შესაძლებელია პირიქით. რომ მსხვილ მემამულეთა რიცხვმა დაიკლოს და იმავე დროს იმათ მიწა-ადგილის სივრცემ იმატოს, რასაც ნამდვილათ ეხედავთ თანამედროვე ეკონომიურ პირობებში. ჩვენი ავტორის ცხრილი კი ამის შესახებ არაფერს არ გვეუბნება. ამიტომ ის არა თუ მიზანს ვერ აღწევს, არამედ ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს მკითხველის თვალში. ბ. ჯორჯაძეს იმის დამტკიცება უნდოდა, რომ დიდი მემამულეთა მიწა-ადგილი ქუცმაცდება და წვრილ მესაკუთრეთა ხელში გადადის. და პირიქით: წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი იზრდება და მასთან ერთად მატულობს აგრეთვე იმათი მამულის რაოდენობაო. ამის მაგივრათ კი ის ჩვენ გვაწვდის ყოველად უმნიშვნელო ციფრებს იმის შესახებ, რომ მსხვილ მემამულეთა რიცხვი კი იზრდებაო. ნუ თუ ახლაც ვერ გრძნობთ ბ-ნო ჯორჯაძეე. თუ როგორ ააცდინეთ ნიშანს?

ეს ყველა კარგი, მაგრამ ერთი აგვიხსენით, რას ნიშნავს თქვენი ფრაზა: „66%-ს მთელი შემუშავებული ტერიტორიისას ინგლისში ამუშავებენ გლეხებიო“! თქვენი წერილიდან არა სჩანს, ეს „გლეხები“ მესაკუთრენი არიან და თავის საკუთარ მიწას ამუშავებენ, თუ მეიჯარადრენი, ან კიდევ უბრალო დაქირავებული მუშები. ალბათ თქვენი ბროდრიკი ამის შესახებ არაფერს ამბობს. ამიტომ ისევ მე ვეცდები მოკლეთ მაინც გაგაგებინოთ, თუ რაშია აქ საქმე. ინგლისში მიწათმფლობელებმა ძლიერ ადრე დაკარგეს მუქთი მუშა ხელი; ამიტომ ისინი იძულებული შეიქნენ შემოეღოთ მეურნეობაში კაპიტალისტური წესი. მაგრამ რადგანაც იმათ იმ დროს არა ჰქონდათ ამისთვის საჭირო ფული, ამიტომ იძულებული შეიქნენ დაეყოთ თავისი მამულები დიდ თუ პატარა ნაკრებათ და ბოცათ იჯარით სოფლის ისეთ მეურნეთათვის, რომლებსაც მეურნეობის საწარმოებლად საკმარისი იარაღი და საშუალება ჰქონდათ. ამ გზით გავრცელდა მეურნეობაში კაპიტალისტური წარმოება. ამნაირათ საიჯარო სისტემის გავრცელებიდან რომელიმე ქვეყანაში ჩვენ ვტყობილობთ აგრეთვე იმას, თუ რა ზომამდეა

იქ გავრცელებული კაპიტალისტური წესი მეურნეობაში. აი რა საინტერესო ცნობებს გვაძლევს იჯარის შესახებ „აგრარული კითხვის" ავტორი.

„ინგლისში მთელ შემუშავებულ მიწიდან 1895 წელს. მხოლოდ 4.640.000 აკრი იყო ისეთი, რომელსაც თვით პატრონები ამუშავებდენ, 27.940.000 აკრს კი აწარმოებდენ მოიჯარადრენი. საკუთარ მიწაზე იქ ითვლებოდა 61.014 ოჯახი (хозяйство). ხოლო 459.042 საიჯარო მიწაზე იყო" *). გერმანიაში და საფრანგეთში ასე არ არის გავრცელებული იჯარული სისტემა, რაც იმას მოწმობს, რომ თვით კაპიტალიზმიც ამ ქვეყნების მეურნეობაში ისე არ არის შეკრილი, როგორც ინგლისში. ყოველ შემთხვევაში იგივე ავტორი გვიმტკიცებს, რომ იჯარული სისტემა იქაც თანდათან ვრცელდება. „გერმანიაში 1882 წლიდან 1895 წლამდე საიჯარო წარმოებათა რიცხვი 2.322.896-დან ავიდა 2.607.210-მდე, ე. ი. მოიმატა 284.311; იმავე დროს ისეთ წარმოებათა რიცხვი, რომლებიც საკუთარ მიწაზე ხდებოდა, 2.953.445-იდან დავიდა 2.951.107. საფრანგეთში სამეურნეო წარმოებათა რიცხვი იყო:

საკუთარ მიწაზე	საიჯარო მიწაზე
1882 წ. 3.525.343	1.309.904
1892 წ. 3.387.245	1.405.560
. . . . .	. . . . .
მოემ. (+) ანუ მოაკლ. (—): —	138.097 — 96.569 **)

ასევე სხვაგანაც.

ზემო ნათქვამიდან ჩვენ რამდენიმეთ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, თუ ვინ არიან ის გლეხები. რომლებიც ინგლისში 66% მთელ შემუშავებულ ტერიტორიისას ამუშავებენ: ისინი არიან უმეტეს ნაწილათ კაპიტალისტ-მეიჯარადრენი! ჩვენ სასაცილოთ არ გეყოფნის. როცა ბ. ჯორჯაძე ამბობს. „ბროდრიკის მოწმობას თვით ბ. მოსაუბრეს [19]) თვალშიაც ეჭნება მნიშვნელობაო"! ჩვენ ოა უნდა გვასწავლოს ბროდრიკმა. როცა მას ბ. ჯორჯაძისათვისაც ეერაფერი უსწავლებია!

III

განვაგრძოთ დაწყებული საუბარი. წინა წერილიდან ჩვენ ვიცით, თუ რა ცნობები მოყავს ბ. ჯორჯაძეს ინგლისის მეურნეობის დასახასიათებლათ. ჩვენ იქ დავინახეთ, შესაძლებელია თუ არა ასეთი ცნობების საშუალებით იმის დამტკიცება. რომ მეურნეობაში წერილი წარმოება სხვილ წარმოებას ამარცხებს. ასეთივე ცნობები მოჰყავს ჩვენს ავტორს სხვა ქვეყნების შესახებაც. და შემდეგ თამამად გაიძახის, რომ „კონცენტრაციის კანონი" დავარღვიეო. განვიხილოთ ეს ცნობებიც. დავიწყოთ საფრანგეთიდან.

ავტორი ამბობს, რომ „საფრანგეთის მიწის ორი მესამედი 6 მილიონ პატარა (წვრილ) მესაკუთრეს ეკუთვნისო. დიდი მესაკუთრეების რიცხვი იქ თანდა-

*) K. Kautsky. Die Agrarfrage. გვ. 97.

**) Ibid. გვ. 97—98.

თან შესამჩნევად კლებულობსო“ („ცნ. ფურც.“ № 1537). ამასთანავე ბ. ჯორ-ჯაძის სიტყვით, საფრანგეთში კლებულობს დღიურ მუშათა, ფერმერების და მოიჯარადრეების რიცხვი; სამაგიეროთ მესაკუთრე მიწათმომქმედთა რიცხვი მატულობსო. ყოველივე ეს ჩვენ გვჯერა. მაგრამ ამას საჭიროა დავუპირდაპიროთ შემდეგი ცხრილი, რომელიც ამოღებულია საფრანგეთის მეურნეობის ერთად ერთი სარწმუნო წყაროდან *). აი ეს ცხრილიც:

ცალკე მეურნეობის სიერცე	რაოდენობა მეურნეობათა		მომატება ანუ დაკლება	მთელი წარმოების სიერცე ჰექტარ. **)		მომატება ანუ დაკლება
	1882	1892		1882	1892	
1 ჰექ ზე ნაკლები	2 167.667	2 235.405	+67 738	1.083.833	1 327.253	+243.420
1— 5	1.865.878	1.829 259	- 36.619	5.597.634	5 489 200	—108.434
5– 10	769.152	788.299	+19 147	5.768 640	5.755.500	— 13.140
10—40	727.222	711.118	—16.104	14.845.660	14.313.417	—532.243
40 ზევით	142.088	138.671	— 3.417	22 296 105	22 493.393	+197.288

ამ ცხრილის მნიშვნელობა რომ უფრო გარკვევით წარმოვიდგინოთ, მოგვყავს აქ იგივე ცხრილი მხოლოდ პროცენტებათ ***).

მეურნეობის რიცხვი			მიწის სიერცე	
	1882	1892	1882	1892
1 ჰექტარზე ნაკლები	32,22 %	39,21 %	2,19 %	2,68 %
1 — 10	46,46	45,90	22,92	22,77
10 — 40	12,81	12,47	29,93	28,99
40 ზევით	2,51	2,42	44,96	45,56

ამ ცხრილებში მოყვანილი ციფრები ბევრს საგულისხმო რამეებს გვეუბნებიან. პირველ ყოვლისა აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ საფრანგეთში შუათანა მეურნეობა თანდათან ჰქრება; შემდეგ, მატულობს მხოლოთ სულ წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი, ე. ი. ვისაც ერთ ჰექტარზე ნაკლები მამული აქვს; იმავე დროს კლებულობს დიდ მესაკუთრეთა რიცხეი, მაგრამ იმათი მამულის საერთო რაოდენობა მატულობს. იმავე ცნობებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ საფრანგეთში დიდ მემამულეთა ხელში იმყოფება თითქმის მთელი საფრანგეთის ნახევარი, და თუ ამათ მიუმატებთ იმ მესაკუთრეთა რიცხვს, რომელთაც საშუალო ზომაზე

*) Statistique agricole. მოყვანილია კ. კაუცკის წიგნში: „Die Agrarfrage“.

**) ჰექტარი დესეტინაზე ნაკლებია, უდრის 0,91533 დესეტინას.

***) მოყვანილია გერტცის წიგნში: Аграрные вопросы, გვ. 132.

მეტი მამული აქვთ, იმ შემთხვევაში გამოვა,—75% საფრანგეთის მთელი მიწა-ადგილისა უპირავს 849.789 მესაკუთრეს; დანარჩენი 25% დაყოფილია თითქმის 5 მილიონ წვრილ მესაკუთრეთა შორის; იმათ რიცხვში 2.235.405 მესაკუთრეს 1892 წ. ჰქონდა სულ 1.327.253 ჰექტარი მიწა, ე. ი. თითოეულს რაღაც ნახევარ ჰექტარამდე! აი ის სასურველი ფორმა მიწათმფლობელობისა, რომელსაც ბ. ჯორჯაძე საუკეთესოთ აღიარებს და რომელსაც წვრილი მიწათმფლობელის გამარჯვებას უწოდებს! ჩვენ შემდეგ დაეინახავთ, თუ რა კეთილდღეობაში ატარებენ დროს ეს ჩვენი ავტორის მიერ მოწონებული „მესაკუთრენი", ან და რა პირობები იწვევს იმათ არსებობას. ჩვენ გვაკვირვებს მხოლოდ ის გარემოება, თუ რომელი სტატისტიკის ძალით ამბობს ბ. ჯორჯაძე, რომ „საფრანგეთში დიდ მემამულეებს უპირავთ მხოლოთ ერთი მეხუთედი მთელი შემუშავებული ტერიტორიისა. გლეხების ხელში კი ამ ტერიტორიის სამი მესამედი არისო" („ცნ. ფურც." № 1583). ალბათ ეს ისეთივე „გლეხებია", რომლებიც ჩვენმა ავტორმა, ბროდრიკის წყალობით, ინგლისში აღმოაჩინა! ახლა ვნახოთ, რა ცნობებს იძლევა ბ. ჯორჯაძე გერმანიის შესახებ.

„1895 წლის აღწერიდან — ამბობს ავტორი — სჩანს, რომ გერმანიაში გლეხ-კაცის მიწათმფლობელობამ 1882 წლიდან 17% მოიმატა. პრუსიაში გლეხობას უპირავს 22.875.000 ჰექტარი 32.591.000-დან, ე. ი. $^3/_4$" (იქავე). საიდან არის ამოღებული ეს ცნობები. ავტორი არ ამბობს. ალბათ ერთი ბროდრიკი აქაც გამოუჩნდა მას საიდანმე. ნამდვილათ კი გერმანიაში 1895 წელს *) 5.558.317 სამიწათმოქმედო წარმოება იყო; იმათ რიცხვში იყო:

2 ჰექტარზე ნაკლები	3.236.397, ანუ 58,22%
2 — 5 ჰექტარამდე	1.016.318, „ 18.29%
ერთიც და მეორეც	4.251.685, ანუ 76,51%.

ამნაირათ გერმანიაში 1895 წელს 5.558.317 მესაკუთრედან 3.236.397 ანუ 58,22% იყო ისეთი მესაკუთრე, რომელთაც 2 ჰექტარზე ნაკლები მამული ჰქონდათ, ე. ი. ნახევარზე მეტი მხოლოდ სახელს ატარებდა მესაკუთრისას, ნამდვილად კი ისინი ცხოვრობდენ სხვაგვარი შემოსავლით. საინტერესოა ის გარემოება, რომ მაშინ, როცა სხვა ხელობაში გარეშე თავის ხელობისა მუშაობა შედარებით კლებულობს, მიწათმფლობელობაში გარეშე შემოსავლით ცხოვრება მატულობს. ამის დასამტკიცებელ საბუთს წარმოგვიდგენს გერმანიის სტატისტიკა.

თავის ხელობის გარეშე მუშაობედან	1882 %	1895 %
მიწათმოქმედებაში	8,15	12,66
მრეწველობაში	26,47	18,02
ვაჭრობაში	25,34	16,43
მოსამსახურეებში	14,08	7.24
სახელმწიფო სამსახურში	13.79	8.08

*) Kautsky. გვ. 195.

იმის შესანიშნავ მაგალითს, თუ რა ხარისხამდე მიდის მამულის დაქუცმაცება, წვრილ-წვრილ ნაკრებათ ქცევა, როცა მიწათმოქმედების გარეშე შემოსავლით ცხოვრება გაადვილებულია, წარმოადგენს ბელგია, რასაც ნათლათ ეხედავთ შემდეგი ცხრილიდან *).

წარმოება (хозяйство)	1846 %	1866 %	1880 %
2 ჰექტარამდე	66,9	71,1	78.0
2 — 5	14,6	15,1	12.1
5 — 20	12,1	11,1	8.2
20 — 50	2,6	2,0	1,3
50 ზევით	0,8	0,7	0,4

ამნაირათ ბელგია წარმოგვიდგენს ერთ მაგალითს, სადაც წვრილ მეურნეთა რიცხვი თანდათან მატულობს და იმავე დროს შესამჩნევათ კლებულობს შუათანა და სხვილ მეურნეთა რიცხვი. მაგრამ ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ იზრდება ისეთი მეურნეთა რიცხვი, რომელნიც 2 ჰექტარზე ნაკლებ მამულს ამუშავებენ, ე. ი. იმათი რიცხვი, რომლებიც მეურნეობის გარეშე შემოსავლით ირჩენენ თავს. ასეთი ფორმა მეურნეობისა რომ არაფერს საიმედოს არ წარმოადგენს, ეს იძულებული იყო ეცნო თვით გერტცს, რომელიც მეურნეობაში სხვილ წარმოების წინააღმდეგია. ის ამბობს: „რასაკვირველია, ვერ უარვყოფთ, რომ პარცელიარული, წვრილი, მეურნეობა თხოულობს დიდ ენერგიას და უმეტეს შემთხვევაში შრომის გამოყენებისთვის უიმედოთ უნდა ჩაითვალოს"-ო **). ერთი სიტყვით, ამ ცნობებიდან სჩანს, რომ ბელგია წვრილი მეურნეობის ქვეყანაა, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ წვრილი მეურნეობა წვრილ მესაკუთრეობას სრულებით არ ნიშნავს. რის მაგალითს წარმოგვიდგენს ირლანდია. იქ 740 მესაკუთრეს უჭირავს მთელი დამუშავებული მიწის 46%. ასეა ბელგიაშიაც, სადაც მესაკუთრეთ ხელშია მხოლოდ 36% მთელი შემუშავებული ტერიტორიისა, დანარჩენი 64% უჭირავთ მოიჯარადრეებს. განსაკუთრებით ითქმის ეს ფლანდრიაზე; იქ მოიპოვება ისეთი სოფლები, რომელთაც ერთი ნამცეცი მიწა არა აქვთ თავის საკუთარი. არამედ იჯარით იღებენ დიდ მემამულეთაგან, როგორც ინგლისში ***).

მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება აქ ჩვენ იმ გარემოებას უნდა მიკაქციოთ, თუ ეს წვრილი მეურნენი რანაირ აუტანელ შრომას ეწევიან, რომ ერთ და იმავე დროს თავის ერთნამცეცი მამულიც ამუშაონ და გარეთაც იშრომონ ოჯახის შესანახათ. ისინი არ ზოგავენ არც თავის თავს, არც მცირე წლოვან ბავშვებს, არც ცოლებს და არც მოხუცებულ დედამამას, მაგრამ არაფერი კი არ შველით, მაინც მუდამ გაჭირვებული არიან, არა აქვთ არც რიგიანი სახლ-კარი, არც ნოყიერი საკვები და არც თბილი ტანსაცმელი ****). აი მიწათმფლობელო-

*) Ibid. გვ. 196.

**) Гертц. Агр. вопрос, გვ. 219.

***) ეს ცნობები ამოღებულია ი. ანდრეევის წერილიდან: „Агр. вопр. в Бельгии".

****) ეს შშვენიერათ აქვს აწერილი კაუტს.ის (გვ. 122 — 6); გერტცი ბევრს ეკადა, მაგრამ ვერ უარყო კაუტსკის მიერ წარმოდგენილი ფაქტები.

ბის ასეთ ფორმას შენატრის ბ. ჯორჯაძე! ის თავის იდეალათ სახავს გაკირვებულ წვრილ მეურნეს, რომელიც დღიან-ღამიანათ მუშაობს თავისი ცოლშვილითურთ და მთელი ოჯახით, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც მუდამ ნახევრათ მშიერ-მწყურვალია. ნურას უკაცრავათ, თუ ჩვენ ვერ გავიხდით იდეალათ ასეთ მეურნეს. ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ უთუოდ დიდ კაპიტალისტურ მეურნეობაში იყოს ხსნა. არა, ჩვენ იმას ვამბობთ მხოლოთ, რომ თანამედროვე მეურნეობის პირობებში ძირითადი ცვლილება მოხდა, რომ კაპიტალის დაბანდევამ სრულიად შეცვალა წარმოების პირობები; გაუმჯობესებულ იარაღების შემოღებამ მეურნეობაში აქაც პირისპირ წაუყენა წვრილი და მსხვილი მეურნე ოა უმეტეს შემთხვევაში გამარჯვება უკანასკნელს რჩება. მაგრამ აქ მოქმედებენ კიდევ სხვა ფაქტორები, რომლების წყალობით წვრილი, გატიღნილი, მეურნე ხშირათ უძლებს მსხვილ მწარმოებელის მეტოქეობას. მაგრამ თქვენ ნუ გაგიკვირდებათ, თუ უმეტეს შემთხვევაში, ეს ძვალტყავათ გამხდარი, წვრილი მესაკუთრე და წვრილი მეურნე სხვილ მეურნეობისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდეს. რადგანაც უიმისოთ უკანასკნელი მოკლებული დარჩებოდა მუშა ხელს. აქედან ადვილი გასაგებია, თუ კაპიტალისტი — მეურნენი რათ ცდილობენ, რომ წვრილი მესაკუთრენი სოფელს არ მოშორდენ. და აგრეთვე თითონ რათ ღებულობენ ზომებს იმათი რიცხვის გამრავლებისთვის. თუ ასეთი ზომების წინააღმდეგ ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ, ბ. ჯორჯაძე მოგვაძახებს, თქვენ სოფლის დაცარიელებას და 1½ მილიონი ხალხის გალატაკებას და იმათ ქალაქში გადასახლებას ქადაგებთო. რა უნდა ვთქვათ ასეთ მსჯელობაზე! ბ. ჯორჯაძეს რომ კითხოთ, „კაპიტალის“ ავტორის მოძღვრება არა თუ მეურნეობაში, მრეწველობაშიაც კი არ მართლდება. მისი აზრით, რომელიც „ჯერ ახალია“, „პროლეტართა რაზმის შევსება პირდაპირ კაპიტალთა რიცხვის გამრავლებაზეა დამყარებული“ („ცნ. ფურც.“ № 1583). და პროლეტართა სასიხარულოთ ბ. ჯორჯაძე მართლაც ამტკიცებს კაპიტალისტების გამრავლებას! მაგრამ აქ საინტერესოა ვალაპარაკოთ თვით ავტორი. „იმის დასამტკიცებლადო — ამბობს ის — რომ კაპიტალისტთა რიცხვი მცირდება, ხშირათ მოყავთ ის მოსაზრება, რომ თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში ღრმა ფესვი გაიკეთეს აქციონერთა საზოგადოებათა — ტრესტი. კარტელი და სხვ. ამ საზოგადოებათ რომ დაიკვირდეთ, დაინახავთ სწორეთ იმას, რასაც ჩვენ (ე. ი. არ. ჯორჯაძე) ვამტკიცებთ. ინგლისის ძაფის ტრესტში 12.300 აქციონერია; ქალალდის ტრესტში 5.454 აქციონ. მანჩესტერის საზღვაო არხის აქციონერთა რიცხვი 40.000.... სპირის და პონდის საწყობს აქვს 26.000.000 მარკა თანხა. რომელიც ეკუთვნის 4.650 აქციონერს; მათში მხოლოთ 550 კაცს აქვს კაპიტალი, რომელიც აღემატება 10,000 მარკას“. ბოდიშს ვიხდი ამდენი ამოწერისთვის, მაგრამ სხვაფერ მოქცევა არ შეგვეძლო. როგორც ხედავთ, ბ. ჯორჯაძეს აქციონერთა საზოგადოება და ტრესტი და კარტელი ერთი და იგივე გონებია. მართალია, აქციონერთა საზოგადოებანი შეადგენენ იმ პირველ საფეხურს ანუ სკოლას, რომელიც გამოიარეს ტრესტებმა და კარტელებმა, სანამ ისინი მოველინებოდენ ქვეყნიერებას თავისი დღევანდელი ორგანიზაციით, მაგრამ ისინი მაინც სულ სხვადასხვა დაწესებულებაა. აქციონერთა საზოგადოების

მიზანს შეადგენს თვით წარმოების მოწყობა, ტრესტების და კარტელების მიზანი კი მდგომარეობს შემდეგში: ფასების დაწესებაში, წარმოების მოწესრიგებაში და საქონლის გასასაღებელი ადგილების, ე. ი. ბაზრების დაყოფაში *). ეს განსხვავება იმას არ უშლის, რომ როგორც აქციონერთა საზოგადოებანი, ისე ტრესტები და კარტელები, უარყოფენ წერილ წარმოებას, განცალკევებულ მწარმოებელს. ორივე შემთხვევაში ცხადია, რომ თანამედროვე მრეწველობაში მხოლოთ დიდ წარმოებას აქვს დარჩენილი ბურთი და მოედანი. ამასში მხოლოთ ბ. ჯორჯაძეს შეუძლია შეიტანოს ეჭვი. ჩვენი ავტორის გულუბრყვილობა ყველაზე უფრო იქიდან სჩანს, რომ მას აქციონერულ საზოგადოებათა ყველა მონაწილე კაპიტალისტი გონებია! ბ. ჯორჯაძის ლოლიკით რომ ვიხელმძღვანელოთ, გამოვა, რომ ვინც ორიოდე გროშს იზოგებს და ბანკში შეაქვს, ყველა ბანკირი იქნება! არა, ბ. ჯორჯაძევ, ასეთი მეცნიერული საგძლით თქვენ შორს ვერ წახვალთ. „რათა თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების ხასიათი დაუმახინჯებელი გამოგიჩნდეთ თქვენ თვალში", საჭიროა აღიჭურვოთ უფრო მეტი მომზადებით და უფრო მეტი დაკვირვებით, ვიდრე თქვენ დღეს ბრძანდებით აღჭურვილი.

ყოველივე ის, რაც ჩვენ ვთქვით წინა წერილებში ზოგიერთ უცხო ქვეყნების მეურნეობის შესახებ, მეტათ საინტერესო იქნებოდა, რომ ჩვენი ქვეყნის მეურნეობასთან შეგვეფარდებინა. მკითხველიც ალბათ ამას მოელის ჩვენგან. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩვენ არ შეგვიძლია, რადგანაც ჩვენ ჯერ არა გვაქვს ამნაირი სტატისტიკა. მართალია, ბ.ჯორჯაძე „ცნობის ფურცლიდან" გაიძახის,. „რომ საქართველოში პატარა (წვრილ) სოფლის მესაკუთრეთა რაოდენობა თანდათან იზრდებაო" (№ 1537), მაგრამ ეს მხოლოთ ცარიელი სიტყვებია, სრულებით დაუსაბუთებელი. ბ. ჯორჯაძეს ამის დასამტკიცებლათ სრულებით საკმარისად მიაჩნია ის გარემოება, რომ თბილისის გუბერნიის „გლეხობას დღიდან რეფორმისა (ე. ი. 1864 წლიდან) 1899 წ. იანვრამდე შეუძენია 3,466 კომლს 15,084 დესეტინა მიწა, და ქუთაისის გუბერნიის შვიდ მაზრაში (ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმისაში) იმავე ხნის განმავლობაში 32,844 კომლ გლეხს შეუყიდია 135,908 დესეტინა „სანადელო" მიწა". ეს არის ერთად ერთი საბუთი, რომელიც ბ. ჯორჯაძეს მოყავს იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენში წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი იზრდება. მაგრამ ავტორი ივიწყებს აქ შემდეგ გარემოებათ: პრველი: გარდა იმ 3,466 კომლ გლეხისა, რომლებმაც თბილისის გუბერნიაში დაიხსნეს მებატონეთაგან 15,084 დესეტინა მიწა და აგრეთვე გარდა იმ 32,844 კომლისა, რომელთაც ქუთაისის გუბერნიაში დაიხსნეს 135,908 დესეტინა მიწა, არის კიდევ გლეხ-კაცობის დიდძალი ნაწილი, რომელიც ჯერაც არ განთავისუფლებულა ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, ან თუ განთავისუფლდა სრულიად უმიწაწყლოთ არის დარჩენილი; მეორე: ეს 3.466 და 32.844 კომლი ამ ორმოცი წლის განმავლობაში უცველი კი არ

*) ბრუნო შენლაკი. „Промысловые синдикаты". გვ. 22.

დარჩენილა: ამ ხანში გაჩნდა ახალი თაობა და ეკვი არ არის, რომ ეს რიცხვი ერთი სამად მაინც გაიზარდა და ამის კვალობაზე უნდა დაყოფილიყო მამულიც, ან და გლეხობის ერთი ნაწილი სრულებით უადგილ-მამულოდ უნდა დარჩენილიყო; მესამე: სრულიად ავიწყდება მსხვილ მესაკუთრეთა მდგომარეობა; მართალია, იმათი რიცხვი ჩვენ'ში არასოდეს დიდი არ ყოფილა, მაგრამ სანამ ჩვენი მიწათმფლობელობის შესახებ რაიმე დასკვნას დავადგებოდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, იმატა თუ იკლო ამ უკანასკნელი 30 — 40 წლების განმავლობა'ში იმ მიწაადგილის საერთო რაოდენობამ. რომელიც მსხვილ მესაკუთრეთა ხელ'შია; მეოთხე: დასასრულ ბ-ნი ჯორჯაძე ივიწყებს და სრულებით არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმ ძირითად ცვლილებათ ჩვენს მეურნეობა'ში, რომლებიც გამოწვეულ იქნენ წარმოება'ში სრულიად ახალი წესის დამკვიდრებით. უამისოთ კი ყოველგვარი მსჯელობა შესახებ იმისა, გაიზარდა თუ შემცირდა სოფლის წვრილ, თუ სხვილ მესაკუთრეთა თუ მეურნეთა რიცხვი, სრულებით ფუჭათ მიგვაჩნია. როგორც დავინახეთ, სწორედ ასეთია ბ. ჯორჯაძის მსჯელობა. მან წარმოსთქვა ისეთი აზრები ჩვენი მეურნეობის შესახებ, რომლის დასამტკიცებლად მას არავითარი საბუთი არ ჰქონდა ხელ'ში. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ბ. ჯორჯაძე აქ საყვედურის ღირსი იმდენადვეა, რამდენადაც მთელი ადგილობრივი მწერლობა და საზოგადოება.

(ჟურნალი „კვალი“ 1901 წ., №№ 36, 39, 41 და 42, „მოსაუბრე“-ს ფსევდონიმით).

ჩვენებური უკულმართობა

I

ვიღაც მწირს-მესამოცეთაგანს მოსვენებას არ აძლევს ერთგვარი მიმართულება. რომელმაც ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევი გავლენა მოიპოვა როგორც მწერლობაში, ისე ცხოვრებაშიაც. ამას წინათ ამ ვაჟბატონმა დაბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ (იხ. № 184) ერთი დიდი წერილი, სათაურით: „ანბანური ქეშმარიტება“. რომელიც სავსეა ლოღიკური ნახტომებით თავისი თავის ქებით და „ჩვენებურ მარქსელების“ ლანძღვა-თრევით და ცილისწამებით.

ამ ბოლო დროს ჩვენ ერთობ დავეჩვიეთ მეტათ უდიერ მოქცევას ზოგიერთ უნიჭო მწერალთაგან, და ამიტომ ბ-ნ მწირ-მესამოცეთაგანის ლანძღვა-გინებას ჩვენ სულ უყურადღებოთ დავტოვებდით, მაგრამ აქ არის ორი ისეთი გარემოება, რომელმაც კალამი აგვაღებინა ხელში საპასუხოთ. ერთი ის, რომ ბ. მწირი-მესამოცეთაგანი ლაპარაკობს იმნაირი კილოთი, რომ ის დიდი ხნის დამსახურებული და ღვაწლმოსილი პირი უნდა იყოს ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში, ასე რომ სამშობლოს სამსახურის დროს „მის თავზე წისქვილის ქვაც კი დატრიალებულა“, თორემ სხვა განსაცდელს ვინღა ამბობს. ასეთი ღვაწლმოსილი გვამი, რომელიც ერთ დროს „ელვა-ჭექას არ შეშინებია და გრიგალ-ქარიშხალს არ გაქცევია“, დღეს თურმე შევიწროებულია ზოგიერთ ახალგაზრდათა მოქმედების წყალობით, და ეს შევიწროება იმ ზომამდე მისულა, რომ მცხოვან მოღვაწეს თურმე აღარც საფასი აქვს, აღარც საფარი და აღარც იარაღი, რომ თავის გულისნადები წარმოსთქვას, და იძულებული გამხდარა „იგავებით გვიგოს ხოლმე პასუხი“.

როგორც ხედავთ მდგომარეობა მეტათ გულსაკლავია და ღირსი თანაგრძნობისა. თავიანთ გაბედული მოქმედებით ახალგაზრდა მოღვაწეთ ნამდვილი შიშის ზარი დაუცია ბ-ნ მწირი-მესამოცეთაგანისათვის, მაგრამ ამ დროს მას გაუხსენებია ძველი „საქმენი საგმირონი“ და გადაუწყვეტია: „შიშით ვერც ჩვენ ჩავიგუბებთ პირში წყალს და ვიტყვით, რამდენადაც კი მოსახერხებელია თქმაო“. მეორე გარემოება, რომელმაც ჩვენ კალამი აგვაღებია ხელში ბ. მწირის საწინააღმდეგოდ ის არის, რომ მიმპარავი ძაღლი უფრო საშიშია, ვიდრე ის, რომე-

ლიც ყეფით და ხმაურობით მოგაშურებთ. ბ. მწირი-მესამოცეთაგანიც ისე გვაჩ-ვენებს თავს, რომ ის ვითომც დიდი მოსარჩლეა დაჩაგრული ხალხის და თითქმის მეგობარიც მის მიერ ათვალისწინებულ პირების, რომელთაც „ბევრი სიმართლე უპირავთ ხელში"; მას სურს ვითომ მათი დარიგება და უფრო სწორ გზაზე დაყენება. მაგრამ ჩვენ კარგად გვესმის ბ. მწირის ხერხი: თუ ენით იგი გეექალაჩუნება და გველაქუცება, საქმით ორმოს გვითხრის. ეს გესურს ჩვენ ეაცოდინოთ ქალაჩუნობით და შემპარაობით მოლაპარაკეს.

რაც შეეხება თვით წერილს, ჩვენ სწორეთ გვეძნელება იმაზე პასუხის გაცემა, რადგანაც იგი თავიდან ბოლომდე იგავ-არაკებით არის გავსებული, და არც იცი რომელ ერთს გასცე პასუხი. გარდა ამისა ავტორი, ვინ იცის, რას არ ეხება ამ ერთ წერილში: ბერძნების სიბრძნე გინდათ, თუ თვით ავტორის და მესამოცე წლების მოღვაწეთა ამაგი, წარსული ცხოვრება, ბანკები, მაგრამ ყველაზე უფრო კი „ჩვენებური მარქსელები". — ერთი სიტყვით ყველაფერზეა ლაპარაკი, მაგრამ ისე კი, რომ ყოველივე ამას ერთმანეთშორის არავითარი კავშირი არა აქვს და ნამდვილი ბაბილონის არევას მოგაგონებთ. ჩვენის აზრით ყველაზე უფრო ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე ის გარემოება, რომ ბ. მწირი-მესამოცეთაგანი გატაცებულია თავისი წარსული ღვაწლით და ამაგით სამშობლოს წინაშე და სწუხს, რომ მას ჯეროვნათ ვერ აფასებენ. ჩვენ არ ვიცით, თუ ვინ ბრძანდება ბ. მწირი-მესამოცეთაგანი და ამიტომ არც იმის განსჯა შეგვიძლია, თუ რამდენად მართალია მისი ასეთი შეხედულება, არც ის ვიცით, თუ რათ დაირქვა მან მწირი, როცა ასეთი სახელწოდება სრულებით არ შეფერის მის ხასიათს. აბა ერთი გასინჯეთ, განა ეს მწირის ენაა: „ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, — მოგვითხრობს ბ. მწირი-მესამოცეთაგანი, — ცოტა გვინახავს დარი, უფრო მეტი ავდრიანი დღე გვდგომია, მაგრამ გაგვიძლია: ელვაქექის ისე არ შეგვშინებია, გრიგალ-ქარიშხალს არ გავქცევივართ და სეტყვის დროს თავი სხვაგან არსად შეგვიფარებია. ყველა აგვიტანიაო". ან: „ვისაც არა გადახდომია-რა, ის რას დაეძებს? მაგრამ, აბა ახლა, ერთი მესამოცე წლების მოღვაწეებსაც კი ახდი... მე ვამბობ აქ თითო-ოროლა ნამდვილ მშრომელებზე, რომელთაც კიდევ დაეტყოთ, რომ მათ თავზე წისქვილის ქვას უტრიალია, და არა იმ გუგული მამულიშვილებზე, ჩვენს საბუდარში რომ მხოლოთ თავის გამოსაჩენათ ხანდახან უკაკანიათ და კვერცხი კი სხვის საბუდარში უდვიათო". ამის წაკითხვაზე ვის არ გაახსენდება იგავი მეზვერეზე და ფარისეველზე: ფარისეველი იგი წარსდგა და ამას ილოცავდა თვისაგან: „გმადლობ შენ უფალო, რამეთუ მე არა ვარ ვითარცა სხვა კაცნი, მტაცებელი, ცრუ და მემრუშეო"... თუ მართლა ცრუ მწირი არაა ჩვენი ავტორი, იმას უეჭველად არ დაავიწყდებოდა სახარებისავე სიტყვები „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაამკვიდრონ ქვეყანა". ყველაზე უფრო გასაკვირალი აქ ის არის, რომ ბ. მწირი-მესამოცეთაგანი დიდი მცოდნე უნდა იყოს ხალხური ანდაზებისა, ვინაიდან მისი წერილი გავსებულია ამითი, და იმავე დროს ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ანდაზა კი დავიწყებია, სახელდობრ: თავის ქება კიტრათ ღირსო. ასეთ უხერხულ და გამოუდეგარ ოინს ბ. მწირმა მიმართა ალბათ იმიტომ, რომ მკითხველებზე გავლენა მოეხდინა და მისი ნათქვამი ანბანურ ჭეშმარიტებათ მიეღოთ: აი, მე ვინ

ვარ, აი, მე განსაცდელი ამიტანია სამშობლოს გულისათვის, რა ღვაწლი მიმიძღვის მის წინაშეო: უბრალო ვინმე არ გეგონოთ, ამიტომ ჩემი ნათქვამი დაიჯერეთო. მაგრამ კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს, დღეს საზოგადოებას სიტყვების სროლით ეელარ მოატყუებ. ახლა დავანებოთ თავი თავისებურ მწირის ზნეობრივ ფიზიონომიას და განვიხილოთ მისი გონებრივი ავლადიდება, თუ რა ლიტერატურული საგძალი გამოდის ის დღეს მწერლობის ასპარეზზე. ბ. მწირი ასე იწყებს თავის წერილს.

„ბერძნების წარმოდგენით, სიბრძნე იყო დედა, რომელსაც ეყოლა სამი ასული: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. იმათ დაუხმარებლათ ქვეყნიური შვება-ბედნიერება შეუძლებელი იყო და ამიტომაც ყველა მათკენ მიისწრაფებოდა... ერთ დროს, ოდესმე ქართველებსაც ჰქონდათ ეს სიბრძნე ერთ ენულათ შესისხლხორცებული, მაგრამ დღეს კი, როდესაც ზედა-პირი სარჩულათ მოგვეცა და სარჩული გაგვიზედაპირდა, ბერძნებისაგან ჩვენ მიერ მიღებული ალეგორიაც გადაგვიუკულმართდა: სიბრძნის ადგილი უმეცრებამ დაიჭირა და წარმოშობა უსასოება და სიძულვილიო"

ამნაირად ბ. მწირი-მესამოცეთაგანი ამტკიცებს: ძველ დროში ხალხთა შორის გამეფებული იყო სიბრძნე, ე. ი. სარწმუნოება, სასოება და სიყვარული: დღეს კი სიბრძნის ადგილი დაიჭირა უმეცრებამ, რომელმაც წარმოშობა: უსარწმუნოება, უსასოება და სიძულვილი, ე. ი. დღეს სიბრძნის მაგივრათ უმეცრებაა, სარწმუნოების მაგივრათ — ურწმუნოება, სასოების მაგივრათ — უსასოება და უიმედობა და სიყვარულის მაგივრათ — სიძულვილი. აქედან თავის თავად იგულისხმება ასეთი დასკვნა: ძველი დრო ბევრათ მაღლა დგას ახლანდელზე. ეს არის ბ. მწირის ფილოსოფიის ქვაკუთხედი; ამას ის ვერასოდეს ვერ გასცილებია და ვერც გასცილდება. სამწუხაროდ, ასეთი შეხედულება მოკლებულია ყოველგვარ გონივრულ მოსაზრებას, ისტორიას რომ თავი დავანებოთ. და მართლაც რომელი ჭკუათმყოფელი ადამიანი იტყვის დღეს, რომ უწინდელ დროში ხალხთა შორის დამკვიდრებული იყო სიბრძნე, ე. ი. სიყვარული და სასოება. დღეს კი ამის ადგილი დაიჭირა უმეცრებამ, უიმედობამ და სიძულვილმა? ისტორია ხომ ასეთ შეხედულებას სავსებით უარჰყოფს. შეიძლება ბ. მწირმა (სიტყვის შესამოკლებლათ ვუწოდოთ ჩვენს ავტორს მარტო მწირი) ჩვენ გვისაყვედუროს. რომ ვითომც ჩვენ ვერ გავიგეთ მისი სიტყვები, ვინაიდან ის ალეგორიით. იგავებით ლაპარაკობს ხოლმე: შეიძლება ამასთანავე მან აგვიხსნას. რომ მას აქ მხედველობაში მხოლოდ საქართველო აქვს, მარტო ქართველი ხალხი. მაგრამ ამას სულ არ ამართლებს ჩვენი წარსული ცხოვრება. განა ჩვენი ხალხი დღეს უმეცარია და ძველათ ბრძენი და მეცნიერი იყო? განა ჩვენში წინათ მარტო სიყვარულს ჰქონდა ადგილი და დღეს კი მხოლოდ სიძულვილს ვხედავთ გამეფებულს? აიღეთ და წაიკითხეთ ჩვენი ისტორია, გაეცანით „ქართლის ცხოვრებას". უძველეს წყაროს ჩვენი წარსული ცხოვრებისას და თქვენ ნათლათ დაინახავთ. თუ რა უმეცარი იყო ძველათ ჩვენი ხალხი. თუ რა გაუთავებელ და შეუწყვეტელ შფოთს, და სიძულვილს ჰქონდა ადგილი მასში. მაგრამ ამისთვის რა საჭიროა შორს წასვლა, როცა თვით ბ. მწირი აი რას ამბობს თავისავე წერილში: „ციხე შიგნიდან

გატყდებაო, საქართველოც გვართა ბრძოლამ დაამხო"... საქართველოს გმირები მტერს უფრო გამოადგებოდენ ხოლმე. ვიდრე მოყვარეს... ისინი პირიქით მირბოდენ მტრის მოსაყვანათ: გვიშველეთ, პირადათ ნუ გვაჭმეეთ სირცხვილს და ჩემს სამწყოს გინდ მუსრი გაავლეთო". რა იყო ამის მიზეზი? — კითხულობს ბ. მწირი და თვითონვე იძლევა პაუხს: „გვართა ბრძოლის გამომწვეევი შ უ რ ი და სიხარბეო*). ნუ თუ ეს სიბრძნის. სიყვარულის და სასოების ნიშანია. ოომლებიც „ერთ დროს ეროვნულათ შესისხლხორცებული ჰქონდათ ქართველებს" ბ. მწირის სიტყვით? რით აიხსნება ასეთი აშკარა ლოღიკური წინააღმდეგობა ბ. მწირის მსჯელობაში? ჩვენის აზრით, ასეთი ლოღიკური ნახტომის ასაცდენათ არ იყო საჭირო არც დიდი ცოდნა. და არც დიდი სიბრძნე; ამისთვის კმაროდა მხოლოთ საღი გონება და დალაგებით მოფიქრება, როცა ასეთი ადამიანი მეთაურობას კისრულობს, ხალხის მასწავლებლათ გამოდის, სხვებს წამებს „სულწასულობას", სხვებს უკიჟინებს „ლოღიკისა და სიმართლის მხოით წაფორხილებას" და სხ. აქედან აშკარაა, რა ღირსება და ფასი უნდა ჰქონდეს ამნაირი პუბლიცისტების აზრსა და მსჯელობას საზოგადოებისათვის.

II

წარსულიდან ბ. მწირი გადადის დღევანდელ ჩვენს ვითარებაზე. „დღევანდელი ჩვენი მოღვაწეობაც წარსული დედნის პირიაო", — გვეუბნება ბ. მწირი, ე. ი. „დღევანდელი ჩვენი მეთაურებიც, შურით და მტრობით გამსჭვალული. ერთმანეთს აღარ ზოგავენო". თუ ბ. მწირის სიტყვით, ძველათ შურის და მტრობის გამომწვეევი გვართა ბრძოლა იყო, დღეს იმის მიზეზი „უდროოთ შემოჩხერილი ბანკები და არჩევნები" შეიქნენ. დღევანდელ უთანხმოების ისტორიას ასე მოგვითხრობს ჩვენი ავტორი. „ახალ ცხოვრებისაკენ პირველი ბიჯი მესამოცე წლების მოღვაწეებმა გადადგეს. და ერთხანათ მათი შრომა-მოღვაწეობა სწორედ მოციქულებრივი იყო, მაგრამ ბოლოს. როცა ბანკები და არჩევნები უდროოთ შემოგვეჩხირა, მაშინ ჩამოვარდა მათ შორის განხეთქილება და ორ ბანაკათ გაყოოო". ამნაირათ ბანკები და არჩევნები რომ ქვეყანაზე არ გაჩენილიყო. ჩვენში იქნებოდა ნამდვილი მყუდროება და კაცთა შორის სათნოება: არც უთანხმოება, არც შფოთი და არც მტრობა. ყოველივე გამოიწვია ამ ცეცხლში დასაწვავ ბანკებმა და არჩევნებმა! სად იყო აქამდის ბ. მწირი, რას აკეთებდა, რათ არ ამცნო დროზე ქვეყანასა, რომ ნუ აარსებთ ბანკებს, თორემ ქვეყანა დაიღუპებაო? — ასეა თუ ისე ბ. მწირმა, როგორც იყო, აგვიხსნა და გაგვაგებინა, თუ საიდან გაჩნდენ „ჩვენებური მარქსელები", ანუ მისი ტერმინოლოგიით ეს „ანარეკლის ანარეკლები"! ვინ იცის, შეიძლება ისინიც ბანკებმა და არჩევნებმა წარმოშობეს. ჯერ-ჯერობთ ამის შესახებ არაფერს ამბობს ბ. მწირი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ის გაგვაცნობს „ჩვენებურ მარქსელების" წარმოშობის ისტორიასაც.

---

*) ხაზს ყველგან ჩვენ ვუსვამთ.

დღეს-დღეობით კი ის ამის შესახებ შემდეგით გვაკმაყოფილებს. „როგორც ებრაელები მოელოდენ მესიას — მოგვითხრობს ბ. მწირი, ისე ზოგიერთი მესამოცე წლების მოღვაწენიც მოელოდენ ახალ დგამს; მათ რიცხვში გიორგი წერეთელიც, რომელმაც მეტის ს ულ - წ ა ს ულ ო ბ ი თ კარლ მარქსის მოძღვრების ფეხის ამყოლები მიიღო „მომავალათ", უწოდა „მესამე დასათ" და სიმონ ბოხუცებულისებრ სთქვა: აწ განმიტეეეო, მაგრამ ვერ გაუვიდა ნამდვილი მიმრქმელობაო". ჩვენ არაფერს ვამბობთ იმაზე, თუ როგორ ასრულებენ „მესიის" როლს „მესამე დასელები", ან როგორი მიმრქმელი გამოდგა გიორგი წერეთელი*), — ეს მომავალი ისტორიკოსის საქმეა, რასაკვირველია არა ისეთი ისტორიკოსის, როგორც ბ. მწირია. ჩვენ შეეეხებით მხოლოთ იმას, თუ როგორ იხსენიებს ან რაში სდებს წუნს ამ ახალი თაობის წარმომადგენელთ ბ. მწირი. ეს ვაუბატონი იმ ზომამდე არის ბრაზმორეული ხსენებული თაობის წარმომადგენელთა მოღვაწეობით, რომ მას აღარაფერი აღარ აგონდება, აღარც ლოღიკა, აღარც ზრდილობა. აბა, ყური დაუგდეთ, თუ რას ამბობს თვით ბ. მწირი: „მესამე დასელებს" ბევრი სიმართლე უჭირავთ ხელ'ში, როცა პირდაპირ გმობენ ფარისეველობას და მეზვერეობას და ჩვენი თანაგრძნობაც მათკენ იქნებოდა, რომ იმავე დროს სრულიად უარს არ ყოფდენ წარსულსა და ავსა და კარგს ერთისა და იმავე გოდორით არ აგროვებდენ უფსკრულისაკენ. რასაკვირველია, ისინი ამას შურით, მტრობითა და სიხარბით არ სჩადიანო". შემდეგ: „ის გზა, რომელსაც დღეს ისინი (ე. ი. „მესამე დასელები") ადგიან, არა თუ გამოსადეგია ცხოვრებაში, აუცილებლათ საჭიროა ჩვენთვის. მაგრამ გზაზე დადგომასაც და წინსვლასაც სიფრთხილე და წინდახედულობა ეჭირვებაო". ადამიანი უცოდველი არ არის, და „მესამე დასელებიც" ხომ ადამიანები არიან. ამიტომ თუ ყველა ის ღირსება, რომელსაც მათ ბ. მწირი აწერს, ნამდვილია, იმ შემთხვევაში ისინი პატივისცემის ღირსნი მაინც არიან, და არა დაცინვის, დამცირების და ცილის წამების. თუ „მესამე დასელებს" ბევრი სიმართლე უჭირავთ ხელ'ში, თუ „ის გზა, რომელსაც დღეს ისინი ადგიან, არა თუ გამოსადეგია ცხოვრებაში, აუცილებლათ საჭიროა ჩვენთვის", და თუ იმ შემთხვევაშიაც, როცა ისინი ცდებიან, ეს არ არის გამოწვეული არც „შურით, არც მტრობით და არც სიხარბით", თუ ყოველივე ამას ბ. მწირი გულწრფელობით, და არა ფარისეველობით და ქალაჩუნოჩით ამბობს, შემდეგ სტრიქონში რაღათ სცდილობს ის იმათ დამცირებას, რაღასთვის უტეხს იმათ სახელს და უკარგავს ნდობას ხალხის თვალ'ში? ტყუილად გონია ავტორს, რომ აქ ქალაჩუნობით მან ვისმეს გული მოიგოს. არა, ჩვენ ბევრათ უფრო იმათ ვსცემთ ამ შემთხვევაში პატივს, ვინც პირდაპირ ამბობს. რომ ჩვენ არცა რა სიმართლე გვიჭირავს ხელ'ში და არცა რა სასარგებლო გზას ვადგივართო, რომ ჩვენი მოძღვრებაც მავნებელია და ის გზაც, რომელსაც ჩვენ ვადგივართ. ორპირობა და ფარისეველობა მუდამ საძრახისი და სამარცხვინო ყოფილა და იქნება, და ასეა ამ შემთხვევაშიაც.

ბ. მწირი ჩასჭიდებია მარქსის ერთ-ერთ ფრაზას, სახელდობრ: „რაც გინდა ვარ. მაგრამ მარქსელი კი არა ვარო", რომლიდანაც ავტორის აზრით ის იგულისხმება, რომ „მეცნიერს ბოლო დროს თავისი ნამოძღვრალი აღარ ჭაშნიკებია და საზოგადოთ მის მიმდევრებს ყველა ადგილი ისე ვერ გაუგიათ, როგორც

თვით მოძღვარს ესმოდაო". — თუ ეს ითქვა განათლებული ევროპიელების შესახებ — თამამათ განაგრძობს ბ. მწირი — მაშ, რაღა უნდა ვთქვათ ჩ ე ე ნ ებ უ რ მ ა რ ქ ს ე ლ ე ბ ი ს, რ ო გ ო რ ც ა ნ ა რ ე კ ლ ი ს ა ნ ა რ ე კ ლ ზ ე, რ ო მ ლ ე ბ ი ც დ ე დ ა ნ ს ს ი ა ხ ლ ო ვ ე ს ა ც ა რ მ ი ჰ კ ა რ ე ბ ი ა ნ დ ა რ უ ს უ ლ ი ა ზ რ ი ს ლ ა რ ი გ ა დ ა უ ღ ი ა თ ო დ ა ი ს ე გ ა ს ც ნ ო ბ ი ა ნ მ ა რ ქ ს ი ს თ ე ო რ ი ა ს ო"? როგორც ხედავთ, ბ. მწირს ერთი კალმის მოსობით სურს მოსპოს და აღგავოს პირისაგან ქვეყნისა არა მარტო „ჩვენებური მარქსელები", არამედ მარქსის განათლებული მიმდევრებიც და თითქმის მთელი მარქსიზმიც. ვინაიდგან მისი სიტყვით, „ბოლო დროს თვით მოძღვარსაც აღარ ჭაშნიკებია თავის ნამოძღვრალიო". სადღაა აქ „ის გამოსადეგი და ჩვენთვის აუცილებლათ საჭირო გზა, რომელსაც ადგანან ჩვენებური მარქსელები"? სადღაა აქ ის „ბევრი სიმართლე, რომელიც მათ ხელში უჭირავთ"? როგორ დაშორებულია ერთი-ერთმანეთისაგან ეს ორი აზრი „ჩვენებურ მარქსელებზე"! ჩვენ დავეკითხებით ბ. მწირს, „რომელი თავის ნამოძღვრალი აღარ ჭაშნიკებია" მარქსს, ან რომელი ადგილი მარქსის თხზულებისა ვერ გაიგეს მისმა განათლებულმა ევროპიელმა მიმდევრებმა? „ჩვენებურ მარქსელებზე" ლაპარაკიც აღარ ღირს, ვინაიდან ისინი „დედანს სიახლოვესაც არ მიჰკარებიან და მხოლოდ რუსული აზრის ლარი გადმოულიათ", ე. ი. ისინი „ანარეკლის ანარეკლები" არიან და მეტი არაფერი. საიდან გაიგო ავტორმა ეს, რომელი ჩვენებური მარქსელის მოქმედებამ მისცა ამის საბუთი და რათ არ დაასახელა ეს საბუთი? უამისოთ კი ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს, რომ მის საქციელს სამარცხვინო ცილის წამება ეუწოდოთ. სამწუხაროდ, ამაში ბ. მწირს პირველობა არ ეკუთვნის. გაზ. „ივერიაში" ასეთი ცილისწამება წინათაც გვსმენია. მაგრამ ბოლოს შერცხვენილი დარჩენილან თვით ცილის მწამებელნი. გარდა ამისა ვარწმუნებთ ბ. მწირს, თუ კი მისი დარწმუნება რამეში შეიძლება, რომ ის ახალი მოძღვრება, რომლის მიმდევართ ის ასე საშინლათ სდევნის, მარტო დედანზე როდი ჰკიდია; ეს მოძღვრება წარმოშობილია თვით ცხოვრების მიერ და მისი მიღება სრულებით არ არის დამოკიდებული რომელიმე დედანზე; იგი თვით თანამედროვე ცხოვრების აუცილებლობაა. მაში გამოიხატება თვით საზოგადოებრივი ცხოვრების კანონი. იგი ანგრევს შეუვალ და დახშულ კლდებს, აპობს მუხას, წყალს, სივრცეს და გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში, ერთი ხალხიდან მეორე ხალხში, ერთი თავიდან მეორე თავში. იგი არ არის განყენებული, ბურუსში გახვეული სწავლა, იგი გამოწვეულია თვით თანამედროვე ცხოვრების პირობებით, ამიტომ იგი ვრცელდება იმდენად, რამდენადაც ვითარდება ეს პირობები. აქ „დედანი" არაფერ შუაშია, ს ა ქ მ ე თ ვ ი თ თ ე ს ლ ი ა, რ ო მ ე ლ ი ც ი ღ ებ ს ნ ა ყ ო ფ ს, რ ა კ ი ის შ ე ს ა ფ ე რ ნ ი ა დ ა გ ს პ ო უ ლ ო ბ ს. ასეთია ყველა ნაყოფის იდეის ბედი. თუ იმას დაუკეტავთ სახლის კარებს, იგი თვით კედლებს შემოანგრევს და ისე შემოვა შიგ, რომ იქიდან გაფანტოს სიბნელე.

რაც შეეხება იმას, რომ ვითომც „ჩვენებური მარქსელები" უარყოფდენ ჩვენს წარსულ ცხოვრებას, — ესეც ხალასი ტყუილია და აიხსნება ან ცილის წამებით და ან სრული უმეცრებით, გაუგებრობით *). საიდან გამოყავთ, რომ

*) პირველობა არც ამაში ეკუთვნის ბ. მწირს.

ჩვენ წარსულს უარვყოფთ? წარსული ცხოვრება ხომ ისტორიულათ მომხდარი ფაქტია, და როდის იყო, რომ რომელიმე ჩვენგანს ისტორია უარუყვია? პირიქით მთელი ის მოძღვრება, რომელიც ჩვენ გვწამს, წარსული ცხოვრების შესწავლაზეა დამყარებული. მართალია, წარსულ ცხოვრებას ჩვენ არ ეუყურებთ ისე, როგორც სხვები. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ვხედავთ იმას, რაც იყო, და არა იმას, რაც არ ყოფილა. ჩვენ არ გვჯერა, რომ ძველათ ჩვენში გამეფებული ყოფილიყოს სათნოება და სიყვარული; ჩვენ არ გვჯერა, რომ ჩვენი მაღალი წოდება ძველათ მამულისა და ხალხისათვის თავდადებული ყოფილიყოს *). პირიქით. ჩვენი წარსულის სინამდვილე გვიმტკიცებს. რომ ეს სინამდვილე როდია, არამედ უსაქმო პირთა მიერ შექმნილი ოცნება. და როცა ამ ოცნებას ჩვენ უარვყოფთ და იგი სიცრუეთ მიგვაჩნია, ჩვენი გამოხოტორებული და დამყაყებული „მამულიშვილები" გაიძახიან, რომ ჩვენ იმათ სამშობლოს ეღალატობთ და ჩვენ დიდებულ წარსულს ვივიწყებთ და უარვყოფთ. მაშასადამე, ჩვენ მიერ წარსულის უარის ყოფა მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ოეთრს თეთრათ ეღებულობთ და შავს-შავათ. და არა პირიქით. როგორც ამას ჩვენი მოწინააღმდეგენი ჩადიან. ყველაზე უფრო ეს უკეულმართი მიდრეკილება, როგორც სჩანს. ეტყობა ბ. მწირ-მესამოცეთაგანს. მაგრამ ასეთ თავის უკეულმართობას ბ. მწირი ახვევს სხვადასხვა იგავებში და ცრუიზმებში. ვარწმუნებთ მას, რომ არც მისი იგავები და მით უმეტეს არც მისი ცრუიზმები დღეს დიდ საჭიროებას არავისათვის არ შეადგენს. ვის რათ უნდა, მაგ.. ასეთი ჭეშმარიტებანი: „ხშირათ ერთგან ის არის ხოლმე სასარგებლო, რაც მეორეგან მავნებელია. დროსა და ადგილს შერჩევა უნდა. მთაში რომ დარია ხოლმე საჭირო. იმავე დროს ბარში ავდარს ნატრობენ" და სხვადასხვა. ვითომ ამით იმის თქმა სურს ჩვენს ავტორს, რომ „ჩვენებურ მარქსელების" მიმართულება ჯერ ჩვენთვის უდროოვაო. კმარა, ბ. მწირო; თავს ნუ იწუხებთ, ცხოვრებამ ეს საკითხი დიდი ხანია უკვე უთქვენოთ გადაწყვიტა. ასე წარმოიდგინეთ, არც ოსმალეთის და ბოლგარეთის იგავი დაარწმუნებს ვისმეს წინააღმდეგში.

(ეურნალი „ქვალი", 1903 წ.. №№ 28 და 29. „მ. მარილაძე"-ს ფსევდონიმი).

---

*) ზოგიერთ შემთხვევებზე, გამონაკლისზე, ჩვენ აქ არ ველაპარაკობთ.

თანადროული კითხვები

I

დრონი იცვლებიან და მასთან ერთად ჩვენც ვიცვლებითო, — ამბობდენ ძველი რომაელები. ამ ჭეშმარიტებას დღეს ვერავინ უარს ვეღარ ჰყოფს. მაგრამ ცხოვრებაში კი მაინც იმას ყველა ხელს აფარებს თუ რანი ვიყავით ჩვენ გუშინ, თუნდ ამ ათი-ხუთმეტი წლის წინათ, და რანი ვართ დღეს? რას ლაპარაკობდენ ჩვენს საზოგადოებასა და მწერლობაში ამ რამდენიმე წლის წინათ და რას ლაპარაკობენ დღეს? მიაჩნდათ მაშინ შესაძლებლად ის, რაც დღეს ფაქტათ სინამდვილეთ იქცა? ვინ იყვენ მაშინ ცხოვრების ბანის მიმცემნი, და ვინ არიან დღეს ასეთები? ერთი სიტყვით, რა განსხვავებაა ამ მხრით მაშინდელ და დღევანდელ დროს შუა?

ჩვენ რომ გარემოება და შეძლება ნებას გვაძლევდეს შევადაროთ ცოტა უფრო დაწვრილებით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ამ 10 — 15 წლის წინათ და დღეს. ჩვენ თვალწინ დაგვეხატებოდა ორი კონტრასტი, ორი სულ სხვადასხვა საზოგადოებრივი ვითარება, რომელთაც ერთმანეთში საერთო თითქმის არაფერი არ ექნებოდათ. ჩვენ ერთი მხრით წარმოგვიდგებოდა დაწყნარებული, მყუდრო ცხოვრება, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა მისუსტებულ-მიმალულია, სადაც გაბატონებულია თავისი „მეს“ სამსახური, და არავითარი სოლიდარული მოქმედების ნიშანი; არც საზოგადოებაში და არც მწერლობაში არ ისმის გაბედული ხმა, თავისუფალი მსჯელობა და აზრი, — თითქოს ყოველივე შებოკვილი და შებორკილი იყოს რალაც გაუგებარი, იდუმალი ძალის მეოხებით. დღეს კი სულ სხვა სურათს ეხედავთ: მყუდროება დაირღვა, საზოგადოება გამოფხიზლდა, და ისინი, ვინც ამ რამდენიმე წლის წინად ყველას საჯეკნელათ იყო, ვინც ყველაზე უფრო უხმო და გაუბედავი იყო, ვინც საზოგადოებრივი ცხოვრების უკანასკნელ საფეხურზე იდგა, ისინი დღეს წელში აიმართენ, საზოგადოების ბანის მიმცემნი შეიქნენ და მოწინავე როლს თამაშობენ. პირველი შეხედვით ასე გეგონებათ, რომ ამ 10 წლის წინანდელი და დღევანდელი საზოგადოება ორი სხვადასხვა საზოგადოებაა, სხვადასხვა ხალხი, სხვადასხვა პირობებში აღზრდილი, და არა ერთი და იგივე საზოგადოება, ერთი და იგივე ხალხი. მხოლოდ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი. მაგრამ ეს

ასე როდია: ეს არის იგივე ხალხი, იგივე საზოგადოება; მხოლოთ დრო გამოიცვალა, და მასთან ერთად გამოიცვალა საზოგადოებაც, თვით ხალხიც. ხოლო ეს ცვლილება არ მომხდარა მაღლიდან, იგი არ მოგვლენია ვისმეს ბრძანებით, ან სურვილით. ეს არის შედეგი იმ უდიდესი შინაური მოძრაობისა და შეუწყვეტელი მუშაობისა, რომელიც შეუმჩნეველად ხდებოდა და ხდება ჩვენი საზოგადოების გულში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. და განა ამ რამდენიმე წლის წინათ ზოგიერთები არ ამბობდენ, არ წინასწარმეტყველებდენ, რომ ადრე იქნება თუ გვიან უეჭველათ უნდა მოხდეს ის, რაც დღეს ხდება, რის მოწამენი დღეს ჩვენ ვართ? ბევრ იმათგანს, რომლებიც დღევანდელ მოძრაობას სიამოვნებით და თანაგრძნობით უყურებენ, მაშინ სასაცილოთაც არ ყოფნიდათ ასეთი წინასწარმეტყველება. მაგრამ ეს არ იყო წინასწარმეტყველება ოცნებით შექმნილი. ეს იყო ნაყოფი ცხოვრების დაკვირვებისა და სინამდვილის შესწავლისა. სამწუხაროდ, ასე ხდება ყოველგან და მით უმეტეს ჩვენშიაც. რომ სანამ საზოგადოებას თავზე არ დაატყდება რაიმე უბედურება, მანამ იგი თავსაც არ მოიფხანს; მერე კი გვიანლაა: მოძრაობა თავისას გაიტანს, მხოლოდ ეს შეუგნებლობა და მოუმზადებლობა იწვევს ზედმეტ ტკივილებს, თხოულობს ზედმეტ მსხვერპლს, და საზოგადოება აკეთებს შემდეგ ნაბიჯს სისხლით მორწყულ ნიადაგზე. დღეს საზოგადოება, მისი უმრავლესობა მაინც, ყოველგან. შებოჭვილია თითქო რაღაც იდუმალი ძალის მეოხებით, იგი ანგარიშ მუიცემლათ ჩაბღაუჭებია ძველ წესჟობილებას, მას ვერ შეუგნია. არ ესმის ამ წესწყობილების ნაკლულეანება. უმრავლესობისთვის ისტორია არ არსებობს, ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება, თვით საზოგადოება რაღაც გაყინული, გაჩერებული რამ გონიათ, სადაც არავითარი მოძრაობა, არავითარი წინსვლა, არავითარი განვითარება, არავითარი ცვალებადობა არ არსებობს. ასეთი მსჯელობა. ასეთი შეხედულება ისტორიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეწინააღმდეგება ფაქტებს. იგი უარჰყოფს სინამდვილეს; მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი დღესაც გაბატონებულია როგორც საზოგადოებაში, ისე მწერლობაშიაც. ვისაც ნამდვილათ და გულწრფელათ სურს საზოგადოებრივ უბედურებათა თავიდან აცილება, ვინც მოწადინებულია, რომ საზოგადოების ძირითად წესწყობილების ცვლილების დროს რაც შეიძლება ნაკლები სისხლი დაიღვაროს, იგი ეალდებულია, რაც ძალი და ღონე აქვს, ყოველგვარ საშუალებით, ებრძოლოს ასეთ შეხედულებას და ეცადოს. რომ საზოგადოებამ შეითვისოს უფრო გონივრული შეხედულება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

სამწუხაროდ, დღეს. ამ საყოველთაო მოუსვენრობის, არევ-დარევის დროს მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელიც არის დალაგებით მსჯელობა ასეთ მძიმე საგნებზე. დღეს საზოგადოება, განსაკუთრებით მისი ერთი ნაწილი. მოქმედების ასპარეზზე გამოსული, თხოულობს პირდაპირ, გადაკრილ პასუხს იმ პრაქტიკულ და საპირ-ბოროტო კითხვებზე. რომლებიც ჩვენმა ცხოვრებამ უკვე წამოაყენა და რომლებიც იმდენათ მომწიფდენ, რომ დაუყონებლივ განხორციელებას და დაკმაყოფილებას თხოულობენ. მეორე მხრით, ადვილათ გასაგები მიზეზის წყალობით. ჩვენ ყოველივე საშვალებას მოკლებული ვართ ეს მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ. და ამიტომ რამდენადაც სამართლიანია საზოგადოების მოთ-

ხოვნილება. იმდენად, თუმც სულ სხვა მიზეზით, მართალი ვართ ჩვენც. ის, ვინც გულწრფელად ემსახურება მწერლობას და ღრმათ ესმის მისი წმინდა და მაღალი დანიშნულება, მას არა ნაკლებ სტანჯავს და აწუხებს ის გაკოცობა, რომ იგი მოკლებულია საშუალებას პირდაპირ, გულახდილათ ილაპარაკოს იმაზე, რასაც გრძნობს და რაც საჭიროთ მიაჩნია დღევანდელ პირობებში.

ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ხალხის ცხოვრებაში ხდება დიდი ცვლილება. რომ ის უფსკრული, რომელიც თანამედროვე საზოგადოებრივმა პირობებმა შექმნა ძველსა და ახალს შუა, თანდათან ფართოვდება და ძველის და ახალის ერთათ მორიგება ყოველად შეუძლებელი ხდება. ის, რაც წინათ უმრავლესობისათვის შეუმჩნეველად ხდებოდა, დღეს მოულოდნელად ყველასათვის აშკარა შეიქნა. მშვიდობიანობას და მყუდროებას დაჩვეულ საზოგადოებას უეცრივ შეეტყა მშვიდობიანობა. ის, რაც მას შეურყეველათ მიაჩნდა, ძირიანათ შეირყა... შეეჭერდეთ ერთ წუთს იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ეს გარემოება ჩვენ საზოგადოებაზე. ახლა ყველასათვის აშკარაა. რომ დღევანდელი საზოგადოება. როგორც წინანდელი ცალ-ცალკე, ერთი მეორის მოწინააღმდეგე ჯგუფებათ. კლასებათ არის დაყოფილი, იმ განსხვავებით, რომ ეს დაყოფა დღეს უფრო საგრძნობი და უფრო აშკარაა. თითეულ ჯგუფს, თითეულ კლასს თავისი საკუთარი ინტერესები აქვს, რომ ის, რაც ერთისთვის სანატრელი და სასარგებლოა. მეორესთვის მავნებელი და მომაკვდინებელია. ყველა თანამედროვე საზოგადოებრივი ჯგუფები და კლასები ორ ბანაკათ შეიძლება გავანაწილოთ. ერთი ბანაკი ებღაუჭება ძველს, რომელმაც თავის დრო მოჭამა, მეორე კი სიამოვნებით მოელის ამ ძველის დანგრევას და ახლის დამყარებას. პირველისთვის ის, რაც არსებობს, ძლიერების, ფუფუნების, სიამოვნების და ბატონობის თავდებია, ხოლო ახლის დამკვიდრება მისთვის ყველა ამის მოსპობას ნიშნავს! მეორე ბანაკი კი სულ სხვა რწმენით არის აღფრთოვანებული და გამხნევებული. აწმყო მისთვის მოსწყალებს ტანჯვას. დაჩაგვრას, უუფლებლობას, სიმშილს, წყურვილს. სიტიტველეს. გაუნათლებლობას; მომავალი კი მას ეღიმება ყველა ამის მოსპობით და სამართლიანობის და ჭეშმარიტების დამყარებით. აი, რა სხვადასხვა თვალით უყურებენ დღევანდელ მოძრაობას თანამედროვე საზოგადოების უმთავრესი კლასები. ამას უკარნახებენ მათ იმათი საკუთარი ინტერესები.

როგორც ზევით ვამბობდით, საზოგადოების ერთი ნაწილი, უმცირესობა, შეჩვეულია თანამედროვე ცხოვრების სიტკბოებას, სილაღეს, მედიდურებას, სხვების შეწუხებას და გაყვლეფას. ამიტომ გასაკვირალი არ არის, თუ ეს ძირითადი რაყვა, თუ ეს შეუჩერებელი და შეუბრალებელი დანგრევა იმ საფუძველთა, რომელთა წყალობით აქამდე ტკბებოდა საზოგადოების უმცირესობა, აღფოთებს და სასოწარკვეთილებას გვრის მას. ის არა თუ ამართლებს, არამედ პირდაპირ თხოულობს სასტიკი და შეუბრალებელ ზომების ხმარებას. იგი შეუპყრია ბრმა თავმოყვარეობას, მას არ ძალუძს გაითვალისწინოს თავისი მდგომარეობა. შეეკითხოს წარსულს, გაიგოს თუ რა ხდებოდა სხვა ქვეყნებში. არავითარ მსჯელობას, არავითარ საბუთიან სიტყვას არ ძალუძს გამოიყვანოს იგი იმ გაბრაზებიდან და გამხეცებული განრისხებიდან. რომელსაც იგი იჩენს თავის მოწინააღმდეგეს მიმართ. იმის მოქმედება ისტორიის გადადგომაა, შეუძლებელის განხორციელებას

ნიშნავს. ასეთ პირობებში საჭიროა მეტი სიმხნევე, გამჭრიახობა და შორსმხედველობა იმათ მხრით. ვის წინააღმდეგ მიმართულია ეს ჯოჯოხეთური ზომები. თუ ოდესმე საჭიროა ცოდნა, გამოცდილება, ეს ყველაზე მეტათ დღეს ეჭირვება ჩვენს საზოგადოებას.

დღევანდელი საზოგადოება მეტათ რთული მოვლენაა: თითოეული მისი წევრი. თუმც არსებითათ ათასნაირათ არის რკინის ჯაჭვით შეკავშირებული საზოგადოების როგორც დანარჩენ წევრებთან, ისე თვით საზოგადოებასთან, მაგრამ გარეგნობით გამოდის, რომ ვითომც თითოეულ წევრს თავისი განკერძოებული კუნჭული ჰქონდეს მიჩნეული თავისთვის, სადაც სხვებს ადგილი არა აქვთ; თითოეულს გონია, რომ მასთან სხვას საქმე არა აქვს, ვისაც უნდა თავი იტეხოს, ის კი თავისთვის იქნება და სხვის საქმეში არ გაერევა, რადგანაც ამას მისი საკუთარი ინტერესი სრულებით არ თხოულობს. თანამედროვე საზოგადოება აღზრდილია ასეთ რწმენაში, იგი გამსჭვალულია ასეთი შეხედულებით. დროა, რომ ასეთი რწმენა-შეხედულება მოისპოს. რადგანაც იგი საზოგადოებისათვის, მისი წინსვლისა და განვითარებისათვის მეტად მავნებელია. საზოგადოების თითოეულმა წევრმა უნდა შეიგნოს და შეისისხლხორცოს ის შეხედულება, გაიმსჭვალოს იმ რწმენით, რომ მისი ინტერესი განუყოფელია საზოგადოების დანარჩენ წევრების ინტერესებისაგან, რომ მისი კეთილდღეობა შეუძლებელია, თუ მთელი საზოგადოება, ან მისი უმრავლესობა, მოკლებულია ამ კეთილდღეობას. მაგრამ ამის შეგნება ნიშნავს მთელი დღევანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის შეგნებას. მთელი თანამედროვე ცხოვრების გაგებას. აი ამ ცოდნის, ამ შეგნების გაადვილებას ვპირდებით ჩვენ მკითხველებს მომავალ წერილებში, რამდენათაც ჩვენი სუსტი ძალღონე და გარეშე, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები, ნებას მოგვცემენ.

რა არის საზოგადოება? რა შეადგენს მისი არსებობის საფუძველს? რა იწვევს მის წარმოშობას? რაზეა დამოკიდებული მისი განვითარება? აი ის ძირითადი კითხვები. რომლებზედაც პასუხის მიცემა გაგვიადვილებს ჩვენ საზოგადოების შეგნებას.

ყოველივე მოვლენის ახსნა-განმარტება შეიძლება მხოლოთ ამ მოვლენის წარმოშობის და განვითარების შესწავლით, გაცნობით. ყველა ჩვენგანს ესმის, ყველამ ვიცით, რომ ჩვენ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რომ საზოგადოების გარეშე ჩვენ არც კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თავი. მაგრამ აბა ერთი კითხეთ ვისმეს: რისთვის ცხოვრობს იგი საზოგადოებაში, რა დამოკიდებულება აქვს მას საზოგადოებასთან, საზოგადოების დანარჩენ წევრებთან, ან სხვებს მასთან? — ამ კითხვებზე გარკვეულ პასუხს ნაშვიათათ მიიღებთ. არა თუ უსწავლელ კაცს გაუჭირდება ამაზე პასუხის გაცემა, არამედ ბევრი ნასწავლიც ამის შესახებ მართალს ბევრს ვერაფერს გეტყვიან. ამის მაგალითისათვის შორს წასვლა არ არის საჭირო. დღეს საზოგადოების ერთი ნაწილი მეორის წინააღმდეგ იბრძვის, ერთს ეხმარება ჯარი და პოლიცია, მეორე ნაწილი კი ამას მოკლებულია. რისთვის ხდება ეს ასე? განა ჯარისკაცი საზოგადოების წევრი არ არის? განა მან არ უნდა იცოდეს, თუ რისთვის ხმარობს იგი იარაღს თავისი მოძმის წინააღმდეგ? ეჭვი არ არის, რომ მას არა აქვს არავითარი წარმოდგენა თავის თავზე, როგორც სა-

ზოგადოების წევრზე, იგი ამ შემთხვევაში თავის თავს საზოგადოების გარეშე აყენებს. მაგრამ ასეა თუ ისე, იგი ხომ მაინც საზოგადოების წევრია? ისე რომ. როცა იგი თავის მოძმის წინააღმდეგ იარაღს ხმარობს, იგი თავისი თავისავე წინააღმდეგ მოქმედობს. იგი ერთხელაც არ დაეკითხება თავის თავს, თუ რამდენათ სამართლიანი და სასარგებლოა მისი მოქმედება საზოგადოებისათვის. ეს მაგალითი ერთი მრავალთაგანია.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ დღევანდელი საზოგადოების წევრები ერთი მეორესაგან დაშორებული არიან თავის მდგომარეობით, და თუმცა ყოველი ფეხის ნაბიჯზე ერთად უხდებათ მოქმედება, მაგრამ ისინი თავის თავს ვერ გრძნობენ ერთისა და იმავე საზოგადოების წევრებად.

რისთვის არის ეს ასე? რისთვის არის საზოგადოების ერთი ნაწილი მეორე ნაწილის წინააღმდეგ ამხედრებული? რისთვის არსებობს მის გულში განხეთქილება, ანტაგონიზმი და ამით გამოწვეული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა? რისთვის არის საზოგადოების უმრავლესობა მუდამ დაჩაგრული და გაუბედურებული უმცირესობის მიერ? ამის გასაგებათ საჭიროა, რომ დღევანდელ საზოგადოებრივ ურთიერთობათ ფარდა აეხადოს და დავინახოთ ის, რაც სინამდვილეში არსებობს.

ჩვენ პირველ წერილში ვამბობდით, რომ დღევანდელი საზოგადოება მეტად რთული მოვლენაა: იგი შედეგია ხანგრძლივი ისტორიული განვითარებისა. მისი შეგნებისათვის საჭიროა იმის ცოდნა, თუ როგორ წარმოიშვა და ვითარდებოდა იგი წარსულში, ვიდრე დღევანდელ სახეს მიიღებდა.

ჩვენ სამუდამოთ უნდა გამოვეთხოვოთ იმ შეხედულებას. რომ ადამიანი რაღაც განსაკუთრებული ქმნილებაა ბუნებაში, რომ იგი მოეევლინა ქვეყნიერებას რაღაც განსაკუთრებული მიზნის შესასრულებლად. ჩვენ აქ არ ვეხებით იმას. თუ როგორ წარმოიშვა ადამიანი. — ეს ბუნების მეტყველების საგანია. ჩვენ ვღებულობთ იმას იმ დღიდან. რა დღესაც იგი თავის ტოლებთან ერთათ საზრდოს მოპოვებას იწყებს. ამ დროს ადამიანი თითქმის არაფრით არ განირჩევა ოთხფეხ ცხოველებისაგან, მხოლოთ ხელების ხმარება და წელში გამართვა თანდათან აძლევს მას საზრდოს მოპოვებაში დიდ უპირატესობას სხვა ცხოველებთან. რადგანაც ეს ორი გარემოება ხელს უწყობს თავის ტვინის განვითარებას და გონების მუშაობაც ხომ ამაზეა დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში ადამიანი სხვა ცხოველებთან შედარებით როგორც საზრდოს მოპოვებაში, ისე თავის თავის დაცვაში, მეტად უძლური ქმნილება იყო. ამიტომ თავის ტოლებთან ერთად შეერთებით მოქმედება მისთვის აუცილებელი იყო. ამნაირათ ჩნდებიან ადამიანთა პატარ-პატარა ჯგუფები; ამ შეერთების მიზანი გამოკვება და თავის დაცვაა. ასეთი პატარა ჯგუფი უკვე საზოგადოებას წარმოადგენს. ასეთი საზოგადოება ცხოველებშიაც ხშირი მოვლენაა, და ამიტომ არც იმის ახსნაა ძნელი, თუ რისთვის ან როგორ შეჯგუფდენ, შეერთდენ ადამიანები თავიანთ თავის გამოსაკვებათ. ძნელი ასახსნელი და გასაგები ის არის. თუ შემდეგში როგორ განვითარდა და გართულდა ადამიანთა საზოგადოება მაშინ. როცა ცხოველების საზოგადოებას არავითარი ცვლილება არ დატყობია.

მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდეთ, გავიგოთ რამოდენიმეთ ის, თუ რა ახასიათებს ამ პირველდელ საზოგადოებას. პირველყოფილი საზოგადოების წევრებში არავითარი განსხვავება არ არის, გარდა იმისა, რაც თვით ბუნებით არის გამოწვეული. ამ მხრით საყურადღებოა უპირველესად სქესობრივი განსხვავება, შემდეგ ხნოვანება და სიმარდე. მაგრამ ეს არ იწვევს ადამიანთა ჯგუფებში ერთი წევრის მეორესაგან დამოკიდებულებას: აქ ყველანი თანასწორი არიან. ამის თავი და თავი მიზეზი არის ის, რომ იქ ჯერ სრულებით არ არის ის, რაც შემდეგში ჩნდება, ვითარდება, და რაც იმავე დროს ცვლის თვით საზოგადოებას, ე. ი. არ არის შრომის ეკონომიურათ განაწილება. იქ ყველანი, ვისაც კი შეძლება აქვს, ერთ და იმავე საქმეს აკეთებენ. ჯგუფი დათარეშობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ნადირობს, აგროვებს ველურ ხეხილების ნაყოფს და ამის საშუალებით იკლავს სიმშილს და წყურვილს, ე.ი. თავის ერთათ ერთ მოთხოვნილებას. ასეთი ჯგუფი ებრძვის როგორც ნადირებს, ისე თავისავე მსგავს ჯგუფებს, და თუ ბედმა იმაზე გამარჯვება არგუნა, ადამიანის ხორცსაც ისევე სიამოვნებით შეექცევა, როგორც უბრალო ნადირის ხორცს. მაგრამ თვით ჯგუფში არ არის არავითარი შუღლი, განხეთქილება; იქ არ არის დაჩაგრული და მჩაგვრელი, არავის არ აქვს არც უფლება და არც ძალა, რომ ჯგუფის რომელიმე წევრზე ძალა იხმაროს. ამნაირათ, პირველყოფილ საზოგადოების უმთავრეს დამახასიათებელ თვისებათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ იქ ადგილი არ აქვს განხეთქილებას, ურთიერთშორის ბრძოლას. როცა თანამედროვე ცხოვრების თვალით ეუყურებთ ჩვენ ამ პირველყოფილ საზოგადოებას, იგი ჩვენ საზიზღარი და მდაბალი გვეჩვენება ყოველ მხრით, მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ ადამიანი თავის განვითარების პირველ საფეხურზე გონებით და ზნეობით მეტათ დაბლა სდგას. მაგრამ ჩვენთვის აქ ეს გარემოება როდი არის საინტერესო. ჩვენ დღეს გვაინტერესებს ის კითხვა, თუ როგორ, რა მიზეზით ჩამოვარდა და გაიზარდა საზოგადოებაში შუღლი, განხეთქილება; უნდა გამოვიკვლიოთ ის, თუ რა უდევს საფუძვლათ ბრძოლას თანამედროვე საზოგადოებრივ ჯგუფსა და კლასებს შორის. საჭიროა გავიგოთ, თუ რამ გამოიწვია ერთ და იმავე საზოგადოების წევრებს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა? რა უწყობდა ხელს ამ წინააღმდეგობის განვითარებას? და შესაძლებელია თუ არა, რომ ეს წინააღმდეგობა, ეს განხეთქილება სამუდამოთ მოისპოს და საზოგადოებაში დამყარდეს თანხმობა, სოლიდარობა?

პირველ ხანებში ადამიანებს არ ჰქონდათ არავითარი ხელოვნურათ გაკეთებული იარაღი, იმათ მაშინ ცეცხლის ხმარებაც არ იცოდნენ. ამიტომ იქ შეუძლებელი იყო შრომის ეკონომიურათ განაწილება. მაშასადამე, ყველას ერთ და იმავე პირობებში, ერთნაირათვე უნდა ეშრომა, გარჩევა არ შეიძლებოდა. ერთნაირი ფიზიკური შრომა ევალებოდა ყველას თანაბრად. მაგრამ პირველი იარაღის გამოგონების შემდეგ ჩნდება ნიადაგი შრომის ეკონომიურათ განაწილებისა. პირველათ ეს განაწილება მოხდება სქესებს შუა: დედაკაცებს ერგოთ ბავშვების და მოხუცებულების მოვლა და სახლში საქმრბა; მამაკაცები კი გარეთ არიგებენ საქმეებს. მაგრამ ახალ იარაღების გამოგონება კიდევ უფრო ანვითარებს შრომის განაწილებას. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ პირველყოფილი პატარ-პატარა ჯგუფები, რაც დრო გადიოდა, მით უფრო და

უფრო მრავლდებოდენ, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ რაც დრო გადიოდა, სხვადასხვა ჯგუფს და თემებს სულ უფრო და უფრო ხშირათ უხდებოდათ ერთმანეთ შორის ომი, ერთიერთმანეთზე დაცემა. ეს გარემოება იწვევდა ერთი ან რამდენიმე მეთაურის არჩევას, რომლებიც გამოცდილებით და სიმარდით იყვენ ცნობილი. თანდათან ეს არჩეული პირები იძენდნენ საზოგადოებაზე გავლენას და რაც დრო გადიოდა, სხვაგვარ შრომას. გარდა ომისა, აღარ ეწეოდენ, მით უმეტეს, რომ შრომის იარაღთა გამოგონების მეოხებით შესაძლებელი შეიქნა ერთი კაცის შრომით რამდენიმე კაცის რჩენა; ამნაირათ დაედგა საფუძველი ერთი ადამიანის მეორე ადამიანის მიერ გაყვლეფას, ანუ ექსპლოატაციას.

III

ჩვენ ზევით ვუჩვენეთ, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში არავითარი განხეთქილება არ არსებობს, რადგანაც იქ არ არის ადამიანის მიერ გაყვლეფა, ექსპლოატაცია; გარდა ამისა ჩვენ უნდა ავღნიშნოთ, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში ჩვენ ვერ ვპოულობთ იმის ნასახსაც, რასაც შემდეგში მთავრობა ანუ უფროსობა დაერქვა. ამნაირათ, პირველყოფილ საზოგადოებაში როგორც არ არის ერთი ადამიანის მეორე ადამიანის მიერ გაყვლეფა, ისე არ არის არც ერთი ადამიანის მეორესადმი დამორჩილება, დამონება. არ არის უფალი და მონა, უფროსი და ქვეშევრდომი, ბატონი და ყმა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა ადრე თუ გვიან იცვლება. მარტივი საზოგადოებრივი ურთიერთობა რთულდება. საზოგადოება თანდათან იყოფა მოწინააღმდეგე ჯგუფებათ. ამ მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის განხეთქილება რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო იზრდება და მწვავდება. ჩვენ შეგვიძლია დღეს გავითვალისწინოთ, თუ როგორ წარმოდგა უფალი და მონა, უფროსი და ქვეშევრდომი, ბატონი და ყმა, თანამედროვე კაპიტალისტი და დაქირავებული მუშა.

საწარმოვო იარაღების გამოგონებამ, ე. ი. საწარმოვო ძალთა განვითარებამ, როგორც მეორე წერილში გვქონდა ნათქვამი, გამოიწვია შრომის განაწილება პირველყოფილ საზოგადოების წევრებს შორის. პირველ ხანებში ეს განაწილება არ იყო მაინცადამაინც საგრძნობელი, რადგანაც თვით იარაღი და საწარმოვო საგნები იმ დროს მეტათ მარტივი და სადა იყო. როგორც იარაღის ხმარება, ისე საგნების წარმოება-გაკეთება ჯერ კიდევ არ თხოულობდა თავის სიმარტივის გამო თითქმის არავითარ მომზადებას; მაგრამ რაც ხანა გადიოდა, საწარმოვო იარაღი რთულდებოდა, რთულდებოდა ამიტომ წარმოების საგნებიც; ამიტომ, როგორც იარაღის ხმარებისათვის, ისე ნივთების გაკეთებისათვის საჭირო იყო მომზადება, გამოცდილება. ამიტომ ჩვენ კიდევ უძველეს დროში. ისტორიის წინა ხანებში, ვამჩნევთ, ერთი მხრით, ხელოსნებს, რომლებიც დახელოვნებული არიან სხვადასხვა საგნების თუ იარაღების გაკეთებაში და, მეორეს მხრით, მიწის მუშებს. ასეთ საზოგადოებაში შრომის განაწილებას უკვე საკმარისათ დიდი ნაბიჯი აქვს გადადგმული, რაც პირდაპირი შედეგია საწარმოვო ძალთა ზრდა-განვითარებისა. მაგრამ საწარმოვო ძალთა განვითარება ხომ ერთ წერტილზე არ ჩერდება; უბრალო, მარტივი იარაღის გამოგონება იწვევს

უფრო რთულ და გაუმჯობესებულ იარაღის გამოგონებას, და ამასთან ერთად შრომის განაწილება საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო საგრძნობელი ხდება. საწარმოვო იარაღების გამოგონება და შრომის ეკონომიური განაწილება თემში ანაყოფიერებს შრომას; ახლა ადამიანს ბევრად უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე მაშინ, როცა ასეთი განაწილება სრულებით არ იყო. შრომის ეკონომიურად განაწილება თემის წევრებში უკვე ქმნის ნიადაგს და ამზადებს იმ პირობებს, რომლების საშუალებით თემის წევრს გაუადვილდება და შეძლება მიეცემა მეორე წევრი შეავიწროვოს, მუქთად ისარგებლოს მისი შრომის ნაწარმოებით და გადააქციოს იგი თავის მონა-მორჩილათ. მაგრამ ჯერ კიდეე ჩვენ თავისუფალ თემში ვართ. აქ შრომა განაწილებულია: ერთი აკეთებს სადურგლო საქმეს, მეორე მჭედლობს, მესამე მწყემსია, მეოთხე მიწის მუშა, და ყველანი იკმაყოფილებენ თავის მოთხოვნილებებს ერთი ერთმანეთის დასმარებით: რაც ერთს აკლია, იგი სხვას აქვს და პირდაპირ ნაწარმოებზე ხდება გაცვლა-გამოცვლა. ასეთ თემს ყავს განსაკუთრებული მემუსიკეც, მომღერალი, რომელიც აკმაყოფილებს თემის ესტეტიურ მოთხოვნილებას, და თემი კი თავის მხრიო აწვდის მას საზრდოს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მაშასადამე. აქ ჩვენ ეერ ვხედავთ თემის წევრებში განხეთქილებას, ერთი მეორეს პოწინააღმდეგე ჯგუფებს. ეს არის თავისუფალი თემი, რომელშიაც ყოველგვარ საეთოო საქმეს განაგებენ თემის მიერ არჩეული მოხუცი, გამოცდილი და საპატიო პირები. ამნაირათ წარმოების იარაღთა გამოგონებით და გაუმჯობესების წყალობით, რაც იმავე დროს საწარმოვო ძალთა ზრდა-განვითარებას ნიშნავს, შრომის ეკონომიურათ განვითარებასთან ერთათ, თემში ფეხს იკიდებს თემის ნაწილ-ნაწილათ დაყოფა; ერთი მხრით, ჩნდებიან ხელოსნები, რომლებიც ამზადებენ თემისთვის სხვადასხვა სამუშაო იარაღს, საცხოვრებელ სადგომებს და სანადირო იარაღებს. და, მეორე მხრით, მიწის მუშები და მწყემსები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებით კვებავენ და ასაზრდოებენ თემს. ამ ორ ნაწილს შორის არ არსებობს არავითარი განხეთქილება, ისინი ერთმანეთში პირდაპირ ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლით იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს. ეს გაცვლა არ არის აშენებული იმაზე, რომ ნაკლები შრომით მეტი საღირალი შეიძინო, ე. ი. სხვისი შრომით ისარგებლო, ძალა დაატანო სხვას, რომ მან მთელი დღის ნაწარმოები ნახევარი დღის ნაწარმოებში მოგცეს; ერთი სიტყვით, იქ ადგილი არა აქვს ექსპლოატაციას, ზედმეტი ღირებულების შეძენას, მოგებას. აქ არ არის მდიდარი და ღარიბი, ყველანი ერთნაირათ მდიდრები და ღარიბნი არიან; ყოველგვარ საქმეს აქ აწესრიგებენ სათემო კრებაზე, რომელზედაც ყველანი ღებულობენ მონაწილეობას, პირველ ხანებში ქალებიც, რომლებიც მხოლოთ შემდეგ კარგავენ ამ უფლებას. მაგრამ ამ თავისუფალ თემებს მუდმივი შეტაკება და ომი უხდება მახლობელ, მეზობელ თემებთან. მისი კეთილდღეობა იმაზეა დამყარებული, მოიგერებს იგი გარეშე მტრების თავდასხმას და გაუმკლავდება იმათ მიერ აკლებას თუ არა. აქ ყურადღების ღირსი არის შემდეგი გარემოება: ყველა თემების განვითარება, წინსვლა, ერთნაირად როდი ხდება სხვადასხვა მიზეზების გამო, რომლების აღნუსხვა აქ ჩვენ შორს წაგვიყვანდა; ზოგი თემი უფრო ადრე გამოდის ველურ მდგომარეობიდან, ზოგი უფრო გვიან, ზოგიც დიდხანს რჩება პირველ-

ყოფილ მდგომარეობაში. ასე რომ ახლო-მახლო მცხოვრები თემები ერთ და იმავე დროს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგანან. მაშინ, როცა ერთ თემს თარეშობისათვის და წანწალისათვის დიდი ხანია დაუნებებია თავი და მიწის დამუშავებას და ან საქონლის მოშენებას შედგომია განსაზღვრულ ტერიტორიაზე, იმის მეზობლათ ცხოვრობს ისეთი თემი, რომელსაც განსაზღვრული საბინადრო ადგილი სრულებით არ აქვს, რომელიც მუდამ იცვლის ადგილს და ნადირობით და მეზობელ თემის აკლებით იკვებება. ამიტომ აშკარაა, რომ მიწათმომქმედ თემებმა უნდა უექველათ აიცილონ თავიდან ამ მოთარეშე თემების თავდასხმა, თუ რომ თავისი არსებობა სურთ შეინახონ. ამიტომ აუცილებელი ხდება გარეშე მტრების მოსაგერებელი ორგანიზაციის შექმნა. რადგანაც იმ დროს თავდასხმა და აკლება სრულებით შეძთხვევითი მოვლენა არ არის, არამედ მუდმივი, ამიტომ მიწათ-მომქმედმა თემებმა ან სრულებით უნდა გაანებონ თავი მიწის მუშაობას და ისევ თარეშობას მიყონ ხელი, ანდა უნდა გამოყონ თავის წრიდან რამდენიმე კაცი და იმათ მიანდონ გარეშე მტრების თავდასხმის მოგერება და სამაგიეროთ იმათ აძლიონ საზრდო. თემთა უმეტესობა, ეჭვი არაა, ამ უკანასკნელ გზას უნდა დადგომოდა და დაადგა კიდევაც. ასეთმა თემებმა გამოყვეს თავისიანებიდან რამდენიმე კაცი და იმათ მიანდვეს მეზობელი თემების თავდასხმის მოგერება და ჭკუის სწავლებაც, რომ ასეთი თავდასხმა იმათ იაფათ არ დაუჯდებოდათ. ასეთ პირებს და განსაკუთრებით იმათ მეთაურს, ბელადს, თემი ირჩევს გამოცდილ, მხნე და გაბედულ წევრთაგან. რაც დრო გადის, ეს არჩევა საქმით, სინამდვილეში, კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში ისე ხდება, რომ მუდამ თითქმის ერთ და იმავე პირებს ირჩევენ ამ მიზნით.

ამნაირათ ჩნდება და თანდათან ვითარდება თემში განსაკუთრებული ჯგუფი ანუ კლასი, რომლის დანიშნულება ის არის, რომ მტრების თავდასხმა მოიგერიოს. მაგრამ დრო გადის, და ამ მოგერიებას ისინი აღარ ჯერდებიან, თვითონ ესხმიან სხვა თემებს, იმორჩილებენ, ატყვევებენ, ძარცვავენ და ართმევენ სარჩოსაბადებელს. რა თქმა უნდა, პირველ ხანებში ამ ნადავლს ისინი მთელ თემს უნაწილებენ, მაგრამ შემდეგში ეს ჩვეულება თანდათან ისპობა—ნადავლი მხოლოთ რამდენიმე პირის საკუთრება ხდება, უფრო კი იმის, რომელიც მეთაურის როლს ასრულებს. ნადავლის დიდ ნაწილს იგი თავისთვის იტოვებს და მხოლოთ მცირე ნაწილს უთმობს დანარჩენ მეომრებს. აქედან იწყება თემის ბელადის, ანუ მეომრების მეთაურის გავლენა როგორც მეომრებზე, ისე მთელ თემზე. მეომრები ხდებიან თავიანთ მეთაურის ბრძანების აღმასრულებელნი და როცა გარემოება მოითხოვს, უკანასკნელს შეძლება ექნება იმათი ძალა თვით თემის წევრების წინააღმედგ მოიხმაროს. ეს გარემოება დიდ ხანს აღარ გვალოდინებს.

თემების ურთიერთ თავდასხმის და შეტაკების დროს ხშირად ადამიანებიც უვარდებიან ერთი მეორეს ტყვეებათ. პირველ ხანებშიაც ხდებოდა ეს ასე, მაგრამ მაშინ ტყვეებს ან ხოცავდენ და იმათ ხორცს ჭამდენ, ანდა სრულებით ანთავისუფლებდენ, რადგანაც ისე იმათი შენახვა არავის ხელს არ აძლევდა; იმ დროს ადამიანის შრომა არ იყო იმდენათ ნაყოფიერი, რომ იმას თავის მუშაობით თავიც დაერჩინა და სხვაც გამოეკვება. ეს იმას ამტკიცებს, რომ პირველ ხანებში ტყვე-

ების შენახვას ხელს უშლიდა საწარმოვო ძალთა განუვითარებლობა, მაგრამ გარემოება შეიცვალა: წარმოების იარაღთა გამოგონებამ, ე. ი. საწარმოეო ძალთა განვითარებამ, გამოიწვია ის , რომ ახლა ერთ კაცს ბევრათ იმაზე მეტი შეუძლია გააკეთოს, რაც მის შენახვას უნდება. პირუტყვის მოშენებაც ასეა: იგი ბევრათ იმაზე მეტს აძლევს მის პატრონს, რაც მისი შენახვა ღირს. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, რომ ადამიანი უბრალო პირუტყვის მდგომარეობაში ჩავარდნილიყო და აი სწორეთ ეს მოხდა. იმის მაგივრათ, რომ ტყვეები დაეხოცათ, უფრო სასარგებლოთ დაინახეს ისინი შრომის უღელში ჩაებათ. ამნაირათ მიეცა დასაწყისი მ ო ნ ო ბ ა ს, რომელიც ერთ დროს უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა მთელი საზოგადოებრივი წესწყობილებისას და რომელიც სავსებით დღემდისაც არ აღმოფხვრილა საზოგადოებრივ ცხოვრებიდან. მონა იგივე პირუტყვია, მხოლოთ ადამიანის სახით: მას ამუშავებენ, როგორც პირუტყვს, და იმავე დროს აძლევენ საკვებ მასალას. რომ უქმელი არ მოკვდეს. მისი შრომის ნაყოფს სავსებით ისაკუთრებს მეპატრონე. ამნაირათ ჩვენ მივაღწიეთ იმ საფეხურს, საიდანაც იწყება ადამიანთა შორის უთანასწორობა, ჩნდება გ ა ნ ს ვ ა ვ ლ ი ბ ა ერთი ადამიანისაგან მეორე ადამიანის დაჩაგვრა. ეს მიყვება ისტორიას წითელი ზოლებით; მისი პირველი საფეხური არის მონობა, უკანასკნელი კი დაქირავებული შრომა თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოების დროს.

ახლა ვიკითხოთ, თუ ვინ არიან ისინი, რომლებიც პირველათ დაეპატრონენ მონების შრომას, ვინ შეიქნა პირველი მჩაგვრელი და შემავიწროვებელი ადამიანისა? რაც კი ამის შესახებ ჩვენ გვაქვს, ყოველივე მოწმობს, რომ ასეთები იყვენ უპირველეს ყოვლისა ისინი, ვისაც თემის დაცვა ქონდა მინდობილი, ვინც იგერებდა მტრების თავდასხმას და თავის მხრით ვინც სხვებს ეცემოდა და იკლებდა. ერთხელ შემოღებული მონობა საოცარი სისწრაფით ვითარდება, იზრდება. და აი საზოგადოებაში ჩნდება განხეთქილება, რომელსაც სარჩულათ უდევს, ერთი მხრით, ადამიანის დაჩაგვრა და დამონება და, მეორეს მხრით, ქონებრივი უთანასწორობა. მონების შრომით სარგებლობა საზოგადოების უმცირესობას ხელში უგდებს დიდძალ სიმდიდრეს, რომელსაც იგი ხმარობს თავის გაელენის და ბატონობის გასავრცელებლათ და განსამტკიცებლათ. თემის მეთაურები, თემის მიერვე არჩეულები, რომლებიც წინათ მისი მორჩილი და ერთგული იყვენ და თემის საერთო ინტერესებს იცავდენ, ახლა ფეხ ქვეშ თელავენ თემის უფლებებს, და როცა მათი ინტერესები მოითხოვს ავიწროვებენ თემს ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ეს შეევიწროება ახლა გაადვილებულია, რადგანაც იმათ დახელოვნებული მეომრები ყავთ თავის ხელქვეშ; მონების მუქთი შრომა საშუალებას აძლევთ, რომ ამათ თემის წინაშე თავი არ მოიხაროონ. ახლა ამათ ადვილათ შეუძლიათ, როგორც გარეშე მტრების დარბევა და აკლება, ისე თავისი თემის წევრების დამორჩილება და მათზე გაბატონება. ახლა კი ეს ბელადები სრულებით დამოუკიდებლათ მოქმედებენ; ომი მათთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს თავისი გაელენის და ძლიერების განსამტკიცებლათ. ისინი იმორჩილებენ ახლო-მახლო თემებს და ამასთანავე ამრაველებენ თავის მონების რიცხვს, და ამით თავის ქონებას და ნივთიერ შეძლებას ადიდებენ. ისინი ახლა ბლარ არიან უბრალო მეთაურები, ისინი უკვე მეტათ გამოჩენილი პირები შიქნენ: მათ გარს ახვევია მთელი ამალა.

ვიღას შეუძლია ახლა იმათი დათხოვნა, თანამდებობიდან გადაყენება? თემს ახლა ამის აღარაფერი ეკითხება. ხალხი ჯერ ერთი ან რამოდენიმე წლით ირჩევდა თავის მეთაურებს, შემდეგ — სიკვდილამდის, ბოლოს კი ეს უფლება სრულიად დაკარგა და მეთაურებმა თვითონ მოინდომეს თავის მოვალეობის გადაცემა თავისივე შვილებზე. ეს კი ძირითადი ცვლილება იყო; იგი არ მომხდარა ერთბაშად, იგი ნელ-ნელა ხდებოდა. ამ ხანაში კი წინანდელი თავისუფალი თემი გამქრალია; მისი ადგილი უკირავს საზოგადოებას, რომელშიაც მოქმედებენ სხვადასხვა ჯგუფები და რომელიც დამორჩილებული ყავს ერთ ან რამდენიმე პირს მთავრის ან მეფის სახელით. რადგანაც ასეთი საზოგადოების ჯგუფებათ დაყოფა და მისი არსებობა დაფუძნებულია უმთავრესათ მონების მუქთ შრომაზე, ამიტომ იქ არსებულ წესწყობილებას მონური ეწოდება. ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ იმავე საზოგადოებაში სრულებით აღმოფხვრილი ყოფილიყვენ თავისუფალი მუშაკები. მონური წესწყობილება მხოლოთ იმას აღნიშნავს, რომ უმთავრეს ძარღვს ეკონომიური ცხოვრებისას შეადგენდა მონების შრომა. მონობა შეიცავს დიდ ხანას; იგი მოდებული იყო მთელ ძველ ქვეყანას; იმაზეეე იყო დამყარებული ძველი ბერძნების და რომაელების ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება, რაც ასე ცუდათ დაბოლოვდა. როგორ და რა მიზეზებმა გამოიწვია მონობის დამხობა და რა მოელინა კაცობრიობას იმის მაგივრათ? — ამის გამორკვევას შემდეგ ვეცდებით.

(ჟურნალ „მოგზაური", 1905 წ., №№ 3, 4 და 5. 3, 6 და 13 თებერვალი).

ხალხი და მუშათა კლასი.

ბ-ნ ივანე გომართელის [21]) წერილის გამო)

ერთი საერთო თვისება აქვთ შეთვისებული ჩვენს ყველა ჯურის მოწინააღ-მდეგეთ ბურჟუა-ლიბერალებიდან დაწყებული ნაციონალისტ-ფედერალისტ-ბამდე. ეს თვისება, ე. ი. იმათ მიერ შესისხლხორცებული ტაქტიკა ჩვენს შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ერთ და იმავე საბუთს, ერთ და იმავე მაგალითს წაღმა-უკუღმა ატრიალებენ. დღეს რომ ამა თუ იმ საბუთს, ანუ მაგალითს ჩვენ დასამარცხებლად ხმარობენ, ხვალ იმავე საბუთს, ანუ მაგალითს თვითონ იმოწ-შებენ თავიანთ შეხედულების გასამართლებლად. როცა დაჭირდებათ და შემთ-ხვევა ნებას აძლევთ, დასავლეთ ევროპის მაგალითი და ჩვენი საზღვარგარეთელ ამხანაგების პრაქტიკა მოყავთ ჩვენ წინააღმდეგ თავიანთ შეხედულების თუ მო-საზრების გასამართლებლათ; მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს, ე. ი. ჩვენ დასა-მარცხებლად საჭიროა დასავლეთ ევროპის მაგალითის და ჩვენი იქაური ამხანა-გების პრაქტიკის უარყოფა, მაშინ ისინი ურცხვად გაიძახიან, რომ საზღვარ-გა-რეთი სხვაა და ჩვენი ქვეყანა კიდევ სხვაო. რაც იქ შესაძლებელია, ჩვენში ის შეუძლებელიაო და სხვა ამ გვარები.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ ახალი არაფერი არ არის, და თუ მა-ინცა და მაინც ჩვენი მოწინააღმდეგეები, ბურჟუაზიის იდეოლოგები, ასეთი ტაქ-ტიკას ადგანან, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ასეთი საშუალებით ადვილად უნდათ ფონს გავიდენ. ისინი აშკარათ ხედავენ, რომ იმათ ფლიდურ მოღვაწეობას ნიადაგი თანდათან ეკარგება; რომ იმათ ვერ შველის ვერც ნაციონალისტური მოთქმა-გოდება და ვერც ცრუ-დემოკრატიული ქადაგება. რაც უნდა ბურუსში გახვიონ თავისი სურვილი და განზრახვა, რაც უნდა ეროვნული და გინდ დემო-კრატიული საფუძველი ეძიონ თავის ბურჟუაზიულ მისწრაფებათა დასამალავად, ყოველივე ეს დღეს სრულებით ამაო ხდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვი-თომც იმათ მიერ დაგებულ ბადეში სრულებით არავინ ებმებოდეს. ხასიათის სისუსტის თუ მტკიცე და გარკვეული მიმართულების უქონლობის გამო იმათ ბურჟუაზიული დემოკრატიული ლათაიები ხალხის საერთო ინტერესზე ბევრს ითრევს ჩვენი ბურჟუა-ნაციონალისტების მიერ დაგებულ მახეში. ამის ცოცხალ მაგალითს ბ-ნი ივ. გომართელი წარმოადგენს.

ჩვენ აქ ვერ შეუდგებით იმის გამოძიებას, თუ ბ-ნმა გომართელმა როგორ დაიწყო იმ ახალი ჯურის „დემოკრატიზმის“ ქადაგება, რომელიც ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგიას წარმოადგენს და რომელსაც ადგას განახლებული „იეერიის“ რედაქცია. შეიძლება მკითხველისათვის ეს საინტერესო იყოს, მაგრამ აქ ამ კითხვას ვერ შეეხები. ჩვენ აქ მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ ბ-ნ ივ. ჯომართელის ერთ წერილზე, სახელდობრ „მუშათა კლასი და ხალხი“, რომელიც გაზ. „იეერიის“ № 145-ში დაიბეჭდა და რომელიც თითქმის საესებით ახასიათებს ბ-ნ გომართელის დღევანდელ პოზიციას. თუ ბ-ნ გომართელის „ახალი“ პოზიციის დასაფასებლად საკმარისი მასალა ჯერ კიდევ არ გვქონდა, ხსენებული წერილის გამოქვეყნების შემდეგ ეს უკვე აღარ ითქმის. ბ-ნი გომართელი ამ წერილით თვითონ ავსებს იმ ნაკლს, რომელიც აქამდის საზოგადოებაში ორაზროვნებას ბადებდა მის შესახებ. მართალია, ჩვენი ავტორი სრულებით ჯერ კიდევ ვერ გამოთხოვებია წინანდელ თავის პოზიციას, რასაც მისი ნაწერების და განსაკუთრებით ზეეთ დასახელებული წერილის ზოგი ადგილები და აშკარა წინააღმდეგობანი მოწმობენ, მაგრამ ეს საზოგადოთ ჩვეულებრივი მოვლენაა, ერთბაშად დიდი ნახტომის გაკეთება ადვილი საქმე როდია.

სიმართლის გამოსარკვევად საჭიროა სიტყვა-სიტყვით მოვიყვანოთ ბ-ნ გომართელის ნალაპარაკევი. აი რას ამტკიცებს ჩვენი ავტორი:

„როდესაც რომელიმე თავადი იცავს ან თხოულობს რაიმე წოდებრივ საქმეს და ამავე დროს აცხადებს: ეს საქმე წოდებრივი კი არა საეროა, აქ შეცდომა აშკარაა. ამგვარი პირი იცავს მხოლოდ წოდებრივ ინტერესს. როდესაც რომელიმე ბიუროკრატი იცავს ისეთ პროექტს, რომელიც ბიუროკრატიას კიდევ უფრო აძლიერებს, ამავე დროს კი ამ პროექტის დამცველი გვიმტკიცებს: ამას მოითხოვს მთელი სახელმწიფოს ინტერესიო, აქ შეცდომა ყველასათვის თვალსაჩინოა. როდესაც რომელიმე ბურჟუა გადმოდგება და ამტკიცებს: ბაჟი და თორმეტ საათის სამუშაო დღე სახელმწიფოს წარმატებისა და ერის კეთილდღეობისათვის არის საჭიროვო, აქაც შეცდომა ადვილი დასანახავია. — ბაჟიცა და თორმეტი საათის სამუშაო დღეც ჯიბეს უსქელებს მხოლოდ ბურჟუაზიასა და ბიუროკრატიას. ხოლო, როდესაც რომელიმე დამცველი პროლეტარიატის ინტერესებისა გადმოდგება და ამტკიცებს: პროლეტარიატის ყოველი ინტერესი იგივე ხალხის ინტერესებია, აქ ბევრი ჩვენგანი ვერ ვიტანთ შეცდომას ვერ ხედავს, თუმცა აქაც არის დიდი შეცდომა და იმგვარივე შეცდომა, როგორც ჩამოთვლილ მაგალითებში.

„რა არის თავად-აზნაურობა? წოდება, ნაწილი ერისა; ამიტომ მისი ინტერესებიც წარმოადგენს წოდებრივ ინტერესებს და არა ეროვნულს. რა არის ბურჟუაზია? კლასი, ნაწილი ერისა; ამიტომ მისი ინტერესებიც კლასობრივია და არა ეროვნული. რა არის პროლეტარიატი? კლასი ანუ ნაწილი ერისა. არც ერთ სახელმწიფოში პროლეტარიატი არ წარმოადგენს მთელი ერის უმრავლესობას და ამიტომ პროლეტარიატის დღევანდელი ინტერესებიც წარმოადგენენ კლასობრივ ინტერესებს და არა ეროვნულს“ (ხაზს ჩვენ ვუსვამთ).

ამნაირათ, ბ-ნი ივ. გომართელი ერთნაირად უყურებს, როგორც ფეოდალურ და ბურჟუაზიულ კლასებს, ისე პროლეტარიატს. მის თვალში კლასობრივ ინტერესების დაცვაში პროლეტარიატი იმდენათაა მართალი, რამდენათაც თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია, როცა ამ უკანასკნელთ თავისი კლასობრივი ინტერესები მთელი ხალხის, ანუ ერის ინტერესებათ გამოაქვთ. რამდენადაც შემცდარია აზნაური და ბურჟუა, როცა ისინი თავის კლასობრივ ინტერესებს მთელი ხალხის ინტერესებად სახავენ, იმდენადვე შემცდარია პროლეტარიატი, როცა მას თავის კლასობრივი ინტერესები ხალხის უმრავლესობის ინტერესებად მიაჩნია, ვინაიდგან, როგორც ამტკიცებს ბ-ნი გომართელი, „არც ერთ სახელმწიფოში პროლეტარიატი არ წარმოადგენს მთელი ერის უმრავლესობას"-ო.

შეეჩერდეთ აქ, და ვიკითხოთ, თუ რას გვეუბნება ამით ბ-ნი გომართელი? ნუ დავიბნეთ კი, რომ ბ-ნი გომართელი ამას წინათ გვიმტკიცებდა, რომ „მოგზაურსა" [22]) და მას შორის მხოლოდ „წვრილმანი უთანხმოება" არის და სხვა არაფერია (იხ. „მოგზაური" № 28).

ზევით მოყვანილ ამონაწერიდან მხოლოდ ერთად ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება, სახელდობრ: კლასობრივი წინააღმდეგობის მხრით ბურჟუაზია, თავად-აზნაურობა და პროლეტარიატი ერთ და იმავე მდგომარეობაშია იმყოფებიან; ესენი შემცდარი მხოლოდ იმაში არიან, რომ თითოეულთ ისაოგანს თავისი საკუთარი კლასობრივი ინტერესები მთელი ერის ინტერესებათ გამოაქვს. ეტყობა. ბ-ნი გომართელი არ დაფიქრებულა, როცა ზევით მოყვანილ სიტყვებს წერდა. განა პროლეტარიატის და ბურჟუაზიის მდგომარეობა ერთია? ბურჟუაზია გაბატონებულია, როგორც ნივთიერად, ისე პოლიტიკურად მუშა ხალხზე და მისი ინტერესების დაცვა ამ ბატონობის დაცვას მოასწავებს, ე. ი. მისი ინტერესების დაცვა ნიშნავს მუშა-ხალხის გაყვლეფის, შევიწროების და დაჩაგვრის დაცვას. ასე ითქმის თავად-აზნაურობაზედაც, რამდენათაც იგი შეიარაღებულია უფლებაპრივილეგიებით და რამდენათაც იგი მიწათმფლობელი კლასია. პროლეტარიატი კი დაჩაგრული და გაყვლეფილი კლასია. ამიტომ, როცა იგი თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის ზრუნავს, თუნდაც ის ერის უმცირესობას წარმოადგენდეს, მაინც სიმართლე მის მხარეზეა და არა ბურჟუაზიის. მაგრამ განა პროლეტარიატი, ე. ი. საზოგადოების გაყვლეფილი ნაწილი ხალხის უმცირესობას შეადგენს? მართალია, ბ-ნი გომართელი გვეუბნება, რომ არც ერთ სახელმწიფოში პროლეტარიატი ერის უმრავლესობას არ შეადგენსო, მაგრამ ამას იგი ვერაფრით ვერ ამტკიცებს და არც შეუძლია რომ დაამტკიცოს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მუშათა მოძრაობას ნიადაგი ეკარგება. პროლეტარიატი, ე. ი. ხალხის გაყვლეფილი ნაწილი ყოველგან დიდ უმრავლესობას შეადგენს და მაშასადამე, მისი ინტერესებიც ხალხის დიდი უმრავლესობის ინტერესებს შეიცავს. „პროლეტარიატი, გვეუბნება კ. კაუცკი [23]), სრულებით განსაკუთრებული კლასია. იგი არა თუ შეადგენს მცხოვრებლების დიდ უმრავლესობას — ორი მესამედიდან სამ მეოთხედამდე — იგი აგრეთვე ერთად ერთი კლასია, რომელიც ცხოვრობს თავის შრომით, რომელიც სხვისი ოფლით არ ძღება" *). მეორე ადგილას იგივე

*) К. Каутский. Классовые интересы. გვ. 11.

აეტორი ამბობს: „მუშათა პარტია, იმიტომ, რომ იგი პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების წარმომადგენელია, ხალხის საერთო ინტერესების გამომსახველიც არის მრავალჯერ მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე პარტია; იგი წარმოადგენს ხალხის ინტერესებს არა მარტო იმიტომ, რომ პროლეტარიატი ხალხის უმრავლესობას შეადგენს, არამედ იმიტომაც, რომ პროლეტარიატის ინტერესები დღეს ერის ინტერესებს შეიცავენ“ *).

ეს დასკვნა არ არის მოცლილი კაცის ფანტაზიის ნაყოფი; იგი დამყარებულია, ერთი მხრით, სტატისტიკურ ცნობებზე და, მეორე მხრით, დღეანდელ საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა შესწავლასა და ანალიზზე. კ. კაუცკი და მისი ამხანაგები ცხოვრების ზედაპირს როდი უყურებენ; ისინი უკვირდებიან ცხოვრების ყოველ მხარეს, იკვლევენ მის მიმდინარეობას, და მხოლოდ ამის შემდეგ გამოყავთ დასკვნები. თუ ჩვენ დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას ფხიზელ თვალით შევხედავთ, უეჭველად შევამჩნევთ, რომ მთელი საზოგადოება ორ არა თანასწორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთ ნაწილს (უმცირესობას) შეადგენენ ისინი, რომლებიც მუდამ სხვისი შრომის ნაყოფით ძღებიან, მეორეს-კი (დიდ უმრავლესობას) ისინი, რომლებიც მუშაობენ მხოლოდ იმიტომ, რომ უმცირესობა მუდამ განცხრომასა და ფუფუნებაში იყვეს. პირველები არიან მუქთახორა ბურჟუა-კაპიტალისტები, ხოლო მეორენი პროლეტარები. რაც დრო გადის, ამ ორ საზოგადოებრივ კლასთა შორის განხეთქილება და წინააღმდეგობა თანდათან ძლიერდება, ღრმავდება და იზრდება. აი ამ წინააღმდეგობის გარშემო ტრიალებს დღეს მთელი დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება. დღეს ისე ფეხს ვერ მოიცვლით. რომ ამ კლასობრივ წინააღმდეგობას არ წააწყდეთ. ყოველგან, როგორც ქალაქში, ისე სოფელშიაც, ფეხს იკიდებს და ვითარდება ბურჟუაზიული წესწყობილება; ყოველგან, ყოველ ფეხის გადადგმაზე თქვენ შეგხვდებათ გაყვლეფილი და გამყვლეფელი, მუშა და დამქირავებელი, ის, ვინც სხვისი შრომით სარგებლობს და ის, ვინც სხვაზე ყიდის თავის სამუშაო ძალას, ვინაიდან თავის შესანახად მას სხვა არავითარი სახსარი აღარ დარჩენია. მაგრამ ამასთანავე ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მუშები ერთნაირად როდი იყვლიფებიან, ე. ი. გაყვლეფის პირობები ყოველგან, მაგალ. ქალაქში და სოფელში, სხვადასხვა ნაირია. ქარხნის და ფაბრიკის მუშა, რომელსაც გამოცლილი აქვს ხელიდან ყოველგვარი საწარმოო იარაღი, სხვა პირობებში იყვლიფება, ვიდრე გლეხი, რომელსაც დანის პირის ოდენა მიწა შერჩენია. ეს უკანასკნელი არსებითად ისეთივე მუშაა, როგორც პირველი, მხოლოდ ბევრად უფრო უარეს პირობებში ჩაყენებული, მაგრამ იმ გარემოების გამო, რომ მას რაღაც თავის ცოდვათ, ერთი ციდა მიწა შერჩენია, მას პროლეტარიატიდან აცალკევებენ და თითქმის მას პროლეტარზე მაღლაც აყენებენ. ეს შემცდარი და ყალბი შეხედულებაა. და აი სწორედ ასე იქცევა ბ-ნი გომართელიც.

ბ-ნ გომართელის აზრით, პროლეტარი მხოლოდ ქარხნის და ფაბრიკის მუშას ქვია (და ისიც მხოლოდ საზღვარგარეთ და არა ჩვენში, როგორც ამას ქვევით

*) იქავე. ხაზს ჩვენ ვუსვამთ.

დავინახავთ). მისი აზრით პროლეტარიატში არ შედის არც წვრილი ხელოსანი, არც წვრილი მოვაჭრე, რომელსაც თავისი საკუთარი არაფერი არა აქვს და მხოლოდ სხვისი მოგებისათვის მუშაობს რომ დღიური შრომით თავი ირჩინოს, და არც წვრილი, გაჩანაგებული და გაჭირვებული გლეხობა. ამიტომ ჩვენ ავტორს პროლეტარიატის გვერდით რაღაც ახალი კლასი გამოყავს, რომელსაც იგი „ხალხს" უწოდებს. ბ-ნი გომართელი ამასთანავე გვეუბნება, რომ პროლეტარიატის და „ხალხის" ინტერესი დღეს სულ სხვადასხვაა. იგი გადაჭრით ამბობს: „მას (პროლეტარიატს) აქვს ბევრი მხოლოდ საკუთარი, მხოლოდ კლასობრივი მისწრაფება ანუ ინტერესი, ბევრი ისეთი რამ განსახორციელებელი და გასაკეთებელი, რაც პირდაპირ ხალხის კეთილდღეობას არ შეეხებაო".

როგორც ხედავთ, ბ-ნი გომართელის აზრით, პროლეტარიატის და „ხალხის" ინტერესები ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, რომ პროლეტარიატი და „ხალხი" სულ სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასებს წარმოადგენს. მაგრამ ბ-ნ გომართელს თვითონ შეშინებია ასეთი დასკვნის და რამდენიმე სტრიქონის შემდეგ იგი გვეუბნება, რომ „პროლეტარიატი და ხალხი ერთი მეორის წინააღმდეგი, ეოთი მეორის მტერი არ არისო; მათ აქვთ თავ-თავისი საქმე, მაგრამ ამაც დროს აქვთ საერთო საქმეც! ამიტომ არც დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია არიან ერთი მეორის მტრები, თუ კი მათ საბოლოო მიზანი ერთნაირათ ესმითო'.

აზრის ასეთი წინააღმდეგობა ავტორის ულოგიკობით უნდა აიხსნას და სხვა არაფრით. თუ კი პროლეტარიატს ბევრი საკუთარი, კლასობრივი მისწრაფება და ინტერესები აქვს, ბევრი ისეთი რამ, რაც მხოლოდ მისი კეთილდღეობისათვის არის საჭირო, და არა ხალხისათვის, ჩანს „ხალხსაც" ექნება ასეთი კლასობრივი მისწრაფება და ინტერესი, რაც მხოლოდ, მისი (ხალხის) კეთილდღეობისათვის არის საჭირო და არა პროლეტარიატისთვის. ამ მხრით ბ-ნ გომართელს, როგორც ხედავთ, ლოგიკა არ ღალატობს. როგორც ვიცით, იგი ამტკიცებდა, რომ პროლეტარიატი ხალხის უმრავლესობას არსად, არც ერთ სახელმწიფოში არ შეადგენსო; ამით მას პროლეტარიატის მნიშვნელობის დამცირება უნდოდა. მაგრამ რომელიმე კლასი ხომ უნდა შეადგენდეს ხალხის უმრავლესობას? რომელ კლასს ჩათვლიდა ბ-ნი გომართელი ასეთად? ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კითხვის გადაწყვეტამ ბ-ნი გომართელი დიდ განსაცდელში ჩააგდო. პროლეტარიატს იგი ვერ ჩათვლიდა ასეთ კლასად, რადგანაც ამით მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში იზრდებოდა. მით უმეტეს ვერ ჩათვლიდა ასეთად ვერც თავადაზნაურობას და ვერც მსხვილ ბურჟუაზიას, მაშასადამე, დარჩა მხოლოდ საშუალო და წვრილი ბურჟუაზია და აი იგიც სწორედ ამას დააწვა თავზე. საჭირო იყო მხოლოთ სხვა სახელის დარქმევა, თორემ მას ბურჟუაზიის იდეოლოგათ გამოაცხადებდენ და ეს სახელწოდება ხომ ჭირივით ეჯავრებათ ჩვენს ბურჟუა-დემოკრატებს. და აი ბ-ნ გომართელმაც ბურჟუაზიისათვის ახალი სახელწოდება გამოიგონა, ე. ი. „ხალხი". ახლა ჩვენ ვიცით, თუ ვინ არის ბ-ნ გომართელის „ხალხი": ვიცით აგრეთვე ისიც. თუ რისთვის სცდილობს იგი პროლეტარიატის მნიშვნელობის დამცირებას. ისიც ვიცით, თუ ვისკენ არის მიმართული მთელი მისი სიმპატია, ვისი მდგომარეობის გაუმჯობესობა აწუხებს და აფიქრებს მას.

მაგრამ ბ-ნი გომართელი მიდის უფრო შორს: იგი სრულებით უარყოფს ჩვენი პროლეტარიატის არსებობას, და ამ მხრით იგი უფრო სასაცილო მდგომარეობაში ვარდება, ვიდრე „ივერიის“ ერთი მეთაურის ავტორი, რომელიც ამას წინათ „კავკასიის კალენდრ.ას“ წყალობით, ამტკიცებდა, რომ საქართველოში სულ რაღაც ოციოდე ათასი მუშა არისო... „ჩვენში — წერს ბ-ნი გომართელი — არიან პროლეტარები, მაგრამ პროლეტარიატი ჩვენში ჯერ-ჯერობით არ არსებობსო; — არის მუშათა კლასი, მაგრამ მუშათა კლასი და პროლეტარიატი ერთი და იგივე არ არის, პროლეტარიატს სოფელთან ყოველგვარი კავშირი შეწყვეტილი აქვს, ის მიწას მოკლებულია, როგორც წარმოების სახსარს და ფიზიკური ძალის გაყიდვით ირჩენს თავს. ქართველ მუშათა კლასს კი მჭიდრო კავშირი აქვს სოფელთან; ის მიწის მესაკუთრეა ჯერ-ჯერობით. ქალაქში მოგებული ფულით (კარგი მუშა ყოფილა, თუ ფულს იგებს!) ის სოფელში იუმჯობესებს თავის სახლ-კარს, თავის ცხოვრებას“.

ამნაირად გამოდის, რომ ქართველი პროლეტარები ნამდვილი ბურჟუები ყოფილან, სოფელში იმათ საკმარისი მიწები აქვთ საკუთრებათ, ქალაქში კი ისინი ფულის მოგებისთვის მიდიან, რის საშუალებით კიდევ უფრო იუმჯობესებენ თავის ცხოვრებას, აგებენ კარგ სასახლეებს, იძენენ მიწებს და აუმჯობესებენ მეურნეობას. აი თურმე ვინ არიან ჩვენი ქალაქის მუშები! აბა ერთი მითხარით, რომელ ბურჟუას აქვს ასეთი ცხოვრება. ზამთრობით ისინი ქალაქში არიან და ფულს იგებენ, ზაფხულობით კი ქალაქ გარეთ მიდიან, სოფელში ისვენებენ! ვინ თქვა, ვინ მოკორა ქართველი მუშის გაჭირვებული მდგომარეობა? მუშა მხოლოდ სადღაც შორს, საზღვარგარეთ არის გაჭირვებული; იქ მას სოფელთან ყოველგვარი კავშირი შეწყვეტილი აქვს, საკუთარი მიწა არ მოეპოვება და მხოლოდ თავისი ფიზიკური ძალის გაყიდვით ცხოვრობს! ჩვენში კი სულ სხვაა! მაგრამ ჩვენს ავტორს ნუ გონია, რომ მას აქ რაიმე ორიგინალობა გამოეჩინოს. მის სამწუხაროთ უნდა ვთქვათ, რომ ყოველივე ეს კაი ხანია რაც გადაღეჭეს ჩვენმა ცრუ-პატრიოტებმა, და ამ გადაღეჭილი აზრის განმეორება სრულებით ვერაფერს შეძენს ბ-ნ გომართელის „დემოკრატიზმს“.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ მეტად მიგვაჩნია იმის განხილვა და დაფასება. თუ რა პრაქტიკულ ზომებს ურჩევს ბ-ნი გომართელი დღეს საზოგადო მოღვაწეთ. მაგრამ ორიოდე სიტყვა ამის შესახებაც მსურს გაეუზიარო მკითხველს. რადგანაც ბ. გომართელის დასახასიათებლად ეს მნიშვნელობას მოკლებული არ არის. „ჭკუა და ტაქტიკა იმაში კი არ მდგომარეობს — გვეუბნება ჩვენი ავტორი — რომ ერთი მეორეს დავეჯიბრნეთ ისეთი კითხვების წამოყენებაში, რომელთა გადაწყვეტა შორეულ მომავალს ეკუთვნის, არამედ მხოლოდ იმაში, რომ ისეთი საჭიროებანი წამოვაყენოთ, რომელთა დაკმაყოფილებაც დღესვე არის საჭირო და ასასრულებელი. ასეთებია: მიწის სიეიწროვე. განათლების. ჯანმრთელობის და მეურნეობის რიგიან გზაზე დაყენება“. ბ-ნ გომართელის აზრით, „ყველა პარტიები. ყველა პროგრესიული წეერი საზოგადოებისა უნდა დაეხმაროს ჩვენ გლეხობას მისი საკუთარი მისწრაფების განხორ-

ციელებაში. ჩვენ გლეხს დღეს შია უმიწობის გამო *) და ამიტომ ჩვენ სიტყვით, წერით (?!), თუ საქმით უნდა მოუპოვოთ მას ნადელი საკუთრებათ, დავუბრუნოთ, რამდენადაც კი შესაძლებელი იქნება (sic!) ჩამონაპრები, მოუპოვოთ საკმაო საბალახე და ტყე უსასყიდლოთ და მემამულეთა მიწები ავაღებინოთ იმ გვარ პირობებში, რომ გლეხი არ იყვლიფებოდეს ისე, როგორც აქამდე იყვლიფებოდა. ამაზე მეტის განხორციელება დღევანდელ პირობებში მე შეუძლებლათ მიმაჩნია"

ამ გზით, ჩვენი ავტორის აზრით, გადაწყდება არა მარტო აგრარული კითხვა, არამედ მუშების კითხვაც, რადგანაც ეს უკანასკნელები სოფლის წევრები არიან, „ცალი ფეხი სოფელში უდგიათ და ცალი ქალაქში". ვინც ასე ფიქრობს. იგი მხოლოდ თავის თავს ატყუებს. ხოლო როცა ეს საჯაროთ გაზეთის ფურცლებზე გამოაქვს, ჩვენ ვალდებული ვართ გამოვამეღავნოთ მისი ბურჟუაზიული და რეაქციონური ხასიათი.

(ჟურნალი „მოგზაური", 1906 წ., 28 აგვისტო, № 32).

---

*) ეს რალაც არ ეკარება ავტორის ზევით მოყვანილ აზრს, რომ ქართველ მუშებს საკუთარი მიწები აქვთ სოფელშიო. მაგრამ ასეთი წინააღმდეგობა პირველად როდია ბ-ნ ივ. გომართელის ნაწერებში.

წინასიტყვაობა მთარგმნელისა

(კ. კაუცკი. კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება).

მეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენათ ღირებია ჩვენი მწერლობა საზოგადოთ და პოლიტიკური ეკონომიის დარგი კერძოთ. ქართულ ენაზე სრულებით არ მოგვეპოება ორიგინალური ნაწერი ეკონომიური მეცნიერების შესახებ, გარდა ალ. წულუკიძის [1]) წიგნისა („ნ ა წ ყ ვ ე ტ ე ბ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ი დ ან", 1905 წ.), რომელიც, რა თქმა უნდა, მიუხედავათ თავისი ღირსებებისა, მხოლოთ წვეთია იმ დაუშრეტელი წყაროისა, რომელსაც პოლიტიკური ეკონომია ეწოდება. მეორე მხრით, ქართულ მწერლობას არც თუ ნათარგმნი თხზულებებით შეუძლია იამაყოს პოლიტიკური ეკონომიის დარგიდან, გარდა ორიოდე ბროშურისა (როგორც მაგალითათ, „შრომა და კაპიტალი" სვიდერსკისა, „საქირაო შრომა და კაპიტალი" კ. მარქსისა, „ზოგიერთი სამუშაო დღე" ზეიდელისა) ამ უკანასკნელ დრომდე ჩვენ არაფერი არ მოგვეპოვებოდა *). მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს ქართულ მწერლობას შეეძინა ა. ბოგდანოვის [2]) ცნობილი წიგნის: „ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს მ ო კ ლ ე კ უ რ ს ი"-ს თარგმანი **), რომლითაც უფრო მკვიდრი საფუძველი ჩაიყარა პოლიტიკური ეკონომიის შესასწავლათ ქართულ ენაზე.

თანამედროვე პოლიტიკური ეკონომია ანუ ეკონომიური მეცნიერება წარმოიშვა და განვითარდა იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებრივი განვითარება, საწარმოვო ძალთა წარმატების მეოხებით, შედარებით უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა წინ. ასეთი ქვეყნები იყვენ და არიან დღესაც ინგლისი, საფრანგეთი, იტა-

*) აქ უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ერთი წერილი ქართულ სოც.-დემ. გაზეთში 1908 წლის პირველ ნახევარში, რომელიც მარქსის ღირებულების თეორიას არკვევდა შემოკლებით. რამდენათაც მახსოვს, იგი ნათარგმნი იყო რუსულიდან. ყოველ შემთხვევაში ხსენებულ წერილს დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

**) სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა ბოგდანოვის წიგნის თარგმანი კაუცკის წიგნის თარგმანზე უფრო ადრე გამოვიდა, მაგრამ მე საშუალება არ მქონდა პირველის თარგმანს გავსცნობოდი.

ლიის წვრილი სახელმწიფოები სა'ძუალო საუკუნოებში და გერმანია. პოლიტიკური ეკონომია, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების ერთი უდიდესი და უშესანიშნავესი შტოთაგანი, პირდაპირი შედეგია წარმოების თანამედროვე კაპიტალისტური წესის განვითარებისა. ჩვენ'ში წინათ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება დიდი ხნით შეფერხდა: აღებ-მიცემობის და მრეწველობის აყვავება, რაც საფუძვლათ დაედვა მთელ თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათ, მთელი კაცობრიობის განვითარებას, და რამაც თავი იჩინა დასავლეთ ევროპაში მეთექვსმეტე საუკუნიდან დაწყებული,ჩვენთვის თითქმის სრულებით არ არსებობდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე მაინც. შემდეგ, როცა ჩვენ'ში ეს ყოველივე გადმოინერგა, ანუ მზამზარეულ გადმოტანილ იქნა, ჩვენ'ში არ იყო ნიადაგი იმისთვის, რომ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია აღმოცენებულიყო და განვითარებულიყო, ვინაიდან გადმონერგული კაპიტალი ამას სრულებით არ საჭიროებდა. კარლ მარქსი „კ ა პ ი ტ ა ლ ი"-ს პირველი ტომის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ამბობს, „რომ პოლიტიკური ეკონომია გერმანიაში აქამდის (1873 წ.) დარჩენილია უცხო ქვეყნის მეცნიერებათ... გერმანიაში მას აკლდა ცხოველმყოფელი ნიადაგი, იგი მზამზარეული საქონლის სახით შემოტანილ იქნა ჩვენ'ში (გერმანიაში) ინგლისიდან და საფრანგეთიდანო". თუ ეს ასე ითქმოდა გასულ საუკუნის მესამოცდაათე წლებ'ში გერმანიის შესახებ, რაღა უნდა ვთქვათ ჩვენს ქვეყანაზე. წარმოების ახალი — კაპიტალისტური — წესის აღმოცენება და განვითარება ჩვენ'ში სრულებით არ მომხდარა ადგილობრივ ბურჟუაზიის მეოხებით; ამიტომ, აშკარაა, რომ ჩვენ'ში იმ თაოიდანვე არ ყოფილა ის კლასი, რომელსაც უნდა ეზრუნა პოლიტიკური ეკონომიის განვითარებისათვის.

აი, სად უნდა ვეძიოთ თავი და თავი მიზეზი იმ მოვლენისა, რომელიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ქართული მწერლობა ამ ზომამდე ღარიბია პოლიტიკურ-ეკონომიურ თხზულებებით. მაგრამ ასეთი მდგომარეობის გაგრძელება დიდხანს შეუძლებელი უნდა გამხდარიყო.

კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ ჩვენ'შიაც ძალაუნებურათ დაბადა ისეთი პირობები, რომლებსაც, ადრე იქნებოდა თუ გვიან, აუცილებლათ უნდა გამოეწვია ჩვენ'ში პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის საჭიროება. თუ ახალი წარმოების განვითარებამ საკმარისათ ვერ განაკითარა და ვერ გაამაგრა, პირველ ხანებ'ში მაინც, ადგილობრივი ბურჟუაზია, სამაგიეროთ მან მკვიდრი საფუძველი დაუდვა ადგილობრივი პროლეტარიატის აღორძინების საქმეს: თანამედროვე მრეწველობის და აღებ-მიცემობის აყვავებამ ჩვენ'ში ისტორიის სარბიელზე გამოიყვანა მუშათა კლასი. პროლეტარიატის შეგნების და თვითცნობიერების განსავითარებლად იყო და არის მხოლოდ ერთად-ერთი გზა, ერთად-ერთი საშუალება: იმ საფუძველის შესწავლა ანუ იმ მექანიზმის გაგება, რომელ'ზედაც დაყრდნობილია მთელი თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილება, ერთი მხრით, და მუშათა კლასის გაყვლეფა, მეორე მხრით. ამ საფუძველის შესწავლა კი შესაძლებელია მხოლოთ პოლიტიკური ეკონომიის საშუალებით. ამიტომ მუშათა კლასი იყო ერთად-ერთი კლასი ჩვენ'ში, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა'ში დაინტერესებული შეიქნა. მაგრამ ეს მოხდა მა'შინ, რო-

ცა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია უკვე მეცნიერებას აღარ წარმოადგენდა, როგორც განსაზღვრულ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენათა ობიექტიური კელევა-ძიების დარგი. მარქსი ამბობს: „პოლიტიკურ ეკონომიას შეუძლია მეცნიერებათ დარჩენა მხოლოთ მანამ, სანამ კლასობრივი ბრძოლა დაფარულათ ხდება ან მხოლოდ კერძო ფაქტებში ჩნდებაო". როცა ჩვენში თავი იჩინა კლასობრივმა ბრძოლამ, როცა ამ ბრძოლამ მუშების გამოფხიზლების მეთხებით თანდათან და სულ უფრო და უფრო განსაზღვრული და საშიშარი სახე მიიღო, დასავლეთ ევროპაში და სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში მუშათა მოძრაობა უკვე გამოდიოდა მეცნიერული სოციალიზმის თვალთახედვის წერტილიდან. ეს ნიშნავდა იმას, რომ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ძირთადი დებულებანი ანუ საფუძველნი მარქსის შეუბრალებელი კრიტიკის მეთხებით უკვე დიდი ხნიდან უარყოფილი იყვენ და მთელი თანამედროვე კაპიტალისტური წესწყობილება, რომელსაც ბურჟუაზიული მწერლები და პოლიტიკო-ეკონომები უკვდავად სთვლიდენ, გამოცხადებულ იქნა წარმავალი ანუ კაცობრიობის ისტორიული განვითარების გზაზე განსაზღვრულ საფეხურად, როგორც, მაგ., პირველყოფილი კომუნიზმი, მონობა და ფეოდალური წესწყობილება. თავისთავათ იგულისხმეა, რომ, როცა ჩვენში მუშათა საკითხი დაიბადა, ე. ი. როცა მუშათა კლასმა თავისი არსებობა საზოგადოებას ამცნო, მუშა ხალხის იდეოლოგებს და მუშათა მოძრაობის პრაქტიკულ ხელმძღვანელთ თანამედროვე მუშათა მოძრაობის იდეა ანუ მეცნიერული სოციალიზმის თეორია უნდა გადმოეღოთ უნაკლულოთ და უცვლელათ, როგორც მზამზარეული ნაწარმოები.

იმ გარემოებას, რომ ჩვენში ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას არ ღირსებია ფრთების გაშლა და აყვავება, ორნაირი შედეგი მოჰყვა, სახელდობრ ის, რომ ეს გარემოება ერთ და იმავე დროს კიდევაც აფერხებდა და კიდევაც ხელს უწყობდა ჩვენში ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის განვითარებას. აფერხებდა მით, რომ ერთ და იმავე დროს საჭირო იყო, ერთი მხრით, ყველა იმ ეკონომიურ-სოციალურ ცნობათა და კატეგორიათა, რომლებიც ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ წამოაყენა, დადგენა და, მეორე მხრით, ყველა ამ ცნობათა კრიტიკის დარჯაკში გატარება. ეს კი ადვილი საქმე არ იყო. ხელს უწყობდა კი მით, რომ მეცნიერული სოციალიზმის თეორიის გადმომნერგთ ქართულ ნიადაგზე ბურჟუაზიულ პოლიტიკური ეკონომიის დებულებათა დარღვევის დროს წინააღმდეგობა თითქმის სრულებით არ ხვდებოდათ. ჩვენ შეძლება გვქონდა პოლიტიკური ეკონომიის განმარტებისთვის ის მტკიცე და გარკვეული მიმართულება მიგვეცა, რომელიც მოგვცა ჩვენ ბურჟუაზიული ეკონომიის შეუბრალებელმა კრიტიკამ მეცნიერული სოციალიზმის ანუ მარქსიზმის თვალთახედვის წერტილით.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის განვითარებამ განველო სამი ხანა. პირველ ხანაში, რომელიც ითელება ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკურ ხანათ, მთელი თანამედროვე საზოგადოებრივ-ეკონომიური წესწყობილება. ე. ი. თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობანი და კაპიტალისტური წარმოების წესი. ამ ეპოქის მწერლებს და მეცნიერთ წარმოდგენილი აქვთ, როგორც ერთი რამ უცვლელი. სამუდამოთ არსებული. ამიტომ ამ ხანაში

პოლიტიკური ეკონომია, თავის საუკეთესო წარმომადგენელთა ბაგენით (ადამ სმიტი, რიკარდო), მთელ ბურჟუაზიულ წესწყობილებას, დამყარებულს წარმოების კაპიტალისტურ წესზე, იხილავს როგორც საზოგადოებრივი წარმოების აბსოლიუტურ, სამუდამო ფორმას, და არა როგორც ისტორიული განვითარების წარმავალ საფეხურს. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების გულში არსებული კლასობრივი ბრძოლა ჯერ კიდევ განვითარებული არ არის. წინააღმდეგობას და განხეთქილებას სამრეწველო პროლეტარიატსა და კაპიტალისტებს შორის ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული საკმაოდ გარკვეული სახე. მაგრამ ამ პირველი ხანის დასასრულს კლასობრივი ბრძოლის გამოაშკარავების და სწორი გარკვევის წინა პირობები უკვე საკმარისად განვითარებულია. ერთი მხრით, კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატს შორის უკვე აშკარა ხასიათს ღებულობს. მეორე მხრით, თვით ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიაც, რომელიც ამ დროს კიდევ ატარებს ობიექტიური მეცნიერების ხასიათს, იძულებულია მიიღოს პროლეტარიატსა და კაპიტალისტებს შორის არსებული ინტერესთა სრული წინააღმდეგობა. „უკანასკნელი და უდიდესი წარმომადგენელი ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიისა — დავით რიკარდო უკვე გამოდის კლასობრივ ინტერესების წინააღმდეგობიდან, ე. ი. საშუშაო ხელფასის და მოგების, მოგების და მიწის ღალის (რენტის) წინააღმდეგობათაგან და გულუბრყვილოდ იხილავს ამ წინააღმდეგობას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივ კანონს. მაგრამ ეს არის უკვე საზღვარი, რომლის იქით წასვლა ბურჟუაზიულ ეკონომიას აღარ შეეძლო“ (მარქსი), თუ რომ იგი ობიექტიურ ხასიათს შეინარჩუნდა.

შემდეგ იწყება მუშათა კლასის აღშფოთება და ამბოხება კაპიტალისტური ყვლეფის და საზოგადოთ მთელი ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ. ეკონომიურ მოვლენათა ობიექტიურ კვლევა-ძიების ხანამ ბურჟუაზიულ ეკონომისტების მხრით უკვე განვლო. ახლა კითხვა იმას კი აღარ ეხება, „მართალია ესა თუ ის პოლიტიკურ-ეკონომიური დებულება, არამედ იმას, სასარგებლოა იგი თუ საზიანო, ხელსაყრელია თუ არა კაპიტალისთვის... გულუბრყვილო, უანგარო გამოკვლევანი ადგილს უთმობენ მოყიდულ მწერლების მატრაბაზულ და მყვირალა პოლემიკას, ობიექტიური მეცნიერული კვლევა-ძიება — უსინდისობა და ბოროტ-განზრახულ დაცვას“ (მარქსი).

ახლა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში თავს იჩენს ორნაირი მიმდინარეობა: ერთი საფრანგეთის პოლიტიკურ ეკონომიის — ბასტიას მეთაურობით, რომელიც ვულგარული ეკონომიის ყველაზე უფრო დამახასიათებელი წარმომადგენელია, — გაბატონებულ კლასების, ე. ი. კაპიტალისტების და მიწისმფლობელთა ინტერესების პირდაპირ და აშკარა დაცვას დაადგა. მეორე მიმდინარეობა ინგლისის პოლიტიკური ეკონომიისა ჯონ სტ. მილლის მეთაურობით შეეცადა შეურიგებელის შერიგებას და შეუთანხმებელის შეთანხმებას, ე. ი. კაპიტალის და შრომის ინტერესების შერიგებას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ერთიც და მეორე მიმდინარეობაც ყოვლად უნაყოფო გამოდგა. ეს იყო მეორე ხანა.

მესამე ხანაში ჩვენ ვხედავთ, ერთი მხრით მუშათა მოძრაობის გაძლიერებას ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით საფრანგეთში და ინგლისში, მეორე მხრით, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ სოციალისტური კრიტიკის შეუბრალებელ გალაშქრებას. უნდა შევნიშნოთ, რომ კაპიტალისტური წარმოება ძველი პატრიარქალური წარმოების დარღვევით და ფართო მასსის გალატაკებით უკვე დიდი ხანია ლრტვინვას და საჩივარს იწვევდა სხვადასხვა მხრიდან. საკმარისია გავიხსენოთ თუნდ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის მწერალი სისმონდი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სისმონდი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ახალი წარმოების მთელ სისტემას, იგი იხედებოდა უკან და არა წინ. ხსნას იგი ელოდებოდა არა კაპიტალისტური წარმოების მომავალი განვითარებისაგან, არამედ ხელოსნური წარმოების და წვრილ მიწის მშრომელთა კლასის აღდგენისაგან.

სულ სხვა ხასიათის იყო სოციალისტური კრიტიკა. უკვე მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლების დასაწყისში ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მოაზროვნეთა, მარქსის და ენგელსის მიერ დაწყებულ იქნა ეს ნაყოფიერი კრიტიკა: ენგელსმა პირველმა გაილაშქრა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ თავისი წერილით: „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ნაწყვეტები“, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1844 წელს და შემდეგ გამოკვლევით: „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავის მნიშვნელობა. მარქსი შეუდგა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკას პრუდონის [28]) წინააღმდეგ გალაშქრებით: „ფილოსოფიის სიღატაკეში“, შემდეგ წვრილ სტატიების მთელი რიგით („კაპიტალი და საქირაო შრომა“, „სიტყვა თავისუფალ ვაჭრობის შესახებ“ *) და სხვ.). მაგრამ მარქს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული თავისი შეხედულების შემუშავება, მით უმეტეს, რომ იმ ხანებში (1848—9 წ.წ.) უმთავრესი მ

ყურადღება მიპყრობილი იყო იმ რევოლიუციონურ მოძრაობისაკენ, რომელიც იმ დროს ევროპის სახელმწიფოებს მოედვა და რომელშიაც თვით მარქსი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მხოლოთ 1859 წელს გამოაქვეყნა მან თავისი ცნობილი „Zur kritik der politischen Oeconomie“ („პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესახებ“), რომლითაც მთელ საზოგადოებრივ მეცნიერებაში საერთოდ და პოლიტიკურ ეკონომიაში კერძოდ იწყება სრულიად ახალი ხანა. საბოლოოთ დამთავრებულ იქნა მარქსის მსოფლმხედველობის შემუშავება — „კაპიტალის“ პირველი ტომის გამოქვეყნებით 1867 წ. ამ ნაწარმოებში მარქსის მსოფლმხედველობამ მიიღო საბოლოო გამოხატულება და ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკაც შესრულებულ იქნა. ამ კრიტიკიდან ისე, როგორც საერთოთ მარქსის მთელი მოძღვრებიდან, გამომდინარეობს ის შეურყეველი დასკვნა, რომ კაპიტალისტური წარმოება, რომელიც დაყრდნობილია, ერთი მხრით, საქირაო შრომაზე და, მეორე მხრით, საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრებაზე, უნდა შეცვლილ იქნას კოლექტიური წარმოებით, როცა საქირაო

*) არის ქართული თარგმანები.

შრომას ადგილი აღარ ექნება და წარმოების საშუალებანი მთელი საზოგადოების კუთვნილება იქნება. მარქსის თვითოეული მოსაზრება ისე, როგორც მთელი მისი თეორია, ყველა მის მიერ წამოყენებული საბუთები და არგუმენტები დამყარებულია გასაოცარ, სასტიკ ლოღიკურ თანდათანობაზე და შეურყეველ ფაქტებზე.

მარქსის მოღვაწეობამ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას სამუდამოთ აუგო წესი; იგი უკვე მოკვდა. რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მესვეურნი დიდ ხანს ვერ ურიგდებოდენ ასეთ ხვედრს, და როგორც თვითონ მარქსი ამბობს, მას დიდი ხნის განმავლობაში ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული ყველა იმათგან, ვინც თავისი სოციალური მდგომარეობით თუ დამოკიდებულებით მოწოდებული იყო დაეცვა არსებული საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობანი გაბატონებულ კლასების სასარგებლოდ. მაგრამ დიდხანს ესეც შეუძლებელი იყო, და ბოლოს მარქსის ეკონომიურმა მოძღვრებამ თანამედროვე ეკონომიურ მეცნიერებაში თავისი შესაფერი ადგილი დაიკავა. ეს მოძღვრება გარდაიქცა ერთათ-ერთ უდიდესი მოძრაობის — თანამედროვე პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობის — ქვა-კუთხედათ.

როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, პოლიტიკური ეკონომიის გაღმონერგვა ქართულ ნიადაგზე მოხდა სულ უკანასკნელ ხანებში, მუშათა მოძრაობის დაწყებისთანავე ჩვენში, ე. ი. იმ დროს, როცა თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის განვითარება უკვე მესამე ხანში იყო გადასული. ამიტომ თავის-თავათ იგულისხმება, რამდენათაც ჩვენში ხდებოდა და ხდება პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების გადმონერგვა, იმდენათ ეს ხდებოდა და ხდება დღესაც პირდაპირ მარქსის შეხედულებათა ზეგავლენით; აქ ადგილი აღარ აქვს არც ძველ კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას, როგორც ეს გვიანდერძა ადამ სმიტმა და რიკარდომ, და არც მით უმეტეს ვულგარულ ეკონომიას. თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ ყველაზე უფრო ნაკლებათ უნდა შევიწუხოთ ამაზე თავი. თუ ჩვენ ვწუხვართ, — ეს მხოლოთ იმის შესახებ, რომ აქამდის ამ მხრით მეტად ცოტაა გაკეთებული. თვით მარქსის უმთავრეს თხზულებებს რომ თავი დავანებოთ, ქართულ ენაზე დღემდის არ არსებობს ისეთი სახელმძღვანელო წიგნი, რომლის შემწეობით შესაძლებელი იყოს პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლიანად შესწავლა.

როგორც ზევითაც ვამბობდით, ბოგდანოვის წიგნის გამოცემა ამ ნაკლს თავიდან გვაშორებს. მაგრამ, მეორე მხრით, აუცილებლად საჭირო ხდება დაუპოვნებლივ, თუ მარქსის კაპიტალურ ნაწარმოებთა თარგმნა არა, იმათი დაახლოებით გადმოცემა მაინც შემოკლებით და ადვილი ენით. სწორეთ აი ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს კარლ კაუცკის [20]) წიგნი, რომლის თარგმანს ჩვენ ახლა ვაწვდით ქართველ მკითხველებს.

კაუცკის შესახებ დღეს ორი აზრი შეუძლებელია, არა მარტო მის მომხრეებში, არამედ მის მოწინააღმდეგებშიაც კი. როგორც თეორეტიკოსს, რომელიც ხსნის. არკვევს და წინ სწევს მეცნიერულ სოციალიზმს და რომელიც იმავე დროს ფხიზლად დარაჯობს მარქს-ენგელსის მიერ შექმნილ და ნაანდერძევ საუნჯეს, მას ბადალი არა ჰყავს. ამიტომ თავის-თავად იგულისხმება, რომ კაუცკის მიერ გადმოცემული მარქსის ეკონომიური მოძღვრება საუკეთესოდ უნდა ჩაი-

თვალოს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა, თუ თვით კაუცკი როგორ უყურებს ამ საგანს. წინასიტყვაობაში, რომელიც მან წაუმძღვარა „მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას", იგი ამბობს: „გერმანულ ლიტერატურაში დღემდის *) არ არის ისეთი თხზულება, რომელიც შემოკლებით გადმოგვცემდეს მარქსის მთელ ეკონომიურ მოძღვრებას, ყველასათვის მისაწდომ და გასაგები ენით. ასეთი ცდა რამდენჯერ იყო, მაგრამ ამას ყოველთვის ნაწყვეტ-ნაწყვეტების ხასიათი ქონდა. ამ თხზულების მიზანს შეადგენს — შეავსოს არსებული ნაკლი ან ხელი შეუწყოს ამ ნაკლის თავიდან მოშორებას მაინც... იგი, თავისთავად იგულისხმება, დამყარებულია მარქსის უმთავრეს თხზულებაზე — „კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე" და მისდევს მას მასალის დაწყობაში. მარქსის სხვა ეკონომიური ნაწილები გამოყენებულ იქნენ აქ მხოლოთ ნაწილობრივ, უფრო ძნელი ადგილების გასაგებად ან იმის განსამარტებლად, რაც „კაპიტალშია"...

ამ წიგნის უმთავრესი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გავაცნოთ „კაპიტალის" აზრთა მიმდინარეობას ისინი, ვისაც დრო ან შეძლება არა აქვს თვითონ შეისწავლოს ეს ნაწარმოები. მაგრამ გარდა ამისა, ავტორი იმედოვნებს, რომ მისი წიგნი „კაპიტალის" შესწავლას გაუადვილებს ყველა იმათ, ვისაც „კაპიტალი" აქვთ, და აგრეთვე გაუღვიძებს სურვილს გაეცნონ მარქსის მოძღვრებას თვით დედანში იმათაც, ვისაც მაზე ცრუ წარმოდგენა აქვს, ან ვისაც აშინებს შესწავლის დროს პირველი თავის სიძნელე"...

გარდა ამისა, იმის გასაგებათ, თუ როგორ უყურებს კაუცკი თავის დანიშნულებას მარქსის ეკონომიური მოძღვრების გადმოცემაში, მოვიყვანოთ აქ მისი შემდეგი სიტყვები: „მარქსის „კაპიტალის" გაგება, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ფორმით იძლევა მთელი ახალი ისტორიული და ეკონომიური სისტემის დასაბუთებას, გულისხმობს არა მარტო განსაზღვრულ ისტორიულ ,ეოდნას, არამედ იმ ფაქტების ცოდნასაც, რომლებსაც გვაწვდის ჩვენ სხვილი მრეწველობის განვითარების ისტორია.

„ვინც არ იცნობს, რამდენიმეთ მაინც, იმ ფაქტებს, რომლებიდანაც მარქსს გამოყავს თავისი ეკონომიური კანონები, იმისთვის ამ კანონების მნიშვნელობა გაუგებარი დარჩება... იმას ვერაფერს უშველის უადვილესი გადმოცემაც კი... ჩვენი შეხედულებით, ეს ყველაზე უფრო სახიფათო გზაა „კაპიტალის" პოპულიარიზაციის ყოველგვარი ცდისათვის. მარქსი სწერდა ისე გასაგებად, პოპულიარულად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. სადაც მისი გაგება ძნელია, ამის მიზეზი მისი ენა კი არ არის, არამედ თვით საგანი და მკითხველი. ამ ძნელათ გასაგები ენის უფრო ადვილი ენაზე გადაღება შესაძლებელია მხოლოთ თვით გადაცემის სისწორის საზიანოდ. პოპულიარიზაცია დაუკარგავს მას მის ნამდვილ სახეს...

„გრძნობდა რა ამას, ავტორს თავის მიზნათ არ დაუსახავს მხოლოთ ენის უბრალო შეცვლა. მარქსი, როგორც ვთქვით, სწერდა ისე პოპულიარულად და ისე მოკლეთ და ნათლად, რომ მისი სიტყვების ყოველგვარი გამოცელა უნდა მოხ-

*) ეს სიტყვები ეკუთვნის 1886 წელს, მაგრამ მათ დღემდის შეინარჩუნეს თავის მნიშვნელობა გერმანულ ლიტერატურაშიაც.

დეს მხოლოთ იმათი სისწორით გადმოცემის საზიანოდ. ამიტომ ავტორს მარქსის თხზულებიდან მთელი ადგილები სიტყვა-სიტყვით აქვს მოყვანილი. ისინი ფრჩხილებშია ჩასმული, და თუ ნაჩვენები არ არის ადგილი, ამოღებულია „კაპიტალიდან“. ერთი მხრით ავტორის დანიშნულება მდგომარეობდა იმაშიაც, რომ მკითხველის ყურადღება მიექცია იმ ფაქტებზე, რომლებიც საფუძვლათ უდევს თეორეტიულ დასკვნებს. ეს განსაკუთრებით საჭირო იყო პირველ განყოფილებაში. მარქსი, უმეტეს ნაწილად თვითონ გვითითებს ამ ფაქტებზე, მაგრამ ხშირათ მხოლოდ გაკვრით, რასაც ჩვეულებრივად ყურადღებას არ აქცევენ. ზოგ ალაგას კი ავტორი იძულებული იყო თვითონ მოეყვანა ეს ფაქტი თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ; ასეთი მაგალითები არის პირველი თავის პირველ პარაგრაფში“...

დასასრულ, ამ წიგნის დასახასიათებლათ კაუცკი კიდევ აი რას ამბობს: „ამ წიგნის მიზანს შეადგენს არა მარტო ის, რომ მან გადმოგვეცეს მარქსის მოძღვრება, არამედ ისიც, რომ იგი შეიქნეს მარქსის ნაწარმოებთა დედანში შესწავლის სახელმძღვანელოთ. ამიტომ ავტორმა საჭიროთ დაინახა ის ადგილები, რომლებზედაც აქამდის, მისი აზრით, მეტად ნაკლები ყურადღება იყო მიქცეული, ან რომელთაც ადვილათ შეეძლოთ ეჭვის გამოწვევა, გადმოეცა უფრო დაწვრილებით, ვიდრე ამას თხოულობდა იმათი თეორეტიული მნიშვნელობა. პირიქით, ავტორმა დაინახა შესაძლებლად. სხვა ადგილები გადმოეცა უფრო მოკლეთ, თუ ისინი საკმარისად ცნობილი და საყოველთაოდ მიღებულია და ეჭვის გამოწვევა არ შეუძლიათ. რათა წიგნის პრაქტიკული მნიშვნელობა გაგვედიდებია, ფაქტიური პირობების გადმოცემა, როგორც საფაბრიკო კანონმდებლობის განხილვა, გაგრძელებულ იქნა იმ ხანას შემდეგ, რომელიც განხილულ იქნა მარქსის მიერ, და მოყვანილია უკანასკნელ დრომდე“. (წინას. პირ. გამ.).

ზევით მოყვანილ ამონაწერებიდან აშკარად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კაუცკის წიგნს და ისიც, თუ რა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მისი გამოცემა ქართულ ენაზე. თარგმანის ზოგიერთ ტეხნიკურ მხარეებზე რამდენიმე სიტყვას ვიტყვით წინასიტყვაობის ბოლოს, აქ კი მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებაზე.

მარქსის ეკონომიური და სოციოლოგიური მოძღვრება შეადგენს ერთ განუყოფელ მთელს, თუმცა ძლიერ ხშირად მას ცალ-ცალკე იხილავენ, ერთიერთმანეთს აშორებენ. კიდევ უფრო სამწუხარო აქ ის არის, რომ მკვლევართა და მეცნიერთა ერთი ნაწილი ღებულობს მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას, და ისიც სანახევროდ, მაგალ., ღირებულების თეორიას, და იმავე დროს უარყოფს ყველა იმ ლოლიკურ დასკვნებს, რომლებიც აქედან გამომდინარეობენ; მკვლევართა მეორე ნაწილი სამაგიეროთ სრულებით უარყოფს მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას და მის (მარქსის) მნიშვნელობას ჰხედავს მხოლოდ ისტორიული მატერიალიზმის თეორიის დადგინებაში. ასეთი არევ-დარევა მოწმობს მხოლოდ თვით მკვლევართა აზრების და შეხედულებათა არევ-დარევას და რყევას. მარქ-

სის მთელი მოძღვრება შეიცავს, როგორც ვთქვით, ერთ განუყოფელ მთელს, და ეს მთელი წარმოადგენს მეცნიერულ სოციალიზმს, რომელიც ემყარება, ერთი მხრით, დიალექტიურ მატერიალიზმზე და, მეორე მხრით, კლასობრივ ბრძოლაზე. ყველა ამაების შესახებ ბევრი დაწერილა, ბევრი თქმულა და ჩვენ აქ სრულებით არ ვფიქრობთ მის გარჩევას. ჩვენ აქ უწინარეს ყოვლისა მოვიყვანთ მხოლოდ ისტორიული მატერიალიზმის თეორიის იმ დახასიათებას, რომელიც მოგვცა თვით მარქსმა და შემდეგ ერთი რუსი მწერლის სიტყვებს ამის შესახებ, რომლებიც წარმოთქმულ იქნენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მესამოცდაათე წლებში.

თავის „Zur kritik der politischen Oeconomie"-ის შესავალში მარქსი ასე გვიხატავს თავის ისტორიულ და ეკონომიურ გამოკვლევათა საერთო დასკვნას, რომელიც მისთვის შეადგენდა აგრეთვე გზის მაჩვენებელ წერტილს მომავალ გამოკვლევათათვის: „ადამიანები თავის საზოგადოებრივ ცხოვრების მოწყობაში ადგენენ განსაზღვრულ, აუცილებელ, იმათ ნება-სურვილისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობათ, საწარმოო ურთიერთობათ, რომლებიც შეეფერებიან იმათ ნივთიერ საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს. ამ საწარმოო ურთიერთობათა მთელი ჯამი შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ შენობას, რეალურ (ნამდვილ) საფუძველს, რომელზედაც ეყრდნობიან იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენნი და რომელთაც შეეფერებიან საზოგადოებრივი ცნობიერების სრულიად განსაზღვრული ფორმები. ნივთიერი ცხოვრების საწარმოო წესი განსაზღვრავს სოციალურ, პოლიტიკურ და საერთოთ სულიერ პროცესს. ადამიანის შეგნება კი არ განსაზღვრავს მის არსებობას, არამედ, პირიქით, საზოგადოებრივი არსებობა განსაზღვრავს მის (ადამიანის) შეგნებას. საზოგადოების ნივთიერი საწარმოო ძალები თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ეჯახებიან არსებულ საწარმოო ურთიერთობათ, ან, რაც შეადგენს მხოლოდ ერთ და იმავეს, იურიდიულ გამოსახვას, — საკუთრების ფორმებს, რომელთა გულში ისინი აქამდის ტრიალებდენ. ეს ურთიერთობანი საწარმოო ძალთა პროგრესიული განვითარების ფორმებიდან გარდაიქცევიან იმათ მუხრუჭებათ. მაშინ დგება სოციალური რევოლიუციის ხანა. ეკონომიური საფუძვლის გამოცვლასთან ერთად იცვლება, მეტი თუ ნაკლები სიჩქარით, მთელი ეს უზარმაზარი ზედნაშენი. ასეთ რევოლიუციების განხილვის დროს საჭიროა ყოველთვის გამოვყოთ ნივთიერი (მატერიალური) ცვლილება ეკონომიურ საწარმოო ურთიერთობებში, რომლის დადგენა სისწორით შეიძლება წმინდა მეცნიერული გზით, იმ იურიდიულ, პოლიტიკურ, რელიგიურ, ხელოვნურ ანუ ფილოსოფიურ და საერთოდ იდეოლოგიურ ფორმებიდან, რომელშიაც ადამიანები შეიგნებენ ამ კონფლიკტს (შეჯახებას) და ებრძვიან მას... არავითარ საზოგადოებრივ ფორმაციას არ ძალუძს გაჰქრეს მანამ, სანამ არ განვითარდებიან ყველა ის საზოგადოებრივი ძალები, რომლებისთვისაც ის საკმარისად ფართეა, და არასოდეს ახალი უმაღლესი საწარმოო ურთიერთობანი არ ჩნდებიან მანამ, სანამ თვით ძველი საზოგადოების გულში არ წარმოიშვებიან ნივთიერი პირობები იმათი არსებობისთვის. ამიტომ კაცობრიობა ყოველთვის ისეთ მიზნებს აყენებს,

რომლების განხორციელება მას ძალუძს, ვინაიდან, ვუკვირდებით რა საქმეს ახლო, ჩვენ ყოველთვის ვრწმუნდებით იმაში, რომ თვით მიზანი ჩნდება მხოლოთ მაშინ, როცა უკვე არსებობენ, ან ჩნდებიან მაინც ნივთიერი პირობები იმის გადასაწყვეტათ. როგორც პროგრესიული ეპოქები ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციისა შესაძლებელია საზოგადოთ აღნიშნულ იქნან: აზიური, ძველი ბერძნული (ანტიური), ფეოდალური და თანამედროვე ბურჟუაზიული წესები წარმოებისა. ბურჟუაზიული საწარმოვო ურთიერთობანი შეადგენენ საზოგადოებრივ საწარმოვო პროცესის უკანასკნელ ანტაგონისტურ ფორმას; თავისთავათ იგულისხმება, ანტაგონისტურს არა კერძო ანტაგონიზმის მნიშვნელობით; მაგრამ ის საწარმოვო ძალები, რომლებიც ვითარდებიან ბურჟუაზიული საზოგადოების გულში, ქმნიან ამასთანავე ნივთიერ პირობებს ამ ანტაგონიზმის თავიდან ასაშორებლათ. ამიტომ ამ საზოგადოებრივ ფორმასთან ერთათ თავდება ადამიანთა საზოგადოების წინა ისტორია".

ამ სიტყვებში მოკლეთ, მაგრამ გამოკვეთილათ და ნათლათ გამოთქმულია უდიდესი ჭეშმარიტება, უღრმესი ახსნა კაცობრიობის ისტორიული განვითარებისა. ამ ახსნის თვალთახედვის წერტილიდან აუარაცხელი შემთხვევითი, ერთი მეორისაგან დამოკიდებული ფაქტები და გარემოებანი ხდებიან აუცილებელნი, ლოლიკური თანდათანობით ურთიერთ შორის შეკავშირებულნი და ერთი-ერთმანეთზე გადაბმულნი კაცობრიობის ისტორიის გრძელ განვითარების გზაზე. ის, რის ახსნა-განმარტებას ორი ათასი წლის განმავლობაში ამაოთ ცდილობდენ გენიოსი პირები, რაც მათთვის გაუგებარი და მიუწდომელი იყო, მარქსმა შეძლო ამ ნახევარი საუკუნის წინათ. რა თქმა უნდა, ამ დიად საკითხის გადაჭრისათვის საკმარისი არ იყო მარტო გენიოსური ნიჭი და ღრმა ცოდნა, რომლითაც მარქსი, ყოველ ეჭვს გარეშე, აღჭურვილი იყო. ამისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, ერთი მხრით, განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობების წარმოშობა კაპიტალისტურ ურთიერთობათა ფორმაში, რაც კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას მოასწავებდა და, მეორე მხრით, ძველი ფილოსოფიის მიერ უკანასკნელ წერტილის მიხწევა.

უდიდესი იარაღი, რომლითაც მარქსი ყველა თავის გამოკვლევებში სარგებლობდა, მდგომარეობდა დიალექტიურ მეთოდში. ეს უკანასკნელი პირველათ მარქსს არ აღმოუჩენია; იგი ცნობილი იყო დიდი ხნიდან მის წინათ, და ცნობილმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა ამ მეთოდს მისცა თითქმის დამთავრებული ფორმა. კვლევა-ძიების ამ შემუშავებული და მზამზარეული ფორმით, როგორც იარაღით, მარქსმა ისარგებლა, ე. ი. გამოიყენა იგი თავის გამოკვლევებში. მაგრამ როგორც თვით მარქსი ამბობს, „მისი დიალექტიური მეთოდი თავის საფუძველში არა თუ განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ თითქმის შეადგენს მის პირდაპირ წინააღმდეგობას. ჰეგელისთვის აზრის პროცესი, რომელსაც იგი, იდეიის სახელით, აქცევს თითქმის რაღაც დამოუკიდებლათ, სინამდვილის შემქმნელათ (დემიურგათ), რომელიც (სინამდვილე) წარმოადგენს მხოლოდ აზრის პროცესის გარეგან გამოხატულებას. ჩემთვის კი იდეალური დასაწყისი შეადგენს, პირიქით, მხოლოთ ადამიანის ტვინში გატარებულ ნივთიერ დასაწყისს".

როგორც ზევითაც შევნიშნეთ, ერთი ადრინდელი დაფასებათაგანი *), რო-
გორც მარქსის დიალექტიური მეთოდისა, ისე მისი ისტორიული მატერიალიზმის
თეორიისა, მოგვცა ერთმა რუსის მწერალმა „კაპიტალის“ პირველი ტომის რუ-
სული თარგმნის გამოცემის გამო ამ ორმოცი წლის წინათ. აი, სხვათაშორის,
რას ამბობს იგი: „მარქსისთვის საყურადღებო მხოლოდ ერთი რამ არის: იმ მოვ-
ლენათა კანონის აღმოჩენა, რომლებსაც იგი იკვლევს. და ამასთანავე მისთვის
ყურადღების ღირსია არა მარტო ის კანონი, რომელსაც ეს მოვლენანი ემორჩი-
ლებიან, სანამ ამ უკანასკნელთ განსაზღვრული ფორმა აქვთ და სანამ ისინი იმ
ურთიერთობაში იმყოფებიან, რომელსაც ჩვენ განსაზღვრულ დროს ვხედავთ.
მისთვის, გარდა ამისა, საყურადღებოა კანონი მოვლენათა ცვალებადო-
ბისა, იმათი განვითარებისა, ე. ი. გარდასვლისა ერთი ფორმიდან მეორეში,
ერთგვარი ურთიერთობიდან მეორეში. რაკი ერთხელ მან აღმოაჩინა ეს კანონი,
იგი დაწვრილებით იხილავს იმ შედეგებს, რომლებშიაც კანონი ჩნდება საზო-
გადოებრივ ცხოვრებაში. თანახმად ამისა, მარქსის საზრუნავ საგანს შეადგენს
ძხოლოდ ერთი რამ: სწორი მეცნიერული გამოკვლევით დაამტკიცოს საზოგა-
დოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრული წესწყობილების აუცილებლობა და
რაც შეიძლება სინიდისიერათ დაადგინოს ის ფაქტები, რომლებიც გახდენ მის
გამოსავალ წერტილათ და ნავთსაყუდელათ. მისთვის სრულებით საკმარისია,
თუ მან, დაამტკიცა რა თანამედროვე წესწყობილების აუცილებლობა, ამითი
დაამტკიცა მეორე წესწყობილების აუცილებლობაც, რომელზედაც უეჭველად
უნდა გადავიდეთ, მიუხედავად იმისა, ფიქრობენ ამაზე თუ არ ფიქრობენ, იგნე-
ბენ ამას თუ არ იგნებენ. მარქსი იხილავს საზოგადოებრივ მოძრაობას, როგორც
ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, რომელსაც მართავენ კანონები, რომლებიც არა
თუ არ არიან დამოკიდებულნი ადამიანის ნებაზე, შეგნებაზე და სურვილებზე,
არამედ რომლებიც თვითონ განსაზღვრავენ მის ნებას, შეგნებას და სურვილებს...
მარქსი ეკონომიური ცხოვრების საერთო კანონებს არა სცნობს: ასეთი კანო-
ნები არც კი არსებობენ. მისი შეხედულებით, პირიქით, თითოეულ ისტორიულ
ხანას აქვს თავისი კანონები. მაგრამ, როგორც კი ცხოვრებამ განვლო განვითა-
რების განსაზღვრული საფეხური და გადავიდა მეორეში, მათ მართავენ უკვე
სხვა კანონები... მოვლენათა უფრო ღრმა ანალიზმა დაგვანახა, რომ საზოგა-
დოებრივი ორგანიზმები განირჩევიან ერთმეორისაგან არა უფრო ნაკლებათ,
ვიდრე ბოტანიკური ან ზოოლოგიური ორგანიზმები... დაისახა რა თავის მიზ-
ნათ წარმოების კაპიტალისტური წესწყობილების გამოკვლევა და ახსნა, მარქსმა
მხოლოთ წმინდა მეცნიერულათ გამოსახა ის მიზანი, რომელიც შეუძლია ჰქონ-
დეს ეკონომიური ცხოვრების ზედმიწევნით გამოკვლევას... მისი (მარქსის) მეც-
ნიერული მიზანი მდგომარეობს იმ კერძო კანონების გარკვევაში, რომელთაც
ემორჩილება წარმოშობა, არსებობა, განვითარება, სიკვდილი ამა თუ იმ საზო-
გადოებრივი ორგანიზმისა და მისი შეცვლა მეორე, უმაღლესი, ორგანიზმით“ *).

*) იხ. „კაპიტალის“ მეორე გამოც. წინასიტყვაობა, გვ. XIII — XV.

*) ეს დაფასება მოთავსებული იყო ჟურნ. „Вестник Европы“-ში 1872 წ. და ეკუთვნოდა
საკმარისათ ცნობილ ეკონომისტს და სტატისტიკოსს ილ. კაუფმანს.

ამნაირათ, მარქსის ზეგავლენით შეხედულება კაკობრიობის წარსულ ცხოვრებაზე, აწმყოზე და მომავალზე ძირიანათ შეიცვალა. ეს იყო უუდიდესი ნაბიჯის გადადგმა ისტორიულ მეცნიერებაში. ისტორიული ცხოვრების განვითარების კანონები აღმოჩენილ იქნენ; ამის შემდეგ ისტორია აღარ წარმოადგენდა ისტორიულ ფაქტების და შემთხვევების გროვას უსისტემოთ, უგეგმოთ. ახლა ჩვენ ვიცით, მარქსის მეოხებით, თუ რა შეადგენს ისტორიული ცხოვრების გამოსავალ წერტილს და ამ ცხოვრების მამოძრავებელ ძალებს; უკანასკნელ ანგარიშში ეს არის არსებობის ნივთიერი პირობები, ან უფრო სისწორით რომ ვსთქვათ, საწარმოო ძალთა განვითარება. მაგრამ ეს კიდევ არ იყო საკმარისი კაკობრიობის მთელი წარსული ისტორიის ასახსნელათ. საჭირო იყო იმ ღერძის აღმოჩენა, რომლის გარშემო ისტორია ტრიალებს. ასეთი ღერძი ნაპოვნი იქნა კლასობრივ ბრძოლაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ კლასობრივი ბრძოლის იდეა უკვე მარქსამდე იყო ცნობილი. ბურჟუაზიული ისტორიკოსები მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როგორც, მაგ., ოგუსტინ ტიერი, მინიე, გიზო და სხვ. თავის ისტორიულ ნაწარმოებში გადაჭრით აღიარებენ კლასობრივ ბრძოლას. განსაკუთრებით იდგენ ისინი კლასობრივი ბრძოლის პრინციპზე მაშინ, როცა არკვევდენ ბურჟუაზიის ისტორიას, მის ბრძოლას ფეოდალური წესწყობილების წინააღმდეგ, ბურჟუაზიის თანდათან აღორძინებას და მის სრულ გამარჯვებას ფეოდალიზმზე. გამოჩენილი ბურჟუაზიული მწერლები, რა თქმა უნდა, არც ისე ბეცი იყვენ, რომ კლასობრივი ბრძოლა ვერ შეემჩნიათ წარსულში, განსაკუთრებით მაშინ, როცა იმათი წინაპრები ასეთი ჭაპანწყვეტით ეწეოდენ ამ ბრძოლას თავაშვებულ ფეოდალების და თვითმპყრობელ მეფეების წინააღმდეგ. მაგრამ იგივე მეცნიერები მთელი თავისი ენერგიით უარყოფდენ კლასობრივ ბრძოლას მაშინ, როცა ბურჟუაზიამ უკვე მოიპოვა ძალა-უფლება და საკუთრებით გაბატონდა. განსხვავება იმაში იყო, რომ წინათ ბურჟუაზია იბრძოდა თავისი ინტერესების სასარგებლოთ ფეოდალური წესწყობილების წინააღმდეგ, და ეხლა ი პროლეტარიატი — ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამიტომ ბურჟუაზიული მწერლების შეხედულებით კლასობრივი ბრძოლა კარგი იყო მაშინ, როცა ბურჟუაზია იბრძოდა ფეოდალების ბატონობის წინააღმდეგ, მაგრამ იგი დასაგმობია მაშინ, როცა ბურჟუაზიის წინააღმდეგ იბრძვის პროლეტარიატი. ასე ესმოდათ კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიულ მწერლებს. სულ სხვანაირად წარმოგვიდგება კლასობრივი ბრძოლა მარქსის განმარტებით. მისი შეხედულებით კლასობრივი ბრძოლა წითელი ზოლივით გაივლის კაკობრიობის მთელ ისტორიაში, და ამასთანავე ეს ბრძოლა, რაც დრო გადის, მით უფრო მწვავე, აშკარა და შეგნებული ხდება. კლასობრივ ბრძოლას არ განიცდიდა მხოლოდ პირველყოფილი საზოგადოება, რომელიც ცხოვრობდა საგვარეულო წესწყობილებაში, სადაც კლასებს ადგილი არ ჰქონდათ. მაგრამ რამდენად საზოგადოება იყოფება სხვადასხვა ჯგუფებათ, წოდებებათ თუ კლასებათ, იმდენად ვითარდებოდა და იზრდებოდა ეს ბრძოლა, კლასობრივი ბრძოლა ხდებოდა და ხდება ეკონომიურ ინტერესების გარშემო; პოლიტიკური ბატონობა წარმოადგენს ერთად-ერთ საიმედო საშუალებას ეკონომიური ბატონობისათვის. მარქსი თავის სხვადასხვა ნაწერებში დაწერილებით გვიხატავს ჩვენ, თუ თანამედროვე პროლეტარიატი, ყველაზე უფრო დაჩაგ-

რული და შეეიწრო

რებიან მასზე, ე. ი. უფრო სისწორით რომ ვსთქვათ, ანვითარებენ იმას, რასაც პირველი ტომი შეიცავს. პირველი ტომი იხილავს კაპიტალისტური წარმოების პროცესს, იმას, თუ რამ გამოიწვია წარმოების ეს ფორმა, რაზე ემყარება იგი, რაში მდგომარეობს და რა კანონებს ემორჩილება მისი განვითარება. მეორე ტომში განხილულია კაპიტალის ტრიალის პროცესი; მესამეში — კაპიტალისტური წარმოების მთელი პროცესის სხვადასხვა ფორმები (კაპიტალისტური წარმოების პროცესი აღებული მთლად).

პირველი ტომის პირველი თავი იწყება ყველაზე უფრო უძნელესი ცნების განმარტვით — საქონლის ანალიზით. „იმ საზოგადოების სიმდიდრე, რომელშიაც გაბატონებულია წარმოების კაპიტალისტური წესი, წარმოგვიდგება როგორც საქონლის გროვა, კერძო საქონელი კი შეადგენს ამ სიმდიდრის უჯრედს". ამიტომ მარქსი იწყებს საქონლის ანალიზიდან. ვინ წარმოიდგენდა, რომ საქონელი, — ეს ყველასათვის ცნობილი და ადვილი გასაგები საგანი, რომლის გამოცნობა ყველა შტერ და ჭკუა-მოკლე ადამიანსაც კი შეუძლია, რომლის ღირსება-ნაკლულევანებაზე მსჯელობდა დიდი და პატარა, ნასწავლი თუ უსწავლელი, — აი ეს საქონელი წარმოადგენს მეტათ გაუგებარ ცნებას, რომელიც, მარქსის სიტყვით, საესეა ათასნაირი საკვირველებით. საქონელი წარმოადგენს, ერთი მხრით, სახმარ ღირებულებას, ე. ი. ისეთ ნივთს, საგანს, რომელიც ადამიანის განსაზღვრულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მეორე მხრით — საცვლელ ღირებულებას, ე. ი. ისეთ საგანს, რომლის გაცვლა შესაძლებელია მეორე საგანზე.

ამნაირათ საქონელი წარმოადგენს სახმარ და საცვლელ ღირებულებათა ერთიანობას; საქონლის ეს ორგვარი ხასიათი მიმდინარეობს თვით ადამიანის შრომის ორგვარიანობისაგან, — ერთი მხრით, პირდაპირ სასარგებლო, კონკრეტიული შრომა, როგორც, მაგ., მჭედლის, დურგლის, მეწაღის,—და მეორე მხრით — როგორც ადამიანის საყოველთაო, აბსტრაქტიული, განყენებული შრომა, ე. ი. ადამიანის ნერვების, ტვინის და საზოგადოთ სამუშაო ძალის დახარჯვა. ამნაირათ ირკვევა განსხვავება სახმარ და საცვლელ ღირებულებათა შორის. აქედან გამოდის ის დასკვნა, რომ საზოგადოებრივათ აუცილებელი საშუალო შრომა შეადგენს საცვლელი ღირებულების არსებობას: მაშასადამე, ღირებულების სიდიდე განისაზღვრება საზოგადოებრივათ აუცილებელი სამუშაო დროის რაოდენობით, რომელიც განსაზღვრულ პირობებში, განსაზღვრულ ალაგას და დროს საჭიროა რომელიმე საგნის ანუ სახმარი ღირებულების გასაკეთებლათ.

ვინაიდან საქონელი წარმოადგენს საცვლელ ღირებულებას, ე. ი. ადამიანის შრომის ისეთ ნაწარმოებს, რომელიც დანიშნულია სხვა ნაწარმოებზე გასაცვლელათ, და ვინაიდან დროთა-ვითარების განმავლობაში, საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად, ადამიანის შრომის ნაწარმოებთა სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი ღებულობს საქონლის სახეს, ამიტომ საქონლის წარმოების განვითარებისთანავე ჩნდება ფულის საჭიროების აუცილებლობა, ე. ი. ისეთი საქონლის, რომლის გაცვლა სხვა საქონელზე დაუბრკოლებლათ ხდება ყველგან და ყოველ დროს. აქედან ავტორი გადადის კაპიტალზე; იგი იკვლევს, თუ ფული რა პირობებში და რისთვის იქცევა კაპიტალად. აქ პირველ რიგზე წამოყენებულია ზედმეტი ღირებულების წყარო. სამუშაო ძალის, როგორც სა-

ქონლის, გამოტანა ბაზარზე გასაყიდათ,—ეი სად უნდა მოეძებნოთ ზედმეტი ღირებულების წყარო. ამის დასაბუთება შეადგენს „კაპიტალის“ საუკეთესო ადგილს. მარქსი არჩევს ორგვარ ზედმეტ ღირებულებას: 1) იმათ, რომელიც წარმოსდგება სამუშაო დღის გაგრძელებით, იგი უწოდებს ა ბ ს ო ლ ი უ ტ უ რ ზედმეტ ღირებულებას და 2) იმ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც წარმოდგება აუცილებელი სამუშაო დროის შემოკლებით, ე. ი. იმ დროს, რომლის განმავლობაში მზადდება სამუშაო ძალის თანაბარი ღირებულება და სამუშაო დღის ორივე შემადგენელი ნაწილების ურთიერთ ცვლილების გამო, იგი უწოდებს შ ე დ ა რ ე ბ ი თ ზედმეტ ღირებულებას. როგორც აბსოლიუტური, ისე შედარებით ზედმეტი ღირებულების სიდიდის გამო კაპიტალისტებისა და მუშებს ი რის სდება შეუწყვეტელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რასაც ავტორი საუცხოოდ გვისურათხატებს ინგლისის მრეწველობის ისტორიით. შემდეგ ავტორი გ ა ლ ე ვ ა ც მს კაპიტალისტური წარმოების ისტორიას, სადაც ეხება კოოპერაციას, შრომი ს განაწილებას, მანუფაქტურულ წარმოებას, შინაურ და ხელოვნ მრეწველობას; ამას მისდევს აბსოლიუტური და შედარებითი ზედმეტი ღირებულების შექმნის პროცესის და სამუშაო ხელფასის განხილვა. უკანასკნელ, ეკონომიურ ნაწილებაში მარქსი იკვლევს კაპიტალის დაგროვების პროცესს და ი ს. თუ რა გავლენას ახდენს ეს მუშა ხალხის ბედზე: თუ ტეხნიკის განვითარების. მეტოქეობის და სხვა ფაქტორების მეოხებით თანდათან (არა მარტო შედარებით, არამედ აბსოლიუტურათაც), როგორ კლებულობს კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მიდის სამუშაო ძალის დასაქირავებლათ, ანუ მუშა ხალხის არსებობის საშუალებათა ასანაზღაურებლათ; თუ აქედან როგორი აუცილებლობით ჩნდებიან ეგრეთწოდებული „ზედმეტი (მოჭარბებული) მცხოვრებნი“ (Surpulus population — избыточное население). როგორც პირველი ტომის დასკვნა, აქეე უნდა აღვნიშნოთ უკანასკნელი მეოცდაოთხე თავი — კაპიტალის ეგრეთწოდებული პირველდაწყებითი დაგროვება (первоначальное накопление). აქ მარქსი თვალწინ გვიშლის შემაძრეუწუნებელ ისტორიას, მეხუთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, თუ როგორ, რა სასტიკი და ულმობელი საშუალებებით და ზომებით ხდებოდა ეს დაგროვება. ავტორს მოყავს აუარებელი ისტორიულ-ეკონომიურ-სტატისტიკური ცნობები, რომელთაც თავისი სისასტიკით და საშინელებით განცვიფრებაში მოყავს მკითხველი, და ათავებს პირველი ტომს პარაგრაფით „კაპიტალისტური შეგროვების ისტორიულ ტენდენციის“ (მიდრეკილების) აღნუსხვით. აქ მარქსი ხელახლა უყრის თავს თავის აზრებს და აკეთებს ისეთ დასკვნას, რომელიც, როგორც გარეგანი ფორმით, ისე კიდევ უფრო ღრმა შინაარსით, ერთ საუკეთესო ადგილათ უნდა ჩაითვალოს მთელ „კაპიტალში“. მოგვყავს იგი აქ, მცირე შემოკლებით, სიტყვა-სიტყვით, მით უმეტეს, რომ კაუცკის წიგნში იგი არ არის მოყვანილი.

*) ამ სიტყვებით მარქსი აღნიშნავს იმ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენას, რომელსაც გარეგნობით თუმცა ადგილობრივ ძარცვა-გლეჯის ხასიათი ჰქონდა, მაგრამ რომელიც არსებითად გამოწვეული იყო საწარმოო ძალთა განვითარების მეოხებით. ამიტომ ამ სიტყვას იმ მნიშვნელობით, რომლითაც მას მარქსი ხმარობს, არაფერი საერთო არა აქეს იმ მართლაც

„რაში მდგომარეობს კაპიტალის დაგროვების დასაწყისი, ე. ი. მისი ისტორიული გენეზისი (წარმოშობა)? — კითხულობს მარქსი... იგი აღნიშნავს მხოლოდ პირდაპირი მწარმოებლის ექსპროპრიაციას *) (საკუთრების ძალით წართმევას), კერძო საკუთრების დაშლას, იმ საკუთრების, რომელიც დაფუძნებული იყო საკუთარ შრომაზე...

„კერძო საკუთრება, როგორც საზოგადოებრივი, კოლექტიური საკუთრების წინააღმდეგობა, არსებობს მხოლოდ იქ, სადაც შრომის იარაღები და შრომის გარეგანი პირობები კერძო პირებს ეკუთვნიან. მაგრამ იმის მიხედვით, არიან ეს კერძო პირები მუშები თუ არა მუშები, კერძო საკუთრებასაც სხვადასხვა ხასიათი აქვს...

„მუშების კერძო საკუთრება თავის საწარმოო საშუალებებზე შეადგენს წვრილი წარმოების საფუძველს... თუმცა წარმოების ასეთი წესი არსებობს აგრეთვე მონობის, ბატონ-ყმობის და დამოკიდებულების სხვა ურთიერთობათა ჩარჩოებშიაც, მაგრამ იგი ხარობს, ავითარებს მთელ თავის ენერგიას, იძენს სავსებით თავის კლასიურ ფორმას მხოლოთ იქ, სადაც მუშა გამოდის, როგორც შრომის საშუალებათა თავისუფალ კერძო მესაკუთრეთ, — გლეხი მიწის მესაკუთრეთ, რომელსაც თვითონ მუშაობს, ხელოსანი — იმ იარაღების მესაკუთრეთ, რომლებსაც იგი ხმარობს...

„წარმოების ასეთი წესი გულისხმობს მიწის და წარმოების სხვა საშუალებათა დაქუცმაცებას. იგი უარყოფს როგორც საწარმოო საშუალებათა კონცენტრაციას (თავის მოყრას), ისე კოოპერაციასაც... იგი შესაძლებელია მხოლოდ წარმოების ვიწრო ფარგალში... თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იგი თვითონ ბადებს თავისი გაქრობის ნივთიერ საშუალებათ. ამ დროიდან საზოგადოების გულში ჩნდებიან ძალები და მოთხოვნები, რომელთაც იგი ბორკავს. იგი უნდა გაჰქრეს და ქრება კიდეც. მისი გაქრობა, წარმოების კერძო, განცალკევებულ საშუალებათა თავმოყრილ და საზოგადოებრივ საშუალებებათ გარდაქცევა, ე. ი. მრავალ წვრილი საკუთრების უმცირესობის სხვილ საკუთრებათ გარდაქცევა, არსებობის საშუალებათა და შრომის იარაღთა ხალხის ფართო მასისაგან წართმევა, ხალხის ფართო მასის· ეს საზარელი და ძნელი ექსპროპრიაცია შეადგენს კაპიტალის ცხოვრებაში ისტორიის წინა ხანას... წვრილ მწარმოებელთა ექსპროპრიაცია ხდება ყოვლად დაუზოგავი ბარბაროსობით, სიმხეცით, ყოვლად უმდაბლეს განზრახვათა, ყოველად უსაძაგლეს, უწვრილმანეს ბოროტ ვნებათა ზეგავლენით. კერძო საკუთრება, შეძენილი საკუთარი შრომის მეოხებით... იძევება კაპიტალისტური კერძო საკუთრებით, რომელიც დამყარებულია სხვისი, თუმც ფორმალურათ თავისუფალი, შრომის გაყვლეფაზე (ექსპლოატაციაზე).

„მის შემდეგ რაც გარდაქმნის ამ პროცესმა უკვე კარგა ფართედ და ღრმათ დაშალა ძველი საზოგადოება, და მუშები გარდაიქცენ პროლეტარებათ და იმათი

---

*) ავტორის ძარცვა-გლეჯასთან, რომელსაც ექსპროპრიაციის სახელით „რევოლიუციის ნაპირალნი“ ამ უკანასკნელ დროს ჩვენში ჩადიან. ეს ნამდვილი „გაუწმინდურებაა“ ამ სიტყვის, როგორც მას მარქსი ხმარობდა.

შრომის პირობები — კაპიტალათ... შრომის მომავალი განსაზოგადოებრივება და მიწის და წარმოების სხვა საშუალებათა მომავალი გარდაქცევა წარმოების საშუალებათ, რომელთაც თვით საზოგადოება იყენებს საერთო ძალით, სხვა სიტყვებით, კერძო მესაკუთრეების მომავალი ექსპროპრიაცია ახალ ფორმას ღებულობს. ახლა საკუთრება უნდა ჩამოერთვას არა მუშას, რომელიც დამოკიდებულათ ეწევა წარმოებას, არამედ — კაპიტალისტებს, რომელნიც ყველფენ მრავალ მუშებს.

„ეს ექსპროპრიაცია ხდება თვით კაპიტალისტური წარმოების შინაგან კანონების ძალით; კაპიტალისტების ერთად თავმოყრის საშუალებით ერთი კაპიტალი ამარცხებს მრავალთ. ამავე დროს, ამ თავმოყრასთან, ე. ი. მრავალ კაპიტალისტების რამდენიმე კაპიტალისტის მიერ ხელცარიელათ დატოვებასთან ერთოთ, სულ უფრო და უფრო მეტად ვითარდებიან შრომის პროცესის კოოპერატიული ფორმა, მეცნიერების შეგნებული ტეხნიკური გამოყენება, მიწის რაციონალური დამუშავება, შრომის იარაღთა ისეთ ნაირად მოწყობა, რომ იმათი გამოყენება მხოლოდ საერთო ძალით იქნება შესაძლებელი, და ყველა ამასთან ერთად, როგორც მათი პირდაპირი შედეგი — წარმოების საშუალებათა დაზოგვა, ეკონომია. ბოლოს ამას მოსდევს ყველა ხალხთა მსოფლიო ბაზრის ფერხულში ჩათრევა და, ამნაირად, კაპიტალისტური წესწყობილება საერთაშორისო ხასიათს ღებულობს. კაპიტალისტ-მაგნატების რიცხვის შეუჩერებელ შემცირებასთან ერთათ, რომლებიც მთელი ამ ზრდის და მატების ყოველგვარ სარგებლობას თავისთვის ისაკუთრებენ და თავის მონოპოლიათ ხდიან, მატულობს სიღატაკე, ჩაგვრა, მონობა, გადაშენება, ყველფა, მაგრამ, მეორე მხრით, მატულობს აგრეთვე მუშა ხალხის წინააღმდეგობაც, რომელიც (მუშა ხალხი) იზრდება, ერთიანდება და ურთიერთშორის კავშირს კრავს თვით კაპიტალისტური წარმოების მექანიზმის მეოხებით. კაპიტალის მონოპოლია გარდაიქცევა მუხრუჭათ წარმოების იმ წესის მომავალი განვითარებისთვის, რომელიც განვითარდა მასთან ერთათ და მისი დახმარებით. წარმოების საშუალებათა თავის მოყრა (ცენტრალიზაცია) და შრომის განსაზოგადოებრივება ახწევს ისეთ წერტილს, რომელზედაც ისინი თავის კაპიტალისტურ კანში ვეღარ ეტევიან. იგი სკდება. კაპიტალისტური კერძო საკუთრების საათი რეკს. ექსპროპრიატორებს (კაპიტალისტთა კლასს) ექსპროპრიაციას უშვრებიან.

...„კაპიტალისტური კერძო საკუთრება არის პირველი უარყოფა ინდივიდუალური, კერძო საკუთრებისა, რომელიც დამყარებულია საკუთარ შრომაზე. მაგრამ კაპიტალისტური წარმოება ქმნის ბუნებრივი პროცესის აუცილებლობით თავის საკუთარ უარყოფას. ეს უარყოფის უარყოფაა...

„გარდაქცევა დაქუცმაცებულ კერძო საკუთრებისა, რომელიც დამყარებულია მწარმოებელთა საკუთარ შრომაზე, კაპიტალისტურ საკუთრებათ, რა თქმა უნდა, შეუდარებლათ უფრო მეტათ ხანგრძლივი, მძიმე და ძნელი პროცესია, ვიდრე გარდაქცევა კაპიტალისტური საკუთრებისა, რომელიც უკვე ფაქტიურად ემყარება საზოგადოებრივ წარმოებაზე, საზოგადოებრივ წარმოებათ. იქ საქმე ეხება ხალხის ფართო მასის ექსპროპრიაციას რამდენიმე პირის მიერ,

აქ კი საქმე ეხება რამდენიმე უზურპატორების ექსპროპრიაციას ხალხის ფართო მასის მიერ" *).

აი მოკლეთ კაპიტალისტური წარმოების განვითარების მთელი სურათი; ეს არ არის მარტო წარსულის და აწმყოს სურათი. ეს იმავე დროს ახლო მომავალის შეუდარებელი სისწორით დახატვაა. ეს რომ დაიწერა, მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა; ეს საკმარისათ დიდი ხანაა კაცობრიობის ისტორიაში. ამ ხნის განმავლობაში ათასნაირი ცვლილება მოხდა: თანამედროვე სახელმწიფოებმა რამდენიმეჯერ იცვალეს ფერი; საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალმა მოვლენებმა იჩინეს თავი, რომლებზედაც წინათ წარმოდგენა არ ქონდათ; ბუნებისმეტყველებამ ვეებერთელა ნაბიჯი გადადგა წინ, და იმავე დროს კი აქ დახატული სურათი, განსაკუთრებით ის დედა-აზრი, რომელიც მასში გატარებულია, სრულიად შეურყეველი რჩება. საკმარისია გავითვალისწინოთ ის, თუ რა ხასიათს ღებულობს ამ უკანასკნელ დროს კაპიტალისტური მრეწველობა, თუ როგორ მოხვია მან ხელი მთელ დედამიწას. კაპიტალის თავის მოყრა ჯერ ადგილობრივათ ხდება, მაგრამ ჩქარა იგი ველარ ეტევა ნაციონალურ ან ცალკე სახელმწიფოების საზღვრებში, აპობს კერძო სახელმწიფოების საზღვრებს, რითაც კაპიტალი სამუდამოდ კარგავს ნაციონალურ. ეროვნულ ელფერს და ღებულობს წმინდა საერთაშორისო ხასიათს. ჯერ ჩნდებიან საიქციონერო საზოგადოებანი, შემდეგ სინდიკატები და კარტელები ანუ სხვილ კაპიტალისტების კავშირი; მაგრამ კაპიტალის კონცენტრაცია აქ არ ჩერდება; კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელ საფეხურს, — მის უუმწვერვალეს წერტილს წარმოადგენენ ტ რ ე ს ტ ე ბ ი, — ამერიკის ფულის მეფეების კაპიტალისტური ორგანიზაციები. კაპიტალის ამ ახალ ორგანიზაციაში საქონლის წარმოება, მათი გადატან-გადმოტანა და მუშტრებისათვის მიწოდება, ე. ი. როგორც წარმოების, ისე აღებმიცემობის სფერო ერთ და იმავე პირების საქმეს შეადგენს. ტრესტები ჯერ მხოლოთ წარმოების რამდენიმე დარგშია გაერცელებული, როგორც მაგალითათ, ნავთის. რკინეულობის, თამბაქოს და სხვ., მაგრამ ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის, რომ კაპიტალის ასეთი ტენდენცია სრულებით ბუნებრივი და აუცილებელია *).

„კაპიტალის" დანარჩენ ტომების შესახებ ჩვენ ცოტაღა დაგვრჩენია სათქმელი. კაპიტალისტური წარმოების თეორია, ე. ი. მისი წარმოშობა, ზრდა და საბოლოო ბედი, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, პირველ ტომში სავსებით შესწავლილი და გამოკვლეულია. ამის შემდეგ საჭირო იყო მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების კერძო მოვლენების და მხარეების უფრო დაწვრილებით შესწავლა და გამოაშკარავება. ამნაირად, „კაპიტალის" მეორე ტომი იკვლევს კაპიტალის ტრიალს. მარქსი აქ გვიხატავს, თუ კაპიტალი თავის მოძრაობაში რა და რა ფორ-

---

*) „კაპიტალის" რუს. თარ., სტრუვეს გამ., ტ. I. გვ. 550 — 552.

*) ვისაც ეინტერესება როლი და მნიშვნელობა, იმათ ჩვენ ეურჩევთ პ. ლაფარგის წიგნს „ა საგანზე. არის რუსულ ენაზედაც.

მას იღებს: როცა იგი იმყოფება წარმოების ხანაში, მარქსი მას უწოდებს საწარმოო კაპიტალს; როცა იგი ტრიალის სფეროშია, მაშინ მას ჰქვია სატრიალო კაპიტალი. ამ უკანასკნელ სფეროში კაპიტალი შეიძლება იყოს ან საქონლის ფორმაში ან ფულის. ამასთანავე ავტორი ამტკიცებს, რომ კაპიტალის ღირებულება მატულობს ანუ იზრდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარმოებითი ხანაში იმყოფება. შემდეგ ავტორი არკვევს, თუ რა არსებითი განსხვავება არსებობს, ერთ.ა მხრით, ძირითად და სატრიალო კაპიტალებს შორის და, მეორე მხრით, მუდმივ და ცვალებად კაპიტალებს შორის. აქ მარქსი სასტიკი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს ბურჟუაზიულ ეკონომისტების შეხედულებებს ძირითად და სატრიალო კაპიტალების შესახებ და იმავე დროს არკვევს, რისთვის ან რა მოსაზრებით ვერ ამჩნევენ ისინი ან არ უნდოდათ შეემჩნიათ ის განსხვავება, რომელიც არსებობს მუდმივ და ცვალებად კაპიტალ შორის. დასასრულ, მეორე ტომში მარქსი იკვლევს საზოგადოების კაპიტალების მთელი ჯამის აღდგენას და ტრიალს; აქ პირველათ იგი ეხება მარტივ აღდგენას, როცა მთელი წლის წარმოების ღირებულება არ მატულობს, ე. ი. როცა ზედმეტი ღირებულება, წლის განმავლობაში შექმნილი, სულ მთლათ იფლანგება; შემდეგ იგი არკვევს წარმოების აღდგენას უფრო გაფართოებულ ფარგლებში, როცა წლის განმავლობაში შექმნილი ზედმეტი ღირებულება ან სულ, ან მისი ნაწილი წინანდელ წარმოებითი კაპიტალს ემატება.

თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების კიდევ უფრო რთულ მოვლენებს მარქსი ეხება „კაპიტალის" მესამე ტომში. უმთავრესი საგანი, რომელსაც აქ ავტორი იკვლევს, ეხება ზედმეტი ღირებულების განაწილებას საზოგადოების სხვადასხვა კლასებს შორის, რა თქმა უნდა, გარდა მუშათა კლასისა. უწინარეს ყოვლისა ავტორი იკვლევს იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობს ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას შორის. საქმე იმაშია, რომ ზედმეტი ღირებულება, გაკეთებული რომელიმე საწარმოო საქმეში, არასოდეს არ შეიძლება, რომ სულ მთლად მითვისებულ იქნეს ამ საქმის კაპიტალისტის მიერ, არამედ ეს ზედმეტი ღირებულება იყოფა საზოგადოების სხვადასხვა კლასებს შორის: სხვადასხვა დარგის კაპიტალისტებს შორის (სამრეწველო მოგება), ვაჭრებს შორის (სავაჭრო მოგება), ფულის გამსესხებელთა შორის (კაპიტალის ანუ ფულის სარგებელ, პროცენტი) და მიწის მფლობელთა შორის (მიწის ღალა ანუ რენტა *). განსაკუთრებული ყურადღებით იკვლევს აქ ავტორი მიწის რენტის კანონებს. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ განხილული მოვლენები იმდენად რთული და სხვადასხვა გვარია, რომ იმათი აღნუსხვა, თუმცა ძლიერ შემოკლებით, შეეტათ გაადიდებდა ამ წინასიტყვაობას, რომელიც უიმისოდაც საკმარისად გაგრძელდა. მხოლოთ საჭიროთ მიგვაჩნია ერთი რამ აღვნიშნოთ აქ. სახელდობრ ის, რომ ერთად ერთი ძლიერი ფაქტი, რომელიც უკანასკნელ ანგარიშში, ყველა ამ მოვლენებს აწესრიგებს, იმათ შრომა-მოქმედებას განსაზღვრულ ფარგალში აჩერებს. არის მეტოქეობა.

---

*) მესამე ტომის ამ ნაწილის შინაარსს კაუცკი გადმოგვცემს თავისი შრომის მეორე განყოფილების მეოთხე თავში.

ახლა რამდენიმე სიტყვა თვით თარგმანის შესახებაც.

გაჟეჟილს — გატეხილი ჯობია, ნათქვამია. ჩვენც პირდაპირ უნდა გამოვტყდეთ იმაში, რომ ქართული ენა, თუმც საკმარისათ განვითარებული, განსაკუთრებით, როცა პოეზია გვაქვს მხედველობაში, მეტათ უძლურია მეცნიერების დარგში. ყველამ კარგად იცის, რომ ქართულ ენაზე არც ერთი დარგი თანამედროვე მეცნიერებისა დამოუკიდებლათ არ განვითარებულა. ვიტყვით მეტსაც: მეცნიერების მრავალი დარგი ქართულმა ენამ დღემდის სრულებით არ იცის. ამ გარემოებას მეტათ ცუდი შედეგი უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც. ჩვენ ვამბობთ ქართული სამეცნიერო ენის სისუსტეზე საზოგადოთ და სამეცნიერო ტერმინების უქონლობაზე კერძოთ. არავისთვის დაფარული არ არის, რომ სამეცნიერო წიგნის თითქმის ყველა მთარგმნელი ქართულ ენაზე ხშირათ მეტად უხერხულ მდგომარეობაში გრძნობს თავს. განსაკუთრებით საგრძნობელია ეს შესაფერი ტერმინების გამოძებნის დროს. როგორც კაუტკი ამბობს თავის წინასიტყვაობაში, ამ შემთხვევაში საქმეს ვერაფერს შველის ის გარემოება, რომ ჩვეულებრივათ ნათარგმნის სიტყვის გვერდით ფრჩხილებში სვამენ თვით უცხო სიტყვას. მართლაც, ვინც უცხო ენა იცის, იმისთვის არც თარგმანია საჭირო, და ვინც იგი არ იცის, მას ქართული სიტყვის გვერდით უცხო ტერმინი მაინც არაფერს ეტყვის. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ამ წიგნის თარგმანში ეს ჩვეულება დაცულია, თუმცა, რა თქმა უნდა, სულ სხვა განზრახვით. გარდა ამისა, ზოგიერთ უფრო რთულ ცნებათა და საკუთარ სახელების ახსნა-განმარტება ჩვენ უფრო მოხერხებულათ ვცანით წიგნის ბოლოში ჩაგვერთო, როგორც ცალკე დამატება.

ამ წიგნის თარგმნის დროს ჩვენ ვსარგებლობდით როგორც მისი რუსული თარგმნებით, ისე გერმანული დედნითაც, გამოცემა 1894 წლის.

რამდენიმე სიტყვა კიდევ. კაუტკის წიგნში, სადაც ლაპარაკია სხვადასხვა ქვეყნების საფაბრიკო კანონმდებლობაზე მუშების დასაცავად, რუსეთის შესახებ იქ კრინტიც არ არის დაძრული. რა თქმა უნდა, საფაბრიკო კანონმდებლობა, თუ ცხოვრებაში არა, ქაღალდზე მაინც, რუსეთშიაც არსებობს, და მისი გამოცემის ისტორია, არა ნაკლებ საგულისხმიეროა, თუ კიდევ უფრო მეტათ არა, ვიდრე სხვა ქვეყნების საფაბრიკო კანონმდებლობანი ამ საგნის შესახებ. თავის თავად იგულისხმება, რომ ქართველი მკითხველისთვის რუსეთის საფაბრიკო კანონმდებლობა დიდათ საინტერესო უნდა იყოს. ამიტომაც ჩვენ განზრახვა გვქონდა, ეს ნაკლი რამდენიმეთ მაინც აგვეცილებია თავიდან რუსეთის საფაბრიკო კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვის ჩართვით წიგნის ბოლოში. მაგრამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა გარემოებებმა ამაში ხელი შეგვიშალეს. ვიმედოვნებთ კი, რომ ახლო მომავალში, ან ამ წიგნის შემდეგ გამოცემაში, ან ცალკე, წიგნათ, ჩვენ ვეცდებით ამ საგნის განმარტებას.

20 ოქტომბ. 1909 წ.
ქრასნოიარი, ასტრახანის გუბერნია.

„უთავბოლოობის“ ნაყოფი

(კრიტიკული შენიშვნები)

ეს წერილი დაბეჭდილი იყო ცალკე წიგნაკად 1924 წელში. მიუხედავად ამისა მაინც საჭიროდ მიგვაჩნია, ახლად მოვაქციოთ იგი ამბ. ფ. მახარაძის ნაწერების მთლიან გამოცემაში, რადგან იგი გვისახავს ჩვენში მარქსისტული იდეების შემოკრის პირველ მომენტს, რაც მეტად საყურადღებოა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიისთვის.

I

ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ უთუოდ იცის, რომ ამას წინათ, რამდენიმე ხნის განმავლობაში, გაზ. „ივერია“-ში იბეჭდებოდა ვრცელი წერილი შემდეგი სათაურით: „ჩვენი უთავბოლობა“ *). ამ წერილის ავტორი, ბ. დ. მაჩხანელი [27]), საკმარისად ცნობილია ჩვენს ღარიბ მწერლობაში. თუმცა ეს ცნობილობა ერთი მხრით ძლიერ გაუგებარიც არის.

— რისთვისო? ალბათ იკითხავს მკითხველი, — განა ბ. დ. მაჩხანელი „ძმური სიტყვის ავტორი არ არის, რომელიც 1887 წ. გაზ. „ივერია“-ში დაიბეჭდა და მერე ხუთი წლის განმავლობაში ორჯერ გამოიცა. რაც იშვიათი მოვლენაა ჩვენს მწერლობაშიო? რასაკვირველია, ეს რამდენიმეთ ჩვენც გვესმის. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ ამ გარემოებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩვენ გვსურს უფრო ღრმად შეეხედოთ საქმეს და აი მაშინ რა აღმოჩნდება: „ძმურ სიტყვაში“ ბ. მაჩხანელს მხატვრობითი ხელოვნების მეოხებით გაჰყავს ერთი ფრიად დაძველებული და თითქმის მავნებელი აზრი, რომელიც ეკუთვნის, ეგრედწოდებულ, ბურჟუაზიულ ეკონომიის მწერლებს და, განსაკუთრებით, სმაილს, რომლის მოსაცდენი წიგნაკები ქართულ ენაზედაც არსებობენ (მაგალ.: „თვითგანვითარება“ და „თვითმოქმედება“). ეს აზრი მდგომარეობს იმაში, რომ დასახელებული ეკონომიის წარმომადგენლები გაიძახიან: „შრომა—გარჯაა“ ადა-

---

*) იხ. ამ წლის „ივერია“-ს შემდეგი ნომრები: 66. 67 79. 87. 89, 90, 143, 150. 155, 161, 164, 169, 174, 176, 185 და 186. უჭონლობის გამო ზოგიერთი №№-ები ვგონებთ გაბოგვრჩა. ამისათვის ბოდიშს ვითხოვთ მკითხველთან, თუ დანარჩენი №№ ვერ დავასახელეთ.

მიანისათვის. იგი ყოველივე ბედნიერების, ნივთიერების თუ გონებრივის, თავ. და ბოლოა. ადამიანმა უნდა მუყაითად იშრომოს, და ეს პირობა თუ შესრულებულია, მაშინ „მის ბედს ძალიც არ დაჰყეფსო“, — ასე სწერს ბ. მაჩხანელი.

საუბედუროთ, ადგილის და დროს უქონლობის გამო, „ძმურ სიტყვის“ გარჩევაზე ჩვენ ახლა ვერ გავჩერდებით, მხოლოდ რამდენიმე კითხვაზე მოვსთხოვთ ჯასუხს ბ. მაჩხანელს: როგორ ხდება, როცა რომელიმე ქარხნის მუშა ღღითა და ღამით უზომოთ ხარჯავს თავის სამუშაო ძალას, მაგრამ, როგორც გონებრივად, ისე ნივთიერად *), ის სულ უკან მიდის, და არა წინ? ამასთან ის აღარ ზოგავს არც თავის ცოლს, და არც თავის პაწაწკინა ბავშებს: როგორც პირველს, ისე უკანასკნელებს ექვსი წლიდან დაწყებული, გზაენის იმავე ქარხანაში, სადაც თვითონ მუშაობს და ამ ნაირად ხდება მოწამე თავის ოჯახის ზნეობრივი გარყვნილებისა, ფიზიკური დასუსტებისა და უვიცობისა. როგორ უნდა ვიფიქროთ ახლა ჩვენ? თუ მაჩხანელს და მის მასწავლებელ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს მიეყეენით, მაშინ ამნაირი მუშის მდგომარეობა ბედნიერებით სავსე უნდა იყოს, რადგანაც, იმათი აზრით, შრომა—გარჯაა და სათავე ყოველივე ბედნიერების. მივსედოთ ახლა მეორე მხარეს და ვკითხოთ ბ. მაჩხანელს, როგორ „შრომა—გარჯას“ ხედავს ის თუნდ იმ ქარხნის პატრონებშივე, რომლებიც დღე და ღამის განმავლობაში ვინ მოსთვლის რამდენ ნაირ სიამოვნებას ეძლევიან, რომლების ცოლებიც მარტო იმაზე ჰფიქრობენ, რომ სახვალიო წვეულებაზე რანაირი მოდის კაბა შეაკერიონ. მათი ბავშები კი სხვადასხვა მხლებლებით დილის ცხრა საათზე გაემგზავრებიან სასწავლებლებში და ეს შრომაც ისე გაადვილებულია უკანასკნელთათვის, რომ გაკვეთილებსაც თითქმის სხვები სწავლობენ იმათ მაგიერ?

ახლა ვიკითხოთ, რომელი მხარე უფრო შრომობს და რომელი უფრო ტანჯვაშია, ქარხნის მუშები თუ ქარხნის მეპატრონენი? მიწის მუშებსა და მიწის მფლობელებზედაც იგივე ითქმის, რაც ქარხნის მუშებსა და მექარხნეებზე. ცხადია, მარტო „შრომა — გარჯას“ ის ბედნიერება სრულებითაც არ მოსდევს, რომელსაც მას ჰპირდებიან ბურჟუაზიული ეკონომისტები. ცხადია, აქ რაღაც უკეთმართობა მეფობს: აქ არსებობს წინააღმდეგობა. მიგვინდვია ბ. მაჩხანელისათვის ამ წინააღმდეგობის გამორკვევა და ახსნა. მაგრამ მას შეეძლება ეს მხოლოდ მაშინ, როცა ის უარჰყოფს თავის პირველ აზრს ბედნიერების მოპოვების შესახებ **). ეხლა კი დავუბრუნდეთ „ჩვენი უთავბოლობის“ კრიტიკულ განხილვას, რაც შეადგენს ამ წერილის მიზანს.

წერილში — „ჩვენი უთავბოლობა“ აღძრულია მრავალი საინტერესო და ამასთანავე სამძიმო კითხვები. თითოეული იმათგანის ჯეროვნად განხილვა ერცელ და საინტერესო გამოკვლევას შეადგენდა. აშკარაა, რომ საგაზეთო წერილში ჩვენ ამ მოთხოვნილებას ვერ დავაკმაყოფილებთ. დასახული მიზნის მისაღწევად ჩვენ ვეცდებით გამოვკრიფოთ ბ. მაჩხანელის წერილიდან უმთავ-

*) თუ უკანასკნელ წლებში საზღვარგარეთ ჩვენ ეხედავთ, რომ მუშა ხალხის მდგომარეობა რამოდენიმეთ გაუმჯობესდა, ამის მიზეზი სულ სხვაა.

**). ამ კითხვას ჩვენ უფრო დაწვრილებით ქვემოდ შეეეხებით. მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა. მკითხველს ახსოვდეს, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში სახეში გვაქვს თანამედროვე წარმოების კაპიტალისტური წესწყობილება.

რესი პრინციპიალური აზრები და შემდეგ განვიხილოთ, თუ რამდენათ სწორათ მსჯელობს მათი ავტორი. ასე ვამჯობინებთ მით უფრო, რომ სისტემატიურად გარჩევა ბ. მაჩხანელის წერილისა ყოველად შეუძლებელია, რადგანაც ერთი და იგივე აზრი მრავალ ალაგას არის განმეორებული. ამნაირ პრინციპიალურ შეხედულებებს ეკუთვნის პირველად ბ. მაჩხანელის აზრი ხალხის გონებრივ და ქონებრივ წარმატებაზე, შემდეგ აზრი იმის შესახებ, თუ რაზეა დამოკიდებული ქვეყნის ცხოვრების აეკარგიანობა. ამას მოსდევს მოსაზრებანი მთავრობის მნიშვნელობის შესახებ და ბოლოს ავტორის აზრი გარეჯა-შრომაზე. მაგრამ ამით სრულებით არ განისაზღვრება ჩვენი ავტორის წერილი.

როგორც მკითხველს ეცოდინება, ბ. მაჩხანელი ჯერ კიდევ „წინასიტყვაობის მაგიერში“ („ივერია“ №№ 66 და 67) დაგვპირდა, რომ „ჩვენ უთავბოლობაში“ ის პირველ ყოვლისა შეეხება დაწვრილებით ჩვენი ხალხის ნივთიერ მდგომარეობას. შემდეგ იმას, თუ რა განწყობილება აქვს მიწის მწარმოებელ ხალხთან სხვადასხვა სამსახურის და წოდების კაცებს და ბოლოს ეცდება გვიჩვენოს „წამალიც იმ ეკონომიური ჭირისა, რომელიც ძირს უთხრის ჩვენში ხალხის ნივთიერ და სულიერ ცხოვრებას“ („ივ.“ №143). თუ როგორ შეასრულა ავტორმა თავის დანიშნულების პირველი ნაწილი, ამას ჩვენ აქ არ ვეხებით. რაც შეეხება დანიშნულების მეორე ნაწილს, ე. ი. წამლის ჩვენებას, ამის შესახებ აქ იმას ვიტყვით მხოლოდ, რომ ავტორს უზომოთ სწამს მის მიერ გამოგონილი წამალი: ის ამბობს, რომ მისი წამლის შემოღების შემდეგ „სააქაო ჯოჯოხეთი — სამოთხედ გადაგვექცევა“-ო („ივ.“ № 186). რასაკვირველია, ავტორის ამნაირი რწმუნება მარტო უვიცობაა და სხვა არაფერი. მთელი კაცობრიობის გამოჩენილი მეცნიერნი ისტორიული ცხოვრების დაწყებიდან აქამდე ამ კითხვაზე ჰფიქრობენ და იმტვრევენ თავებს, რომ რამოდენიმედ მაინც გაუადვილონ კაცობრიობის ტანჯული ნაწილს ეკლიანი გზა; მაგრამ არც ერთ იმათგანს არ მოუნდომებია ერთბაშათ „სააქაო ჯოჯოხეთის სამოთხედ გადაქცევა“, როგორც მოინდომა ბ. მაჩხანელმა. წინათ ჩვენ გვეგონა, რომ ბ. მაჩხანელი ხუმრობს თავის მკითხველებთან, მაგრამ რა დროის ხუმრობა იყო, როცა „ივერია“-ში ამოვიკითხეთ: „წამალი, წამალი! — ღაღადებდა ბ. მაჩხანელი — წამალი ქვეყანას, თორემ იღუპება! აი წამლის წერასაც მივუახლოვდითო — წერდა ავტორი (მაშინ სწორედ თავისუფლად ამოვისუნთქეთ, თორემ თქვენი მტერი: გული კინალამ წაგვივიდა!), თუ კი იკმარებს (მაშ არადა!) თავ-შეუდებელი ქვეყანა და შეუდგება ახალს გზას კეთილის ცხოვრებისასო“ („ივ.“ № 150).

ამიტომ უმთავრესად საჭიროა ბ. მაჩხანელის მიერ ნაჩვენები „ახალი გზის“ განხილვაც, მაგრამ პირველად უმჯობესი იქნება განვიხილოთ ავტორის ზემოაღნიშნული შეხედულებანი, რითაც უფრო გაგვიადვილდება მისი „ახალი გზის“ განხილვაც.

II

ერთად ერთი საშუალება, რომელიც უსათუოდ გამოგვადგება ზემოაღნიშნულ კითხვების გამორკვევისათვის და რომელშიაც უნდა ვეძიოთ ნამდვილი

კრიტერიუმი, არის ისტორია. ავიღოთ, მაგალ., პირველი კითხვა, ე. ი. ხალხის გონებრივი და ქონებრივი წარმატება. ყოველნაირი მსჯელობა ამ საგნის შესახებ უსათუოდ დამყარებული უნდა იყოს ისტორიაზე, უამისოდ ის მოკლებული იქნება სისწორესა და სინამდვილეს. აი ამის დასამტკიცებელი საბუთი: ბ. მაჩხანელი თავის „ჩვენ უთავბოლობაში“ სცდილობს დაუმტკიცოს ქვეყანას, რომ ხალხის საზოგადო განვითარება სწარმოებს იმნაირად. რომ ქონებრივი განვითარება ანუ სიმდიდრე წინ მიუძღვის მის გონებრივ განვითარებას; ჯერ ქონებრივი სიმდიდრე და მერე გონებრივი განვითარება, აი საყოველთაო კანონი, რომელსაც იცავს ბ. მაჩხანელი ყველა მისდამი მისაწდომელი იარაღებით.

ჯერ კიდევ „ჩვენ უთავბოლობის“ წინასიტყვაობის სამაგიეროში ჩვენს ავტორს გაეკვეთა ის აზრი. რომ საზოგადო გონებრივი განვითარება ქონებრივი სიმდიდრისაგან არის წარმომდგარიო და ამის დასამტკიცებლად თავის თავი მოჰყავდა. ის ამბობდა: „მამა ჩემს რომ ნივთიერი სიმდიდრე არ ჰქონებოდა, მაშინ მე, ცხრა მთას იქით გადაკარგულს, აღარ შემეძლებოდა ჩემს მოძმეებთან საუბარი და მათთვის ჩემი ღრმა აზრების გაზიარებაო“ („ივ.“ № 66). ამავე აზრს იმეორებს ავტორი მეორე ადგილასაც, როცა ამბობს: „გონიერულ გარჯა-შრომას პატარაობიდანვე შესწავლა ეპირვება და შესწავლას ფულები უნდა“ („ივ.“ № 143). მაგრამ სამწუხარო ის არის. რომ ავტორს ამ ფრიად საინტერესო აზრის დასამტკიცებლად მეტი არაფერი არ მოყავს, გარდა იმისა, რომ უკანასკნელ ფელეტონში ამბობს: „საზოგადო დეპო-კასები დაჰბადებს ხალხში კეთილს ქონებას, ურომლისოთაც ერის გონებრივი წარმატება, ვიმეორებ, ყოველად შეუძლებელია: ნივთიერი სიღატაკე გონება ზნეობის გამავაგლახებელი (??) და გამაბედშავებელი სიღატაკეა (სიღატაკე—სიღატაკეა—масло маслянное). ან კი დაყამირებულ ტიტველა მინდორზე ედემის ბაღს (!) როგორ მოვაშენებთ, თუ საიმისო შეძლება არ გვექნება? საკვირველია ღმერთმანი — განაგრძობს ავტორი — დღეს ყველა ქუდიანი და უქუდო იმას უქადაგებს ხალხს, სკოლები დაიარსეთო, და იმას კი როდილა ჰფიქრობენ მოქადაგენი, რომ სკოლებისათვის მუდამ წელს ფულების გამოღებას და სკოლაში მოსიარულე შვილების შენახვას კი მაგარი წელი უნდა და დღეს-კი თითქმის ყველას წელი აქვს მოწყვეტილი სიღარიბისაგან“ („ივ.“ № 186).

აი ყოველივე, რაც ავტორს შეეძლო ეთქვა იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაა ნივთიერ სიმდიდრესა და გონებრივ განვითარებას შორის. მაგრამ შეიძლება თუ არა ამნაირი აზრის დამყარება მსგავს ორეოფ საფუძველზე? რასაკვირველია, ავტორის ვიწრო შეხედულებით თუ გავსინჯავთ საქმეს, ის მართალი გამოდგება: ბ. მაჩხანელის მამას ნივთიერი შეძლება რომ არ ჰქონოდა, მაშინ ბ. მაჩხანელი ვეღარ უძღვნიდა ქართველ საზოგადოებას ვერც „ძმურ სიტყვას“ და ვერც „ჩვენ უთავბოლობას“. მაგრამ ქართველი საზოგადოებისათვის სულ ერთი იქნებოდა, მაჩხანელი მიაწოდებდა მას ამნაირ თხზულებებს, თუ სხვა ვინმე, საზოგადო ჯამი ერთი და იგივე იქნებოდა ორივე შემთხვევაში: იქნებოდა თუ არა ბ. მაჩხანელის მამა მდიდარი თუ ღარიბი ნივთიერად. მაგრამ ამას თავი დავანებოთ და მივაქციოთ ყურადღება შემდეგ სიტყვებს: „ნივთიერი სიღატაკე გონება-ზნეობის გამავაგლახებელი და გამაბედშავებელი სიღატაკეა“. რას

ნიშნავს ეს ფრაზა? ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა ღარიბი და ღატაკი ნივთიერი ქონებით. დაცემულია, როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივადაც. პირიქით. ყველა მდიდარი ნივთიერი ქონების მხრივ, განათლებულია, როგორც ზნეობრივად. ისე გონებრივადაც. მაგრამ ავტორის ამნაირ აზრს ეწინააღმდეგება ყველაფერი, რაც კი აქნამდის იცის განათლებულმა კაცობრიობამ. ამ შემთხვევაში ბ. მაჩხანელმა გამოიჩინა საქმის სრული უცოდინარობა. რომელი ერთი მაგალითი მოეუყვანოთ ბ. მაჩხანელს მისი მიუტევებელი შეცდომის გასასწორებლად? ჩვენ ვურჩევთ ბ. მაჩხანელს გაკვრით მაინც გადაჰხედოს მსოფლიო ისტორიას და იქ დაინახავს გამოჩენილ მოღვაწეებს, მეცნიერებს და, უმეტესად, მეცნიერებისათვის წამებულებს. რომლებიც მიუხედავად ნივთიერი სიღატაკისა, იჩენდენ სამაგალითო გონებრივ და ზნეობრივ ძალას. ამ მაგალითებიდან ის აგრეთვე ცხადად დაინახავს თავის თავის საწინააღმდეგო აზრს, რომ არა „ნივთიერი სიღატაკეა გონება-ზნეობის გამაგლახებელი და გამაბედშაებელი სიღატაკე", არამედ ნივთიერი სიმდიდრე, რომელსაც არა თუ გუნდრუკს უკმევს ავტორი, არამედ პირდაპირ აღმერთებს (ჩვენ ვიცით, რომ ბ. მაჩხანელი დეპო-კასებს მეორე ღმერთებს უწოდებს). გასაკვირალი ერთია ამ შემთხვევაში; ის პირი, რომელიც მუდამ იხსენიებს ქრისტეს და მისი აფორიზმებით ხელმძღვანელობს. როცა დასჭირდება, ქრისტეს უმთავრეს სწაელას სრულიად ივიწყებს და თავისი აზროვნობით ქრისტეს გამყიდველს, იუდას, ემხრობა. ესეც კარგი მასალაა ავტორის ხასიათის შესასწავლად.

ახლა თუ ამავე საგანს შევეხებით უფრო ფართოდ და არა ისე, როგორც მოექცა მას ბ. მაჩხანელი, ე. ი. თუ მეცნიერულ იარაღს ვიხმართ, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ არასოდეს ხალხის გონებრივი განვითარება მისი ნივთიერი სიმდიდრიდან არ წარმომდგარა, და თუ ოდესმე წარმომდგარა, ამნაირი გონებრივი განვითარება არ ყოფილა მკვიდრი და ადრეც გამქრალა. ამას აშკარად გვიმტკიცებს წინანდელ და ახლანდელ ცივილიზაციათა შედარება: წინანდელ ცივილიზაციებში ცოტა, ცოტა ადგილი ჰქონდა მიჩენილი აზროვნების მუშაობას და, სხვათა შორის, ეს გარემოებაც ხელს უწყობდა ამ ცივილიზაციათა დანგრევას. ახლანდელ ცივილიზაციას კი წინ მიუძღვის აზროვნების მუშაობა და აი ერთი იმ მიზეზთაგანი, რომ დღევანდელ კაცობრიობის მერმისი საკმარისად უზრუნველყოფილია. რასაკვირველია, ნივთიერ სიმდიდრეს, როგორც საზოგადოებრივ ძალას, ყოველთვის ჰქონდა და ახლაც აქვს გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და უმეტესად საურთიერთშორისო განწყობილებებზე სხვადასხვა წოდებათა შორის.

ეს კითხვა ყველაზე უფრო საფუძვლიანად შესწავლილი აქვს ეგრედწოდებულ ისტორიულ მატერიალიზმის სკოლას, რომლის დამფუძნებელი არიან კარლ მარქსი და ფრიდ. ენგელსი. საქმე ის არის, რომ ამ სკოლას ესმის ეს კითხვა უფრო ფართოდ; ამისათვის მოვიყვანოთ თვით კ. მარქსის სიტყვები: „თავის საზოგადოებრივ ცხოვრებაში — ამბობს ის — ადამიანები აწყდებიან განსაკუთრებულ და მიუცილებელ ურთიერთობებს, სახელდობრ საწარმოო ურთიერთობებს, რომლებიც შეესაბამებიან საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს (სტადიას). შეერთება წარმოების ყველა ამ ურთიერთობათა შეადგენს

საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას (შენობას), რეალურ საფუძველს, რომელზედაც აღიმართებიან იურიდიული და პოლიტიკური შენობები და რომელსაც ექვემდებარება საზოგადოებრივ ცნობიერების განსაზღვრული ფორმები... „Не понятия определяют общественную жизнь, но наоборот, их общественная жизнь обусловливает собою их понятия“.

ამასთანავე გავიხსენოთ კიდევ ცნობილი ვიკოს სიტყვები: „იდეების სვლა ექვემდებარება ნივთების სვლას“. აქედან ჩვენ გამოგვყავს ის დასკვნა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველივე მხარე დამოკიდებულია ნივთების ნამდვილ სვლისაგან და არა განყენებული იდეებისაგან, ამ ნივთების სვლას აქვს თავისი სხვადასხვა ისტორიული საფეხურები; ამის მიხედვით ვითარდებიან სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალები და მათ შორის საზოგადოებრივი ცნობიერება, რომელიც შეესაბამება ხალხის გონებრივ განვითარებას და შეადგენს უპირველეს ძალას მის ცხოვრებაში.

მაშასადამე, აქ არავითარი ადგილი არა აქვს ბ. მაჩხანელის მტკიცებას ვითომც ყოველივე ეს დამოკიდებული იყოს ნივთიერი სიმდიდრისაგან. საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რასაკვირველია, არსებობს როგორც ნივთიერი სიმდიდრე, ისე ნივთიერი სიღატაკეც, მაგრამ აბა ვინმემ სცადოს (გარდა მაჩხანელისა, რასაკვირველია) იმის დამტკიცება, რომ პროგრესიული მოძრაობა ხდება ნივთიერი სიმდიდრის მეოხებით. ჩვენ ვამტკიცებთ პირდაპირ ამის წინააღმდეგს: თუმცაღა ნივთიერი სიმდიდრე, როგორც ნივთიერი სიღატაკე მეუცილებელი ელემენტია ყოველნაირი ისტორიული პროცესისა, მაგრამ პირველი ყოველთვის აბრკოლებს და ჩაგრავს ყოველნაირ პროგრესიულ მოძრაობას, მაშინ, როდესაც ნივთიერი სიღატაკე ნამდვილი ხელის შემწყობია ამნაირი მოძრაობისა. აბა გადავაელოთ თვალი მსოფლიო ისტორიას და ჩვენ იქ ცხადათ დავინახავთ, რომ ყოველთვის პროგრესის დროშა გადაშლილი იყო ბედკრულთა რაზმებში.

მეორე მხრით, არც ის უნდა გაუშვათ მხედველობიდან, რომ ნივთიერი სიმდიდრის მოგროვება თხოულობს რამდენიმედ განსაზღვრულ ტეხნიკურ ცოდნას და, მაშასადამე, წინდაწინვე იგულისხმება რამდენიმედ გონებრივი განვითარება. ამას ნაწილობრივათ ბ. მაჩხანელიც სცნობს: „გონივრული გარჯა-შრომა — ამბობს ის — დამბადებელია ხალხის კეთილ ქონებისა, მაგრამ გონივრულ გარჯა-შრომას პატარაობიდგანვე შესწავია ეკირვება და შესწავლას ფულები უნდა“ („ივ.“ № 143). მაგრამ ავტორი მაინც თავის აზრს მიუბრუნდა: „გონივრულ გარჯა-შრომას ფულებით (ნივთიერი სიმდიდრით) შევიძენთ მხოლოდო“. საუცხოვოა ის, თუ რა ორიგინალობა გამოიჩინა ჩვენმა ავტორმა ამ შემთხვევაში: მან ხომ აღიარა პირველად, რომ გონივრულ გარჯა-შრომას უფულობით ვერ შევიძენთო. ამის შემდეგ ის ამბობს: „როდესაც ფულებს არც ღმერთი ჩამოგვიყრის ზეციდან (ღმერთი რაღა საჭიროა, როცა თქვენ თვითონ მშვენივრად ასრულებთ ამ როლს) და რადგანაც ეს არც მთავრობის ვალია, რომ ის სიღატაკის მოსასპობლად სწუხდესო *) (!!!), ჩვენ დაგვრჩენია

*) ამ სიტყვებს შემდეგ მკითხველს ეურჩევთ წაიკითხოს შემდეგი ფრაზები ჩვენი ავტორისა: „უმაღლესი მთავრობაც იგივეა თავის ხალხისათვის, რაც კეთილი დედ-მამა თავის შვილებისათვის“ („ივ.“ № 164). ახლა ავტორს ეკითხოთ: ნუ თუ დედ-მამა არ უნდა ზრუ-

ერთად ერთი ლონისძიებაო“ („ივ.“ № 143). თუ რა ლონისძიებას გვირჩევს ბ. მაჩხანელი, ამაზედ ჩვენ ქვემოთ გვეკბება საუბარი. აქ ჩვენ გვსურდა მკითხველის ყურადღება მიგვექცია იმ გარემოებაზე, თუ რანაირი ცბიერი ხერხიანობით ხელმძღვანელობს ჩვენი ავტორი, როცა მას ჰსურს რომელიმე სამძიმო საგნის გამორკვევა. ის ამბობს: თუმცა გონივრულ გარჯა-შრომისათვის საჭიროა პატარაობიდანვე სწავლა, მაგრამ, მეორე მხრით, თვით სწავლის შეძენისათვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ფულების ქონა. შემდეგ ამისა ის სჯის ამნაირად: თუმცა ჩვენ, ქართველებს, ფულები არა გვაქვს და არც ვინმესგან მოველით იმათ მოცემას, მაგრამ მე დაგასწავლით იმისთანა საშვალებასო, რომ ფულები ზედმეტი შეეიძინოთო და მერე შეიძლება სწავლასაც ხელი მოეკიდოთ; თორემ რომელი სულელია ის, რომ ჰქადაგებს: ყელამდი გამდიდრებამდის სკოლები დაიარსეთ; ეს შეუძლებელია და არსად ასე არ მომხდარა: ყოველგან უბრალო ხალხი ჯერ ნივთიერად გამდიდრებულა და მერე მხოლოდ გონებრივი განათლება შეუძენიაო.

ამნაირად ავტორის ფრაზა: „გონივრულ გარჯა-შრომასა პატარაობიდგანვე სწავლა ეჭირვებაო“, დარჩა სრულიად გამოურკვეველი და ავტორი ხელახლა თავის წინანდელ შეხედულებას დაუბრუნდა, რომელიც მოკლედ იმაში მდგომარეობს, რომ უბრალო ხალხი ჯერ ნივთიერად გამდიდრდეს და მხოლოდ მერე დაიწყოს ლტოლვა გონებრივ განვითარებისადმიო.

ბ. მაჩხანელის ამნაირი შეხედულება, ერთის მხრით, ისტორიული სიცრუეა. რადგანაც საზოგადოების გაღატაკებულ კლასს ანუ წოდებას არასოდეს არ გაუუმჯობესებია თავისი ნივთიერი მდგომარეობა სანამ რამოდენიმედ მაინც არ მოსულა თავის სოციალურ მდგომარეობისა და მნიშვნელობის ცნობიერებაში. ეს უკანასკნელი გარემოება იმდენად აუცილებელია, რომ უიმისოდ ჩვენ პირდაპირ შეგვიძლია უარვყოთ ყოველნაირი პროგრესიული სვლა საზოგადოების დაჩაგრულის ნაწილისა. მაგრამ ამნაირი ცნობიერების გავრცელება ხალხში მარტო იმას ამტკიცებს, რომ ხალხის გონებრივი ძალა მატულობს, რომ ხალხი იწყებს გონიერ ცხოვრებას, ე. ი. იწყება ახალი ხანა გონებრივი განვითარებისა, რაც დაედება საფუძვლად ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესობის საქმეს.

მეორეს მხრით, რაც ყველაზე უფრო საშიშარია, ბ. მაჩხანელის ამნაირი შეხედულება მავნებელიც არის, რადგანაც ის პირდაპირ ამართლებს უმეცარი ხალხის შეხედულებას სწავლა-განათლებაზე, რომელიც უბრალო ხალხს რაღაც დიდი მედიდურება გონია და მეტი არაფერი. მაგრამ, ჩვენდა სანუგეშებლად, ჩვენი ხალხის რამდენიმე ნაწილი მაინც კი მიხვდა, რომ სწავლა-განათლება სრულიად არ არის მედიდურება, რომ ის ღარიბისათვის უფრო გამოსადეგი იარაღია ცხოვრებაში. თუმცა, რას იზამთ, როცა ბ. მაჩხანელისთანა ავტორიტეტები გამოდიან და აშკარად ჰქადაგებენ, რომ ხალხმა სკოლებს თავი დაანებოს და მხოლოდ ყიდვა-გაყიდვას, ანუ წშინდა სავაჭრო საქმეებს მოჰკიდოს ხელიო. ამნაირი თეო-

---

ნავდეს თავის შვილების ავკარგიანობაზე? მაგრამ კიდევ დაუგდოთ ავტორს ყური: „მეფე მამაა ერისა და მთავრობა — დედა“ („ივ.“ № 186). ამავე ფელეტონში მას მოყავს კიდევ მეფე ფრიდრიხ დიდის სიტყვები: „მეფე ის არისო, ვინც თავის ერის ჭირსა მკურნალობსო“.

რიის გატარებით, ბ. მაჩხანელი იქამდის მივიდა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც უარჰყო მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საზოგადოებამ წერა-კითხვას და წიგნების ბეჭდვას მიჰყო ხელი (კარგი კიდეე, რომ მაინცადამაინც ბევრი წიგნები არ დაუბეჭდია ამ საზოგადოებას, თორემ მაშინ ეეღარ აუვიდოდა ბ. მაჩხანელის ყეედრეასს), როცა ჩეენოვის სააღებ-მიცემო და საბირჟო საქმეები იყო საჭიროვო, და მერე ამნაირად უკიჟინა იმათ, ვინც სკოლების დაარსებაზე იღწვიან: „სწორედ დიდი სირცხვილია, ღვინო არსად იყოს და ყვიროდეთ კი: ტიკები, ტიკები!.. ღვინო მიირთვით, ღვინო!.. რატომ ღვინოს არ უწყალობებთ საზოგადო საქმეს, თქვე უკულმართებო!“ („ივ.“ № 186) *).

ამნაირად უკულმართნი არიან ბ. მაჩხანელის თვალში ისინი, ვინც სახალხო სკოლებზე იღწვიან და სააღებ-მიცემო საქმეებს ხელიდან უშვებენ. ჩვენ კი მაინც არ დაეეცემით სულიერათ და სრულს იმედს ვიქონიებთ, რომ ჩვენი სოფლის მასწავლებლები წინანდელზე უკეთ განაგრძობენ თავიანთ წმინდა მოვალეობას და მიაწვდიან ხალხს იმ „ღვინოს“-კი არა, რომელსაც ტიკებში ასხამენ, არამედ იმას, რომელიც ადამიანის ჭკუა-გონებას გაანათლებს.

III

ზემოთ ნათქვამიდან მკითხველი ადვილად დაინახავდა, თუ რა აზრისაა ბ. მაჩხანელი ხალხის გონებრივ განვითარებაზე საერთოდ და, კერძოდ, სახალხო სწავლა-განათლებაზე, რომელიც მას სწამს მხოლოდ მდიდრებისათვის. აქედან, რასაკვირველია, ის პირდაპირი დასკვნა გამოდის, რომ სწავლა-განათლება რაღაც თავის თავად an und für sich ჩნდება, ცხოვრების უმიმართებოდ მაშინ, როცა სწავლა-განათლებას იმდენათ აქვს მნიშვნელობა, რამდენათაც ის ხელს უწყობს ხალხის ყოველმხრივ წარმატებას და კეთილდღეობას, ე. ი. რაც ბ. მაჩხანელისათვის მიზნად ჩნდება, an sich, ის ჩვენთვის მხოლოდ საშუალებაა. აი, პრინციპიალური წერტილი, რომელზედაც ბ. მაჩხანელი და ჩვენ ვსცილდებით ერთი მეორეს.

ბ. მაჩხანელის ამნაირ შეხედულებიდან ხალხის ნივთიერ სიმდიდრეს და გონებრივ განვითარებაზე ბუნებრივად გამომდინარეობს მეორე მისი პრინციპიალური შეხედულება იმის შესახებ, თუ რაზეა დამოკიდებული ქვეყნის ავ-კარგიანობა, ე. ი. მისი კეთილდღეობა. ამ შემთხვევაში ავტორის აზრის გასაგებად მოვიყვანოთ აქ სიტყვა-სიტყვით მისი მსჯელობა ამ საგნის შესახებ, მით უფრო, რომ ის რამოდენიმე სიტყვაში ძლიერ ნათლად ჰხატავს თავის აზრს: ქ ვ ე ყ ნ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ავ-კარგიანობა — ამბობს ის — ქ ვ ე ყ ნ ი ს ქ ო ნ ე ბ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ზ ე ჰ კ ი დ ი ა და ქონების რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყნის აღებ-მიცემობის ავ-კარგიანობაზედ. მაშასადამე — დაასკვნის ბ. მაჩხანე-

---

*) აქ არ შეგვიძლია არ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ერთ ფრიად სამწუხარო გარემოებაზე. ჩვენ ვიმბობთ ჩვენი თანამედროვე პოეტის წერილზე პეტერბურგის სტუდენტების მიმართ, რომელშიაც ეს პოეტი ამბობდა, რომ მას არა სწამს სილატაკით მოპოებული სწავლა („ივ.“ № 188). მაშ, რასაკვირველია, მას ეწამება მხოლოდ სიმდიდრით მოპოებული.

ლი — როგორც გარეჯა-შრომა (გარეჯა-შრომაზე ჩვენ მეორე ალაგას გვექნება საუბარი). ისეც აღებ-მიცემრბა სათავეა ნივთიერ ცხოვრების ჰირისაც და ლხინისაც, წარმატებისაც და შეფერხებისაც" („იერ." № 150). უფრო ბნელად და ამასთანავე დაბნეულად ავტორი ამასვე ამბობს მეორე ალაგას: „სიმდიდრე გონება-ქონებისა" (გონება-ქონება! ავტორს ეტყობა ძლიერ უყვარს სიტყვებით თამაში!) სათავეა ქვეყნის მრავალგვარ კეთილდღეობისა" („ივ." № 143).

ამნაირად ავტორი გვარწმუნებს, რომ ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია მხოლოდ „ქვეყნის ქონების რაოდენობაზედ". რამდენადაც მეტი ქონება არის მოგროვილი რომელიმე ქვეყანაში, იმდენად მისი საზოგადო კეთილდღეობა მაღლა სდგას. ბ. მაჩხანელის თვალში ის სულ ერთია, ვის ხელშია მოგროვილი ეს ქონებრივი სიმდიდრე, ან როგორ არის განაწილებული ქვეყნის აუარებელი სიმდიდრე: ეს სიმდიდრე ერთი ანუ რამდენიმე პირების ხელშია, თუ უმრავლესობაშია განაწილებული. ამ უკანასკნელ კითხვას, ე. ი. წარმოების ნაყოფთა განაწილებას ის სულ არ ეხება, ვითომც იმას არაფითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ამისათვისაც არის. რომ ინგლისს ავტორი ამ შემთხვევაში სამაგალითო ქვეყნად სთვლის და ამბობს, რომ „იმაზედ მდიდრულად არავინ სცხოვრობსო" („ივ." № 143). ცხადია, თუ ავტორის ზემონათქვამი თეორია მართალია, მაშინ რასაკვირველია, ინგლისს აბა რომელი ქვეყანა ანუ რომელი ერი შეედრება ნივთიერ სიმდიდრის მოგროვებით? მაგრამ ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ ამ სამაგალითო ინგლისის ნახევარი შეადგენს 150 პირების საკუთრებას, შოტლანდიის ნახევარი ეკუთვნის 10 თუ 12 პირს და მთელი ირლანდია გაყოფილია 15 პირს შორის (Letourneau. L'evolution de la propriété. 1889).

ახლა ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რას ნიშნავს ბ. მაჩხანელის სიტყვები: „ინგლისზედ მდიდრულად არავინ ცხოვრობსო". ეკვი არ არის, რომ ბ. მაჩხანელს. როცა ის ამ სიტყვებს სწერდა, მარტო ეს აუარებელ საკუთრებათა მქონენი ჰქონდა სახეში და არა უმრავლესობა ანუ მწარმოებელი ხალხი. უამისოდ მის სიტყვებს, როგორც ქვემოდ დავინახავთ, არაფითარი მნიშვნელობა არ აქვს.

რომ ქონებათა რაოდენობა არ არის ნამდვილი გარანტია ქვეყნის კეთილდღეობისა, ამას თვალსაჩინოდ თვით ინგლისი გვიმტკიცებს. ბ. მაჩხანელი მართლა იმაში კი არ სცდება, რომ ინგლისს ერთ უმდიდრეს ქვეყანად სთვლის, ის სცდება, როცა მას ჰსურს ამ ნივთიერი სიმდიდრიდან გამოიყვანოს მთელი ქვეყნის ანუ საზოგადო კეთილდღეობა. ინგლისის სიმდიდრე საკმარისად ცნობილია ყველასათვის და ამაზედ საუბარს ჩვენ ახლა მეტად ვსთვლით. აქ მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს იმის აღნიშვნა, თუ რას ვხედავთ ამ აუარებელ სიმდიდრის გვერდზე? ამ უკანასკნელი კითხვის პასუხის მისაგებად სრულიად საკმარისია ის ფაქტები, რომლებიც აღნიშნულია კარლ მარქსის უკვდავ „Das Kapital"-ში *). ეს ფაქტები ჩვენ აშკარად გვეუბნებიან, რომ კერძო პირების ხელში იმ-

*) სრული სათაური ამ თხზულებისა, რომელმაც შეიქმნა ახალი ეპოქა პოლიტიკურ ეკონომიის მეცნიერებაში, არის: Das Kapital. Kritik der politischen Oeconomie. 1 band. Productions process des Kapitals. ეს ტომი პირველად გამოიცა 1867 წ. შემდეგ მეორე ტომი:

დენად გროვდებოდა სიმდიდრე, რამდენად უფრო მეტ პირებს, სახელდობრ მუშებს, ერთმეორდ მათივე შრომის ნაყოფი. ამნაირად კერძო პირების სიმდიდრე იმდენად იზრდებოდა, და დღემდისაც იზრდება, რამდენათაც მრავლდებოდა რიცხვი იმ საზოგადოებრივი კლასისა, რომლიდანაც კაპიტალისტები სწურავენ ყოველნაირ სარგებლობას. ეს, ე. ი. სხვისი ნაშრომ-ნაღვაწის მითვისება, შეადგენს იმ წესწყობილების არსებას, რომელსაც კ. მარქსმა უწოდა კაპიტალისტური წესწყობილება, კაპიტალისტური წარმოება, და რომელსაც ბ. მაჩხანელი გუნდრუკს უკმევს.

რაც შეეხება კაპიტალისტური წესწყობილების მიერ შექმნილ ეგრედწოდებულ „მეოთხე წოდების" ნივთიერ მდგომარეობას, მის კეთილდღეობას, ამის შესახებ ჩვენ a priori-ულადაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რანაირი უნდა იყოს ნივთიერი კეთილდღეობა იმ პირისა, რომლის ნაშრომ-ნაღვაწს ითვისებს სხვა. მაგრამ ამის შესახებ დაუფასებელი ისტორიული მასალაა შეკრებილი, როგორც „კაპიტალში", ისე ფრიდ. ენგელსის „Die Lage der Arbeitenden in England" (1845 წ.) და მრავალი სხვა. ამ მასალის მეოხებით ჩვენ ვტყობილობთ, თუ როგორი იყო მწარმოებელი ხალხის ნივთიერი მდგომარეობა მეთექვსმეტე საუკუნედან ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე. ძალდატანებითი ხარჯვა სამუშაო ძალისა, თავშეყრილი ცხოვრება ბნელ ნესტიან შენობებში, ნივთიერი სიღატაკე, გონებრივი და ზნეობრივი სიბნელე, ფიზიკური უძლურება, ქალების და მცირე წლოვანი ბავშვების უზომო შრომა და სხვ. აი რა წარმოგვიდგება ჩვენ თვალწინ ამ ფაქტების შესწავლის შემდეგ.

ერთი სიტყვით ადამიანი გაკვირვებაში მოდის, თუ როგორ შეეძლო მუშა ხალხს იმ ტანჯვათა და უბედურებათა ატანა, რომლებიც არსებობენ იმ ქვეყანაში, რომელზედაც ბ. მაჩხანელი ამბობს: „იმაზედ მდიდრულად არავინ სცხოვრობსო". ამ უკანასკნელ წლებშიაც ამ მუშა ხალხის მდგომარეობა არაფერს სახარბიელო რასმეს არ წარმოადგენს ნივთიერი ქონების მხრივ; თუმცა მუშა ხალხს ინგლისში, როგორც ყოველგან ევროპაში, დაეტყო შესამჩნევად გონებრივი წინწაწევა, რაც იხატება სხვადასხვა კანონიერ მოთხოვნილებებში, რომლებსაც მუშები აცხადებენ კაპიტალისტების წინაშე, მაგალ. რვა საათის სამუშაო დღე, საყოველთაო საარჩევნო კანონი, etc. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი ღირსშესანიშნავი გარემოება, რომელმაც ძლიერ დააფიშვანა მთელი ბურჟუაზიული ქვეყანა, გამოწვეულია არა ქონებათა რაოდენობის გაზრდის გამო. არამედ დაჩაგრული წოდების საზოგადოებრივი ცნობიერობის წინწაწევით.

ამნაირად, როგორც ჩვენ ვხედავთ, ქვეყნის კეთილდღეობა სრულებით არ არის დამოკიდებული ქვეყნის ქონების რაოდენობაზე. მაგრამ ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ ეითომც ქონების რაოდენობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს ხალხის ცხოვრებაში. ჩვენ ვამტკიცებთ მხოლოდ იმას, რომ ხალხის საზოგადო

Der circulations process des Kapitals. „Das Kapital"-ი არის იმ საფუძველთა გაგრძელება, რომლებიც კ. მარქსს კიდევ 1859 წ. გაეკვეთა თავის: „Zur Kritik der politischen Oeconomie".

კეთილდღეობა პირველყოველისა დამოკიდებულია წარმოების ნაყოფთა განაწილებისაგან. ამის საბუთს წარმოადგენს. როგორც ახლანდელი ინგლისი კერძოდ. ისე მთელი ევროპა საერთოდ. ახლა ვიკითხოთ, თუ რა საფუძველი ჰქონდა ბ. მაჩხანელს, როცა ის სახალხო კეთილდღეობას ამყარებდა ქვეყნის ქონების რაოდენობაზედ *)? მას არ წარმოუდგენია ამის დასამტკიცებლად არც ისტორიული და არც სხვა რაიმე საბუთი. მაგრამ ამაზე ნაკლებ უსაფუძვლო არაა მეორე მისი რწმუნება, ვითომც „ქონების რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყნის აღებ-მიცემობის ავ-კარგიანობაზედ" („იკერ." № 150).

საიდან მივიდა ბ. მაჩხანელი ამ დასკვნამდე? მის სტატიაში ჩვენ ამის შესახებ სრულიად ვერაფერს ვერ ვპოვებთ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ბ. მაჩხანელი ყოველგვარ ანალიზს ზურგს აქცევს და ისე მოულოდნელად გაისერგამოისვრის წითელ-წითელ ფრაზებს. მარტო იმას შეუძლია ამისთანა ფრაზების წარმოთქმა, ვინც ან სრულებით არ ჰფიქრობს, რაზედაც სწერს, ან სრულებით არ ესმის ის, რაზედაც ლაპარაკობს. სულ უმარტივესი ცოდნაც საკმარისია პოლიტიკურ ეკონომიიდან იმის დასამტკიცებლად, რომ ქონების რაოდენობას არაკითარი დამოკიდებულება არ აქვს აღებ-მიცემობის ანუ ყიდვა-გაყიდვის ავ-კარგიანობასთან. ექვი არ არის, რომ ავტორს სახეში აქვს დღევანდელი კაპიტალისტური წარმოება და არა წინანდელი, კომუნისტური, რადგანაც მაშინ ყიდვა-გაყიდვის ხსენებაც არ იყო. თუმცა ამასთანავე ავტორი ჩვენ არ გვიხსნის, თუ რაში მდგომარეობს აღებ-მიცემობის ავ-კარგი, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ კარგ აღებ-მიცემობას უძახის იმას, როცა იცვლება ერთმანეთშორის ორი თანასწორი ღირებულება, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის ერთ და იმავე რაოდენობის საზოგადოებრივ აუცილებელ შრომას (კ. მარქსი); წინააღმდეგ შემთხვევაში აღებ-მიცემობა იქნება არანორმალური და, მაშასადამე, უვარგისი. მაგრამ კაპიტალისტურ წესწყობილებაში უფრო მეფობს ეს მეორე მოვლენა, რომელიც მდგომარეობს საბაზრო ფასის მუდმივ რყევა-ქანაობაში ხან ერთ მხარეს, ხან მეორეს. საქონლის საბაზრო ფასის ეს მუდმივი რყევა-ქანაობა შეადგენს კაპიტალისტურ წესწყობილების კანონს, რომელსაც ის ცოტად თუ ბევრად ექვემდებარება თავის განვითარების ყველა სტადიაზე.

მაშასადამე სად უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ საბაზრო ფასი მუდამ რყევაშია: ხან აიწევა, ხან დაიწევა? ამ შესანიშნავი მოვლენის მიზეზი უთუოდ უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ სავაჭრო საქონელთა წარმოება კაპიტალისტურ წესწყობილებაში სრულიად არ ექვემდებარება ხალხის მოთხოვნილებებს და საჭიროებებს: კაპიტალისტები ჰხედავენ მხოლოდ სავაჭრო საქონლების ერთმანეთთან დამოკიდებულებებს, ვითომც ნივთების გაცვლა-გამოცვლა სწარმო-

*) პოლიტიკური ეკონომიის მამათ-მთავარი. ადამ სმიტი, თუ ამბობდა: „აუარებელი ზრდა წარმოებათა რაოდენობისა ყველანაირ სახელოსნოში. რომელიც (ზრდა) გამოდის შრომის გაყოფისაგან კეთილ განწყობილ საზოგადოებაში, იწვევს საზოგადო კეთილდღეობას. რომელიც ეცილდება ხალხის უკანასკნელ წოდებამდის" („Исследование о природе и богат. народов", т. I. 107), ვიმეორებთ, თუ ამას ამბობდა ადამ სმიტი, ეს მხოლოდ იმიტომ. რომ მაშინ არ იყო გამწვავებული კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგობანი, რაც მხოლოდ მის შემდეგ გამოაშკარავდა.

ებს თავის თავად, ადამიანურ განწყობილებათა გარეშე. კაპიტალისტების თვალში სავაჭრო ნივთები ამ სახით რაღაც ჯადოებათ იქცევიან და ეი სწორედ ამ მოვლენას სამართლიანად უწოდა კ. მარქსმა ფეტიშიზმი (fetische ნაშნავს კერპის გამოხატულებას ანუ პირდაპირ კერპს). მაგრამ სწორედ ეს მოვლენა, ე. ი. სავაჭრო საქონლების გაღმერთება, სასტიკად სჯის, როგორც თვით კაპიტალისტებს, ისე უფრო შრომის წარმომადგენლებს: სავაჭრო საქონლები მზადდებიან მომეტებული რაოდენობით; ამისათვის სავაჭრო ნივთების ბაზრული ფასი თანდათან იწევა. სანამ არ დადგება ეგრეოდწოდებული საალებ-მიცემო კრიზისი, რომელზედაც კ. მარქსი ამბობს: „კრიზისების დროს ჩნდება ეპიდემია (გადამდები სენი), რომელიც ყველა წინა საუკუნეებში მოგვეჩვენებოდა სისულელეთ. — ეს არის სენი ჭარბი წარმოებისა; შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ საშინელმა სიმშილმა ანუ საყოველთაო და სასტიკმა ომიანობამ წაართვა მას (წარმოებას) ყოველნაირი სასიცოცხლო საშვალებანი".

ახლა ბ. მაჩხანელს ვკითხოთ: რა იწვევს ამ საზარელ საალებ-მიცემო მოვლენის კრიზისებს? ბ. მაჩხანელი იძულებული იქნება მოგვიგოს, რომ ჭარბი წარმოებაო, რადგანაც მეტი გასავალი უკვე აღარ აქვს. რაღაა ეს ჭარბი წარმოება? სავაჭრო საქონლების აუარებელი რიცხვი, რომლებსაც გასავალი აღარ აქვთ საქვეყნო ბაზარზე. როგორ გსურთ ამ შემთხვევაში გაუმჯობესოთ საქმის მიმდინარეობა? ბ. მაჩხანელი გვეუბნება, რომ ქონების (სავაჭრო საქონლების) რაოდენობა დამოკიდებულია აღებ-მიცემის ავ-კარგიანობისაგანო. მაშასადამე, ჩვენ უნდა ვეცადოთ გავაუმჯობესოთ აღებ-მიცემობა, ე. ი. დავამკვიდროთ სავაჭრო საქონლების ყიდვა-გაყიდვა თანასწორ ღირებულებაზე. მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იმდენი სავაჭრო ნივთები დამზადდება, რაც საზოგადოების ყოველგვარ საჭიროებას და მოთხოვნილებას დაკმაყოფილებს მხოლოდ. და არა ზედმეტი. საუბედუროდ, კაპიტალისტურ წესწყობილებაში ამნაირი შეთანხმება წარმოების საზოგადოების მოთხოვნილებებთან ყოვლად შეუძლებელი საქმეა; ეს გარემოება არის ერთი იმ წინააღმდეგობათაგანი, რომლებსაც ჰბადებს კაპიტალისტური წარმოება. აქ ჩვენ ცხადათ ვხედავთ, თუ რაზე არის დამოკიდებული თვით აღებ-მიცემობის ავ-კარგიანობა. სულ ცოტა გამჭრიახობაც საკმარისია იმის გასაგებად, რომ თვით აღებ-მიცემობის ავ-კარგიანობა დამოკიდებულია სავაჭრო საქონელთა რაოდენობაზე: თუ ზედმეტია დამზადილი და გამოტანილი საქონლები ბაზარზე, მაშინ ნაკლებია იმათი ფასი, და პირიქით.

ამნაირად, ჩვენ შეგვეძლო დაგვემტკიცებია ბ. მაჩხანელისათვის, რომ კაპიტალისტურ წესწყობილებაში ვერაფერს არგებდა საქმის ავ-კარგიანობას, თუნდ რომ ერთი საღირალი იცვლებოდეს თანასწორ საღირალზე, რის თვალსაჩინო და ღირსშესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს მუშის დღიური ფასი, მაგრამ ამის ანალიზი ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანდა და ამიტომ აქ ამას აღარ ვეხებით.

IV

ჩვენ კიდევ ამ წერილის თავშივე შევეხეთ რამდენიმედ იმ კითხვას, თუ რანაირად ესმის ჩვენს ავტორს „გვარჯა-შრომა"; ვეცდებით ამის შესახებ ძალიან

არ გავაგრძელოთ საუბარი. „დაუცხრომელი გარჯა-შრომა — ამბობს ავტორი — წყაროა გონებრივი და ზნეობრივი სიმდიდრისა და სიმდიდრე გონება-ქონებისა — სათავეა ქვეყნის მრავალგვარ კეთილდღეობისა“ და სხვ. („ივ.“ № 143). ამ კატეგორიულ მსჯელობას ბ. მაჩხანელი არ უსვამს არავითარ პირობებს, მას მიაჩნია ეს რაღაც შეურყეველ ჭეშმარიტებად მაშინ, როცა ჩვენ ვიცით, თუ რას წარმოადგენს შრომის წარმომადგენელი ხალხი სხვადასხვა სახელმწიფოებში. მაგრამ. შეიძლება, ბ. მაჩხანელმა მოგვიგოს, რომ მუშა ხალხის საზარელი მდგომარეობა წარმოსდგება იქიდან, რომ „ის დაუცხრომელად არ მუშაობსო“. მაგრამ ეს პირდაპირი ცილის წამება იქნება, რადგანაც ჩვენ ვიცით ნამდვილი ფაქტებიდან, რომ ყოველდღიურმა ძალდატანებითი სამუშაო ძალის ხარჯვამ თითქმის კინალამ გადაშენებამდე მიიყვანა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მთელი ინგლისის მუშა ხალხი. ნუ თუ დღე და ღამის განმავლობაში 16–18 საათის შეუსვენებელი მუშაობა „დაუცხრომელ შრომად“ არ უნდა ჩაითვალოს? ეს კიდევ არაუერი, იყო ისეთი შემთხვევები, როცა სხვადასხვა ხელობის მუშები მუშაობდენ შეუსვენებლად 30–40 საათის განმავლობაში; თითქმის პაწაწკინა ბავშვებიც არ იყვენ ამ საუკუნის ნახევრამდის დაცული ამნაირი მხეცური მოქცევისაგან. აქ იმაზე ალარ გავაგრძელებთ სიტყვას, თუ რანაირ მწუხარებაში და ტანჯვაში ატარებდნენ ცხოვრებას ეს „უბედურების შვილნი“, რომლებიც ბ. მაჩხანელის ლოღიკით სრული ბედნიერნი უნდა ყოფილიყვენ. საინტერესო ცნობებს ამის შესახებ მკითხველი იპოვნის ჩვენს მიერ უკვე დასახელებულ კ. მარქსის და ფრ. ენგელსის თხზულებებში *).

მაგრამ ყველა ამაზე ბ. მაჩხანელს შეუძლია გვიპასუხოს, რომ მე ვამბობ მხოლოდ გონივრულ გარჯა-შრომაზე და, რა ჩემი ბრალია, რომ მუშა ხალხი, როგორც უმეცრული შრომის წარმომადგენელი, საშინლად იტანჯებაო. ჩვენ იმას თავი დავანებოთ, რომ აქ ბ. მაჩხანელი თავის თავს ეწინააღმდეგება ნივთიერ და გონებრივი განვითარების შესახებ. ჩვენ მივაქციოთ მხოლოდ ყურადღება, თუ როგორ ესმის ბ. მაჩხანელს გონივრული გარჯა-შრომა. ის ამბობს: „გარჯა-შრომა ორნაირია: გონივრული და უმეცრული“ („ივ.“ № 143). მაგრამ. სამწუხაროდ ავტორი, როგორც ყოველთვის, სრულებით არ გვიხსნის, თუ რას ნიშნავს ეს „გონივრული და უმეცრული გარჯა-შრომა“, მაშინ, როცა ეს საგანი ყველაზე უფრო საინტერესო იყო ჩვენთვის.

ამნაირად თუმცა ავტორმა დაიზარა ამ კითხვის თეორიულად განმარტება, მაგრამ ერთი მისი მაგალითიდან ჩვენ ადვილად შეგვიძლია ვიგულისხმოთ, თუ როგორ შეუქმნია მას ეს საგანი. „ინგლისელებზე უნაყოფო დედამიწა — ამბობს ბ. მაჩხანელი — არავისა აქვს და საზოგადოთ იმათზედ მდიდრულად არავინა სცხოვრობს, რადგანაც იმათმა დაუცხრომელმა გარჯა-შრომის გონივრულმა უნარმა თვით უნაყოფო სალ-კლდეებსაც კი კეთილი ნაყოფი გამოაღებინა. ჩვენზედ ნაყოფიერი მიწა-წყალი თითქმის მთელს დედამიწის ზურგზედაც არავის

*) დიდ სარგებლობას მიუტანს აგრეთვე მკითხველს ლეონ ბრენტანის თხზულება. Die Arbeitergilden der Gegenwart, რომელიც შეიცავს ისტორიას ეგრედწოდებული „Trade unions“-ისტების მუშათა კორპორაციებისას.

აქვს და ჩვენის გლეხკაცისთანა ჭირ-ვარამიან ცხოვრებას თვით აფრიკის ველურებიც (!) არ ატარებენ" (?) („ივ." № 143).

აქედან ცხადია, რომ, როცა ბ. მაჩხანელი ლაპარაკობს გონიერულ გარჯა-შრომაზე, იმას სახეში აქვს მხოლოდ ტეხნიკური გაუმჯობესება შრომის იარაღთა, ე. ი. შრომის საწარმოო ძალის აწევა. მაგრამ შეეძლო თუ არა, შრომის მარტო ტეხნიკურ გაუმჯობესებას მისი შესაფერად დაჯილდოება? ამ კითხვას ბ. მაჩხანელი, სამწუხაროდ სულ არ ეხება მაშინ, როცა მხოლოდ ამ კითხვის გამორკვევისაგან შეგვიძლია ჩვენ შევადგინოთ სწორი და ნამდვილი წარმოდგენა ხსენებულ საგანზე. ეგრედწოდებულ „მანქანურ წარმოების" ისტორიამ დაგვიმტკიცა ჩვენ, რომ მანქანების შემოღებიდან არა თუ შემცირდა სამუშაო დღე და გაუმჯობესდა მუშა ხალხის ნივთიერი მდგომარეობა, არამედ ყოველნაირი ლოდინის წინააღმდეგ სამუშაო დღემაც იმატა *) და ნივთიერ მდგომარეობამაც შედარებით ძლიერ დაიწია.

მაშასადამე, მანქანების ჭეშმარიტი დანიშნულება — სამუშაო დღის შემცირება და მწარმოებელი მასსების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება — დავიწყებულ იქნა და მანქანები სამუშაო ძალის კიდევ უფრო მეტ საექსპლოატაციო საშუალებად გადაიქცენ. შევნიშნავთ აქვე, რომ ეს გარემოებაც კაპიტალისტური წესწყობილების ერთს წინააღმდეგობათაგანს შეადგენს, რომელიც ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა დაირღვეს, რომ მის ნანგრევებზე აშენდეს სულ სხვანაირად შემდგარი წესწყობილება, რომელშიაც აღარ ექნება ალაგი ერთის ნაშრომ-ნაღვაწის მეორეს მიერ მითვისებას. ახლა კი, როცა ჩვენ ამის სრულ წინააღმდეგობას ვხედავთ, მკითხველი თვითონ მიხვდება, თუ რამდენათ მართალია ბ. მაჩხანელი, როცა ის ამნაირ „გონიერულ გარჯა-შრომაზე ლაპარაკობს. ბ. მაჩხანელი უფრო კარგს იზამდა, რომ მუშა ხალხის გონებრივ განვითარებაზე და საზოგადო ცნობიერების აღორძინებაზე მიექცია თავის უმთავრესი ყურადღება; მაგრამ, როგორც ჩვენ ვიცით, ეს უკანასკნელი ფაქტორი იმას მომეტებულ მედიდურობად მიაჩნია.

V

სანამ ბ. მაჩხანელის „ლიმფაზე", ე. ი. მის მიერ გამოგონილ წამალზე გადავიდოდეთ, ჩვენ გვსურს მოკლედ განვიხილოთ კიდევ ბ. მაჩხანელის მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ექცეოდეს მთავრობა და ინტელიგენცია უვიც ხალხს სხვადასხვა საკეთილდღეო ზომების შემოღებაში. მაგრამ ამ შემთხვევაში ბ. მაჩხანელი სულ სხვანაირად იქცევა: როგორც მკითხველი შენიშნავდა ზემოთ, ბ. მაჩხანელი სრულიად არ სცდილობდა თავის აზრის დასაბუთე-

*) კიდევ უნდა გავახსენო მკითხველს, რომ სამუშაო დღემ ამ უკანასკნელ წლებში დასავლეთ ევროპაში შესამჩნევად იკლო შედარებით, მაგრამ ეს გარემოება გამოწვეულია თვით ბუშა-ხალხის განვითარებით გონებრივად. ბრძოლა ამ სამუშაო დღის შესამცირებლად ჩვენს დროში უფრო მატულობს. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ბრძოლა დიდათ ძვირად უჯდება ბუშა ხალხს.

ბას. ახლა კი ავტორი თავის აზრს ამტკიცებს სხვადასხვა მოსაზრებით, თუმცა ყველა ეს მოსაზრებანი მოკლებული არიან ყოველნაირ გამჭრიახობას.

ჩვენ ავტორს არა სწამს არავითარი ძალა გაუნათლებელ ხალხში; ის სცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ხალხს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო, არც მეტს, არც ნაკლებსო. ამისათვის მისი აზრით, გაუნათლებელ ხალხის წინ წაწევა არ შეიძლება მთავრობის ძალა-დაუტანებლად: ავტორის აზრით სულერთია, მომზადებულია ხალხი რაიმე ახალი რეფორმის შემოსაღებლად თუ არა; ამ უკანასკნელ გარემოებას ავტორის თვალში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. რაიმე ახალი რეფორმის შემოღებისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ მთავრობამ სავალდებულო გახადოს ის ყველასათვის და ამასთანავე ინტელიგენციამ კეერი დაჭრას მთავრობის ნათქვამს და უქადაგოს ხალხს. რომ სწორედ ეს არის საუკუნო ნეტარება. რომელსაც ყველანი უნდა ელტვოდენ საცხონებლად. „აკი მოგახსენეთო — ამბობს ბ. მაჩხანელი — წინმსველელობის საქმეში უეიკი ხალხიც ოგივე ბალღია და სწავლა რომ მარტო ბალღის ნებაყოფლობაზე მიაგდოთ, ის მარტო ალოლლოტია ბიჭა-ბუჭებში რბენას ირჩევს და წიგნში კი ერთხელაც არ ჩაიხედავს. აოა თუ ბალღი — განაგრძობს ავტორი — თვით დიდებული გენიოსიც კი გაჩანჩურივანიჩდება, ი მ ი ს ს უ ლ ს რ ო მ ძ ა ლ ა დ ს ა მ ო ქ მ ე დ ებ ე ლ ი ძ ა ლ ა გ ა მ ო ე ლ ი ო ს. მაშასადამე, დაასკვნის ბ. მაჩხანელი — საკეთილო ძალდატანება უდიდებულეს მადლის დამბადებელი ყოფილა და უიმისოდ-კი ყურაქვიტა გენიოსიც გაჩანჩურივანიჩდებოდა და ქვეყნის რეგრესზედ შეიცვლებოდაო" („ივ." № 176).

მეთვრამეტე საუკუნეში არსებობდა ერთნაირი ფილოსოფიური სკოლა, რომელიც ამტკიცებდა, რომ კაცობრიობა იმიტომ ვარდებოდა განსაცდელში და იტანჯებოდა, რომ ის იყო სულელი და გაუნათლებელი; მაგრამ მე-XVIII საუკუნეში ამოვიდა მზე გონებისა და კაცობრიობა ახლა განათლდება და, მაშასადამე, ერთბაშად შეიქნება ბედნიერიო. ამნაირი აზროვნება, რასაკვირველია, დღევანდელი მეცნიერების შეხედულებით პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონთა თანხმობის ყოველნაირ ცნებას. დღევანდელი მეცნიერება გვეუბნება, რომ თუ წინათ კაცობრიობა სულელი იყო და განსაცდელში შედიოდა. — ყოველივე ეს დამოკიდებული იყო სხვადასხვა საზოგადოებრივ განწყობილებებზე. ამიტომ არავითარ „გონების მზეს" არ შეუძლია ერთბაშად ბედნიერი გახადოს კაცობრიობა, თუ ჯერ საზოგადოებრივი განწყობილებანი არ შეიცვლებიან. მაგრამ ამ განწყობილებათა შეცვლა არ შეუძლია არავითარ გარეგან შთაგონებას და მით უფრო არავითარ რეფორმას. ამ განწყობილებათა შეცვლა დამოკიდებულია არსებობისათვის ბრძოლის პირობებზე. შეიცვლებიან ეს პირობები, შეიცვლებიან ამათგანვე გამოწვეული საზოგადოებრივი განწყობილებანიც. მაშასადამე. აქ მეფობს შინაგანი ლოლიკა, მოვლენათა კანონების სრული თანხმობა, რომელიც განმარტა ჰენგელსმა და კ. მარქსმა. მაგრამ თუ მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფოსებმა დაუშვეს ამ საგნის შესახებ დიდი შცდომა, ჩვენს დროში ამნაირი შეცდომის განმეორება სწორედ რომ დიდ დანაშაულებად ჩაითვლება.

რაც შეეხება ბ. მაჩხანელს, ამ საგნის შესახებ მან გამოსთქვა სრულიად თავისებური და უკუღმართი შეხედულებანი. მაგალითად, ის ხალხს ადარებს

უბრალო ბალღს, რომელიც თავის ნებით წიგნში არასდროს არ ჩაიხედავს. მაგრამ ნუ თუ ავტორმა არ იცის, რომ ბალღი მუდამ ბალღად არა რჩება, რომ ის თანდათან სიკაბუკეში შედის და მერე ვაჟკაცად იქცევა, რომ ამისდამიხედვით ბალღობას ტოვებს და უფრო განვითარებულ ეკუა-გონებას იძენს? ჩვენ გვგონია, რომ ამ თვალსაჩინო ფაქტს მაინც ველარ უარყოფს ჩვენი ავტორი. მაგრამ ეს საზოგადო განვითარების კანონი თუ მართალია ცალკე ადამიანის შესახებ, ნუ თუ ეს მართალი არ იქნება მთელი ხალხის შესახებ? რათ არ შეიძლება დაუშვათ, რომ ხალხიც თანდათან ზრდასთან ერთად იმატებს, როგორც ეკუა-გონებას, ისე ყოველნაირ გამოცდილებას, რაც საფუძვლად ედება მის ყოველნაირ განვითარებას? ჩვენ სწორედ არ გვესმის, რათ ყავს ბ. მაჩხენელს ხალხი ყოველ სტადიაზე წარმოდგენილი ბალღურ მდგომარეობაში. მაგრამ ესეც რომ მართალი იყოს, ბ. მაჩხანელის ყოფა-ქცევა ამ ბალღებთან მაინც მოკლებულია ყოველნაირ პედაგოგიურ მოსაზრებას. ნუ თუ ბალღის გამოზრდა გარეგანი ბრძანებების მეოხებით შეიძლება?

ახლა მივმართოთ ისტორიას.

ისტორია გვეუბნება ჩვენ, რომ ყველანაირი ცვლილება პირველად იბადებოდა თვით ხალხში, თანდათან იძენდა ძალას და მხოლოდ მერე მთავრობა იძულებული ხდებოდა ეცნო ეს ცვლილება კანონიერად. რაც შეეხება იმნაირ ცვლილებებს, რომლებიც იწყებოდენ მთავრობიდან და რომელთათვის არ იყო მომზადებული ნიადაგი ხალხში, იმათ ვნების გარდა არა მოჰქონდათ რა მისთვის, თუნდაც რომ ძლიერ სასარგებლოც ყოფილიყვენ ისინი. ეს მიღებულია ჩვენს დროში როგორც საყოველთაო ისტორიული კანონი. მაგრამ რას იზამთ, როცა ბ. მაჩხანელი სხვადასხვა მაგალითებითაც კი ამტკიცებს თავის აზრს. ის ამბობს, მაგალ. რომ სწავლის სავალდებულოდ აღიარება ყოველგან დიდ ბედნიერებას შეადგენსო. სწავლის წინააღმდეგი ვინღა არის ჩვენს დროში, მაგრამ ამასაც გაჰნია თავის განსაზღვრული საზოგადოებრივი პირობები. არის იმისთანა სტადია ხალხის ცხოვრებაში, როცა სწავლის სავალდებულოდ გახდომა მარტო ვნებას მოუტანდა საზოგადოებას. როგორ თუ ვნებასო? წამოიძახებს ალბად ავტორი, — განა სავალდებულო სწავლას საფრანგეთში ვნება მოაქვსო? საქმეც ის არის, ბ. მაჩხანელო, რომ თქვენ შემცდარი ხართ, როცა ამტკიცებთ („ივ.“ № 176), ვითომც საფრანგეთის მთავრობას ძლიერ მოსდომებოდეს საფრანგეთის გლეხ-კაცობის განათლება და იმიტომ, ვიღაც საბრალო ლიბერალების შთაგონებით, გაეხადოს სწავლა სავალდებულოდ მდაბიო ხალხში, რომ ვითომც, როგორც ეს დაკანონება. ისე კიდეე სხვა მრავალი არ ყოფილიყოს გამოწვეული თვით ხალხის პირდაპირი მოთხოვნით. მაშ რაში მდგომარეობს მთელი საფრანგეთის ისტორია და მისი მსოფლიო მნიშვნელობა, თუ არ მთავრობის თანდათან დამორჩილებაში? ამნაირივე დაკანონებანი გამოიცა ახლა ინგლისში; ნუ თუ იმასაც ბ. მაჩხანელი მთავრობას და მის ადეპტებს მიაწერს?

მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენი ავტორის შეხედულებით, გენიოსებიც მთავრობის განკარგულებით იბადებიან ხოლმე. ის პირდაპირ ამბობს: „მთავრობის ძალდაუტანებლად ყურაქვიტა გენიოსიც გაჩანჩურივანიჩდებოდაო“ („ივ.“ № 176). ჩვენ კი ეს სწორედ ვერ წარმოგვიდგენია: ძალდატანებით გე-

ნიოსი! ამისთანა გენიოსები მარტო ბ. მაჩხანელისთვის მიგვინდვია. ისევ მან გამოიყენოს თავის ადმინისტრატიული რეფორმების შესასრულებლად. ვინ იცის შეიძლება მთავრობასაც გამოადგეს ამისთანა „გენიოსები", მაგრამ ხალხს კი სწორედ არ გამოადგება.

ბ. მაჩხანელი კიდევ არ კმარობს ამ საბუთებს. ის სცდილობს კიდევ სხვა ახირებული აზრი წარმოსთქვას. „ბატის ტეინა იქნებოდა—ამბობს—ის ადამიანი, რომელიც ადმინისტრაციას უკიჟინებდა: ხალხს ძალდატანებით კალიას რათ აკლეტინებთ, გზებს რათ აკეთებინებთ"-ო და სხვ. („ივ." № 176). „თუ ამნაირი ფუნქციები მთავრობისა სასურველია ამბობს ბ. მაჩხანელი, რომ სავალდებულოდ იყვენ გახდილნიო, რატომ ის კი არ იქნება სასურველი, რომ ყველანაირი ინიციატივა, ყველანაირი ცვლილება ინტელიგენციის შთაგონებით და მთავრობის ძალდატანებით არ იქმნენ დაწყებულიო". ჩვენ არ ვიცით, როგორი წარმოდგენა აქვს ბ. მაჩხანელს სოციალურ ორგანიზმზე, მაგრამ ამნაირი მისი მსჯელობიდან აშკარად სჩანს, რომ ის სოციალურ ორგანიზმს ამზგავსებს ბიოლოგიურს. ბიოლოგიურ ორგანიზმში იმნაირათ არის შრომა გაყოფილი, რომ ერთი ორგანოები ასრულებენ მუდამ ერთ და იმავე ფუნქციას, მაგალითად, საჭმლის მოსანელებელ იარაღს არ შეუძლია შეასრულოს ფუნქცია სისხლის ბრუნვის იარაღებისა და სხვა. ბ. მაჩხანელიც ამნაირად სჭრის: ის ამბობს, რომ ინტელიგენციამ უნდა მთავრობას შთააგონოს რაიმე ცვლილების შემოღების სარგებლობა, მერე მთავრობამ ეს საეალდებულოდ უნდა გახადოს მდაბიო ხალხისათვის, რომელმაც ეს უსათუოდ სისრულეში უნდა მოიყვანოს.

ამნაირია შრომის განაწილება სოციალურ ორგანიზმში ჩვენი ავტორის წარმოდგენით; თუ ვინიცობაა, თვით ხალხში დაიწყო თავის ჩენა რაიმე ცვლილებამ. ეს პატალოგიური მოვლენაა და მეტი არაფერი, რადგანაც ხალხი ჩვენი ავტორის შეხედულებით ღებულობს ხოლმე მზამზარეულ რასმეს, როგორც მაგალ. სისხლის ბრუნვის იარაღები ღებულობენ მზამზარეულ სისხლს მთელ ორგანიზმში გასავრცელებლად, მაგრამ თვითონ ამ იარაღებს სრულებით არ შეუძლიათ სისხლის დამზადება, რადგანაც ეს უკანასკნელი სულ სხვა იარაღების ფუნქციას შეადგენენ. მაგრამ, არა, ბ. მაჩხანელო, ამ თეორიას თქვენზე უფრო ნასწავლ-მეცნიერნი ყავდა თავის ადეპტებად (დრეპერი, ლილიენფელდი, გერბ. სპენსერი, ბედჯგოტი და სხვ.), მაგრამ ის საკმარისად შეირყა. ამ თეორიას ეწინააღმდეგება, როგორც წარსული, ისე დღეანდელი ცხოვრებაც. წარსული ცხოვრება ჩვენ გვეუბნება, რომ ყველა უდიდესი ცვლილებანი იბადებოდენ თვით ხალხში, და მხოლოდ დიდის ბრძოლის შემდეგ მთავრობები იძულებული ხდებოდენ ეცნოთ ეს ცვლილებანი კანონიერად. დღეანდელი ცხოვრებაც იმასვე გვეუბნება: რომელიმე ცვლილებას ან და რეფორმას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, თუ ის გამოწვეულია და დაბადებული თვით ხალხში. უამისოდ არც ერთს რეფორმას, თუნდ ის ძლიერ სასარგებლოც იყოს, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება ხალხის ცხოვრებაში და მისი განხორციელებაც შეუძლებელი იქნება სინამდვილეში. ამგვარად სოციალურ ორგანიზმში შრომის ისეთი გაყოფა, როგორიც არსებობს ბიოლოგიურ ორგანიზმში შეუძლებელია: სხვადასხვა სოციალურ ფუნქციებში ღებულობს მონაწილეობას არა ერთი რომელიმე განსაზღვრული

წოდება, არამედ აქ მოქმედებენ სულ სხვა და სხვანაირი სოციალური ელემენტები. მკითხველმა უნდა იქონიოს სახეში, რომ ჩვენ აქ მხოლოდ ერთის მხრით და ისიც გაკვრით ვეხებით ხსენებულ თეორიას, თორემ იმის საწინააღმდეგო ფაქტები სხვებიც არის.

რაც შეეხება სხვადასხვა ადმინისტრატიულ ზომებს, რომლებიც ბ. მაჩხანელს მოჰყავს მაგალითებად. ამ ზომების სისრულეში მოყვანა იმას კიდევ სრულებით არ ნიშნავს, რომ უვიც ხალხს ყოველივე მათრახის ცემით უნდა შეეასრულებინოთ. სადღა ქრება ამ შემთხვევაში ბ. მაჩხანელის ჰუმანიური შეხედულება? გავიხსენოთ სხვათაშორის. რა გამოიწვია ადმინისტრატიულმა ზომებმა ხოლერის შესახებ რუსეთის მდაბიო ხალხში, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ. რა შეუძლია მარტო სასარგებლო ადმინისტრატიულ ზომებს იქ, სადაც გონება დახშულია.

მაშასადამე. ვისაც კეთილი რამ ჰსურს ხალხისათვის, პირველად იმაზე უნდა ზრუნავდეს, რომ თვით ხალხის გულში დაჰბადოს წყურვილი სხვადასხვა ცვლილებათა მიმართ; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება. რომ ხალხის მდგომარეობა გაუმჯობესდეს. და სწორედ აქ ეხსნება ფართე სამოქმედო სარბიელი ინტელიგენციასაც. მაგრამ არა ისე. როგორც ბ. მაჩხანელს ჰგონია. ამ უკანასკნელ კითხვას, ე. ი. ინტელიგენციის მოქმედებას, რომელიც ჩამოდის პიროვნების მნიშვნელობაზე ისტორიაში. ჩვენ ვსთვლით იმდენად საინტერესოთ. რომ იმას როდისმე ცალკე წერილს ვუძღვნით. ახლა კი დაუბრუნდეთ ბ. მაჩხანელის წერილს.

VI

როგორც ჩვენ ვიცით ოგ. კონტის (Auguste Conte) სისტემაში სოციოლოგიას, როგორც მეცნიერებას ადამიანთა საზოგადოებაზე, უკანასკნელი ადგილი უჭირავს: ე. ი. სოციოლოგია, როგორც მეცნიერება არის სრულიად ახალი და ამასთანავე ყველა მეცნიერებებზე რთული. ადამიანთა საზოგადოებაში ჩვენ ვხედავთ იგივე მოვლენებს. რაც დანარჩენ ბუნებაში, რადგანაც ადამიანთა საზოგადოებანი შეადგენენ ამ ბუნების ერთ შტოთაგანს; მაგრამ აქ ჩვენ ვხედავთ ამასთანავე ამ მოვლენების სხვადასხვაგვარ კომბინაციებს. ამის ანალოგიას წარმოგვიდგენს რამდენიმედ ქიმიის მეცნიერება, რომელიც შესდგება ორი დიდი განყოფილებისაგან: არაორგანიული ანუ მინერალური და ორგანიული ანუ ნახშირბადის შეერთებათა ქიმია. ეს ორივე განყოფილება ექვემდებარება ერთ და იმავე კანონებს. მაგრამ ორგანიულ ქიმიაში ხდება ათასნაირი კომბინაციები, რომელთა შემჩნევა ძლიერ საძნელოა და ამიტომაც ორგანიული ქიმიაც შედარებით უფრო ძნელი გამოსაკვლევია, ვიდრე არაორგანიული. ამ შემთხვევაში შეგვიძლია. რომ სოციალოგიას საზოგადოებრივი ქიმია ვუწოდოთ.

ამ მოკლე შენიშვნით ჩვენ გვსურდა ის აზრი გაგვეყვანა, რომ სოციალური მოვლენები ბუნების სხვა მოვლენებთან შედარებით ძლიერ რთული რამ არის და ამასთანავე ჯერ არაა ისე სისწორით შესწავლილი, როგორც ბუნების სხვა მოვლენები. ამისათვის აქ საჭიროა სწორი და გულმოდგინე დაკვირვებანი.

უფრო მეტად კი საფრთხილოა აჩქარებული დასკვნების გამოტანა. თუ ამასთანავე გვსურს რაიმე საზოგადოებრივი სენის მორჩენა და ვეძებთ ამის საშვალებას, ამ შემთხვევაში ჩვენი დანაშაულება უფრო გაფართოებულია. რასაკვირველია, გულმოდგინება და სიფრთხილე აქ უფრო მეტი გვმართებს; მაგრამ ეს კიდევ არ ქმარა: აქ მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ღრმა ცოდნა სოციალურ მოვლენათა; ანალიზი და სინტეზი ერთი მეორეს უნდა ეხმარებოდეს და გენეტიური მეთოდი ნებას გვაძლევდეს შევისწავლოთ ყოველივე სოციალური მოვლენა თავიდან დაწყებული უკანასკნელ განვითარებამდე. ამავე დროს ყოველგვარ აბსოლიუტურ დასკვნებს წინდაწინვე უნდა ვერიდოთ. ახლა გავსინჯოთ, თუ როგორ მოიქცა ბ. მაჩხანელი.

ბ. მაჩხანელის უმთავრეს დანიშნულებას, როგორც უკვე ვიცით, შეადგენდა მოპოვება წამლისა „იმ ეკონომიური ჭირისა, რომელიც ძირს უთხრის ჩვენი ხალხის ნივთიერ და სულიერ ცხოვრებას". აქ ჩვენ ძალაუნებურად ცოტა უკან უნდა დაბრუნდეთ, ე. ი. საჭიროა მოვაგონოთ მკითხველს ის „ეკონომიური ჭირი", რომელიც. ბ. მაჩხანელის აზრით, ძირს უთხრის ჩვენი ხალხის ყოველგვარ კეთილდღეობას. საჭიროა გამოვარკვიოთ მოკლედ მაინც, თუ რომელი ეკონომიური ჭირის მოშორება მიაჩნია ბ. მაჩხანელს სასარგებლოდ.

მკითხველს უეჭველად ეხსომება: როცა ბ. მაჩხანელი ჩვენი გლეხ-კაცობის სილატაკეზე ლაპარაკობდა, ამ სილატაკის მიზეზს ის ჰხედავდა იმაში, რომ გლეხკაცობა ყველა წოდების წარმომადგენლებისაგან იყვლიფებაო. აქ ბ. მაჩხანელმა რამდენიმე წკიპურტი ჰკრა განურჩევლად ყველა ამ წოდებას. რაზედაც ჩვენ არ ესთელით საჭიროდ გაეჩერდეთ, მერე იმ დასკვნამდის მივიდა, რომ უმთავრესი ჭირი, რომლის მოსპობის შემდეგ „საქართველოს ჯოჯოხეთი სამოთხეზედ გადაგვექცევა" („ივ." № 186), არის ჩვენი ქვეყნის აღებ-მიცემობა, რომლისაგანაც ბ. მაჩხანლის აზრით, არის დამოკიდებული ყოველგვარი კეთილდღეობა. აი თვით ავტორის სიტყვები: „ქვეყნის ცხოვრების ავ-კარგიანობა ქვეყნის ქონების რაოდენობაზედ ჰკიდია და ქონების რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყნის აღებ-მიცემის ავ-კარგიანობაზედ. მაშასადამე — დაასკვნის ავტორი — როგორც გარჯა-შრომა, ისეც აღებ-მიცემობა სათავეა ნივთიერი ცხოვრების ჭირისაც და ლხინისაც, წარმატებისაც და შეფერხებისაც" („ივ." № 150).

მაშასადამე. ეკონომიური ჭირი ნაპოვნია — ეს არის აღებ-მიცემობის ცუდი მიმართულება. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს ცუდი აღებ-მიცემობა? და არის თუ არა ის ყოველგვარ უკეთმართობის და ყველა უბედურებათა წინა პირველი მიზეზი, ე. ი. ძირი ყველა უკეთურებათა? უკანასკნელ კითხვას ბ. მაჩხანელი აღარ არჩევს, რადგანაც ის დარწმუნებულია, რომ ყოველგვარი უბედურება მარტო აღებ-მიცემობის ცუდი მიმართულებიდან წარმოსდგება. მაგრამ პირველს კითხვას ის იკვლევს მათემატიკურის (უკეთ რომ ვსთქვათ არითმეტიკულის) გამოთვლით:

„ავიღოთ ერთი სამას კომლიანი სოფელი; თითო კომლი ჰყიდულობს ერთი წლის განმავლობაში 80 მან. საქონელს, სესხულობს 20 მან. და ჰყიდის 100 მან. ჭირნახულს (კარგა კი გამოუანგარიშებია ავტორს: შემოსავალი ეთანასწორება გასავალს — 100=80+(—20). მაშასადამე, მთელი სოფელი ჰყიდულობს 24.000 მან. ივალებს 6.000 მან. და გაჰყიდის 30.000 მან. ჭირნახულს". შემდეგ

ავტორს გამოჰყავს დეპო-კასებთან შედარებით, რომ „სულ მცირე ანგარიშიც რომ ავიღოთ, თვითეული კომლი ზარალობს წელიწადში 40 მან. და რადგანაც საქართველოში 200.000 კომლია, მაშასადამე, წლიური ზარალი ეთანასწორება 8.000.000 მანეთს", („ივ." № 150). სახუმარო ამბავია? რვა მილიონი ერთ პატარა ჩვენს საქართველოსთანა სახელმწიფოს ეყოფოდა; ახლა კი აღებ-მიცემობის ცუდი მიმართულების გამო ტყუილ უბრალოდ იკარგება. ამის აღმოჩენა ეკუთვნის მხოლოდ ბ. დ. მაჩხანელს!

ჩვენ არ შევდივართ ავტორის მიერ წარმოდგენილ ციფრების განხილვაში, რადგანაც ისინი პირდაპირ მისი ნებითაა აღებული; ცხოვრებაში კი ამნაირ უბრალო არითმეტიკულ გამოანგარიშებას იშვიათად შეხვდებით; ჩვენი დრო არის, როგორც ზევით ვამბობდით, კაპიტალისტური წარმოების დრო, ამისათვის აქ მოქმედებს უფრო სხვანაირი გაცვლა-გამოცვლა. ადვილი შესაძლებელია, რომ ამავე სოფლის მესამედმა ნაწილმა გაჰყიდოს მხოლოდ ერთი თუმნის ჭირნახული ათი თუმნის მაგიერ, მეოთხედმა — სამი თუმნის და მხოლოდ სულ მცირედმა ნაწილმა შეასრულოს ის პირობა, რომელიც ბ. მაჩხანელმა მთელ სოფელს ჩამოართვა. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? ბ. მაჩხანელის გამოთვლა აქ არაფერს არ მოგვეხმარება. აქ საჭიროა მხოლოდ, რომ სოფლის მესამედმა ნაწილმა თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად უთუოდ უნდა იშოვოს რამენაირათ კიდეე 90 მან. მაგრამ ახლა იბადება კითხვა: საიდან? პირველს წელიწადს შეუძლია გაჰყიდოს საოჯახო ნივთები, თუ აუვიდა, მაგრამ მეორე წელიწადს ან მესამეს რაღას იზამს? ბოლოს იმას რჩება ერთად ერთი გასავალი: გამოიტანოს ბაზარზე თავის ერთად ერთი სავაჭრო საქონელი — სამუშაო ძალა და გაჰყიდოს ისე, როგორც სხვა უბრალო საქონელი. რა მოსდევს ამნაირად სამუშაო ძალის გაყიდვას? ამ კითხვის განხილვაში ჩვენ ახლა ვერ შევდივართ, რადგანაც ეს ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანს. მხოლოდ მკითხველს კი ვსთხოვთ, რომ ჯერჯერობით ამ უკანასკნელ გარემოებას მიაქციოს უმთავრესი თავისი ყურადღება და გასაჯოს, შეიძლება თუ არა, ბ. მაჩხანელის არითმეტიკულ გამოთვლაზე დამყარება?

ასეა თუ ისე, მაგრამ ჩვენი ავტორი კი სრულიადაც არ იქვიანობს თავის გამოთვლის სინამდვილეში და მასზე ამყარებს მის მიერ აღმოჩენილ წამალს. ამისათვის ჩვენ თავიდანვე უნდა ვიცოდეთ ერთი: რადგანაც ბ. მაჩხანელის წამალს ძლიერ საორპოფო საფუძველი უძეეს, ესეც საკმარისი იქნება, რომ თვით წამალიც უარეყოთ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა მოკლედ მაინც ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ჩვენი ავტორის მიერ ნაჩვენები წამალი.

ჩვენ გავიგეთ, რომ ავტორის აზრით უმთავრესი ფაქტორი ხალხის კეთილდღეობისა არის აღებ-მიცემობა. მაგრამ რადგანაც დღეს ეს აღებ-მიცემობა ცუდ გზას ადგია, ამიტომ უპირველესი და ამასთანავე ძირითადი ზომა, რომელიც უნდა იქნას მიღებული ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, არის სრულიად მოსპობა დღევანდელი აღებ-მიცემობისა. რა ნაირად შეიძლება ეს? ავტორი გვეუბნება დეპო-კასებითო.

ვეცდებით რამოდენიმედ განვიხილოთ, თუ რა ახალ ხილს წარმოადგენს ბ. მაჩხანელის დეპო-კასები.

ბ. მაჩხანელი არკვევს ამ დეპო-კასების მოქმედებას "ივერიის" მე-155 №-ში. ის ამბობს: რამდენიმე ადამიანს შეუძლიათ „ყოველად შემძლე ძმური ერთობის ძალ-ღონით და გონება-ზნეობით ჰარმონიულად განვითარებულს კაცის მოთავეობით დაიარსოს აღებ-მიცემის საკუთარი დუქანი ანუ დეპო დაგუპოსთან შემნახველ-გამსესხებელი კასა, მხოლოდ სულ სხვა სისტემისა და მიმართულებისა და არა ისეთი, როგორიც არსებობენ უცხოეთში და არსებობდა სამიოდე დეპო საქართველოშიაც". ჩვენთვის საინტერესოა, თუ რაში მდგომარეობს ბ. მაჩხანელის დეპო-კასების განსხვავება სხვა სისტემის დეპო-კასებისაგან; ამაზე უჩვენებს თვით ავტორი. და მართლადაც, თუ ბ. მაჩხანელის დეპო-კასა სულ სხვა სისტემის და მიმართულებისაა, რასაც აშკარად ჰღაღადებს ავტორი, რაში მდგომარეობს ის? თურმე ნუ იტყვით: ეს სხვა სისტემობა და მიმართულება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, ვითომც „სხვა სისტემის დეპო-კასების წმინდა მოგება რჩებათ კერძო პირებს" და მხოლოდ ბ. მაჩხანელის მიერ გამოგონილი ახალი სისტემის და მიმართულების დეპო-კასების „სარგებლობა რჩება ყველას საყოველთაოდ". რას ნიშნავს ეს „ყველას საყოველთაოდ"? ჩვენის აზრით, რაშიაც ბ. მაჩხანელიც დაგვეთანხმება, ეს „ყველას საყოველთაოდ" ნიშნავს მხოლოდ წევრებს. განა სხვანაირად შეიძლება ამნაირ დაწესებულების სარგებლის გაყოფა? ჩვენ გვგონია, რომ სხვანაირი გაყოფა, გარდა საქველმოქმედო საქმისა, ყოვლად შეუძლებელია. ახლა მოდით და ნუ გაგიკვირდებათ ბ. მაჩხანელის საქციელი! ბ. მაჩხანელმა რათ არ დაასახელა ერთი რომელიმე უცხოეთის დეპო-კასა, რომლის სარგებელი კერძო პირებს რჩებათ და არა იმათ, ვისაც რაიმე დამოკიდებულება აქვს იმ დეპო-კასასთან? უამისოდ მის მტკიცებას არა აქვს არავითარი სიმართლის ნიშანი. თუ რაიმე ბოროტმოქმედებაზე ლაპარაკობს ავტორი, რაც ამნაირ დაწესებულებაში არა იშვიათ მოვლენას შეადგენს, ეს კიდევ კარგი; მაგრამ ნუ თუ ამნაირ ბოროტმოქმედებიდან დაზღვეული იქნება ბ. მაჩხანელის სისტემის დეპო-კასები? ჩვენ სამართლიანად გვგონია რომ არა. ერთის მხრით, ვინ უნდა გამონახოს ის „გონება-ზნეობით ჰარმონიულად განვითარებული კაცი", რომლის ხელში იქნება დეპო-კასების წარმოების საქმე? ადვილი შესაძლებელია, რომ ეს მოთავე არ დარჩება „ჰარმონიულად განვითარებული" და, მაშასადამე, ბოროტმოქმედება თავისას იზამს. მეორე მხრით, ვის კანტროლის ქვეშ იქნება დეპო-კასების გამგებელთა მოქმედება? ბ. მაჩხანელი არ იძლევა ამაზე პასუხს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მისი „სისტემის" დეპო-კასების დაარსებაში ხალხი არ ღებულობს არავითარ მონაწილეობას. ბ. მაჩხანელის აზრით, ხალხს ძალდატანებით მთავრობამ უნდა დაუარსოს დეპო-კასები. მაშასადამე, დეპო-კასების გამგებელნიც მთავრობიდან უნდა იქნენ დანიშნულნი.

ამნაირად დეპო-კასების წევრებს ერთმეორეთ საშუალება თვალ-ყური ადევნონ იმათ მოქმედებას. ამისათვის ბ. მაჩხანელის სისტემის დეპო-კასებში უფრო ექნება გზა გახსნილი სხვადასხვაგვარ ბოროტმოქმედებებს.

რაც შეეხება ბ. მაჩხანელის სისტემის დეპო-კასების სიახლეს, ამის შესახებ ის უნდა ითქვას, რომ ამ სისტემის დეპო-კასებმა დიდი ხანია დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა და ახლა თუ არსებობენ უცხოეთში, სულ სხვა მიმართულებას

და მიზანს ემსახურებიან. ბ. ვაჩნაძეს დეპო-კასები მარტო იმით არიან ახალი, რომ მთავრობის ძალდატანებით და „შემოსილი მღვდლების ლოცვა-კურთხევით" კეთდებიან. სხვაგვარი სიახლე აქ არ მოიპოვება. მაგრამ ჩვენ ნამეტანი უმართლო დავრჩებოდით ბ. მაჩხანელთან, რომ ერთ გარემოებაზე არ გვეჩვენებია, რომელიც თუმცა ძლიერ შესამჩნევად ასხვავებს მის დეპო-კასებს დასავლეთ ევროპის დეპო-კასებისაგან, მაგრამ თვით დეპო-კასების სისტემას და მათ მოწყობილობას სრულიად არ ეხება. საქმე ის არის, რომ დასავლეთი ევროპის დეპო-კასები და უმეტესად შემნახველ-გამსესხებელი კასები (ჩვენ ვამბობთ, რასაკვირველია მუშათა საზოგადოების კასებზე) სულ სხვა მიზანს ემსახურებიან. დასავლეთ ევროპაში ამნაირ დაწესებულებებს იმდენათ აქვთ მნიშვნელობა, რამდენათაც ისინი ხელს უწყობენ დაჩაგრულ ხალხს კაპიტალისტურ წესწყობილებასთან ბრძოლაში. და მართლადაც, განა შეიძლება, რომ დღევანდელ წესწყობილებაში სხვა რაიმე მნიშვნელობა იქონიოს ამნაირმა დაწესებულებამ? ახლანდელს დროში, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც, მხოლოდ ამნაირი შეხედულებაა მიღებული ამ დაწესებულებებზე. მოუბრუნებლად წავიდა ის დრო დასავლეთ ევროპაში მაინც, როცა აწ უკვე განსვენებული შულცე დელიჩელი [21]) ამტკიცებდა, რომ როგორც მიწის, ისე ქარხნების მუშებისთვის უკანასკნელ მნიშვნელობას შეადგენს იმნაირი დეპო-კასების დაარსება, რომლების შემოღება თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ბ. მაჩხანელმა აუწყა ქართველ საზოგადოებას. შულცე დელიჩის აზრით, შრომის წარმომადგენელთათვის საჭიროა მხოლოდ საალებ-მიცემო დეპოების და შემნახველ გამსესხებელ კასების დაარსება, რომ იმათ სრული კეთილდღეობა დაიმკვიდრონ „სოფელსა ამას შინა", სადაც მეფობს კაპიტალისტური წარმოება. მაგრამ, ვიმეორებთ. შულცე დელიჩელის ამნაირი წვრილ-ბურჟუაზიული ოცნება საუკუნოდ დაიმარხა მარტო ფერდ. ლასსალის წყალობითაც. კ. მარქსის და ფრიდრ. ენგელსის მუშაობამ და უმეტესად იმათმა მეცნიერულმა სოციალიზმმა ხომ სულ საბოლოოდ გაჰფანტა ამ ოცნების უკანასკნელი აჩრდილიც. მაგრამ მოდით და გული ნუ მოგვიკვთ, როცა ბ. მაჩხანელი მოურიდებლად გვიჭედავს თავს ტყუილებით: „საზოგადო კეპო-კასებს რომ უდიდებულესი მომავალი მოელით — ამბობს ის — მთელს ქვეყნად. ეს უეჭვო ქეშმარიტებაა ყველა პოლიტიკურ ეკონომიის მცოდნესათვის: ამას წინასწარმეტყველებენ დღეს საუკეთესო ბრძენი (როგორც. მაგალ. ბ. დ. მაჩხანელი!) და ამავე აზრისა იყო (თუ იყვენ?) თვით დიდებული კარლ მარქსი (?!) და მისი თანამედროვე ფრიდრიხ ენგელი (ენგელსი?!) 1848 წლის დასაწყისშივე. როდესაც ინგლისში თვალსაჩინოდ აღორძინდენ მუშათა შორის საასოციაციო დადაწესებულებანი. მხოლოდ ჩვენსა გვძინავს ყურზედო" („ივ." № 155).

სწორედ რომ მარტო ძილს ნიშნავს ბ. მაჩხანელის მხრივ ამნაირი მოუფიქრებელი მსჯელობა. საინტერესოა ვიცოდეთ, ნეტა რომელი პოლიტიკური ეკონომიის ბრძენნი (გარდა მაჩხანელისა!) პირდებიან ქვეყანას აყვავებას ამის მეოხებით? ნუ თუ ეს არ ნიშნავს მართლა, რომ ის მხოლოდ ძილში ოცნებობს? მაგრამ. თუ, ერთი მხრით, ოცნებობს ძილში ბ. მაჩხანელი. მეორე მხრით. იმას ცილის წამებისთვისაც მოუკიდია ხელი: თურმე ნუ იტყვით, იმ პირებმა, რომლებმაც ბოლო მოუღეს სხვადასხვა შულცე დელიჩელების ფანტასტიკურ მოგონე-

ბებს დეპო-კასების შესახებ. თურმე ნუ იტყვით. რომ „1848 წლის დასაწყისშიეე" ეს პირები ბ. მაჩხანელის აზრისა იყვნენ! არა, ბ. მაჩხანელო. 1848 წ. კი არა, მარქსმა და ენგელსმა კიდეე 1847 წ. გამოსცეს თავისი შესანიშნავი „მანიფესტი". რომლითაც დაედვა მკვიდრი საფუძველი მეცნიერულ სოციალიზმს და, მაშასადამე, 1848 წლის დასაწყისში კ. მარქსი და ფრიდ. ენგელსი წერილ ბურჟუაზიული მიმართულების წარმომადგენელნი ეელარ იქნებოდენ. ბ. მაჩხანელი უკეთეს იზამდა. რომ სხვისთვის ცილი არ დაეწამებია. მაგრამ ადვილი შესაძლებელია. რომ ძილში ბ. მაჩხანელმა ეელარ გაარჩია და კარლ მარქსის და ფრ. ენგელსის სახემ რაღაცნაირად დაჰფარა შულცე დელიჩელი. ეიმეორებთ, ეს წარმოსადგენია მხოლოდ ძილში და არა ღვიძილში.

ამნაირად. ჩვენ რამდენიმეთ გავიგეთ. თუ რა განსხვავება ძევს შულცე დელიჩის და ახლანდელ დეპო-კასებთა შორის. ეხლა ჩვენ გავსინჯოთ. თუ რა იმედებს ამყარებს ბ. მაჩხანელი დეპო-კასებზე. ჩვენ უკვე ვიცით, რომ საფუძველი, რომელზედაც ამყარებს ბ. მაჩხანელი თავის დეპო-კასებს. ძლიერ საორპოფო და უიმედოა და მაშასადამე ამნაირ საფუძველზე ვერც ეს დეპო-კასები იხეირებენ. თვით დეპო-კასების სისტემას და მოწყობილობას ჩვენ ამაზე მეტს აღარ შევეხებით, რადგანაც აქ „შემოსილ მღვდლებს" გარდა არაფერი ახალი არ უჩვენებია ჩვენს ავტორს. ვერაფერი საიმედოა აგრეთვე ბ. მაჩხანელის მტკიცება: როცა „შემოსილი მღვდლები" აკურთხებენ დეპო-კასებს (რომლებიც. უნდა ვიქონიოთ სახეში. მთავრობის ძალდატანებით იქნებიან შემოღებული). მაშინ უსათუოდ სამას კომლს შეიდასი კიდეე მოემატება (?). მსყიდველ-გამსყიდველი საზოგადოება საკმარისი იქნებაო და შემოსავალიც თანდათან იმატებსო. მაგრამ ეს კიდეე არაფერი. ჩვენ გავსინჯოთ. თუ როგორ აგვიწერს ავტორი იმ საზოგადოებას. რომელიც აშენებულია მისი სისტემის დეპო-კასებზე.

აგვიწერა რა ავტორმა. თუ რა ცვლილებას მოახდენს მთელს დედამიწის ზურგზე მის მიერ აღმოჩენილი ახალი სისტემის დეპო-კასები. ჰკადაგებს: „ვიდრე უვიც ხალხს საკუთარ დეპო-კასებს არ დაუარსებთ მთავრობის დახმარებით და ინტელიგენციის მეთაურობით. მინამ ხალხის გონებით და ქონებითი აყვავება *) სხვა არას გზით არ შეიძლება, არა და ათასჯერ არა! აი ცხოვრების უმთავრესი კითხვა და აი რას უნდა მიაქციოს ყველა ქვეყნის მთავრობამაც უმთავრესი ყურადღება. რადგანაც „მეფე მამაა ერისა, მთავრობა დედა" და სხ. („ივ." № 186). მაგრამ ეს რა გეესმის ბ. მაჩხანელის ბაგეთაგან? ნუ თუ ეს ის მაჩხანელია. რომელიც იმას ჰქადაგებდა — „მთავრობის ეალი სრულებით არ არის. რომ ის სიღატაკის მოსასპობლად ზრუნავდესო" („ივ." № 143). ჩვენ კი იმაზე მეტი აქ აღარა გეეთქმის რა, გარდა იმისა. რომ ეს ოგივე მაჩხანელი გახლავსთ, მხოლოდ წინათ

*) სამოც და სამოცდაათიან წლებში რუსეთში სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობდა ერთი ყველასაგან დავიწყებული ეკონომისტ-ფინანსისტი გვარად შიპოეი. აი სწორედ ეს შიპოვი იძლეოდა საოხუნჯო რეფორმებს; მაგალითად, იმის აზრით, სირაჯ-ხანები (кабаки) რუსეთში, კარგი სისტემის მეოხებით. გახდებოდენ ცივილიზაციის და სწავლა-განათლების გამავრცელებელი საშუალებანი. ამნაირი პროეექტის შესახებ შეიძლება მხოლოდ ოხუნჯობა, მაგრამ ღრმად გაშინჯეთ ბ. მაჩხანელის „ახალი პროეექტი" და თქვენ დარწმუნდებით. რომ ბ. შიპოეის და ბ. მაჩხანელის პროეექტთა შორის განსხვავება ცოტაა.

სხვაზე ლაპარაკობდა და რა გასაკვირალია, რომ წინანდელი ნათქვამი ახლა აღარ გაახსენდა: ეს უაზრობის ნიშანია და მეტი არაფერი. მაგრამ საკვირაო კიდევ მოვისმენოთ ბ. მაჩხანელის სიტყვები: „აი მაშინ, ე. ი. როცა დეპო-კასსები დაარსდებიან, — ამბობს ავტორი — გაქრება სიღატაკე, განათლდება ერი, ამოვარდება ბარბაროსობა, გამეფდება ერთობა, სიმართლე, ღვთისნიერება და ღვთის მსახურება" etc („ივ." № 164).

ამნაირად ავტორს ჰსურს ჩაგონოს უმაღლეს მთავრობას, რომ ამ უკანასკნელმა ძალდატანებით დაარსებინოს უვიც ხალხს ყველა სოფელში ბ. მაჩხანელის სისტემის დეპო-კასები და მერე კი ყველამ „ჩიტო ბზიტიავ, ბიკო ტეტიავ" ვიძახოთ. „ტინის ძირში რომ ლურჯი წყარო გამოჩანჩქარებსო" („ივ." № 164), რადგანაც მაშინ დადგება ათასის წლის სასუფეველიო (ხილიაზმი). აი როგორ ასწერს ბ. მაჩხანელი ამ სასუფეველს, ე. ი. დეპო-კასების დროს: მაშინ სახელმწიფოს მცხოვრებნი ნივთიერად გამდიდრდებიან, ავაზაკები მოისპობიან და დარჩებიან მხოლოდ კეთილმორწმუნენიო; ომიანობა სრულიად გადაეარდება. ამისათვის უმაღლესი მთავრობაც დასტკბება თავის ქვეშევრდომთა ბედნიერებით, რადგანაც უკანასკნელი ყოველგვარ გადასახადებს ადვილად გადაიხდიან, ქალაქებში მოქანცული ინტელიგენცია მოიპოვებს ტკბილს განსვენებას ჯანსაღი ცხოვრებისათვის სოფელში, სადაც — „ისწაელის და მოიაზრებს დიდათ საგულისხმიერო ფილოსოფიისათვის". „მოისმენს ციურის მელოდიით აღსავსე პოეზიას ხალხის გენიისას", „გამოიჩენს ნიჭს კეთილი სახელის მოსახვეპად" და სხვ. და სხვ. („ივ." № 164). ამისათვის ჩვენი ავტორი უფრო კარგს იზამდა, რომ დეპო-კასებისთვის ეწოდებია: „ხილიაზმის დამაფუძნებელი სათავე" და არა: „ხალხის გონება-ქონების გამამდიდრებელი სათავე".

ამნაირად ჩვენი ავტორის აზრით, დეპო-კასების სტადია არის უკანასკნელი წერტილი კაცობრიობის ცხოვრებაში, კაცობრიობის უმაღლესი განვითარება, ათასის წლის სასუფეველი, რომლის შემდეგ დაგვრჩენია მხოლოდ ანტიქრისტეს მოსვლა და მეორედ მოსვლის ხანა! მაგრამ, უკაცრავად, თუმცაღა ჩვენ არ ვართ საკიამუნის მიმდევარი, რომელიც ამბობდა: „ბოროტი, ეს თვით არსებობა არისო", მაგრამ არც ბ. მაჩხანელისთანა ოპტიმისტი*) ვართ, რომ ათასის წლის სასუფეველი გვწამდეს. არა, ჩვენ უარსვყოფთ მიწაზე ხილიაზმს. მით უფრო არ გვწამს ეს ქვეყნიური ნეტარება ანუ „სააქაო სამოთხე", როგორც ავტორი უწოდებს მას, რომ ბ. მაჩხანელი გეპირდება ამ ნეტარებას დეპო-კასების დაარსების მეოხებით, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ამნაირ დაწესებულებებს არსად არ მოყოლია ქვეყნიური ნეტარება, ჯოჯოხეთი სამოთხედ არსად არ გადაქცეულა. ბ. მაჩხანელის ამნაირი აზრი დეპო-კასებიდან წარმომდგარ სამოთხეზე ეწინააღმდეგება ყოველნაირ ისტორიულ კანონებს.

მკითხველს, ვგონებთ, საკმარისად მოვაწყინეთ თავი ამდენი ლაპარაკით ბ. მაჩხანელის „წამალზე", მაგრამ არ შეგვიძლია უყურადღებოთ გაუშვათ კიდევ რამდენიმე გარემოება. მკითხველს უთუოდ ეხსომება, როცა ჩვენ ვამბობდით

*) საყოველთაოდ ცნობილია, რომ უკიდურესი ოპტიმისტობა პესიმისტობაზე უფრო საშიშარია.

ვაჭრობის ავ-კარგიანობაზე, მაშინ ჩვენ განვმარტეთ ის ნამდვილი ფაქტი, რომ სოფლის ერთი მესამედი ათი თუმნის მაგიერ ძლივს გაჰყიდის ერთ თუმნისას და სხვები ამაზე მეტს მაშინ, როცა სახარჯავი ერთი და იგივე აქვთ, როგორც სხვებს. რომლებიც ათი თუმნისას ჰყიდიან. რასაკვირველია, იქნებიან იმისთანებიც, რომლებიც ათ და ოც წილს მეტს გაჰყიდიან. მაგრამ განა ამათი განაყიდი სხვებს მიეხმარება? მაჩხანელის სისტემის დეპო-კასები ხომ ფულებით ვაჭრობენ და ვისაც ფულები არ ექნება, იმისათვის დეპო-კასები აბა რა წითელ კეერცხებს შეადგენს? მაშასადამე, რა სარგებლობას მოუტანს დეპო-კასების არსებობა არა მქონე გლეხ-კაცობას, რომლის ინტერესებს ვითომც ძილშიც კი იცავს ბ. მაჩხანელი? საკვირველია სწორედ, როცა ბ. მაჩხანელს ჰსურს, მაშინ გლეხ-კაცობის სიღატაკეს საზღვარი აღარ აქვს და როცა არა, მაშინ საკმაო შეძლებულად გამოჰყავს. ჯერ ამბობდა, რომ „გლეხ-კაცობა ისე დაცემულია, რომ აფრიკის ველურებიც ამაზედ უკეთესად ცხოვრობენო", და ახლა თავის დეპო-კასებს იმაზე ამყარებს. რომ თვითეული კომლი, წლით-წლობამდის ჰყიდულობს 80 მან. საქონელს, სესხულობს 20 მან. და ჰყიდის 100 მან. ჭირნახულს. ამას გარდა ამავე გლეხ-კაცობიდან უნდა შესდგეს სათანადო ფული, როგორც დეპოებისა, ისე კასებისა. თორემ უამისოდ როგორ შეიძლება იმათი მოქმედება? წინანდელ ნათქვამს ბ. მაჩხანელი ივიწყებს, ე. ი. გლეხ-კაცობის უკიდურეს სიღარიბეს და მხოლოდ უკანასკნელ გამოანგარიშებაზე აფუძნებს დეპო-კასების მოქმედებას. მაგრამ ჩვენ მიერ დასახელებულ ფაქტების უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. მაშასადამე. აქ იბადება კითხვა: რას იზამენ ამ შემთხვევაში დეპო-კასები? ცხადია. რომ იმით ისარგებლებენ ხელახლა შეძლებულნი და სოფლის იმ ნაწილს. რომელიც 100 მან. ჭირნახულის მაგიერ ჰყიდის მხოლოდ თუმნისას, დეპო-კასები ვერაფერ სამსახურს ვერ გაუწევენ. ამისათვის ბ. მაჩხანელის სისტემის დეპო-კასები ცოტა რამით განსხვავდებიან ჩვეულებრივი დუქნიდანა და ბანკებიდან.

ამას გარდა, როგორც ვიცით, ბ. მაჩხანელი გვპირდება საყოველთაო წამალს, ის, როგორც მკითხველს ახსოვს, ოცნებობდა მთელი კაცობრიობის ნამდვილ გზაზე დაყენებას. ამისათვის სოფლის გლეხ-კაცობას ურჩია დეპო-კასების დაარსება. რა წამლებიცაა ეს დეპო-კასები, ჩვენ უკვე ვიცით რამდენიმედ მაინც. მაგრამ საქმე ის არის, რომ კაცობრიობა შესდგება არა მარტო გლეხ-კაცობისაგან: ჩვენს დროში კაცობრიობის დიდს და შესამჩნევ ნაწილს შეადგენენ, ერთის მხრით. ეგრედწოდებული „მეოთხე წოდება" ანუ პროლეტარიატი და, მეორეს მხრით, კაპიტალისტები. ბ. მაჩხანელს კი არც ერთისათვის მიუქცევია ყურადღება და არც მეორესთვის. მაგრამ. შეიძლება თუ არა ზურგის შექცევა და თვალების დახუჭვა იმ მრისხანე შავი ღრუბლების წინაშე, რომლებიც მოიწევიან ჩვენსკენ ძლიერ გამწვავებული ურთიერთშორის დამოკიდებულებათა გამო მწარმოებლის და კაპიტალისტების კლასებთა შორის? ამნაირი ზურგის შექცევა მით უფრო გასაკვირალია, რომ, ერთი მხრით, დღევანდელი საზოგადოების დაყოფა ორ. ნაწილად: კაპიტალისტებად და პროლეტარებად ყოველ დღე უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება და, მეორე მხრით, თვით ავტორი გვპირდებოდა საყოველთაო წამალს მთელი კაცობრიობისათვის. ავტორის დუმილი ალბათ იმას ნიშნავს, რომ მას დეპო-კასები მიაჩნია წამლად პროლეტარიატის მოსარჩენადაც.

მაგრამ ნუ თუ ეს შესანიშნავი „ლიმფა" პირველად ბ. მაჩხანელმა აღმოაჩინა? არა, ბ. მაჩხანელო, თქვენ მიერ აღმოჩენილი „ლიმფა" (დეპო-კასები) იმ აზრით, რომ იმის დაარსების შემდეგ დამკვიდრდება „სოფელსა ამასა შინა" სათნოება, კაცთმოყვარეობა, „სასუფეველი ცათა", დიდი ხანია საფუძვლიანად უარყოფილია პოლიტიკურ ეკონომიაში. და თქვენ, როგორც პოლიტიკური ეკონომიის მცოდნეს (?). რადგანაც თქვენ თვითონ ამბობთ ამაზე. უნდა უეჭველად გცოდნოდათ ეს გარემოება, მით უფრო, რომ თქვენ ძლიერ საძნელო საქმეს მოკიდეთ ხელი. ამ შემთხვევაში ბ. მაჩხანელსაც ისე მოსდის, როგორც პ. იაკიმოვს თავის პროტექციონიზმით, რომელზედაც ბ. გ. მაიაშვილი [29]) ამბობს: „აი რას ნიშნავს ის გარემოება, როცა ადამიანმა არ იცის იმ შემთხვევათა გასინჯვა. რომლებიც ხდებიან მის გარშემო" (იხ. „Новое Обозр." № 3003).

„ერთ გარემოებაზე კიდევ გვსურს ჩვენ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება, რაც კიდევ ამტკიცებს ბ. მაჩხანელის „წამლის" თავისებურებას. ჩვენ ვამბობთ იმ გარემოებაზე. რომ ავტორი ძლიერ მოწადინებულია. მისი „წამალი" მთავრობის ძალდატანებით იქნას გაყვანილი უვიც ხალხში. ამის შესახებ ჩვენ ზემოდ გექონდა გამოთქმული საზოგადო მოსაზრებანი და ახლა კიდევ აღაო შევდივართ იმის გასინჯვაში. შევნიშნავთ კიდევ, რომ მეტის-მეტი ბრიყვი უნდა იყვეს ის ადამიანი, რომელსაც ამნაირი ღონისძიებით ესურვება ხალხის წინწაწევა. ამიტომ ავტორს სულ უმართლოდ გამოჰყავს ის დასკვნა, ხალხი ამნაირ ძალდატანების შემდეგ, „აღტაცებით წარმოსთქვამს შემდეგს: „აწ სად იყვნენ აქამდის და წინადვე არ გაგვიხსნეს ეგეთი ღვთისაგან დალოცვილი დეპოები ი კურთხეული შვილებმაო" („ივ." №155). ამნაირი ოპტიმისტური შეხედულების შესარყეველად ავტორს ვურჩევთ წაიკითხოს მაინც „ივერიის" ამ წლის № 188-ში დაბეჭდილი ფელეტონი. რომლის ავტორს ძლიერ საგულისხმიერო ფაქტები მოჰყავს, თუმცა თვითონაც უკანონო კომენტარიებს უკეთებს.

დაბოლოს საჭიროდ ვსთვლით რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ კიდევ. შეიძლება მკითხველმა დაგეწამოს ჩვენ ის აზრი, რომ დეპო-კასებს სულ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს სყიდვა-გაყიდვაში. მაგრამ ამაზედ ლაპარაკი ახლა ზედმეტი იქნება, რადგანაც მკითხველმა უკვე იცის, რომ ჩვენ უარვყავით მხოლოდ ბ. მაჩხანელის თავისებური შეხედულება ამ საგანზე. თორემ საზოგადო დეპო-კასას კი არა, უბრალო საიაფო დუქანსაც კი შეუძლია რაიმე სარგებლობა მოუტანოს თავის მომხმარებლებს. მაგრამ საზოგადო პრინციპი კი. როგორც ერთისა, ისე მეორესი, ერთი და იგივეა.

VII

რამდენათაც შესაძლებელი იყო ჩვენის მხრით და რამდენათაც ნებას გვაძლევდა საგაზეთო წერილის ჩარჩოები, ჩვენ გავარჩიეთ ბ. მაჩხანელის წერილის უმთავრესი პრინციპიალური წინადადებანი. და იმ დასკვნამდის მივედით. რომ არც ერთი იმათგანი ჭეშმარიტებასთან დაახლოვებული არ არის და თითქმის ყველანი ეწინააღმდეგებიან თანამედროვე მეცნიერების შეხედულებას. მაგრამ „ჩვენი უთავბოლობა" კიდევ უფრო უმსგავსო წინადადებებს აყენებს. ზოგიერთი

ამ წინადადებათაგანი ბევრნაირად საინტერესოა; ამიტომ საჭიროდ ვსთვლით ამ უკანასკნელზე რამდენიმედ მაინც მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

ამ შემთხვევაში პირველად მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმას, თუ რა აზრისაა ბ. მაჩხანელი ჩვენი ინტელიგენციის შესახებ, რადგანაც ამ საგანს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ავტორმა, თუმცა საკმარისად ბევრი ილაპარაკა ამ კითხვაზე („ივ.“ №№ 87 და 89). მაგრამ იმის ნათქვამიდან მხოლოდ ის გამოდის, რომ ეს ინტელიგენცია „თავიდან-ფეხამდე“ წამხდარია, რომელსაც ხელიდან არაფერი არ გამოუვა. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს აზრი არა ერთხელ გამოთქმულა ჩვენს ლარიბ მწერლობაში და ძლიერ მართალიც არის; მეორე მხრით, ბ. მაჩხანელიდანაც ამნაირ დასკვნას მოველოდით, რადგანაც ის საზოგადოთ მეცხრამეტე საუკუნეზე იმ აზრისაა, რომ ამ საუკუნეში ადამიანს დაუკარგავს „სულ ყოველივე ადამიანური თვისებანი“. საზოგადოთ ჩვენი ავტორი უკიდურესი ოპტიმისტია, და ეს როგორ მოხდა. რომ მეცხრამეტე საუკუნეზე, რომელიც მეცნიერების ყველა სფეროში შესხმულია ქებით, იმან ამნაირი პესიმისტური აზრი წარმოსთქვა? ჩვენი ინტელიგენცია რომ დაცემულია, ეს ყველასათვის აშკარაა, მაგრამ ეს რა მეცხრამეტე საუკუნის ბრალია? ბ. მაჩხანელს ჰსურდა ჩვენი ინტელიგენციისათვის ეკიჟინებია, მაგრამ ამის მაგივრად მთელს მეცხრამეტე საუკუნის კაცობრიობას უკიჟინა.

ავტორი რასაკვირველია უფრო კარგს იზამდა, რომ მეცხრამეტე საუკუნისათვის თავი დაენებებია და ამის მაგივრად ჩვენი ინტელიგენციის დაცემის და უვარგობის მიზეზი გამოეკვლია და ამასთანავე ეჩვენებია ჩვენი ხალხის ინტელექტუალური ძალის ასაღორძინებელი საშვალება (ავტორის აზრით, ამნაირი საშვალება დეპო-კასებია), მაგრამ იმან სულ უყურადღებოთ დატოვა პირველი საგანი. რაც შეეხება ჩვენი ინტელიგენციის გაუმჯობესების საქმეს, ამის შესახებ ჩვენმა ავტორმა წარმოსთქვა მეტად ორიგინალური აზრი, რომელიც მის შემდეგ თავ. მეშჩერსკიმ გაიმეორა თავის გაზეთში (იხ. ამ. წლ. „Гражд.“ № 222). ბ. მაჩხანელი კატეგორიულად ამბობს, რომ ჩვენი მოწინავე საზოგადოების ამაღლებისთვის საჭიროა, რომ დღევანდელი უვარგისი ინტელიგენცია სიკვდილით აღმოიფხვრასო. თავ. მეშჩერსკი ცოტა სხვანაირ პროექტს იძლევა: ის ამბობს, რომ ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც ილია წინასწარმეტყველი მოექცა ვაალის წინასწარმეტყველებსო, ე. ი. მიიყვანა ისინი რუკისსონთან და დაჰკლაო. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ბ. მაჩხანელს და მეშჩერსკის შორის ცოტა განსხვავებაა: ორივეს სიკვდილი უკეთეს საშუალებად მიაჩნიათ ინტელიგენციის გასაწმენდათ. ამნაირი აზრი სწორედ რომ მეტის მეტად ახირებულობაა. განა სად მომხდარა, რომ სიკვდილს აღმოეფხვრას რომელიმე წოდება ანუ რომელიმე დასი? ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა რომელიმე დასს არავითარი ნიადაგი არ აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში; მაშინ შესაძლოა, როცა დაიხოცებიან ამ დასის შემადგენელი პირები, თვით დასიც მოისპობა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რომელიმე დასის არსებობა უნიადაგოდ; ეს ეწინააღმდეგება ყოველნაირ ადამიანურ მოსაზრებას და ამას არ ამართლებს ისტორია. ამისათვის, თუ ჩვენ ვსცნობთ რომელიმე დასის

ან წრის არსებობას, ჩვენ უკვე წინდაწინვე ვგულისხმობთ, რომ არსებობენ პირობები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომლებიც იწვევენ ხსენებულს დასს. მაშასადამე, დასი გამოწვეულია უკვე არსებული პირობებით. ამისათვის დასი იკოცხლებს მანამდის, სანამდის იქნებიან პირობები, რომლებიც მას ხელს უწყობენ. სიკვდილი აქ ვერაფერს დააკლებს: მოკვდება ერთი, მის მაგიერ იგივე ნიადაგი ზრდის მეორეს. მაშასადამე, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ რომელიმე წოდებაზე, ჩვენ სახეში უნდა გვქონდეს არა იმის მარტო თანამედროვე წარმომადგენელი პირები, არამედ ის პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს იმათი არსება და ხელს უწყობენ მათ რომელიმე განსაზღვრულ ეპოქაში. ავიღოთ მაგალითი თანამედროვე ცხოვრებიდან: განა კაპიტალისტების კლასი მოისპობა როდშილდების სიკვდილით? კაპიტალისტების კლასისათვის სულ ერთია ვის ხელში იქნება აუარებელი მოგროვილი სიმდიდრე: მამა იქნება ეს თუ მისი შვილი, ან ბიძაშვილი, ან სულ სხვა ვინმე. მაგრამ, თუ შეიცვლება თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების წესწყობილება, ე. ი. პირობები ამ წარმოებისა, რაც ეუჭველად უნდა მოხდეს, მაშინ უეჭველად მოეღება ბოლო კაპიტალისტურ კლასსაც.

ნათქვამიდან მკითხველი ადვილად დაინახავს, თუ რა თავისებური აზრი წარმოსთქვა ბ. მაჩხანელმა ინტელიგენციის შესახებ. მაგრამ ამნაირი აზრი წარმოსთქვა მან იმიტომ, რომ არ შეუსწავლია ის პირობები, რომლებშიაც იზრდება ჩვენი ახალი თაობა. იმიტომ, რომ მას არ გამოუკვლევია ის ნიადაგი. რომელიც ასაზრდოებს ჩვენს ძველს და ახალს თაობას. იმიტომ კიდევ, რომ მან მოინდომა ერთბაშად განსპეტაკება ჩვენი გათახსირებული ინტელიგენციისა. ბ. მაჩხანელს სჭირს ერთი დიდი ნაკლულევანება, რომლიდანაც გამომდინარეობს ყველა მისი შეცდომები. ეს ნაკლულოვანება მდგომარეობს იმაში, რომ ბ. მაჩხანელს უყვარს ყოველგვარ საგანზე საუბარის გამართვა, მაგრამ, საუბედუროთ ის საგნის არსებით მხარეს არას გზით არ შეეხება; მისგან ნუ მოელით ნურც ანალიზს, ნურც გენეტიურ განხილვას, რაც ყოველნაირ ცოდნის საფუძველს შეადგენს.

ამნაირადვე შეეხო ჩვენი ავტორი ქართველ სტუდენტებსაც, რომლებსაც მან გვარიანი საგრძნობელი წკიპურტები ჰკრა და, რასაკვირველია სამართლიანადაც, მაგრამ აქაც ავტორმა იგივე ნაკლულოვანება გამოიჩინა, რაც ყოველგან: ის არ ეცადა გამოეკვლია ჩვენი სტუდენტების ასეთი უვარგისობის ღრმა მიზეზები. აქ შეეძლო ავტორს სხვათა შორის შეხებოდა, თუ რა საზოგადოებრივი პირობები არტყია გარშემო ჩვენს ახალგაზრდობას, სანამ ის არ გადავა მაღალ სასწავლებლებში; აქ ეძლეოდა მას საბაბი გამოეშკარავებია ჩვენი საზოგადოების ავ-კარგი და მისი გავლენა ამ ახალგაზრდობაზე; მერმეთ მას შეეძლო უფრო დაწვრილებით განეხილა ჩვენი ახალგაზრდობის ახალი პირობები, რომლებშიაც ის იმყოფება მაღალ სასწავლებელში შესვლისთანავე. აქ ის მრავალ საინტერესო და საყურადღებო ცნობებს გაიგებდა. მაგრამ ყველა ამის მაგიერ, ავტორმა იკმარა მარტო იმის აწერა, რომ ქართველი სტუდენტების ოთახში კალოშები თავის ადგილზე არ აწყვია, წიგნები მიყრილ-მოყრილია აქა-იქ, ოთახი დაუგველია და თვითონ სტუდენტები „საროსკიპო ბაზარში“ დადიანო

და სხვ. ყველა ამას ეკითხულობდით და გვიკვირდა: განა მელნის ფასად ღირდა ამაების აწერა?

მაგრამ თუ ვინმეს უსამართლოდ მოეჩვა ბ. მაჩხანელი, ეს მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს. ყველამ იცის რანაირი საძნელო თანამდებობა არის სოფლის მასწავლებლობა; ყველამ იცის აგრეთვე, თუ რამდენად უზრუნველყოფილნი არიან სოფლის მასწავლებლები ნივთიერი მდგომარეობის მხრივ. მაგრამ ამისდა მიუხედავად ჩვენ საქართველოს ყველა კუთხეებში ვხედავთ, რომ სოფლის მასწავლებლები დიდის პატივით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ჩვენი სოფლის მასწავლებლები უმეტეს ნაწილად ბავშებთან მეცადინეობით სრულიადაც არ კმაყოფილდებიან: ისინი ხდებიან მთელი სოფლის, დიდის თუ პატარასი, ქალის თუ ვაჟის, მასწავლებლად და ხელმძღვანელებად და ამ შემთხვევაში იმათ სწორედ დაიმსახურეს სახელი ს ო ფ ლ ი ს მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი ს ა. ამას გარდა, რომელი საზოგადო საქმე დაწყებულა ჩვენში, რომ სოფლის მასწავლებლებს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოთ? ერთი სიტყვით, ჩვენი სოფლის მასწავლებლები არიან ერთად-ერთი პირნი, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართველ საზოგადოების წინაშე. რასაკვირველია. მათ რიცხვშიაც არიან უვარგისნი, მაგრამ ესენი ძლიერ მცირეა. ბ. მაჩხანელმა კი არც ერთი ეს გარემოება არ მიიღო მხედველობაში და ერთბაშად უკიჟინა ყველა სოფლის მასწავლებლებს, და მერე იცით რისთვის? იმიტომ, რომ სოფლის მასწავლებლები ხშირად არ დადიან ეკლესიაზე და როცა დადიან, ბარძიმ-ფეჩხუმის გამოსვენების დროს არ იჩოქებენ, იმ დროს, როდესაც თვით დიდებულნი მეფენიც კადრულობენ მუხლის მოდრეკას და სოფლის მასწავლებელნი კი რა დიდი ვინმე არიანო? O santa simiplicitas! უთხრათ ჩვენ ბ. მაჩხანელს და მეტი არაფერი.

ახლა ჩვენ შეგვიძლია რამდენიმეთ წარმოდგენა ვიქონიოთ ბ. მაჩხანელის წერილის შინაარსზე; ჩვენ შეგვეძლო კიდევ დაწერილებით გავჩერებულიყავით „ჩვენ უთავბოლობაზე“, მაგრამ, ვგონებთ, რაც ვსთქვეთ, ისიც საკმარისი იქნება იმ შინაარსის დასაფასებლად, რომელიც მოქცეულია „ჩვენ უთავბოლობაში“. დაგერჩა, მაშასადამე, რამდენიმე სიტყვის თქმა გარეგანი მხარის შესახებ.

ამ შემთხვევაში პირველად მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ „ჩვენი უთავბოლობის“ შინაარსის უთავბოლოდ გაპიანურებაზე. ავტორმა თუმცა დაგვიხატა გეგმა, რომლის შესრულებას ის გვპირდებოდა თავის წერილში, მაგრამ მისი დაპირება მხოლოდ დაპირებად დარჩა და საბრალო მკითხველი-კი იძულებული იყო დღითი-დღე ეკითხა „ივერია“-ში ერთი და იგივე იმის ლოდინში, რომ ეგებ დღეს მაინც მოგვაწოდოს ბ. მაჩხანელმა რაიმე ახალი, თავის. დაპირებისამებრო; მაგრამ სულ ამაოდ: ყოველ დღე მკითხველი შემდეგს კითხულობდა „ივერია“-ში: ჩვენი ხალხის ყოველიეე სიმდიდრე ძაღლის და ღორის (ე. ი. ვაჭრების) ხელში გადადის და როცა დეპო-კასები საქართველოს ყველა კუთხეებს მზის ცხოველ-მყოფელი სხივივით მოეფინება, მაშინ დამყარდება ჩვენს ქვეყანაში საუკუნო ნეტარებაო. მაგრამ, როგორ? იკითხავს მკითხველი, — ყველა ზემოაღნიშნული საგნები. რომლებიც გარჩეულია თქვენს წერილში. ყველანი ბ. მაჩხანელის მიერ არ არიან აღძრულნიო? საქმეც ის არის. ჩე-

შო მკითხველო, რომ როგორც ბ. მაჩხანელის წერილის გეგმა. ისე ის საგნებიც, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი, აღძრული იყო ჩვენი ავტორის მიერ სრულიად მოუფიქრებლად: იმას სრულიადაც არ უკისრნია იმათი სისრულეში მოყვანა. მაშ რაღაა გაჟიმული ამ აუარებელ წერილშიო? კიდევ იკითხავს გაჯავრებული მკითხველი. გარდა იმისა. რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. არაფერი. ეს გარემოება, ერთის მხრით. ამტკიცებს ბ. მაჩხანელის წერილის სრულს უშინაარსობას და, მეორე მხრით, მის უთავბოლობას.

ამნაირად გარეგნობის მხრივ „ჩვენი უთავბოლობა" წარმოადგენს ერთი და იმავე უმნიშვნელო აზრის დაუბოლოვებელ განმეორებას. ე. ი. ეს ის არის, რასაც წყლის ნაყვეს ეტყვიან. მაგრამ, მეორეს მხრივ, აქ მკითხველი სხვანაირ გარემოებასაც ჰხედავს. რაც სხვა თხზულებაში იმას ი"შვიათად. ანდა სულ არ შეხვდება. ჩვენ ვამბობთ იმ გარემოებაზე. რომ ბ. მაჩხანელს მოუთავსებია, ან უკეთ რომ ვსთქვათ მოუგროვებია თავის წერილში აუარებელი რიცხვი სახალხო ანდაზებისა, ამოცანებისა და ლექსებისა; ამას გარდა გაუვსია თავისი წერილი აგრეთვე ციტატებით არ. შოპენჰაუერის ყაიდის ფილოსოფოსებიდან, რომლებსაც ჩვენი ავტორი სულ ყოველთვის უმატებს შემდეგ სიტყვებს: მშვენივრად უთქვამს ამის მთქმელსო, ან სწორედ ღვთაებრივი სიტყვებიაო. აქ ავტორს კიდევ თავის მხატვრობითი და პოეტური ნიჭიც უშინჯავს: უცდია რაღაც მოთხრობის მსგავსი რამ შეექმნა (იხ. „ივ." № 161) და ამავე დროს იდილიურ ოცნებასაც მისცემია უზომოდ (იხ. „ივ." № 164).

მაგრამ. არ იკითხავთ რისთვის უკისრნია ბ. მაჩხანელს ამნაირი „ენციკლოპედიური" ზრომა? ის თვითონ ამბობს, რომ „მე თავის აზრის დასამტკიცებლად ზღაპრებით და ანდაზებით ვიხელმძღვანელებ და წინდაწინეე ვსთხოვ მკითხველებს, რომ უარი არ ჰყონ მათ ჩემს საკუთარ მეთოდსო" (იხ. წინასიტყვაობის მაგიერი). ამ სიტყვებს რომ ვკითხულობდით ჩვენ, ძლიერ გვიკვირდა: როგორ შეიძლება სოციალურ და ეკონომიურ მოვლენათა შესახებ მსჯელობა რაღაც ანდაზებზე დავამყაროთ? თვით ბ-ნ მაჩხანელის ამნაირი საქციელი იმას ამტკიცებს. რომ მას ნდომებია მკითხველის წინაშე თავის მოწონება. რომ, აი და მე შოპენჰაუერი წამიკითხავს. აი და ნორდაუს პარადოქსები ვიცი და ზღაპრები და ანდაზები დამიზეპირებიაო და სხვა. De te fabula narratur *), ვიტყვეთ ჩვენ ამ შემთხვევაში ბ. მაჩხანელზე; მასთან მისი ახალი მეთოდიც (თუმცაღა დოგმატიურ ღვთისმეტყველებაში ის დიდი ხანია შემოღებულია) საკუთრათ მისთვის დაგვითმია.

დაუმატეთ ამას კიდევ ის გარემოება, რომ ბ. მაჩხანელი თითქმის თითეულ სტრიქონს თავის წერილისას შემდეგი სიტყვებით ამშვენებს: უსინდისო, უნამუსო, სათოკე, საძაღლე მოვაქრე—მოვახშენი. ორფეხა მგლები, მუამელი მგელ-კაცები. „საროსკიპო ბაზარში მოსიარულენი", „საპატარძლო ასი თუმანი, გინდ ის ასი თუმანი ჯოჯოხეთის მაშხალასაც ჰგავნდეს გარეგნობით (ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ეს რას ნიშნავს: როგორ შეიძლება რომ ასი თუმანი ჯოჯოხეთის მაშხალას ჰგავდეს?) და მესაცრე ყარაჩების სულის თვისებით იყოს გაჟღენთი-

*) არაკი შენზეა ნათქვამი.

ლი" („ივ." № 164) etc. რას ნიშნავს ამნაირი უკმეხი და უზრდელი სიტყვების სროლა? ნუ თუ ეს იმას არ ნიშნავს. რომ ბ. მაჩხანელს ყოველნაირ კვლევის უნარი დაუკარგავს და მარტო სოფლის დედაკაცურ ბოდვას მიჰყოლია? საზოგადო კილო მისი წერილისა იმნაირია, რომ ის, ერთის მხრით, ღიმილს იწვევს ადამიანში, და, მეორეს მხრით, ღრმა მწუხარებას: რა უბედურებაა ეს ჩვენში, რომ ისეთები „იხვეჭენ" მწერლის სახელს, რომლებისათვის არა თუ არ არსებობს მთელი დღეანდელი მეცნიერება, არამედ თვით ცხოვრებაც აკრძალულ ხილს შეადგენს. სწორედ ის არის უმთავრესი მავნებელი მიზეზი ჩვენი ცხოვრების წარმატებისა, რომ ჩვენში ფეხს იდგამენ ამნაირი ჯურის მწერლები. ბ. მაჩხანელმა, მაგალ., მოინდომა ჩვენში „კეთილი სახელის მოხვეჭა" და აბა ამაზე ადვილი რაღა იყო: გაიხედ-გამოიხედა, წაიკითხა არ. შოპენჰაუერი, სმაილსი და რამდენიმე კიდევ ამათი ყაიდის მწერალი, იგრძნო თავის არსებაში მიკული სელიანინოვიჩის ძალა და დასწერა „ძმური სიტყვა". შემდეგ ამისა მან წაიკითხა შულცე დელიჩელი, რამდენიმე რუსული ჟურნალი და გაზეთი და, ერთის მხრით, იგრძნო პოლიტიკური ეკონომიის ცოდნა და, მეორე მხრით, პუბლიცისტური მოწოდება და დაჰბეჭდა გაზ. „ივერიაში" „ჩვენი უთავბოლობა". მაგრამ ნუ გგონიათ, რომ შულცე დელიჩელის წაკითხვით რაღა მოიმატა ბ. მაჩხანელმა. არა, თუ „ძმურ სიტყვაში" ერთი ღრმა შეცდომა ჰქონდა ბ. მაჩხანელს, „ჩვენს უთავბოლობაში" ეს შეცდომა გაორკეცა.

აი რას ნიშნავს, როცა ადამიანი მოუფიქრებლად ეკიდება საქმეს. ის ერთობ გულკეთილი კაცია: იმას ჰსურს დაჩაგრული ხალხის პატრონობა; ამისათვის ეძებს ყოველნაირ ღონისძიებას, რომ გამოიხსნას ის ტანჯვისაგან, მაგრამ რადგანაც მას არ შეუძლია არც ერთი საშვალების კრიტიკული დაფასება, ანალიზი, ამისათვის სარგებლობის მაგიერ მოაქვს მარტო ვნება.

ბ. მაჩხანელი გაეცნო სმაილს და მაშინვე იმის მიმდევარი გახდა, შემდეგ წაიკითხა შოპენჰაუერი, რომელსაც თავის მხრივ საკმარისად წარეტაცა ჩვენი ავტორი. მაგრამ უკანასკნელად მხოლოდ შულცე დელიჩელმა მოჰხიბლა ის მოუბრუნებლად.

ამნაირად ბ. მაჩხანელმა არც ერთი სხვისი შეხედულება კრიტიკულად არ განიხილა და ისე არ შეითვისა: ის ერთსაც უჯერებს და მეორესაც, თუნდ ეს მეორე პირველის პირდაპირ საწინააღმდეგოს ამბობდეს; მისი ჭკუით ის შულცე დელიჩელის მომხრეც არის და იმავე დროს კ. მარქსისაც, იუდასიც და ქრისტესიც. სწორედ ამას ქვია დამოუკიდებელი მსჯელობის სრული უჭონლობა. მაგრამ ამასთანავე ბ. მაჩხანელი იწვის კეთილი წადილით, რომ რაიმე სარგებლობა მოუტანოს თავის მოძმეებს და რამდენმე უნიჯო თხზულებების წაკითხვის შემდეგ ერთბაშათ ჰსურს გახდეს ბელეტრისტი, ეკონომისტი, სოციოლოგი და პუბლიცისტიც, და ამავე დროს კი არავითარ ანგარიშს არ აძლევს თავის თავს, არ სწონის თავის ცოდნას და თავის ინტელექტუალურ ძალას.

ამიტომ, ბ. მაჩხანელმა თავის წერილში „ჩვენი უთავბოლობა" რა კითხვა გინდათ არ აღძრა და ვის გინდათ არ ეცა? ჯერ გვიჩვენა ვითომც მთელი კაცობრიობის ლტოლვილება; მერე დაგვპირდა ჩვენი ხალხის ნივთიერ მდგომარეობის გამოკვლევას; შემდეგ იკისრა ფრიად საძნელო საქმე: ჩვენი ხალხის დაცე-

მის წამალის ჩვენება; ამას გარდა, რომელი წოდება ან დაწესებულება არ გინდათ, რომ მას არ ეთქვას: ეს ამნაირია, ის იმნაირია, ეს წამხდარია, ის გაფუჭებულიაო, იქონიეთ სახეში, რომ ყოველივე ეს ერთი კალმის მოსმით. მაგრამ ამით ავტორი არ კმარობს, ის ეხება უფრო პრინციპიალურ მხარეს: ის პირდაპირ ამტკიცებს, რომ ჯერ ხალხი უნდა გამდიდრდეს ყელამდის ნივთიერი ქონებით და მხოლოდ მერე იზრუნოს სწავლა-განათლებაზე, რომ ქვეყნის კეთილდღეობა სავაჭრო ნივთების რაოდენობაზე ჰკიდია და სხვ. თუ რამდენად მართალია ავტორის ამგვარი მსჯელობა ჩვენ უკვე რამდენიმედ ვიცით; ვიცით აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი ავტორის იმნაირი თავგამოდებითი ქადაგება, როგორიც მან გამოიჩინა „ჩვენ უთავბოლობაში", გარდა ვნებისა, არაფერს არ მოიტანს. მაგრამ მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ბ. მაჩხანელს ეს განზრახ მოსდიოდეს. არა, ჩემო მკითხველო, აქ ძევს უფრო სამწუხარო მიზეზი. ჩვენ ვამბობთ ხელმძღვანელი დედა-აზრის (იდეას) უქონლობაზე.

ბ. მაჩხანელსავით დაემართება ყველას, ვინც წინასწარ არ შეადგენს თავის გონებაში რაიმე საერთო დედა-აზრს, არ ეცდება იმის შემუშავებას, არ გაუკეთებს მას კრიტიკულ ანალიზს, არ შეუფარდებს მას სხვა შეხედულებას, — ერთი სიტყვით არ შეისწავლის იმას იმ საშვალებით, რომელსაც გვაძლევს თანამედროვე მეცნიერება. აი სწორედ ამ ხელმძღვანელი დედა-აზრის უქონლობა ჩვენ გვაძლევს სრულს უფლებას ბ. მაჩხანელის „ჩვენ უთავბოლობას" ვუწოდოთ „უთავბოლობის ნაყოფი".

P. S. ეს წერილი ჩვენ გათავებული გვქონდა, როცა გაზ. „ივერიაში" (№ 200) „ჩვენი უთავბოლობის" მეოთხე თავის ბეჭდვა დაიწყო ჩვენი ინტელიგენციის შესახებ. მაგრამ რადგანაც აქ ბ. მაჩხანელი მხოლოდ თავის წინანდელ ნათქვამს იმეორებს, ამიტომ ჩვენის მხრით დიდი დანაშაულება არ იქნება, თუ ამ უკანასკნელი თავის განხილვას სრულიად არ შეუდგებით, მხოლოდ ერთ გარემოებაზე კი გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ: წინათ ბ. მაჩხანელი ამბობდა: „ეს ბურთი და ეს სამოთხის მოედანი, წინ ვინ დაგვიდგება საქვეყნო კეთილის საქმეების განხორციელებაში თუ არა ჩვენივე დამღუპავი თავშეუდებლობა" და სხვ. (იხ. „ივ." № 186). ახლა კი ის ჰღაღადებს, რომ „საქვეყნო კეთილი საქმეებისათვის" რომ ვიმოქმედოთო, ჯერ ჩვენთვის საჭიროა ბეჭდვის და სიტყვის თავისუფლებაო („ივ." № 207).

მაშასადამე, როგორც მკითხველი ჰხედავს, თვით ბ. მაჩხანელი რამდენიმედ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „სამოთხის მოედანი" ჯერ ჩვენ წინ სრულიად არ ყოფილა. მას რომ ამ უკანასკნულ გარემოებისთვის მიექცია თავის ყურადღება, მაშინ ჩვენ გვგონია, მისი შეცდომების რაოდენობა ძლიერ იკლებდა.

(ჟ. ვარშავა, 1892 წ. 2 ოქტომბერი, ფ. შემოქმედელი).

ნაწილი II

პროლეტარული სახელმწიფო ანუ საბჭოების სისტემა

ჩვენ ვიცით, რომ ძველი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე დიდი რევოლიუციის ხანაში, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება, აღმოცენდა და განვითარდა, ერთი მხრით, პროლეტარული სახელმწიფო საბჭოების სახით და, მეორე მხრით, წარმოიშვენ ისევ ძველი სახელმწიფოებრივი ფორმები, მართვა გამგეობის ძველი სისტემები, ანუ წმინდა ბურჟუაზიულ - პარლამენტარული რესპუბლიკები.

დღემდის პროლეტარული სახელმწიფო ანუ საბჭოების სისტემა ამა თუ იმ სახით დამკვიდრდა ევროპის რუსეთში, უკრაინაში (მოლორუსიაში), მთელ დასავლეთ ციმბირში, აღმოსავლეთ ციმბირის მრავალ ადგილებში, თურქესტანში. ჩრდილოეთ-კავკასიაში დაღესტანითურთ. იმავე დროს ბურჟუაზიულ-პარლამენტარული წყობილება ძველი რესპუბლიკანურ სახელმწიფოების სახით დამყარდა ფინლიანდიაში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთში და ამიერ-კავკასიაში, ე. ი. საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში *).

აქ ვერ შევეხებით იმ მიზეზების გარკვევა-აღნუსხვას, თუ რად მოხდა, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის ერთ ნაწილში უკანასკნელ რევოლიუციას შედეგათ მოჰყვა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის სრულიად ახალი ტიპის, ანუ საბჭოთა რესპუბლიკის აღმოცენება და დამკვიდრება, და მეორე ნაწილში კი. განსაკუთრებით ყოფილ იმპერიის განაპირა ადგილებში, სახელმწიფო მართვა-გამგეობის ისევ ძველი ფორმები, ანუ ბურჟუაზიული რესპუბლიკები ბოგინობენ. მხოლოდ ერთი გარემოება კი უნდა აღვნიშნოთ აქვე: რომ საერთაშორისო იმპერიალიზმს შეუბრალებელი ომი არ გამოეცხადებია პროლეტარულ რუსეთისათვის, რომ ჯერ გერმანიის, შემდეგ ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალისტები არ ჩარეულიყვნენ რუსეთის სამოქალაქო ომში, რომ ამ მტაცებლებს არ შეეყვანათ თავისი ჯარები ფინლანდიაში, ბალტიის მხარეში, პოლონეთში, ამიერ-კავკასიაში და ძალმომრეობა არ მოეხდინათ ადგილობრივ მშრო-

---

*) როცა ეს წერილი იწერებოდა, ამ დროს იქ ჯერ კიდევ საბჭოთა მთავრობა არ არსებობდა. ა ვ ტ.

მელ მასებზე, დარწმუნებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ დასახელებულ ადგილებში ნაცვლად ბურჟუაზიულ-პარლამენტარული წესწყობილებისა, ჩვენ გვექნებოდა დღეს ისეთივე სახელმწიფოებრივი ფორმა, როგორიც დამკვიდრდა ცენტრალურ რუსეთში და მის ზოგიერთ პერიფერიებში — საბჭოების სისტემა, საბჭოთა მთავრობა. მეორე მხრით, არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ რუსეთის ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზე, სადაც რევოლიუციონური დუღილი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და სადაც აშკარა სამოქალაქო ომი სწარმოებს. არავითარ მთავრობას, მართვა-გამგეობის არც ერთ ფორმას არ ძალუძს ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივი არსებობა, თუ მას ზურგს არ უმაგრებს, თუ მას აქტიურათ მხარს არ უჭერს მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა, ესე იგი მუშები, გლეხები, ჯარისკაცები. ეს დებულება უფრო სამართლიანია და სწორი ხდება ახლა, როცა გარეშე იმპერიალისტური ძალების აქტიური გავლენა რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებზე, პროლეტარული რევოლიუციის ბრწყინვალე გამარჯვების მეოხებით, რუსეთში ძალზე შესუსტდა.

აშკარაა, სანამ ჯერ კიდევ ჩვენში რევოლიუციის დუღილი არ შეჩერებულა, სანამ ჩვენ კიდევ სამოქალაქო ომის ხანაში ვიმყოფებით, სანამ ჯერ კიდევ არ მომხდარა ბურჟუაზიული რესპუბლიკის შედედება-შედუღება (კონსოლიდაცია) სანამ ჯერ კიდევ არ გამაგრებულა ბურჟუაზიის დიქტატურა, პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება და პროლეტარულ სახელმწიფოს დამკვიდრება დღის წესრიგში უნდა იდგეს და მთელი მუშათა კლასის დღევანდელ დანიშნულებას უნდა შეადგენდეს იგი. საქართველოს მშრომელი მასის წინაშე დღეს ორი პრაქტიკაა: ერთია პრაქტიკა საბჭოთა რუსეთის, ანუ პროლეტარულ სახელმწიფოსი, რომელი პრაქტიკაც ამ მასას თითონ არ განუცდია, თავისი თვალით არ უხილავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, რომლის გათვალისწინების უნარს იგი მოკლებულ არაა. მეორე პრაქტიკაა ქართველ სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) ბურჟუაზიული სახელმწიფოს პრაქტიკა, რომელიც ქართველმა მუშებმა და გლეხებმა თვითონ განიცადეს და დღესაც განიცდიან, რომელსაც საქართველოს მშრომელი მასსა თავისი საკუთარი თვალით ხედავს. აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენმა მუშებმა, გლეხებმა და ჯარის-კაცებმა რაც შეიძლება ჩქარა და რაც შეიძლება ზედმიწევნით შეიგნონ ძირითადი განსხვავება ამ ორ პრაქტიკას შორის, ე. ი. გაითვალისწინონ არსებითი განსხვავება პროლეტარულ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელსაც ქართველი მენშევიკები აარსებენ დღეს ჩვენში.

ამ წერილში ჩვენ ვეცდებით გავარკვიოთ ეს საკითხი რაც შეიძლება ადვილი გასაგები ენით და რაც შეიძლება მოკლეთ.

1. ბურჟუაზიული თუ პროლეტარული რევოლიუციის ხანაში ვიმყოფებით დღეს?

თავდაპირველად საჭიროა ამ კითხვის გადაჭრა. მართალია ცხოვრებამ. ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, რუსეთის დიდმა რევოლიუციამ იგი უკვე გადაჭრა, მაგრამ რას იზამთ, როცა. ეგრეთწოდებული, მემარჯვენე სოციალისტური

პარტიები, განსაკუთრებით მენშევიკების პარტია, სინამდვილეს ანგარიშს არ უწევენ და უნდათ ისტორიის ჩარხი უკან შეატრიალონ.

1917 წლის რუსეთის რევოლიუციის მეთაური და მისი ერთად-ერთი მატარებელი კლასი იყო პროლეტარიატი. პროლეტარიატმა ჯარის კაცებად გაღაცმულ გლეხების დახმარებით ბურჟუაზიის და მისი იდეოლოგების სურვილის წინააღმდეგ, მეფობა სამუდამოდ დაამხო და მაშინვე დააარსა მუშათა დეპუტატების საბჭო, როგორც ორგანო რევოლიუციონური მთავრობისა და მართვა-გამგეობისა. პროლეტარიატთან ერთად რევოლიუციის მატარებელ და მამოძრავებელ კლასს წარმოადგენდა აგრეთვე ღატაკი, უმიწაწყლო ან მცირე მიწის პატრონი გლეხობა. რევოლიუციის გამარჯვება თხოულობდა ამ კლასის გატაცებას რევოლიუციით, მის ჩათრევას რევოლიუციაში.

ამნაირათ რევოლიუციის გამარჯვებით არსებითად დაინტერესებული იყო ორი კლასი: ქალაქის მუშები ანუ პროლეტარიატი და სოფლის მუშა ხალხი ანუ ღარიბ-ღატაკი გლეხობა. მაშასადამე, რევოლიუციის გამარჯვება თხოულობდა, რომ მთელი ძალა-უფლება სახელმწიფოში მუშების და გლეხების ხელში გადასულიყო. მუშები და გლეხები ამ ძალა-უფლებას გამოიყენებენ გაუკლეფილ და დაჩაგრულ კლასების სასარგებლოდ მყვლეფელ და მჩაგვრელ კლასების კაპიტალისტური ბურჟუაზიის და მემამულეების წინააღმდეგ, ე. ი. იმათი ბატონობის გ ა ს ა ტ ე ხ ა თ, იმათი დიქტატურის დასაძლევათ. მაშასადამე მუშების და გლეხების მიერ ძალა-უფლების თავის ხელში ჩაგდება უნდა გადაქცეულიყო პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის დიქტატურათ. აქედან აშკარაა, რომ რუსეთის 1917 წლის რევოლიუციას თავიდანვე პროლეტარული ხასიათი ჰქონდა, და არც შეიძლებოდა, რომ მას ასეთი ხასიათი არ ჰქონებოდა. რევოლიუცია გაიმარჯვებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი განვითარება და მსვლელობა მოხდებოდა ამ ერთად-ერთი ბუნებრივი გზით; წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დამარცხება აუცილებელი იყო, ვინაიდან 1917 წლის თებერვალში პეტერბურგის მუშების მიერ მოხდენილი გადატრიალების აზრი და მნიშვნელობა მარტო მეფობის დამხობაში კი არ მდგომარეობდა, არამედ მისი აზრი და მნიშვნელობა მდგომარეობდა ბურჟუაზიის და მემამულეების ჩაგვრის მოსპობაში. და თუ ეს ჩაგვრა ისევ დარჩებოდა, ეს იქნებოდა ერთ და იმავე დროს როგორც რევოლიუციის, ისე პროლეტარიატის დამარცხება.

მაგრამ მემარჯვენე სოციალისტური პარტიები, მენშევიკები და ესერები (ჩხეიძე [30]), წერეთელი [31]), სკობელევი [32]), კერენსკი [33]), ჩერნოვი [34]), გოცი [35]), რომლებიც თებერვლის რევოლიუციის ხანაში მუშათა კლასს მეთაურების როლში მოეელინენ. ასე როდი ფიქრობდენ. ისინი მსჯელობდენ ასე: მეფობის დამხობით რევოლიუცია დამთავრდა; ძალა-უფლება სავსებით ბურჟუაზიის ხელში უნდა გადავიდეს; მუშათა კლასმა ამ ხნობით თავისი როლი შესრულებულათ უნდა ჩათვალოს და დაკმაყოფილდეს იმით, რასაც მას კაპიტალისტები და მემამულეები მისცემენ. ისინი ასაბუთებდენ ამას იმით, რომ რევოლიუცია, რომელიც დღეს რუსეთში ხდება, წმინდა ბურჟუაზიულია, და არა პროლეტარული, რომ პროლეტარიატი რუსეთში ჯერ არაა მომზადებული პროლეტარული ანუ სოციალისტური რევოლიუცია მოახდინოსო. სწორედ ასევე

მსჯელობდენ კაპიტალისტები და მემამულეები (მილიუკოვები, ტერეშჩენკოები, კონოვალოები, რიაბუშჩინსკოები და ლვოვები). ამნაირათ მენშევიკები და ესერები, ერთი მხრით, და კაპიტალისტები და მემამულეები, მეორე მხრით, მოქმედებდენ თითქმის სრულიად შეთანხმებულათ მუშათა კლასის არსებით ინტერესების წინააღმდეგ. ისინი ერთნაირათ უთხრიდენ სამარეს როგორც პროლეტარიატს და გლეხობას, ისე თვით რევოლიუციასაც. იმავე დროს ისინი ატყუებდენ მშრომელ მასას სხვადასხვა დაპირებებით და ლამაზ-ლამაზი სიტყვებით, მაგრამ ეს ღალატი დროზე გაიგეს რუსეთის მუშებმა და გლეხებმა. 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბ. ახ. სტ.) მოხდა მეორე რევოლიუცია, რომელმაც დაამხო ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა და სახელმწიფო ძალა-უფლება საბჭოებით მუშათა კლასს გადასცა.

აიღო რა სახელმწიფო ძალა-უფლება ხელში, პროლეტარიატი შეუტევა წინანდელი სახელმწიფო მაშინის მოშლას, რომელიც აქნობამდის ბურჟუაზიის და მემამულეების ინტერესებს ემსახურებოდა. შეუტევა, მის დამტვრევას, როგორც მარქსი ახასიათებდა პარიზის კომუნის ტაქტიკას 1871 წელს. იმავე დროს პროლეტარიატი ქმნის თავის საკუთარ სახელმწიფო მაშინას, რომელიც შეესაბამება პროლეტარიატის ინტერესებს სოციალისტური რევოლიუციის ხანაში. ამნაირათ რუსეთის პროლეტარიატმა პარიზის კომუნის შემდეგ პირველად განახორციელა გიგანტიურ მასშტაბით მუშათა კლასის დიქტატურა.

მენშევიკებმა და ესერებმა ბურჟუაზიასთან ერთად გამოუცხადეს შეუბრალებელი ომი პროლეტარიატის დიქტატურას. ეს ვაჟბატონები, რომლებიც თავის თავს სოციალისტებს და მარქსისტებს უწოდებენ, მუშებს და გლეხებს უმტკიცებენ, რომ ბოლშევიკებმა ისინი შეაცდინეს, რომ მუშათა კლასს და ბურჟუაზიას ერთად უნდა ევლოთ. კიდევ მეტი: ვინაიდან მუშები დღეს ახდენენ არა პროლეტარულს (სოციალისტურ) რევოლიუციას, არამედ ბურჟუაზიულ რევოლიუციას, ამიტომ რევოლიუციის მეთაურათ ბურჟუაზია (მილიუკოვი, როდზიანკები. ბუბლიკოვები და სხვა მჩაგვრელი მმართველები) უნდა მიგვეჩინა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეც მათთვისვე უნდა ჩაგვებარებია. და ყოველივე ეს საჭირო იყო თვით მუშათა კლასის ინტერესებისთვის და ამას თვით სოციალიზმის ინტერესებიც მოითხოვდაო. პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში მეტად ნაადრევია, და ამ დიქტატურას არც კი თხოულობს სოციალიზმის განხორციელების საქმე, ვინაიდან სოციალიზმისაკენ ჩვენ მივყევართ არჩევნების საყოველთაო უფლებას, დემოკრატიზმს და სხვადასხვა. საერთოდ მენშევიკები ამ შემთხვევაში ორ მთავარ დებულებას აყენებენ, სახელდობრ: 1) პროლეტარულ სოციალისტური რევოლიუცია რუსეთში ნაადრევია, მას ნიადაგი არ აქვს, და ბოლოს ასეთი ცდა გამოიწვევს შავ რეაქციას, მონარქიის აღდგენას; 2) სოციალიზმის განსახორციელებლად სრულებით საჭირო არაა პროლეტარიატის დიქტატურა. ამისათვის საკმარისია ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი, საყოველთაო საარჩევნო უფლება, ე. ი. „დემოკრატიის საშუალებით სოციალიზმისაკენ“.

გავარჩიოთ მოკლეთ ეს დებულებები. პროლეტარული რევოლიუცია რუსეთში მეოცე საუკუნის პირველ მეთოხედში ნაადრევია, ვინაიდან ეს ქვეყანა

კაპიტალისტურათ განუვითარებელიაო. მაგრამ მენშეევიკები სოციალისტურ რევოლიუციას ამ ჟამათ ნაადრევათ სთვლიან არა მარტო რუსეთისათვის, არამედ ევროპა-ამერიკისათვისაც. სადაც კაპიტალიზმმა ფინანსიური კაპიტალის სახით უკვე მიაღწია თავის უმაღლეს ანუ უკანასკნელ საფეხურს. და მეორე ჩვენ დროში, ორთქლის, ელექტრონის, რკინის გზების, ორთქმავლების ხანაში განა კაპიტალიზმი ყველა ცოტათ თუ ბევრათ დაწინაურებულ ქვეყნებისთვის საერთაშორისო მოვლენას არ წარმოადგენს? თავის თავად იგულისხმება, რომ კაპიტალიზმი რუსეთში ამ ორი-სამი წლის წინეთ თავის განვითარებით ბევრაო დაბლა იდგა, ვინემ ინგლისში, გერმანიაში, ამერიკაში და საფრანგეთში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მარქსი და ენგელსი გასული საუკუნის მეორმოცდაათე წლებში შესაძლებლად სთვლიდენ პროლეტარული რევოლიუციის მოხდენას მაშინდელ გერმანიაშიაც კი, რომელიც ამ მხრით გაცილებით დაბლა იდგა დღეანდელ რუსეთზე. და ამას ორგვარი გასამართლებელი მიზეზი ჰქონდა. ერთი ის, რომ ბეურჟუაზია, რომელიც თავის აღორძინების პირველ ხანებში რევოლიუციონიერ როლს თამაშობდა, გასული საუკუნის მეორე ნახევარში. ე. ი. დაახლოებით 70 წლის წინეთ, უკვე გარეაქციონერებული იყო ყოველივე რევოლიუციონურ შემოქმედებაში, თუნდაც თავის საკუთარ ინტერესების დაცვაშიაც კი. მეორე მხრით, ამავე დროს ეკუთვნის უკვე მუშათა კლასის დარაზმვის ცდა საკუთარ დროშის ქვეშ და საკუთარი ლოზუნგებით რევოლიუციონურ გამოსვლებში. ამიტომ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში მარქსი და ენგელსი ბურჟუაზიულ რევოლიუციების ხანას ყველა ცოტათ თუ ბევრათ დაწინაურებულ ქვეყნებისთვის უკვე განვლილად სთვლიდენ. იმათთვის ჯერ კიდევ 70 წლის წინეთ მიღებულ გამოცდილების მეოხებით აშკარა შეიქნა. რომ ამიერიდან რევოლიუციების მეთაურათ და მის მატარებლათ შეიძლება იყოს მხოლოდ მუშათა კლასი მისი ავანგარდის, მოწინავე რაზმის ხელმძღვანელობით. მარქსი და ენგელსი სცდებოდენ მხოლოდ იმაში, რომ პროლეტარული რევოლიუციის აფეთქებას ელოდენ 1848 წლის რევოლიუციის დამარცხების პირველ ხანებშიევ ორი-სამი წლის შემდეგ. მაგრამ საერთოდ იმათი დებულება იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიულ რევოლიუციების ხანა გათავდა და კაპიტალიზმმ გადააბიჯა უკვე პროლეტარულ რევოლიუციების ხანაში. ეს დებულება თანდათან ურყეველი შეიქნა, ვინაიდან ერთი მხრით, ბურჟუაზიის რეაქციონერობა სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო შეიქნა და მეორე მხრით, მუშათა კლასის დარაზმვა და მისი კლასობრივი შეგნება-განვითარება გიგანტისებური ნაბიჯით წავიდა წინ. სწორედ ამ ხნიდან დაწყებული მუშათა კლასი ევროპის და ამერიკის დიდ სახელმწიფოებში: ინგლისში. გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთში. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ავსტრალიაში, იაპონიაში და სხვ. ქმნის და ანვითარებს თავის ძლიერ პოლიტიკურ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ე. ი. როგორც ერთად-ერთი მოწინავე კლასი იწვრთნება და იწაფება კლასობრივ ბრძოლის ასპარეზზე, იძენს გამოცდილებას. სწავლობს ბრძოლის ახალ მეთოდებს. თუ ამ 50-70 წლის წინეთ მუშათა კლასს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცდილება და კლასობრივი შეგნება. თუ მას ამ ხანებში არ მოეპოვებოდა არც პროფესიონალური და, კიდევ უფრო, არც პოლიტიკური

ორგანიზაციები სოციალისტურ პარტიების სახით, სამაგიეროთ დღეს ამ მხრით მდგომარეობა ძირეულათ შეცვლილია.

როცა დღეს ყოფილი სოციალისტები ისტერიულათ გაჰკივიან, რომ პროლეტარიატი არა თუ რუსეთში, არამედ ევროპა-ამერიკაშიაც არაა მომზადებული სოციალისტური რევოლიუციისათვისო, ასეთი მსჯელობა ახ ბავშურ უსუსურობას შეადგენს, ან კიდევ განზრახ სინამდვილის დამახინჯებას. ვინ უნდა დააფასოს ამ მომზადების ხარისხი? და განა ისტორიულ ფაქტების მიმდინარეობა ბ. ბ. „სოციალ-დემოკრატებს“ (მენშევიკებს) დაუცდის, სანამ ესენი თავის აზრს გამოსთქვამდენ ამ მომზადების ხარის-ხის შესახებ? აშკარაა, რომ ისტორია იმათ როდი ელოდება. მსოფლიო კაპიტალის განვითარება იღწევს თავის უმაღლეს საფეხურს, ხდება კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია (წარმოების საშუალებათა და სხვა სიმდიდრის დაგროვება-შეერთება კაპიტალისტთა ვიწრო წრეში) ვებერთელა, კოლოსალური მასშტაბით, რაც იწვევს უდიდეს კონფლიქტებს, კატასტროფებს მსგავსათ საშინელი სტიქიური კატასტროფისა, მიწის ძვრებისა, — კაცობრიობას თავზე ატყდება უდიდესი განცდა — საშინელი იმპერიალისტური ომი, როგორც უკანასკნელი აძონაკვნესი ბურჟუაზიული ქვეყნიერობისა: პროლეტარიატი, მუშათა კლასი და საერთოდ მთელი მშრომელი მასა, რომელიც ამ კატასტროფის მსხვერპლი სდება, არ შეიძლება გულგრილ მაყურებელი დარჩეს ყოველივე ამ ეაკხანალიისა. მას არ შეუძლია არ აღშფოთდეს, არ აჯანყდეს კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ. მენშევიკები ამ დროს მიდიან მუშებთან და ასეთ „ბრძნულ“ რჩევა-დარიგებას აძლევენ მათ: ჯერ დრო არ არის პროლეტარული რევოლიუციის მოსახდენათ; თქვენ მოუმზადებელი ხართ სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისათვის; თქვენ არ გაგივლიათ ჯერ დემოკრატიის სკოლა; არ გიგემებიათ საყოველთაო არჩევნების სიტკბოება; ამიტომ პროლეტარულ რევოლიუციას თავი დაანებეთ; მართვა-გამგეობა ისევ ბურჟუაზიის ხელში დასტოვეთ ან ჩვენ (მენშევიკები) ვიკისრებთ ამას იმავე ბურჟუაზიის სასარგებლოთ; თქვენც არ დაგივიწყუბთ: ბურჟუაზიის სტოლიდან ნაფინჩხებს — რეფორმების სახით — თქვენთვის არ დავიშურებთ — ეს კარგათ დაიხსომეთ. თავის-თავად იგულისხმება, რომ ისინი ასეთი რჩევა-დარიგებით ისტორიულ მსვლელობას ვერ შესცვლიან. ოქტომბრის რევოლიუციის მოხდენის დროს ისინი არწმუნებდენ მუშებს. რომ ეს რევოლიუცია უდღეურია. ეს ქარის მოტანილია და ქარი წაიღებსო. დიდი-დიდი, თუ მან ორი კვირა იცოცხლოსო. მაგრამ მას შემდეგ გავიდა ორი წელიწად ნახევარი, და ოქტომბრის რევოლიუცია არა თუ ფეხზე სდგას, არამედ მისი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მკვიდრი ხდება. მენშევიკები იმავე დროს ამტკიცებენ, რომ რუსეთის რევოლიუცია ევროპაში გამოძახილს ვერ იპოვნისო. მაგრამ რევოლიუცია გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთში, ბოლგარიაში, რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებამ ევროპა-ამერიკის დანარჩენ სახელმწიფოებში, სავსებით დაარღვია მათი ეს შეხედულებაც. ამ შემთხვევაში ისინი მხოლოდ იმით ინუგეშებენ თავს, რომ ევროპის და განსაკუთრებით გერმანიის პროლეტარიატი იმდენათ ფხიზელი და საღი გონების პატრონია რომ არ აჰყვება რუსეთის ანარქისტ-ბოლშევიკებს და სამოქალაქო ომის დრო-

შას არ ააფრიალებსო, ე. ი. ევროპის მუშათა კლასი და უწინარეს ყოვლისა. გერმანიის მუშები დღეს პროლეტარული რევოლიუციის მოხდენას არ მოინდომებენო. მაგრამ სინამდვილემ ეს დებულებაც დაამსხვრია, ვინაიდან ყველაზე უდინჯესი ქვეყანა, ქვეყანა პირველ-ხარისხოვან ფილოსოფოსების და მეცნიერების — გერმანია, დღეს უმწვერვალესი სამოქალაქო ომის ქარცეცხლშია გახვეული და პროლეტარიატის დიდი ნაწილი სოციალისტური რევოლიუციის დროშის ქვეშ იბრძვის. გერმანიას ორდანია-წერეთლებზე არა ნაკლები დამორიგებლები ჰყავდათ; იქაც იყვნენ ადგილობრივი ორდანიები და წერეთლები შეიდემანების [36]) და ებერტების [37]) სახით, მაგრამ ვერც იქ შესძლეს სამოქალაქო ომის აცდენა. სჩანს, ასეთი ქადაგება ანუ ზავი ბურჟუაზიასთან, მორიგება კაპიტალისტურ წეს-წყობილებასთან მუშათა კლასისთვის შეუძლებელია, და ამის ქადაგება სოციალისტების მხრით მოწმობს ორში ერთს: ან მეტის მეტ გულუბრყვილობას, ან პირდაპირ ღალატს, მუშათა კლასის გაცემას.

აქ კიდევ ერთი მეტად საგულისხმო გარემოებაა. როდის შეიქნენ რუსეთის და გერმანიის მენშევიკები პროლეტარულ რევოლიუციის გადაწყვეტილ მოწინააღმდეგეთ? ეს მაშინ, როცა ეს რევოლიუცია ფაქტი შეიქნა. და ამ რევოლიუციის წინა დღით. როცა ჩვენ ამ რევოლიუციის მოლოდინში ვიყავით, ესენი. არა თუ ვერ ბედავდენ სოციალისტური რევოლიუციის წინააღმდეგ სიტყვის დაძვრას, არამედ თავის რეზოლიუციებში იცავდენ მას. გაიხსენეთ შტუდგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი 1909 წელს, სადაც დღევანდელი სოციალ-დემოკრატები დიდ უმრავლესობას შეადგენდენ, ერთხმად ადასტურებდენ იმ აზრს, რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარებას. როგორც ცალკე სახელმწიფოების საზღვრებში, ისე საერთაშორისო ფარგალში, აუცილებლად მივყვევართ მსოფლიო კატასტროფისაკენ, მსოფლიო იმპერიალისტურ ომისაკენ, და თუ ვინიცობაა ამ ომმა იფეთქა, იმ შემთხვევაში საერთაშორისო პროლეტარიატმა თავის ნაციონალური ორგანიზაციების საშუალებით უნდა იმეცადინოს და ყოველივე საშუალება იხმაროს, რათა კაპიტალისტების იმპერიალისტურ ომს მუშათა კლასმა სოციალისტური ომით გასცეს პასუხიო. მაგრამ ცხოვრებამ გამოაშკარავა, რომ ეს იყო მხოლოდ სიტყვები. წამდვილად კი მეორე ინტერნაციონალის დიდი უმრავლესობა კაუცკის, ვანდერველდეს [38]). გედის [39]), პლეხანოვის, კეირ-ჰარდის [40]) მეთაურობით მუშათა კლასის მოღალატეებისაგან შესდგებოდა, ვინაიდან როცა იმპერიალისტებმა კაცობრიობას 1914 წელს საშინელი და უმაგალითო ომი დაატეხეს თავზე. მეორე ინტერნაციონალის არსებობა ფიქცია გამოდგა. მუშათა კლასის მეთაურების დიდი უმრავლესობა მისი მოღალატეები აღმოჩნდენ. იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ გალაშქრების მაგიერ, იმპერიალისტურ ომისთვის სამოქალაქო ომის გამოცხადების ნაცვლათ, შეიდემან-ვანდერველდე-ტომა-პლეხანოვები თავიანთ ბურჟუაზიულ - იმპერიალისტურ მთავრობებს დაუკავშირდენ და მუშების და გლეხების ურთიერთ ჟლეტას და ამოწყვეტას მსოფლიო მძარცველების მიერ ხელი შეუწყვეს.

მხოლოდ მცირე ჯგუფი მეორე ინტერნაციონალის წევრებისა (ლენინი, კარლ ლიბკნეხტი [41]), როზა ლიუქსემბურგი [42]) და სხ.) ომის დაწყების დროს

შერჩა ერთგული საერთაშორისო პროლეტარიატის იდეებს; ამ ჯგუფმა მაშინ-ვე გამოუცხადა იმპერიალისტურ ომს სამოქალაქო ომი და მოუწოდებდა ყველა ქვეყნის პროლეტარიატს მსოფლიო იმპერიალიზმის დასამხობად, რომ ბოლო მოეღოს ავაზაკურ ომს. პირველად ამ ჯგუფის ხმა მეტად სუსტი იყო, მაგრამ ისტორიამ დაამტკიცა, რომ სიმართლე მის მხარეზე იყო და დატყვეულებული მუშათა მასსა უკვე გამოფხიზლდა. მან შეაფურთხა თავის ორგულ მეთაურებს. ერთგან მან უკვე ჩამოაგდო ბურჟუაზია თავის ტახტიდან (რუსეთი). ზოგან იგი ხელჩართულ ბრძოლას ეწევა კაპიტალისტური წესწყობილების დასანგრევად (გერმანია). სხვა ადგილებში იგი ამ ბრძოლისთვის ემზადება (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ამერიკის შეერთ. შტატები). ისტორია კერძო პირებს, ვინც უნდა იყვენ ისინი, როდი ეკითხება, მზათაა თუ არა პროლეტარიატი თავის მისიის შესასრულებლად, მზათაა იგი თუ არა წესი აუგოს ბურჟუაზიულ წესწყობილებას. მონობას, ჩაგვრას და ხელთ იგდოს ძალა-უ ლება და ხელი მიყოს სოციალისტური საზოგადოების შენებას. ისტორიამ უკვე ? მოაყენა ეს უდიდესი დანიშნულება საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე, და იგი ამ დანიშნულების შესრულებას შესძლებს, ვინაიდან, როგორც მარქსი ამბობდა, კაცობრიობა მხოლოდ ისეთ დანიშნულებას აყენებს, რომლის განხორციელება მას სავსებით ძალუძს. პროლეტარული რევოლიუცია დღეს, მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედის მიწურულში, უკვე ფაქტია. ლაპარაკი იმაზე, რომ პროლეტარიატი ამ ჟამად მოუმზადებელია, რომ კაპიტალიზმის განვითარება ჯერ არ დამთავრებულა, რომ მუშათა კლასი ვერ შესძლებს წინ გაუძღვეს საზოგადოებას და სხვა ასეთი მსჯელობა არა თუ დროს დაკარგვა და უქმი ლაყბობაა, არამედ პროლეტარიატის ნამდვილი გაცემაა და სოციალიზმის ღალატი. ის, ვინც დღეს პროლეტარული რევოლიუციის წინააღმდეგია, ის სინამდვილეს უარყოფს, არსებითად ბურჟუაზიის საქმეს აკეთებს.

პროლეტარული ანუ სოციალისტური რევოლიუციის უარყოფამ, რომელიც მარქსიზმის ერთ ძირითად დებულებათაგანს შეადგენს, მენშევიკები და საერთოდ სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტები მარქსიზმისეე მეორე ძირითადი დებულების — პროლეტარიატის დიქტატურის — უარყოფამდე მიიყვანა. არ შეიძლება, რომ ამ შემთხვევაში ულოღიკობა დაესწამოთ ამ ხალხს. ის, ვინც წინააღმდეგია პროლეტარული რევოლიუციის, ვისაც არ სწამს ბურჟუაზიის ბატონობის ძალით დამხობა, მისი ძალით ჩამოგდება ტახტიდან და მის მაგიერ პროლეტარიატის, როგორც ტაჩაგრული კლასის გაბატონება ბურჟუაზიის წინააღმდეგობის საბოლოო დასაძლეევათ, ის რა თქმა უნდა, წინააღმდეგი იქნება პროლეტარიატის დიქტატურისაც.

რა არის, ანუ რას ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურა? პროლეტარიატის დიქტატურა — ესაა სახელმწიფოს ერთგვარი ტიპი ანუ ფორმა, ეს არის მუშათა სახელმწიფო — დემოკრატიის უმაღლესი ფორმა, აუცილებელი ბურჟუაზიული წყობილებიდან კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლამდე. ერთი სიტყვით, ეს არის გარდამავალი ხანის სახელმწიფო. ბურჟუაზიის ბატონობის მოსპობასთან და კომუნიზმის განხორციელების შორის, სანამ ჯერ კიდევ საზოგადოების დაყოფა კლასებათ არ გამქრალა და ამიტომ ჯერ კიდევ საჭირო

ძალდატანებითი ორგანოების არსებობა. მარქსი და ენგელსი ეხებიან და არკვევენ ამ საკითხს თითქმის ყველა თავისი ისტორიულ პოლიტიკურ ხასიათის ნაწერებში, საპროგრამო წერილებში და კერძო მიწერ-მოწერაში. სამწუხაროდ, როგორც ეს საუცხოოთ დაამტკიცა ნ. ლენინმა (ვლ. ულიანოვმა) თავის ორ წიგნში („სახელმწიფო და რევოლიუცია", „პროლეტარული რევოლიუცია და რენეგატი კაუცკი"), ოფიციალური სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებმა ყოველივე ეს დავიწყების მისცეს. ამგვარად იმათ ჩამოაცალეს მარქსიზმს რევოლიუციონური შინაარსი და ის მისაღები გახადეს ბურჟუაზიულ მწერლებისა და ბურჟუაზიულ იდეოლოგებისათვისაც კი. ამავე გზით იმათ სრულიად გარყვნეს მარქს-ენგელსის შეხედულება სახელმწიფოზე საზოგადოთ და პროლეტარულ სახელმწიფოზე კერძოთ; ეს გარყვნა იქამდის მივიდა, რომ მარქსისა და ენგელსის მიერ არა ერთხელ გამოთქმული და მართლაც გენიალურად დასაბუთებული შეხედულება სახელმწიფოზე საერთოდ და. პროლეტარიატის დიქტატურაზე კერძოდ, სოციალიზმის ოპორტუნისტებმა პირდაპირ ანარქიზმათ მონათლეს.

აქ ჩვენ მოვიყვანთ მარქსის კაპიტალურ ნაწერებიდან რამდენიმე ციტატას პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობაზე. დავიწყოთ ცნობილი „კომუნისტური მანიფესტიდან", რომელიც დაწერილია 1847 წლის მიწურულში. იქ ჩვენ ეკითხულობთ: „როდესაც ჩვენ ვიკვლევდით პროლეტარიატის განვითარების უფრო საერთო საფეხურებს, ჩვენ ვამჩნევდით არსებული საზოგადოების წიაღში, ცოტათ თუ ბევრათ დაფარულ სამოქალაქო ომს იმ მომენტამდე, როცა ეს ომი იქცევა აშკარა რევოლიუციათ და პროლეტარიატი ამყარებს თავის ბატონობას ბურჟუაზიის ძალდატანების დამხობის საშუალებით... ჩვენ უკვე დავინახეთ ზეითი, რომ მუშათა რევოლიუციის პირველ ნაბიჯს შეადგენს პროლეტარიატის გადაქცევა (ანუ ამაღლება) გაბატონებულ კლასათ" *).

სიტყვა „პროლეტარიატის დიქტატურა" აქ არ არის ნახმარი, მაგრამ „კომუნისტური მანიფესტიდან" ზევით ამონაწერი სიტყვები ნათლად ამტკიცებენ, რომ აქ ლაპარაკია სწორედ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დიქტატურაზე. მარქსი და ენგელსი ხშირად უბრუნდებოდენ ამ საგანს და რაც დრო გადიოდა. კომუნისტურ მანიფესტში გამოთქმული შეხედულება სულ უფრო და უფრო გარკვეულ და ნათელ გამოხატულებას პოულობდა. უკვე ახოვანების დროს, დიდი რევოლიუციონური გამოცდილებისა და ცნობილი პარიზის კომუნის ცდის შემდეგ, 1875 წელს კარლ მარქსი ქალაქ გოტაში მიღებულ პროგრამის შესახებ ბრაკეს სწერდა. სხვათა შორის შემდეგს. „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის სუფევს ხანა რევოლიუციონურ გადაქმნისა პირველის მეორეში. ამ ხანას შეეფერება პოლიტიკური გარდამავალი ხანაც, და ამ ხანის სახელმწიფოც შეუძლებელია სხვა რამე იყოს, გარდა პროლეტარიატის რევოლიუციონურ დიქტატურისა".

---

*) როგორც აქ, ისე ქვემოთაც ციტატები მოგეყავს ამბ. ნ. ლენინის წიგნიდან: „სახელმწიფო და რევოლიუცია".

ამნაირად კომუნისტური მანიფესტის სიტყვები: „ბურჟუაზიის ძალდატანებითი დამბობა"; „პროლეტარიატის გარდაქცევა გაბატონებულ კლასათ", აქ პოულობენ უფრო ნათელ და გარკვეულ გამოხატულებას. ეს არის პირველათ „კაპიტალისტური საზოგადოების რევოლიუციონური გარდაქმნა კომუნისტურ საზოგადოებათ" და ამ რევოლიუციონური გარდაქმნის ხანის სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვანაირი თუ არა „პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა". ასეთი შეურყეველი და გადაჭრილი იყო მარქსის შეხედულება, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების და ბურჟუაზიული წესწყობილების ძალდატანებით დამბობაზე, ერთი მხრით, და პროლეტარიატის გაბატონებაზე, მის რევოლიუციონურ დიქტატურაზე, ანუ პროლეტარულ სახელმწიფოზე, მეორე მხრით.

მაგრამ ამ თავის პირდაპირ საგანს ჩვენ რამდენიმეთ გადავუხვიეთ. ჩვენ აქ უნდა გაგვერკვია უმთავრესად საკითხი: ბურჟუაზიულია თუ სოციალისტური დღევანდელი რევოლიუცია. ლოლიკურმა მსვლელობამ, ისტორიულმა აუცილებლობამ რუსეთის დიდი რევოლიუცია, რომელმაც 1917 წლის თებერვალში. იფეთქა, თანდათან სოციალისტურ რევოლიუციათ გადააქცია. ვიყავით ჩვენ ამისათვის მომზადებული, თუ არ ვიყავით, ამაზე თავის მტკვრეა დღეს ფუჭი საქმეა. მაგრამ სოციალისტურ რევოლიუციას სათავეში უნდა ჩაუდგეს სოციალისტური პროლეტარიატი, რომელიც რევოლიუციის ხანაში, მარქს-ენგელსის მოძღვრების თანხმად, ხდება გაბატონებულ კლასათ და აწესებს პროლეტარიატის დიქტატურას; ამას ეწოდება პროლეტარული სახელმწიფო.

2. პარლამენტარიზმი და საბჭოების სისტემა.

ცნება — ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო — დღემდის ხალხის თვალში დიდი ბურუსით არის მოცული. მას აწერდენ ღვთაებრივ, ზესთა-ბუნებრივ წარმოშობას. სახელმწიფოს და ხელმწიფეს. ანუ იმ პირს, რომელიც სახელმწიფოს ედგა სათავეში, თანასწორ მნიშვნელობას აკუთვნებენ. მთავარი. მეფე. ხელმწიფე, უზენაესი. მირონცხებული, ღვთიდან გამოგზავნილ პიროვნებებათ ითელებოდენ. ისინი ითელებოდენ არა თუ კლასზე და წოდებაზე მაღლა მდგომ არსებათ, არამედ ხალხის წარმოდგენაში ისინი იდგენ თვით სახელმწიფოზე მაღლა. ერთი სიტყვით, როგორც სახელმწიფო, ისე სახელმწიფოს თავი, მეფე, ხელმწიფე და სხვა, რაღაც მისტიურ მფლელენებათ ითელებოდენ ხალხის თვალში; იმათ წინაშე ძრწოდენ და კანკალებდენ. ბურჟუაზიამ თავის რევოლიუციონურ ხანაში რამდენიმეთ ჩამოაცალა სახელმწიფოს ეს მისტიური, ღვთაებრივი სახე. წინანდელ მონარქიების, თვითმპყრობელობათა, სამეფოთა მაგიერ ბურჟუაზიამ მოგვცა პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ა რ უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო, მირონცხებულ მეფეების მაგიერ ა მ ო რ ჩ ე უ ლ ი პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, არსებითად სახელმწიფო დარჩა ისეთი, როგორიც იყო. თუ წინათ სახელმწიფო მემამულეების, ფეოდალების ხელში ი ა რ ა ღ ი იყო ხალხის დასამონავებლათ და დასამორჩილებლად, ახლა ასეთივე იარაღი შე-

იქმნა ის ბურჟუაზიის ხელში, მორჩა და გათავდა. როგორც წინათ, ისე ახლაც სახელმწიფო კონსტიტუციონური მონარქიის და თვითმპყრობელობის ფორმით, თუ ბურჟუაზიული (დემოკრატიული) რესპუბლიკის სახით, სულ ერთია, ის ევლინება ხალხს, როგორც იარაღი, როგორც აპარატი მისი დამორჩილებისა. დამონებისა და გაყვლეფისა. მაგრამ ეს ძირითადი თვისება სახელმწიფოსი კიდევ დიდხანს ხალხის უმეტესობისთვის დაფარული რჩება. ბურჟუაზია. რომელმაც სახელმწიფოს წინანდელ ფორმას ჩამოაცალა შერავანდელი, ახალ სახელმწიფოებრივ კულტს ზრდის კონსტიტუციონური ან პარლამენტარული რესპუბლიკის სახით. პროლეტარული რევოლიუციის ინტერესები თხოულობდენ, რათა გამოაშკარავებულიყო ბურჟუაზიული მეცნიერების სიყალბე და ფარისევლობა, დამსხვრეულიყო კულტი არა თუ ბურჟუაზიული სახელმწიფოს, არამედ საზოგადოთ ყოველივე სახელმწიფოს შესახებ. ეს საქმე შესანიშნავად შეასრულეს მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრებმა, მარქსმა და ენგელსმა.

სახელმწიფო შეიქმნა იმათი ყურადღების მთავარი საგანი, რომელსაც ისინი მუდამ იკვლევდენ და უბრუნდებოდენ თავის ისტორიულ-პუბლიცისტურ და საპროგრამო ნაწერებში. სამწუხაროდ, შემდეგ ხანებში, განსაკუთრებით თვით მარქსის და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, როცა სოციალისტურ პარტიებში გაბატონდა ოპორტიუნისტული მიმართულება, მარქსის და ენგელსის მართლაც რომ რევოლიუციონური მოძღვრება სახელმწიფოზე ან გარყვნეს ან სრულებით მიივიწყეს.

ამნაირად მეორე ინტერნაციონალის ხანაში სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა ის შეხედულება, რომელიც, ერთი მხრით, უარყოფდა ბურჟუაზიის დიქტატურის გატეხას და პროლეტარიატის დიქტატურის დაწესებას სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენად და მეორე მხრით სცნობდა სახელმწიფოს შენარჩუნებას კომუნიზმის განხორციელების დროსაც. ეს იყო მარქსიზმის სრული გარყვნა, გადასხვაფერება, ან დავიწყება. მეორე ინტერნაციონალის კრახი, გაკოტრება გამოიწვია არა იმპერიალისტურმა ომმა 1914 წელს, არამედ იმ გარემოებამ, რომ როგორც მარქსის და ენგელსის, ისე პირველი ინტერნაციონალის ანდერძი თითქმის სავსებით დავიწყებულ იქნა. ყველაზე უფრო ეს უნდა ითქვას სახელმწიფოს შესახებ. ამიტომ ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ უკან, უნდა განვაახლოთ თავის მეხსიერებაში მარქს-ენგელსის შეხედულება სახელმწიფოზე. მხოლოდ მაშინ შევადგენთ ჩვენ სწორ და ნათელ შეხედულებას სახელმწიფოზე წარსულში, აწმყოში და მომავალში. სახელმწიფოს წარმოშობა შეკავშირებულია საზოგადოების კლასებათ დაყოფასთან, და როგორც კი მოისპობა კლასები, თავის-თავად მოისპობა სახელმწიფოც, როგორც ლოღიკური შედეგი კლასობრივი საზოგადოებისა. აი ერთი მთავარი დებულებათაგანი, რომელსაც მარქსი და ენგელსი თავს დასტრიალებენ, რომელსაც ისინი თანდათან აღრმავებენ და ასაბუთებენ ახალ-ახალ ფაქტებით. „მუშათა კლასი — ამბობდა მარქსი „ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი ს ს ი ღ ა ტ ა კ ე შ ი“ — განვითარების მსვლელობაში ბურჟუაზიული საზოგადოების მაგიერ წამოაყენებს ისეთ ასოციაციას. რომელიც უარყოფს კლასებს და იმათ წინააღმდეგობათ; ამიტომ აღარ იქნება უკვე არავითარი პოლიტიკური მთავრობა (ე. ი. სახელმწიფო), ვინაიდან სახელდობრ პო-

ლიტიკური მთავრობა კლასთა წინააღმდეგობის გამოთქმაა ბურჟუაზიული საზოგადოების შიგნით"-ო. ამ დებულებას ანვითარებს როგორც მარქსი, ისე ენგელსი შემდეგი დროის ნაწერებში. მეორე დებულება მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრებისა ძდგომარეობს იმაში, რომ სანამ არ მომხდარა კლასთა მოსპობა, თვით პროლეტარიატი აუცილებლათ უნდა გადაიქცეს გაბატონებულ კლასათ, რომელმაც ძალდატანებით უნდა დაიმორჩილოს ბურჟუაზია, ჩამოართვას მას წარმოების საშუალებანი და განასაზოგადოებრიოს ისინი.

მარქსისა და ენგელსის „კომუნისტურ მანიფესტში" ამის შესახებ ვკითხულობთ: „არსებულ საზოგადოებაში ჩვენ ვამჩნევთ კოტათ თუ ბევრათ დაფარულ სამოქალაქო ომს იმ მომენტამდე, როცა ეს ომი აშკარა რევოლიუციათ ხდება და პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი აარსებს თავის ბატონობას ბურჟუაზიის ძალდატანებითი დამხობის მეოხებით... ჩვენ დავინახეთ ზევით, რომ პირველ ნაბიჯს მუშათა რევოლიუციაში შეადგენს პროლეტარიატის გარდაქმნა გაბატონებულ კლასათ. დემოკრატიის დაპყრობა... პროლეტარიატი გამოიყენებს თა ის პოლიტიკურ ბატონობას იმისთვის, რომ თანდათან გამოგლიჯოს ბურჟუაზიის ხელიდან მთელი კაპიტალი, თავი მოუყაროს წარმოების ყველა იარაღებს სახელმწიფოს, ე. ი. როგორც გაბატონებული კლასი, შეკავშირებული პროლეტარიატის ხელში *)"....

შემდეგში მარქსი კიდევ უფრო მკაფიოთ და გარკვევით ამბობს ამავე საგანზე წიგნაკში: „ლუი ბონაპარტის მე-18-ტე ბრიუმერი" 1851 წელს იგი სწერს: „ყველა წინანდელი რევოლიუციები (ბურჟუაზიულ რევოლიუციებზეა ლაპარაკი. (ფ. მ.) აუმჯობესებდენ ამ მაშინას (პარლამენტარულ რესპუბლიკას, სახელმწიფოს), საჭირო იყო კი მისი გატეხა-დამტვრევაო". პარლამენტარული წესწყობილება, პარლამენტარული რესპუბლიკა შედეგი იყო ბურჟუაზიულ რევოლიუციების, რომელთა ხანა იწყება დაახლოვებით მე-XVII — XVIII საუკუნეებში და თავდება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის დასასრულს. მარქსმა და ენგელსმა ისტორიული ფაქტების ანალიზით დაამტკიცეს, რომ ბურჟუაზიულ რევოლიუციების ხანა დამთავრდა, და მას შემდეგ რევოლიუციის მოთაველ, მის ხელმძღვანელად აუცილებლათ პროლეტარიატი უნდა გამოვიდესო. ეს ნიშნავს იმას, რომ ახალი რევოლიუციების დროს ძალა-უფლება პროლეტარიატმა უნდა ჩაიგდოს ხელში. ეს ნიშნავს იმას, რომ პროლეტარიატი ხდება გაბატონებულ კლასათ. იგი აწესებს თავის დიქტატურას ბურჟუაზიის დიქტატურის მაგიერ. მაგრამ იბადება კითხვა: როგორ ხდება პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება? ამ კითხვის კონკრეტულათ გადასაჭრელათ მარქსმა ისარგებლა პარიზის კომუნის მაგალითით. 1872 წელს „კომუნ. მანიფესტის" ახალ წინასიტყვაობაში მარქსი და ენგელსი აი რას წერდენ: „კომუნამ დაამტკიცა. რომ მუშათა კლასს. არ შეუძლია ისე უბრალოთ დაიპყროს სახელმწიფოებრივი მაშინა და აამუშაოს ის თავის საკუთარ მიზნებისათვისო"; ესე იგი, მარქსი და ენგელსი ამტკიცებდენ. რომ პროლეტარიატისთვის როდი კმარა ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მაშინის ხელში ჩაგდება, პირიქით, თუ მუშათა კლასს უნდა ამ

*) იხ. ნ. ლენინი. „სახელმწიფო და რევოლიუცია". რუს. გამოც. გვ. 23.

მაშინის გამოყენება თავის საკუთარ მიზნებისათვის, მან ის თავდაპირველათ უთუოდ უნდა გატეხოს, დაამტვრიოს. მარქსმა ნათლად გვიჩვენა ეს თავის წიგნში: „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“. ბურჟუაზიული სახელმწიფოს თვისებას შეადგენდა მისი დამჩაგვრელი აპარატები: ჯარი, ჩინოვნიკობა, სატუსაღოები, პოლიცია და სხვ. პროლეტარიატს უნდა გაეტეხა ყოველივე ეს. „კომუნა, მარქსის სიტყვით, რესპუბლიკის ისეთი ფორმა იყო, რომელსაც თავიდან უნდა აეშორებია კლასობრივი ბატონობის არა თუ მონარქიული ფორმა, არამედ თვით კლასობრივი ბატონობაც... კომუნა უნდა ყოფილიყო არა პარლამენტარული (სალაყბო). არამედ სამუშაო კორპორაცია, ერთი და იმავე დროს კანონმდებელიც. და კანონების აღმასრულებელიც... იმის მაგიერ, რომ ერთხელ სამი ან ექვსი წლის განმავლობაში გადაეწყვიტათ, გაბატონებული კლასის რომელმა წევრმა უნდა წარმოადგინოს და დაჩაგროს ხალხი პარლამენტში, ამის მაგიერ საყოველთაო საარჩევნო უფლებას ხალხისათვის ის სამსახური უნდა გაეწია, რომ მისი საქმეებისათვის გამოენახა მუშები, ზედამხედველები, მოანგარიშეები და სხვ.“

მარქსი აქ იძლევა პარლამენტარიზმის კლასიკურ დახასიათებას. მეორე მხრით, აქვე იძლევა იგი პროლეტარული სახელმწიფოს დახასიათებასაც სოციალისტური რევოლიუციის ხანაში. ვინ არ იცის დღეს, რომ პარლამენტი ყოველგან თვით უდემოკრატიულეს რესპუბლიკებშიაც კი გადაიქცა მარტო სალაყბოთ. საქმეები კეთდება ცალკე, კულისებს უკან. აიღეთ თუ გნებავთ მენშევიკების განთქმული პარლამენტი, ან როგორც გინდათ უწოდეთ მას, თუნდაც დამფუძნებელი კრება. თვით მენშევიკებიც ვერ ყოფენ უარს იმ ფაქტს, რომ დამფუძნებელი კრება ყველა პარლამენტზე დაბლა დგას. რომ ის კვდება ბუნებრივი სიკვდილით. დამფუძნებელი კრება საზოგადოო რევოლიუციონური ბურჟუაზიის კერპი იყო ოდესღაც. მაშინ ბურჟუაზიას კიდევ შეეძლო ეთქვა, რომ ის რაღაცას მართლა აფუძნებდა. მართალი რომ ვთქვათ. ის აფუძნებდა თავის ბატონობას. თავის დიქტატურას. მაგრამ მას შემდეგ, როგორც იტყვიან ბევრი წყალი დაიღვარა. რაღას აფუძნებს მენშევიკების დამფუძნებელი კრება? ცარა მგონია, რომ ამ კითხვაზე რომელიმე მენშევიკმა, თუნდაც ისეთმა, როგორიც არის ბ-ნი დევდარიანი [48]). დადებითი პასუხი გაგვცეს. რამდენიც არ უნდა იხტუნონ. მენშევიკები პარლამენტს ვერ გამოეთხოვებიან, და ისიც რა თქმა უნდა ბურჟუაზიულ პარლამენტს. ბურჟუაზიული პარლამენტი კი, არა თუ უმცირესობის, არამედ პირდაპირ ერთი მუჭა მუქთა-ხორათა ბატონობაა ხალხის დიდ უმრავლესობაზე. ბურჟუაზიული რესპუბლიკის მაგიერ დემოკრატიულ რესპუბლიკის ხმარება არსებითად მდგომარეობას არ სცვლის.

პარლამენტარიზმის უვარგისობა და მისი სრული შეუფერებლობა თანამედროვე პირობებთან, მშრომელი მასის მოთხოვნილებებთან. დღეს იმდენად ცხადზე უცხადესი შეიქნა, რომ ამას ველარც მენშევიკები უარყოფენ. ამიტომ დღეს ისინი რაც შეიძლება თავგამოდებით იმიჯნებიან პარლამენტარიზმიდან. ბურჟუაზიული რესპუბლიკიდან. და სამაგიეროთ წინ აყენებენ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ს.

მაგრამ ჩვენ დავეკითხოთ თავის თავს: არის თუ არა რაიმე არსებითი განსხვავება ბურჟუაზილ რესპუბლიკასა და იმ დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

რომელსაც მენშევიკები გულისხმობენ. მენშევიკების სამწუხაროთ ჩვენ იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ ასეთ განსხვავებას ჩვენ ვერაფერში ვხედავთ. აქ მხოლოდ სიტყვებშია განსხვავება. წმინდა დემოკრატია არ არსებობს. დემოკრატია ნიშნავს თავისუფლებას, თანასწორობას. უმრავლესობის ბატონობას. მაგრამ ეს მხოლოდ მშრალი სიტყვებია. ყველა ეს მცნებანი, როგორც ვიცით, წამოაყენა ბურჟუაზიამ საფრანგეთის პირველი რევოლიუციის დროს მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს. მაგრამ ეს არის ბურჟუაზიული თავისუფლება, ბურჟუაზიული თანასწორობა, ბურჟუაზიული უმრავლესობა. აქ ჩვენ მენშევიკები ალბათ შემოგვძახებენ: რაღას იტყვით საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და საიდუმლო არჩევის უფლებაზეო. რაღას იტყვით რეფერენდუმზე (ხალხის დაკითხვაზე) და ინიციატივის უფლებაზეო და სხვ.

ამნაირად საყოველთაო საარჩევნო უფლებაში, რეფერენდუმში და ინიციატივის უფლებაში სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ხედავენ განსხვავებას, ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმსა და დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. მაგრამ ჩვენ ვეკითხებით მათ: განა დემოკრატიული რესპუბლიკა შეიძლება წარმოვიდგინოთ უპარლამენტოთ? რაც შეეხება საყოველთაო საარჩევნო უფლებას, რეფერენდუმს და სხვ. და სხვ., ყოველივე ეს მხოლოდ აუმჯობესებს ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, აფართოებს ბურჟუაზიული თავისუფლების, ბურჟუაზიული თანასწორობის სფეროს, მორჩა და გათავდა: არც ერთი ეს პრინციპი სრულებით არ ეწინააღმდეგება და მით უფრო არ უარყოფს ბურჟუაზიულ წესწყობილებას. პირიქით, ის აუმჯობესებს, აუკეთესებს მას. ბურჟუაზიული თავისუფლება როდი ნიშნავს პროლეტარიატის თავისუფლებას; არც ბურჟუაზიული თანასწორობა შეიძლება ჩავთვალოთ მუშათა კლასის გათანასწორებათ ბურჟუაზიასთან. ასეევ ითქმის საყოველთაო-საარჩევნო უფლებაზე, რეფერენდუმზე და სხვ. ყველაფერი ეს არსებობს მხოლოდ ქაღალდზე. ნამდვილად კი საყოველთაო საარჩევნო უფლება და სხვა ასეთი ლამაზი ლოზუნგები მარტო ფიქციაა და მეტი არაფერი. მშრომელი მასის დიდი უმრავლესობისათვის ეს მიუწდომელია ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, სადაც მუშათა კლასი მოკლებულია საშუალებას ისარგებლოს ბურჟუაზიული თავისუფლებით და ბურჟუაზიული თანასწორობით. საყოველთაო საარჩევნო უფლება ისე, როგორც თავისუფლება და თანასწორობა, არსებობს მხოლოდ იმათთვის, ვისაც აქვს ცოტად თუ ბევრად საკმარისი საკუთრება. აქვს ტეხნიკური ან სპეციალური განათლება და ამასთანავე თავისუფალი დრო. დემოკრატიული რესპუბლიკა რა გინდ რადიკალური და უკიდურესი მემარცხენე არ იყოს ის, ამაზე შორს ვერ წავა. ის ვერ მოშორდება ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძველს. ამის მაგალითები ჩვენ მრავალი გვაქვს. ტუუილათ ამბობენ მენშევიკები, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის შემქმნელნი მხოლოდ ისინი არიან, რომ მხოლოდ იმათ მოგვცეს ჩვენ ამნაირი რესპუბლიკის პირველი მაგალითი.

დემოკრატიული რესპუბლიკა საყოველთაო და სხვა საარჩევნო უფლებით, რეფერენდუმით და სხვა, დიდი ხანია არსებობს როგორც შვეიცარიაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ ამით ამ ქვეყნებში, ოდნავაც არ შერყეულა იქ არსებული ბურჟუაზიული წესწყობილება. არ შეცვლილა ბურჟუაზი-

ული პარლამენტარიზმი. ე. ი. არ შეცვლილა ის გარემოება, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ნამდვილათ მონაწილეობას იღებს მხოლოდ ხალხის მაღალი წრეები, ე. ი. მდიდრები, შეძლებულები, მრეწველები, კაპიტალისტები. მემამულეები, ბანკირები და სხვები. მუშების და ღარიბ-ღატაკ გლეხების მონაწილეობა კი დასახელებულ დემოკრატიულ რესპუბლიკებში უკეთეს შემთხვევაში განიზომება მით, რომ ისინი სამ ან ოთხ წელიწადში ერთხელ ჩაგდებენ საარჩევნო ყუთში ბილეთს და შემდეგ მათ აღარაფერი ეკითხებათ. სწორედ აი ამაზე სთქვა მარქსმა ასე მოსწრებულათ: „იმის მაგიერ, რომ ერთხელ სამი ან ექვსი წლის განმავლობაში გადაწყდეს, თუ გაბატონებული კლასის რომელმა წევრმა წარმოადგინოს ან დაჩაგროს ხალხი პარლამენტშიო“ და სხვა. მართალია, იქ, სადაც საყოველთაო-საარჩევნო უფლება არსებობს, მუშათა კლასს შეუძლია გაიყვანოს პარლამენტში გინდ „დამფუძნებელ კრებაში“ რამდენიმე თავისი წარმომადგენელი, შეიძლება პარლამენტის უმრავლესობაც გაიყვანოს მშრომელმა მასამ. ჩვენ ვიცით. რომ გერმანიის რეიხსტაგში თვით კაიზერის დროსაც კი, გერმანიის მუშათა კლასის წარმომადგენელთა რიცხვი სოციალ-დემოკრატების სახით თანდათან მატულობდა და ვინ იცის, ცოტა რომ კიდეე გაგრძელებულიყო ძველი რეჟიმის არსებობა, რეიხსტაგში სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა შესდგებოდა. და ეს სრულებით გასაკვირალი არ იქნებოდა, მაგრამ სულ სხვა საკითხია, თუ როგორი იქნებოდა ეს უმრავლესობა, ან როგორ გეზს აიღებდა ის სამოქმედოთ. როგორც გვეუბნება შეიდემანელების, ნოსკეების და ებერტების საქციელი დღევანდელ გერმანიაში, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ის დარჩებოდა ისევ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ჩარჩოებში.

ასევე ითქმის მენშევიკების დამფუძნებელ კრებაზედაც: აქ ცხრა მეათედი სოციალ-დემოკრატები, მენშევიკებია. მაგრამ განა იმათ შესცვალეს ან ოდნავათ უღალატეს ბურჟუაზიული სახელმწიფოს საფუძველს? სრულებითაც არა. მართალია ისინი არღვევენ პარლამენტარულ წესებს, ღალატობენ პარლამენტარიზმს. მაგრამ ამას ჩადიან ისინი იმიტომ კი არა, რომ წინააღმდეგი არიან პარლამენტარიზმის, არამედ იმიტომ, რომ ისინი არსებითად ახორციელებენ თავისი პარტიის დიქტატურას თუმცა ბურჟუაზიის სადღეგრძელოთ, და აი სწორეთ ეს გარემოება არ ეგუება პარლამენტარიზმს, მაგრამ საქმე ამაში როდია.

საყოველთაო-საარჩევნო უფლება, რომელიც ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ წამოაყენა და რომელსაც განსაზღვრულ ხანაში სოციალ-დემოკრატია უპირდა მხარს, მენშევიკებმა კერპათ გადააქციეს. იმათი დაბრმავება ამ შემთხვევაში იქამდისაც კი მივიდა. რომ ისინი ბატონ სეით დევდარანის პირით იმასაც კი ამბობენ. რომ „რევოლუცია ვერ გაიმარჯვებს, როცა მოშორდება საყოველთაო არჩევნებსო“ („ერთობა“ 1920 წ. № 63). ისტორიამ არ იცის მაგალითი. რომ რევოლიუცია ოდესმე საყოველთაო არჩევნების საფუძველზე მომხდარიყოს და ასეთი მაგალითი არც არასოდეს იქნება.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვამბობთ იმას, რომ კლასობრივ საზოგადოებაში საყოველთაო არჩევნები მარტოოდენ სიტყვის დამამშვენებელი მასალაა ბურჟუაზიის ხელში. ბურჟუაზიამ კარგათ იცის, რომ სინამდვილეში არ შეიძლება ამ პრინციპის განხორციელება. მაგრამ ეს მშრალი უფლება მის ხელში მეტად ხელ-

საყრელია ხალხის მოსატყუებლათ. რომ მართლა შესაძლებელი იყოს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საყოველთაო საარჩევნო უფლების სისწორით ბოლომდის გატარება, ბურჟუაზია რაც უნდა რადიკალური არ იყოს ის, არასოდეს არ განაცხადებდა სურვილს მის შემოსაღებათ. მაგრამ მან იცის, რომ ეს უფლება არ განხორციელდება ისეთი სახით, რომ იგი სასარგებლო იყვეს მშრომელი კლასისთვის. ნამდვილად საყოველთაო არჩევნებს თვით ბურჟუაზია იყენებს მხოლოდ თავის ინტერესების დასაცავად.

ამიტომ გათვითცნობიერებული პროლეტარიატი, როცა იგი იმარჯვებს რევოლიუციაში, საყოველთაო-საარჩევნო უფლებას ანიჭებს მხოლოდ მართველ მასას — მუშებს და გლეხებს.

პროლეტარიატს არაფერი აქვს სათვალთმაქცო ბურჟუაზიის წინაშე. პროლეტარიატი იქცევა გაბატონებულ კლასათ მხოლოდ იმიტომ, რომ მან დაამხოს ბურჟუაზიის ბატონობა, მისი დიქტატურა იმ მიზნით, რომ მომავალში სრულიად მოსპოს კლასებათ დაყოფა.

ამიტომ პროლეტარიატმა უწინარეს ყოვლისა უნდა სრულიად წაართვას ბურჟუაზიას საარჩევნო უფლება. ეს სრულებით არ არის დემოკრატიის უარყოფა, როგორც ამას მენშევიკები ამბობენ, ეს არის მხოლოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის უარყოფა და სამაგიეროდ მუშების და გლეხების დემოკრატიის გაბატონება.

გაზ. „კომუნისტი“ 1920 წ. 11, 12 და 13 ივნისი, №№ 8, 9 და 10. და გაზ. „საქართველოს კომუნისტი“, 1920 წ., 25 და 27 ივნისი, №№ 7 და 9.

ᲝᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ.

1. ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ.

. . . . . .

ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲝᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ, ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲔᲗ. ᲘᲗ. ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲔᲑᲐᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲢᲔᲮᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲫᲚᲔᲕᲐᲓ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲘ, ᲔᲗ. ᲘᲗ. ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲐᲚᲨᲘ. ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲙᲘᲓᲠᲔᲑᲚᲐᲓ, ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲐᲢᲝᲜ-ᲧᲛᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ ᲛᲝᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲘᲡ, ᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲧᲚᲔᲤᲐ-ᲫᲐᲠᲪᲔᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲐᲒᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲞᲝᲑᲐᲡ, ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲒᲐᲥᲠᲝᲑᲐᲡ. ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲡ. Ე. Ი. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲐᲜᲣ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲬᲔᲡᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ. ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲘᲡ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘ. ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲘᲡ, ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲧᲚᲔᲤᲔᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲐᲡ; ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲓᲐᲛᲔ, ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲚᲐ-ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲣᲚ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲡᲐ, ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲧᲕᲚᲔᲤᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲩᲐᲒᲕᲠᲐᲡ. ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲐᲛ ᲧᲚᲔᲤᲐ-ᲫᲐᲠᲪᲕᲐᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲝᲠᲛᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔ. ᲘᲒᲘ ᲘᲚᲔᲑᲡ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝ ᲣᲤᲠᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲡ.

ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲛᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲮᲐᲜᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲗᲔᲠᲐᲛᲔᲢᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲔᲮᲠᲐᲛᲔᲢᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲣᲠᲣᲚᲨᲘ, ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲡᲫᲚᲔᲑᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲛᲪᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲛᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲠᲐᲕᲐᲜᲓᲔᲓᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲨᲔᲣᲠᲣᲧᲔᲕᲔᲚ ᲤᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲐ ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲐ; ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲛ ᲛᲔᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘ ᲬᲐ-

მოაყენა — ეს არის პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ი ს ლ ო ზ უ ნ გ ი. ეს ახალი ლოზუნგი იშვა მუშათა კლასის წიაღში;

ის, როგორც რევოლიუციის მესვეური, როგორც ერთად-ერთი მისი მეთაური, გამარჯვებული უნდა გამოსულიყო. მაგრამ მუშათა კლასის გამარჯვება ნიშნავს ყოველგვარი მონობის, შევიწროების და დაჩაგვრის მოსპობას. ამიტომ პროლეტარული რევოლიუცია არსებითად განსხვავდება ბურჟუაზიული რევოლიუციისაგან, რომელიც სცვლის მხოლოდ ბატონობის და დამონების გარეგან სახეს, ფორმას, არსებითად კი მონობას და ჩაგვრას სრულებით არ ეხება. აშკარაა, პროლეტარული რევოლიუცია აყენებს სრულიად ახალ ლოზუნგებს, ისახავს სრულიად სხვა იდეალს. ამასთანავე მუშათა კლასი თავის შემოქმედებითი მუშაობის განვითარების დროს ქმნის ახალ ფორმებს თავისი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების გამოსახატავად. დამფუძნებელი კრება — ეს იყო უკანასკნელი სიტყვა ბურჟუაზიული უფლებრივი წესწყობილებისა, ეს იყო უდიდესი ლოზუნგი ფეოდალური წესწყობილების წინააღმდეგ ამბოხებული ახალგაზრდა ბურჟუაზიისა, ეს იყო მისი ღვთაება, რომლის წინაშე იგი ლოცულობდა, ვინაიდან დამფუძნებელი კრების და შემდეგ პარლამენტის მეშვეობით ბურჟუაზია ანხორციელებდა თავის დიქტატურას მცხოვრებთა დიდ უმრავლესობაზე. ე. ი. მუშებსა და გლეხებზე. და მართლაც. პროლეტარიატი თავის დამოუკიდებელ რევოლიუციონურ გამოსვლისთანავე შიმართავს ახალ ფორმას. ქმნის სრულიად ახალ სახეს სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების განსახორციელებლად. პარიზის აჯანყებული პროლეტარიატი 1871 წელს ქმნის კომუნას და არა დამფუძნებელ კრებას, — ბურჟუაზიის კერას; რუსეთის რევოლიუციონური პროლეტარიატი 1905 წელს პეტერბურგში. მოსკოვში და სხვაგან ქმნის მუშათა დეპუტატების საბჭოებს. და ვინც საქმეს უკვირდებოდა, ეს საბჭოები არსებითად წარმოადგენენ მუშათა პარლამენტს და მათი აღმასრულებელი კომიტეტები მუშათა მთავრობებს. 1917 წლის რევოლიუციის გამარჯვებისთანავე პეტერბურგის პროლეტარიატი რევოლიუციონურ ჯართან ერთად ამავე საბჭოებს აყენებს რევოლიუციის დასაწყისშივე.

პარიზის კომუნა 1871 წელს და რუსეთის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებითად ერთ და იმავე დაწესებულებას გამოხატავენ. განსხვავება მხოლოდ სიტყვებშია, ნამდვილად კი როგორც კომუნა, ისე საბჭო მუშათა კლასის ძალა-უფლების გამომხატველ ორგანოს წარმოადგენენ. ამაში იხატება მუშათა ხალხის შემოქმედებითი ნიჭი. მუშათა კლასი ინსტიქტიურად გვერდს უვლის ბურჟუაზიის დაწესებულებებს, ბურჟუაზიული ბატონობის გარეგან გამოხატულებასაც კი, და იმავე დროს იგი ქმნის თავის საკუთარ ფორმებს, გაცილებით უფრო მაღალს და გაუმჯობესებულს, ვინემ ბურჟუაზიული გაცვეთილი და მოდუნებული დაწესებულებებია. ეს იმას მოასწავებდა, რომ მუშათა კლასი გვერდს აუვლიდა თვით დამფუძნებელ კრებასაც, ყოველ შემთხვევაში იმ სახის დამფუძნებელ კრებას, რომელიც ცნობილი იყო ბურჟუაზიულ რევოლიუციების ხანაში.

მართალია, დამფუძნებელი კრება წამოყენებული იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პროგრამაში, მაგრამ ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში ერთი გარემოება: როცა ეს პროგრამა მუშავდებოდა (1901 — 03 წლები), მომავალი რევოლიუციის ხასიათი და მიმართულება ძლიერ ნაკლებად იყო ცნობილი; გარდა ამისა, განა შეიძლება წინდაწინ იმის დახატვა და გამოანგარიშება, თუ რა გზით წავა რევოლიუცია, ან რა ხასიათს მიიღებს ის თავის მსვლელობის პროცესში?

მაგრამ ასე იყო თუ ისე, ახალმა რევოლიუციამ პროლეტარიატის მეთაურობით უკვე იპოვა თავისი სახე, თავისი გამოხატულება საბჭოებში. საქმე სტყვაში, სახელწოდებაში როდია. უპირველესი და არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოიცვალა სრულიად რევოლიუციის შინაარსი და ამის კვალობაზე უნდა აუცილებლად გამოცვლილიყო მისი გარეგანი ფორმაც, უნდა გამოცვლილიყო ის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი (დაწესებულება), რომელშიაც უთუოდ უნდა ჩამოყალიბდეს ბოლოს ყველა რევოლიუცია. ბურჟუაზიული ეპოქების რევოლიუციის დასკვნა, მისი უკანასკნელი სიტყვა იყო ჯერ დამფუძნებელი კრება და შემდეგ ბურჟუაზიული პარლამენტი-კონსტიტუციონური მონარქიით, თუ რესპუბლიკით. ქვეყნის ფაქტიურ ბატონ-პატრონად მუდამ ხდებოდენ ბურჟუაზია და მემამულეები. ვერც ლამაზი სიტყვები, ვერც საყოველთაო, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემა საქმეს ვერ შველიდენ. ვინაიდან ბურჟუაზიის ბატონობის დროს ვერავითარი საარჩევნო უფლება, რაგინდ სამართლიანი და გაუმჯობესებული არ იყოს ის, მშრომელ მასას. რომელიც ყოველგან მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენს, ვერასოდეს ვერ მიანიჭებს უმრავლესობას ვერც პარლამენტში და ვერც სხვა ამგვარ დაწესებულებაში. ამიტომ სრულებით შემთხვევით არ აიხსნება ის გარემოება, რომ არათუ ყველა ბურჟუაზიულ-მონარქიული თუ რესპუბლიკანური პარტიები, არამედ თითქმის ყველა აშკარა შავრაზმული ჯგუფებიც კი და თვით რომანოვების გვარეულობაც დამფუძნებელ კრებას ებღაუქებოდენ და იმისგან გამოელოდენ ხსნას. დამფუძნებელი კრების ლოზუნგს ებღაუქებიან დღემდის რუსეთში ყველა ცოტად თუ ბევრად რეაქციონური პარტიები, რომლებსაც ჭკუის ნასახი შერჩენიათ, ვინაიდან კარგად იციან, რომ საყოველთაო არჩევნების საშუალებით ადვილად მიახწევენ მიზანს. მოყიდვის, ძალდატანების თუ სხვა ხრიკების საშუალებით ყოველივე დემოკრატიულად მოწყობილ არჩევნების შედეგები ყოველთვის შეგიძლიათ სრულ არარაობაზე დაიყვანოთ ან სრულებით გააყალბოთ. ამ გაყალბების, ამ ფაბრიკაციის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენენ მენშევიკები „დემოკრატიულ“ საქართველოში, სადაც მიუხედავად იმისა, რომ გლეხკაცობის ცხრა მეათედი ნაწილი და ქალაქის მუშების ორი მესამედი მენშევიკების პარტიის სასტიკი მოწინააღმდეგენი არიან, — მიუხედავად ამისა, ვიმეორებთ, ეს პარტია ყველა არჩევნებზე „იმარჯვებს“ და ყველა მიცემული ხმების თითქმის ცხრა მეათედს ღებულობს.

რუსეთის დიდ რევოლიუციას არ შეეძლო წინანდელ ბურჟუაზიულ რევოლიუციების გზით წასულიყო. მან აიღო ახალი გეზი, ის დაადგა ახალ გზას. ყველა წინანდელი ბურჟუაზიული რევოლიუციები თავისი დამფუძნებელი კრებებით და

პარლამენტებით მუშათა კლასის თითქმის სრული დამარცხებით თავდებოდა. სიტყვით, ბურჟუაზიული რევოლიუცია, ხალხს ყველაფერს პირდებოდა, ის მას აბეღნიერებდა ყოველგვარი თავისუფლების მინიჭებით, საქმით მშრომელი მასა ცარიელზე რჩებოდა. აშკარა იყო, რომ რუსეთის რევოლიუცია, რომელსაც მეთაურობდა პროლეტარიატი ძველი გზით ვერ იელიდა. ეს ეშმარიტება არ ესმოდათ იმათ, ვინც თავის თავს მუშათა კლასის მეგობრად რაცხდა, ვისაც ხალხის წინამძღოლობა თავის მონოპოლიათ მიაჩნდა. ასეთები იყვენ მენშევიკები (ჯორდანია, ჩხეიძე, ჩხენკელი, წერეთელი), ასეთები იყვნენ მემარჯვენე ესერებიც.

რუსეთის მუშებმა და გლეხებმა ჯარისკაცებთან ერთად საბჭოების გზა აირჩიეს. ელვის სისწრაფით მთელ რუსეთს, მცირეოდენ გამონაკლისის გარდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები მოედვენ. ეს საბჭოები ფაქტიურად ძალა-უფლების მატარებლებათ გამოდიოდენ. იმათ არ ჰქონდათ არაეითარი საერთო წესდება ანუ სტატუტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, საბჭოები თითქმის ყოველგან ერთნაირი წესით და რიგით მოქმედობდენ. ერთად-ერთი ღრმა მნიშვნელობა საბჭოების გავრცელებისა მდგომარეობდა იმაში, რომ მუშათა კლასი, მუშები და გლეხები, თვითონ იღებდა მართვა-გამგეობის სადავეს ხელში, თითონ ეპატრონებოდა თავის თავს, რომ მშრომელი მასსა გამოდიოდა მდიდარ კლასების ოპეკისაგან, რომ იგი არ კმაყოფილდებოდა ლამაზი განცხადებებით და სიტყვებით, არამედ ლამობდა სიტყვა საქმედ ექცია. და სწორედ ამ დიდ საქმეს ეშმაკურებოდენ საბჭოები.

ხალხის დიდი უმრავლესობის სასიცოცხლო ინტერესები თხოულობდენ მუშათა დეპუტატების საბჭოების მოქმედების გაფართოებას, ამ მოქმედების განმტკიცებას და გაღრმავებას. ამას მოითხოვდა კომუნისტების (ბოლშევიკების) პარტია; მაგრამ ამას წინ გადაეღობენ ყველა კონტრ-რევოლიუციონური და რეაქციონური პარტიები, კაპიტალისტები და მემამულეები. მთელ ამ აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკს მიემხრენ მენშევიკები და მემარჯვენე ესერები. დაიწყო საერთო კამპანია, ბრძოლა, ერთი მხრით, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების და, მეორე მხრით, ბოლშევიკების წინააღმდეგ. გაერთიანებულ ბურჟუაზიის და მენშევიკ-ესერების ლოზუნგად გადიქცა: გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას და ძირს საბჭოები! ბოლშევიკები თავდაპირველად არ იყვნენ დამფუძნებელი კრების მოწვევის წინააღმდეგი, თუ ის მუშათა კლასის ჰეგემონიის ქვეშ დარჩებოდა. მაგრამ ამბ. ლენინის პირით ისინი თავიდანვე აცხადებდენ: საბჭოების რესპუბლიკა ბევრად უფრო მაღალი და სრული ფორმაა მუშათა და გლეხთა დემოკრატიისათვის, ვინემ ბურჟუაზიის ლოზუნგი დამფუძნებელი კრების შესახებ. რაც დრო გადიოდა, განხეთქილება ერთი მხრით, კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიისა და მენშევიკებსა და, მეორე მხრით, მუშათა მასასა და ბოლშევიკებს შორის სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ღრმავდებოდა. ისინი, ვინც ბოლშევიკების წინააღმდეგ ირაზმებოდენ და ილაშქრებდენ, ირაზმებოდენ და ილაშქრებდენ აგრეთვე საბჭოების წინააღმდეგაც, ამიტომ ერთი იმთგანის დამარცხება ნიშნავდა იმავე დროს მეორეს დამარცხებასაც. ბოლოს გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა და, მაშასადამე, საბჭოებმაც. ეს იყო მუშათა კლასის გამარჯვება.

მაგრამ ქართველი მენშევიკები მაინც არ მოეშვენ თავის ჯორკტენას: დამარცხებული რუსეთში, იმათ საქართველოში გადმოაქვთ თავისი მოქმედების სარბიელი: ისინი აქ ფიქრობენ დამფუძნებელი კრების იდეიის განხორციელებას. ქართველმა მენშევიკებმა თითქო კიდევაც მოიწვიეს „საქართველოს დამფუძნებელი კრება", რომელზედაც ისინი ბურჟუა-კაპიტალისტებთან და მემამულეებთან ერთად დაჩოქილი ლოცულობენ.

რას წარმოადგენს მენშევიკების დამფუძნებელი კრება? რას აკეთებს, რას აფუძნებს იგი? რომ ვთქვათ: მენშევიკების დამფუძნებელი კრება აკეთებს ქართველი ბურჟუაზიის საქმეს, ის აფუძნებს ჩვენში ბურჟუაზიულ სახელმწიფოს — ეს განმეორება იქნება იმის, რასაც არავინ უარს არ ჰყოფს. მაგრამ საქმე ამაში როდია. ჩვენთვის საინტერესოა, თუ რაში მდგომარეობს ის ახალი წესწყობილება, რომელსაც ეს კრება აკეთებს ან აფუძნებს. ბურჟუაზიული წესწყობილება ჩვენში რევოლიუციამდეც არსებობდა; საქართველოში არ იყო მხოლოდ საკუთარი ბურჟუაზიული სახელმწიფო. ვთქვათ, რომ სოციალ-დემოკრატ-მენშევიკებს მოუნდათ დამფუძნებელი კრება იმიტომ, რომ საქართველოში ახალი ბურჟუაზიული, ანუ, როგორც ისინი ამბობენ, დემოკრატიული სახელმწიფო დაეფუძნებიათ. მაგრამ არც ამისთვის იყო საჭირო დამფუძნებელი კრების მოწვევა. როგორც ვიცით, დამფუძნებელი კრება მენშევიკებმა მოიწვიეს 1919 წლის 12 მარტს, საქართველოს ბურჟუაზიული რესპუბლიკა კი — იმათ გამოაცხადეს 26 მაისს 1918 წელს, ე. ი. თითქმის ერთი წლის წინეთ. ეს აქტი მოახდინა ეგრედწოდებულმა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ხალხის დაუკითხავად. ესე იგი ხსენებულმა საბჭომ დააფუძნა ის, რის დაფუძნებას და რის გაკეთებას მენშევიკების ბელადები (ჯორდანია, გეგეჭკორი, ჩხეიძე, წერეთელი და სხვ.) დამფუძნებელ კრებას ავალებდენ. ერთი სიტყვით, რის გასაკეთებლადაც დამფუძნებელი კრება მოვლინებული იყო, ის უკვე ავად იყო თუ კარგად ეროვნულმა საბჭომ გააკეთა. მაშ რისთვის მოიწვიეს დამფუძნებელი კრება? მხოლოდ იმიტომ, რომ მენშევიკების ბელადებს თავისი ჟინი დაეკმაყოფილებიათ. სანამ დამფუძნებელ კრებას მოიწვევდენ, თითქო ყველანი მისგან რაღაც სასწაულს მოელოდენ. მაგრამ მოწვევის შემდეგ აღარ იციან მას რა უყონ, როგორ მოიშორონ თავიდან. ქართველი მენშევიკების დამფუძნებელი კრება ყველაზე ნაკლებ გავს დამფუძნებელ კრებას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მაგრამ ის არც ბურჟუაზიული პარლამენტია. თუ საქმეს ღრმად დავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ „დამფუძნებელი კრების" ნიღაბით ჩვენ საქმე გვაქვს მენშევიკების პარტიის დიკტატურასთან, რომელი დიკტატურაც ასრულებს ბურჟუაზიის საქმეს. მენშევიკები სხვა დანარჩენ კონტრ-რევოლიუციონერებთან ერთად ბოლშევიკებს მუდამ იმას აყვედრიან და იმაში სდებენ ბრალს, რომ ისინი პროლეტარიატის დიქტატურის სახელით თავისი პარტიის დიქტატურას ანხორციელებენო, თუნდაც რომ ეს ასე იყოს, ბოლშევიკები მაინც მართალი იქნებოდენ, ვინაიდან თავისი დიქტატურით ისინი სოციალიზმის საქმეს აკეთებენ, მუშათა კლასის იდეალს ემსახურებიან, და არა ბურჟუაზიის საქმეს ასრულებენ. მეორე მხრით, ჩვენ ვიცით, რომ ის, რასაც კომუნისტების პარტია აკეთებს, რაც ამ პარტიას გაყავს ცხოვრებაში, ყოველივე ეს კეთდება და ´ტარდება თვით მუშების და გლეხების საშუალებით, პირდაპირ, უშუა-

ლოდ იმათ მიერ არჩეულ საბჭოების საშუალებით. საბჭოების ქსელი გაბმულია რუსეთის მთელ სივრცეზე, სოფლიდან დედაქალაქამდე მოქმედებენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც ყოველ ექვს-თვეზე ახლდებიან ხელახალი არჩევნების საშუალებით. ყოველ მაზრაში და ყოველ გუბერნიაში წლის განმავლობაში ორჯერ ხდება საბჭოთა ყრილობა; ასევე სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობაც ორჯერ ხდება წლის განმავლობაში, გარდა არჩეულებრივ ყრილობებისა *).

განა აქვს რაიმე ამის მსგავსს ადგილი ჩვენ მენშევიკების საქართველოში? სრულებითაც არა. მაშინ, როცა ბოლშევიკები მოქმედებენ მასის საშუალებით და მასის საკეთილდღეოდ, მენშევიკები მასისგან გარიყული არიან, მასას ისინი ებრძვიან და იმავე დროს მოქმედებენ მშრომელი მასის, მუშების და გლეხების ინტერესების სახელით. მენშევიკების დამფუძნებელი კრება მასიდან გარიყულია, მასსის თვალში მას მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობა აქვს. არც ერთი პარტია არ ანხორციელებს დღეს თავისი პარტიის დიკტატურას, — როგორც ამას ანხორციელებს ქართველი მენშევიკების პარტია; მაგრამ ეს დიქტატურა ხორციელდება არა მუშათა კლასის საკეთილდღეოდ, არამედ ბურჟუაზიის. ერთი სიტყვით მენშევიკების დიქტატურა არის ბურჟუაზიის დიქტატურა.

ასე და ამგვარად ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივდივართ: 1) საბჭოთა სისტემის გამარჯვება ნიშნავს პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებას ბურჟუაზიულ რევოლიუციაზე; 2) რუსეთში გაიმარჯვეს საბჭოებმა, მაშასადამე, გაიმარჯვა მუშათა კლასმა და დამარცხდა ბურჟუაზია, მაშასადამე, დამარცხდა ბურჟუაზიული დამფუძნებელი კრების იდეაც; 3) საქართველოში დამარცხდენ საბჭოები, რაც ნიშნავდა მუშების და გლეხების რევოლიუციის დამარცხებას; 4) მენშევიკებმა აისრულეს თავისი საწადელი და მოიწვიეს დამფუძნებელი კრება, მაგრამ აქ მათ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, ვინაიდან დასაფუძნებელი აღარაფერი აქვთ და თვით ეს ახირებული „დამფუძნებელი კრება“ უველასათვის მეტ ბარგად გადაიქცა; 5) საბჭოთა მთავრობა შესისხლხორცებული და შეზრდილია მშრომელ მასსასთან, მაშინ. როცა მენშევიკების დამფუძნებელი კრება ხალხისაგან გამორიყულია და მასთან არაფერი საერთო არა აქვს-რა; 6) საბჭოთა სისტემა ნიშნავს საქმით პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურას, მაშინ. როცა მენშევიკები ჩვენ მი ანხორციელებენ თავისი პარტიის დიქტატურას, რათა ბურჟუაზიის საქმე აკეთონ; 7) დასასრულ, მენშევიკების დამფუძნებელი კრება ოდნავაც ვერ გამოხატავს საქართველოს მშრომელი მასსის, მუშების და გლეხების სულისკვეთებას, მათ სურვილებს და მათ ზრახვათ. ეს ძალუძს მხოლოდ საბჭოთა მთავრობას, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს. ფაქტიურად საქართველოს დამფუძნებელი კრება დღიდან თავის გაჩენისა მკვდარია. საჭიროა მისი სამუდამოდ დასამარება და ნანგრევებზე საბჭოთა მთავრობის შენობის აგება.

---

*) საბჭოების ასეთი არჩევა არსებობდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანაში.

2. ბურჟუაზიული, თუ მუშათა დემოკრატია?

ქართველ მენშევიკების კვეხნას და ამაყობას საზღვარი არა აქვს: ჩვენ ავალორძინეთ და გავაძლიერეთ საქართველოში დემოკრატია, ჩვენ ვიცავთ მის ინტერესებს, ჩვენ ვემსახურებით მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე და სხვადასხვა ასეთი ლათაიებით ლამის არის იმათ გული გაგვიწყალონ. მაგრამ ერთხელაც არ უცდიათ იმის ახსნა-განმარტება. ერთხელაც არ უთქვამთ გარკვეულად, თუ რომელი დემოკრატია აქვთ მხედველობაში, ვინაიდან არავისთვის საიდუმლოება არ უნდა იყოს, რომ დემოკრატია თავის-თავად ცალკე, განსაკუთრებულ კლასს არ წარმოადგენს, რომ თანამედროვე ცხოვრებაში არსებობს ერთი მხრით ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა და მ ე ო რ ე მ ხ რ ი თ მ უ შ ა თ ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა. ის გარემოება, რომ ჩვენი მენშევიკები ამ განმარტებას სისტემატიურად გაურბიან, რომ ისინი მუდამ ლაპარაკობენ საზოგადოდ დემოკრატიაზე, თავის-თავად იმის მაჩვენებელია. რომ მენშევიკები ლაპარაკობენ მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე, რომ ისინი ზრუნავენ მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის ინტერესებისათვის.

მაგრამ როგორც ბურჟუაზია და საზოგადოდ კაპიტალისტების და მემამულეების კლასი ებრძვის მუშათა კლასს. ი ს ე ვ ე ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ეწინააღმდეგება მუშათა დემოკრატიას. რაც უნდა განვითარებული იყოს ბურჟუაზიული დემოკრატია, სულ ერთია, მუშათა კლასისთვის ის მაინც შეურიგებელი მტერია. ამიტომ ვინც მარტო დემოკრატიაზე, მარტოოდენ დემოკრატიულ პრინციპებზე ლაპარაკობს და ხაზს არ უსვამს იმ გარემოებას, რომ დღეევანდელ სინამდვილეში ადგილი აქვს ორგვარ დემოკრატიას, იგი ან სრული უვიცია და არა გაეგება რა ამ სინამდვილის, ან კიდევ განგებ ჩადის ამას სხვის მოსატყუებლად და საცდუნებლად. ასე იქცევიან სწორედ მენშევიკები. ისე, როგორც ქართველი ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები, ისინიც ლაპარაკობენ მხოლოდ დემოკრატიაზე, დემოკრატიულ პრინციპებზე, დემოკრატიის აღორძინებაზე და განვითარებაზე და კრინტსაც არ სძრავენ იმაზე, რომ დემოკრატია და დემოკრატიული პრინციპი განყენებულად კი არ არსებობს, არამედ როგორც ერთი, ისე მეორე არსებობს იმდენად, რამდენადაც ესა თუ ის კლასი დემოკრატიულ პრინციპს თავისთვის იყენებს და ცხოვრებაში ანხორციელებს. ვინ არ გინდათ. რომ დღეს დემოკრატიას თაყვანს არ სცემდეს და არ აღმერთებდეს; თვით საერთაშორისო მუშათა კლასი უძლიერესი მტერი და საერთაშორისო რევოლიუციის სულთამხუთავი კ ლ ე მ ა ნ ს ო დემოკრატიის ნიღაბით აკეთებდა თავის აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ და რეაქციონურ საქმეებს; იგიც სწორედ დემოკრატიის სახელით უგებდა მახეს პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობის. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ სიტყვები: დემოკრატია, დემოკრატიზმი, დემოკრატიული პრინციპი როგორღაც გაუპატიურებული და შეურაცხყოფილია, როცა ამ სიტყვებს ხმარობენ დიდი და პატარა კლემანსოები, ანუ მუშათა კლასის მოსისხლე მტრები. ამიტომაც არის, რომ მუშათა კლასის ნამდვილი მეგობარი და ერთგული დამცველი ვერ გამოვა მხოლოდ ისეთი ზოგადი ლოზუნგით, როგორიც არის დემოკრატია ანუ გაუმარჯოს დემოკრა-

ტიას. ეს იქნებოდა ა რ ა თ უ ფ ა რ ი ს ე ვ ლ ო ბ ა მუშათა კლასის წინაშე; არა. ეს იქნებოდა პ ი რ დ ა პ ი რ მ ი ს ი ღ ა ლ ა ტ ი. ეს იქნებოდა მუშათა კლასის ნამდვილი გაცემა. და, აი სწორედ ასეთ ღალატს, ასეთ გაცემას სჩადიან დღეს სოციალ-დემოკრატები—მენშევიკები. ქართველი მენშევიკები ჯერ კიდევ წინედაც. თვითმპყრობელობის დროსაც ეფარებოდენ სიტყვა დემოკრატიას. მაშინ ეს რამდენიმედ მისაღებიც იყო, ვინაიდან თვითმპყრობელობა ვერ ითმენდა სიტყვებს: მუშათა კლასი ან პროლეტარიატი და დემოკრატია უფრო მისაღები იყო მისთვის. ამიტომ ეს სიტყვა მაშინ ერთნაირი საფარი იყო სოციალისტებისათვის. დღეს კი ვილასი ეშინიათ ქართველ მენშევიკებს? განა დღეს ისინი თვითან არ წარმოადგენენ მმართველ პარტიას ჩვენში? ვის შეუძლია მათ აუკრძალოს დემოკრატიის მაგიერ მუშათა დემოკრატიის ხმარება? მაგრამ საქმე ასეა: თუ წინედ მენშევიკები გაურბოდენ მუშათა კლასის და პროლეტარიატის ხსენებას თვითმპყრობელობის შიშით, დღეს ისინი ამასვე გაურბიან ბურჟუაზიის შიშით, არა მარტო ადგილობრივის, არამედ უცხოელი ბურჟუაზიისაც. განა მენშევიკებმა არ დასდვეს ფიცი ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შექმნაზე საქართველოში? განა იმათ არ მისცეს სიტყვა ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალისტებს, რომ ისინი საქართველოში დაიცავენ „წესიერებას", ესე იგი დაამყარებენ ბურჟუაზიულ წესწყობილებას? განა ამით არ აიხსნება ის უურადღება. რომელსაც იჩენენ ქართველ მენშევიკებისადმი საერთაშორისო პროლეტარიატის სულთამხუთავები. იმპერიალიზმის ლმერთები: კლემანსო, ლლოიდ-ჯორჯი, კერზონი, ვილსონი? — აქედან აშკარაა ის, რომ მენშევიკები ემსახურებიან იმ საქმეს, რომელსაც ემსახურებიან და იცავენ მუშათა კლასის მოსისხლე მტრები. მაგრამ ეს უკანასკნელებიც დემოკრატიზმის სახელით მოქმედებენ, როცა მუშებს და გლეხებს ებრძვიან, როცა პროლეტარულ რევოლიუციას ეომებიან.

რა აქვს საერთო კლემანსოების და ლლოიდ-ჯორჯების დემოკრატობას მუშათა კლასის დემოკრატიზმთან? აშკარაა, რომ სრულებით არაფერი. საბჭოთა მთავრობა ხაზს უსვამს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს მუშათა დემოკრატიასა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის. ბურჟუაზიული საზოგადოების განსაზღვრულ საფეხურზე ბურჟუაზიული დემოკრატია უთუოდ პროგრესიულ მოვლენას წარმოადგენს. ამ მოვლენაზე მიუთითა თვით კ. მარქსმაც 1848 წლის რევოლიუციის დროს, როცა იგი თითონ მეთაურობდა ბურჟუაზიულ რადიკალურ ორგანოს.

იმ ხანებში ბურჟუაზია ჯერ კიდევ თამაშობდა რევოლიუციონურ როლს ფეოდალური წესწყობილების ნაშთების სრულებით მოსპობაში. ამ ხანებში ხდება მუშათა კლასის პირველი რევოლიუციონური გამოსვლები დამოუკიდებლად. აი სწორედ ამის შემდეგ ბურჟუაზია თანდათან რეაქციონერდება და იგი ყოველთვის მუშათა კლასის რევოლიუციის წინააღმდეგ ილაშქრებს. ამიტომაც იყო. რომ მარქსი მიესალმა პარიზის კომუნას, როგორც მუშათა კლასის დარაზმვას. შეიარაღებულ გალაშქრებას კაპიტალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ და როგორც ნამდვილ მუშათა მთავრობას. 1871 წლის პარიზის კომუნა წარმოადგენდა მუშათა დემოკრატიას ისე, როგორც ამჟამად რუსეთის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები წარმოადგენენ მუშების და გლეხების

დემოკრატიას. მუშათა დემოკრატიის პირისპირ სდგას მხოლოდ კონტრ-რევოლიუციონური და რეაქციონური ბურჟუაზიული დემოკრატია. ეს დემოკრატია იცავს, რა თქმა უნდა, არსებულ ბურჟუაზიულ წესწყობილებას, ე. ი. კაპიტალისტების და მიწათმფლობელთა კერძო საკუთრების ხელუხლებლობას, იმათ მიერ მუშების და გლეხების ყველფა-ძარცვას; იმავე დროს იგი მომხრეა სოციალური „რეფორმების", საყოველთაო და სხვა ამგვარი საარჩევნო უფლების შემოღების, პარლამენტარიზმის დამყარებით და სხვ. და სხვ., მაგრამ ბურჟუაზიული დემოკრატია სასტიკად ეწინააღმდეგება პროლეტარულ, ე. ი. მუშების და გლეხების რევოლიუციას, ერთი მხრით, და მუშათა კლასის დიკტატურას, მეორე მხრით. ყოველად შეუძლებელია, რომ ეს ორი დემოკრატია ერთმანეთს შეურიგდეს, ვინაიდან იმათი ინტერესები ერთმანეთს პირდაპირ ეწინააღმდეგებიან. ბურჟუაზიულ დემოკრატიის ბატონობა ნიშნავს ხალხის უმცირესობის სრულს ბატონობას ხალხის დიდ უმრავლესობაზე. საქმეს არ სცვლის ის გარემოება, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია სცნობს საყოველთაო, პირდაპირ და ფარულ საარჩევნო უფლებას. პირიქით, თვით ეს უფლება ხდება მისი ბატონობის უძლიერეს იარაღად და, მაშასადამე, მუშა ხალხის დაშინების, შეეიწროების და გაყვლეფის იარაღადაც. საყოველთაო, პირდაპირი და სხვა საარჩევნო უფლება ლიბერალურ და რადიკალურ ბურჟუაზიამ თავის კერპად გადაიქცია. მართალია. მუშათა სოციალისტური პარტიებიც ამ ლოზუნგს აყენებდენ თავის სადღეისო პრაქტიკულ მოქმედებაში. ამ ლოზუნგს იყენებდენ ისინი სხვათა შორის საგიტაციო მასალად, მაგრამ მას როდი ხდიდენ მიზნად. ის „სოციალისტები", რომლებიც. როგორც იტყვიან, ჯოხს მეორე მხარეზე ლუნავდენ; რომლებიც საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების მოპოებაში ხედავენ მუშათა კლასის ბედის გადაჭრას. ამგვარად მათგან არჩეული გზა სრულიად აღარ იყო სოციალისტური. ისინი რევოლიუციონურ-სოციალიზმს ღალატობდენ. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ფრ. ენგელსმა გადაჭრით განაცხადა ერთხელ თავის წერილში, რომ მუშათა კლასი, როცა ამას მისი სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ უთუოდ გაილაშქრებს საყოველთაო და სხვ. საარჩევნო უფლების წინააღმდეგო. ასე განაცხადა შემდეგ გ. პლეხანოვმაც, თუ არ ვცდები, სოც.-დემოკრატიულ პარტიის მეორე „სიეზდზე" 1903 წელს, როცა იგი ჯერ კიდევ მარქსიზმის ნიადაგზე იდგა. დღეს კი ქართველმა მენშევიკებმა, რომელთაც პლეხანოვზე ამოდიოდათ მზე და მთვარე, ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელი სიტყვა — საყოველთაო საარჩევნო უფლება — შეურყეველ და სამუდამო კეშმარიტებად გამოაცხადეს და მუშათა კლასისთვის ის ხელუხლებელი გახადეს ყველა პირობებში — პროლეტარული რევოლიუციის დროსაც კი.

სულ სხვანაირად უყურებს საქმეს საბჭოთა სისტემა. უდიდესი რევოლიუციის დროს, როცა მუშათა კლასი იბრძვის მონობის უღლიდან თავის დასახწევად — შეუძლებელია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პრინციპებით ხელმძღვანელობა. მისთვის ამ ხანაში ბურჟუაზიული დემოკრატიზმი მხოლოდ ბურჟუაზიული ცრუმორწმუნეობაა და მეტი არაფერი. ეს ერთი. მეორეც ის. რომ ეს იქცევა პირდაპირ თავის ღალატი. პროლეტარიატმა და გლეხობამ, ე. ი. მუ-

შათა დემოკრატიამ უნდა სათავეშიე მოუსპოს ბურჟუაზიას ყოველივე საშუალება კვლავ გამოვიდეს რევოლიუციიდან გამარჯვებული ის და არა მუშათა კლასი. კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების) და საბჭოთა მთავრობა რუსეთში უდიდეს დანაშაულს ჩაიდენდენ, რომ მათ არ უარეყოთ ბურჟუაზიის „საყოველთაო“ საარჩევნო უფლება და სავსებით არ დაყრდნობოდენ მუშათა დემოკრატიაზე, ე. ი. ქალაქის პროლეტარიატზე და სოფლის ღარიბ გლეხკაცობაზე. ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე დაყრდნობა საყოველთაო საარჩევნო უფლებით — არსებითად ნიშნავს ბურჟუაზიის დიქტატურას, რასაც ადგილი აქვს დღეს ყველა კულტურულსან ქვეყნებში და მათ შორის. მენშევიკების „დემოკრატიული“ საქართველოშიაც. მუშათა დემოკრატიაზე დაყრდნობა კი მოასწავებს პროლეტარიატის და ღარიბი გლეხკაცობის დიქტატურას, რასაც ადგილი აქვს 1917 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ საბჭოთა რუსეთში.

ასე და ამგვარად მენშევიკების დემოკრატია და დემოკრატიული სახელმწიფო ნამდვილად ბურჟუაზიის ბატონობაა, მისი დიქტატურა. აი რას სწერს ვინმე ს ა ნ ი მენშევიკების „ბორბა“-ში [4]): „ქართველ სოციალისტებმა (ე. ი. მენშევიკებმა ფ. მ.) აიღეს ხელში ძალა-უფლება ბურჟუაზიული რევოლიუციის გულისთვის... ისინი ამას არ იზამდენ, რომ ჩვენში ყოფილიყო რევოლიუციონური ბურჟუაზია... ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მ თ ა ვ რ ო ბ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ა ა ს ე თ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი ა რ უ ნ დ ა ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ო დ ე ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ულ წ ე ს ს“ *). ე. ი. ბ-ნი სანი, რომელიც ახლა, როგორც სჩანს, ქართველი მენშევიკების განათლებას კისრულობს, პირდაპირ ამბობს, რომ სოციალისტებმა ჩვენში მუშათა კლასის ყვლეფის პოლიტიკა უნდა აწარმოონონ. იმის მტკიცება, რომ ბურჟუაზიულ წარმოებას ვერ გაუძღვებოდა და ვერ უხელმძღვანელებდა თვით ბურჟუაზია, პირდაპირ სასაცილოა, რომ მეტი არა ვთქვათ. ამის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ იქ, სადაც ფეოდალიზმი ვერ მოღონიერდა, და ვერ გაძლიერდა ბურჟუაზიული რევოლიუციის გამარჯვებამდე, გამარჯვებულ ბურჟუაზიას ჯერ ისევ ფეოდალური რეჟიმის გამაგრება უნდა ეკისრა. აი. რა სისულელემდე მივყევართ ჩვენ მენშევიკების ლოლიკას, იმათ უსუსურ მსჯელობას.

(აქ წყდება ხელნაწერი).

---

*) იხ. „ბორბა“, 1920 წ., № 62.

იდეოლოგიური ფრონტი.

„რას ამტკიცებს იდეათა ისტორია, თუ არა იმას, რომ გონებრივი მოღვაწეობა სხვაფერდება ნივთიერ მოღვაწეობასთან ერთად? ამ თუ იმ დროს გაბატონებული იდეები მუდამ იყვნენ მხოლოდ გაბატონებული კლასების იდეები“.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

კომუნისტური მანიფესტი“.

ოქტომბრის რევოლიუციამ რუსეთში სახელმწიფოს სათავეში მოაქცია მუშათა კლასი, პროლეტარიატი. ეს მოასწავებდა არა მარტო უდიდეს პოლიტიკურ და სოციალურ რევოლიუციას, არამედ იმავე დროს ულრმეს ცვლილებას იმ საზოგადოებრივ „ზედნაშენებში“, რომელთაც საერთოდ ეწოდება „იდეოლოგია, ე. ი. სარწმუნოება, ფილოსოფია, მეცნიერება. ხელოვნება. ზნე-ჩვეულება, სკოლა და სხვ.

მას შემდეგ, რაც წარმოსდგა საზოგადოების დაყოფა კლასებათ, ყველა იდეოლოგიური „ზედნაშენები“, როგორც იარაღი ხალხის მასების დამორჩილებისა და დამონებისა, გაბატონებულ, ანუ მმართველ კლასებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული, რასაც ისინი მთელი თავისი ძალღონით ებღაუჭებოდენ. სწორედ ეს გარემოება აქვს მხედველობაში ამხ. ნ. ბუხარინს, როცა იგი თავის წიგნში: „ისტორიული მატერიალიზმის თეორია“-ში, სხვათა შორის სწერს: „ადამიანთა ისტორიის დასაწყისში ე. ი. იმ ხანებში, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა დამატებითი შრომა (прибавочный труд), თითქმის არ არსებობდა არც არავითარი იდეოლოგია. მხოლოდ შემდეგში, როცა გაჩნდა ეს დამატებითი შრომა, განსაკუთრებით ფიზიკურ შრომით დატვირთულ დიდი უმრავლესობის გვერდით, წარმოსდგა კლასი, განთავისუფლებული უშუალო წარმოებითი შრომიდან, რომელიც განაგებს საზოგადოებრივ საქმეებს: ხელმძღვანელობს მუშაობას, მართავს სახელმწიფოს, განაგებს მართლმსაჯულებას. მეცნიერებას, ხელოვნებას და სხვ.“ *)

*) Н. Бухарин. Теория истор. матер., стр. 281 — 2.

კაცობრიობის ათასოვან წლების განმავლობაში სარწმუნოების, ზნეობის, ხელოვნების, მეცნიერების, ფილოსოფიის, უფლების, ენის და სხვათა სახით დაგროვილია აუარებელი სხვადასხვა იდეოლოგიური ზედნაშენები, რასაც ჩვეულებრივ უწოდებენ „ს უ ლ ი ე რ კ უ ლ ტ უ რ ა ს“. ყოველივე ამაში იხატებოდა არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მდგომარეობა, ე. ი. სარწმუნოება, ფილოსოფია, ზნე-ჩვეულებანი, ხელოვნება, — ყოველივე ეს იყო და არის არა მარტო გამოხატულება ადამიანთა ამა თუ იმ ურთიერთობა-დამოკიდებულებათა, არამედ იმავე დროს სრული გამართლება ამავე საზოგადოებრივ ურთიერთობათა. ეს დებულება ერთნაირად მართალია როგორც ძველი მონური და საშუალო საუკუნოების ბატონყმური ანუ ფეოდალური. ისე თანამედროვე ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ულ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა თ ა თ ვ ი ს. მაგრამ ყოველივე ეს შეტად სქელ ბურუსში იყო გახვეული და მას რაღაც ს ა ი დ უ მ ლ ო ე ბ ი ს ანუ ზ ე ს თ ა ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ო ბ ი ს დაღი ესვა. მაგრამ ი ს ტ ო რ ი ულ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს თ ე ო რ ი ა მ, რომელიც ჩვენ მოგვცა მ ა რ ქ ს მ ა და ე ნ გ ე ლ ს მ ა. ეს ბურუსი სამუდამოთ გაფანტა და ყველა ამ იდეოლოგიურ ზედნაშენთ ჩამოაცალა ყოველივე საიდუმლოება და ზესთაბუნებრივობა. მოკლეთ ისტორიული მატერიალიზმის ეს შეხედულება გამოხატულია შესანიშნავად მარქსის შემდეგ სიტყვებში: „თავის ცხოვრების საზოგადოებრივ წარმოებაში ადამიანები ქმნიან განსაზღვრულ, იმათ ნების ყოფაზე დამოუკიდებელ ურთიერთობათ, — წარმოებითი ურთიერთობათ, რომლებიც შეესაბამებიან იმათ ნივთიერ საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს. ყველა ამ საწარმოო ურთიერთობათა მთელი ჯამი წარმოადგენს საზოგადოების შენობას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც ეყრდნობა უფლებრივი და პოლიტიკური ზედნაშენი და რომელსაც შეესაბამება საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები. ნ ი ვ თ ი ე რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს წ ე ს ი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს ს ო ც ი ა ლ ურ ი. პ ო ლ ი ტ ი კ ურ ი და ს ა ზ ო გ ა დ ო თ ს უ ლ ი ე რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ს. ა რ ა შ ე გ ნ ე ბ ა ა დ ა მ ი ა ნ თ ა გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს ი მ ა თ ყ ო ფ ნ ა-ა რ ს ე ბ ო ბ ა ს, ა რ ა მ ე დ, პ ი ტ ი ქ ი თ, ი მ ა თ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ყ ო ფ ნ ა-ა რ ს ე ბ ო ბ ა გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს ი მ ა თ შ ე გ ნ ე ბ ა ს“ *).

მაგრამ, როგორც ვიცით. ნივთიერი წარმოების პირობები მუდამ ცვალებადობას განიცდიან და, მაშასადამე, ამის კვალობაზე იცვლებიან საზოგადოებრივი ურთიერთობანიც. ურთიერთობანი ადამიანთა შორის; ამ შეცვლილ და ახალ ურთიერთობათ აუცილებლად უნდა შეესაბამონ მთელი იდეოლოგიური ზედნაშენებიც, იდეები. შეხედულებანი, რელიგია, ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოვნება.

აქ ჩვენ უმთავრესად გვაინტერესებს შემდეგი საკითხი: ვის ეკუთვნიან ეს გავრცელებული ანუ გაბატონებული იდეები, თუ შეხედულებანი? ვის ემსახურება რელიგია. ფილოსოფია, ხელოვნება და სხვა ყოველივე განსაზღვრულ ეპო-

*) წინასიტყვაობიდან: „Zur Kritik der Polit. Oeconomie“. („К критике полит. экономии“).

ქაში? ეს საკითხები მთელი თავისი სიცხადით გააშუქეს „კომუნისტური მანიფესტის“ ავტორებმა მთელი თავისი სიცხადით. „განა ძნელია — ეკითხულობთ ჩვენ იქ — იმის გაგება, რომ ადამიანთა ყოფა-ცხოვრებასთან, იმათ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან, იმათ სოციალურ მდგომარეობასთან ერთად იცვლებიან აგრეთვე იმათი წარმოდგენებიც, იმათი შეხედულებანიც და აზრები, ერთი სიტყვით, მთელი იმათი შეგნება? რას ამტკიცებს იდეათა ისტორია თუ არ იმას, რომ გონებრივი მოღვაწეობა სხვაფერდება ნივთიერ მოღვაწეობასთან ერთად? ამა თუ იმ დროს გაბატონებული იდეები მუდამ იყვენ მხოლოდ გაბატონებულ კლასების იდეები“. კაცობრიობის მთელი წარსული ისტორია, — ისტორია ადამიანთა ყველა საზოგადოებისა ძველთა, საშუალო საუკუნოებში და ახალ ხანაში. ამტკიცებს იმას, რომ სარწმუნოება, ზნეობა, ფილოსოფია, ხელოვნება, მართლმსაჯულობა და სხვა ყოველგვარი იდეოლოგია მხოლოდ გაბატონებულ, მძარცველ და მყვლეფელ კლასების სამსახურს ასრულებდენ. რომ ავიღოთ მხოლოდ სხვადასხვა სარწმუნოებათა და ფილოსოფიათა ისტორია. ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით იმაში, რომ იდეოლოგიის ეს ორი მთავარი დარგი სხვადასხვა დროს ერთნაირად გამოხატავდენ მაღალ წოდებათა და კლასთა მოთხოვნებს და ემსახურებოდენ განსაკუთრებით იმათ ინტერესებს. გადააველეთ თვალი თუ გინდ ქრისტიანობის ისტორიას რომის და ბიზანტიის მონარქიების ხანში, შემდეგ ფეოდალიზმის დროს და ბოლოს ბურჟუაზიის განვითარების ხანაში. განა ყოველთვის და ყოველგან ის არ ემსახურებოდა გაბატონებულ და მძარცველ კლასებს? ასევე ითქმის თვით წმინდა განყენებულ ფილოსოფიაზედაც. ამბ. ნ. ბუხარინს თავის ზევით დასახელებულ წიგნში მოყავს აუარებელი ისტორიული ფაქტები ამის დასამტკიცებლად.

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ სრულებით გასაკვირალი არაა, რომ სხვადასხვა იდეოლოგიათა დარგები იმყოფებოდენ და დღესაც იმყოფებიან თვით გაბატონებულ კლასების თითქმის განსაკუთრებულ განკარგულება-მფლობელობაში; ანუ უფრო გარკვეულად რომ ვსთქვათ, ყოველივე ის, რასაც იდეოლოგია ეწოდება, სწორედ გაბატონებულ და მმართველ კლასების სრულს მონოპოლიას წარმოადგენს. ზოგჯერ, განსაკუთრებით ძველ დროში, პროფესიები ხუცის (ქურუმის), ფილოსოფოსის და მმართველის ერთდებიან ერთ და იმავე პიროვნებაში; ე. ი. ქურუმი გამოდიოდა ერთ და იმავე დროს ფილოსოფოსის და მმართველის როლებში და პირიქით. ძველათ და საშუალო საუკუნოებშიაც ზევით დასახელებული პროფესიები წარმოადგენდენ ერთნაირ სასტიკათ დახშულ კასტებს. გარეშეებს იქ არ გააჭაჭანებდენ. ყოველგვარი რელიგიური, ფილოსოფიური, თუ მეცნიერული ცოდნა მხოლოდ ამათ პრივილეგიას და მონოპოლიას შეადგენდა; იმათ მაგრათ ქონდათ ჩაჭიდული ხელი ყველა ამ ცოდნისათვის და არაფრისთვის არ უნდოდათ ამ ცოდნათა თავის ხელიდან გაშვება. ვინაიდან ეს იქნებოდა იმავე დროს იმათი უპირატესობის შესუსტება, შელახვა და შეიძლება სრულიად მოსპობაც. არსებითად ასეთი მდგომარეობა დაცულია დღემდისაც ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. „ჩვენ ვიცით — სწერს ბუხარინი — თუ როგორ ებღაუჭებოდენ გაბატონებული კლასები ცოდნათა მონოპოლიას.

ძველათ ქურუმები (ხუცები, ეპისკოპოსები, მიტროპოლიტები), რომლებიც იყვნენ სწავლა-ცოდნის მონოპოლისტები, კლიტეს ადებდენ მეცნიერების ტაძრებს". და იქ შესვლის ნებას აძლევდენ მხოლოდ რჩეულთა მცირე რიცხვს, მასთან თვით ცოდნას ხვევდენ ღვთაებრივი და საშინელი საიდუმლოების სამოსელში, რომელიც მისაწდომი იყო მხოლოდ ბრძენთა და წმინდათა მცირე ჯგუფისთვის. თუ როგორ ფასდება ეს მონოპოლია გაბატონებულ კლასების მიერ დღესაც, ეს ჩანს, მაგ.. ცნობილ გერმანელ იდეალისტურ ფილოსოფოსის პ ა უ ლ ს ე ნ ი ს შემდეგი მსჯელობიდან: „მისთვის, ვინც სოციალურ ურთიერთობათა გამო მიკერებულია ფიზიკურ მუშაობის პროფესიაზე, ა რ ა ე ი თ ა რ ი ს ა რ გ ებ ლ ო ბ ა ა რ ი ქ ნ ე ბ ო დ ა, რ ო მ მ ა ს მ ი ე ღ ო უ მ ა ღ ლ ე ს ი გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა დ ა გ ა მ ხ დ ა რ ი ყ ო ს წ ა ვ ლ უ ლ ა დ: ეს განათლება არა თუ არ შეუმსუბუქებდა. არამედ, პირიქით, გაუძნელებდა მას ცხოვრებასო" *). ამ შემთხვევაში პაულსენი გამოსთქვამს საერთოდ ბურჟუაზიის და კერძოდ ბურჟუაზიული ინტელიგენციის სულის კვეთებას, რაც თავის მხრით შორეული გამოძახილია ძველი ქურუმულ „ცოდნის" მონოპოლიისა. გარდა ამისა, არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის ფაქტი, რომ სწორედ განათლების და ცოდნის მონოპოლიური ხასიათი იყო მთავარი მიზეზი იმის, რომ რუსეთის ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, ბუხარინის თქმით, ყალყზე დაუდგა თმა, როცა რუსეთში პროლეტარიატმა ძალა-უფლება თავის ხელში აიღო და როცა ამ პროლეტარულ რევოლიუციას ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ საბოტაჟი მოუწყო. რუსეთში, როგორც ყოველგან, პროლეტარულ რევოლიუციამდე ხალხის მთელი სწავლა-განათლება, მისი აღზრდა და მომზადება იდეურათ სრულიად და სავსებით გაბატონებულ და მყვლეფელ კლასების ხელში იყო; დანარჩენ ქვეყნებში ეს დღესაც ასეა. ეკლესიის და სკოლის (დაბალი, საშუალო და მაღალი) საშუალებით ხდებოდა საუკუნოების და ათასოვან წლების განმავლობაში ხალხის დიდი უმრავლესობის თავისებურად გადარჯულება. იეზუიტების ცნობილი ორდენი მხოლოდ ოფიციალურად მოისპო, ნამდვილად კი ის დღემდის განაგრძობს თავის გავლენას ხალხის უმრავლესობაზე სხვადასხვა ოინბაზობით და მახინაციებით. სხვადასხვა ქვეყნებში ხალხის დაბრიყვებას და გაბიბრუებას სხვადასხვა საშუალებებით აღწევდენ. რუსეთში, მეფობის დროს, მუშა ხალხის დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის ცოდნასაც მოკლებული იყო, და როგორც ასეთი, იგი მძარცველი კლასებისათვის ადვილი საჯიჯგნელი და დასამორჩილებელი მასალა იყო. დასავლეთ ევროპის და ამერიკის განათლებულ სახელმწიფოებში კი გაბატონებული კლასები, კაპიტალისტური ბურჟუაზია და მემამულეები, ამავე მიზანს აღწევენ, პირველად ინტელიგენციის შესყიდვით, მეორედ ყვითელი პრესის საშუალებით და მესამეთ — სარწმუნოების, ეკლესიის და სკოლის მეოხებით. სინდიისის, სიტყვის, კრების და სხვა ბურჟუაზიულ თავისუფლებათა სახით გაბატონებული და მყვლეფელ-მძარცველი კლასები სხვადასხვა გზით და საშუალებით, თუ შესყიდული ინტელიგენციის, თუ ყვითელ ქუჩის პრესის, თუ ეკლესიის საშუალებით აწარმოებენ ენერგიულ პროპაგანდას და აგიტაციას ბურჟუაზიულ

*) გვ. 283.

იდეების სასარგებლოდ. ბურჟუაზიული ფილოსოფია და ბურჟუაზიული ცოდნა გიგანტისებური მასშტაბით და ელვის სისწრაფით სისტემატიურად და შეუწყვეტლივ ვრცელდება ათეულ მილიონ გაზეთების და წიგნაკების საშუალებით.

ამნაირად ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში ჩვენ ეხედავთ დღეს გაბატონებულ კლასების მიერ ორგანიზაციულად მოწყობილ სახელმწიფო პროპაგანდას და აგიტაციას ბურჟუაზიულ იდეოლოგიისას. გარდა ამისა არსებობენ კიდევ მრავალი სხვადასხვა ორგანიზაციები და კორპორაციები მწერლების, ჟურნალისტების, ვექილების, მსწავლულების და სხვადასხვა, რომელთაც გაბატონებული კლასები და იმათი მთავრობები ეხმარებიან და ასაზრდოებენ და რომლებიც წარმოადგენენ სწორედ იმ შესყიდულ ინტელიგენციას, რომლებიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვამბობთ. რომ კასტიური და მონოპოლიური ხასიათი ცოდნისა და უმაღლესი პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლებისა ნამდვილად დღესაც არსებობს ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში; ეს ცოდნა და განათლება უზრუნველყოფილია მხოლოდ გაბატონებულ, ე. ი. შეძლებულ და მბრძანებელ კლასებისათვის. ამით მუშათა კლასი არსებითად თითქმის საესებით ჩამოცილებულია ყოველგვარ აქტიურ და უშუალო მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საქმეში. და გაბატონებულ კლასებსაც სწორედ ეს უნდათ. იმათ არ უნდათ. რომ მუშებმა იცოდენ იმდენი, რომ იმათ ბურჟუაზიაზე დამოუკიდებლათ შესძლონ ხელმძღვანელობის გაწევა, როგორც წარმოების სხვადასხვა დარგებში. ისე სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეშიაც.

II

ასეთი მდგომარეობაა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. თავის-თავად იგულისხმება, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში, ე. ი. იქ, სადაც სახელმწიფო ძალაუფლება პროლეტარიატს უპყრია ხელში, ეს საკითხი სულ სხვანაირად დგას. უპირველეს ყოვლისა საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო აქ ერთი ამონაწერი ამხ. ლენინის წერილიდან: „შესძლებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალა-უფლების შენარჩუნებას“, სადაც იგი გარკვევით და ნათლად აყენებდა ამ საკითხს ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლიუციის წინ. „ჩვენ — ამბობდა იგი იქ — უტოპისტები როდი ვართ: ჩვენ ვიცით. რომ ვერც ერთი შავი მუშა და ვერც ერთი მზარეული ქალი ვერ შესძლებენ ახლავე შეუდგენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობას. ამაში ჩვენ ვეთანხმებით კადეტებსაც, ბრეშკოვსკაიასაც და წერეთელსაც. მაგრამ ჩვენ განვირჩევით ამ მოქალაქეთაგან მით, რომ ვთხოულობთ დაუყონებლივ გამოთხოვებას იმ შემცდარ შეხედულებიდან, ვითომც სახელმწიფოს მართვა, ყოველდღიურად ჩვეულებრივი მუშაობის წარმოება მართვა-გამგეობისათვის შეუძლიანთ მხოლოდ მდიდრებს ან მდიდარ ოჯახებიდან გამოსულ მოხელეთ. ჩვენ ვთხოულობთ. რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმის შესწავლა აწარმოონ შეგნებულმა მუშებმა და ჯარის კაცებმა და ეს შესწავლა უნდა დაწყებულ იქნას დაუყონებ-

ლ ი ვ, ე.ი. ეს შ ე ს წ ა ვ ლ ა დ ა უ ყ ო ნ ე ბ ლ ი ვ უ ნ დ ა დ ა ა ნ წ ყ ე ბ ი ნ ო ნ ყ ო ე ლ ა მ შ რ ო მ ე ლ თ, ყ ო ე ლ ა ღ ა რ ი ბ თ"*). რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს იმას, რომ იმ წუთიდან, როცა პროლეტარიატმა ხელში ჩაიგდო სახელმწიფო ძალა-უფლება, ე. ი. როცა იგი შეიქნა გაბატონებული კლასი, იდეოლოგია ღებულობს სრულიად ახალ მიმართულებას. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ სარწმუნოებას, ფილოსოფიას, მეცნიერებას ეცლება ყოველგვარი საიდუმლოების სამოსელი, ისინი კარგავენ კასტიურ და მონოპოლიურ ხასიათს და იმავე დროს ყოველგვარი სწავლა-ცოდნა ხელმისაწდომი ხდება, ან უნდა გახდეს თითოეული მუშისა და მზარეულისათვის. ე. ი. მთელი იდეოლოგია, რომელიც გამომხატველია არსებულ წარმოებითი ანუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა და რომელიც აქამდის ემსახურებოდა მხოლოდ გაბატონებულ, ე. ი. მყელეფელ, მძარცველ და მჩაგვრელ კლასებს, ამიერიდან ძირიანად უნდა გადაკეთდეს და მოეწყოს ისე, რომ ის ემსახურებოდეს მხოლოდ პროლეტარიატის, ე. ი. მთელი მშრომელი ხალხის ინტერესებს, ვინაიდან პროლეტარიატის კლასობრივი იდეოლოგია სულ უფრო და უფრო ხდება ხალხის დიდი უმრავლესობის იდეოლოგიათ.

თავს-თავად იგულისხმება, რომ როცა პროლეტარიატმა რუსეთში დაიპყრო სახელმწიფო ძალა-უფლება, მას უნდა დაეჩქარებია ამასთანავე თავისი საკუთარი იდეოლოგიის გ ა მ ო მ უ შ ა ვ ე ბ ა, მაგრამ ასეთი იდეოლოგია უკვე არსებობდა და არსებობს. ეს არის მ ა რ ქ ს ი ზ მ ი, ანუ მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი, ე. ი. კ ო მ უ ნ ი ზ მ ი. პროლეტარიატი რუსეთში და ჩვენში მოწოდებულია დღეს კომუნისტური საზოგადოების ასაგებათ. ესაა მეტად რთული და ძნელი ამოცანა. თვით პროლეტარიატი როდია ჯერ კიდევ იმდენათ განვითარებული გონებრივათ, რომ მან ადვილად შესძლოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის დაძლევა, რომელიც, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ მეტად ძლიერ ფაქტორს წარმოადგენს. რაც შეეხება გლეხ-კაცობას, იგი სავსებით ჩამორჩენილია ყოველმხრივ და იმავე დროს გაჟღენთილი წერილ ბურჟუაზიული იდეოლოგიით. საერთოდ ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ კომუნისტური საზოგადოების შენება პროლეტარიატს უხდება ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს ტ ი ქ ი ის გ ა რ ე მ ო ც ე ი ს ხ ა ნ ა შ ი. ბრძოლა აქ აუცილებელია. აი რათ გვიხდება ჩვენ იდეოლოგიური ფრონტის შექმნა.

ჩვენი ერთგული იარაღი და საფარი ამ ბრძოლაში არის, რა თქმა უნდა, მარქს-ენგელსის მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა, ანუ ის ტ ო რ ი ი ს მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი გ ა გ ე ბ ა. აქედან შეიძლება ზოგიერთებმა ის დასკვნა გამოიყვანონ, რომ კომუნიზმის იდეები ვერ დასძლევენ არსებულ ბურჟუაზიულ იდეებს, რომლებიც ეყრდნობიან ნივთიერი (მატერიალური) წარმოების პირობებზე; ამ ნივთიერ წარმოებას კი დღეს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წარმოების ფორმა აქვსო. მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ თვით ისტო-

*) იხ. ლენინის: „Удержат ли власть большевики". მოსკოვი, 1922 წ. გვ. 117. ამ სიტყვებიდან ზოგიერთებმა ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ ლენინს თითქო მართლა ეთქვა, რომ მოდით და ახლავე ჩავაბაროთ მზარეულ-ქალებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაო. ამას კი ლენინი შეუძლებლად სთვლის

რიული მატერიალიზმის თეორიით ნივთიერი წარმოების წესები და ფორმები მუდამ ი

ვხედავთ ამბ. ლენინის ერთი უკანასკნელი წერილიდან, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „პრავდას“ ამა წლის *) № 2-ში. ლენინი ლაპარაკობს იქ, სხვათა შორის, იმაზე. რომ „ქალაქის მუშების საშუალებით ჩვენ უნდა შევიტანოთ კომუნისტური იდეები სოფლის პროლეტარიატში“ და იქვე დასძენს: „მე ვთქვი კომუნისტური“ და ვიჩქარი განვმარტო, რათა გაუგებრობა რაიმე არ გამოვიწვიო ან რათა ჩემი სიტყვები ყალბათ არავინ გაიგოს. არა შემთხვევაში არ უნდა გაიგონ ეს ისე, ვითომ ჩვენ ერთბაშათ უნდა გადავიტანოთ სოფლად კომუნისტური იდეები წმინდათ და ვიწროთ. მანამ, სანამ სოფელში ჩვენ არა გვაქვს ნ ი ვ თ ი ე რ ი ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს თ ვ ი ს, მ ა ნ ა მ ე ს ი ქ ნ ე ბ ა მ ა ვ ნ ე ბ ე ლ ი, ე ს ი ქ ნ ე ბ ა დ ა მ ღ უ პ ვ ე ლ ი კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს ა თ ვ ი ს. არა, ჯერ უნდა დავიწყოთ იქიდან, რომ მოვაწყოთ ურთიერთობა სოფლისა და ქალაქს შორის, და სრულებით არ უნდა დავისახოთ წინდაწინ მიზნათ ის, რომ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს სოფელს მივაღებინოთ კომუნიზმი. ასეთი მიზნის მიღწევა ახლა შეუძლებელია. ეს დროს არ შეეფერება. ა ს ე თ ი მ ი ზ ნ ი ს დ ა ყ ე ნ ებ ა დ ღ ე ს ს ა რ გ ებ ლ ო ბ ი ს მ ა გ ი ერ ს ა ქ მ ე ს ზ ი ა ნ ს მ ი უ ტ ა ნ ს“-ო. (ხაზი ყოველგან ჩვენია).

ასე ამბობს ოქტომბრის რევოლიუციის უდიდესი ბელადი და ჩვენი მასწავლებელი. ესაა ლოზუნგი დასკვნა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ. ესაა ამონაწური დიდი პრაქტიკიდან და დიდი გამოცდილებიდან სოციალისტური რევოლიუციის უდიდესი მოღვაწისა. აზრი და მნიშვნელობა ამბ. ლენინის ზევით მოყვანილ სიტყვებისა საფუძვლიანად და ზედმიწევნით უნდა იქნას თითეული ჩვენგანის მიერ შეთვისებული. მართალია, იქ ლაპარაკია მხოლოდ სოფელზე და გლეხკაცობაზე. მაგრამ განა ამავე სიფრთხილეს და გამჭრიახობას არ თხოულობს კომუნიზმის იდეების პროპაგანდა სიტყვით და საქმით თვით მუშებშიაც? რა თქმა უნდა, თხოულობს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ მიდგომა უფრო ადვილი და სხვანაირია.

ამნაირათ სოციალიზმის და კომუნიზმის პროპაგანდა სახელმწიფოებრივი მასშტაბით საბჭოთა რესპუბლიკებში უნდა ხდებოდეს და ხდება კიდეეაც. ამ მიზნისთვის უნდა იქნას გამოყენებული ყველა საშუალება და ყველა მეთოდი: პრესა და ლიტერატურა, სკოლა და კათედრა, კრებები და მიტინგები და სხვ. აქ შესაძლებელია გამოგონებულ იქნას კიდევ სხვა საშუალებანი ან მეთოდები, მაგ., როგორიც გვიჩვენა ამას წინეთ ლენინმა, ე. ი. ქალაქის მუშების ურთიერთობა სოფლის მუშებთან და ამ უკანასკნელებზე პირველების გავლენის განმტკიცება. მაგრამ აქ არის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებო გარემოება, რომელიც ჩვენ მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს და რომელზედაც მუდამ გვითითებს ჩვენი მასწავლებელი ლენინი. მე ვამბობ იმაზე, რ ო მ ა ხ ლ ა ჩ ვ ე ნ შ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ი ს დ ა კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ს ს ა ხ ე ლ ს ბ ე ვ რ ი ყ ა ლ ბ ა თ ი რ ქ მ ე ვ ს. იმდენად, რამდენადაც სოციალიზმის და კომუნიზმის დროშის ქვეშ თავს იყრიან შეგნებულათ და გულწრფელათ, ჩვენ, რა თქმა უნდა. ამ მოვლენას აღტაცებით და სიხარულით ვეგებებით. მაგრამ როცა ამ მრავალ-

*) 1923 წ.

ტანჯულთა და ნაწამებ-დახოცილ გმირთა სისხლით შეღებილ დროშას სხვადასხვა განზრახვით და ქვენა გრძნობებით უერთდებიან, — და ეს ხდება უმთავრესად პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთში, — ამ გარემოებამ შეუძლებელია ჩვენ არ დაგვაფიქროს, ვინაიდან ასეთ ხალხს სოციალიზმის და კომუნიზმის იდეების გავრცელება სიტყვით და საქმით არ მიენდობა. და არ მიენდობა მით უფრო. რომ კომუნისტურ პარტიაში არა გულწრფელად შემოსული ადამიანები ხშირად ზედმეტ რადიკალობას, უკიდურეს მემარცხენეობას იჩენენ და კომუნიზმის განხორციელებას ხელოვნურათ აჩქარებენ. რასაც სარგებლობის მაგიერ ზიანი მოაქვს. აი სად გვმართებს ჩვენ უდიდესი სიფრთხილე. წერილში, „გ ე რ მ ა ნ ე ლ კ ო მ უ ნ ი ს ტ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ" ლენინი. სხვათა შორის ამბობს: „მე არ შემიძლია ერთნაირი უნდობლობა არ ვიქონიო იმათ მიმართ, ვინც მოვიდა „ბოლშევიზმთან" მისი გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ რუსეთში" *). ჩვენ კიდევ ვიმეორებთ იმას, რომ ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ყველა იმათ, ვინც ჩვენთან მოდის გულწრფელათ, ერთგული სამსახურისთვის სოციალიზმის და კომუნიზმის დასამყარებლათ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ყველანი ასეთი განზრახვით როდი მოდიან, და სწორედ ესაა სამწუხარო. ჩვენ მოვიყვანთ აქ კიდევ ფრ. ენგელსის მოწმობას, რომელიც ეყრდნობა ამ შემთხვევაში რევოლიუციურ მოძრაობის ისტორიაზე გერმანიაში გასულ საუკუნის მეორმოცე წლებში. აგვიწერს რა ბურჟუაზიის საქციელს 1848 წლის რევოლიუციის წინა ხანებში, ენგელსი ასე სწერს: „1847 წლის დამლევს, როგორც ვიცით, ბურჟუაზიული წრეებში ძლივს იპოვნიდით ერთ გამოჩენილ პოლიტიკოსაც კი, რ ო მ ე ლ ს ა ც პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ს ი მ პ ა ტ ი ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ თ ა ვ ი ს ი თ ა ვ ი „ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ა თ" (ურჩხილები თვით ენგელსს ეკუთვნის) არ დაესახაო" **); ჩვენ კიდევ დავინახავთ ამ „სოციალისტებს" მუშაობაშიო დაცინვით დასძენს იქვე ენგელსი. და მართლაც, ყველა ამ ახალ ჯურის „სოციალისტებმა" მაშინათვე ზურგი უჩვენეს პროლეტარიატს, როგორც კი 1848 წლის რევოლიუცია დამარცხდა და შავმა კონტრრევოლიუციამ გაიმარჯვა. მაგრამ თუ ასე ხდებოდა მონარქისტულ გერმანიაში, იმ დროს, როცა პროლეტარიატი დაჩაგრულ და დამონებულ კლასს წარმოადგენდა, განა გასაკვირალი უნდა იყოს. რომ იმ ქვეყანაში. სადაც პროლეტარიატს უკვირავს ხელში სახელმწიფო ძალა-უფლება, „სოციალისტათ" გახდომა უფრო დიდ „მოდაში" უნდა იყოს და თვით პროლეტარიატსაც კიდევ უფრო უნდა ელოლიავებოდენ? და დანამდვილებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ის „მოდის" „სოციალისტები" ჩვენში მენშევიკების დროსაც კი „თოფის სასროლზედაც" არ გვეკარებოდენ. და ღღეს კი, სამაგიეროთ, თავისი წინანდელი საქციელი რომ დავიწყებას მისცენ. უკიდურესად „მემარცხენეობენ" და გადამეტებულ რადიკალობას იჩენენ. ეკვს გარეშეა, რომ ასეთ სოციალისტებს ზიანის მოტანა უფრო შეუძლიათ, ვინემ სარგებლობის.

---

*) იხ. Коммун. Интернационал, № 19, „Письмо к германским коммунистам".

**) Фр. Энгельс, „Революция и контр-революция в Германии". Москва. 1921 г. გვ. 18.

III

მარქსიზმის მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის სავსებით ეყრდნობა და ანგარიშს უწევს მხოლოდ სინამდვილეს, სულერთია როგორიც არ იყვეს ეს სინამდვილე, შეიძლება სასიამოვნო, შეიძლება უსიამოვნო. ჩვენ სრულებით არ ვმალავთ იმ ფაქტს, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგია ჯერ კიდევ საკმარისად მტკიცე და ძლიერია არა თუ მარტო ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, არამედ თვით საბჭოთა რესპუბლიკაშიაც. ამას ღრმა მიზეზები აქვს. „ბურჟუაზიული იდეოლოგია — ამბობდა ლ ე ნ ი ნ ი ჯერ კიდევ ამ 20 — 22 წლის წინეთ *) — ბევრათ უფრო ძველია, ის დიდი ხანია რაც მომწიფდა, გავრცელდა და განმტკიცდა ცხოვრებაში უფრო მაგრათ, ვინემ სოციალისტური იდეოლოგია (ლენინს აქ მაშინ მხედველობაში ყავდა უმთავრესად მუშათა კლასი). თითოეული ნაბიჯზე ადამიანი ეჩეხება ბურჟუაზიულ აზროვნებას და ცრუ შეხედულებებს. მაშინ, როცა სოციალისტური იდეოლოგია ესაა მხოლოდ ახლა ვრცელდება და იკვალავს გზას. აშკარაა, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გასავრცელებლად უფრო ხელსაყრელი ნიადაგია, მისი გავრცელება უფრო გაადვილებულია, და მას უფრო ფართოდ და ძლიერად შეუძლია მუშათა სტიქიური მოძრაობის ხელში ჩაგდება, ვინემ ახალგაზრდა სოციალისტურ იდეოლოგიას“-ო. ამ სიტყვებში გამოთქმული მსჯელობა საერთოდ მართალია ჩვენს დღევანდელ პირობებშიაც. მეხედველობაში მაქვს აქ ჩვენი პარტიის დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ი ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა. სოციალისტური და კომუნისტური იდეოლოგია ეჩეხება დღეს ჩვენშიაც თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე კიდევ საკმარისად გავრცელებულ და მაგარს ბურჟუაზიულ იდეოლოგიას; მაგრამ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სოციალისტური და კომუნისტური პროპაგანდა ფართო სახელმწიფოებრივი მასშტაბით ჩვენში დღეს უზრუნველყოფილია. ასეთი მდგომარეობა შესაძლებელია იყოს მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკაში. ეს ერთი. მეორეც ის, რომ ჩვენ უკვე მოვიპოვეთ საკმარისათ მყუდრო პირობები მით, რომ როგორც იყო, თავი დავაღწიეთ დროებით მაინც, სამოქალაქო ომს. ეს გარემოებაც თავის მხრივ ქმნის მეტათ ხელსაყრელ პირობებს ყოველგვარი და კერძო კულტურული მუშაობისათვის. არც ერთი დროს, არც ერთ ხანაში, არც რევოლიუციამდე და არც სამოქალაქო ომის დროს არ გვქონდა საშუალება ფართოდ და ღრმათ განგვეითარებია მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე. ეს საშუალება ჩვენ პირველად მოგვეცა საბჭოთა ხელისუფლებამ. და ამიტომ, რა თქმა უნდა, ამ ფრონტისაკენ უნდა იქნას მიმართული რაც შეიძლება მეტი ყურადღება და მეტი ძალები. თავის-თავად იგულისხმება, რომ ჩვენ ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ჩვენ გვაქვს კიდევ სხვა ფრონტებიც, და უწინარეს ყოვლისა ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი, სადაც ჩვენ უნდა გავამაგროთ, გავაფართოვოდ და განვამტკიცოთ მ ს ხ ვ ი ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა, სოციალიზმის მთავარი დასაყრდნობი ბურჯი. ყველა ეს ფრონტები, რა თქმა უნდა, ერთი მეორისაგან განუყოფელია. ყველა ისინი ერთნაირათ საჭირონია. შეუძლებელია ერთის გამაგრება და მეორეს

*) იხ. მისი „Что делать“, გვ. 28.

შესუსტება. ბურჟუაზია ცდილობს ჩვენს დამარცხებას, როგორც ერთზე, ისე მეორე ფრონტზე. მაგრამ იმ მხრით, რომ ბურჟუაზიას წარმოებაში ჩვენ ზოგი რამ დაუთმეთ, ჩვენ მტრებს იმედი მიეცათ ჩვენი დამარცხებისა იდეოლოგიურ ფრონტზე. კითხვა დგას უპარტიო მასაზე გავლენის მოხდენის შესახებ, ამ მასის დაპყრობაზე, სოციალისტური და კომუნისტური იდეოლოგიისათვის. მასთან ჩვენ არ უარვყოფთ, რომ აქ რაიმე საშიშროება არ იყოს, რომ მუშათა კლასის მტრებმა დროებით კიდევ ვერ შესძლონ თავის მხარეზე გადაბირება ამ უპარტიო მასის, განსაკუთრებით მშრომელი გლეხკაცობის. ჩვენ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეები და ჩვენი მტრები, ბურჟუაზიული კლასი და ბურჟუაზიული ინტელიგენცია, პროლეტარიატთან შედარებით ბევრათ უფრო გამოცდილები და ბევრად უფრო შეიარაღებულნი არიან სწავლა-ცოდნით, მოხერხებით და ტეხნიკით. მაგრამ ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს იმათ გავლენას დავუპირდაპიროთ ჩვენი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება ისე, რომ ყოველივე ის, რაც ბურჟუაზიულ კულტურაში, ბურჟუაზიულ მეცნიერებაში არის დადებითი და სასარგებლო, ჩვენ უნდა სავსებით გამოვიყენოთ მუშათა კლასის სასარგებლოთ და ყოველივე საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში გამოვიყენოთ არა მარტო ბურჟუაზიის მიერ შექმნილი სწავლა-ცოდნა და მეცნიერება, არამედ თვით ამ ცოდნის და მეცნიერების მატარებელნიც, ე. ი. თვით ბურჟუაზიული ინტელიგენცია, ე. ი. ექიმები, ინჟენერები, აგრონომები. ბუხჰალტერები, სტატისტიკოსები და სხვ. ეს გამოყენება ნიშნავს იმას, რომ დღემდის შეძენილი და მოპოებული სწავლა ცოდნის და მეცნიერების გამოყენებით, ერთი მხრით, და თვით ბურჟუაზიული ინტელიგენციის დახმარებით, მეორე მხრით, მოვამზადოთ ნიადაგი კომუნიზმის განსახორციელებლად ცხოვრებაში.

საქმე აი რაშია. როგორც ვიცით, უშუალოდ კომუნისტურ იდეების პროპაგანდას ემსახურებიან ჩვენი პარტიის საპროპაგანდო-საგიტაციო განყოფილებები: ჩვენი კომუნისტური პრესა, გამომცემლობა, პარტიული სკოლები და სხვადასხვა, მაგრამ ესაა მხოლოდ საქმის ერთი, თუმც მთავარი, მხარე. რათა ჩვენ დავუახლოვდეთ ხალხის მასას და დავიმახსოროთ მისი ნამდვილი გულწრფელი ნდობა, ამისთვის აუცილებლათ საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკული შემოქმედების მუშაობა. ვერავითარი სიტყვიერი პროპაგანდა ვერ იმოქმედებს ხალხზე ისე, როგორც რაიმე უბრალო ფაქტი საბჭოთა ხელისუფლების მუშაობისა ხალხის სასარგებლოთ. ჩვენ შეგვიძლია დავანახოთ ხალხს, თუ რის გაკეთება შეუძლია საბჭოთა ხელისუფლებას მშრომელთათვის.

თავის უპირატესობა ყველა სხვა ხელისუფლების წინაშე ჩვენ უნდა დავამტკიცოთ არა ხიშტის და ცეცხლის საშუალებით, არამედ საქმით, პრაქტიკით. სწორეთ ამაზე ლაპარაკობს და ამაზე სწერს მუდამ განუწყვეტლივ ამხ. ლენინი. ეს თავისი გულის ზრახვა მან ამას წინაზე გამოსთქვა მოკლეთ, სხვათაშორის, შემდეგ სიტყვებით, რომლებიც მან მისწერა გაზ. „პრავდას“ რედაქციას ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის შესრულების თავზე. აი რას სწერდა იგი: „ძვირფასო ამხანაგებო! მხურვალეთ მოგილოცავთ ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის იუბილეს. ჩემი სურვილია: რათა შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ შეგვეძინოს, და მასთან მშვიდო-

ბიანი გზით, არა ნაკლები იმისა, რაც ჩვენ დღემდის დავიპყარით შეიარაღებული ხელით". ამბ. ლენინი ლაპარაკობს მშვიდობიან პროპაგანდაზე სიტყვით და საქმით.

ერთი მხრით, საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები (კანონები), მეორე მხრით, საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი და შემოქმედებითი მუშაობა, — ესაა პროპაგანდა საქმით, ამით ჩვენ ვუახლოვდებით ხალხის მასას და ვიმსახურებთ მის ნამდვილ ნდობას. აგრარული რეფორმა, ე. ი. მიწის გადაცემა მშრომელებზე სარგებლობისათვის, აგრონომიული დახმარება, სათესლე მასალის მოწოდება, არხები, ხიდები, სკოლების, სახალხო სახლების, თეატრების, კლუბების აგება-მოწყობა, ქალაქში მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება სხვადასხვა მხრით, მაგ.. ბინები, კლუბები, სწავლა-განათლება და სხვ. ყოველივე ეს აფხვიერებს და ანყოიერებს ნიადაგს კომუნიზმის იდეების გასავრცელებლათ და ცხოვრებაში შედარებით უფრო ადვილად გასატარებლათ. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ მუშების და გლეხების მასებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ რამდენიმე წლის განმავლობაში ასჯერ უფრო მეტი გააკეთა იმათ სასარგებლოთ, ვინემ ყველა წინანდელმა ხელისუფლებამ ათეული წლების და საუკუნოების განმავლობაში. და ამის დამტკიცება კი ჩვენ შეგვიძლია ცოცხალი მაგალითით. ცოცხალ გამოცდილებით და პრაქტიკით. ეს იქნება ხალხის დიდი უმრავლესობის. და მასთან მისი უღატაკესი ნაწილის მშვდობიანი გზით დაპყრობა, რაც ათას და ათიათასჯერ უმჯობესია შეიარაღებული ხელით დაპყრობაზე.

აქ უნდა შევჩერდეთ კიდევ ეგრედწოდებულ კამპანიების ჩატარებაზე. ყოველივე კამპანიას ესაჭიროება სერიოზული მომზადება, — მომზადება არა მხოლოდ ფორმალური. ან თეზისების გაზეპირება. თუ გვინდა, რომ ამა თუ იმ კამპანიამ ღრმა შთაბეჭდილება დატოვოს და შესაფერი გავლენა მოახდინოს მასაზე, აუცილებლად საჭიროა. რომ ის ადგილობრივ ინტერესებს ეხებოდეს. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მსოფლიო ამბების, როგორც, მაგ., რურის ოლქის საფრანგეთის იმპერიალისტების ჯარებით დაპერა, ფაშისტების რევოლიუცია იტალიაში, საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზიის ურთიერთ-შორის დავა და სხ. — ვიმეორებ: მსოფლიო ამბების მჭიდრო დაკავშირება ადგილობრივ მოვლენებთან, ადგილობრივ ინტერესებთან, მოსახერხებელიცაა და შესაძლებელიც. მაგრამ ისე კი, რომ ძალდატანება არ გამოდიოდეს ან ხელოვნურად მოჩმახული. ჩვენ უნდა ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ ამ საქმეებშიაც ერთხელ და სამუდამოთ მიღებული შაბლონი ერთხელ და სამუდამოთ ჩამოყალიბებული ფორმა, ვინაიდან ეს არავითარ სარგებლობას არ მოიტანს. ასეთი მეთოდით ჩვენ ვერ დავაინტერესებთ მასას, და ეს კი ჩვენთვის უმთავრესია. ყველა ამ კამპანიების დროს ჩვენ უნდა ვეცადოთ აღვუძრათ მასას ინტერესი; ამისთვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი ცოცხალი ფაქტები. რა თქმა უნდა, ამისთვის საჭიროა მეტი მომზადება და იმავე დროს ადგილობრივი ინიციატივა და ადგილობრივ უფრო მომზადებული ამხანაგები; მაგრამ სამაგიეროთ ეს ბევრათ უფრო დიდ ნაყოფს გამოიღებს, ვინემ შაბლონიურათ ჩატარებული კამპანია.

ერთ გარემოებას უნდა მიექცეს კიდევ ყურადღება. მე ვამბობ ანტისარწმუნოებრივ ქადაგებაზე. ეს სავსებით უნდა იკისროს მუ-

შურ-გლეხურმა სახელმწიფომ. ჩვენთვის. როგორც კომუნისტებისათვის უკეველია ის ფაქტი. როგორც სრულიად სამართლიანად შენიშნავს ამხ. ბუხარინი. რომ „პროლეტარიატისთვის აუცილებელია სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა“ *). განსაკუთრებით და პირველ რიგში საჭიროა გლეხკაცობის განთავისუფლება სარწმუნოებრივ ცრუ-მორწმუნეობათაგან. სარწმუნოებას მოაქვს დიდი ვნება მშრომელთა მასებისათვის. ამიტომ აუცილებლად საჭიროა სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ, თავისთავად იგულისხმება. აქ მეტათ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გაუწიოთ მორწმუნე გლეხკაცობის მასებს. გაუფრთხილებელ ნაბიჯს შესაძლებელია სრულიად წინააღმდეგი შედეგი მოჰყვეს. საჭიროა, როგორც ანდაზა ამბობს, ასკერ გაზომვა და ერთხელ გადაკრა. თუ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ჩვენ მოვითხოვთ სინიდისის თავისუფლებას. და სარწმუნოების კერძო საქმეთ გამოცხადებას, პროლეტარულ სახელმწიფოში. რა თქმა უნდა. ეს არა თუ არ ყმარა. არამედ პირდაპირ მიუღებელია. სარწმუნოება კერძო საქმე როდია: ის იპყრობს და ბოკავს. ხელ-ფეხს უკრავს ადამიანს სავსებით, თავიდან ფეხებამდე; ის ბოკავს ადამიანს წარსული ტრადიციებით, ზნე-ჩვეულებებით და ცრუმორწმუნეობებით, როცა ადამიანი იყო მონა-მორჩილი როგორც ბუნების ბრმა ძალებისა, ისე გაბატონებული ბრძანებელ კლასების. და განა შეგვიძლიან ჩვენ მშრომელი მასა სარწმუნოების ბურანში დავტოვოთ? არაეითარ შემთხვევაში. ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ ბრძოლა სარწმუნოების წინააღმდეგ. მაგრამ როგორ, რა გზით?

რა არის სარწმუნოება?

„ყველა სარწმუნოებები. ამბობს ენგელსი — წარმოადგენენ ადამიანთა ცნობიერებაში იმ გარეშე ძალთა ფანტასტიურ გაშუქებას, რომლებიც ბატონობენ იმათ (ადამიანების) ყოველდღიურ ყოფა-არსებობაზე. — გაშუქებას, რომელშიაც მიწის ძალები ღებულობენ „ზესთამიწიერ ფორმებს“ **). უფრო გასაგებათ რომ ვთქვათ. სარწმუნოება—ესა დამონავებულ-დაბეჩავებულ და გონებადახშულ ადამიანთა მსოფლმხედველობა, რასაც გაბატონებული კლასები იყენებენ ხალხის უმრავლესობის გასაყვლეფად და დასამორჩილებლად. ამიტომ ბრძოლა სარწმუნოების წინააღმდეგ უნდა გამოიხატოს უმთავრესად ამ ცრუ მსოფლმხედველობის დარღვევაში, ე. ი. ხალხის განთავისუფლებაში ამ ცრუ და შეცდარი მსოფლმხედველობიდან. აქ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ, ერთი მხრით, ბუნების მეტყველება, ასტრონომია, გეოლოგია. ფიზიკა. თავის-თავად იგულისხმება, რომ ასეთი მიდგომა ამ საკითხის გადაჭრის საქმეში თხოულობს შედარებით უფრო მეტ დროს, ვინემ პირდაპირ იერიშების მიტანა სარწმუნოებაზე. მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი გეგმა და მეთოდი სარწმუნოებასთან ბრძოლის შესახებ უზრუნველყოფს ამ საკითხის გადაჭრას არა თუ უფრო უმტკიცნელოთ და გაურთულებლათ. არამედ უფრო საფუძვლიანადაც.

*) იხ. მისი „Теория истор. материализма“. Тиф. გვ. 228.
**) იხ. „Анти-Дюринг“.

IV.

სოციალისტურ და კომუნისტურ იდეოლოგიაზე ლაპარაკი შეუძლებელია უიმისოდ, თუ ჩვენ არ გვეკნება ცოტად თუ ბევრად დაახლოებული წარმოდგენა სახალხო განათლების მდგომარეობაზე საბჭოთა რესპუბლიკებში. თავის-თავად იგულისხმება, რომ სახალხო სწავლა-განათლება შეადგენს იმ საფუძველს, რომელზედაც უკანასკნელად ეყრდნობა ან უნდა დაეყრდნოს სოციალისტური იდეოლოგიის გამაგრების და განმტკიცების საქმე. ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ სოციალისტური იდეოლოგიის გამარჯვების დაჩქარება ბურჟუაზიულ იდეოლოგიაზე დიდათ დამოკიდებულია სწავლა-განათლების და საერთოდ კულტურული განვითარების ამა თუ იმ დონეზე.

ამ უკანასკნელ დროს სახალხო სწავლა-განათლების საქმემ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია თავისკენ. სხვებს რომ თავი დავანებოთ, ამ საკითხით ყველაზე მეტად დაინტერესებულია თვით ამხ. ლ ე ნ ი ნ ი. მისმა წერილმა ამ საგნის შესახებ („ფურცლები დღიურიდან", იხ. „პრაუდა", № 2), როგორც მოსალოდნელი იყო, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და საყოველთაო გამოძახილი ჰპოვა ყოველგან. გარდა ამისა ეს საკითხი გაშუქებულია ამხ. ლ უ ნ ა ჩ ა რ ს კ ი ს და სხვების მიერ და ჩვენს წინ იშლება მეტად სამწუხარო სურათი სახალხო სწავლა-განათლებისა *). ამხ. ი ნ გ უ ლ ო ვ ს მოყავს, სხვათა შორის, შემდეგი ცნობები რუსეთში სწავლა-განათლების შესახებ: თითოეულ ათას მცხოვრებზე წერა-კითხვის არმცოდნე ითვლება.

გერმანიაში	20	კაცი.
ინგლისში	80	
საფრანგეთში	150	„
რუსეთში	690	„

მაშასადამე, რომანოვების რუსეთში წერა-კითხვის ცოდნა მცხოვრებთა ერთ მესამედზე ნაკლების ხვედრი ძლივას იყო. ვინ იყვნენ ესენი? რა თქმა უნდა, კაპიტალისტები, მემამულეები, თავად-აზნაურობა, მოხელეები, ინტელიგენცია და შემდეგ მუშათა მცირედი ნაწილი **). ასე იყო მეფის თვითმპყრობელობის დროს. რა მოხდა რევოლიუციის და განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ?

რევოლიუციის ხანაში გლეხმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ წერა-კითხვის მხრივ. უწინარეს ყოვლისა აქ უნდა მოვიხსენიოთ წ ი თ ე ლ ი ჯ ა რ ი, რომელიც 1922 წლის 1 მაისისთვის სულ მთლად წერა-კითხვის მცოდნე შეიქნა და წითელ ჯარში ხომ თითქმის სოფლის მთელმა ახალგაზრდობამ გამოიარა. გარდა ამისა, რევოლიუციის დროს დანარჩენ მცხოვრებლებშიაც იმატა წერა-კითხვის ცოდნამ. ვინაიდან რევოლიუციამ დიდი ინტერესი გამოიწვია გლეხ-კაცობაში, საჭირო შეიქნა შ ე ტ ყ ო ბ ა დ ა გ ა გ ე ბ ა იმის, რაც ირგვლივ ხდებოდა. შეუძლებელია, რომ რევოლიუციის დროს გლეხ-კაცობის შეგნება მაღლა არ აწეულიყოს. სოფ-

*) აქ მე მაქვს მხედველობაში განსაკუთრებით რუსეთი, თუმცა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებშიაც თუ უარესი არა, უკეთესი მაინც არაა.

**) С. Ингулов. В чем выход. Москва, 1923 г., გვ. 5.

ლად გაჩნდა მრავალი კულტურული დაწესებულებები: კლუბები, სამკითხველოები (ქოხ-სამკითხველოები — избы-читальни), საბავშო სახლები, თავშესაფარები და სხვა ასეთი დაწესებულებები, რომლებზედაც წინათ გლეხებს სრულებით არაკითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ.

გარდა ამისა, რევოლიუციის დროს, პირველ ხანებში, შესამჩნევად იმატა პირველ-დაწყებით სკოლების რიცხვმა. ასე მაგ., 1911 წ. რუსეთში ირიცხებოდა 63.000 სკოლა და 4 მილ. მოსწავლე, 1921 წელს კი ითვლებოდა 82.397 სკოლა 6.860.000 მოწაფით, ასე რომ, სკოლაში იმყოფებოდა სასკოლო ასაკის ყველა ბავშების რიცხვის 75%. გარდა ამისა საბავშო ბაღებში ირიცხებოდა იმავე წელს კიდევ 200.000 მეტი ბავშვი *), რა თქმა უნდა, აქ არ შედის ეგრეთწოდებული „ლიკპუნქტები", ე. ი. წერა-კითხვის სკოლები მოზრდილთათვის. იმავე წელს ასეთები იყო მთელ რუსეთში 88.000; იმავე დროს ქოხ-სამკითხველოების რიცხვი უდრიდა 41.465; საგიტაციო პუნქტები 1.500, კლუბები 9.941, სახალხო სახლები — 5.000.

მაგრამ, სამწუხაროდ, სულ ჩქარა მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ გაუარესდა. დაახლოვებით, გასულ 1922 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში ირიცხებოდა:

პირველ-დაწყებითი სკოლები	55.000
იმათში ბავშების რიცხვი	4.750.000
საბავშო ბაღებში იყო . .	40-45.000
„ლიკპუნქტები", ე. ი. წერა-კითხვ. სკოლები	15.840
ქოხ-სამკითხველოები	12.439
აგიტპუნქტები	75
კლუბები	3.000 **).

ასე ჩამოქვეითდა სწავლა-განათლების საქმე რუსეთში სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში. რა მოუვიდა სწავლა-განათლების საქმეს ამ ხანებშივე. კერძოდ საქართველოში, ჩვენ ამაზე დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს, გარდა იმისა, რაც ამას წინად გამოქვეყნებული იყო გაზეთებში:

ეს ცნობები ეხება იმ სკოლებს, რომლებიც იმყოფებიან მთავარ პროფ. აღზრდის გამგეობაში. ჩვენ აქ გვაინტერესებს მხოლოდ მუშათა ფაკულტეტები. ასეთი ფაკულტეტები არსებობენ ერთი თფილისის უნივერსიტეტთან, სადაც სწავლობს 307 კაცი და მეორე პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან, სადაც სწავლობს 370 კაცი; სულ ორიეზე, მაშასადამე, 677 კაცი; და გარდა ამისა 7 სალამოს ტეხნიკუმი და პროფესიონალური სკოლა 1.166 მოსწავლით (იხ. გაზ. „Заря Востока", № 29). მოსწავლეთა შემადგენლობაზე სოციალური მდგომარეობის მიხედვით ცნობები არა გვაქვს.

მაგრამ რამდენადაც საგრძნობი არ უნდა იყოს ეს ჩამოქვეითება და უკან დახევა, ერთი რამ უეჭველია: საბჭოთა რუსეთმა სულ მცირე ხნის განმავლობაში, როგორც წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის, ისე საერთოდ ქალაქის მუ-

*) იხ. ამბ. ლუნაჩარსკის მოხსენება სრულიად რუსეთის საბჭოთა მეათე ყრილობაზე.

**) ყველა ეს ცნობები აღებულია ამბ. ინგულოვის ზევით დასახელებულ წიგნიკიდან.

შების და სოფლის გლეხ-კაცობის შეგნების საქმეში ვ ე ე ბ ე რ თ ე ლ ა, გ ი-გ ა ნ ტ ი ს ე ბ უ რ ი ნ ა ბ ი ჯ ი გ ა დ ა დ გ ა წ ი ნ. მართალია, მოხდა საგ-რძნობი უკან დახევა, ასე. რომ ყველა ამ კულტურულ და განმანათლებელ და-წესებულებათა საერთო რიცხვმა შესამჩნევად იკლო. ეს აიხსნება მით, რომ 1921 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკაში მოხდა ძირითადი ცვლილება — ს ა მ ე ო რ ნ ე ო ა ნ გ ა რ ი შ ზ ე გადასვლა, და ამიტომ თითქმის ყველა ეს დაწესებულებები უმეტეს ნაწილად, და იმათ რიცხვში თვით სკოლებიც უსახსროთ დარჩენ, ვინაიდან მათი შენახვა არც გაღატაკებულ მუშათა და გლეხთა მთავრობას შეეძლო და არც ადგილობრივ ორგანოებიც იყვნენ საკ-მარისად მომზადებულნი, რომ მათთვის რაიმე ნივთიერი დახმარება აღმოეჩი-ნათ: რა თქმა უნდა, ამ გარემოებას უნდა გამოეწვია კულტურულ-განმანათლე-ბელ დაწესებულებათა ძალზე შემცირება, შემოკლება.

მაგრამ ჩვენ ახლა ვიცით, რომ ეს უკან დახევა სწავლა-განათლების სფე-როში არა თუ შეჩერებულია, არამედ მიღებულია ყოველივე ღონისძიება სას-კოლო საქმის და საერთოდ სახალხო სწავლა-განათლების ასაღორძინებლათ და განსაკუთარებლად.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის არ კმარა მარტო სკოლების და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა რიცხვის გადიდება. ჩვენთვის უაღრესად საინ-ტერესოა ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი, ი ს ი დ ე ე ბ ი, საერთოდ ი ს ი დ ე ო ლ ო გ ი ა. რო-შელიც ჩვენ იქ შეგვაქვს ან უნდა შევიტანოთ. ესაა თავი და თავი საზრუნავი სა-განი. ყველა სკოლები, მაღალი, საშუალო და დაბალი ხარისხის, ყველა კულ-ტურულ-განმანათლებელი დაწესებულებები ჩვენ უნდა გავხადოთ სოციალის-ტური და კომუნისტური იდეების გამტარებლებათ. მაგრამ როგორ და ვის სა-შუალებით? ამისთვის საჭიროა ერთი მხრით, სათანადო მომზადებული მ ა ს-წ ა ვ ლ ე ბ ე ლ თ ა მ თ ე ლ ი ჯ ა რ ი, მ თ ე ლ ი ა რ მ ი ა, და მეორე მხრით, სა-თანადოდ შედგენილი და გამოცემული დიდძალი ს ა მ ო ს წ ა ვ ლ ო დ ა ს ა-მ ე ც ნ ი ე რ ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა. თავის-თავად იგულისხმება, რომ ერთი და-კერით, ერთი ან ორი წლის განმავლობაში, როგორც ერთის, ისე მეორეს შექმნა ყოვლად შეუძლებელია. ეს თხოულობს რამდენიმე წლის სისტემატიურ, შეუ-პოვარ და დაუცხრომელ მუშაობას, როგორც ყველა კატეგორიის მასწავლებ-ლების და პროფესორების მოსამზადებლად, ისე სათანადო ლიტერატურის შე-საქმნელად. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ასეთი მუშაობა საბჭოთა რუსეთში. რო-გორც საბჭოთა დანარჩენ რესპუბლიკებშიაც უკვე დაწყებულია და ჩქარი ნა-ბიჯითაც მიმდინარეობს. ისე რომ, სულ ახლო მომავალში მთელი იდეოლოგიუ-რი ფრონტი საბჭოთა ფედერაციაში სულ ერთიანათ კომუნისტური იდეოლო-გიით იქნება აღჭურვილ-შეიარაღებული. აქ მე მინდა შევეხო რამდენიმე სიტ-ყვით პ რ ე ს ი ს მდგომარეობას. ამ მხრივაც მეტათ სამწუხარო სურათს ვხედავთ. ასე მაგ., ამბ. ვ ა რ დ ი ნ ი ს ცნობით, 1922 წ ლ ი ს პ ი რ ე ლ ი ა ნ ვ რ ი ს ა-თ ვ ი ს მთელ რუსეთში ყველა გაზეთების ს ა ე რ თ ო ტ ი რ ა ჟ ი უ დ რ ი დ ა 2.660.000 ე კ ზ ე მ პ ლ ი ა რ ს. გასული წლის (ე. ი. 1922 წ.) ი ვ ლ ი ს ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ შ ი ეს რიცხვი ჩამოსულა 990.000 ეკზემპლიარამდე, მაგრამ 1923 წ ლ ი ს პ ი რ ე ლ ი ა ნ ვ რ ი ს ა თ ვ ი ს ყველა გაზეთების საერთო ტირაჟს უმა-

ტია და ასულა 1.502.220 ეკზემპ. *). თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ 1921 წელს გაზეთები უმეტეს ნაწილად, როგორც ულუფა-პაიკი, მუქთათ ურიგდებოდა ხელის მომწერლებს, რომლებიც უმეტეს წილათ არც კი კითხულობდენ ამ გაზეთებს, ჩვენ ადვილათ გავიგებთ, თუ 1922 წლის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისთანავე ტირაჟმა ასე ერთბაშად რათ იკლო **). ასე რომ, ზევით მოყვანილი რაოდენობა გაზეთების ტირაჟისა 1921 წელს — ე. ი. 2.660.000 ეკზემპ. ნამდვილათ მკითხველებში არ ერცელდება. ამიტომ ტირაჟის შემცირება არსებითად გაზეთის გავრცელებაზე არაფერს ამბობს, და პირიქით. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გავრცელება დღეს უფრო საიმედოთაა დაყენებული, ვინემ 1 — 1½ წლის წინეთ. მაგრამ აშკარაა ის, რომ აბსოლიუტურად თავისთავად, ეს ტირაჟი საშინლად, პირდაპირ გასაგიჟებლად მცირეა. აეღოთ მაგალითისათვის, თუ გინდ პატარა ჩ ე ხ ო - ს ლ ო ვ ა კ ი ა, თავისი 12 — მ ი ლ. მცხოვრებითი, ინგლისს, გერმანიას, ამერიკას კი თავი დავანებოთ. ჩეხოსლოვაკიაში გამოდის 2.423 გ ა ზ ე თ ი, თვითოელი გაზეთის საშუალო ტირაჟი კი უდრის 3.558 ეკზემპ. (1.502.220:422) **). რა თქმა უნდა, მარტო ეს ფაქტიც აშკარად მოწმობს ჩვენს დიდ უკულტურობას და ჩამორჩენას. ჩვენი წარმატება და გამარჯვება იდეოლოგიურ ფრონტზე აუცილებლად თხოულობს გაზეთების რიცხვის და იმათი ტირაჟის გადიდებას არა თუ ერთი ორად, არამედ ერთი ხუთად და ერთი ათად სულ მოკლე ხანში.

V

გადავიდეთ ახლა იმ ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო ე ბ ზ ე დ ა ი მ ს ა მ ქ ე დ ო ვ რ ე ბ ზ ე, სადაც იქედება და იჩარხება კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი შ ე გ ნ ე ბ ა, სადაც მზადდებიან მომავალი მასწავლებლები და ხელმძღვანელები როგორც კომუნისტური სწავლა-აღზრდისა, ისე კომუნისტური აღმშენებლობის და მოქმედებისა.

დავიწყოთ ს ა ბ ჭ ო თ ა დ ა პ ა რ ტ ი უ ლ ს კ ო ლ ე ბ ი დ ა ნ, რომლებიც იძლევიან პარტიულ განათლებას. ამის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა ჟურნალ „კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ი ს“ გასული წლის დეკემბრის ნომერი (№ 15). მოვიყვანოთ იქიდან ზოგიერთი ცნობები. რუსეთში არსებობს ახლა პარტიულ სკოლების ს ა მ ი ტ ი პ ი: ს კ ო ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ფ ე ხ უ რ ი ს, ს კ ო ლ ა მ ე ო რ ე ს ა ფ ე ხ უ რ ი ს და კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი. პირველი საფეხურის სკოლის დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ სამი თვის განმავლობაში მსმენელებს მისცეს ელემენტარული ცნობები ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი დ ა ნ. მეორე საფეხურის სკოლაში (ერთი წლის კურსი) და კომუნისტურ უნივერსიტეტში (სამი წლის კურსი). აქ მსმენელები

*) იხ. „Правда“ 1923 წ. № 18.

**) მე კარგათ მახსოვს, რომ ჯერ კიდევ 1921 წელს ამხ. ლენინმა სასტიკათ გაილაშქრა „პრავდაში“ ასეთი გადამახინჯებული წესების წინააღმდეგ.

***) იხ. „Правда„ 1923 წ. № 15. ს. ინგულოვის წერილიდან. „К с'езду работников печати“.

იძენენ არა მარტო თეორეტიულ მომზადებას, არამედ სპეციალურ მომზადებასაც როგორც პარტიული, ისე სახელმწიფოებრივი მუშაობისათვის. პირველი საფეხურის სკოლების რიცხვი საბჭოთა რუსეთში უდრის 153, რომლებშიაც სწავლობს 10.875 კაცი, მეორე საფეხურის სკოლების რიცხვი 52, რომლებშიაც სწავლობს 10.000 კაცი; რაც შეეხება კომ.უნივერსიტეტებს, იმათი რიცხვი უდრის 8-ს სტუდენტების საერთო რიცხვით 6.170. ამნაირად, ყოველწლიურად ყველა ამ სკოლებს შეუძლიათ მოგვცეს დაახლოებით არმია შემდგარი 30.000 მეტი გაწვრთნილი კომუნისტებისაგან. რაც შეეხება პარტიულ სკოლების მსმენელების შემადგენლობას, დასახელებულ ჟურნალში მოყვანილია ასეთი ცნობები: პირველ ადგილზე დგანან გლეხები, რომლებიც შეადგენენ მსმენელთა საერთო რიცხვის 45%, შემდეგ მუშები (42%) და ბოლოს ინტელიგენცია (13%). პარტიულობის მხრით. მსმენელები ასე დანაწილდებიან: კომუნისტურ პარტიას ეკუთვნიან 41%, 14% კანდიდატებს. კომუნ. ახალგაზრდობის კავშირს — 28%, დანარჩენი 17%, უპარტიო.

შემდეგ ამას უნდა მოყვეს სკოლები ფაბრიკა-ქარხნების შეგირდებისათვის (школы фабрично-заводского ученичества — фабзавучи) — ეს დიდი შენაძენი სულ მთლათ რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის საქმეა. უკანასკნელი ცნობებით ამ სკოლების რიცხვი უდრის მთელ რუსეთში 500, რომლებშიაც სწავლობს დაახლოებით 50.000 შეგირდი*). ამ სკოლებს დიდი მომავალი აქვს. ჩვენ მიგვაჩნია ისინი ისეთ სამკედურებათ. სადაც გამოიკვლევება ახალგაზრდა მუშების კომუნისტური შეგნება.

ამ სკოლების გვერდით უნდა დავაყენოთ კურსები მოზრდილ მუშათათვის ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც ისინი იღებენ პროფესიონალურ განათლებას და ხელოვნდებიან თავის ტეხნიკურ ცოდნაში. ამ საქმესაც დიდი სამსახური გაუწია ახალგაზრდათა კომ. კავშირმა. უკანასკნელ ცნობებით ასეთი კურსების რიცხვი იყო 246, რომლებშიაც სწავლობდა 14.000 კაცი. რა თქმა უნდა, ეს მეტად ცოტაა. ერთი წლის წინეთ ყოფილა გაცილებით ამაზე მეტი. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ეს საქმეც ჩქარა გაფართოვდება და მოზრდილი მუშები პროფესიონალურ და ტეხნიკურ ცოდნასთან ერთად ამ კურსებზე შეიღებენ აგრეთვე კომუნისტურ შეგნებასაც.

შემდეგ ჩვენ გვაქვს მუშათა ფაკულტეტები უმაღლეს სასწავლებლებში, მარქსისტული წრეები, კლუბები, ბიბლიოთეკები. სამკითხველოები. რომლებიც ქსელივით მოდებულია მთელ საბჭოთა ფედერაციის სივრცეზე და რომლებიც დღითი-დღე იზრდებიან, მრავლდებიან და მაგრდებიან.

მაგრამ ყველა ამ იდეოლოგიურ, კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მთავარ ღერძს შეადგენს კომუნისტური პარტია, რომელიც წინამძღოლობს და მიმართულებას აძლევს როგორც მთელ პოლიტიკას და ეკონომიკას, ისე საბჭოთა ფედერაციის იდეოლოგიურ ფრონტს. რუსეთის კო-

---

*) აბ. ლუნაჩარსკის მოხსენებიდან („Изв." 1922 წლის. № 293 და აგრეთვე იხ. „Изв." იმავე წლის № 248).

მუნისტურ პარტიაში ირიცხება დაახლოვებით 600 — 700 ათასი წევრი: უმეტესობა ამათგანი მუშები და გლეხებია.

კომუნისტური პარტიის რეზერვს, მის სათადარიგო რაზმს, რომელმაც ის თანდათან უნდა განაახლოს და მისი ადგილი დაიჭიროს, წარმოადგენს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი, რომლის რიგებში ირიცხება ახლა დაახლოვებით 400.000-დე წევრი. ეს ჩვენი მომავალია, ახალგაზრდათა კომ. კავშირი ორნაირათ იზრდება: წლოვანების, ანუ ასაკის მხრით და რიცხვით. მასში შედის ახალგაზრდობა 16—20 წლის. 14—16 წლისანი სულ ნაკლებია. „კავშირის" წევრები, მუშები და გლეხები, უკვე საკმარისად გათვითცნობიერებულნი არინ. იმათ ცოტათ თუ ბევრათ უკვე გაეგებათ, რაც გარშემო ხდება. მაგრამ იმათ სწყურიათ ცოდნა, სწავლა-განათლების მიღება, და აქ მათ უნდა აღმოუჩინოთ დახმარება. რა თქმა უნდა, ახალგაზრდათა კომ. კავშირი კომუნისტური პარტიის მხრით საჭიროებს ყოველგვარ დახმარების გარდა, ხელმძღვანელობასაც. ამისთვის საჭიროა გამოცდილი და სერიოზული ამხანაგები.

შეიძლება ითქვას, რომ იმას, რასაც კომუნისტური პარტიისთვის წარმოადგენს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი, ამ უკანასკნელისთვის წარმოადგენს „ჰაბუკ პიონერთა" ორგანიზაცია, რომელიც წარმოიშვა დაახლოვებით ამ ერთი წლის წინედ. ამ ორგანიზაციის ინიციატივა ახალგაზრდათა კომ. კავშირს ეკუთვნის. ბავში 11 — 15 წლის ასაკში ბევრს ითვისებს. საჭიროა, რომ იგი თავიდანვე იქნეს ჩაყენებული პროლეტარული რევოლიუციის პირობებში და კომუნისტური აღზრდის ატმოსფერაში, საჭიროა რომ იგი პატარაობიდანვე სუნთქავდეს რევოლიუციის ჰაერით. აქედან ჩაიყრება პირველი საძირკველი კომუნისტური აღზრდისა და კომუნისტურ აღმშენებლობისა და შემოქმედებისათვის. თავის-თავად იგულისხმება, ამ ორგანიზაციებსაც ესაჭიროება ფრიად სერიოზული ხელმძღვანელობა, როგორც პარტიის, ისე ახალგაზრდათა კომ. კავშირის მხრივ.

კომუნისტური პარტია, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი და ჰაბუკთა კავშირი — ეს ერთი მთლიანი და მწყობრი ორგანიზაციაა, რომლის მთავარ მიზანს კომუნიზმის განხორციელება შეადგენს. საშუალება ამისთვის მარქსიზმის შეტანა და გავრცელებაა ხალხის რაც შეიძლება ფართო მასებში. ჩვენ არ ვმალავთ, რომ ამ მხრივ ჯერ ჩვენ ძლიერ ცოტა გვაქვს გაკეთებული. ჩვენი იდეოლოგიური ფრონტიც დღეს სწორედ ესაა. ამ ფრონტზე უნდა დავამარცხოთ ჩვენ ყველა სხვა იდეოლოგები, რომლებიც მყველფელ და მძარცველ კლასების ინტერესებს ემსახურებიან. და ჩვენ დავამარცხებთ იმათ კიდევაც.

ურნალი: „კომუნიზმის დროშა". 1923 წლის იანვარი — თებერვალი, № 4 — 5.

წინასიტყვაობა

„კომ. მანიფ.“ ქართული გამოცემისათვის.

„მანიფესტი“ წარმოადგენს ისტორიულ დოკუმენტს, რომლის შეცვლის უფლება ჩ ენ უკვე ალარა გვაქვს“.

კ. მარქსი, ფრ. ენგელსი.

(1872 წლის გერმანული გამოცემის წინასიტყვაობიდან).

I

ამა 1923 წლის თებერვალში სრულდება 75 წ ე ლ ი წ ა დ ი მას შემდეგ რაც პირველათ გამოქვეყნებულ იქნა ლონდონში გერმანულ ენაზე საერთაშორისო სოციალისტური ლიტერატურის უდიდესი განძი — „კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი“, რომელიც იწყებოდა და თავდებოდა შემდეგი მოწოდებით: „პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ო ყ ვ ე ლ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს ა, შ ე ე რ თ დ ი თ!“ იმ დროს „მანიფესტი“ ხელმოუწერელი იყო, ის გამოქვეყნდა კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს სახელით, მაგრამ მისი ნამდვილი ავტორები იყვენ კ ა რ ლ მ ა რ ქ ს ი და ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი. შეიძლება ითქვას, როგორც შეურყეველი ფაქტი, რომ ამ ხნის განმავლობაში „კომუნ. მანიფესტის“ მნიშვნელობა და როლი საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობის ისტორიაში არა თუ ოდნავაც არის არ შემცირებულა, არამედ ეს. როლი და მნიშვნელობა თანდათან და სულ უფრო და უფრო იზრდება და მატულობს. „მანიფესტი“ ისტორიული ფაქტების სასტიკი. და ღრმა ანალიზით ამტკიცებს ბურჟუაზიული წესწყობილების აუცილებელ დამხობას და პროლეტარიატის გაბატონებას ძალდატანებითი გადატრიალების ანუ რევოლიუციის საშუალებით. მართალია, „მანიფესტის“ ზოგიერთი დებულებები. რომლებიც ეხებოდენ და ანგარიშს უწევდენ მაშინდელ ისტორიულ პირობებს, დღეს უკვე დაძველებულია და სახელმძღვანელოთ ალარ გამოდგებიან, მაგრამ სამაგიეროთ მისი მთავარი დებულებები, როგორიცაა კლასობრივი ბრძოლის აღმოცენება და განვითარება, ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ერთმანეთთან დაპირისპირება. იმათი როლი თანამედროვე რევოლიუციებში. კომუნის-

ტური პარტიის მოთხოვნები ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, ამ მოთხოვნილების დასაბუთება და, ბოლოს. პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალა-უფლების დაპყრობის აუცილებლობა, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. სანამ მოისპობოდეს საზოგადოების კლასებათ დაყოფა, — ყველა ეს დებულებები დღემდის სრულიად ურყეველია და ასეთივე დარჩებიან ისინი, სანამ საესებით არ განხორციელდება კომუნისტური წესწყობილება. ასევე ურყეველია „მანიფესტი“-ს დებულებაც, რომელიც ამბობს, რომ ყველა ამ ზოგად დებულებათა პრაქტიკული მოხმარა ყველგან და ყოველთვის უნდა ხდებოდეს ისტორიულათ შექმნილ გარემოებათა მიხედვით. ამასთანავე, თავის-თავად იგულისხმება. რომ „მანიფესტში“ ნათელი ხაზივით გამოსქვივის მარქსის და ენგელსის დიალექტიური ახსნა-განმარტება.

მეტათ ძნელია ადამიანის გონების მეორე ისეთი ნაწარმოების დასახელება, რომლის შედარება ახალ, ღრმა და ნაყოფიერ აზრების მხრით შეიძლებოდეს „კომ. მანიფესტთან“. აქ, თავის მოცულობით მეტათ პატარა ნაწარმოებში, მარქსმა და ენგელსმა თავი მოუყარეს, სინტეზი გაუკეთეს და დაუზოგველი კრიტიკის ქარცეცხლში გაცხრილეს თითქმის ყველა ისტორიული, ეკონომიური და სოციალისტური თეორიები და სიტყვები, რომლებიც „კომუნისტურ მანიფესტის“ დაწერამდე წარმოიშვენ და განვითარდენ ევროპის და ამერიკის დაწინაურებულ ქვეყნებში. კაცობრიობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ, ა.ra მარტო პოლიტიკურ რევოლიუციების განცდით, არამედ კიდევ უფრო ახალი, ნაყოფიერ და რევოლიუციონურ შეხედულებათა წარმოშობით და განვითარებით. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი ცნობილია. როგორც ერთი ურეაქციონერესი ხანა ევროპაში. ეს იყო ტალეირანის, მეტერნიხის და აღმოსავლეთ ევროპის ჟანდარმის ნიკოლოზ რომანოვის, ე. ი. შავზე უშავესი რეაქციის თარეშის ხანა. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ამავე ხანაში აქა-იქ თავს იჩენს სხვადასხვა გვარი რევოლიუციონური მოძრაობა (ჩარტიზმი ინგლისში მუშების გაფიცვები საფრანგეთში და გერმანიაში, ნაციონალური აჯანყებები პოლონეთში; იტალიაში და სხვ.); ყოველივე ეს შედეგი იყო კაპიტალისტური წარმოების უეცრივ გაფურჩქვნისა და აყვავებისა, რასაც მოყვა, ერთი მხრით პროლეტარიატის ტანჯვის გამწვავება და, მეორეს მხრით. ახალ სოციალურ წინააღმდეგობათა წარმოშობა-განვითარება. ამ წინააღმდეგობებმა მეტათ დააფიქრეს, თვით ბურჟუაზიული მწერლები და ეკონომისტებიც კი. ბევრი იმათგანი მართლაც არ მოელოდა კაპიტალიზმის განვითარებიდან სოციალური მდგომარეობის ასეთ გამწვავებას. და, აი, ასეთ დროს სოკოსავით ჩნდებიან და მრავლდებიან სხვადასხვა სოციალისტური და კომუნისტური თეორიები. სოკოსავით ჩნდებიან აგრეთვე სხვადასხვა საიდუმლო საზოგადოებები თუ კავშირები, რომლებიც მიზნათ ისახავენ არსებულ წესწყობილების შეცვლას სხვადასხვა გზით. ევროპის მაშინდელი მთავარი სახელმწიფოები (საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია) მოფენილია ასეთი საიდუმლო საზოგადოებებით. პ ა რ ი ზ ი, ბ რ ი უ ს ე ლ ი დ ა ლ ო ნ დ ო ნ ი, — აი უმთავრესი პუნქტები, სადაც იკრიბებიან სხვადასხვა ქვეყნის და ერის შეთქმულები და რევოლიუციონერები. ამათში უმთავრეს როლს თამაშობენ გერმანიიდან ლტოლვილნი ანუ გამოქცეულნი ხელოსნები და მუშე-

ბი, თერძები, დურგლები, მესაათები, ხარაზები, ასოთ-ამწყობნი. გერმანელი ლტოლვილნი ჯერ კიდევ 1832 წელს აარსებენ პარიზში „გ ა ძ ე ე ბ უ ლ თ ა კ ა ვ შ ი რ ს“, რომელსაც დამოკიდებულება ქონდა საფრანგეთში არსებულ „ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს თ ა ნ“. ამ კავშირის დაშლის შემდეგ არსდება იმავე გერმანულ ლტოლვილთაგან „მ ა რ თ ა ლ თ ა კ ა ვ შ ი რ ი“, რომელსაც დამოკიდებულება ქონდა საფრანგეთისავე საზოგადოების „წ ე ლ ი წ ა დ ი ს დ რ ო თ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს თ ა ნ“ და რომელსაც მეთაურობდნენ ბარბუსი და ბლანკი. ეს უკანასკნელი კავშირი თანდათან გადაკეთდა „კ ო მ უ ნ ი ს ტ ე ბ ი ს კ ა ვ შ ი რ ა თ“ მარქსის და ენგელსის პირდაპირი გავლენით. მაგრამ მარქსი და ენგელსი მარტოკა როდი იყვნენ. იმათი მსოფლმხედველობის შესამუშავებლად უკვე საკმარისად იყო მომზადებული ნიადაგი. უწინარეს ყოვლისა მარქსის და ენგელსის უშუალო წინამორბედებათ სამართლიანად ითვლება სამი უდიდესი სოციალისტ-უტოპისტი: ფრანგები — ს ე ნ - ს ი მ ო ნ ი, შ ა რ ლ ფ უ რ ი ე და ინგლისელი რობერტ ოუენი [15]) ამათი ნაწარმოები, რომლებიც გაჟღენთილი იყვნენ კომუნისტური იდეებით, და შემდეგ სხვადასხვა ცდები კომუნისტურ საზოგადოებათა დასაარსებლად აინტერესებდენ და აღელვებდენ არა მარტო ეიწრო ჯგუფებს, არამედ საკმარისად ფართო მასებსაც, მაგრამ საქმე ამით არ თავდებოდა.

სენ-სიმონს. ფურიეს და ოუენს თითქმის ყველა განათლებულ ქვეყნებში ყავდათ უამრავი მოწაფეები და მიმდევრები (ბაზარი, კონსიდერანი, კაბე, დეზამი. ვიდალი, ლორენც-შტეინი და სხვა). მაგრამ განსაკუთრებულ როლს თამაშობდენ სოციალისტური და კომუნისტური იდეების დამყნაში და გავრცელებაში ინტერნაციონალურ მასშტაბით გერმანული ლტოლვილი მ უ შ ა-ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ი; ამათში უშესანიშნავესი იყვენ: ვ ი ლ ჰ ე ლ მ ვ ე ი ტ ლ ი ნ გ ი (თერძი): თ ე ო დ ო რ შ ე ს ტ ე რ ი. კ ა რ ლ შ ა პ პ ე რ ი (მესტამბე), ვ ი ლ ჰ ე ლ მ ვ ო ლ ფ ი, ი ო ს ე ბ ბ ო ლ ლ ი, ჰ ე ნ რ ი ხ ბ ა უ ე რ ი, თ ე რ ძ ი ე კ კ ა - რ ი უ ს ი, ლ ე ს ნ ე რ ი და სხვ. ყველა ესენი მეცხრამეტე საუკუნის მე-30 — 40 წლებში შეუწყვეტლივ მოძრაობენ, გადადიან ერთი ქალაქიდან და ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში, გერმანიიდან შვეიცარიაში ან საფრანგეთში, იქიდან კიდევ ბელგიაში, ან ჰოლანდიაში ან ინგლისში და თან გადააქვთ თავიანთი კომუნისტური შეხედულებანი და იდეები. ჩვენ უკვე არ ვლაპარაკობთ თვით მარქსზე და ენგელსზე, რომლებიც ასეთსავე გერმანელ დევნილების რიცხვს ეკუთვნიან და რომლებიც ხდებიან ნამდვილი და ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტები მთელი თავისი არსებით და მოქმედება-მოღვაწეობით.

ამიტომ, როცა კ. მარქსი და ფრ. ენგელსი „კომ. მანიფესტს“ იწყებენ სიტყვებით იმაზე, რომ ე ვ რ ო პ ა შ ი გ ა მ ო ჩ ნ დ ა წ ი თ ე ლ ი ა ჩ რ დ ი ლ ი. ი კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს ა“, ეს იყო სრული სიმართლე, ვინაიდან კომუნიზმის აჩრდილი მართლაც თავს დასტრიალებდა იმ დროს ევროპის ყველა მაშინდელ ძლიერთა და ბატონ-პატრონებს. მაგრამ ეს კომუნიზმი ჯერ ვერ იყო დაყენებული მკვიდრ ნიადაგზე, მას არ ჰქონდა ჯერ მკვიდრი საფუძველი ცხოვრებაში. ერთი სიტყვით — ის მომწყვეტული იყო ჯერ კიდევ კერძო ადამიანების თავებში. ამიტომაც იყო, რომ კომუნიზმის გამოტანა კერძო რევოლიუციონერების თავებიდან და

მისთვის მკვიდრი საფუძველის შექმნა ნიშნავდა კომუნიზმის აჩრდილის გადაქცევას მართლაც საშიშარ ძალათ, რომელიც ამიერიდან უნდა მიმართულიყო ყველა ბაბატონებულ და მყოლეფელ კლასების წინააღმდეგ.

ამ უდიდესი საქმის შესრულება წილად ხვდათ მარქსს და ენგელსს. სწორედ ამ გენიოს ადამიანებს ჰქონდათ მიღებული საამისო არა მარტო მეცნიერული მომზადება, არამედ, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, შესანიშნავი პრაქტიკული გამოცდილებაც. ისინი არა თუ საესებით გაცნობილი იყვენ მთელ მაშინდელ ცოდნასთან, როგორც ფილოსოფიაში, ისე ბუნებისმეტყველებაშიაც, არამედ ამ მხრით იმათ ბევრათ გაუსწრეს წინ თავის საუკუნეს. მათ ჰქონდათ უშუალო და ხშირი ურთიერთობა როგორც ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან, ისე რევოლიუციის და კომუნიზმის ყველა აქტიურ მოღვაწეებთან და გამოჩენილ პირებთან. განსაკუთრებით დაახლოვებული იყვენ ისინი ჯერ „მარქსალთა კავშირის“ წევრებთან და შემდეგ „კომუნისტების კავშირთან“. 1846 — 47 წლებში მარქსი ცხოვრობდა ბრიუსელში. აქ იყო გერმანელ მუშების ჯგუფი, რომლის მიზანი თვითგანვითარება იყო. მარქსი ხელმძღვანელობას უწევდა ამ ჯგუფს. ამ ჯგუფში, სხვათა შორის, შედიოდენ: მ ო ს ე გ ე ს ს ი, ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ე ზ ე ი ლ ე რ ი, ვ ი ლ ჰ ე ლ მ ვ ო ლ ფ ი დ ა ს ტ ე ფ ა ნ ე ბ ო რ ნ ი. სწორედ ეს ჯგუფი გახდა პირველ ორგანიზაციულ კერათ, საიდანაც გავრცელდა შემდეგ ახალი მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი.

1847 წლის გაზაფხულზე იოსებ ბოლლი მიემგზავრება ლონდონიდან პარიზში ენგელსთან და ბრიუსელში მარქსთან და მეორეჯერ აძლევს მათ წინადადებას, რათა ისინი შესულიყვნენ „მარქალთა კავშირში“. ვინაიდან მარქსი და ენგელსის შეხედულებას იმ დროს უკვე საესებით იზიარებდა ეს კავშირი, ამიტომ იმათ ეხლა არავითარი საფუძველი აღარ ქონდათ უარი ეთქვათ ამ წინადადებაზე, და იმათ გადასწყვიტეს ამ „მ ა რ ქ ს ა ლ თ ა კ ა ვ შ ი რ ს ი“ შესელა იმ მიზნით, რომ ის ახლო მომავალში გადაექციათ „კომუნისტების კავშირათ“. ეს მოხდა იმავე 1847 წელს ზაფხულში, ლონდონში კ ო მ უ ნ ი ს ტ ე ბ ი ს კ ა ვ შ ი რ ი ს პ ი რ ე ვ ე ლ ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე, სადაც დროებით მიღებულ იქნა „კომუნისტების კავშირის“ წესდება, რომლის პირველ მუხლში მკაფიოთ გამოთქმული იყო „კავშირის“ მიზანი, აქ იყო ნათქვამი: „კავშირის მიზანია: ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს დ ა მ ხ ნ ბ ა, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ ა, ძ ვ ე ლ ი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ა ნ ტ ა გ ო ნ ი ზ მ ზ ე (განხეთქილებაზე) დ ა მ ყ ა რ ე ბ უ ლ ი ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა ღ მ ო ფ ხ ვ რ ა დ ა ა ხ ა ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს დ ა მ ყ ა რ ე ბ ა, ს ა დ ა ც ა რ ე ქ ნ ე ბ ა ა დ გ ი ლ ი ა რ ც კ ლ ა ს ე ბ ს დ ა ა რ ც კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა ს“. „კომუნისტების კავშირის“ მეორე ყრილობა მოხდა ლონდონშივე იმავე 1847 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეებში, რომელზედაც საბოლოოდ მიღებულ იქნენ „კავშირის“ ყველა სტატუტები და რომელმაც მარქსს და ენგელსს მიანდო სათანადო „მანიფესტის“ შედგენა. „ეს მინდობილობა. — გადმოგვცემს თვითონ ენგელსი, — სულ მოკლე ვადაში იქნა შესრულებული, და „მანიფესტი“ 1848 წლის თებერვლის რევოლიუციის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე გაგზავნილ იქნა ლონდონში დასაბეჭდათ. ამ დღიდან მან მოვლო მთელი ქვეყნიერება, გადაითარგმნა თითქმის

ყველა ენებზე და აქამდე განაგრძობს თავის სამსახურს პროლეტარული მოძრაობისათვის სულ სხვადასხვა ქვეყნებში ხელმძღვანელობის მხრით. კავშირის ძველი დევიზის „ყ ვ ე ლ ა ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ძ მ ე ბ ი ა რ ი ა ნ“ ალაგი დაიჭირა ახალმა ლოზუნგმა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, რომელმაც აშკარათ აძცნო ქვეყნიერებას ბრძოლის საერთაშორისო ხასიათი“.

ასეთ პირობებში იშვა „კომუნისტური მანიფესტი“. მის გასაგებათ და შესათვისებლათ დიდი შრომა და ცოდნაა საჭირო. „მანიფესტის“ მარტო წაკითხვა არ კმარა. მის შესასწავლად აუცილებლათ საჭიროა იმ ისტორიულ გარემოებათა საკმარისად საფუძვლიანი შესწავლა, რომლებშიაც იშვა ეს უკვდავი ნაწარმოები ადამიანის გონებისა. ამ უკანასკნელ დრომდე ფართო მასა სრულიად მოკლებული იყო ასეთ საშუალებას, ვინაიდან ხელმისაწდომი და შესაფერი წიგნი, ამ მიზნით შედგენილი, აქამდის არ იყო.

საქმეს არ შეეფოდა არც ა ნ ტ ო ნ ი ო ლ ო ბ რ ი ო ლ ა ს და მით უფრო არც ანდლერის განმარტებანი. ახლა კი ჩვენ დიდი სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის. რომ ამ დიდ ნაკლს, რამდენიმეთ მაინც. თავიდან გვაშორებს ამხ. დ. რ ი ა ზ ა ნ ო ვ ი „კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი ს“ თავისი მეორე შევსებული გამოცემით რუსულ ენაზე.

დ. რიაზანოვის სასახელოთ უნდა ითქვას. რომ დღეს იგი ერთი საუკეთესო მცოდნეთაგანია მარქსის და ენგელსის ყველა ნაწერების და იმავე დროს თითქმის ერთად-ერთი შემგროვებელი მეცნიერული სოციალიზმის მამა-მთავართა ყველა ნაწერებისა.

„კომ. მანიფესტის“ ხსენებულ გამოცემით რიაზანოვს მიზნად აქვს დასახული აუხსნას და გააცნოს მკითხველთა ფართო მასას უმთავრესი ისტორიული ფაქტები. რომლებიც ცოტათ თუ ბევრათ ნათელყოფენ „მანიფესტის“ წარმოშობას. რათა რამდენიმედ მაინც ვიქონიოთ დაახლოვებული წარმოდგენა რიაზანოვის მიერ მეორეთ გამოცემულ „კომ. მანიფესტზე“, საჭიროა ეუჩვენოთ აქ ის, თუ რაა იქ შეტანილი. აი, ამ გამოცემის მოკლე შინაარსი: გარდა თვით რიაზანოვის ორი წინასიტყვაობისა იქ მოთავსებულია: 1) „კ ო მ უ ნ ი ს ტ ე ბ ი ს კ ა ვ შ ი რ ი“ — რ ი ა ზ ა ნ ო ვ ი ს ა, 2) „1847 წ ლ ი ს რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ო ნ უ რ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა ნ ი“ — ფრ. ენგელსისა, 3) თვით „კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი“, რომელსაც ჩართული აქვს ენგელსის წინასიტყვაობა 1892 წლის გერმანული გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს დ ა წ ე რ ი ლ ი. შემდეგ წინასიტყვაობანი ენგელსის: გერმანული გამოცემათათვის 1883 და 1890 წლებში. პოლონურ გამოცემის 1872 წ. და იტალიურ გამოცემის 1893 წ., 4) შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა (დ. რიაზანოვისა), რომლებიც შეიცავენ განმარტებებს 63 საგანზე და რომელთაც უჭირავთ მთელი გამოცემის თითქმის ნახევარი, 5) კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი (№ 1), გამოცემული 1847 წელს ლონდონში, 6) კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი — ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი ს ა. 7) კ ო მ უ ნ ი ს ტ ე ბ ი ს წ ე ს დ ე ბ ა, 8) კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ი გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი და 9) უ მ თ ა ვ რ ე ს ა მ ბ ე ბ ი ს მ ა ტ ი ა ნ ე ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს და მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა შ ი 1500 წ ლ ი დ ა ნ 1848 წ ლ ა მ დ ე.

ამნაირათ, ამხ. რიაზანოვის მიერ გამოცემული „კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი" თავისი შესავლით, განმარტებებით და დამატებებით წარმოადგენს სრულიად განსხვავებულს და სრულიად ახალს და სამაგალითო გამოცემას, რომლის მსგავსი ჯერ არც ერთ ენაზე, გარდა რუსულისა, არ მოიპოვება. და იმიტომაა. რომ ეს გამოცემა შესამჩნევად გვიადვილებს „მანიფესტის" გაგებას და შეთვისებას. უნდა შევნიშნოთ, რომ რიაზანოვი ჩვენ კიდევ გვპირდება მომავალში ამ გამოცემის შევსებას და გაფართვებას. ყოველ შემთხვევაში დღეს ვაწვდით ამ გამოცემას მკითხველებს ქართულ ენაზე სრულიად უცელელათ და ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ეს წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს ყველას. როგორც თვით „მანიფესტის", ისე საერთოდ მარქსიზმის შესწავლის საქმეში.

აქ საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვა ესთქვა „კომუნისტური მანიფესტის" ქართულ ენაზე გამოცემის შესახებ. გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრით ჩვენ. ქართველ მარქსისტებს, ამაყობა მაინც და მაინც არ შეგვიძლია. მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია ერთი უძველესი ორგანიზაციათაგანია მთელ რუსეთის პარტიაში, მარქსისტული ლიტერატურით ქართულ ენაზე ჩვენ წინედაც მეტად ღარიბნი ვიყავით და დღესაც თითქმის ასეთი მდგომარეობაა. ჩვენ დღემდის არ მოგვეპოვება ქართულ ენაზე არც მარქსის და ენგელსის და არც იმათ გამოჩენილ მიმდეართა (კაუცკი, პლეხანოვი, ლენინი, ბუხარინი) უმთავრესი ნაწარმოებნი. ჩვენ წინედაც და ახლაც ვკვებავთ მკითხველებს უმეტეს ნაწილად მარქსიზმის დებულებათა მსუბუქი პოპულიარიზაციით ჟურნალ-გაზეთების საშუალებით. რა თქმა უნდა, ასეთ მდგომარეობას ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს.

რაც შეეხება კერძოთ „კომუნისტურ მანიფესტის" გადათარგმნას და გამოცემას ქართულ ენაზე, აქაც თუ წარსულზე მიდგა საქმე, სანუგეშო თითქმის არაფერი გვაქვს სათქმელი. უნდა აშკარად ვაღიაროთ, რომ „მანიფესტის" გამოცემას ქართულ ენაზე დღემდის ჩვენ ან სრულებით არ ვაქცევდით ყურადღებას, ან თუ ვაქცევდით, სულ მცირეოდენს. რამდენათაც მე ვიცი, „კომ. მანიფესტი" პირველად ითარგმნა ქართულათ (და ისიც არა სრულად, მხოლოდ პირველი თავი) 1905 წ. ეს თარგმანი *) სათაურით: „ბ უ რ ჟ უ ა დ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი" დაიბეჭდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად იმავე წელს ჟურნალ „მოგზაურში". როგორც ხედავთ, ეს თარგმანი მაშინ დაიბეჭდა სულ სხვა სათაურით და აეტორების დაუსახელებლათ. ის დაიბეჭდა, თუ ასე შეიძლება ითქვას, ლიტერატურული „კონტრაბანდის" სახით, და ამიტომ შეუმჩნეველი დარჩა.

ამას შემდეგ გადის სრული 12 წელიწადი, რომლის განმავლობაში არც მენშევიკებს და არც ბოლშევიკებს არ უფიქრიათ „მანიფესტი" გამოცემულიყო ქართულ ენაზე. მხოლოდ თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, როცა მენშევიკები საზოგადოებას სათავეში მოექცენ, იმათ საოლქო კომიტეტმა გამოსცა „მანიფესტი" ქართულ ენაზე ქ. თფილისში, 1917 წელს. მთარგმნელის ვინაობა

*) ეს თარგმანი ჩემი წინადადებით შეასრულა შ. შარაშიძემ. რომელიც იმ ხანებში „მოიმბოლშევიკებდა", მაგრამ რომელმაც რეჟკომის დაწყებისათანავე ჩქარა გამოიცალა ფერი.

ჩვენ არ ვიცით, მაგრამ რა საოდავი და უფერული გამოცემაა ეს! ასე წარმოიდგინეთ, მას არ უძღვის წინ არც ერთი წინასიტყვაობა, დაწერილი მარქსის და ენგელსის მიერ. მხოლოდ ძალზე შემოკლებით მთარგმნელს წინასიტყვაობის მაგიერ მოუყვეს რამდენიმე ადგილი ენგელსის წიგნიდან „კომუნისტების კავშირის ისტორიის შესახებ". თარგმანის ბოლოს დართულია ზოგიერთი სიტყვების ახსნა. მაგრამ ეს ისეთი „ახსნაა", რომ სულ არ ყოფილიყო, ბევრათ უკეთესი იქნებოდა *). შემდეგ გაეიდა 1918, 1919 და 1920 წლები, — წლები მენშევიკების სრული ბატონობისა, და იმათ არც ერთხელ არ მოსულიათ თავში „მანიფესტის" მეორედ გამოცემის ცდაც კი.

სამაგიეროთ 1919 წელს გამოვიდა „კომუნისტური მანიფესტის" მეორე გამოცემა: მალ. ტოროშელიძის მიერ მეექვსე გერმანული გამოცემიდან ნათარგმნი. ეს იყო ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის გამოცემა, რომელიც რა თქმა უნდა, ბევრათ მაღლა დგას 1917 წლის მენშევიკების გამოცემაზე; მას ჩართული აქვს ერთი მარქსის და ენგელსის და ორი ენგელსის წინასიტყვაობა, და მასთან ამბ. ტოროშელიძის თარგმანი ბევრათ უფრო ახლოა დედანთან.

ამიტომ „მანიფესტის" ახლანდელ ჩვენს, რიცხეით მესამე. გამოცემას, საფუძვლათ უდევს ამბ. ტოროშელიძის თარგმანი, რომელიც კიდევ განმეორებით იქნა შემოწმებული დედანთან და ალაგ-ალაგ შესწორებულიც სტილის მხრივ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ „კომუნისტური მანიფესტის" ეს ახალი გამოცემა ქართულ ენაზე, რომელიც წარმოადგენს ამბ. რიაზანოვის მეორე გამოცემის სრულ თარგმანს, დიდ სამსახურს გაუწევს როგორც პარტ-სკოლებს, ისე ყველა ცოტათ თუ ბევრათ მომზადებულ მუშას და გლეხს, რომელიც კი ლამობს სწორი მარქსისტული მსოფლმხედველობის გამომუშავებას და შეთვისებას.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ეს ძვირფასი გამოცემა გახდება ყველა შეგნებული მარქსისტისთვის და ყველა კომუნისტისთვის ნამდვილ მაგიდის წიგნათ.

ფ. მახარაძე.

იანვარი, 1923 წ.

---

*) დასაბასიათებლათ მოვიყვანთ აქ რამდენიმე მაგალითს ამ ახსნა-განმარტებებიდან: 1) „კრიზისი — შეფერხება, სამრეწველო კრიზისის საქონლის სიმრავლე და მუშტრის ნაკლებულობა". 2) „ფალანსტერი — ისეთი ახალშენი, სადაც ადამიანები თავის ნებით კომუნიზმს ანხორციელებენ". 3) „იკარია — ისეთი, ჯერ არ არსებული ქვეყანა. სადაც სრული თანასწორობა და ბედნიერება სუფევს". გამოდის, რომ ეს ფალანსტერი და იკარია თითქო ახლაც არსებობენ სადმე!

ალექსანდრე წულუკიძე

(1876 — 1905).

მუშათა კლასმა და კომუნისტურმა პარტიამ ჩვენში ჯერ კიდევ მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის დასაწყისში, დაკარგა რამდენიმე გამოჩენილი ბელადი, რომელთაც ვერ მოასწრეს სავსებით თავიანთი ნიჭის გაფურჩქვნა და შემოქმედების ფართოდ გაშლა. ასეთი იყო უწინარეს ყოველისა ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) და შემდეგ ლადო კეცხოველი[46]) გიორგი თელია[47]), მიხა ბოკორიშვილი[48]). შაქრო ჩოდრიშვილი[49]). თქმა არ უნდა, თითოეული ამათგანის დაკარგვა მეტად საგრძნობი და მეტად დიდი დანაკლისი იყო ჩვენში ახლად აღორძინებული მუშათა კლასისათვის. მაგრამ ამათ გარდა 1905 წელს გამწვავებული რევოლიუციონური მოძრაობის დროს, როგორც ჩვენმა ბოლშევიკურმა ფრაქციამ, ისე მთელმა მაშინდელმა ამიერ კავკასიის პროლეტარიატმა დაკარგა კიდევ ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი და მუშათ კლასისთვის თავდადებული მებრძოლი — ალექსანდრე (საშა) წულუკიძე.

ჩვენმა ახალმა თაობამ, რომელიც ამ უკანასკნელ დროს გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, ან სულ ცოტა და ან კიდევ სრულებით არაფერი იცის ზეციდ დასახელებულ რევოლიუციურ მოღვაწეებზე. გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ეგნ. ნინოშვილი, რომელიც თავისი მხატვრული ნაწარმოების მეოხებით საკმარისად ცნობილია, უმეტესად როგორც მწერალი — ბელეტრისტი. ყველა ესენი იყვნენ დიდი და გამოჩენილი რევოლიუციონერები, რომელთაც საკმარისად დიდი ღვაწლი მიუძღვით მეოცე საუკუნის დასაწყისში რევოლიუციონურ მოძრაობაში. ყოველ ეჭვს გარეშეა ის, რომ იმათ თავისი თავდადებული მუშაობით მოამზადეს და ხელი შეუწყვეს მუშების და გლეხების გამარჯვებას და პროლეტარიატის ხელისუფლების დამყარებას ჩვენში. იმათი რევოლიუციონური მოღვაწეობა შარავანდედით გარემოცული აღბეჭდილი დარჩება მშრომელი ხალხის მეხსიერებაში. როგორც ზევით შევნიშნეთ. ჩვენი მუშების და გლეხების ახალი თაობა, — ის თაობა, რომელიც სულ ამ უკანასკნელ დროს გამოვიდა სა-

ზოგადოებრივ ასპარეზზე, ნაკლებად იცნობს იმ რევოლიუციონერთა მოღვაწეობას. რომლებიც ცხოვრობდენ და იბრძოდენ რევოლიუციონური მოძრაობის დასაწყისში. ეს ადვილად აიხსნება, თუ მივიღებთ მხედველობაში შემდეგ გარემოებათ: ა) რევოლიუციის წინანდელი მოღვაწენი მოქმედებენ არალეგალურ პირობებში. ანუ როგორც ჩვეულებრივ ამბობენ. იატაკ-ქვეშ. ამიტომ იმათი ნამდვილი მოღვაწეობა უცნობი იყო უმეტეს ნაწილად იმათ თანამედროვეთათვისაც კი და ბ) აწინდელ თაობას შეუძლია რევოლიუციონერ-მოღვაწეების გაცნობა იმათი ცხოვრების სრული აღწერით. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამ მხრით ჩვენ საკმარისად ძლიერ მოვიკოჭლებთ; საქმე იმაშია, რომ ამ ძველ მებრძოლთა შესახებ გარდა იმ კანტი-კუნტი, მოკლე და ზოგჯერ პირდაპირ შემთხვევითი ხასიათის ცნობებისა, რომლებიც გაბნეულია სხვადასხვა დროგამოშვებით გამოცემებში. განსაკუთრებით „რევოლიუციის მატიანე"-ში, ჩვენ თითქმის არაფერი მოგვეპოვება. აქედან ნათლად სჩანს, თუ რამდენად საჭიროა ამ ერთი დიდი ნაკლის გამოსწორებაც. აქ მე მსურს გავაცნო ჩვენს მკითხველებს ალექსანდრე წულუკიძის ცხოვრება და მისი მოღვაწეობა.

საჭიროდ მიმაჩნია აქვე განვაცხადო, რომ ეს გაცნობა არ იქნება იმდენად ვრცელი, რომ სავსებით დამაკმაყოფილებლად იქნეს მიღებული, ესე იგი მე მინდა გავაფრთხილო მკითხველები შესახებ იმისა, რომ მათ არ მიიღონ ეს, როგორც ალ. წულუკიძის სრული ბიოგრაფია. ასეთი ბიოგრაფიის დაწერა ამ შემთხვევაში შეუძლებელი შეიქნა არა მარტო იმიტომ, რომ პირადად ჩემთვის ეს საქმე მეტად საძნელო იყო დროს უქონლობის გამო, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ საჭირო ბიოგრაფიული ცნობები ალ. წულუკიძის შესახებ, გარდა იმისა, რაც აქა-იქ გაბნეულია ჩვენ ზოგიერთ დროგამოშვებით გამოცემებში, ჩემ განკარგულებაში არ იყო. ამ შემთხვევაში რამდენიმედ მე მშველის ის გარემოება. რომ ალ. წულუკიძის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში (1901 — 5წ.წ.) მე მასთან საკმარისად მჭიდროდ ვიყავი დაკავშირებული. რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო მაშინდელი მუშაობის პირობებში. სამწუხაროდ, ბევრი რამ დამახასიათებელ წვრილმანები აღარც მე მაგონდება. ყოველ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად მე ვეცდები ყველა არსებული მასალა ალ. წულუკიძის შესახებ გამოვიყენო ამ წერილში.

დაახლოვებით ამ ერთი წლის წინედ, 1905 წლის რუსეთის პირველი რევოლიუციის 20 წლის. თავის გამო, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ა. წულუკიძის ნაწერების გამოცემა, ავტორის ბიოგრაფიის დართვით. ეს დადგენილება მხოლოდ ეხლა ხორციელდება და მით ხორციელდება აგრეთვე ჩვენი პარტიის და მუშების დიდი ხნის სურვილიც — ალექსანდრე წულუკიძის ნაწერების სრული კრებულის გამოცემა.

ალ. წულუკიძის საზოგადოებრივი, ლიტერატურული და პოლიტიკური მოღვაწეობა მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებს და მეოცე საუკუნის პირველ წლებს ეკუთვნის. ამგვარად მისი მოღვაწეობა გაიშალა ამ ორი საუკუნის ჯვარედინზე. ამიტომ. უწინარეს ყოვლისა, საჭიროდ მიმაჩნია აქ ორიოდე სიტყვით იმ ხანის დახასიათება.

ჩვენ ვიცით, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცდაათე წლები, ერთი მხრით. და მეოცე საუკუნის დასაწყისი მეორე მხრით, როგორც მთელ მაშინდელ რუსეთის. ისე კერძოდ საქართველოს და ამიერ-კავკასიის ცხოვრებაში წარმოადგენენ დიდი დასერიოზული გარდატეხის ხანას. სწორედ ამ ხანებში საზოგადოებრივ ასპარეზზე პირველად ჩნდება სრულიად ახალი საზოგადოებრივი ძალა — მუშათა კლასი, რომლის წიაღში თანდათან ფეხს იკიდებს და ვრცელდება რევოლიუციური მარქსიზმის გავლენა; მასთან ერთად ისახება და იზრდება მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახით. იწყება რევოლიუციური მოძრაობა ჯერ ქალაქის მუშებში. რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გადადის გლეხებშიაც. ამნაირად მზადდება ნიადაგი იმ ფართო და მასსიური რევოლიუციური მოძრაობისთვის, რომელსაც ადგილი ქონდა 1905 და 1906 წლებში.

მოკლედ რომ ეთქვათ. ეს ის ხანაა, როცა ჩვენში ხდება, ერთი მხრით, ნაროდნიკული მიმართულების — იდეების — სრული გაკოტრება-გაბათილება *) და. მეორე მხრით, მარქსიზმის გავლენის განმტკიცება მუშათა კლასის ფართო მასებში. ასე და ამგვარად ამ მასებში მარქსიზმმა. შეიძლება ითქვას. თითქმის სრული ჰეგემონობა დაიმკვიდრა. მაგრამ მარქსიზმის გამარჯვებას წინ უძღოდა რამდენიმე წლის განმავლობაში მეტად გამწვავებული იდეური ბრძოლა სხვადასხვა რევოლიუციონურ და სოციალისტურ წრეებსა, ჯგუფებსა, ორგანიზაციებსა და პარტიებს შორის როგორც რუსეთში. ისე ჩვენშიაც. ასე რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში და მეოცე საუკუნის დასაწყისში როგორც რუსეთში. ისე ჩვენშიაც. ჩვენ ვხედავთ უკვე მარქსისტების მთელ თაობას ჯერ პლეხანოვის და შემდეგ ლენინის მეთაურობით.

მაგრამ ეს იდეური ბრძოლა იყო პირდაპირი და უშუალო გამოხატულება იმის, რაც მაშინდელ სინამდვილეში ხდებოდა. მარქსიზმის გამარჯვება როდი იყო შედეგი მარტო მარქსის თეორეტიკოსების იდეურ ბრძოლაში გამარჯვებისა. საქმე იმაშია, რომ მარქსიზმის მოწინააღმდეგე იდეოლოგიას, ამ შემთხვევაში ნაროდნიკულ მიმართულებას და, მაშასადამე, იმ ორგანიზაციებს. რომლებიც ამ მიმართულებას მისდევენ, ამარცხებდა თვით ცხოვრება. ცნობილია. რომ სწორედ ამ ხანებში იშლებოდა და ირღვეოდა ნატურალური წარმოება, იშლებოდა და ირღვეოდა გლეხური „ობშინა", და სამაგიეროდ ეითარდებოდა და იზრდებოდა კაპიტალისტური წარმოება, რაც იმავე დროს მოასწავებდა სამრეწველო პროლეტარიატის ზრდა-განვითარებას. და რაც თავის მხრით სამარეს უმზადებდა როგორც მეფის თვითმპყრობელობას, ისე მთელ ბურჟუაზიულ წესწყობილებასაც. მაგრამ, იდეური ბრძოლა მარქსისტებსა და ნაროდნიკებს შორის პირველ ხანებში მხოლოდ იატაკქვეშ და არალეგალურ ლიტერატურაში სწარმოებდა. შემ-

*) ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. საჭიროა შევნიშნო აქ, რომ ნაროდნიკულ იდეებს ერთ დროს თუ გასავალი ჰქონდა ჩვენში, ეს მხოლოდ და მხოლოდ ინტელიგენციის ერთ მცირე ნაწილში.

დეგში კი ეს ბრძოლა თანდათან ლეგალურ პრესაშიაც გადავიდა; ამიტომ თანდათან ფეხი მოიკიდა და განვითარდა ეგრეთწოდებული ლ ე გ ა ლ უ რ ი მ ა რ ქ ს ი ზ მ ი, რომელიც არსებითად ნამდვილი რევოლიუციონური მარქსიზმის უარყოფა იყო. ლეგალური მარქსიზმით გატაცებული იყო უმეტეს ნაწილად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოსწავლე ახალგაზრდობა. ეს ლეგალური მარქსიზმი იყო სათავე, საიდანაც შემდეგში გაჩნდენ რუსეთის მარქსიზმში სხვადასხვაგვარი ოპორტუნისტული მიმდინარეობანი და მიმართულებანი, როგორც მაგ., ე კ ო ნ ო მ ი ზ მ ი, მ ე ნ შ ე ვ ი ზ მ ი. ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ო ბ ა და სხვ. მარქსიზმის ასეთი გადამახინჯების წინააღმდეგ მაშინვე დაიწყო რუსეთის ლიტერატურაში და პრესაში დაუცხრომელი ბრძოლა, და უნდა ითქვას. რომ რუსეთის სინამდვილეში, თითქმის ყოველთვის, თუმცა დიდი ბრძოლის შემდეგ, იმარჯვებდა რევოლიუციური მარქსიზმი, ე. ი. მაშინდელ სოც. დემოკრატიის მ ა რ ცხ ე ნ ა ფ რ თ ა, ა ნ უ ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ ი, თუმც იმავე დროს ლეგალური მარქსიზმი, როგორც ოპორტუნისტული მიმდინარეობა რუსეთში არასოდეს არ გამქრალა; ის გვეველინებოდა ჩვენ შემდეგში სხვადასხვა სახით.

რაც შეეხება საქართველოს, მარქსიზმის გადმონერგვა აქ სულ სხვა პირობებში მოხდა. ჯერ ერთი, მარქსის იდეების გავრცელება ჩვენში იწყება უფრო გვიან, ვინემ რუსეთში. შემდეგ ამ იდეებს აქ მოწინააღმდეგეები გაცილებით ნაკლები ჰყავდა და, ამასთან, ეს მოწინააღმდეგეებიც ყოველი მხრით მეტად სუსტნი იყვნენ, ვინემ ეს იყო რუსეთში. ხოლო რაც შეეხება ლეგალურ მარქსიზმს, ჩვენში მას პირველ ხანებში მეტად სუსტი და ნაკლები გავლენა ქონდა ჩვენ ახალგაზდობაზე და მუშებზე, ვინემ რუსეთში.

მეორე მხრით საქართველო, და მით უფრო ამიერ-კავკასია. იმ ხანებში მეტად თავისებურ ქვეყანას წარმოადგენდა. თუ ეს ასეა დღეს, 30—40 წლის შემდეგ. რაღა უნდა ყოფილიყო მაშინ. საქართველო ძველთაგან უაღრესად ფეოდალური ქვეყანა იყო. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ფეოდალური წოდება ანუ თავადაზნაურობა რღვევის და გახრწნის პროცესში მოყვა. პოლიტიკური უფლებები მას უკვე დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, თავად-აზნაურობა მაინც საერთოდ იმ ხანებში ერთად-ერთი გავლენიანი წოდება იყო. მეორე მხრით, გლეხკაცობა ჯერ კიდევ მიწასთან გასწორებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბატონყმობა ოფიციალურად აღარ არსებობდა. ბატონყმობის გაუქმებამ თუ მოუტანა სარგებლობა, ეს ისევ ბიუროკრატიას, ერთი მხრით, და ბურჟუაზიას, როგორც ქალაქის, ისე სოფლის, მეორე მხრით. გლეხების დიდი უმრავლესობის მდგომარეობა კი ნივთიერად კიდევ უფრო გაუარესდა. რაც შეეხება პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ს, იგი მხოლოდ ის-ის იყო ყალიბდებოდა, როგორც ახალი საზოგადოებრივი კლასი, კაპიტალისტური წარმოების თანდათან განვითარებასთან ერთად. როგორც ვიცით, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება ჩვენში მეტად დაგვიანდა; კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში იწყება დაახლოებით მხოლოდ გასული საუკუნის 60—70 წლებიდან. მართალია, როგორც აღებ-მიცემობის, ისე კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ გასული საუკუნის მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლებში უკვე საკმარისად გამოუთხარა ძირი ნატურალურ-პატრიარქალურ მეურნეობას, რაზედაც უმთავრესად ემყარებოდა

ფეოდალური წოდება, მაგრამ საზოგადოებრივი სასწორი ჯერ კიდევ თავად-აზნაურობისაკენ იყო გადახრილი. მთელი მაშინდელი კულტურა და საქმიანობა. სკოლა, თეატრი, ლიტერატურა, პრესა, ბანკი, — ყოველივე ეს განიცდიდა თავად-აზნაურობის მძაფრ გავლენას, ყოველივე ამას თავადაზნაურობის ბეჭედი ესვა: ყველაფერი რაც კი რამ კეთდებოდა, კეთდებოდა თავადაზნაურობისთვის და თავად-აზნაურობის საშუალებით. თუ თქვენ გადაშლით მაშინდელ დროგამოშვებით გამოცემებს. გაზეთებს და ჟურნალებს, თქვენ დარწმუნდებით, რომ მთელი მაშინდელი მწერლობა, პრესა და ყოველგვარი სხვა მოქმედება გაჟღენთილი იყო თავადაზნაურული სულით. გლეხობაზე ლაპარაკობდენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას თხოულობდენ თავადაზნაურობის ინტერესები. თვით ისინიც კი, რომლებიც ცნობილნი არიან ჩვენში „ტ ე ტ ი ე ბ ი ს მ ო ტ რ ფ ი ა ლ ე თ ა“ (ღარიბ გლეხების თანამგრძნობთა) სახელწოდებით და რომლებიც ჰბაძავდენ რუსეთის ნაროდნიკებს (მიხაილოვსკის, ნიკოლაი-ონის, ე. ვორონცოვს, კრივენკოს და სხვ.), — თვით ისინიც კი, სინამდვილეში ვიმეორებ, იმავე თავადაზნაურობას უპერდენ მხარს; იმათ თანაგრძნობას გლეხებისადმი არსებითად მხოლოდ ქველმოქმედების ხასიათი ჰქონდა.

ბურჟუაზია, როგორც საზოგადოებრივი და გავლენიანი კლასი, განსაკუთრებით ქართველი ბურჟუაზია. ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ბურჟუაზია ყალიბდებოდა ჩვენში უმეტეს ნაწილად, სომხობიდან და შემდეგ სხვა ქვეყნებიდან მოსულ ელემენტებიდან (რუსები, ფრანგები, გერმანელები და სხვ.). ეს ელემენტები დაემკვიდრენ უმთავრესად ქ. ტფილისში, სადაც იმათ ადვილად შეესძლეს მაშინდელი ქალაქის გამგეობის და საბჭოს (гор. дума) ხელში ჩაგდება. ამგვარად ტფილისის ქალაქის მაშინდელ საბჭოდან ქართველობა, რომელიც შედარებით ქალაქის მოსახლეობის ღარიბ ნაწილს წარმოადგენდა. თითქმის სრულიად განდევნილი იყო. ამ გარემოებამ დაბადა უკმაყოფილება მაშინდელ ქართველ ინტელიგენციაში. რომელიც თითქმის ასი პროცენტით თავადაზნაურული იყო. თუ მივიღებთ ამასთანავე მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სოფლად გაკოტრებულ თავად-აზნაურთა ქონებას, მამულ-დედულს, ხელში იგდებდენ ჩალის ფასად უმეტეს ნაწილად სომეხი ვაჭარ-ჩარჩები, ნიადაგი ეროვნული შეულლისა ქართველებსა და სომხებს შორის უკვე მომზადებული იყო. მაშასადამე, ამ შეულს წმინდა ეკონომიური ხასიათის სარჩული ქონდა, ე. ი. ეს იყო ქიშპობა და მეტოქეობა ეკონომიურ ნიადაგზე, ერთი მხრით, გაკოტრებულ და გახარწნის გზაზე შემდგარ ქართველ თავად-აზნაურობასა და, მეორე მხრით, მდიდარ სომხობას შორის. ესენი ებრძოდენ ერთმანეთს, თვითოეული თავისი საკუთარი ინტერესებისათვის. მაგრამ იმათთვის ხელსაყრელი იყო ეს ბრძოლა გამოეტანათ როგორც სომხის, ისე ქართველი ხალხის წინაშე, როგორც ეროვნული ბრძოლა, ე. ი. ერთი მხრით. სომხის ბურჟუაზია აგონებდა სომხის ხალხს, რომ ქართველები მას გასაქანს არ აძლევენ, აყენებენ შევიწროებას; მეორე მხრით, ქართველი თავად-აზნაურული ინტელიგენცია, რომლის ხელში იყო მაშინ მთელი ქართული პრესა, ჟურნალ-გაზეთობა, ლიტერატურა და სხვა. ქართველ ხალხს უმტკიცებდა, რომ ერთად-ერთი მ ი ს ი მ ტ ე რ ი და მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ი ე ს ს ო მ ხ ო ბ ა ა, და, მაშასადამე, ჰკა მაგათო. ამავე დროს რუსის მთავრობის ზო-

გი მოხელენი და პუბლიცისტები, როგორიც იყო, სხვათა შორის „ცნობილი“ ვ ე ლ ი ჩ კ ო, მეცადინეობდნენ კიდევ უფრო გაემწვავებიათ ისედაც გამწვავებული ურთიერთობა სომხებსა და ქართველებს შორის. ერთ დროს ეს ვაჟ-ბატონი ათავსებდა გაზ. „კაეკაზ“-ში პირდაპირ პროვოკაციულ წერილებს, სადაც იგი აქეზებდა ქართველებს სომხების წინააღმდეგ. ისე რომ სომხის ხალხს და ქართველებს რომ დაეჯერებინათ ამ ვაჟბატონებისთვის, ისინი უთუოდ ერთმანეთს პირდაპირ ყანყრატოში უნდა სცემოდენ და ერთმანეთი ამოეწყვიტათ. საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა, ვინაიდან ხალხი არ წამოეგო შოვინისტების და პროვოკატორების მიერ გადაგდებულ ანკესზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა. იმ ხანებში (გასული საუკუნის უკანასკნელი ათეული წლები) როგორც ქართული, ისე სომხური პრესა სულ ერთიანად კაციჭამია შოვინისტების ხელში იყო (ქართულ ენაზე „ივერია“ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით; შემდეგ ჟურნალი „მ ო ა მ ბ ე“, რამდენიმედ თვით „კ ვ ა ლ ი“-ც პირველ ხანებში და სხვ. სომხურ ენაზე „ნ ო რ-დ ა რ ი“, „მ შ ა კ ი“ და სხვ.). მთელი ეს პრესა მეტი თუ ნაკლები გულმოდგინეთ განაგრძობდა შოვინიზმის და ანტაგონიზმის თესვას ორ მოძმე ხალხ შორის. მართალია, აშკარა შეტაკებამდე საქმე არ მისულა, მაგრამ ასეთი პროპაგანდა ორ მეზობელ ხალხში მეტად არა სასურველ სულიერ განწყობილებას ქმნიდა. რადგანაც პრესის უმთავრესი საგანი იმ დროს შეიქნა ურთიერთობა ქართველებსა და სომხებს შორის, ხალხშიაც ეს საგანი შეადგენდა უმთავრეს სალაპარაკო მასალას.

მეორე საკითხი, რომელიც იმ ხანებში იპყრობდა მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის და პრესის უდიდეს ყურადღებას ბ ა ნ კ ი ს ს ა კ ი თ ხ ი იყო. ე. ი. ტ ფ ი ლ ი ს ი ს და ქ უ თ ა ი ს ი ს ს ა თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა ნ კ ე ბ ი ს სვეტები. ჩვენ ახალთაობისათვის მეტად საძნელოა იმის წარმოდგენა, თუ როგორ და რა ზომამდე იპყრობდა მაშინდელი პრესის და საზოგადოების ყურადღებას სათავადაზნაურო ბანკების საკითხი; ახლანდელ თაობას გაუჭირდება წარმოიდგინოს ის, თუ როგორ ხდებოდა, რომ საზოგადოება სულ ძალად გატაცებული იყო იმ დავა-კამათით, რომელიც ამ ბანკების გარშემო სწარმოებდა. შეიძლება ითქვას, რომ მაშინდელი ინტელიგენცია ბანკების საკითხში ორ ბანაკად იყო გაყოფილი. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ამ მხრით მას რაიმე პრინციპიალური საკითხი ჰყოფდა. აქ იყო მხოლოდ პირადი ინტერესები: ტფილისის ბანკის ირგვლივ ერთმანეთს ებრძოდენ ორი თავადი: ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე და ი ვ ა ნ ე მ ა ჩ ა ბ ე ლ ი და ამათი ამყოლ-დამყოლნი. ქუთაისის ბანკის ხელში ჩასაგდებად იბრძოდენ: თ-დი დ ა დ ი ა ნ ი და აზნაური ჩ ი კ ვ ა ი ძ ე. საქმე მხოლოდ იმაში იყო, თუ ვინ ან რომელი ჯგუფი ჩაიგდებდა ხელში სათავადაზნაურო ბანკს. რადგანაც ის კარგა მოზრდილი და გემრიელი ლუკმა იყო. და აი ეს ბრძოლა, რასაც მაშინ „ბახკობიადა“-ს უწოდებდენ, საშინლად იტაცებდა მაშინდელი ინტელიგენციის და ახალგაზდობის დიდ ნაწილს. ამაზე სწერდენ და ლაპარაკობდენ განუწყვეტლივ.

ზევით ნათქვამიდან ნათლად სჩანს, თუ რა აინტერესებდა ყველაზე უფრო მაშინდელ ქართველ საზოგადოებას; რაც შეეხება ხალხის ნამდვილ გასაჭირს, მის ჭირ-ვარამს, ამისთვის არავინ ზრუნავდა, პრესასაც ეს ნაკლებად აწუხებდა. მაგრამ არც მაშინდელი ქართველი ინტელიგენცია და არც მაშინდელი ქარ-

ოული პრესა ჩვენ სანამდვილეს უკვე აღარ გამოხატავდენ. ამ სინამდვილეში, ხალხის სიღრმეში, ძირითადი ცვლილებები ხდებოდა. ყოველივე ეს შედეგი იყო აღებ-მიცემობისა და კაპიტალისტური წარმოების განვითარების და გამაგრებისა. ერთი მხრით ქალაქებში (ტფილისი, ბათუმი, ჭიათურა) გროვდებოდენ სოფლებიდან ჩამოსული გლეხი-მუშები და აქედან ყალიბდებოდა თანამედროვე ქალაქის მუშათა კლასი ყველა თავისი შედეგებით. მეორე მხრივ, სოფლად გლეხების მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, და, მაშასადამე, აუცილებელი იყო მათში უკმაყოფილების გაძლიერებაც არსებულ წესების წინააღმდეგ. ამგვარად უკვე წარმოიშვენ სრულიად ახალი სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობანი, რომელთაც აუცილებლად ადრე იქნებოდა თუ გვიან თავი უნდა ეჩინათ ცხოვრებაში. ეს ნიშნავდა იმას. რომ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება იცვლებოდა ან რამდენიმედ უკვე გამოცვლილი იყო. ამას კი, თავის-თავად აუცილებლად უნდა გამოეწვია ცვლილებები სხვადასხვა იდეოლოგიურ ზედნაშენში, მაშასადამე. არც იმ სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომლებიც იმ დროს არსებობდენ და რომელთა იდეური ბაგაჟი მდგომარეობდა ან თავად-აზნაურობის ინტერესების დაცვაში ან საქართველოს წარსულისათვის გუნდრუკის კმევაში, და კიდევ უფრო, არც მაშინდელ ქართულ პრესას აღარ ძალუძდა საზოგადოების ახლად წარმოშობილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

მართლაც, იმ დროს ჩვენ ეხედავთ სხვადასხვა ცდას ამ მხრით. ჩნდებიან სხვადასხვა საიდუმლო წრეები მოსწავლე ახალგაზდობაში, ხელსნებში. მუშებში; აარსებენ ხელნაწერ გაზეთებს და სხვ. ასე და ამგვარად სოციალისტურ იდეების გადმოსანერგავად ჩვენში გასული საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში ნიადაგი უკვე მომწიფებული იყო. და ეს სოციალისტური იდეები რუსეთიდან გადმოდის ჩვენში მაშინ უმთავრესად მარქსიზმის სახით. ჩვენ ვიცით. რომ ამ იდეების გავრცელებას რამდენიმედ ნიადაგს უმზადებდენ ჩვენში ეგ. ნინოშვილის მოთხრობები, რომელიც მაშინდელ ქართულ გაზეთებში იბეჭდებოდენ (1889 — 93 წ.წ.). მართალია, ამ მოთხრობების შინაარსი განსაკუთრებით სოფელს და გლეხს ეხებოდა, და პირველი შეხედვით ეს მოთხრობები თითქო უწყინარი იყვნენ მაშინდელი საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წესწყობილებისათვის, მაგრამ არსებითად ეს მოთხრობები არევოლიუციონერებდენ მკითხველებს, ისინი იწვევდენ მკითხველებში ზიზღს და პროტესტს არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, და ამ ნაირად იმათ შექონდათ ხალხში რევოლიუციონური სული.

საყურადღებოა, რომ ამ შესანიშნავ მოთხრობების ავტორი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში (1892 — 94) რევოლიუციონურ-ბუნტარულ. „ნაროდნაია ვოლიას“ მიმართულებას სამოლოდ ეთხოვებოდა და სავსებით ითვისებდა მარქსისტულ მსოფლმხედველობას. ამავე დროს მისივე თაოსნობით და მონაწილეობით არსდება ტფილისში და შემდეგ ქუთაისში ახალგაზდების საიდუმლო წრეები მარქსისტული მიმართულებისა. იქ შედიოდენ უმეტეს ნაწილად ტფილისის სასულიერო სემინარიიდან და სამასწავლებლო ინსტიტუტიდან გამორიცხული შეგირდები. ამ რიგად 1892 — 5 წლებში ჩნდებიან ჩვენში მარქსისტული წრეები.

სადაც მონაწილეობას იღებენ განსაკუთრებით ახალგაზდა ინტელიგენციის პატარ-პატარა ჯგუფები; ეს ჯგუფები ჯერ მეცადინეობდენ მხოლოდ თვითგანვითარების მიზნით ფარულად, და მისი არსებობა ჯერ არავინ იცოდა. მაგრამ აი, 1894 წელს, მაისში, გარდაიცვალა ეგ. ნინოშვილი და მის დასაფლავების დროს მოხდა ამ ჯგუფის საჯარო გ ა მ ო ს ვ ლ ა (ს. ჯიბლაძის სიტყვა). ეს საკმარისი იყო, რომ მთელი მაშინდელი ჩვენი საზოგადოება, რომელსაც ობის სუნი ასდიოდა, ერთბაშად აყაყანებულიყო. ამ ახალი მიმართულების (ე. ი. მარქსიზმის მიმდევრები) ჯგუფი მოინათლა „მ ე ს ა მ ე დ ა ს ე ლ ე ბ ი ს“ სახელწოდებით. გ. წერეთლის ყოველკვირეული ჟურნალი „კ ვ ა ლ ი“, რომელიც გამოდიოდა 1892 წლიდან და რომელთანაც მესამე დასელების ჯგუფის ზოგიერთ წარმომადგენლებს კავშირი ქონდათ, თუმცა არა უხვად, მაგრამ მაინც უწევდა ერთნაირი სტუმართმოყვარეობას მესამე დასელებს — იმათი წერილების გამოქვეყნებით.

მესამე დასელთა საჯარო გამოსვლამ, რის მეოხებით ქართულ პრესაში პირველად გამომჟღავნებულ და აღიარებულ იქნენ მარქსის იდეები, ერთი მხრით, და იმ გარემოებამ, რომ ამ იდეებს, ყველას მოულოდნელად, თვით საქართველოშიაც გამოუჩნდენ მიმდევრები და მქადაგებელნი, მეორე მხრით, მთელი მაშინდელი ჩვენი ეგრედწოდებული საზოგადოება ააშფოთა და დარაზმა ამათ წინააღმდეგ. მესამე დასელებს ამტყუნებდენ და ბრალს სდებდენ ყველაფერში. მათ სწამებდენ სამშობლოს მტრობას და ღალატს. ყველა ამაზე პასუხის გაცემა მეტად ძნელი იყო, ორი მთავარი მიზეზის გამო: 1) მესამე დასელებს საკუთარი ორგანო არ ჰქონდათ, და რაც შეეხება „კვალს“, ის ყოველთვის როდი უწევდა მათ სტუმართმოყვარეობას, პირველ ხანებში მაინც; 2) მაშინ, როცა მესამე დასელების მოწინააღმდეგეებს ადვილად შეეძლოთ ყველაფერის თქმა, მარქსისტების სალანძღავათა და გასაბიაბრუებლად, მესამე დასელები მოკლებული იყვნენ თავისუფლად წერის საშუალებას. ბევრი რამის შესახებ ისინი იძულებული იყვნენ: ან ელაპარაკნათ ეზოპის ენით ან სრულებით გაჩუმებულიყვნენ. მიუხედავად ამ მეტად არახელსაყრელ პირობებისა, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გამარჯვება ატეხილ კამათში მესამე დასელებსა და „ივერია“-„მოამბის“ (ჭავჭავაძე, ღალი, ნალი, ვ. წ. და სხ.) ბანაკს შორის თითქმის ყოველთვის პირველების, ე. ი. მესამე დასელების ანუ მარქსისტების მხარეზე რჩებოდა. და ეს მით უფრო, რომ მთელი მუშათა კლასის აშკარა თანაგრძნობა იმათ მხარეზე იყო. ამას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. გარდა ამისა, რაც კი საღი და ცხოველმყოფელი ელემენტი იყო, ახალგაზდობაში, თანდათან მარქსისტების ბანაკში გადადიოდა. ეს იყო უდიდესი აღფრთოვანების ხანა, როცა ახალგაზრდობა, ყოველივე ანგარების გარეშე. საერთო ინტერესების გულისათვის, განსაკუთრებით მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად მზად იყო თავი განეწირა და სიამოვნებით ელოდებოდა ისეთ მომენტს, როცა იგი ამას საქმით განახორციელებდა.

იმ ახალგაზდებში, რომლებიც სწორედ აი ამ ხანებში გადადიოდენ მარქსისტების ბანაკში, პირველი ადგილი უთუოდ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე (ს ა შ ა) წ უ ლ უ კ ი ძ ე ს ეკუთვნის.

იმ დროს, რომელზედაც ჩვენ ეხლა ვლაპარაკობთ, ე. ი. გასული საუკუნის მეოთხმოცდაათე წლების მეორე ნახევარში (1895 — 99 წ.წ.) ალ. წულუკიძის გადასვლა მარქსისტების მხარეზე, რაც იმავე დროს ნიშნავდა მის გადასვლას მუშათა კლასის მხარეზე, მეტად არა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. თუ მარქსისტების ბანაკში გადადიოდა ეგრედწოდებული „რაზნოჩინური“, ე. ი. დაბალ წოდებებიდან გამოსული ინტელიგენცია, რომელსაც უკვე ჰქონდა მრავალი მიზეზი უკმაყოფილებისათვის არსებული წესწყობილების, ე. ი. მეფის თვითმპყრობელობის და ბიუროკრატიულ თავად-აზნაურულ ბატონობის წინააღმდეგ, —ეს სულ ადვილად აიხსნებოდა, ვინაიდან ამ ინტელიგენციას უკვე ნაცადი ქონდა თავის-თავზე თვიმპყრობელობის სისასტიკე. მაგრამ როგორ მოხდა რომ მარქსიზმის. ე. ი. რევოლიუციის და სოციალიზმის ბანაკს მიემხრო ისეთი ახალგაზდა, რომლის არც წარსული და არც აწმყო, არც ჩამომავლობა და არც ის სოციალური წრე რომელშიაც იგი აღიზარდა, ამისთვის არავითარ საბაბს არ იძლეოდა?—ა. წულუკიძე ჩამომავლობით „ბრწყინვალე“ თავადთა წოდებას ეკუთვნოდა და მისი თავდაპირველი აღზრდა ამავე თავად-აზნაურულ წრეში ხდებოდა. მაშასადამე, მას პატარაობიდანვე აგონებდენ, რომ მისი სისხლი, როგორც ბრწყინვალე თავადის, სრულებით განირჩევა გლეხის სისხლისაგან, რომ გლეხკაცობა და საზოგადოდ მშრომელი ხალხი დაბალ მოდგმას ეკუთვნის, რომელმაც შრომაში და ტანჯვაში უნდა დალიოს სული, მაშინ, როცა ბრწყინვალე თავადობა მოწოდებულია მხოლოდ იმიტომ, რომ მუდამ ფუფუნებაში და შვება-ლხენაში იმყოფებოდესო. და აი ასეთ პირობებში დაბადებული და აღზრდილი ადამიანი, რომლიდანაც უნდა გამოსულიყო ან დიდი შეძლებული ოჯახის პატრონი ჩვეულებრივი ხელგაშლილი დარბაისელი თავადი, როგორიც იყო მისი მამა, (ეს უკეთეს შემთხვევაში), ან კიდევ ეგნ. ნინოშვილის ერთი მოთხრობის ტიპის „გმირი“, როგორიც იყო ტ ა რ ი ე ლ მ კ ლ ა ვ ა ძ ე (ეს უარეს შემთხვევაში). მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: საშა წულუკიძე, ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზდა 17 — 18 წლის ჭაბუკი, რომელიც ის-ის იყო წუმპეში უნდა ჩაყურყუმბულიყო, ერთბაშად მოსწყდა ბრწყინვალე წოდებას, ე. ი. მოსწყდა მჩაგვრელთა და მუქთა-ხორათა რიგებს, ჩამოშორდა მდიდრულ და ფუფუნებიან ცხოვრებას და დაეშვა საზოგადოების ფსკერზე, ე. ი. გადავიდა და მიეკედლა იმათ, ვინც იყვენ დაჩაგრული და ტანჯულ-წამებული, მიეკედლა და შეეთვისა მშრომელთა კლასს. ვიქტორ ჰიუგო ერთ ადგილას, სადაც იგი ლაპარაკობს ნაპოლეონების შესახებ. ამბობს, რომ ის კი არაა გასაკვირვალი — დაბალი წოდებიდან ზეით აცოცდე და სახელმწიფოს სათავეში წამოსკუპდეო, არამედ ის, რომ მაღლიდან შეგნებულად დაბლისაკენ დაეშვაო. აი სწორედ ასეთი რამ გასაკვირვალი მოხდა ამ. შემთხვევაშიაც. მაგრამ მაინც საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ მოხდა ასეთი. პირველი შეხედვით საკვირველი ამბავი? რა იყო ამის მიზეზი? არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ალ. წულუკიძის დაახლოვება მარქსიზმთან ხდება დაახლოვებით 1895 — 6 წლებში, ე. ი. სწორედ იმ დროს, როცა ქართულ პრესაში მოხდა მარქსისტების პირველი საჯარო გამოსვლა, რამაც უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინ ყველაზე. დამოუკიდებლად იმისა, თანაუგრძნობდნენ მას თუ ეწინააღმდეგებოდენ. ყველა ამათ თავისი ურთიერთობა რაიმე სახით უთუოდ

უნდა გამოეჩინათ ახალ მიმართულებასთან, ახალ მსოფლმხედველობასთან — მარქსიზმთან. — მართალია, მარქსიზმის მიღება მთელი თავისი პრაქტიკული დასკვნებით მაშინ საკმარისად დიდ მსხვერპლს თხოულობდა, მაგრამ ეს გაუმობა არაოდეს არ აჩერებდა იმათ, ვისაც ხალხის ბედნიერება და მისი სამსახური ჰქონდა მიზნად დასახული; და გაზვიადება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ყველა ისინი, ვინც ჯანსაღ ელემენტს წარმოადგენდენ, ვინც მომავალისაკენ იცქირებოდენ, ხდებოდენ მარქსის იდეების მომხრეებად ან თანამგრძნობლებად მაინც. საზოგადოების დანარჩენი ნაწილი კი, განურჩევლად ყოველივე ჯგუფობრივი დაყოფისა, მარქსიზმის წინააღმდეგ ირაზმებოდა. ერთი სიტყვით, მარქსისტების პირველმა გამოსვლამ მწერლობაში იმ თავითვე მაშინდელი ქართული საზოგადოება ორ ნაწილად, ორ ბანაკად გაყო: ერთ ბანაკში თავი უნდა მოეყარათ იმათ, ვინც რევოლიუციის და სოციალიზმის მომხრე იყო, მეორეში კი — იმათ, ვინც მომხრე იყო ძველი წესწყობილების, ე. ი. ადამიანთა ჩაგვრის და ექსპლოატაციის (ყვლეფის), ანუ ვინც იცავდა თვითმპყრობელობას, თავად-აზნაურობას, ბურჟუაზიას და სხვ.. აი სწორედ ასეთ დროს ალ. წულუკიძემ არჩია რევოლიუციას და სოციალიზმს მიკედლებოდა. ასეთი იყო მისი არჩევანი, და ეს იყო დიდი ბედნიერება მაშრალთათვის. თუ რა მიზეზებმა შეუწყვეს ხელი, რომ ალ. წულუკიძე გადავიდა მუშათა კლასის მხარეზე, — ამას შემდეგ ვიტყვით.

II

ალექსანდრე გიორგისძე (გიგოს-ძე) წულუკიძე დაიბადა დ. ხონში 1876 წ. 1 აგვისტოს *). სამწუხაროდ, ბიოგრაფიული ხასიათის ცნობები და მასალა ალ. წულუკიძის შესახებ, განსაკუთრებით მისი დაბადების და პატარაობის დროიდან, ძლიერ ნაკლები გვაქვს.

როგორც ზევით იყო ნათქვამი, ალ. წულუკიძე შთამომავლობით თავადი იყო. მამა მისი გრიგოლი (ჩვეულებრივ გიგო წულუკიძე) ერთ დროს მთელ ქვემო იმერეთში საკმარისად განთქმული თავადი იყო თავისი ფართო და ხელგაშლილი ცხოვრებით. იგი იყო ძველებური დროის ქართველი დარბაისელი თავადი, მეტისმეტად გულკეთილი და წყნარი ხასიათის ადამიანი **). როგორც ვიცით. საერთოდ ქართველი თავად-აზნაურობის ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევარში, თავისი უდარდელი, ხელგაშლილი და ფართო ცხოვრებით, პირდაპირ საარაკოდ იყო გადაქცეული. ქართველ თავადებში იშვიათად თუ ვინმე ხელმომჭირნე გამოდგებოდა. ქართველ თავად-აზნაურობის ერთად-ერთ საცხოვრებელ წყაროს შეადგენდა მამულ-დედული, ანუ მიწა, რომელსაც გლეხები ამუშავებდენ სხვადასხვა პირობებით. გლეხები მიწის უქონლობის ან სივიწროვის გამო იძულებული იყვენ, მემამულე თავადების მიწები აეღოთ დასამუშავებლად პირდაპირ აუტანელ პირობებში. მაგრამ მიწის შემო-

*) ეს ბიოგრაფიული ცნობები ალ. წულუკიძის შესახებ ამოღებულია ჟურნ. „მოგზაურიდან“ (1905 წ. № 22) ნ. ელიავას წერილიდან: „ალ. წულუკიძე“. ამ ცნობებს მე დავუმატებ მხოლოდ ზოგიერთ რამეს, განსაკუთრებით ჩემი პირადი მოგონებებიდან.

**) ალექსანდრეს მამა — გიგო წულუკიძე გარდაიცვალა 1924 წელს, ღრმა მოხუცებული.

სავალი თავადებს აღარ ჰყოფნიდათ. ამიტომ იმათ იწყეს ვალების აღება და მიწების დაგირავება ბანკებში. ეს იყო პირდაპირი გზა იმათი გაღატაკებისაკენ: ფულების გამოტანა ბანკებიდან მიწის გირავნობის ქვეშ ადვილი იყო, მაგრამ ბანკის ვალის გასტუმრება — ეს უფრო ძნელი საქმე შეიქნა ქართველ ხელგაშლილ თავად-აზნაურობისათვის. მიწის შემოსავალი ახლა თითქმის სავსებით ვალში და ვალის სარგებელში მიდიოდა ანდა მიწა იყიდებოდა ვალში და თავად-აზნაურობა ცარიელზე რჩებოდა. ამგვარად ოდესღაც მდიდარი, უდარდელი და ხელგაშლილი თავადის ოჯახი შემდეგ სიღარიბეში ვარდებოდა. ასეთი თავადები იძულებული ხდებოდენ რაიმე სამსახური ეძებნათ, რომელიმე დაწესებულებაში. რა თქმა უნდა, თავად-აზნაურობას ყოველთვის უპირატესობა ჰქონდა მაშინ ჯამაგირიანი ადგილის მიღების საქმეში.

როგორც ვთქვი, თავადი გიგო ერთი იმ დარბაისელ თავადთაგანი იყო, რომლებიც მეტად ფართოდ და ხელგაშლილად ცხოვრობდენ იმ ხანებში. აშკარაა, მასაც ისეთი ბედი ელოდა, როგორც სხვა მის მსგავსებს. ერთ დროს მდიდარმა ოჯახმა ვეღარ აიტანა ხელგაშლილი ცხოვრება, და თავადი გიგოც დაღარიბდა. ეს დარბაისელი ქართველი თავადიშვილი, რომელმაც წინედ არ იცოდა. თუ რა იყო შრომა ან ფულისათვის სამსახური, იძულებული შეიქნა სადმე სამსახური ეძებნა და ერთ დროს მართლაც იშოვნა ასეთი სამსახური სათავად-აზნაურო ბანკში დამფასებლად. და უნდა წარმოგედგინათ რას ემსგავსებოდა ეს დარბაისელი რაინდული სახის და უკვე ხანში შესული თავადი ასეთ როლში!

უნდა ვიფიქროთ, რომ ალექსანდრეს (საშას) დაბადების დროს თავად გიგოს ოჯახს ჯერ კიდევ არ ეტყობოდა დაღარიბება. მაგრამ ამისათვის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო. ჩვენ ვიცით, რომ პატარა საშა ბავშვობის დროს იზრდებოდა დიდ ფუფუნებაში, მას რაც შეიძლება ანებივრებდენ, და ეს მით უფრო, რომ იგი იყო მამის ერთად-ერთი შვილი. საშას დედა მისი დაბადების შემდეგ ჩქარა გარდაიცვალა, რამდენადაც ვიცი ჭლექისაგან. რა თქმა უნდა. ყველა ძმამას უყვარს თავისი შვილი, მაგრამ. როგორც გადმოგვცემენ მომსწრენი, საშას მამის სიყვარული თავის შვილისადმი რაღაც განსაკუთრებული ხასიათის იყო. ამ სიყვარულს ქონდა რაღაც ძალდაუტანებელი, ამხანაგური, მეტად მიმზიდველი თვისება. მეც თითონ ვყოფილვარ მოწმე და მნახველი ამ არაჩვეულებრივი მოპყრობისა მამის მხრით და საერთოდ მეტად იშვიათი ურთიერთ-დამოკიდებულებისა მათ შორის. მაგრამ ეს ეკუთვნის უკვე მერმინდელ ხანას, როცა საშა უკვე დაეაჟკაცებული იყო.

დედის მაგივრობას საშას უწევდა მ ა მ ი დ ა ნ ი ნ ო (ჩიქოვანისა). ეს უკანასკნელი გამოუთქმელი მზრუნველობით უვლიდა საშას პატარაობიდანვე და ეს მზრუნველობა მას არ მოუკლია საშასათვის უკანასკნელ წუთამდე.

თავის-თავად იგულისხმება, რომ თავადი გიგო ერთად-ერთ თავის ვაჟს უსწავლელად არ დასტოვებდა. ქართველი თავად-აზნაურობა ამ ხანებში საერთოდ სწავლა-განათლებას ძლიერ ეტანებოდა. რადგანაც ამაში ხედავდენ ისინი ერთად-ერთ გამოსავალს. ერთად-ერთ საშუალებას ცხოვრებისათვის.

თქმა არ უნდა. თავადი გიგოც ფიქრობდა თავის ვაჟისთვის უმაღლესი სასწავლებელი გაეთავებინა, რომ მისგან რომელიმე დიდი მოხელე (დიდი ჩინოვ-

ნიკი) გამოსულიყო, და დიდი ადგილი მიეღო. პირველდაწყებითი სწავლა და მომზადება საშას ოჯახში მიაღებინეს. თუ რაგვარი იყო ეს სწავლა ან ვინ იყო მისი მასწავლებელი ამ დროს, — ჩვენ არ ვიცით. ჩვენ გვაქვს უტყუარი საბუთი ვიფიქროთ, რომ საშამ სახლში შეისწავლა მხოლოდ ქართული წერა-კითხვა. და შემდეგ მიაბარეს მოსამზადებლად ხლებნიკოვის პანსიონში ქ. ქუთაისში.

ოჯახში საშა იზრდებოდა თავისუფლად და დიდ ნებივრობაში. ბავშვის ნებისყოფა არ იზღუდებოდა. ადვილი შესაძლებელია, რომ ასეთი აღზრდის წყალობით გამოსულიყო თვითნება და აბეზარი ადამიანი. მაგრამ ამ პირობებმა ხელი შეუწყვეს იმას, რომ საშაში განვითარდა მტკიცე ხასიათი და მაგარი ნებისყოფა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საშა უხვად იყო ბუნებისაგან ნიჭით დაჯილდოვებული და მასთან მას ქონდა მეტად ფაქიზი ბუნება, ჩვენ დავინახავთ, რომ ალ. წულუკიძეში შეერთებული იყვენ ყველა ის თვისებები. რომლებიც საზოგადოდ საჭიროა საზოგადოებრივ მოღვაწისათვის. კერძო პანსიონიდან საშა ჩქარა პროგიმნაზიაში გადაიყვანეს. აქ კი საშა წულუკიძეს უკვე დაეტყო ყველა ის თვისებები (დამოუკიდებელი ხასიათი, მტკიცე ნებისყოფა, ფაქიზი ბუნება), რომლებშიაც სასწავლებლის უფროსობა ავ, ანუ ცუდ ზნეს, ცუდ ყოფაქცევას ხედავდა. სასწავლებლის სულის შემხუთავი რეჟიმი და მასწავლებლების მშრალი, ფორმალისტური და მომაკვდინებელი მოპყრობა მოწაფეებისადმი, პირდაპირ აუტანელი შეიქნა ნებივრობას და თავისუფლებას შეჩვეულ საშასთვის. ადვილი ასახსნელია, რომ საშა ვერ შეეგუებოდა ასეთ სულის შემხუთავ პირობებს, ასეთ მშრალ და გამაშეშებელ ფორმალისტიკას. რასაკვირველია, იგი იძულებული იყო ერთ ხანს შეგუებოდა და ეთმინა ეს პირობები. მაგრამ სასწავლებლის უფროსობა ვერ ითმენდა საშას, ამ უკანასკნელსაც სძულდა სასწავლებელი. როგორც იყო საშამ გაათავა პროგიმნაზია და გადავიდა გიმნაზიის მეხუთე კლასში. მაგრამ ახლა კი გაიმსო მოთმინების ფიალა: მან ვეღარ გაუძლო სკოლის სულისშემხუთავ რეჟიმს და იგი სამუდამოდ სტოვებს სკოლას. ეს ამბავი სამწუხარო იყო ორნაირად: 1) ნიჭიერი ჭაბუკი ეთხოვებოდა სწავლა-განათლებას და 2) შესაძლებელი იყო იგი დაემონებია მაცდურ წრეს, ე. ი. მოყოლოდა იმ ახალგაზრდა „რაინდების“ გავლენის ქვეშ, რომლებიც იმ ხანებში მრავლად მოიპოვებოდენ ქუთაისში და რომლებიც მარტო ლოთობაში, არშიყობაში და ცუდად ხეტიალში ატარებდენ დროს. ეს ახალგაზრდებიც თავადაზნაურთა ოჯახებიდან იყვენ. და მასთან გამოგდებული სასწავლებლებიდან, როგორც არამზადები ან სწავლისათვის უნიჭოები. ალექსანდრე წულუკიძე თითქო უნდა შეერთებოდა ამ ახალ ყაიდის არამზადა — მოხეტიალე „რაინდებს“. თითქო სხვა გზა მისთვის აღარ იყო. და ერთ დროს იგი თითქმის კიდეეაც აჰყვა იმათ. მაგრამ ამ ვაჟბატონების უსაქმო და ფუქსავატი ცხოვრება, იმათი ქეიფი და უქმად ხეტიალი მიუღებელი იყო ალ. წულუკიძის მეტად ფაქიზი და კეთილშობილი ბუნებისათვის. იგი ვერ ითვისებდა და ვერ იგუებდა ასეთ ცხოვრებას; იგი ეძებდა რაღაც მაღალს, რაღაც ნამდვილ კეთილშობილურს. ეს იყო ის დრო, როცა მარქსისტების პირველი გამოსვლა მოხდა ჩვენში პრესის საშუალებით და ეჭა-იქ არსებობდენ კიდეეაც მარქსისტების ვიწრო წრეები და ჯგუფები. საშა

წულუკიძე ეცნობა ამ წრის რამდენიმე წევრს. ეს იყო ყველაზე უფრო საბედისწერო მომენტი ალ. წულუკიძის ცხოვრებაში. იგი მიადგა ჯვარედინს: ერთ მხარეზე მხიარული და უდარდელი ცხოვრება, დროს ტარება, ქეიფი და სხვ., ხოლო მეორე მხარეზე მას ელოდებოდა შრომა, გასაჭირი, ათასგვარი უსიამოვნება და სხვ. იგი თავს ანებებს პირველ გზას და ირჩევს მეორეს. გატაცებით კითხულობს წიგნებს, იწყებს ლექსების და მოთხრობების წერას *). მაგრამ გადაკრით დაადგა საშა ამ გზას მას შემდეგ, როცა იგი დაუახლოვდა მესამე დასელთა (მარქსისტების) ჯგუფს. როგორც ვთქვით, ეს მოხდა დაახლოვებით 1895 6 წლებში. სწორედ ამავე ხანებში საშა წულუკიძეს ამხანაგები აცნობენ ამხ. მ ი ხ ა ს ტ ა ყ ა ი ა ს, რომელიც იმ დროს ქუთაისში ცხოვრობდა. აი, როგორ აგვიწერს ამ შეხვედრას თვით ამხ. მიხა ტყაკაია. „აი, ამ დროს. დაახლოვებით 1895 — 6 წ.წ. გამაცნო წრის ერთმა წევრმა „ევროპიულად" კარგად ჩაცმული მაღალი-წარბა, ძლიერ სიმპატიური, მიმზიდველი სახის და ახოვანი ახალგაზდა. — დ. თან ხუმრობის კილოთი დაუმატა: შენ, მიხა, ტანისამოსს ნუ უყურებ. ეს ჩოხოსანი და მკლავაძეა... და ახლა ახალ სიოს ჩვენსკენ გადმოუსერიაო!.. ეს იყო საშა!... და მართლაც, მორიგ რეფერატად მან აიღო თემა: „ეგნატე ნინოშვილის ტარიელ მკლავაძის გარჩევა" (იხ. „საქართველოს კომუნისტი", 1920 წლ. № 3, შემდ. „მიწის მუშა", 1923 წლ., № 82).

სამწუხაროდ, ამხ. მიხა არ ეხება უფრო დაწვრილებით ამ შეხვედრის ამბავს. ოტა უფრო დაწვრილებით აგვიწერს ამ ხანას საშა წულუკიძის ცხოვრებაში მისი პირველი ბიოგრაფი ნ.ე-ვა. აი რას ამბობს იგი ამის შესახებ: „1896 წელს საშა ჯერ ქუთაისში და შემდეგ ტფილისში გაეცნო ცხოვრებაში ახალ გაშოსულ ჯგუფს (ე. ი. მესამე დასელების. ფ. მ.), რომლის წმინდა იდეალებმა მალე წარიტაცეს მისი გონება, და ამ დღიდან იგი დაადგა იმ მიმართულებას, რომლის სამსახურს შეალია თავისი ხანმოკლე სიცოცხლე. მალე იგრძნო საშამ. რომ მისი მომზადება-განვითარება არ იყო საკმარისი საფუძვლად დადებოდა პრაქტიკულ მოღვაწეობას და შეუდგა თვითგანვითარების საქმეს. მეცადინეობდა გატაცებით თავედავიწყებამდე. არა ერთი და ორი ღამე გაუთენებია წიგნზე. ასეთი შრომით მისი ნიჭიერი ბუნების წყალობით საშა მალე გაუსწორდა ბევრ მის ხელმძღვანელ ამხანაგს და მათ შორის საპატიო ადგილი დაიჭირა. ამ დროს ქუთაისში გახშირებული იყო რეფერატების კითხვა, რასაც ადგილობრივი განათლებულნი ქალ-ვაჟნი დიდი ინტერესით ესწრებოდენ, რადგან ეს რეფერატები აცნობებდენ ახალ მოძღვრებას (ე. ი. მარქსიზმს. ფ. მ.), აყენებდენ ახალ კითხვებს მსმენელთა გონების წინაშე; მათ ესწრებოდენ მოძღვრების (მარქსიზმის. მ. ფ.) მოწინააღმდეგენიც და იმართებოდა კამათი ორ მიმართულების წარმომადგენელთა შორის. ა ქ ა ხ ა ლ გ ა ზ დ ა ო ც ი წ ლ ი ს ჭ ა ბ უ კ ს ს ა შ ა ს ს წ ო რ ე დ რ ო მ ს ა პ ა ტ ი ო ა დ გ ი ლ ი ე ჭ ი რ ა. როცა მაზე მიდგებოდა ლაპარაკის ჯერი. ყველა სიამოვნებით მიაპყრობდა თვალებს ნორჩ ორატორს და დარწმუნებული იყო, რომ

*) ერთი ამ მოთხრობათაგანი, ნ. ე-ვას სიტყვით. თითქო კოდეც ყოფილა დაბეჭდილი ერთ-ერთ მაშინდელ გამოცემაში. მაგრამ, სამწუხაროდ. ჩვენ ეს ვერ აღმოვაჩინეთ. ამავე ავტორის სიტყვით, საშას დაუწერია ლექსების და მოთხრობების მთელი რეული. რომელიც ავტორს (ნ. ე-ვას) თითონ უნახავს. ეს რეულიც დაკარგულია.

იგი გონივრულად დააყენებდა საკითხს, რამე ახალ მხარეს ახდიდა ფარდას, ახალ საბუთს და განმარტებას წარმოადგენდა"... („მოგზაური", 1905 წ. № 22).

აქედან მკითხველი რამდენიმედ გაიგებს, თუ როგორ დაეწაფა საშა წულუკიძე მარქსიზმის თეორიის შესწავლას. იგი გაიგებს, თუ რა წარმატებით მიდიოდა წინ მისი მეცადინეობა. მკითხველი გაიგებს აქედან იმასაც, თუ რა საშუალებით ხდებოდა მაშინ მარქსიზმის გაცნობა და შეთვისება მაშინდელი ახალგაზდების მიერ. ეს იყო თვითგანვითარების გზა. მარქსისტული ლიტერატურა იმ დროს თითქმის არ იყო, ან სულ ცოტა იყო; ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად უფრო განვითარებული ამხანაგები სწერდენ რეფერატებს, რომლებსაც ისინი კითხულობდენ ახალგაზრდობის კრებებზე, სადაც იმართებოდა კამათი.

ზეგით მოყვანილი სიტყვებიდან სჩანს, რომ საშა წულუკიძეს სულ მოკლე ხანში ძლიერ გამოუჩენია თავი როგორც რეფერატების წერაში. ისე კამათის დროსაც. „როცა საშა ლაპარაკობდა, — დასძენს იგივე ავტორი. — ყველას იმედი გვქონდა მისი ნიჭის და ლოგიკის. მომზრეც და მოპირდაპირეც გულდასმით. ამხანაგები კი გულდამშვიდებით ვისმენდით მის ენაწყლიან საუბარსო".

მაგრამ რამდენადაც არ უნდა დაწინაურებულიყო საშა წულუკიძე თავისი განვითარებით და მარქსის თეორიის შეთვისებით ქუთაისის და ტფილისის ტოლამხანაგებში, ის ცოდნა, რომელიც მას ჰქონდა შეძენილი, არ აკმაყოფილებდა და არც შეიძლებოდა. რომ დაეკმაყოფილებია იგი. ამიტომ მან გადასწყვიტა წასულიყო მოსკოვს, სადაც, როგორც იგი ფიქრობდა, მას შეეძლო თავისი ცოდნა გაეფართოვებია. განსაკუთრებით იგი ფიქრობდა, რომ მოსკოვში მას საშუალება ექნება მარქსიზმის საფუძვლიანად შესწავლისა. როგორც ნათესავები, ისე ნაცნობ-მეგობრები არ ურჩევდენ საშას მოსკოვში წასვლას. კიდევაც უშლიდენ მას იქ გამგზავრებას სუსტი აგებულების გამო. რადგანაც ვინც მას ახლო იცნობდა, დარწმუნებული იყვენ, რომ საშას ორგანიზმი ვერ აიტანდა მოსკოვის ჰაეს. მაგრამ არავითარი ასეთი მოსაზრება საშაზე არ მოქმედობდა. 1897 წელს შემოდგომაზე იგი მიემგზავრება მოსკოვს, სადაც რჩება დაახლოებით 1899 წლის გაზაფხულამდე.

საშა წულუკიძეს გადაწყვეტილი ჰქონდა შეესწავლა პოლიტიკური ეკონომია: ამ მიზნით იგი ჩაეწერა მოსკოვის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად. რადგანაც, როგორც გიმნაზიაში კურს დაუმთავრებელს, მას უფლება არ ჰქონდა ნამდვილ სტუდენტად შესულიყო უმაღლეს სასწავლებელში. უნივერსიტეტში ისმენდა იგი ჩუპროვის და მანუილოვის ლექციებს პოლიტიკური ეკონომიის შესახებ: მაგრამ ეს პროფესორები, რა თქმა უნდა. მას ვერ დააკმაყოფილებდენ, ვინაიდან ისინი არ სცნობდენ მარქსის თეორიას. ან თუ სცნობდენ მხოლოდ რამდენიმედ და ისიც უფრო წვრილმან საკითხებში. საერთოდ ისინი მარქსის თეორიას აკრიტიკებდენ. და ყოველ შემთხვევაში, რუსეთის სინამდვილეში ისინი მას ალერგიულობდენ. მაგრამ საშას ქონდა სხვა საშუალება შეესწავლა მარქსიზმი. იგი დამოუკიდებლად ცდილობდა თავის მიზნის განხორციელებას. მოსკოვის საუკეთესო ბიბლიოთეკები, იმათ შორის რუმიანცევის მუზეუმის ბიბლიოთეკაც, მისთვის მუდამ ღია იყო; და როგორც ძალზე მოწყურებული კაცი, ისე ხარბად

დაეწაფა იგი საუკეთესო მეცნიერების ნაწერებს პოლიტიკური ეკონომიის დარგში. იგი მეცადინეობდა უზომოდ. გარდა ამისა, მოსკოვში მან მოიწადინა სიმწიფის მოწმობაზე, ე. ი. გიმნაზიის კურსზე, ეგზამენის დაჭერა; ამისთვის იგი შეუდგა კიდეც გიმნაზიის საგნების შესწავლას, რაც დიდ დროს ართმევდა, და თითქმის მიზანშეუწონელიც იყო ამისთვის დროს დაკარგვა. ამას გრძნობდენ მოსკოვში მყოფი ქუთათური ამხანაგებიც, მაგრამ საშას ამას ვერ ეუბნებოდენ. ბოლოს თვითან საშა დარწმუნდა, რომ გიმნაზიის ატესტატისთვის მზადება უაზრო იყო, და გადაწყვიტა ამისთვის თავის განებება.

მოსკოვში დაყო საშამ თითქმის ორი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მან იქ ბევრი რამ შეიძინა; საფუძვლიანად გაეცნო მარქსის მოძღვრებას, პოლიტიკურ ეკონომიას, დიალექტურ მატერიალიზმს, — კერძოდ მუშათა საკითხს და მუშათა მოძრაობას ევროპაში და სხვ. ერთი სიტყვით ალ. წულუკიძე გახდა საესებით მ ო მ ზ ა დ ე ბ უ ლ ი მ ა რ ქ ს ი ს ტ ი. იგი მომზადებული შეიქნა, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც. ამას მოწმობენ ერთი მხრით მისი ნ ა წ ე რ ე ბ ი, და მეორე მხრით მისი პ ა რ ტ ი უ ლ ი მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა; ერთიც და მეორეც საესებით გაიშალა მოსკოვიდან მისი დაბრუნების შემდეგ საქართველოში.

ს. წულუკიძემ ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო უკვე მოსკოვში ყოფნის დროს. ყოველ შემთხვევაში მისი პირველი წერილები, მარქსისტული თვალსაზრისის მიხედვით დაწერილები და გამოქვეყნებულები 1898 წელს ჟურ. „ცვალ"-ში სათაურით: „ა ხ ა ლ ი ტ ი პ ი ჩ ვ ე ნ ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი". (№№ 44. 45 და 48, 1898 წ.), ეკუთვნის სწორედ იმ ხანას, როცა იგი მოსკოვში იმყოფებოდა.

მაგრამ სამწუხაროდ, ალ. წულუკიძის მოსკოვში ცხოვრება მისი სიცოცხლისათვის საბედისწერო შეიქნა. მოსკოვის ჰაერმ, როგორც მოსალოდნელი იყო, ცუდი გავლენა იქონია მის აგებულებაზე; უკვე მოსკოვში ყოფნის დროს გამოაჩნდა მას უტყუარი ნიშნები ქლექისა. ამიტომაც დაანჩარა მან სამშობლოში დაბრუნება. ეს მოხდა 1899 წლის გაზაფხულს: ჩქარა, ამავე გაზაფხულზე საშა ქორწინებით დაუკავშირდა მის მიერ არჩეულ ე ლ ე ნ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ს, რომელიც იყო და დარჩა მისი სამაგალითო მეგობარი და ტოლ-ამხანაგი, როგორც ოჯახურ ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობის დროს. ეს ორი ადამიანი ცოლქმრობის მართლაც იშვიათ მაგალითს წარმოადგენდენ. იმათი კავშირი იყო ნამდვილ მეგობრულ-ამხანაგური. ამიერიდან ეს ცოლქმარი შეუდგა დამოუკიდებელ ცხოვრებას თ ა ვ ი ს ი შ რ ო მ ი თ. თავადი გიგოს სიმდიდრე ამ დროს უკვე გამქრალი იყო, და მისგან მხოლოდ წარსულის „დიდების" მოგონებალა თუ დარჩენილიყო.

საშამ ეს გარემოება უკვე იცოდა უფრო ადრე. ამიტომ მოსკოვში ყოფნის დროს, მან სხვათა შორის შეისწავლა ბუხჰალტერიაც იმ მიზნით, რომ ცხოვრებისთვის რაიმე სახსარი გაეჩინა. და აი ეს ცოლქმარი მე გავიცანი სწორედ იმ დროს, როცა ისინი ტფილისში ჩამოსულები შესდგომოდენ თავისი შრომით ცხოვრებას: საშა თავისი საბუხჰალტერო ცოდნის გამოყენებით რკინისგზის სამართველოში და ელენე კი როგორც მასწავლებელი კერძო გაკვეთილების აღე-

ბით. ეს იყო 1899 წლის შემოდგომაზე. მე შემთხვევით ვიყავი ტფილისში ჩამოსული არალეგალურად სიღნაღის მაზრიდან, მითავდებოდა პოლიციის მხედველობის ქვეშ ყოფნის ვადა, და ვოცნებობდი საზღვარგარეთ გამგზავრებაზე. პირადი გაცნობა მოხდა ს. ჯიბლაძის საშუალებით. მე იძულებული ვიყავი ტფილისი ჩქარა დამეტოვებია. მახსოვს მხოლოდ 1900 წლის გარიჟრაჟებაზე, როცა მე ისევ ტფილისში მომიხდა ჩამოსვლა — ახალი წლის გამო მოვხვედი ჩვენი საუკეთესო ამხანაგების მიერ გამართულ საიდუმლო საღამოზე — საშას ბინაზე. ეს ის „საღამო“ იყო, რომელზედაც იგონებენ ჩვენი ამხანაგები: ა რ ა ქ ე ლ ა ო ქ უ ა შ ვ ი ლ ი, გ. ჩ ხ ე ი ძ ე დ ა რ ა ჟ დ ე ნ კ ა ლ ა ძ ე (იხ. „საქართვ. კომუნისტი“, 1920 წ., № 3), ე. ი. ის საღამო, სადაც მსჯელობა იყო „კონკის“ გაფიცვის ჩატარების შესახებ.

არ შეიძლება არ მოვიყვანოთ აქ ერთი ადგილი ამხ. არაქელას და გიორგი ჩხეიძის წერილიდან, რომელიც იმათ უძღვნეს საშას ხსოვნას: „ჩვენ ეხლაც თვალწინ გვიდგას — ამბობენ ისინი აქ, — 1899 წ. ახალი წლის წინა ღამეს (1900 წ.), როგორ შეეკრიბეთ მის (საშას) სახლში, ვითომც ახალი წლის შესაგებებლად. ეს კონსპირატიული ხრიკი იყო, ნამდვილად კი უნდა მოგველაპარაკნა კონკის მუშების გაფიცვის შესახებ... ამ საქმეში საშა იღებდა მონაწილეობას... საქმე მეტად გამწვავებული იყო და ყველაზე საშიშ ადგილას საშა პირველი მიდიოდა. ეს მუშებს გვამხნევებდა და ბრძოლის სულს გვიდგამდა... მეორე დღეს, ე. ი. ახალწელიწადს, ნაძალადევში იყო კრება არაქელას სახლში. საშა მოვიდა დიდი კეტით ხელში მუხლამდის ტალახში ამოსვრილი, და მოინდომა თავის კეტით მონაწილეობის მიღება იმ ტერორისტებში, რომელთაც გამცემლები უნდა დაესაჯათ. ამხანაგებს დიდი შრომა დასჭირდათ დაერწმუნებიათ საშა, რომ იგი საჭირო არ იყო ამ საქმისათვის“... ამასვე ამოწმებს თავის წერილში ამხ. რ. კალაძეც.

უნდა დავსძინოთ აქ, რომ საშას საქციელს ამ შემთხვევაში არავითარი მეტიჩრობის ან თავისი თავის „გამოჩენის“ ნასახიც არ ჰქონებია. აქ გამოითქმოდა მხოლოდ მისი კეთილშობილური ხასიათი — შეერთებული ნამდვილ რაინდულ თავგანწირული ბრძოლის მაღალ გრძნობასთან. ეს იყო. როგორც იტყვიან, მ თ ლ ი ა ნ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ე რ თ ი ნ ა ჯ რ ი დ ა ნ ა მ ო ს ხ მ უ ლ ი. მან არ იცოდა გაორება; რასაც ამბობდა ს ი ტ ყ ვ ი თ, ის უნდა შეესრულებია ს ა ქ მ ე თ. იგი ამ შემთხვევაში ვერ იტანდა გაყოფას სიტყვასა და საქმეს შორის. თუ ხელმძღვანელები, ე. ი. მეთაურები ქადაგებდენ ბრძოლას და მუშებს ურჩევდენ აჯ ბრძოლაში ჩაბმას, იგი ფიქრობდა, რომ მასაც ამ ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა უნდა მიეღო მუშებთან ერთად. ჩვენ ვიცით, რომ მოწინავე მუშები ჩვენში მოძრაობის დასაწყისში ამ საკითხის შესახებ სულ სხვა აზრისანი იყვნენ. ისინი მსჯელობდნენ ასე: ინტელიგენტი-ხელმძღვანელები ჩვენ ცოტა გვყავს, ამიტომ ისინი ჩვენ უნდა დავზოგოთ. თუ ისინი უშუალოდ ჩაერევიან ბრძოლაში, მაშინ იგინი ადვილად ჩაუვარდებიან მთავრობას ხელში და ეს უფრო ავნებს მუშათა მოძრაობის საქმესო. საშა წულუკიძე, როგორც ხედავთ, ვერ ურიგდებოდა მუშაობის ასეთ განაწილებას მუშებსა და ინტელიგენტ-ხელმძღვანელებს შორის.

ამ ამბის შემდეგ (1900 წ. 1 იანვ.) გავიდა წელიწადზე მეტი, რომ მე პირადად აღარ შეეხვედრივარ საშას. ხელმეორედ შეეხვდი უკვე ბათომში, დაახლოვებით 1901 წლის გაზაფხულზე. ალ. წულუკიძე გადაესახლა ოჯახებით ბათომში უფრო თავისი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ვინაიდან ტფილისში იგი ამ მხრით დიდად შეეიწროვებული იყო. მან მიიღო ადგილი რომელღაც ბანკში თვეში 100 მან. ჯამაგირით. ეს იმ დროს კარგ ჯამაგირად ითვლებოდა. ეს სწორედ ის დროიყო, როცა ბათომში მუშათა მოძრაობა იწყებოდა. ბათომში ცხოვრობდენ მაშინ კარლო ჩხეიძე და ის. რამიშვილი. ორმლებიც თუმცა მარქსისტებად (მესამე დასელებად) ირიცხებოდენ, მაგრამ ეს ასე იყო მხოლოდ თეორიაში, სიტყვით, ხოლო საქმით ამისთვის ხელსაც არ ანძრევდენ. ყოველ შემთხვევაში ჯერ იქ ორგანიზაციის ნასახიც არ იყო. საშას გამოჩენის შემდეგ ბათომში მუშაობა ამ მხრით გაცხოველდა და ჩქარა ჩამოყალიბდა ორგანიზაციის სახით. მაგრამ მან ვეღარ შესძლო დიდი ხნით იქ დარჩენა, იმიტომ, რომ ბათომის ნესტიანი და ციებ-ცხელებიანი ჰავა მისთვის მავნებელი გამოდგა, თუ იმიტომ, რომ მისმა სუსტმა აგებულებამ ის გაძლიერებული შრომა და ჯაფა, რომელსაც იგი უკანასკნელ წლების განმავლობაში განუწყვეტლივ ეწეოდა, ვეღარ აიტანა, საშას ავადმყოფობამ ბათომში სერიოზული სახე მიიღო. ფილტვევები იმ ზომამდე გამოაჩნდა დაზიანებული, რომ საჭირო შეიქნა ბათომიდან წასვლა და სამსახურისთვის თავის დანებებაც *). ამნაირად საშა თავს ანებებს სამსახურს და გადადის საცხოვრებლად ისევ ქუთაისში, სადაც მისი მამა და ნათესავები ცხოვრობდენ. რა თქმა უნდა, მისი ჯანმრთელობის გამოსაბრუნებლად საჭირო იყო სოხუმი და აბასთუმანი, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო უსახსრობის გამო. ეს იყო 1902 წელს. სწორედ ამ ხანებში მეც მომიხდა ქუთაისში ცხოვრება, სადაც ვიმყოფებოდი პოლიციის და ჟანდარმერიის მხედველობის ქვეშ.

ამ ხანებში საშას მდგომარეობა მეტად გაჭირვებული და კრიტიკული იყო. მის ავადმყოფობას ზედ დაერთო მისი ორი პატარა ბავშვის ხანგრძლივი ავადმყოფობაც. ამათი ხსნა შეუძლებელი შეიქნა; ისინი დაიღუპენ ტვინის ანთებისაგან ტუბერკულიოზის ნიადაგზე. თვით მძიმე ავადმყოფს საშას უნდა გადაეტანა ასეთი დიდი უბედურება — ორი ბავშვის დაკარგვა. მის ნათესავებს და მახლობელ მეგობარ-ამხანაგებს დიდი შიში ჰქონდათ, რომ საშა ვერ გადაიტანდა ამ უბედურებას. რაც კი შესაძლებელი იყო, ვღებულობდით ყოველგვარ ზომებს მისი მდგომარეობის შესამსუბუქებლად ამ მხრით. მაგრამ ის, ვისაც ყველაზე დიდი სამსახური მიუძღვის ამაში,—ეს იყო მისი ცოლი—ამხ. ელენე. ეს იყო მხოლოდ მისი მეოხებით, რომ საშამ როგორღაც გადაიტანა ეს უბედურება.

რაც შეეხება თვით საშას ჯანმრთელობას, ამას არავითარი გაუმჯობესება არ ეტყობოდა. ნივთიერადაც საშას მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უნუგეშო ხდებოდა. მიუხედავად ამისა საშა გულს მაინც არ იტეხდა. მართალია, ავად-

*) საშას ბათომიდან წასვლა გამოწვეული იყო აგრეთვე იმით, რომ იქ დაავათმყოფდენ აგრეთვე მისი პატარა ბავშები, სახელდობრ ციებ-ცხელებით.

მყოფობის გამო იგი იძულებული შეიქნა სამსახურისათვის თავი დაენებებია. მაგრამ სამაგიეროდ მან გააძლიერა პარტიული და რევოლიუციური მუშაობა.

1902 წლიდან იწყება ჩვენში გლეხების მოძრაობა, განსაკუთრებით გურიაში. საშა ღებულობდა როგორც მუშების, ისე გლეხების მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას; იგი ადგენდა არალეგალურ ფურცლებს და მოწოდებებს. ესწრებოდა საიდუმლო კრებებს, თანამშრომლობდა როგორც ლეგალურ მარქსისტულ („კვალი"). ისე არალეგალურ („პროლეტარიატის ბრძოლა") გამოცემებში. შედიოდა სოც.-დემოკრატიულ პარტიის გურია-სამეგრელოს კომიტეტში. შემდეგ იგი არჩეულ იქნა აგრეთვე კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციების საკავშირო კომიტეტში. პარტიული და რევოლიუციონური მუშაობის მიზნით მას ხშირად უხდებოდა წასვლა-წამოსვლა კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში, უმეტესად ტფილისში, ბათომში, ჭიათურაში და სხვ.. ამავე დროს იგი ეწეოდა ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას. ასე, მაგალ. 1903 წელს მან გამოუშვა ცალკე წიგნთ „ოცნება და სინამდვილე", ხოლო 1904 წელს—„ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან". გარდა ამისა ათავსებდა პოლემიკურ და პუბლიცისტურ წერილებს ჯერ „კვალში" და შემდეგ „მოგზაურში".

განსაკუთრებული აქტივობა და სიმხნეევე გამოიჩინა ალ. წულუკიძემ რევოლიუციურ მოღვაწეობაში იაპონიასთან ომის გამოცხადების შემდეგ 1904 წლის დასაწყისში. ჩვენ მაშინ უკვე ყველანი ვგრძნობდით, რომ ომი დააჩქარებდა რუსეთში რევოლიუციას და. მაშასადამე. თვითმპყრობელობის დამხობასაც. მაგრამ ჩვენთვის შედარებით ყველაზე მეტად სწამდა რევოლიუციის მოახლოვება საშა წულუკიძეს. ომის ამბები, ე. ი. რუსეთის ჯარების სასტიკი დამარცხებები ამართლებდენ ჩვენს ასეთ რწმენას, ვინაიდან აშკარა იყო. რომ რუსების ჯარების დამარცხება — ეს არსებითად რუსეთის თვითმპყრობელობის დამარცხება იყო. სხვანაირად მსჯელობა ნამდვილ რევოლიუციონერისათვის შეუძლებელიც იყო. რევოლიუციის დაახლოვების და გამარჯვების რწმენამ, სხვათა შორის, ისე გაიტაცა საშა, რომ ერთხელ მან ვიწრო წრეში ასე იხუმრა: „ნუ თუ ისე დაეშხობა მეფის თვითმპყრობელობა. რომ ერთხელაც ციხეში არ მოვყვეო". საქმე იმაში იყო, რომ მიუხედავად განუწყვეტელ, დიდ რევოლიუციონურ მუშაობისა რამდენიმე წლის განმავლობაში. მას ციხის კარები ჯერ მაინც არ ენახა, მაშინ, როცა მის ამხანაგებს ყველას თუ არა, მეტ ნაწილს მაინც საპყრობილეები და გადასახლება ან უკვე გამოვლილი ჰქონდათ ან სადმე ისხდნენ დაპატიმრებული. მაგრამ ამ შემთხვევაში საშა ჩქარობდა: თვითმპყრობელობის დანგრევა არც ისე ადვილი საქმე იყო. ყოველ შემთხვევაში, მან ერთი წლის შემდეგ იგემა ციხეც. 1905 წლის დასაწყისში იგი დატყვევებული იქნა ტფილისის ჟანდარმერიის მიერ. და მაშინ მე მომაგონდა საშას ზევითმოყვანილი ხუმრობა.

ალ. წულუკიძე იყო რევოლიუციონური მარქსიზმის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი: იგი მტკიცედ და შეურყეველად იდგა ძველი „ისკრის" და ლენინის პლატფორმაზე. და ამისთვის წარმოუდგენელიც იყო სხვაგვარი პლატფორმა.

საერთოდ მაშინდელ ამიერ-კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციებში ოპორტიუნისტულ და რევიზიონისტურ ტენდენციებს ნაკლებად ჰქონდა ადგილი, შეიძლება ითქვას, რომ სრულებითაც არ ჰქონებია. და როცა 1903 წ. რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის მეორე ყრილობაზე მოხდა პარტიის ორ ნაწილად გათიშვა: „ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ა დ" და „მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ა დ", საქართველოში და, საერთოდ ამიერ-კავკასიაში მენშევიკები სანთლით საძებარი იყვნენ. აქ მაშინ თითქმის ყველანი ბოლშევიკები იყვნენ, ასე წარმოიდგინეთ, ისინიც კი, ვინც შემდეგში, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, უკიდურესი მენშევიკები გახდენ (ნ. ხომერიკი, ნ. რამიშვილი, არჩ. ჯაფარიძე და მრავალი სხვები *). ამიტომ არაფერი გასაკვირალი არაა. რომ საშა წულუკიძე თაეიდანვე მეორე ყრილობის შემდეგ ბოლშევიზმს მიემხრო. მაგრამ ჩვენთვის დღეს მეტად საინტერესოა ის, რომ საშა ბოლშევიზმის, ე. ი. ლენინიზმის ერთგული დარჩა მას შემდეგაც, რაც 1905 წლის დასაწყისში დაახლოებით, ჩვენში ერთგვარი მენშევიკური გადატრიალება მოხდა, და გუშინდელი გამოჩენილი ბოლშევიკები, მეორე დღეს უკიდეოეს და აუტანელ მენშევიკებად იქცენ. კიდეე მეტი: საშა წულუკიძე იმ ბოლშევიკთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც „ტ ე ე რ დ ო კ ა მ ე ნ ნ ე ბ ს" (მტკიცეზე უმტკიცეს) ეძახდენ. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ნ. ჟორდანიას (საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ) პირველ გამოსვლაზე ბოლშევიკების წინააღმდეგ ჩვენ პრესაში პასუხის გაცემა მიენდო საშა წულუკიძეს („მოგზაური", 1905 წ. № 6).

1904 წლის შემოდგომაზე ამხ. საშა პარტიულ დავალებათა გამო (იგი იყო კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციების ერთი ხელმძღვანელთაგანი) კვლავ ტფილისში გადმოსახლდა. ახლა იგი სულ ერთიანად პარტიულ მუშაობაში იყო გართული.

1905 წლის დასაწყისში მუშებში აგიტაციის გაწევის გამო, ეგრედწოდებულ „ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ბ ა ნ კ ე ტ ე ბ ი ს" შესახებ საშა შეპყრობილ იქნა ჟანდარმერიის მიერ და მოთავსებული მეტეხის ციხეში. იმავე დროს მეც დამატუსაღეს და იმავე ციხეში მომათავსეს მხოლოდ. სხვა კამერაში. მე ვიცოდი. რომ საშა იქეე. ჩემ გვერდით იჯდა. ციხეში სიცივე და სინესტე იყო. საშას თითქმის გამუდმებით ახველებდა. აშკარა იყო. რომ საპყრობილე მასზე ახდენდა დამღუპველ გავლენას. საბედნიეროდ, ჩვენ ჩქარა გამოგვიშვეს ციხიდან. და ჩვენ მხოლოდ მაშინ გაეიგეთ, რომ ჩვენი დაჭერის დროს პარტიაში დიდი ცვლილება მომხდარიყო: გუშინდელი ბოლშევიკები გამენშევიკებულიყვნენ და პარტიული მასა. რომელიც საკითხში არ იყო გარკვეული. გადაყავდათ თავისკენ. რუსეთში რევოლიუცია თითქმის დაწყებულად ითვლებოდა: მრავალი ემიგრანტები რუსეთში ბრუნდებოდენ. ამ დროს დაბრუნდა, სხვათა შორის. ნ. ჟორდანიაც, რომელიც ახდენდა მუშების კრებებს და ეწეოდა აგიტაციას ბოლშევიზმის წინა-

---

*) რაც შეეხება ნ. ჟორდანიასა და ს. ჯიბლაძეს. ისინი მაშინ საქართველოში არ იმყოფებოდენ: პირველი საზღვარგარედ. ე. ი. ევროპაში იყო, მეორე კი გადასახლებული იყო ყარმპირში. ეს ორი პიროვნება შეიქნა ჩვენში მენშევიზმის სულისჩამდგმელები, ვანსაკუთრებით კი პ-რველი.

აღმდეგ. ამ შემთხვევაში იგი არაფერს არ ზოგავდა, ოღონდ კი ლაფში ამოესვარა ბოლშევიზმი და მისი მეთაურები (განსაკუთრებით ლენინი). იგი მიმართავდა ყოველგვარ ცილისწამებას და დემაგოგიურ ოინებს (მაგ., ბოლშევიკები თითქო პირდაპირ ჯოხით ერეკებოდენ მუშებს პარტიიდან, რომ ბოლშევიკები დიდი ანუ მდიდარი ხალხის მომხრე არიანო და სხვადასხვა. ამგვარად გაჩაღდა შინაპარტიული ბრძოლა პარტიულ მასების დასაპყრობად. ეს ბრძოლა დისკუსიების სახით თანდათან მწვავდებოდა; არ იყო ისეთი ცილისწამება ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლის წინაშე მენშევიკების ბელადები შეჩერებულიყენენ. უნდა ვაღიაროთ გულახდილად, რომ გაურკვეველი მასა უმეტეს ნაწილად მენშევიკების ბელადებს უჯერიდა და იმათ მიჰყვებოდა. მხოლოდ მუშების უფრო შეგნებული ელემენტები რჩებოდენ შეურყეველად ბოლშევიზმის პოზიციაზე.

ციხიდან გამოშვების შემდეგ ჩვენ გადაეწყვიტეთ, რომ საშა წასულიყო ქუთაისში მამის ოჯახში დასასვენებლად. მაგრამ შეიძლებოდა კი იმ დროს დასვენება, როცა რევოლიუცია კარზე გვიკაკუნებდა, ერთი მხრით, და როცა მენშევიკების ბელადები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეწეოდა საზიზღარ კამპანიას ბოლშევიკების წინააღმდეგ და რევოლიუციას დაღუპვა მოელოდა მეორე მხრით? — ყოველ შემთხვევაში ეს შეუძლებელი იყო ისეთი ადამიანისთვის, როგორიც საშა წულუკიძე. და მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი გატაცებით, რომელიც მის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენდა, იგი ჩაება როგორც უკვე გაჩაღებულ რევოლიუციონურ ბრძოლაში, ისე მენშევიკების მიერ დაწყებულ დისკუსიაში. მაგრამ თუ რევოლიუციონური მუშაობის წარმოება დიდ ნაყოფს იძლეოდა და ამიტომ მეტად დამაკმაყოფილებელი იყო, სამაგიეროდ დისკუსიას მენშევიკებთან, განსაკუთრებით იმ გამწვავებული სახით, როგორც ის სწარმოებდა. შეჰქონდა მხოლოდ დეზორგანიზაცია რევოლიუციონურად განწყობილ მუშებში და გლეხებში და მასთან იწვევდა უზომო გაღიზიანებას პარტიულ ამხანაგებში. უნდა ვსთქვათ, რომ ყველა ერთნაირად როდი უდგებოდა ამ დისკუსიას, და ყველაზე ერთნაირად არ მოქმედებდა იგი. განსაკუთრებით დამღუპველი შედეგი მოჰყვა მენშევიკებთან დისკუსიას ძვირფასი საშა წულუკიძის ჯანმრთელობისათვის, რომელიც უკვე ძალზე შერყეული იყო ავადმყოფობით, უზომო შრომით და ბოლოს ციხეში ჯდომითაც ცივ ზამთარში. ის კი არ იყო საყურადღებო, რომ მენშევიკების ბელადები ტყუილებით და ცილისწამებით ცდილობდენ ბოლშევიკების დამარცხებას, არამედ ის, რომ ეს ვაჟბატონები პირად შეურაცხყოფასაც არ გაურბოდენ, ოღონდ კი ამით ევნოთ ბოლშევიკების ავტორიტეტისთვის ხალხში. შეიძლება ითქვას, რომ კამათის ასეთი ხასიათი და კიდო პირდაპირ საბედისწერო შეიქნა საშასათვის და ამ გარემოებამ დააჩქარა საშინელი კატასტროფა.

სამი უკანასკნელი თვე ალ. წულუკიძის სიცოცხლისა, რომელიც მან გაატარა ქუთაისში (1905 წლის მარტი — მაისი) შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე უფრო ნაყოფიერ ხანად მთელ მის მოღვაწეობაში პარტიისა და რევოლიუციისათვის. ეს იყო უაღრესად ინტენსიური მუშაობის ხანა. თითქო იგი გრძნობდა, რომ დიდ ხანს ვეღარ გასძლებდა, და ამიტომ ცდილობდა, რომ ამ მცირე ხნის განმავლობაში ამოეწურა საკუთარი ენერგია რევოლიუციის და პარტიის

სამსახურში. ამ სამი თვის განმავლობაში მან გააკეთა იმდენი, რის გაკეთება ბევრ ჩვენგანს რამდენიმე წლის განმავლობაშიაც კი არ შეეძლო. ამ ხნის განმავლობაში მან მოასწრო მოეთავსებია ეურ. „მოგზაურში" რამდენიმე საყურადღებო წერილი („პატარა შენიშვნა დიდ კითხვაზე", „მუშათა კავშირები", „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები" და სხვ.). მან დასწერა რამდენიმე მოწოდება (პროკლამაცია) და განაგრძობდა თანამშრომლობას არალეგალურ გამოცემაში („პროლეტარიატის ბრძოლა"). მაგრამ რაც ყველაზე უმთავრესი იყო, ეს მისი გამოსვლები დიდ მიტინგებზე, მუშებში და გლეხებში რევოლიუციონური აგიტაციის გასაწევად და უმახლობელესი მონაწილეობა იმ დისკუსიებში, რაზედაც ზევით მოვიხსენიეთ. ალ. წულუკიძის, სოსო ჯიღაშვილის და სხვების მონაწილეობით ეს დისკუსიები მაშინ ჩატარებულ იქნენ განსაკუთრებით სამ ალაგას: ქუთაისში, ჭიათურაში და ხონში. მენშევიკებიდან ამ დისკუსიების დროს გამოდიოდენ მათი საუკეთესო ძალები (ნ. ხომერიკი, ნ. რამიშვილი, მინადა ორჯონიკიძე და სხვ.); იმათი მთავარი არგუმენტები იყო საზიზღარი დემაგოგია და ცილისწამება. ასე ი საშუალებით მიმართავდენ ისინი საშა წულუკიძის გასანადგურებლად ლოლიკის და ფაქტების წინააღმდეგ. საშა წულუკიძის უაღრესად კეთილშობილურ და ფაქიზ ბუნებაზე ყოველივე ეს საშინლად მოქმედებდა. ამ დისკუსიებზე დამსწრე საშას ახლო მეგობრების და ამხანაგების სიტყვიდან ვიცით, რომ საშაზე ეს დისკუსიები საშინელ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდენ, აქედან იგი ბრუნდებოდა დაქანცულ-დატანჯული, როგორც ფიზიკურად, ისე კიდევ უფრო ზნეობრივად. რა თქმა უნდა, წარმოუდგენელი იყო, რომ ვისმეს ნამცეცი ექვი შეეტანა საშას სისპეტაკეში და გულწრფელობაში, თვით მის მტრებსაც კი. მაგრამ საზიზღარი დემაგოგია და ცილისწამება, თუმცა დროებით, მაგრამ მაინც ახდენდა ერთნაირ გავლენას. დისკუსიები ხშირად გრძელდებოდენ განუწყვეტლივ რამდენსამე დღეს. განსაკუთრებით ცხარე და მწვავე ხასიათი მიიღო დისკუსიამ ჭიათურაში. ჭიათურის დისკუსიიდან დაბრუნებულ საშა ცუდად გრძნობდა თავს. იგი უკვე ავად იყო. მაგრამ ამ დროს დისკუსია იმართებოდა ხონში, სადაც თხოულობდენ საშას. და სრულიად ავადმყოფი იგი მიდის ხონში, ვინაიდან ამას მოითხოვდა რევოლიუციის და პარტიის ინტერესები. ხონშიაც რამდენიმე დღეს გრძელდება დისკუსია და იქიდან საშა ბრუნდება უკვე სერიოზული ავადმყოფი. მას განვითარებოდა ტუბერკულიოზის ნიადაგზე ერთი მხრით და უზომო ნერვიული მუშაობის მეორეთი. მეორე მხრით ტვინის ანთება (მენინგიტი). მისი ხანა ახლა უკვე შეუძლებელი იყო. იგი გარდაიცვალა ქ. ქუთაისში თავის მამის ოჯახში 8 ივნისს (1905 წ.) საშინელ ტანჯვის შემდეგ. იგი მოკვდა სულ ახალგაზდა, 29 წლის ეაკკაცი. რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოესწრო თავისი შემოქმედებითი ძალის სავსებით გაშლა. იგი დაეცა. როგორც ნამდვილი რევოლიუციონერი-შებრძოლი ბრძოლის ველზე. ერთხელაც არ გადაუხვევია იმ გზიდან, რომელიც მან აირჩია. როგორც კი პირველად შეაქცია ზურგი დახავსებულ წესწყობილებას. დრამოუმუულ წოდებას და შეუდგა შეგნებულ ცხოვრებას. ეს ხანა (პერიოდი) მისი სიცოცხლისა არ იყო ხანგრძლიეი (1896 — 1905), მაგრამ ის შეტად ნაყოფიერი და სასარგებლო იყო მუშათა მოძრაობისათვის. ამ ხნის განმავლობა-

ში მისი სიცოცხლე წარმოადგენდა ანთებულ სანთელს, რომელიც განუწყვეტლივ იწოდა და ამით იგი გზას უნათებდა მუშა ხალხს, რომელმაც მასში დაკარგა ერთ და იმავე დროს ერთი უერთგულესი მებრძოლთაგანი და ერთი ყველაზე საუკეთესო იდეოლოგთაგანი.

ალ. წულუკიძის გარდაცვალება ელვის სისწრაფით მოედვა მთელ ამიერკავკასიას. ამ ამბავმა ჩქარა მიაღწია აგრეთვე უფრო დაშორებულ ადგილებამდე. ყოველგან მუშების და გლეხების მასებში საშას უდროოდ დაკარგვას გამოუთქმელი მწუხარებით შეხვდენ.

მაგრამ სრულიად არაჩვეულებრივი და ჯერ არ ნახული სანახაობა იყო ალ. წულუკიძის დასაფლავება.

ალ. წულუკიძის მოღვაწეობა უმეტეს ნაწილად ფართო მასებისათვის დაფარული იყო, ვინაიდან ის ხდებოდა საიდუმლოდ, იატაკ-ქვეშ. მაგრამ მიუხედავად ამისა, საშას სახელი მაინც პოპულიარული გამხდარიყო. და ახლა მისი დასაფლავების დროს გამოაშკარავდა, რომ იგი უკვე გამხდარიყო ხალხის. მშრომელი მასის ნამდვილი ბ ე ლ ა დ ი და წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი.

დასაფლავება დაინიშნა 12 ივნისისათვის. ეს იყო კვირა დღე. ცა ჯერ მოწმენდილი იყო, მაგრამ შემდეგ მოიღრუბლა. მთელ დასავლეთ საქართველოში იმ დროს რევოლიუციონური მღელვარება სულ უფრო და უფრო მაღლა იწევდა. მაგრამ თვითმპყრობელობა ჯერ კიდევ ფეხზე იდგა. მთავარი სადავე ჯერ კიდევ მის ხელში იყო. მაგრამ აი ხალხი — დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყოველ მხრიდან ქალაქ-ადრიან მიეშურება მესხეთის ქუჩის ერთ დიდ ეზოში, სადაც ესვენა საშა წულუკიძის ნეშთი. ისინი მიეშურებიან წითელი დროშებით და გვირგვინებით. რომელზედაც ეწერა: „ძირს თვითმპყრობელობა". „გაუმარჯოს თავისუფლებას", „გაუმარჯოს სოც.-დემ. მუშათა პარტიას" და სხვადასხვა ჩქარა ივსება მოზღვავებული ხალხით გიგო წულუკიძის დიდი ეზო და ყველა ახლო-მახლო მდებარე ქუჩები. ტევა არაა. მუშა, გლეხი, ხელოსანი. მოწაფეობა, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი დღეს ესალმებიან თავის ძვირფას ამხანაგს. ხელმძღვანელს და მასწავლებელს, რომელმაც რევოლიუციისათვის და ხალხის ბედნიერებისათვის გასწირა თავი. ყველა ფიქრობს, ყველას ერთი აზრი აქვს თავში, რომ საშა წულუკიძე არ მომკვდარა, რომ იგი სამუდამოდ დარჩება იმათ გულში. აი უკვე სახლიდან გამოაქვთ კუბო საშას ნეშტით. და ასვენებენ ეზოში. იწყება რევოლიუციონური ცეცხლით აღგზნებული სიტყვები სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან ქართულად, რუსულად, სომხურად. კითხულობენ ბ. მდივანის წერილს, რომელიც იმ დროს ქუთაისის სატუსაღოში იჯდა. ყველაფერი ეს ხდება აშკარად, თვითმპყრობელობის აგენტების თვალწინ, თითქო აღშფოთებული ხალხი იწვევდა იმათ სამრავად. მაგრამ თვითმპყრობელობა ამ სანახაობის წინაშე უძლური იყო. იგი თავის-თავს დამარცხებულად სთვლიდა. ამიტომ გაშტერებული იყო და სდუმდა. დაახლოებით ცხრა საათის ნახევარზე სამგლოვიარო პროცესია დაიძრა ხონისაკენ (საშა იქ უნდა დაესაფლავებინათ). კუბოს წინ -აუარება გვირგვინები (80-მდე) და დელეგაციები მიუძღოდა. ამას თან მიყვებოდა 10.000 მეტი ხალხი. ქუთაისის ბოლოზე დაიწყო ჟონვა, რაც შემდეგ კოკისპირულ წვიმად გადაიქცა. ხალხიდან ერთი კაციც

კი არ დაბრუნებულა უკან ავდრის გამო. წვიმას არ გადაუღია ხონამდე. ალაგ-ალაგ სოფლებში (მაღლაკი, გუბი, კუხი) გლეხები წითელი დროშებით ხედებოდენ იმის ცხედარს, ვინც ასე თავგანწირულად იბრძოდა იმათი ინტერესებისათვის. ყოველგან გლეხების წარმომადგენლები ამბობდენ შესაფერ სიტყვებს.

მხოლოდ ნაშუადღევის სამ-ოთხ საათზე პროცესიამ მიახწია ხონს (25 ვერსზ ა ქუთაისიდან), სადაც საშასთეის გამზადებული იყო საუკუნოდ განსასვენებელი ადგილი. დასაფლავების წინ სამარეს ირგვლივ გაიმართა კოლოსალური მიტინგი. სადაც ერთ და იმავე დროს რამდენიმე ორატორი ამბობდა გამოსასალმებელ სიტყვას. დასაფლავება დამთავრდა მხოლოდ საღამოს 6-7 საათზე. ასე გამოეთხოვა ხალხი თავის საყვარელ და ძვირფას ხელმძღვანელს და ბელადს. ეს იყო უმაგალითო პატივისცემა მისდამი. რომელიც იშვიათად თუ ოდესმე რგებია ჩვენში ვისმეს.

დასასრულ, არ შემიძლია არ მოვიხსენიო აქ ერთი გარემოება. სახელდობრ — ერთი გვირგვინის წითელ ლენტზე (ეს გვირგვინი იყო ქუთაისის მოსწავლე ქალებისაგან) შემდეგი დამახასიათებელი სიტყვები იყო ამოქარგული: „Дыхание пошлости тебе дышать мешало". მართლაც ეს სიტყვები ზედგამოჭრილი იყო დაუვიწყარ საშაზე.

ალ. წულუკიძის გარდაცვალებას გამოეხმაურენ თავის დროზე სხვადასხვა პარტიები, იმათ შორის ჩვენი მოწინააღმდეგენიც. საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო აქ სიტყვა—სიტყვით ამ უკანასკნელთა გამოხმაურებანი, რომელთაგან ერთი ეკუთვნის სოც.-ფედერალისტების ბანაკს — დაწერილი სამ. ფირცხალავას (კალამი) მიერ და მეორე გაზ. „ივერიის" ბანაკიდან, რომელსაც მაშინ სათაურში ედგა ფ. გოგიჩაიშვილი.

ჯერ მოვიყვანოთ სოც.-ფედერალისტების აზრი.

ცნობილმა კალამმა უძღვნა ალ. წულუკიძის ხსოვნას შემდეგი წერილი:

„ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას

გარდაიცვალა ალ. წულუკიძე. მუშა ხალხის ერთი მეგობართაგანი. ერთი მებრძოლთაგანი...

ალ. წულუკიძე იყო სხვა პარტიის წევრი. იმ პარტიის კაცი, რომელიც მეტად ხშირად ისეთ შეუფერებელ საშუალებებს ხმარობს ჩვენს წინააღმდეგ, — და როდესაც კალამს ვიღებდი ხელში რამდენიმე სტრიქონის დასაწერად განსვენებულის შესახებ, მე ცოტათი მეძნელებოდა ეს. მეძნელებოდა იმ გამწვავებულ ურთიერთობისა გამო, რომელიც დამყარებულა დღეს ჩვენსა და მესამე დასელთა შორის...

სიმართლის გაგონება არავის უნდა; რაც უნდა გულწრფელი აზრი წარმოსთქვა. რაღაც ბოროტგანზრახვით უნდა ახსნას... მეძნელებოდა, მაგრამ უკუვაგდე ეს აზრი. განა განსვენებულის მუშაკის წინაშე ადგილი უნდა ჰქონდეს პარტიულ შოვინიზმს. განა სიკვდილმა არ უნდა დაგვაიწყებინოს ურთიერთ-

თან ბრძოლა და დროებით მაინც არ გავიგონოთ, არ გავიგოთ ერთმანეთის აზრები.

მაგრამ არა, მე არ ვწერ ცოცხლებისათვის. ვწერ მხოლოდ განსვენებულის სახელის პატივსაცემად, ვაფასებ მის მოღვაწეობას, მის ადამიანობას, კარგ ამხანაგობას.

განსვენებული იყო მეტად გულწრფელი მუშაკი, შეურიგებელი მებრძოლი ეიალანდელ წესწყობილებასთან და მუშა ხალხის ინტერესების დამცველი. ღრმად სწამდა ხალხის გამარჯვება და ამის რწმენა ამაგრებდა მის დაავადმყოფებულს გულს, აძლევდა ღონეს და სიცოცხლეს მის დაუძლურებულ სხეულს. უმოწყალო სენით იყო შეპყრობილი და უკანასკნელ წლებში ძალიან შეუძლოდ იყო, მაგრამ ხალხის გამოფხიზლება, ხალხის განვითარება და მისი ძლიერი ხმა ასულდგმულებდა განსვენებულს. მხოლოდ ხალხის სიცოცხლით სცოცხლობდა და ღღითი-ღღე ელოდა განთავისუფლების საათს...

ბუნებამ მაინც თავისი გაიტანა და უდროოდ გამოსტაცა სამშობლო ქვეყანას ერთი ერთგული მუშაკთაგანი" (იხ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2842). ხოლო გაზ. „ივერიამ" მოათავსა შემდეგი ნეკროლოგი:

„ალექსანდრე გრიგოლის ძე წულუკიძე

„ამ გამწვავებულ დროს, როდესაც თვითეულის მებრძოლის სიცოცხლე და მოქმედება უძვირფასესია ქვეყნისთვის, დაუნდობელმა სიკვდილმა წუთი სოფელს გამოასალმა ჯერედ სრულიად ახალგაზდა, ცხოვრების სიავესთან მებრძოლი — ალექსანდრე წულუკიძე.

ალექსანდრე ხალხის შვილი იყო და ამ ხალხის საკეთილდღეოდ სთესდა იმ აზრებს, რომლებმაც დღეს ასეთი დიდი ნაყოფი გამოიღო. ხალხი გამოფხიზლდა და ალექსანდრეს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა: დღეს თუ ხვალ მონობის ბორკილი დაიმსხვრევა და, რაც ვთესე, მოვიმკიო. მაგრამ ბედმა უმუხთლა. მას აღარ ეღირსა ის, რასაც ასე გულისფანცქალით მოელოდა.

ალექსანდრე წულუკიძე დაიბადა 1876 წ.. პირველი სწავლა ქუთაისის პროგიმნაზიაში მიიღო. პროგიმნაზიის გათავების შემდეგ, გადავიდა გიმნაზიის მეხუთე კლასში, მაგრამ აქაური რეჟიმი ვერ აიტანა და იმავე წელს თავი მიანება. ორი წლის შემდეგ ქუთაისში შესდგა ახალგაზდათა ჯგუფი, რომელშიაც ალექსანდრემ აქტიური მოქმედება დაიწყო.

1897 წელს ალექსანდრე გაემგზავრა მოსკოვში სოციალ-ეკონომიური საგნების შესასწავლად. ორი წლის შემდეგ იქიდან დაბრუნდა სამშობლოში და აქ იწყო მუშაობა.

იგი მუშაობდა არა მარტო პრაქტიკულად ცხოვრებაში. არამედ წერითაც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში: თანამშრომლობდა ჯერ „კვალ"-ში და შემდეგ „მოგზაურ"-ში. ორი მისი ნაწარმოები ცალკე წიგნებადაც დაიბეჭდა: „ოცნება და სინდამდვილე" და „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან".

ულმობელმა სენმა — ჭლექმა — არ დააცალა და უდროოდ მოუღო ბოლო ამ კარგის მისწრაფებით აღტკურვილ ახალგაზრდას" („ივერია", 1905 წ. № 97).

ზევით მოყვანილი წერილები, რომლებიც ჩვენ მოწინააღმდეგეებს ეკუთვნოდათ და რომლებიც მოკლედ შეიცავენ ალ. წულუკიძის დახასიათებას, საგულისხმიერო იყვნენ იმ მხრით, რომ მიუხედავად იმ გამწვავებული ურთიერთობისა, რომელიც არსებობდა ჩვენს პარტიასა და ქართველ წერილბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ მიმართულებათა შორის (სოც.-ფედერალისტები და ეროვნულ დემოკრატების წინამორბედნი), ისინი მაინც იძულებული იყვნენ ქედი მოეხარათ ალ. წულუკიძის ნიჭის და მისი სპეტაკი პიროვნების წინაშე. მე მგონია, ზევით მოყვანილი წერილები („ცნობის ფურცლიდან" და „ივერიიდან") მეტ განმარტებას არ საჭიროებენ.

მე არ შევეხები იმას, თუ როგორ შეეგება საშა წულუკიძის დაკარგვას ჩვენი მაშინდელი ლეგალური ჟურნალი „მოგზაური", რომლის საუკეთესო თანამშრომელი იყო განსვენებული. მაგრამ არ შემიძლია არ მოვიყვანო აქ ერთი ადგილი იმ წერილიდან, რომელიც მიუძღვნა ალ. წულუკიძეს ჩვენმა მაშინდელმა არალეგალურმა ჟურნალმა „პროლეტარიატის ბრძოლამ" თავის მოწინავე წერილში (1905 წ., № 9) სათაურით: „ალექსანდრე წულუკიძისხსოვნას". აგვიწერს რა საშას მოღვაწეობის მნიშვნელობას მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლაში და იმ დემოსტრაციას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ქონდა განსვენებულის დამარხვის დროს, ავტორი ასე ათავებს თავის წერილს:... „იგი იყო კავკასიის კავშირის ერთი საუკეთესო ამხანაგ-მოღვაწეთაგანი, სერიოზულად მომზადებული და ყველაზე უფრო გულმხურვალე მომხრე პარტიული „უმრავლესობისა" („ბოლშევიზმის")... „მას ნათლად ქონდა წარმოდგენილი, თუ რა მდგომარეობაშია დღეს პარტიული საქმე კავკასიაში. მაგრამ იგი მაინც მიუხედავად პარტიული კრიზისისა, მხნედ და სრული რწმენით გაიძახოდა სიკვდილის წინ: „იდეა მაინც გაიმარჯვებს"-ო.

— „დიახ გაიმარჯვებს იდეა, ამხანაგო-მეგობარო და ამ გამარჯვებაში შენც არა მცირედი ღვაწლი მიგიძღვის პარტიის წინაშე!... პროლეტარები და სოფლის ღატაკნი არ დაგივიწყებენ, როგორც ერთ გულწრფელ მებძოლთაგანს თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის"-ო. ეს უკანასკნელი სიტყვები პირდაპირ წინასწარმეტყველური აღმოჩდნენ, ვინაიდან იმ იდეამ, რომელზედაც ოცნებობდა ალ. წულუკიძე, თუმცა ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაიმარჯვა. ეს იდეა იყო მუშათა კლასის დიქტატურა და სოციალიზმი.

III.

პარტიულ ამხანაგების ვიწრო წრე უფრო აფასებდა ალ. წულუკიძეში რევოლიუციონურ მოღვაწეს, ე. ი. აგიტატორს, პროპაგანდისტს და ორგანიზატორს. და მართლაც, ამ მხრით იშვიათად, თუ ჩვენში მას ვინმე შეედრებოდა. და უნდა ითქვას, რომ თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მეტი ნაწილი მან სწორედ

უფრო პრაქტიკულ მოღვაწეობას მოანდომა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ფართო და საფუძვლიან მომზადებასთან ერთად მას ჰქონდა აგრეთვე დიდი ლიტერატურული ნიჭი, და რომ დასცლოდა, ან ლიტერატურული მუშაობისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები რომ ჰქონოდა, მისგან უთუოდ დიდი მწერალი გამოვიდოდა.

ყოველ შემთხვევაში ალ. წულუკიძისაგან ჩვენ გვაქვს დატოვებული ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ა ც, და შედარებით—არც მცირე. მე მსურს აქ რამდენიმედ მაინც გავაცნო მკითხველებს ალ. წულუკიძის ნაწერების მნიშვნელობა, ამ ნაწერების ხასიათი, ავტორის წერის მანერა და აგრეთვე ენა. მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდე, საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე აქ შემდეგ გარემოებაზე. საქმე იმაშია, რომ ალ. ძულუკიძის მრავალი ლიტერატურული ნაშრომი ან დაიკარგა ან იმათი გამოცნობა დღეს შეუძლებელია.

ამნაირად ჩვენამდის არ მოუღწევია ალ. წულუკიძის ხელნაწერ რვეულს, რომელშიაც იყო მის მიერ დაწერილი ლექსები და მოთხრობები და რომელსაც ასახელებს მის ბიოგრაფიაში ნ. ე-ვა. ამავე ავტორის სიტყვით, ალ. წულუკიძის რამდენიმე მოთხრობა თუ ლექსი დაბეჭდილიც ყოფილა მაშინდელ გამოცემებში, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ სრულებით არაფერი ვიცით.

ყველა ეს ბელეტრისტული ხასიათის ნაწერები ეკუთვნის იმ პერიოდს, როცა ავტორი ჯერ კიდეე არ განიცდიდა მესამე დასელთა გავლენას. შემდეგ ალ. წულუკიძის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი არალეგალური ფურცლებისა და მოწოდებებისა, რომელთა უმეტეს ნაწილს ჩვენამდე არ მოუხწევია ან თუ მოახწია, იმათი ავტორის გამოცნობა დღეს შეუძლებელია. ასევე უნდა ითქვას იმ წერილების შესახებ, რომლებიც არალეგალურ „ბრძოლაში“ იყვნენ მოთავსებული. გარდა ამისა, ყველაზე უფრო სამწუხაროა ის, რომ საშას ერთი ხელნაწერი, რომელზედაც იგი მუშაობდა უკანასკნელ დროს და რომელიც მიმართული იყო ნ. ჟორდანიას წინაალმდეგ, სამუდამოდ დაიღუპა მისი სიკვდილის შემდეგ. ამგვარად ალ. წულუკიძის ნაწერების კრებული, რომელიც ეხლა პირველად იბეჭდება, შეიცავს იმ სტატიებს და წერილებს, რომლებიც იბეჭდებოდენ „კ ვ ა ლ შ ი“ და „მ ო გ ზ ა უ რ“-ში და აგრეთვე იმ ორ ბროშურას, რომლებიც ცალკე წიგნებად იქნენ გამოცემული.

ალ. წულუკიძის ნაწერებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დაწერილია 21 — 28 წლის წინედ და ეხებიან უმეტეს ნაწილად მაშინდელ საკირ-ბორტო საკითხებს, დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. და ამას მე ვამბობ მას შემდეგ, რაც ამ წერილის დაწერის დროს, კვლავ მომიხდა იმათი გადაკითხვა. მასთან ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ეს წერილები შედგენილია ჯერ კიდევ მეფის თვითმპყრობელობის სრული ბატონობის დროს, ე. ი. იმ ხანაში, როცა ჩვენს ამხანაგებს უმეტეს ნაწილად მხოლოდ ეზოპის ენით შეეძლო წერა და ლაპარაკი. როცა არა თუ რუსეთის გამოჩენილ მარქსისტების (პლეხანოვის, ლენინის) დასახელება შეუძლებელი იყო, არამედ, როცა სახიფათო იყო მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრების მ ა რ ქ ს ი ს და ე ნ გ ე ლ ს ი ს ხსენებაც კი. გარდა ამისა, არც ის უნდა იქმნას დავიწყებული, რომ ეს ის დრო იყო, როცა მარქსისტული მსოფლმხედველობა და სოციალიზმის იდეები პირველად იკიდებდენ ჩვენში ფეხს.

ალ. წულუკიძის წერილებიდან თანამედროვე მკითხველი გაიგებს აგრეთვე იმას, თუ მარქსისტების პირველ თაობას ჩვენში როგორ პირობებში უხდებოდა მუშაობა, თუ რა სიძნელე და დაბრკოლებანი ეღობებოდენ წინ და სხვადასხვა. მაგრამ ალ. წულუკიძის ნაწერებს დღესაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ჩვენი მკითხველებისათვის, მუშებისა და გლეხებისათვის, და ეს მით უფრო, რომ ალექსანდრე სწერდა მეტად გასაგები და ფრიად მარტივი უბრალო ენით.

როგორც ნათქვამი იყო ზევით, ალ. წულუკიძის ნამდვილი ლიტერატურული მოღვაწეობა იწყება 1898 წლიდან, როცა მან პირველად მოათავსა ჟურ. „კვალში" კრიტიკული სტატია სათაურით: ა ხ ა ლ ი ტ ი პ ი ჩ ვ ე ნ ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი". ეს სტატია წარმოადგენს ლ ა ლ ი ო ნ ი ს (არს. მამულაიშვილის პსევდონიმია) ერთი მოთხრობის („ფირალი დაელაძე") კრიტიკულ გარჩევას, სადაც ავტორი უთითებდა მაშინდელ მკითხველებს ჩვენ ცხოვრებაში ახალი ტიპის (ნიკოს სახით) დაბადებაზე. რაც კაპიტალიზმის წარმოშობის ნიშანი იყო. აქვე ავტორი სარგებლობდა შემთხვევით მარქსის იდეების პოპულიარიზაციისათვის. ავტორი ამავე დროს აკრიტიკებდა და უარყოფდა იმ შეხედულებას ქართულ ხელოვნურ მწერლობაზე, რომელიც ამტკიცებდა, რომ მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლებში მესამოცე წლებთან შედარებით ქართული ხელოვნური ლიტერატურა დაეცა, დაკნინდა, ის აჩრდილიც აღარ არის იმის. რაც წინედ იყოვო და სხვ. და სხვ. თავის აზრის დასამტკიცებლად იგი უთითებდა ე. ნინოშვილზე, შ. არაგვისპირელზე, დ. კლდიაშვილზე. ლალიონზე და სხვ. თუმცა ავტორი ხელოვნურ ნაწარმოებთა გარჩევაში საკმარისად დიდ ნიკს იჩენდა, მაგრამ შემდეგში ასეთ თემებს იგი აღარ დაბრუნებია.

ალ. წულუკიძის ყველა ნაწერების გარჩევა აქ საჭირო არაა. მკითხველები თითონ გაეცნობიან ამ ნაწერებს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მის ზოგიერთ უფრო საყურადღებო ნაწერებს საჭიროა მაინც შევეხოთ. ავიღოთ ჯერ თუნდ მისი „ღ ი ა წ ე რ ი ლ ი გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ს", გამოქვეყნებული 1899 წელს აპრილის თვეში ჟურნ. „კვალში" (№ 16), სადაც ავტორი გ. წერეთელს იჭერდა აშკარა წინააღმდეგობაში. ეს „ღია წერილი" გამოწვეული იყო გ. წერეთლის ერთი სტატიით („ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები"). სადაც ავტორი (გ. წერეთელი) ამტკიცებდა. რომ ჩიკვაიძე არჩეული იქნა ბანკის თავმჯდომარედ ახლად აღორძინებულ კლასის (ე. ი. ბურ-,უაზიის) წყალობით თავის ინტერესების დასაცავადო. იმავე დროს კი ავტორის სიტყვებიდან გამოდიოდა, რომ ამ ვაჭარ-მრეწველთა კლასმა იმიტომ აირჩია ჩიკვაიძე, რომ ეს უკანასკნელი მას ვალების ან ნედოიმკების შეტანის საქმეში ყოველგვარ შელავათს მისცემდა სრულიად პატიებამდე. აი სწორედ აქ იყო დიდი წინააღმდეგობა წერეთლის სტატიაში და ამას ამჟღავნებდა ალ. წულუკიძე. აქაც ავტორი მოხერხებულად სარგებლობდა მარქსის თეორიით, მაგრამ ისე ფრთხილად კი რომ ვისთვისაც საჭირო არ იყო ამის გაგება, იგი ვერ მიხვდებოდა. ასე. მაგ.. მარქსის მაგიერ იგი ამბობდა ასე: „ცნობილი მეცნიერის სწავლა კლასიურ ანტაგონიზმზე" და სხვ.

შემდეგ იწყება მთელი რიგი წერილებისა, რომლებშიაც ალ. წულუკიძე აცნობს მკითხველებს შესაძლებელ ფარგლებში მარქსის მოძღვრებას, კერძოდ

მარქსის შეხედულებას ისტორიაზე, საზოგადოების განვითარებაზე (ისტორიული მატერიალიზმი), ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაზე და გზა და გზა აცნობს მკითხველებს როგორც კლასიკურ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს (ადამ სმიტს, მალტუს, ქენეს), ისე უტოპისტ-სოციალისტებს (სენ-სიმონს, ფურეის და სხვ.). ასეთებია ალ. წულუკიძის წერილები: „ს ა უ ბ ა რ ი მ კ ი თ ხ ვ ე ლ თ ა ნ“ („კვალი“, 1899 წ. №№ 19, 22, 23), „ო ც ნ ე ბ ა და ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე“, *) („კვალი“ 1899 წ., №№ 42 და 45), „ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ი დ ა ნ“ („კვალი“, 1899 წ., №№ 46, 47, 48 და 49). „ჩ ვ ე ნ ი უ თ ა ნ ხ მ ო ე ბ ა“ („კვალი“, 1900 წ., № 15), „ა ხ ი რ ე ბ უ ლ ი პ რ ე ტ ე ნ ზ ი ა“ („კვალი“, 1900 წ., № 33) **) და სხვ. და სხვ.

რა თქმა უნდა საგნის სავსებით ამოწურვის მხრით ეს წერილები სავსებით დამაკმაყოფილებელი არ იყვენ, და არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყვნენ იმ დროს და იმ პირობებში. რომლებშიაც ისინი იწერებოდენ. მაგრამ ისინი იძლეოდნენ სწორ შეხედულებას თითქმის ყველა მთავარ საპირბოროტო საკითხებზე, რომლებიც მაშინ ჩვენ საზოგადოებას ასე თუ ისე აღელვებდენ და რომლებიც გადაჭრას თხოულობდენ.

ალ. წულუკიძის მსჯელობის დასახასიათებლად ამ ხანაში მე მოვიყვან აქ ერთ ადგილს ერთი მისი ზევით დასახელებულ სტატიიდან. განმარტავს რა ერთ თავის წერილში („ოცნება და სინამდვილე“) მევახშეობის წარმოშობის ისტორიას, იგი დაასკვნის: „ამნაირად მევახშეობა შეცვლილი ეკონომიური ურთიერთობის თანდაყოლილი პირია. ფულის ეკონომიის ღვიძლი შვილი. მაშასადამე, მისი მოვლინება ჩვენ ცხოვრებაში აუცილებელი იყო, მისი აღგვა არავითარ საშუალებას არ შეუძლია, მხოლოდ ის ნიადაგს უ მ ზ ა დ ე ბ დ ა და უ მ ზ ა დ ე ბ ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ურ წ ა რ მ ო ე ბ ა ს, თ ვ ი თ ა მ მ ო ვ ლ ე ნ ი ს მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი შ ე ი ქ ნ ე ბ ა და მ ი თ თ ა ვ ი ს ი ს ტ ო რ ი უ ლ მ ი ს ი ა ს შ ე ა ს რ უ ლ ებ ს. ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ შეიძლება მისი სასტიკი მოქმედების შემსუბუქება, შეიძლება წვრილ მწარმოებელს გაუადვილოთ გადასვლა ერთი პირობიდან მეორეში, მაგრამ მისი სრულიად მოსპობა და მისგან ეკონომიური ცხოვრების გ ა თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ ა ჩ ვ ე ნ ღ ო ნ ე ს ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა, ეს ც ა რ ი ე ლ ი ო ც ნ ე ბ ა ა, სინამდვილე კი სხვა სურათს გვიჩვენებს, და თუ გვინდა თანამედროვე ცხოვრებაში რაიმე წვლილი შევიტანოთ, მას უნდა ჩავუკვირდეთ და შესაფერი სიტყვა და საქმე არ დავიშუროთო“.

როგორც ხედავთ, აქ ავტორი სავსებით ეყრდნობა მარქსის თეორიაზე, მის ისტორიულ მატერიალიზმზე, ერთი მხრით, და დიალექტიურ მეთოდზე, მეორე მხრით. იმით კი ვერ უშველით საქმეს, რომ ვიოცნებოთო, საჭიროა ანგარიში გაეწიოს სინამდვილეს, რომელიც მუდამ ცვალებადობას განიცდისო და სხვა.

*) სხვათა შორის, ამ სტატიას თითქმის არაფერი საერთო არა აქვს ავტორის ბროშიურასთან ამავე სათაურით, რომელიც 1903 წელს ცალკე წიგნაკად დაიბეჭდა.

**) ეს უკანასკნელი წერილები უფრო პოლემიკური ხასიათისაა. ავტორი აქ ეკამათება „ვენებურ „ნაროდნიკებს“, რომლებიც უარყოფდენ ჩვენში კაპიტალიზმის განვითარებას (ავგ., ვ. წ. — ს).

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩვენში ყველაზე უმალ ჩამოყალიბდა და სრულიად გარკვეული სახე მიიღო მარქსისტულმა მიმართულებამ სოც.-დემოკრატიული მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს ს ა ხ ი თ. სოც.-დემ. პარტიის მოწინააღმდეგე ჯგუფებში თუ ორგანიზაციებში ჩვენ ვხედავთ უპირველეს ყოვლისა ქართველს სოც.-ფედერალისტების ჯგუფს. რომელსაც 1901 წლიდან იდეოლოგად მოეელინა ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ე; ეს ჯგუფი თავიდან ბოლომდე ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ი იყო. ის ოცნებობდა მუდამ მთელ ქართველობაზე, საქართველოს ავტონომიაზე და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე. მაგრამ მარტო ასეთ ლოზუნგებით გამოსვლა ახალ პირობებში, ე. ი. იმ დროს, როცა მუშებსა და გლეხებში ხდებოდა სოც.-დემ. აგიტაცია. ამ პარტიას დიდს ვერაფერს შესძენდა, პირიქით, ყოველივე ეს მის პრესტიჟს სცემდა მშრომელთა წინაშე. ამიტომ საჭირო იყო ერთნაირი ტაქტიკის ან დროს შესაფერი პროგრამის შემუშავება და ამ პროგრამით გამოსვლა, რათა მუშები ეცდუნებინათ. აი სწორედ ეს საქმე იკისრა არჩილ ჯორჯაძემ; იგი გამოვიდა „ცნობილი" „საერთო ნიადაგის" ლოზუნგით, რომლის ქვეშ იფარებოდა წმინდა ბ ურ ჟ უ ა ზ ი ულ-ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ულ ი ს კ ვ ე თ ე ბ ა ქ ა რ თ ვ ე ლ მ ე მ ა მ ულ ე ე ბ ი ს ა და ქ ა რ თ ვ ე ლ ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს ა. ჯორჯაძე ასე ასაბუთებდა თავის შეხედულებას: „საქართველო იმ ისტორიულ ხანაში ჩადგა, როცა საზოგადოების და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროება, არამედ მისი გამრთელება და გაერთიანება"-ო.

ეს ეაუბატონი კარგად ხედავდა. რომ მისგან წამოყენებული ლოზუნგი არსებითად ნიშნავდა კლასთა შორის ბრძოლის უარისყოფას, ე. ი. მუშათა კლასსა და ბურჟუა-კაპიტალისტებს შორის ბრძოლის უარისყოფას, რასაც სინამდვილეში უკვე ადგილი ჰქონდა. და მას იმდენი ქკუა. კი ჰქონდა, რომ ამის უბრალო უარყოფით, იგი ფონს ვერ გავიდოდა და ამიტომ ერთნაირი ხრიკი იხმარა. მან მიმართა მუშებს ასეთი სიტყვებით: მართალია, კაპიტალისტები მუშის მტერი და მყლეფელია. მაგრამ ყოველგან ასე როდია. ჩვენში ასეთები არიან მხოლოდ უცხო ტომის კაპიტალისტები, ხოლო რაც შეეხება ქართველ კაპიტალისტებს, — ეს სულ სხვა არისო. ამიტომ ქართველ მუშებმა ხელი უნდა აიღონ ქართველ კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაზე და თუ მაინცა და მაინც ეს ბრძოლა მათ ეინტერესებათ. — დეე ებრძოლონ სხვა ერის კაპიტალისტებს. რომლებსაც საქართველოში მოუკალათებიათო.

„ქართველი კაპიტალისტი", — ასწავლიდა ბ-ნი ჯორჯაძე, — ე. ი. ვაჭარი და მრეწველი, ქ ა რ თ ვ ე ლ მ უ შ ა ს კ ი ა რ უ ნ დ ა დ ა ვ უ პ ი რ დ ა-პ ი რ ო თ, ა რ ა მ ე დ უ ც ხ ო ტ ო მ ი ს ე ლ ე მ ე ნ ტ ს ო, რომელსაც ხელში უჭირავს აღებ-მიცემობის მონოპოლია. ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ უ შ ა, ასოთ-ამწყობი იქნება იგი თუ თერძი, მეჩექმე თუ კარის დარაჯი ა მ ა ვ ე ე რ ო ვ ნ უ ლ ი აზრით უნდა იყოს გამსქელული. მართალია. ამ სახით შესამჩნევად ვერ გაუმჯობესდება რამდენიმე ხნის განმავლობაში მისი მატერიალური მდგომარეობა, რადგანაც ნაციონალური იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ აღმოიფხვრება. ხოლო ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ შ რ ო მ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი

იძულებულია თავისი კერძო ინტერესები საერთო ინტერესებზე დაბლა დააყენოს და მით დამტკიცოს თავისი საზოგადო თვითცნობიერების სიმწიფე". ასეთი ცინიკური გულახდილობის მეორე მაგალითს იშვიათად თუ იპოვით. ქართველ მუშას რათ უნდა ეთქვა უარი თავის ინტერესების დაცვაზე ქართველ კაპიტალისტების სასარგებლოდ?— ეს ბ-ნ ჯორჯაძის საიდუმლოებას შეადგენდა. თავის „საერთო ნიადაგი-"ს პროგრამას არ. ჯორჯაძე საფუძვლად უდებდა შემდეგ მთავარ დებულებებს: 1) ქართული ენის დაცვა, 2) ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და 3) ქართული მეურნეობის, ე. ი. მიწა-წყლის, ქართველთა ხელში შენარჩუნებას. ასეთ პროგრამას ქადაგებდა ეს მართლაც თავისებური „სოციალისტი" და თითქმის „ანარქისტი"-ც, რომელიც ნამდვილად პირწარეარდნილი ნაციონალისტი იყო, და მხოლოდ ცდილობდა სოციალიზმის მანტიაში გახვეულიყო.

ჯორჯაძის პროგრამა არა ერთხელ იქნა გაკრიტიკებული და გარჩეული მარქსისტების მიერ. მაგრამ ისეთი საფუძვლიანი კრიტიკა ჯორჯაძის „პროგრამისა", რომელიც გააკეთა ალ. წულუკიძემ ცალკე ბროშიურაში „ოცნება და სინამდვილე", არც ერთ ჩვენთაგანს არ გაუკეთებია. ჯორჯაძის თითეული დებულება ალ. წულუკიძემ უსასტიკესი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ისე, რომ არც ერთი მისი დებულებიდან ნატამალიც აღარ დარჩენილა. მან ნათლად გაურკვია მკითხველებს, ქართული ენის დაცვისთვის „საერთო ნიადაგის" შექმნა ქართველ ბურჟუაზიასა და ქართველ მუშებს შორის. — ეს აბსურდია, ეს სისულელეა, ვინაიდან ქართველი ბურჟუაზია სრულებით არ საჭიროებს ქართულ ენას. თუ ვისმესთვის საჭიროა ეს ენა, — ეს ისევ ქართველი მშრომელი ხალხისთვისო. ის (ე. ი. მშრომელი ხალხი) უნდა გახდეს ცხოვრების წინსვლის მეგაირახტრე — ამბობდა ალ. წულუკიძე — მან უნდა გააკეთოს დიდი „საერო" საქმე! — ბევრს ეს სიტყვები, ვიცი, ღიმილს მოგვრის, ბევრისთვის გაუგებარია ხალხის ასეთი სიძლიერე, რადგან მათ „არისტოკრატიული სინაზე" ვერ შერიგებია მუშის ტლანქ შეხედულებას. ვერ გაუგია, რომ მის ღარიბ ტანისამოსში გახვეულია ძლიერი ძალა და ამიტომ მათთვის ოცნების სამეფო დაგვილოცნია... ჩვენ კი ისევ სინამდვილეს მივანდობთ ჩვენ მომავალს და ამ ხალხზე ავაგებთ ჩვენ იმედებსო"... და ეს იყო სრული სიმართლე და არა ოცნება.

ჯორჯაძე ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კლასის გასაძლიერებლად ოცნებობდა საქართველოში მფარველობითი სისტემის შემოღებას. „პირველი მუხლი ჩვენი პროგრამისა — ამბობდა იგი — მფარველობითი სისტემის შემოღებაა ქართველ ვაჭრების გასამრავლებლად და გასამაგრებლადო". მართალია, ეს მარტოოდენ ოცნება იყო. მაგრამ რომ შესაძლებელიც ყოფილიყო ამ მფარველობითი სისტემის შემოღება, ე. ი. საქართველოს საზღვრების საბაჟოებით შემოსალტვა. რათა ქართველი ვაჭრებისთვის მონოპოლია შეექმნათ, ვისი ინტერესები თხოულობდენ ასეთი ღონისძიების განხორციელებას? ქართველი ერის? მაგრამ ნუთუ ქართველი ვაჭრები ქართველ ერს წარმოადგენდენ? ამის მტკიცება პირდაპირ სისულელე იყო. ასევე მსჯელობდა იგი ქართველ შემამულეების ხელში მიწების შენარჩუნების შესახებ. აი ამ მახინაციებით სურდა არ. ჯორჯაძეს „საერთო მოქმედების ნიადაგის" შექმნა ჩვენში. ე. ი. კლასობრივი

ბრძოლის მოსპობა და მის ნაცვლად მათ შორის ჰარმონიის შექმნა. მაგრამ ეს იყო ფუჭი ოცნება და მეტი არაფერი. ამიტომ მეტად მოსწრებულად უპასუხებდა ამაზე ალ. წულუკიძე: „არც ერთი ევროპის ერთაგანი კლასთა ბრძოლას არ გადარჩენია და „საერთო მოქმედების ნიადაგზე" ვერც ერთმა ფეხი ვერ მოიკიდა, თუმცა მათ ბ. არჩილ ჯორჯაძეზე არა-ნაკლები მქადაგებლები ჰყავდათ. მარტო ერთი ბასტია ღირდა რამოდენიმე ჯორჯაძე. მაგრამ მისმა ჰარმონიულმა თეორიამაც კი ვერ მოსპო კლასთა ბრძოლა და სინამდვილე მისდა დაუკითხავად წარემართა".

ასე უნიადაგოდ ოცნებობდა არ. ჯორჯაძე და მასთან ერთად სოც-ფედერალისტების პარტია. და სავსებით მართალი იყო ალ. წულუკიძე. როცა იმათ ჩხირკედელაობას ოცნებას უწოდებდა და ამ ოცნებას უპირდაპირებდა სინამდვილეს.

თავის „ოცნება და სინამდვილე"-ში ალ. წულუკიძემ დაგვანახვა. თუ რამდენად ძლიერი „იყო იგი მარქსის თეორიაში და თუ რამდენად ეხერხებოდა მას პოლემიკა და კრიტიკა. იმავე დროს თავის „ნაწყვეტებში პოლიტიკური ეკონომიიდან" ნათლად დაგვიმტკიცა, რომ იგი არა ნაკლებ, თუ მეტი არა, ძლიერი იყო მარქსის ეკონომიურ თეორიის ცოდნაში და მის გადმოცემაშიაც უბრალო გასაგები ენით. უნდა აღვნიშნოთ აქ. რომ იმ დროს ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა ისეთი წიგნი. რომელიც რუსული ენის არმცოდნეს საშუალებას მისცემდა გასცნობოდა მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას ცოტათ თუ ბევრად დაწვრილებით. იყო ერთად-ერთი ბროშიურა ამ საგანზე, სახელდობრ სვიდერსკისა, რომელიც ამ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებდა. აი ამ აუცილებელ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ალ. წულუკიძე ადგენს სახელმძღვანელო წიგნს, რომლის სათაურიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ. წინასიტყვაობაში ავტორი განგვიმარტავს, თუ რისთვის მოკიდა მან ხელი ამ შრომას. იგი ამბობს, რომ მკითხველი საჭიროებს ეკონომიური საკითხების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების ცოდნას და გაგებას, მაგრამ ქართულ ენაზე მკითხველი ამ მოთხოვნილებას ვერ დაიკმაყოფილებს. რადგანაც „დღემდე კაპიტალის" ეკონომიური პრინციპები სავსებით და დალაგებით არავის გადმოუცია". ამ მიზნით ჩვენმა ავტორმა, როგორც იგი ამბობს, გადასწყვიტა გადაედგა პირველი ნაბიჯი. მისი სურვილი იყო, რამდენადაც ღონე შესწევდა, ადვილ გასაგებად გადაეცა მკითხველებისათვის უმთავრესი პრინციპები მარქსის ეკონომიური მოძღვრებისა. „ჩვენ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება, გვეუბნება ავტორი. პოლიტიკური ეკონომიის უმთავრეს კითხვებზე და ზოგგან ეს კითხვებიც პირობების მიხედვით შევკვეცე. ამასთანავე ვცდილობდით ამ კითხვებს შორის გადაცემის დროს მეტიდრო და ცხადი კავშირი დაგვედგინა. მაგრამ ეს კითხვები მაინც აქა-იქ ამოღებულია და ამიტომ ის უფრო პოლიტიკური ეკონომიის ნაწყვეტებს წარმოადგენს"-ო.

ამ წინასიტყვაობიდან ჩანს. რომ ავტორი კარგად ხედავდა. თუ რამდენად ძნელი და სახიფათო იყო მისი ცდა მარქსის „კაპიტალის" შემოკლებით და ად-

ვილად გასაგები ენით გადაეცა ქართულ ენაზე. მიუხედავად ყველა ამისა, ავტორმა სძლია ყველა დაბრკოლებები და დასახულ მიზანს მიაღწია. თერთმეტ თავში ავტორმა შესძლო გადაცემა „კაპიტალის“ პირველი ტომის შინაარსის. არ იფიქროთ, რომ ავტორი პირდაპირ სიტყვა-სიტყვით გადმოგვცემს „კაპიტალის“ შინაარსს. სრულებითაც არა: გადმოცემის დროს, აზრების დალაგებაში, მაგალითების შერჩევაში იგი იჩენს საკმარის შემოქმედებას; მასთან აქ ჩვენ ვხედავთ, რომ იგი სარგებლობს მარქსის შემდეგი ხნის ლიტერატურით თვით მარქსის ზოგიერთ დებულებების დასასაბუთებლად. ავტორი არ აკლებს სხვადასხვა ფერადებს იმ საშინელებათა დახატვაში, რასაც კაპიტალიზმის განვითარება თავზე ატეხს მუშათა კლასს. პირვანდელი იდილიური ცხოვრების დაშლა, მასსიური გალატაკება, ოჯახის გახრწნა, სიმშილი, პროსტიტუცია, ბავშვების გახშირებული სიკვდილიანობა და სხვ. და სხვ. მაგრამ ავტორი იოტის ოდენა უიმედობას არ იჩენს. პირიქით, იგი ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნერგავს თავის მკითხველებს მუშათა კლასის სრულ გამარჯვების რწმენას, რომ ეს გამარჯვება აუცილებელი შედეგია თვით კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებისა. წიგნი თავდება ასეთი სიტყვებით: „კაპიტალისტური წარმოების შეუსაბამობა, წინააღმდეგობა ბადებს საზოგადოებრივ ჯგუფების შეტაკებას, ამწვავებს განწყობილებას, აჩენს სასტიკ ბრძოლას“... ა მ ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი ს ა ბ ო ლ ო ო დ, ც ნ ო ბ ი ერ ად მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ე ლ ი ძ ა ლ ა ა... ეს ცნობიერება კი დღითი-დღე იზრდება, ეს ძალა თანდათან მატულობს. არსებული მდგომარეობიდან გამოსავალ გზას თვით ცხოვრება უთითებს: წარმოების მოუწესრიგებლობა მოწესრიგებას საჭიროებს, საერთო საქმე საერთო პატრონობას მოითხოვს“-ო... აქ უკვე საკმარისად ნათლად იყო გამოხატული, თუ რის თქმა უნდოდა ავტორს. ეს უკვე აღარ იყო ეზოპის ენა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სტრიქონები იწერებოდენ დაახლოვებით 1904 წლის განმავლობაში, როცა უკვე რეოლიუციური მოძრაობა რუსეთის მუშათა კლასში სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ „ნ ა წ ყ ვ ე ტ ებ მ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ი დ ა ნ“ დიდი სამსახური გაუწიეს ქართველს მუშებს და გლეხებს გათვითცნობიერების საქმეში; ეს წიგნი საუკეთესო სახელმძღვანელო იყო იმათთვის, ვისაც მარქსის მოძღვრების გაცნობა სწყუროდა. და ეს მნიშვნელობა მას დღემდესაც არ მოკლებია.

1905 წელს ეურ. „მოგზაურში“ ალ. წულუკიძემ მოასწრო მხოლოდ სამი წერილის მოთავსება, სახელდობრ: 1) „მუშათა კავშირები“, 2) „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“ და 3) „პატარა შენიშვნა დიდ კითხვაზე“.

პირველი ამათგანი. სამწუხაროდ, არაა დამთავრებული, როგორც სჩანს, ავტორს განზრახული ჰქონდა მიეცა მუშათა პროფესიონალური მოძრაობის სრული ისტორია. მას დასახული ჰქონებია მიზნად — გამოერკვია შემდეგი საკითხები: რ ა ა რ ი ს პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ უ რ ი კ ა ვ შ ი რ ებ ი? რ ა შ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს მ ა თ ი დ ა ნ ი შ ნ უ ლ ებ ა? როგორ ასრულებენ ისინი ამ დანიშნულებას? როგორია მათი ისტორია და როგორია მათი მომავალი? მაგრამ ავტორმა მოგვცა პირველად პროფ. კავშირების საერთო დახასიათება

მათი დანიშნულების ჩვენებით და შემდეგ გაგვაცნო მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმოშობის და მათი განვითარების ისტორია მხოლოდ ინგლისში, რა თქმა უნდა, შემოკლებით. გარდა ამისა, ავტორის ზოგიერთი მოსაზრებანი და შეხედულებანი დასავლეთ ევროპის ქვეყნების პროფ. კავშირებზე და კერძოდ ინგლისის ტრედ-იუნიონებზე, დღეს მიუღებელია. მაგრამ მაშინდელ მდგომარეობის მიხედვით, ავტორი მართალი იყო, როცა იგი ინგლისის ტრედ-იუნიონებს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში მეტად გადაჭარბებულ როლს ანიჭებდა. მაგრამ ისტორიამ შემდეგში არ გაამართლა ეს.

1905 წლის რევოლიუციის დროს და შემდეგშიაც საქართველოს ავტონომიის საკითხი ერთი უმწვავესთაგანი იყო. როგორც ვიცით, ავტონომიის მოთხოვა საქართველოსთვის წამოაყენა სოც.-ფედერალისტების პარტიამ, როცა ეს პარტია ქვეყანას მოევლინა. სოც.-დემოკრატიას საქართველოში არ შეეძლო ამ მოთხოვნისათვის მხარი დაეჭირა, პირიქით, ის სასტიკი წინააღმდეგი გამოვიდა საქართველოს ავტონომიისა, ამ საკითხში იმ დროს სოციალ-დემოკრატიის ორივე წაწილი (როგორც მენშევიკები, ისე ბოლშევიკები) სოლიდარულად მოქმედებდენ. რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიისათვის მაშინ საქართველოს ავტონომიურად გამოყოფა უფრო ტაქტიკის საკითხი იყო, ვინემ პრინციპის. დღეს, შესაძლებელია, ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებს გაუკვირდეთ, თუ რისთვისაც ვიყავით მაშინდელი ბოლშევიკები საქართველოსთვის ავტონომიის მოთხოვნის წინააღმდეგნი. როცა დღეს ჩვენეე მხარს ვუჭერთ და ვსცნობთ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას, რაც თავის-თავად ავტონომიაზე მეტ უფლებებს შეიცავს. მაგრამ აქ დიდი და ძირითადი განსხვავებაა. უპირველეს ყოვლისა ის, რომ დღეს აღარ არის რუსეთის იმპერია რომანოვების აბსოლიუტური მონარქიით; მის მაგიერ არსებობს საბჭოთა დამოუკიდებელ რესპუბლიკების კავშირი, რომელსაც სათავეში უდგას კომუნისტურ-ბოლშევიკური პარტია; და არსებითად ყველა ამ რესპუბლიკებს აქვთ ერთნაირი მართვა-გამგეობის წესი, საერთოდ ერთნაირი კანონმდებლობა და სხვ. მეოცე საუკუნის დასაწყისში კი გვქონდა საქმე მეფის თვითმპყრობელ მთავრობასთან, რომელიც გააფთრებით ებრძოდა მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობას. ასეთ პირობებში საქართველოსთვის ავტონომიის აღიარებას, რასაც დაჟინებით მოითხოვდენ მაშინ მხოლოდ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები, შეეძლო დიდი დეზორგანიზაცია შეეტანა ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს მუშათა კლასში. მას შეეძლო დაეჭაჭა მუშების რევოლიუციონური მოძრაობა. ამ მოსაზრებით. სოც.-დემოკრატია იმ დროს, როგორც გამომხატველი და გამტარებელი ნამდვილი ინტერნაციონალიზმისა, მოვალე იყო ფარდა აეხადა ფედერალისტების მიერ წამოყენებულ ლოზუნგისათვის საქართველოს ავტონომიის შესახებ. ჩვენმა პარტიამ მაშინ მშვენივრად შეასრულა ეს მოვალეობა, როგორც სიტყვიერი აგიტაციით, ისე ბეჭდითი სიტყვის საშუალებით. ჩვენ ორგანო „მოგზაურში" ამ საკითხების შესახებ იყო მოთავსებული რამდენიმე წერილი საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ. ალ. წულუკიძემაც, თავის მხრით. მოათავსა „მოგზაურ"-ში წერილი: „ა ვ ტ ო ნ ო მ ი ა დ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი", რომელიც საესებით გამოხატავდა ჩვენ მაშინდელ ტაქტი-

კას ამ საკითხში. ავტორი პირველად ჩამოთვლის ყველა იმ ბედნიერებას, რასაც ფედერალისტები აღუთქვამდენ ქართველ ხალხს. ავტონომიის მოპოებით და შემდეგ კითხულობს: მართალია ეს? — და უპასუხებს: „მართალია, თუ ერად მიეიჩნევთ ქართველ ბურჟუაზიას, ერის უმცირეს ნაწილს; შემცდარია, თუ მშრომელი ხალხის ინტერესებს ვალიარებთ საერთო ინტერესად". შემდეგ ავტორი მსჯელობს ასე: „პროლეტარიატმა, როგორც კლასმა, თავისი კლასობრივი ინტერესები უნდა დაიცვას... მისი ძალა მდგომარეობს მის შეგნებაში და ერთობაში... კაპიტალისტებს შეერთებული პოლიტიკური ძალა აქვთ ხელში. ამ ძალის წინააღმდეგ უძლური არიან განცალკევებული ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციების შეერთებაა საჭირო... მხოლოდ მუშების შეერთებულ პარტიას შეუძლიან შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიოს მჭიდროდ შეკრულ კაპიტალისტების ძალას. აი ამ ძალის განმტკიცებას სცდილობს დღეს ქართველი და სომეხი, რუსი და ებრაელი. ე. ი. ყველა მუშა განურჩევლად ეროვნებისა... და აი სწორედ ახლა, როცა მათ მეტი სიმტკიცე და ერთობა ეპირვება, გვეუბნებიან: განცალკევდით! როცა ციხე ჯერ კიდევ სავსებით არ დანგრეულა — გვირჩევენ: დაიშალენითო!.. და, რა თქმა უნდა, ამ გზით ვერ წავიდოდა ვერც მუშათა კლასი და ვერც მისი ხელმძღვანელი პარტია, ე. ი. სოც.-დემოკრატია.

დასასრულ მე უნდა შევეხო აქ ალ. წულუკიძის ერთ ფრიად საყურადღებო წერილს, რომელიც მიმართული იყო ნ. ჟორდანიას წერილის წინააღმდეგ, სათაურით: „რ ა ა რ ი ს პ ა რ ტ ი ა"? ჟორდანიას ეს წერილი მოათავსა „მოგზაური"-ს რედაქციამ, რომელიც სავსებით ბოლშევიზმის პრინციპზე იდგა. რა თქმა უნდა, რედაქციას შეეძლო არ დაებეჭდა ჟორდანიას წერილი და თუ ძოათავსა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ იქავე გაეცა მაზე პასუხი და მით საშუალება მიეცა მკითხველებისათვის. რამდენიმედ მაინც, გარკვეულიყვენ ისინი იმ კითხვებში, რომელთა გადაკრა პარტიას ორ ნაწილად სთიშავდა. ჟორდანიას წერილს, რომელიც მეტად სუსტი იყო თავისი შინაარსით და არგუმენტებით, ძხედველობაში ჰყავდა გულუბრყვილო მკითხველები, რომლებიც ავტორის სიტყვებს კეშმარიტებად მიიღებდენ. მასთან ის საშინელ და დაბალი ღირსების დემაგოგიას შეიცავდა, რისი მიზანიც იყო მუშებში აღშფოთების გამოწვევა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ალ. წულუკიძის პასუხი, რომელიც მან დასწერა ჩვენი ფრაქციის მინდობილობით, მეტად დინჯი და სერიოზული კილოთია შედგენილი. ავტორი აკრიტიკებს პარტიის იმ განსაზღვრას, რომელსაც ჟორდანია იძლევა თავის წერილში და რომლის თანახმად შეიძლებოდა პარტიად ჩაგვეთვალა პირუტყვების მფარველი საზოგადოებაც, ან კიდევ წიგნების გამომცემელი საზოგადოება და სხვა ასეთები. ალ. წულუკიძის განსაზღვრით კი, „პარტია კლასის შეგნებული ნაწილია. პარტიული მოქმედება შეგნებული მოღვაწეობაა", და ეს სავსებით მართალია. ჟორდანია თავის წერილებში ამბობდა: „შეიძლება ერთი კლასის ზოგი წევრი გადავიდეს მეორე კლასის პარტიაში, მაგრამ ესენი აქ უბრალო დამხმარე სტუმრებია და ვერასოდეს ვერ დაიკერენ მასპინძელთა ადგილსო". ავტორი მასპინძლებს უწოდებს აქ მუშებს, ხოლო სტუმრებად სთვლის ინტელიგენტებს. იგი ეუბნებოდა მუშებს, რომ ინტელიგენტ-ბოლშევიკებს ლენინის მეთაურობით უნდათ თქვენი გამოყრა პარტიიდან, რომ თითონ მოიკალათონ იქ, ან იმათ

სწადიათ იქ გაბატონება, გმირებად გახდომა და მუშებს მხოლოდ იარაღად იყენებენო. „ვინ არიან ესენი? — კითხულობს ჟორდანია, და თვითანვე უპასუხებს: „რასაკვირველია „გმირები", ბატონობის და მარტოობის (?) მოტრფიალენი. პარტიის ერთად-ერთ მხსნელად და მეთაურად იმათ თავისი თავი გამოჰყავთ. ყველა დანარჩენი ბრბოა. მასალაა"... „დისციპლინა ბრბოს, უდისციპლინობა გმირებსო. გაიმღერიან ისინი. ეს ბატონური პოლიტიკა, რასაკვირველია. „უმრავლესობის" (ბოლშევიკების. ფ. მ.) სახელით საღდება, ვინაიდან ინტელიგენციის უმრავლესობას ბატონობა უფრო მოსწონს. მისი ბურჟუაზიული პსიქოლოგია ვერ ურიგდება ბრბოს გამანთავისუფლებელ პსიქოლოგიას და მასთან ბრძოლაშია. ამ ბრძოლის იარაღია არა დაჯერება და მოლაპარაკება. არამედ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა დ ა ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ა"... „ისინი ქადაგებენ: «не сметь свое суждение иметь", ხოლო ამის საშუალებად „раскассирование"-ს აღიარებენო"...

როგორც ხედავთ. ეს ბატონები. მბრძანებლები, ეს მოძალეები. ჟორდანიას აზრით იყენენ ბოლშევიკ-ინტელიგენტები ანუ სტუმრები მუშათა პარტიაში. ინტელიგენტების ანუ ბოლშევიკების ბატონობის. ბრძანებლობის და მოძალეობის წინააღმდეგ. ავტორის სიტყვით. იბრძოდენ მეუმცირესენი, ე. ი. მენშევიკები. რა იყო ეს, თუ არ ყოველად უტიფარი ცილისწამება და საზიზღარი თავაშვებული დემაგოგია? ალ. წულუკიძე ასე უპასუხებდა ამაზე: „ბრბო და ინტელიგენცია — აი ორი მოწინააღმდეგე ელემენტები პარტიაში (რა თქმა უნდა. ასე გამოდიოდა ჟორდანიას მსჯელობიდან. ფ. მ.) ინტელიგენცია — აი ვინ არის პარტიის შინაგანი მტერი. დასკვნა? მტერთან ბრძოლა უნდა. მტერი უნდა გაანადგურო. მტერი ინტელიგენციაა. მაშ. პარტიამ ეს მტერი — ინტელიგენცია უნდა განდევნოს. გაანადგუროს. ამას ქადაგებს უმცირესობა" (მენშევიკები) „უმრავლესობის" (ბოლშევიკების) წინააღმდეგ. ასეთია დღეანდელი უმცირესობის შეხედულება პარტიაზე და მის ელემენტებზე". და. მერე მართალია ეს შეხედულებაო? — კითხულობდა ავტორი, და შემდეგ იგი ულმობელი ლოგიკით და სინამდვილის ანალიზით ცხადჰყოფს. რომ ინტელიგენცია ჩვენ დროში სრულებით არ წარმოადგენს ერთ მთელს, ანუ განსაკუთრებულ საზოგადოებრივ კლასს. პირიქით, თითოეულ კლასს ჰყავს თავისი იდეოლოგები ანუ თავისი ინტელიგენცია. „საზოგადოებაში მებრძოლ კლასებს თავისი მომხრე, იდეოლოგები-ინტელიგენტები გაუჩნდენ. ბურჟუაზიის ინტელიგენციას მუშათა კლასმა თავისი ინტელიგენტები დაუპირდაპირა და მათი საშუალებით მუშათა მოძრაობის თეორიული გამოხატულება შეიმუშავა" — „ინტელიგენტობით ზომვა კლასიური შეხედულების ღალატიაო". დაასკვნის ალ. წულუკიძე და შემდეგ ირონიულად ამხილებდა, რომ თვით „რა არის პარტიის" ავტორიც ალბად ინტელიგენტი უნდა იყოსო *), ე. ი. „ბრძანება-მორჩილების მომხრე. გმირი. ყოველივესი თავისი ქეიფისამებრ გამგებელი"... „საკვირველია, რად ამხედრდა თავისავე წინააღმდეგ? რად დასჭირდა ასეთი ქადაგიო"?...

---

*) ჟორდანია სწერდა „ან"-ის პსევდონიმით. ასე რომ ბევრმა თავდაპირველად არც კი იცოდა. თუ ვინ იმალებოდა ამ პსევდონიმის ქვეშ.

სამწუხაროდ, აეტორს არ ჰქონდა საშუალება ლეგალურ პრესაში საკმარისად ამომწურავი სახით გაეცა პასუხი ყველა საკითხებზე, რომლებიც აღძრული იყო ჟორდანიას წერილში. ამას კარგად გრძნობდა თვით ალ. წულუკიძეც. იგი ამბობდა თავის წერილში: „სამწუხაროა მხოლოდ, რომ ამ ჟამად შეუძლებელია ყველაფრის დასაბუთება, უფრო ერცლად განმარტებაო". მას არ შეეძლო, მაგ., ლენინის დასახელებაც კი და ამის მაგიერ ხმარობდა ასეთ ფრაზებს: „უმრავლესობის (ე. ი. ბოლშევიკების) ცნობილი მომხრე" და სხვა და სხვა. ვერ იყო მიქცეული აგრეთვე სათანადო ყურადღება ჟორდანიას მტკიცებაზე, რომ „ბოლშევიკებს" ვითომც სოციალური კითხვა არ აინტერესებთ და მხოლოდ პოლიტიკური მოქმედებით იყვენ დაინტერესებული; რომ ამით ისინი ათახსირებდენ მოძრაობის ნამდვილ მიზანს და თავისი ვიწრო ინტელიგენტური მისწრაფება — სახალხო მისწრაფებად გამოქონდათ. გარდა ამისა, რომ აქ იყო საზიზღარი ცილისწამება და დემაგოგია, აქ, ამ სიტყვებში იფარებოდა ერთი მხრით უკვე დიდი ხნიდან გაკოტრებული „ეკონომიზმი" და, მეორე მხრით, მენშევიკების ლიდერების მომავალი ღალატი მუშათა კლასისადმი, რამაც ეს ეაჟბატონები უდიდესი პროლეტარული რევოლიუციის ხანაში თეთრგვარდიელთა ბანაკამდე მიიყვანა. მაგრამ ასეთი დაცემის წინასწარმეტყველება 1905 წელს შეუძლებელი იყო.

ჩვენ მოკლედ გავეცანით ალ. წულუკიძის ბიოგრაფიას, მის პრაკტიკულ მოღვაწეობას და მისი ლიტერატურული ნაშრომების ხასიათს. მაგრამ ეს დახასიათება არ იქნება სრული, თუ ალ. წულუკიძის პიროვნების ზოგიერთ განსაკუთრებულ თვისებებს არ შევეხეთ.

ჩვენ ვიცით, რომ ალ. წულუკიძემ, მას შემდეგ. რაც იგი მარქსისტი გახდა. საკუთარი შეითვისა და შეისისხლხორცა მუშათა კლასის მორალი და პსიქოლოგია. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მას საკუთარი არაფერი თავისებური არ შემოეტანოს მუშათა კლასის საუნჯეში.

აქ მე მინდა იმის თქმა, რომ ალ. წულუკიძემ იმ „მაღალი" წოდებიდან. რომელიც მან უარჰყო მთელი თავისი არსებით, დაიმკვიდრა ზოგიერთი თვისებები. როგორც მაგ., რაინდული ხასიათი, სილაღე, სიამაყე. ეს თვისებები მან შეაზავა და შეადუღა პროლეტარიატის მორალთან, ანუ ზნეობასთან და პროლეტარიატის პსიქოლოგიასთან. ალ. წულუკიძე დარჩა ნამდვილი რაინდი, არა ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ჰქონდა მინიჭებული საშუალო საუკუნოების ლიტერატურაში, არამედ იგი გახდა მებრძოლი პროლეტარიატის რაინდი. პროლეტარიატის ამ რაინდს ახასიათებდა რა თქმა უნდა საოცარი გამბედაობა. მასთან მასში არ მოიპოვებოდა სრულებით ის, რასაც უწოდებენ მედიდურებას და ყოყოჩობას. იგი იყო მეტის-მეტი თავდაბალი, ზრდილობიანი, დინჯი და დარბაისელი არა ისე. როგორც ესმოდათ და ესმით ეს ბურჟუაზიას. და საერთოდ არისტოკრატიულ კლასებს, არამედ როგორც ეს ესმის მუშათა კლასს და მის მოწინავე რაზმს.

შესანიშნავია აგრეთვე ის, რომ ალ. წულუკიძე მეტისმეტად მორიდებული იყო თავის მოწინააღმდეგეებთანაც. იგი ყოველთვის ერიდებოდა მათთან ზედმეტ სიფიცხეს. იგი იმარჯვებდა მათზე უფრო გონივრული მოსაზრებებით. არგუმენტებით და ფაქტებით. ასეთი იყო ჩვენი ძვირფასი საშა.

მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი ზნეობრივი სიმაღლე და სისპეტაკე, ე. ი. უფრო მართალი რომ ვთქვათ, მისი რევოლიუციონური მორალი. რომ რამდენიმედ მაინც ვიქონიოთ წარმოდგენა ამაზე, თუ რა სიმაღლემდე აღწევდა ალ. წულუკიძის ზნეობრივი უმწიკვლეობა, სისპეტაკე და რევოლიუციონური მორალი და ამავე დროს თუ რა აღშფოთებას და ზიზღს იწვევდა მასში ისეთი შემთხვევები, როცა ეს სისპეტაკე. რევოლიუციონური ზნეობა ილახებოდა, დაბლა ეშვებოდა და ტალღაში ისვრებოდა. — ვიმეორებ, ყველა ამის შესახებ რომ რამდენიმე წარმოდგენა შევადგინოთ, მე მოვიყვან აქ ერთ ამონაწერს ალ. წულუკიძის წერილიდან, რომელსაც „ჩ ე მ ი შ თ ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ა ნ ი“ ეწოდება და რომელიც დაწერილია 1903 წელს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა მეხუთე ყრილობის გამო („კვალი“, 1903 წ., № 5): ეს წერილი ეხებოდა გ. ზდანოვიჩს (მაიაშვილის პსევდონიმით ცნობილს), რომლის სახელი ერთ დროს ჰქუხდა, როგორც შეუდრეკელი რევოლიუციონერის მე-19 საუკუნის მესამოცდაათე-მეოთხმოცე წლებში, რომლის მჭუხარე და რევოლიუციონური ცეცხლის აღგზნებული სიტყვები და გმირული მოქმედება იტაცებდა რევოლიუციონურ ახალგაზრდობათა რამდენიმე თაობას. ეხლა კი, ე. ი. როცა ალ. წულუკიძე სწერდა მასზე თავის შთაბეჭდილებებს, მას ეჭირა ჭიათურის მრეწველთა ყრილობის თავმჯდომარის საეარძელი. ერთი სიტყვით მას უარეყო მთელი თავისი სახელოვანი რევოლიუციონური წარსული და მშრომელი ხალხის მტრების ბანაკში მოეკალათებია.

ალ. წულუკიძე პირდაპირ ხელოვნური კალმით გვიხატავს ამ დაცემას და რევოლიუციონერის სახელის შელახვას და წაბილწვას. აი რას ამბობდა იგი თავის „შთაბეჭდილებებში“:

„ქუთაისის თეატრის ქანდარაზე ვიდექ, დავყურებდი ძირს მღელვარე კრებას, მის წინაშე მომჭერმეტყველე საბჭოს თავმჯდომარეს და უნებურად დარბაზიდან ფიქრმა წარსულიკენ წამიტაცა: მაგონდება ის დრო, როცა გაფაციცებით დავეძებდი მ ა ი ა შ ვ ი ლ ი ს ნაწერებს, სულ განაბული ე ი ს მ ე ნ დ ი მ ი ს თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ა ლ ს და, როცა პირველად ახლად დაბრუნებული გიორგი შორი-ახლო მოლაპარაკე დავინახე, რალაც არაჩვეულებრივი სიამოვნება ვიგრძენ. ა ქ, ს ა დ ა ც ქ ა ლ ა ჩ უ ნ ო ბ ი ს ა დ ა ს ი ფ ლ ი დ ი ს მ ე ტ ს ვ ე რ ა ს ე ხ ვ დ ე ბ ო დ ი, ადამიანური ამპარტავნობა და მხნეობა მიჩლუნგებულიყო, წ ა რ მ ტ ა ც ი ი დ ე ე ბ ი მ ი მ ქ რ ა ლ ი ყ უ ნ ე ნ და თავდადებულ საქმიანობას, გულწრფელ სიყვარულს მხოლოდღა წიგნებში ეპოულობდი, ეიხილე ადამიანი, რომელიც ე ს ა რ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს ვ ე ლ ი დ ა ნ დ ა ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ა, ს ი მ ა რ თ ლ ი ს ა თ ვ ი ს პ ა ტ ი ო ს ნ ა დ მ ღ ე ლ ვ ა რ ე ბ დ ა, მ ო ძ მ ე ს ა მ ხ ნ ე ვ ე ბ დ ა და თ ა ვ გ ა მ ე ტ ე ბ ი თ ს ა ხ ი ფ ა თ ო ბ ი ლ ი კ ზ ე შ ე უ ფ ე რ ხ ე ბ ლ ა დ მ ი ა ბ ი ჯ ე ბ დ ა. ენერგიული სახე, მოუდრეკელი ქედი, გაბედული აზრი. ყველაფერი, თავში ამერია,

ვიდექ და ეუმზერდი. ეუმზერდი სიამოვნებით, ეუმზერდი დიდხანს და ყოველი წამი ჩემთვის გამამხნევებელი, გამაძლიერებელი რამ იყო. გონება მოიკრიბე, აზრი სინამდვილისაკენ მიეპყარ და სიმწარით ვიგრძენ, რომ ყველაფერი ეს წასული იყო. ისევ „ჩვენებური ძველებური“ გიორგი თვალწინ მიდგა და ამ წამში სიამოვნების ნაცვლად ზიზღი და გმობა განვიცადე, დაკარგულ წარსულს მხოლოდ ოცნებითღა ვებღაუკებოდი. აწმყო კი გულს მიღრღნიდა, მაწუხებდა, სადღაა ის მღელვარება, რომელიც „გალიორკაზე“ დაეძებდა თავის ეთრგულ მეგობარს? სადღაა ის სიმარტივე, რომელიც რთულ საზოგადოებრივ საქმეს წინ მიუძღოდა? სადღაა სიმართლისათვის თავდაჭიწყება, რომელიც საზოგადოების დაჩაგრულ ნაწილს გულში იმედებს უღვივებდა და საიმედო ლამპრათ უნათებდა?

„დღევანდელი მისი მღელვარება „გალიორკას“ ზიზღით შესცქერის, დაბანდული აზროვნება საზოგადო საქმეს აჩლუნგებს, სიმართლე მასში წინააღმდეგობას იწვევ; ღა სინათლის ჩასაქრობად რაინდების დაჟანგული ხმალი მოუმარჯვნია“ (ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვამთ. ფ. მ.).

რა საშინელი და იმავე დროს სინამდვილის გამომხატველი დაპირდაპირებაა ორი ხანის ერთი და იმავე ადამიანის ცხოვრებაში!

აგვიწერს რა ყველა იმ უმგვანო და უმსგავსო საქციელს, რომელსაც ადგილი ქონდა შავი-ქვის მრეწველთა კრებაზე და რომლის მეთაურად არსებითად გამოდიოდა ზდანოვიჩი — მაიაშვილი, ალ. წულუკიძე შემდეგი გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართავს მას: „ვხედავ ყველაფერს ამას, და ოცნება ისევ წარსულისაკენ მიტაცებს. გულდაწყვეტილი ვადარებ აწმყოს, ვუმზერ იმავე ადამიანს... და უნებურად ვრწმუნდები, რომ მაიაშვილს უკვე ზდანოვიჩის თბილ სავანეში თავი შეუფარებია განსასვენებლად. მშვიდობა შენდა ყოფილ ადამიანო“!

ამ გულის სილრმიდან ამონახეთქ და მწარე ნაღველით დაწერილ სიტყვებში ჩაქსოვილ-ჩატანებულია თვით ჩვენი დაუვიწყარი საშა, რომელიც გამოუთქმელად იტანჯებოდა და იდაგებოდა, როცა ზდანოვიჩის ამ დახასიათებას სწერდა. ძას ვერ წარმოედგინა ადამიანის ესოდენ დაცემა. ეს არ უდგებოდა მის ბუნებას. უაღრესად მტკიცე და შეურყეველი, როგორც კლდე პრინციპიალურ საკითხებში, ე. ი. მაშინ, როცა საქმე მუშათა კლასის არსებით ინტერესებს ან რევოლიუციის ბედ-იღბალს ეხებოდა, ალ. წულუკიძე ამხანაგებთან დამოკიდებულებაში, ოჯახურ ცხოვრებაში ან კერძო პირებთან. — ყოველთვის იჩენდა გამოუთქმელ სირბილეს, ლმობიერებას, მოსიყვარულობას. მას ქონდა რალაც გამთუთქმელი მომხიბლავი ძალა.

როგორც ვიცი, არსებობს მხოლოდ ერთი ფოტოგრაფიული სურათი ალ. წულუკიძისა, რომელიც ჩემის აზრით, საკმარისი სიცხადით გადმოგვცემს — როგორც მის გარეგან სახეს, ისე მის შინაგან თვისებებს, მის ძლიერ და მაგარ ნებისყოფას, მისი დიდრონი თვალების ჩაფიქრებულ გამომეტყველებას, მიმარ-

თულს სადღაც შორს, მომავლისაკენ. ეს გამომეტყველება შეუძლებელია რომ შეუმჩნეველი დარჩეს. ალ. წულუკიძე იყო მეტად ცოცხალი და მოძრავი ტემპერამენტის პატრონი. მისი სიცოცხლე იყო განუწყვეტელი დუღილი და წვა. იგი დაუზოგველად ფლანგავდა თავის ენერგიას. თავისი პირადი და ოჯახური ბედნიერება მან შესწირა საზოგადო ბედნიერებას. ერთ და იმავე დროს მან მოგვცა საუცხოვო მაგალითი. თავდადებული რევოლიუციონერისა და ღირსეული ადამიანისა.

1926 წელი, აგვისტო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.

[1]) **ივ. კერესელიძე** — მესამოცე წლების ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი იყო. ის რედაქტორობდა ჟურნალ „ცისკარს“ გიორგი ერისთავის შემდეგ.

[2]) **პეტრე უფიკაშვილი** — სამოც და ოთხმოციან წლების ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი. განსაკუთრებით ღვაწლი მიუძღვის ხალხურ შემოქმედების შეგროვება-გამოცემაში.

[3]) **ილია ჭავჭავაძე** — გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. (იხ. ტომი II შენიშვნა — 4. ტომი V შენიშვნა — 26).

[4]) **ჯონ. სტ. მილი** — (1806 — 1873) ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი. მისი ყველაზე განთქმული ნაშრომი არის „პოლიტიკურ ეკონომიის საფუძვლები“. ის სცდილობდა ერთმანეთთან შეეგუებინა კლასიკური მოძღვრებანი და სოციალისტური თეორიები, ინდივიდუალური მეთოდები და კოლექტიური პრინციპები, რითაც აშკარა ეკლექტიურ ხასიათს აძლევდა თავის მოძღვრებას.

[5]) **ნიკო ნიკოლაძე** — გამოჩენილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. განათლება მიიღო ლენინგრადში და საზღვარგარეთ. 1870 — 74 წ.წ. სწერდა კრიტიკულ წერილებს გაზ. „დროებასა“ და ჟურნ. „კრებულში“ ს კ ა ნ დ ე ლ ი ს ფსევდონიმით. 1875 — 76 წ. თანამშრომლობდა „Тифлисский Листок“-ში. ჰქონდა საკუთარი გაზეთიც „Обзор“-ი. თანამშრომლობდა მთელს მაშინდელ რუსეთში განთქმულ ნაროდნიკულ „Отеч. Записки“-ში. მეტად საყურადღებო და ნაყოფიერი იყო მისი პრაქტიკული მუშაობა ფოთის ქალაქის თავად ყოფნის დროს. მიუხედავად თავისი ღრმა მოხუცებისა, უკანასკნელ დრომდის იგი მხნედ მუშაობდა ყოველ საზოგადო საქმიანობაში და გარდაიცვალა 1928 წელს დაბადებით 85 წლისა.

[6]) **ნოე ჟორდანია** — ქართველი მენშევიკების ცნობილი ბელადია. ამჟამად ის იმყოფება ევროპაში და ეწევა აგიტაციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

[7]) **სილიბისტრო ჯიბლაძე** — ერთი პირველი მარქსისტთაგანი საქართველოში. „კვალის“ მუდმივი თანამშრომელი. შემდეგ მენშევიკების ერთი ბელადთაგანი. გარდაიცვალა ტფილისში 1921 წ.

[8]) **მოლინე** — (1796 — 1884) ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი და თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე.

[9]) **ოგიუსტ ტიერი** — (1795 — 1856) საფრანგეთის გამოჩენილი ისტორიკოსი.

[10]) **ბიზო** — საფრანგეთის გამოჩენილი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე მეცხრამეტე საუკ. პირვ. ნახევარში. (იხ. ტომი III. შენიშვნა 3).

[11]) **კანტი** — (1724 — 1804) უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსი, რომელიც ითვლება ეგრედწოდებულ „კრიტიკულ ფილოსოფიის" დამაარსებლად.

[12]) **ნიუტონი** — (1642 — 1727) უდიდესი ინგლისელი მეცნიერი, რომელმაც გამოიკვლია მსოფლიო მიმზიდველობის კანონები და თანამედროვე მექანიკის თეორია. ეს გამოკვლევანი უდიდეს აღმოჩენად ითვლება მეცნიერებაში და აქრობამდის ისევ წარმოადგენენ შეუპყოველ ჭეშმარიტებას.

[13]) **მორგანი** — (1818 — 1881) ამერიკელი მეცნიერი. ის ანვითარებდა თავისებურ თეორიებს ოჯახისა და ქორწინების წარმოშობა-განვითარებაზედ. მისი აზრით. ქორწინება დასაწყისში იყო არეული, ჯგუფური, სადაც არავითარ ნათესაობას არ ქონდა დანდობა. მხოლოდ ცხოვრების შემდეგ განვითარებაში თანდათან ჩამოყალიბდა ნათესაობის კანონი და ზნეობა. ამ განვითარების საბოლოო შედეგს წარმოადგენს ერთცოლიანობის დამყარება.

[14]) **მეჩნიკოვი** — (1845 — 1926) რუსი მეცნიერი. სახელი გაითქვა მთელ მსოფლიოში ცოფისა და ტიფის (საოფლეს) საწინააღმდეგო აცრით. მრავალ ცდებს აწარმოებდა აგრეთვე ქლექისა და ათაშანგის აცრაზე. განსაკუთრებულ მეცნიერულ მუშაობას აწარმოებდა ადამიანის სიცოცხლის ჯანსაღათ შენახვისა და გახანგრძლივებისათვის.

[15]) **ეგ. ინგოროუვა** — ცნობილი მარქსისტი-ბელეტრისტი, დაიბადა 1859 წ. გარდაიცვალა 1894 წ. (დაწერილებით იხ. ტომი II. შენიშვნა 17, ტომი V შენიშვნა — 42).

[16]) **არჩ. ჯორჯაძე** — სოც.-ფედერალისტების პარტიის დამაარსებელი და ბელადი. (დაწერილებით იხ. ტომი III. შენიშვნა — 51; ტომი VI შენიშვნა — 9).

[17]) **მაქსიმ კოვალევსკი** — რუსი ისტორიკოსი, სოციოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე. (დაწვრ. იხ. ტომი III, შენიშვნა — 8).

[18]) **პროკოპოვიჩი** — რუსი მეცნიერი ეკონომისტი. მსოფლ-მხედველობით — მარქსისტი-რევიზიონისტი, რომელმაც პირველმა დაიწყო ბერნშტეინის შეხედულებათა გავრცელება რუსეთში.

[19]) **მოსაშვრე** — ფსევდონიმი ამხ. ფ. მახარაძისა.

[20]) **ბ. ფერეთელი** — (1842 — 1900) გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი. (დაწვრ. იხ. ტომი V, შენიშვნა 1).

[21]) **ივ. ბოგვარეთელი** — მწერალი და საზოგადო მოღვაწე. თავიდანვე ნაციონალიზმისაკენ იხრებოდა და ღალატობდა მარქსიზმს. დეპუტატათ იყო არჩეული პირველ სახელმწიფო სათათბიროში. ამჟამად ჩამოშორებულია პოლიტიკურ მუშაობას.

[22]) **„მოგზაური"** — ჟურნალი. დაარსდა 1901 წელს ივ. როსტომაშვილის რედაქტორობით. 1905 წლის დასაწყისიდან ის გადაიქცა სოც.-დემოკრატიულ ლეგალურ ორგანოთ. მისი რედაქცია ამხ. ფ. მახარაძის მეთაურობით თითქმის სულ ბოლშევიკებიდან შესდგებოდა და ამიტომ, შეიძლება ითქვას, ის ბოლშევიკების ფრაქციის ორგანო იყო. მისი გამოცემა შესწყდა 1905 წ. 20 ნოემბრიდან.

[20]) ** კარლ კაუცკი** — იყო მარქსიზმის უდიდესი თეორეტიკოსი და გერმანიის სოც.-დემოკრატიის გამოჩენილი ბელადი 1914 წლის იმპერ. ომამდე. ეხლა იგი მეორე ინტერნაციონალთან ერთად სასტიკ ბრძოლას ეწევა ბოლშევიზმის წინააღმ ეგ. (დაწერილებით იხ. ტომი IV, შენიშვნა — 12).

[21]) **ალ. ნულუაძე** — ცნობილი ბოლშევიკი-რევოლიუციონერი. გარდაიცვალა 1905 წელს იენისში. (იხ. წერილები ამბ. ფ. მახარაძისა. ტომი II და VI).

[22]) **ალ. ბოგდანოვი** — ცნობილი მარქსისტი-ეკონომისტი, მწერალი და მეცნიერი. მ ნ დასწერა „პოლიტიკური ეკონომია", „წითელი ვარსკვლავი". აქვს ნრავალი მეცნიერული ნაშრომი. იგი ძალიან ახლოს ენათესავებოდა ბოლშევიკურ იდეებს. საბჭოთა ხელისუფლების დროს ეწეოდა წმინდა პრაქტიკულ-მეცნიერულ მუშაობას და ეკირა მეტად პასუხისმგებელი თანამდებობაც, თუმცა პოლიტიკის გარეშე კი იდგა ბოლო წლების განმავლობაში. გარდაიცვალა 1928 წ.

[23]) **პრუდონი** — ფრანგი სოციალისტი-უტოპისტი.

[27]) **დ. მაჩხანელი** — (დიმიტრი ნადირაძე. 1861 — 1903) ოთხმოციან — ოთხმოცდაათიან წლების მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გატაცებული მომხრე იყო სინდიკატებისა. თავის სოფელ მაჩხაანში გახსნა დეპო, რაც უშედეგოთ დამთავრდა.

[28]) **ფულცე დელიჩელი** — (1808 — 1883) გერმანელი ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე. მისი აზრით — ხელოსნებსა და მუშებს თავიანთი მდგომარეობა შეეძლოთ გაეუმჯობესებინათ შემნახველ სალაროებისა, ყაირათიანობისა და ერთიანობის დახმარების საშუალებით, რაც უნდა ჩამოყალიბებულიყო მის მიერვე წარმოდგენილ კავშირებისა და საზოგადოებების სახით.

[29]) **ზ. მაიაშვილი** — (1855 — 1917). (ზდანოვიჩი). სოც.-ფედერალისტების ერთი ცნობილი ბელადთაგანი. (დაწერ. იხ. ტომი III, შენიშვნა — 38).

[30]) **ჩხეიძე კარლო (ნიკოლოზ)** — მენშევიკების ერთი ცნობილი ბელადთაგანი. იყო წევრი II, III და IV სახელმწიფო სათათბიროსი. შემდეგ იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში და მუშაობას ეწეოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. თავი მოიკლა პარიზში 1926 წელს.

[31]) **ირ. ფერეთელი** — მენშევიკების ცნობილი ბელადი. საქართველოს გასაბჭოებიდან იმყოფება ემიგრაციაში.

[32]) **სკოკბელევი** — სოც.-დემოკრატი, პროფესიით ინჟინერი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი ქ. ბაქოდან. კერენსკის დროს შრომის მინისტრი.

[33]) **კერენსკი** — ესერების ერთი ბელადთაგანი. დრ. მთავრობის თავმჯდომარე: ამჟამად იმყოფება ემიგრაციაში და დაუნდობელ კონტრ-რევოლიუციონურ ბრძოლას ეწევა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

[34]) **ჩერნოვი** — ესერების ცნობილი ბელადი და თეორეტიკოსი.

[35]) **ბოცი** — ესერების ცეკას წევრი. გასაბჭოების შემდეგ გასამართლებულ იქნა ცეკას სხვა წევრებთან ერთად.

[36]) **ფეიდლბანი** — გერმანელი რეფორმისტების ერთი ცნობილი ბელადთაგანი.

[37]) **ებერტი** — გერმანელი რეფორმისტების ერთი ბელადთაგანი. ყოფ. პრეზიდენტი.

[38]) **ვანდერველდე** — ბელგიელ სოციალისტ-რეფორმისტების ბელადი. რამდენჯერმე იყო მინისტრათ და ყოველთვის ატარებდა ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურ პოლიტიკას.

[39]) **ბედი** — ფრანგი სოციალისტი. მსოფლიო ომის დროს იყო უპორტფელო მინისტრად და საესებით უჭერდა მხარს იმპერიალისტურ ომს.

[40]) **ქიირ-ჰარდი** — ინგლისელი სოც.-დემოკრატი. ერთი დამაარსებელთაგანი მუშათა პარტიისა. იგი ითვლებოდა მემარცხენე მიმდინარეობის მეთაურათ მუშათა პარტიაში.

[41]) **კ. ლიბკნეხტი** — შვილი გერმანიის სოც.-დემოკრ. გამოჩენილ ბელადის — ვილჰელმ ლიბკნეხტისა, პროფესიით იურისტი. მსოფლიო ომის დროს — ის გამბედავად ეწეოდა აგიტაციას ომის წინააღმდეგ და ამხელდა მის იმპერიალისტურ მიზნებს. სპარტაკელების აჯანყების დროს ის იყო ერთი უმთავრესი ხელმძღვანელთაგანი. მოკლულ იქნა ბერლინში 1919 წელს აჯანყების ჩაქრობის დროს.

[42]) **როზა ლიუქსემბურგი** — პოლ. სოც.-დემ. პარტიის ერთი დამაარსებელთაგანი. შემდეგ გადაეიდა გერმანიაში და იქ ეწეოდა მოღვაწეობას სოც.-დემ. პარტიაში, რომელიც მუდამ მხარს უჭერდა მემარცხენე მიმდინარეობას. სპარტაკელების აჯანყების დროს მოკლულ იქნა ლიბკნეხტთან ერთად 1919 წელს ბერლინში.

[43]) **დევდარიანი** — სეით დევდარიანი — ცნობილი სოც.-დემოკრატი. მან უარყო მებრძოლი მენშევიზმი და აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლებასთან შეგუებითი პოლიტიკას, მაგრამ არსებითად ისევ რჩება იდეურ მენშევიკათ.

[44]) **„БОРЬБА"** — ქართ. მენშევიკების რუსული ოფიც. ორგანო მათი ხელისუფლების დროს.

[45]) **რობერტ-ოუენი** — ინგლისელი სოციალისტი-უტოპისტი.

[46]) **ლადო კეცხოველი** — იშვიათი სოციალისტი და რევოლიუციონერი. დამაარსებელი პირველ არალეგალურ ქართულ ჟურნალ „ბრძოლისა". თავისი ტემპერამენტით, ჭეშმარიტ მარქსისტული. შეგნებითა და სიმტკიცით იგი იყო ნამდვილი ბოლშევიკი, თუმცა მის დროს ბოლშევიზმი ჯერ არ იყო წარმოშობილი. მოკლულ იქნა მოგუშაგე ჯარისკაცისაგან მეტეხის საპყრობილეში 1903 წელს.

[47]) **ზიორზი თილია** — ძველი მუშა-ბოლშევიკი. მუდამ ხელმძღვანელ როლს თამაშობდა რკ. გზ. მთავარ სახელოსნოების გაფიცვებში. ეწეოდა ენერგიულ არალეგალურ მუშაობას. გარდაიცვალა ჭლექისაგან სოხუმში 1908 წ.

[48]) **ვიხა ბოგოლიუბოვი** — (1875 — 1912) ძველი მუშა-ბოლშევიკი. ერთი აქტიური წევრთაგანი „კავკასიის კავშირის კომიტეტისა". რედაქტორი არალეგალურ ბოლშევიკურ ორგანოსი „პროლეტარიატის ბრძოლა". გარდაიცვალა 1912 წელს როსტოვის საავადმყოფოში.

[49]) **შაქრო ჩოდრიშვილი** — ძველი მუშა-ბოლშევიკი. ღარიბი ოჯახის შვილი, დაიბადა 1867 წ. რევოლიუციონურ და სოციალისტურ მოძრაობის დასაწყისიდანვე ის იყო ერთი აქტიური მებრძოლთაგანი. გაგზავნილ იქნა კატორღაში 1905 წ. გარდაიცვალა იქვე 1916 წელს.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

ნაწილი I

		გვ.
1.	მწარე ფიქრები 1893 წ.	7
2.	წარსული და მომავალი ჩვენი ერისა	27
3.	ჟეგელი და მარქსი	29
4.	ორიოდე სიტყვა დიალექტიურ მატერიალიზმის შესახებ	31
5.	ისტორიული ბავშვითარება	37
6.	ბაქვრით პასუხი 1895 წ. .	46
7.	ისტორიული მატერიალიზმი 1901 წ.	59
8.	არჩ. ჯორჯაძის „სოფელი და ქალაქი" 1901 წ.	71
9.	ჩვენებური უკულმართობა 1903 წ.	86
10.	თანამედროვე კითხვები 1905 წ.	91
11.	ხალხი და მუშათა კლასი	104
12.	წინასიტყვაობა მთარგმნელისა	111
13.	„უთავბოლობის" ნაყოფი 1892 წ. .	131

ნაწილი II

1.	პროლეტარული სახელმწიფო ანუ საბჭოების სისტემა . .	163 180
	ა) ბურჟუაზიულ თუ პროლეტარულ ხანაში ვიმყოფებით დღეს?	166
	ბ) პარლამენტარიზმი და საბჭოების სისტემა	174
2.	ორი რევოლიუცია	181 — 190
	ა) საბჭოები და დამფუძნებელი კრება . .	181
	ბ) ბურჟუაზიული, თუ მუშათა დემოკრატია?	187
3.	იდეოლოგიური ფრონტი . .	191
4	წინასიტყვაობა „კომ. მან." ქართული გამოცემისათვის	210
5.	ალექსანდრე წულუკიძე	217
6	შენიშვნები	257